ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი 4 | 1999



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია

# ცისკარი

4 | 1999

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
გაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბალათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი -
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია -
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აბულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა№1
ტელ: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

**გამოიღვიძე, ქნარო!..**
**3.** ფსალმუნები. გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

**პოეზია და პროზა**
**8.** ჯანო ჯანელიძე. ლექსები
**15.** ჯემალ ქარჩხაძე. განზომილება. რომანი. გაგრძელება
**60.** ტარიელ ხარხელაური. ლექსები
**63.** ეკა მაჭარაშვილი. ლექსები
**65.** დავით გოგიბედაშვილი. უფრო მაღლა, ვიდრე გენიალური. ესე
**68.** ნანა გვარიშვილი. ლექსები
**69.** რონა ბუბუტეიშვილი. ლექსები

**დრამატურგია**
**70.** ნოდარ გურაბანიძე. „ჯოჯოხეთია მოსაგონებლად"
**71.** თემურ აბულაშვილი. კონსერვის კოლოფის ცეკვა

**ახალი თარგმანები**
**101.** ნიკოლოზ რერიხი. ატლანტიდის მითი. თარგმნა
თამაზ თავაძემ

**ჩვენი თანამედროვე**
**103.** გაურ კალანდია. ჩვენი თანამედროვენი?!.

**თეატრი**
**105.** მიხეილ თუმანიშვილი. ვცხოვრობ და ვსწავლობ ლეგენდებს

**წერილები**
**113.** ოლღა პეტრიაშვილი. ლიტერატურული გროტესკის პრობლემები
**119.** გვანცა აბდალაძე. ლაშა-გიორგი - ხევსურთა შვილობილი
**122.** ილია გაგულაშვილი. მთვარის კულტის შესახებ ქართულ კულტურაშ

**იგივე კითხვები და იგივე პასუხები...**
**125.** დავით სართანია. აფხაზური პინგ-პონგი

**წინაპრები... წინაპრები...**
**135.** რიჩარდ-ალექსი გოგოხია. ამერიკული ლეგენდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა





იერუსალიმი. იაფოს კარიბჭე ძველ ქალაქში.

# ფსალმუნები

## ფსალმუნი 114

1. როს ისრაელი ეგვიპტელებს გამოერიდა
და სხვა ხალხს – სახლი იაკობის,
2. გახდა ლტოლვის ჟამს იეჰუდა მისი სიწმინდე
და ისრაელი –
მისეული საბრძანებელი.
3. იხილა ზღვამ და
უკუდგა მრწოლვით
და იორდანე შიშნეულად გარე-მიიქცა.
4. ერკემლებივით როკვიდნენ მთანი,
ხტოდნენ ბორცვები
თიკანთა მგვანად.
5. რად შეკრთი, ზღვაო, რისთვის უკუსდექ,
შენც, იორდანევ,
შიშნეულად რატომ გაბრუნდი?
6. მთანო, რად როკავთ ერკემლებივით,
რად ხტით, ბორცვებო,
თიკანთა მგვანად?
7. ქვეყნიერებავ, ატორტმანდი უფლის წინაშე –
იაკობის ღმერთის წინაშე! –
8. ვინც ჰიტალო კლდე
გარდასახა ნაკადულებად,
კაჟი –
წყაროს წყლად განათხიერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფსალმუნი 115

1. არა ჩვენდამი, უფალო ჩვენო,
არა ჩვენდამი –
არამედ შენი სახელისადმი
მოეც დიდება შენი წყალობით
და შენმიერი ჭეშმარიტებით;
2. რომ არ აღიძრას წარმართთა მოდგმა:
„სად დაიმკვიდრებს გამჩენი მათი?“
3. ჩვენი გამჩენი
ბინადრობს ცაში
და აღასრულებს,
ისურვებს რასაც.
4. მათი კერპები –
ოქრო და
ვერცხლი –
მეხორციელის გარჯითაა ნაქანდაკევი:
5. ბაგენი აქვთ და –
სათქმელად უტყვი,
თვალები აქვთ და –
საჭვრეტად ურგი,
6. ყურები აქვთ და –
სასმენად უქმი,
ცხვირი აქვთ, მაგრამ უსარგებლო
დასაყნოსავად.
7. ხელები აქვთ და –
შესახებად მოუხმარისი
ფეხები აქვთ და –
სავალად ფუჭი
და ხორხი მათი – დახშულია ხმიერებისთვის.
8. ღმერთო, მათ კვალზე მოაქციე მათი შემქმნელი
და ყველა მათი მოიმედე,
მოსავი მათი.
9. შენ კი, ისრაელ, მიენდე უფალს, –
შენი შემწე და
ფარია იგი.
10. შენ, სახლო აჰარონისაო,
მიენდე უფალს, –
შენი შემწე და
ფარია იგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



11. უფლის მოშიშნო,
მიენდეთ უფალს,
თქვენი შემწე და
ფარია იგი.
12. უფალს ვახსოვართ – გვაკურთხებს იგი:
აკურთხა სახლი ისრაელისა,
აკურთხა სახლი
აჰარონისა.
13. უფლის მოშიშებს მიაგებს ლოცვას –
პატარებს დასხამს
დიდებთან ერთად.
14. დაე, უფალმა
მეტი სიკეთე
მოგმადლოთ თქვენ და
ნაშიერს თქვენსას.
15. მოსცა უფალმა კურთხევის მადლი –
ცისა და მიწის შემოქმედმა
დაგამწყალობათ.
16. და ზეცა იგი – ზეცაა უფლის
ხოლო ქვეყანა დაუმკვიდრა
ადამის შვილებს.
17. რომელი მკვდარი უმღერებს უფალს,
ვინ აღმოუვლენს ქვესკნელიდან ქება-დიდებას?
18. და ჩვენ ყოველჟამ ვადიდებთ უფალს
აწ და მარადის –
უკუნითი უკუნისამდე,
ალილუია!

## ფსალმუნი 116

1. მე ვხარობ, რადგან
შეისმინა უზენაესმა
ჩემი მოთქმა და
ჩემეული ლოცვა-ვედრება.
2. მომაყურა და
მომაპყრო სმენა:
ვიდრე ცოცხალ ვარ, შევეზრახები
და სასოებით აღვუვლენ ქებას.
3. გარე-მომადგნენ სალმობანი სიკვდილისანი
და ჯოჯოხეთის ტკივილებმა შემაწრიალეს, –
ჭირმა და სნებამ
დამრია ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მაშინ ვახსენე სახელი უფლის:
უფალო, გევაჲ,
დაიხსენი სიცოცხლე ჩემი.
5. შემბრალეა და მწყალობელი
ჩვენი უფალი
და ღმერთი ჩვენი –
სამართლიანი.
6. უფალი შველის სასომიხდილებს:
დავუძლურდი და
დამიბნდა გონი,
აღმადგინა და
აღმიპყრო ხელი.
7. მიბრუნდი, სულო, განსასვენებლად, –
ღმერთმა მოგაგო სასიკეთო მოსაგებელი.
8. შენ სული ჩემი
დაიხსენი სიკვდილისაგან,
თვალებს შეუშრე მწუხარე ცრემლი
და ფეხი ჩემი
დაბრკოლებას გამოარიდე.
9. წარვალ უფლის წინ, წარვევლინები და მოვიხილავ
ცოცხალთა მიწას.
10. მწამდა, როდესაც
ცრემლიანი ვლაპარაკობდი:
დავმაბუნდი და
დავმდაბლდი ფრიად.
11. და სინანულით ვიტყოდი მაშინ,
რომ ორპირია ყოველი კაცი.
12. რა საქებარი შევკადრო უფალს
ჩემთვის მოზღული ამისთანა საზღაურისთვის?
13. თასს გამოხსნისას ავიღებ ხელში
და განვადიდებ
გამჩენის სახელს.
14. და აღვასრულებ უფლისადმი მიცემულ აღთქმას
წინაშე მისი ხალხებისა –
ყოველთა თვალწინ.
15. ვერ ურიგდება მეუფის თვალი
ღვთისმოსავის და
წმინდანის სიკვდილს.
16. უფალო ჩემო, გევედრები –
შენი მონა ვარ,
მონა და შვილი შენი მხევლისა, –
გამოეშურე შეწევნად ჩემდა
და დაამსხვრიე
ბორკილი ჩემი;

ეროვნული ბიბლიოთეკა



17. რომ შემოგწირო სიხარულის შესაწირველი
და განვადიდო
სახელი შენი;
18. და აღვასრულო უფლისადმი ნათქვამი სიტყვა
და გავაცხადო ხალხების თვალწინ, –
19. სად უფლის სახლის ეზოებია
და შენი წმინდა წიაღები,
იერუსალიმ, –
ალილუია –
აქებდეთ უფალს!

## ფსალმუნი 117

1. აქე უფალი, ხალხო ყოველო, ერო ყოველო,
შეასხი ხოტბა;
2. რადგან დიდია წყალობა მისი
და მარად ჰგიეს
მისეული ჭეშმარიტება; –
ალილუია!

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯანო ჯანელიძე

## წმინდა მიწის მოტივები

* * *

თაფლის სანთლები, ვით სევდის დები,
თავსასთუმალთან ღამეს მითევენ,
მხრებზე უყრიათ მზისფერი თმები
და შვენით თეთრი ტანის სიმრთელე.

ქარი ღრუბელთა მიხვეტავს ნახირს,
ელვა ცას კოცნის ისე, ვით ელდა,
ვიღაცის სუსტის და მთლად ახმახის
ლანდი უჩუმრად ჩაივლის ხევთან.

საიდან მაინც ამხელა დარდი,
საიდან მაინც ამხელა სევდა?!.
და განუწყვეტლივ ბარდნის და ბარდნის
და ჰგავს მიმწუხრი ფერმიხდილ დედას.

### ხილვა პატროსზე

„რომელიც ამბობდა: „რასაც ხედავ, დაწერე
წიგნში და დაუგზავნე შვიდ ეკლესიას,
ეფესოს, სმირნას, პერგამოს, თიატირას,
სარდეს, ფილადელფიას და ლავდიკიას".
*იოანეს გამოც. 1:11*

რწყინავს ჩემი ლავდიკია,
უვსია ვარდებს,
იქნებ ადრე, იქნებ გვიან
ეც მკვდრეთიდან აღვსდგე?!.

ეტარია სიზმრის ველი
და მდუმარი მეტად,
ქარი ტირის, ქარი მღერის
და ოქროს მტვერს ხვეტავს.

სევდის მზერით გადმომხედავს
მოქათქათე სარდე
და წუხს ზარი, როგორც დედა,
ზარს ბორკილი ადევს.

ადევს დარდი დაღდასმული
და ოქროსფრად ბრწყინავს,
მღერის ჩანგი გზნებით სრულით,
მაწვიმს ოქროს წვიმა.

ეფესოსის მაღალ თაღებს
მზეჲ ადგას ნათლის,
უკვდავების კარებს აღებს
თოვლის თეთრი მნათი.

ჩემი ძვლებიც იქ მარხია,
იქ, უწმინდეს სმირნას,
ცვივა ციდან ია-ია,
ქარს სურნელი მიაქვს.

მიაქვს ქარს და მიაქვს ნიავს
იქით, წმინდა სარდეს,
ჩემი გულიც იქ მარხია,
ალბათ, იქვე, სადმე?!.

პერგამოსიც აბნევს არილს
ღვთიურ ფერხთა მიღმა
და ღიმილი ცისკრის მთვარის
ჰგავს გაცვეთილ ნიღაბს.

თიატირას ძინავს მშვიდად
შვიდი შანდლის შუქზე,
ფილადელფოც ოქროს მითად
ძილს მიეცა უკვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა





მოვიარე მე პატროსი,
მაინც ვერსად გცანი,
ასეთია ხვედრი მგოსნის
დამსხვრეული ცანით.

ეს რა ხმები მეძახიან,
ბედთან განაყარი,
მკერდს ჭრილობა ყვავილია
და მთვარე ჰგავს ყვავილს.

ბრწყინავს ჩემი ლავდიკია,
აუვსია ვარდებს,
იქნებ ადრე, იქნებ გვიან
მეც მკვდრეთიდან ადვსდგე?!.

## საგალობელი უმაღლესს

შენ, ჩემი სულის წმინდისა ქნარო,
სურნელოვანო ჩემო იელო,
შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო
და შენთვის ვგალობ საბედნიეროდ.

დე, აშრიალე ტყეები ხატის,
ვარ დაჩოქილი შენს მზე-ნარცისთან,
შენ ცა ხარ ჩემი უმაღლეს ნატვრის,
შენ ცრემლები ხარ, მე რომ დამცვივდა.

ჰოი, რამდენჯერ მაინც იქუხა,
ჰოი, რამდენჯერ მაინც გაწვიმდა,
მხოლოდ მისთვის, რომ გასცემდი უხვად,
გაბრწყინებულა შენი მთაწმინდა.

ეს ცრემლთა დენა მიიღე ლოცვად,
ჩემი ცრემლები რწყავენ შენს ხრიოკს,
შეიმოსები ოქროსფრად როცა,
ნება მიბოძე, შენს ფრთებს ვემთხვიო.

## აღმასვლა

ის მიდიოდა აღმართზე კრძალვად,
ის მიდიოდა შიშით და თრთოლვით,
ცა მარწყვით სავსეს მოჰგავდა კალათს,
ფერდობზე იწვა დაღლილი თოვლი.

აუხდენელი რაღაც სურვილით
ის მიდიოდა ყრუ და მდუმარი,
კვნესოდა ფეხქვეშ თოვლი გულივით, -
ამ წუთისოფლის თეთრი სტუმარი.

ის მიდიოდა ჩუმი და მარტო,
მხრებზე ეფინა არილი მთვარის,
განმარტოებულს ის ჰგავდა მნათობს
და მისი ქვეყნად ესმოდა არვის.

ასეთი არის აღმასვლა მგოსნის
და აღიმართა მწვერვალზე დარდად
და თოვლისფერი თეთრი სამოსით
ის ერთადერთი მამა-ღმერთს ჰგავდა.

იდგა მწვერვალი შიშით და თრთოლვით
და გადიკრავდა შეუცნობ ელფერს
და მე ვიხილე იქ ორად ორი: -
მწვერვალი - მონა, პოეტი - მეფე.

## აღდგომის ღამე აღდგომის ტაძარში

იყო ზეიმი აღდგომის ღამის,
აღდგომის ტაძარს აღარ ეძინა,
ათი ათასი ბრწყინავდა ლალი,
ლალი ეკიდა ტაძარს ყელმძივად.

მოასვენებდნენ წმინდა ნაწილებს,
თითქოს ღვთისმშობელს ძლიერ შესცივდა,
თითქოს კედლებში შემოაწვიმეს
ოქროს წვიმებმა ოქროს ზეციდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰო, აქ რუსებიც არ ჰგვანან რუსებს,
სხვა სათნოებით მოდგნენ გოლგოთას,
მათ ტკბილ გალობას თვით ქრისტე უსმენს,
გალობდა რუსის ერთი გოგონაც.

იდგა გოგონა, უხმოდ ტიროდა,
ჩამოდიოდა ცრემლი ღვარღვარით,
თითქოს სარკმლიდან ჰქროდა სიო და
მაღლით დაგვცქეროდა ღმერთი მაღალი.

მე ერთი ფრაზა მხოლოდ ვუთხარი,
ეს იყო ფრაზა: „პლაკატ ნი ნადა"!..
მისი თვალები ცის სისუფთავით
ღვთისმშობლის თვალებს სწორედ რომ
ჰგავდა.

თითქოსდა ქრისტემ ანგელოზს უხმო,
ფერს გადიკრავდა გოლგოთა მარჯნის
და ღვთისმშობელიც ტიროდა უხმოდ
მკერდში გაჩრილი ოქროვან ხანჯლით.

იყო სიმაღლე უდიადესი,
იყო გალობა,
იყო სოსანა,
აღდგომის ტაძრის ამ თეთრ ღამეში
ფრთები გაშალა თითქოს შროშანმა.

რა სათნოებით ტიროდა გოგო!..
თვალთაგან ცრემლი მოდის და მოდის
და ვაპატიე რუსს ყველა ცოდო,
რაც საქართველოს დამართა ოდით.

* * *

იგი მოელის,
ყურს უგდებს იგი
ჩამომწყდარ ფოთლის უბრალო ჩქამსაც,
დგას ღია კართან უჩუმრად ბინდი
/კარი ლოდინში მას ღიად დარჩა/.

ის კი არა ჩანს.
ნაშუაღამევს,
როცა მიწყდება ფეხისხმა ქართა,
ღია ჭიშკარში შემოდის იგი
და უხმოდ დგება ქვის სარკოფაგთან.

## ... და ვარ პირველიც, უკანასკნელიც

ეს მე ვარ, მე ვარ - ანი და ჰოე,
იგი, ვინც იყო,
იგი, ვინც არის,
როგორც მოსულან, კვლავ ისევ მოელენ
და დაამშვენებს გვირგვინი მთვარის.

ეს მე ვარ, მე ვარ, ყოვლის საწყისიც
და დასასრულიც ეს მე ვარ, გწამდეთ,
ქვეყნის სევდა და ქვეყნის ხალისი,
ამაღლებული მიწიდან ცამდე.
ეს მე ვარ, მე ვარ, ვარ და არცა ვარ,
ყოვლისმომცველი,
ყოვლისმხილველი,
ცოტაც მადროვეთ,
ცოტაც მაცალეთ
და კვლავ ვიბრწყინებ გზით საკვირველით.

აჰა, შემოდით, გაღებულია
ყველა კარი და ყველა სარკმელი,
ანგელოზები ფერხულს უვლიან
და ვარ პირველიც, უკანასკნელიც.

მე ვარ ტალახი, სისხლით ნაზელი,
ცრემლით ნაზელი და ნაწამები
და ტირის ჩემი ნადარბაზევი
მოვარდისფერო ჩრდილ-წამწამებით.

ეს მე ვარ, მე ვარ - ანი და ჰოე,
იგი, ვინც იყო და ვინც იქნება,
როგორც მოსულან, ისევე მოელენ
ტკივილად, ცრემლად, სევდად, ფიქრებად.

* * *

წუთისოფლის მკიდა ცელი,
ცას გავცქეროდი მოთმინებით,
იღერებოდა, როგორც ცრემლი,
წმინდა მიწის მოტივები.

გუმბათს ადგა სევდის ფერი,
ვერ მალავდა ბაგე ღიმილს,
იღიმოდა ღვთისმშობელიც,
ოქროს წვიმით მხრებდაღვრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეშვებოდა ცისფერ ციდან
ანგელოზი ძოწის ბაწრით
და ჭრილობა ჩანდა ცივა
მკერდზე ხანჯლით ანაკაწრი.

და საფლავი მაცხოვარის
თრთოდა, როგორც თეთრი ველი,
და დუმილი იდგა მკრთალი,
ვით სურნელი საკმეველის.

ილვრებოდა ცვარი დილის,
თუ ღვთისმშობლის ცრემლი კრთოდა?!.
და ტაძარი იყო გრილი,
მშობლიური, როგორც ოდა.

ერთხელ იყო და მეც გამიმართლა
და ჩავუხსენი ვარსკვლავს საკინძე
და ის ვარსკვლავი დედოფლის კართან
განთიადისას ჩუმად დავკიდე.

ცვარი კი ნელა ცრიდა და ცრიდა
და ღამე ჰგავდა დაღლილ წინანდალს,
კენტი ვარსკვლავი, მომწყდარი ციდან,
წაბლისფერ თმებში ჩემთვის ბრწყინავდა.

მეც აწყვეტილი ვარ ერთი ღილი
და თოვლში ვითვლი ძვირფას ნაკვალევს,
ცა მოძალებულს ვერ მალავს ღიმილს
და ჩახსნილ მკერდზე აყრის ვარსკვლავებს.

* * *

მე დავიწყება, ვიცი, მომელის,
აღმართულია დარდი გორებად,
დარდი ამიგებს ხსოვნის ობელისკს
არდავიწყებად და მოგონებად.

ო, იქნებ ჩემი გუშინ და ხვალე
არც ღირდეს ფიფქის გაფაჩუნებად,
მომაპყრობს ღამე სევდიან თვალებს
და გარდასულზე მეჩურჩულება.

ფერი სიმწიფის გადაჰკრავს თაველს,
ვხედავ, ნიავი ატმის რტოს არწევს,
თეთრი ქალივით შიშვლდება მთვარე
და გრილი ბაგით მიკოცნის ღაწვებს.

* * *

...დაიმსხვრა მათი რწმენის გემი.
*მოციქ. პავლეს I წერ., 1:19*

ნაპირი თუმცა ნისლმა შენისლა
და წყალქვეშეთშიც ვერაფერს ვამჩნევ,
მაინც მიცურავს გემი რწმენისა
და ელის ღვთისგან კუთვნილ განაჩენს.

უნდა ისწავლო, რომ აღარ დაგმო,
უნდა ირწმუნო, რომ არ უარყო,
მიცურავს ჩემი ლამაზი არგო
და რწმენის ყურეს ვამჩნევ სულ ახლოს.

უნდა გაბედო, თუ გსურს, გადარჩე,
უნდა გიყვარდეს, თუ გსურს, იბრწყინო,
თვით მაცხოვარი გეტყვის დანარჩენს,
ჯერ უხილავო ჩემო მზის წილო.

რაიც დათესე, იმასვე იმკი
და ვგრძნობ ახლოა ვარდების ბარდნა
და ცით ეშვება ნათელი ცისკრის
მაცხოვარივით სუსტი და სადა.

## სიზმარი

წმ. ეკატერინეს ტაძარში

ძინავს დედოფალს მშვენიერ ძილით
და ცხადად მესმის მე მისი ფშვინვა,
გადახსნილი აქვს სამწყება ღილი,
მაღალი ყელი მიუგავს ჟირაფს.

მისი მშვენება ლეგენდად უთქვამთ,
იქვე ყვავილობს თოვლში იელი
და სუნთქავს იგი თოვლივით სუფთა,
თოვლივით წმინდა და მშვენიერი.

* * *

სევდისფერია ჩანგის სიმები
და მესმის, ცრემლი თუ როგორ წვეთავს,
ირხევა ფარდა მონანიებით
და ქონავს სევდა გარდასულ წელთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს ჯამბაზი მიჰყვება ბაგირს,
მთვარე, შემკრთალი, გადადის სერზე
და მკოცნის მთვარე გაცრეცილ ბაგით,
მჩუქნის სიჩუმე სევდიან ლექსებს.

ჩაწყვეტილია მთავარი ძარღვი,
ეს მერამდენედ მიმუხლთა ბედმა?!.
ჩამეძინება ოცნებით დაღლილს
და სიზმრად ვხედავ ჭაღარა დედას.

## მხოლოდ ნათელი

მხოლოდ ნათელი - ეს არის ღმერთი,
მხოლოდ ნათელი და გაბრწყინება,
მხოლოდ ნათელი, ნათელს რომ ერთვის
და უსასრულოდ მიედინება.

მხოლოდ ნათელი,
მხოლოდ ნათელი,
არავითარი სიბნელე მასში,
გზა ამაღლების, გზა გამართლების,
მამა ღმერთთან რომ ამყარებს კავშირს.

მხოლოდ ნათელი,
მხოლოდ ნათელი,
რომ ემსგავსება მგალობელ წყაროს,
ჩვენ რომ გვმფარველობს ღვთიურ
კალთებით
და მარად, ყველგან ცოდვილთ რომ
გვწყალობს.

## წუთისოფელი

მზე ეფერება ლამაზ გვირგვინებს,
სხვა ბრწყინვალებით ბრწყინავს ელიტა
და მათრობს დაფნის მძაფრი სიგრილე,
თუმც წამისყოფა მარადს ვერ იტანს.

ჰო, წამისყოფის უფასო ფასი
კარგად იციან ჩარჩმა ვაჭრებმა,
გვირგვინი, შენ რომ გერგო, ძვირფასო,
ქამი მოვა და უცბად დაჭკნება.

გზა გასავლელი უკვე გავლილ,
წელთა უღრანი მკერდზე გადამდის,
მარადისი ვერ იტანს წამიერს,
ვერც წამიერი გუობს მარადისს.

მიდიან ასე დღეები როკვით,
შავი ფერები თეთრ ფერს ერთვიან,
თუნდაც იცოცხლე და თუნდაც მოკვდი, -
წუთისოფლისთვის ეს სულ ერთია.

მზე ეფერება ლამაზ გვირგვინებს,
სხვა ბრწყინვალებით ბრწყინავს ელიტა
და მათრობს დაფნის მძაფრი სიგრილე,
მარადისობა სხვაა ფერითაც.

* * *

ჰა, კიდევ ერთი ვარსკვლავი ჩაქრა
ხვალინდელ დღეზე ცივად მღიმარი,
ავღევენებივარ სხვა ბედის ვარსკვლავს,
კარს რომ მოაწყდა, ნეტავ ვინ არის?!.

მეტი სინათლე,
მეტი სინათლე,
თორემ სიბრმავე თვალებს დასჩემდა,
ერთხელ იქნება, მეც გამიმართლებს,
შენ წილნაყარი რჩები ქაჯებთან.

დიდების გვირგვინს ღმერთი განაგებს,
უცბად ბრწყინდება და უცბად ხმება,
ლიაა თეთრი ტაძრის ალაგე,
ჰა, ზეციურმა მეც მიხმეს ხმებმა.

და მთვარე ფრთხილად, მიყვება შუკებს
განუკურნელით მკერდზე იარით,
ჰა, ყური მიგდეთ, ქამია უკვე
აღსარებისთვის არცთუ გვიანი.

დაქანცულია მთვარე ალერსით,
გზა, წინ სავალი, მართლაც მრუდეა
და როგორც შუბლი იოანესი,
გაბრწყინებული მოჩანს ლუდია*.

* * *

დაღლილ ბავშვივით მზეს ჯერაც ძინავს,
ძილში იღიმის თეთრი ენგურიც,
აქ, ერთადერთი, ძილ-ფხიზლობს დილა
და უტკბილესით გალობს მეგრულით.

\- - - - - -
* ქალაქი იერუსალიმში, სადაც განისვენებენ წმინდა გიორგის წმინდა ნაწილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროვან ეტლით თეთრმა ცხენებმა,
ჰა, ბეწვის ხიდი გადაიარეს,
ცა ააჭრელეს დილის ფერებმა,
ცა ვარსკვლავების მალავს იარებს.

ისმის გალობა ტკბილ ბაგეთაგან,
თითქოსდა თაფლი წვეთავს ზეციდან,
თითქოსდა ცირამ ვარდები დარგო
ბაღში და ვარდებს უცბად შესცივდათ.

ახლა ასეა, სხვა იყო წინათ
და დაღვრემილი გვხვდება ინგირი,
აქ, ერთადერთი, ცა ისევ ბრწყინავს
გაუხუნარი მთვარის გვირგვინით.

## საგალობელი მამა-ღმერთზე

ო, მამა-ღმერთო, გამგებო ბედთა,
მე გლახაკი ვარ და დავრდომილი,
მე ბრმაც ვარ, ყრუც ვარ, ვერაფერს ვხედავ,
ვერაფერს ვისმენ ღვთისგან გმობილი.

ეს შენ ხარ ჩემი მქუხარე ქნარი,
შენ მეუფე ხარ მეფეთ-მეფეთა,
მზის ბრწყინვალებავ, ნათელო მთვარის,
ვარ გულგახსნილი მე მხოლოდ შენთან.

ცა გაკაშკაშდა მაინც რა უცბად,
თითქოს ამყარეს მე ბორკილები
და ხეიბარი, ბრმაცა და ყრუცა,
ვგრძნობ, ათას ურჩხულს შევერკინები.

მესმის ფეხის ხმა ოქროს წყობილი,
ეს შენ მოდიხარ გამგები ბედთა
და მე ბრმა, ყრუ და თან დავრდომილი
დავდივარ, ვისმენ, ყველაფერს ვხედავ.

ასე დიდებით, აბა, ვინ ივლის?!.
უკვე მიდიხარ, ფეხის ხმა ისმის,
სიტყვაც არ გითქვამს... ერთი ღიმილი
და რა წყალობის გამხადე ღირსი!..

* * *

ვარ წამებული მეც შენთან ერთად
და მედო ტანჯვის მეც ბორკილები,
მეც შენთან ერთად დევნილი მერქვა
და გამიბზარავს ცა შეკივლებით.

მეც მხვდა ეკალი გვირგვინის ნაცვლად,
შხამით ავსილი თასი მეც შევსვი
და მეც მაყრიდნენ ქვებსა და ნაცარს
და იყო ცრემლის და სისხლის თქეში.

მეც გავიარე წამების ხევი
და მიბნელებდნენ მეც მზეს პირნათელს
დჲ განიბანა ჩემზედაც ხელი,
ერთხელ კი არა, სამგზის პილატემ.

მხოლოდ გოლგოთა და ჯვარცმა ერქვა
ცხოვრებას ჩემსას და აღვსდექ ასე
და მეც ავმაღლდი უფალთან ერთად
და მამა-ღმერთის ხელმარცხნივ დამსვეს.

და ახლა, როცა ოქროს წვიმების
წამოვა წარღვნა,
წამოვა თქეში,
მე ისევ შენთვის გავიწირები,
რომ ყველაფერში და ვიყო შენში.

## რად მდევნი, საულ!..

თითქოს განიხსნა ცა იისფერი
და წამს ინათა, უცბად, მზის დარად,
და ხმა მომესმა: „საულ, რად მდევნი,
რად მდევნი, საულ, განუკითხავად?!.“

და უცაბედად მე წამსკდა ცრემლი
და გული წრფელი წამს დამედაგა,
მას შემდეგ შენზე ვმღერი და ვმღერი,
ისმის გალობა ჩემს ბაგეთაგან.

რა მშვენიერი ჩამოდის თოვა,
რა მშვენიერი შრიალებს ლელი!..
მე ისევ მოვალ,
მე ისევ მოვალ,
მე, შენი მონა და მგალობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *

მე სიტყვაში ვარ, სიტყვა კი ჩემში
და მაინც სიტყვა ძლივსღა დავძარი,
ქვიშა და ღორღი სულ პეშვა-პეშვით
ვაგროვე, - ასე შევკარ ტაძარი.

ეს იყო ნება მაღალი ღმერთის,
ეს იყო ნება ჩემივე ბედის
და ტაძარს ჩემი სიჩუმეც ერთვის,
სად ლოცვად ყველა ცოდვილი შედის.

მე სიტყვაში ვარ, სიტყვა კი ჩემში,
სიტყვაში კიდევ ღმერთი ვლინდება,
და ცხელი ცრემლით სავსე მაქვს პეშვი
და ცრემლი უფლის გალობს დიდებას.

## დუმილი

ო, ეს დუმილი ნეტავ რას ნიშნავს,
რად დამებედა ნეტავ ნატვრად მე?!.
მე ვარ უდაბნოს მხურვალე ქვიშა
და ველით ველზე ქარი მატარებს.

მე ვარ უდაბნოს მხურვალე ქარიც
და ქოფაკივით თან ვდევ ქარავანს,
მე ნათება ვარ თიბათვის მთვარის
და ბედუინმა დამცა კარავად.

შეუძლებელი მე მაინც შევძელ,
თუმც გზები მქონდა შორი და რთული,
მე დუმილიც ვარ ეგვიპტის ველზე,
პირამიდებად ცად აღმართული.

* * *

მე რწმენაში ვარ ყველგან და მარად,
როგორც მარცვალი აპრილის ხნულში,
მე ღვთისმშობელი კალთით მიფარავს
და სიყვარულით მიხუტებს გულში.

მე რწმენაში ვარ, ვით სათნოება,
სათნოება კი შემეცნებაში,
დამზრალ ჩიტივით მზეზე რომ თბება,
მე ღრუბელი ვარ, ქარი რომ აშლის.

დიახ, რწმენა ვარ და მოთმინება,
ო, ჩემო ცრემლო, ცრემლო ნელ-თბილო,
მე მოკვდავი ვარ და ნება-ნებად
მარადისობის ფრთებქვეშ ვნებივრობ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჯემალ ქარჩხაძე

## განზომილება



### აუდიორუქა

(ფრაგმენტი №2)

– ნუ შევჭამთ უბრალოზე ერთმანეთს!

– კაი, ჩემო დაია, მასე იყოს, მარა მარტო თქმა გვიშველის?..

– ეს ვერტალიოტი რაღას დაგვბზუის თავზე!

– შონიასია ვითომ?

– რათ უნდა მაგას „ვითომ“?!

– ეგრე – თუ არც ეპოქას გავუწიეთ ანგარიში და არც არაფერს – ისიც შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ევა ადამის უკანონო ცოლი იყო. რა გამოვა აქედან, კი ნახავთ!

– თფუი, რა სამარცხვინო ხალხი ვყოფილვართ!

– მერე, მერე, ბატონო ივლიანე?

– მერე, ჩემო კარგებო – საქართველო რომ დღეს ყრუ ჩანს, ბრმა და შეურაცხადი, მართლა ყრუ, ბრმა და შეურაცხადი არ გეგონოთ. მიზეზი სხვა ჭრილშია საძებნელი. კერძოდ: დღეს ქვეყანას ერთი ის დრო დაუდგა, როცა მორალურ და ინტელექტუალურ ფასეულობათა დიდი გადანაწილება უნდა მოხდეს და, ამ პროცესის გაიოლების მიზნით, ეს ფასეულობანი დროებით გარეთაა გამოტანილი. ამიტომ შიგნით სიცარიელემ დაისადგურა. დღეს, ჩემო კარგებო, საქართველო საგამოფენო დარბაზს ჰგავს, რომელშიაც ექსპოზიციის განახლება ხდება და ამიტომ სურათები ჩამოხსნილია.

– ღმერთო, შენი მუხლ-კალთის ჭირიმე!..

– გამოღმით მე ვაარ, გაღმით შენ...

– როცა არჩევანი მარქსსა და პურს შორისაა, ჩემო ბიძიებო, მაშვინ მარქსიც პურს რჩეობს, აბაა!

– რა და, მფრინავი თეფში კიდია თურმე იქითა ბოლოში და, რომელი მანქანაც მოეწონება, მგზავრებიანად მიყავს.

– მიდიი!

– გეუბნები.

– მტყუანს...

– ეგრე!

– სრულყოფილებისაკენ ბუნებრივი სწრაფვიდან და სრულყოფილების მიღწევის შეუძლებლობიდან აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ არ შეიძლება არსებობდეს ორი ისეთი ადამიანი, რომელთაგან ერთი ყოველმხრივ აღემატებოდეს მეორეს. აბა ვინ ამოხსნის!

– შენ მოგეცა ჩემი ცოდვა! სად დაწანწალებ, გოგო, ამდენ ხანს?!

– სრულწლოვანი ვარ მე!

– ჭირი შენ!

– სულ წავალ!

– ჯანდაბაში წადი. დედა. გაისწორე მაგ კაბა!

– თქვენ კი არ ოცნებობთ ხოლმე ძილის წინ ერთიანსა და ძლიერ საქართველოზე?

– ეჭვიანობა სინდისის დაბინძურების მაჩვენებელია. მართალია, დაბინძურებული სინდისი ბუნებრივი მოვლენაა, რაკი სული იძულებულია სხეულით შეიმოსოს, მაგრამ ზომაც ხომ უნდა ვიცოდეთ!

– გამო-მეთქი!

– წადი, შენი დედა!..

– აუ, ჩემი დედა! მაგინებს, ტო!

– ორმა ძმამ მიწის ორი ნაკვეთი იყიდა. ერთმა თავისი მიწა გადააბრუნა. მეორე ზარმაცი იყო და არ გადააბრუნა. რომელმაც გადააბრუნა, კაი მოსავალი მიიღო. რომელმაც არ გადააბრუნა, ჩვენ რომ ვიცით, ის მიიღო. სა-

– – – – –

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ №3

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველოს გადაბრუნება სჭირდება. ერთი კარგად, ღრმად, საფუძვლიანად გადახვნა.

- ნამდვილი ყოფილა შონიას ამბავი.

- მოდის?

- მოსულა უკვე.

- რა მისი ყველეის უნდა?

- ჩუ, კაცო!

- რას ქვია ჩუ! რას დაგვმღევს აპა, რო დაგვმღევს! რავა, ინკუბატორში გამოყვანილები ვგონივართ მაგას ჩვენ, დაპაჩინკებულები ვგონივართ, საჭურისები, წარმართები, კოსმოპოლიტები, მასონები, თერგდალეულები, მეღავითნეები, უცხოპლანეტელები, რეგენტები, რენეგატები, დეგენერატები, მუნიანები, სვირინგიანები, ლიბერალები, კონფორმისტები, ზანგები, პროკომუნისტები, ქაჩლები, დემოკრატები, ცისფრები, ალისფრები, ბანკროტები, ფრთოსნები, ერის მოღალატეები, ხალხის მტრები, კოჭლები, კუზიანები, ბრუციანები..

- ენა ჩეიგდე, კაცო, ნუ ოუშვი შენებურად!

- შენ რა გინდა, ჩემო ქმაროო...

- ცემენ მგონი ვიღაცას.

- არ გინდათ ნუ ჩაერევით. ჯგუფურში გადავა და მერე ჩვენი გამჩერებელი მამაზეციერი აღარაა.

- ერთი დათიკო რიჟინაშვილი გვყავდა, ყველა დრიჟინაშვილს ეძახდა.

- მიუხედავად ცეკასა და სუკის მუქარისა, ცამეტ ივლისს, თორმეტი მოციქულის ხსენების დღეს, მტკვარ-არაგვის შესართავთან სახალხო ნათლობა გავმართეთ. ყველაფერმა კარგად ჩაიარა; ოცდასამი კაცი მოინათლა, მარტო ერთი უწლოვანი ბავშვი დაგვეხრჩო.

- მოკლამენ, კაცო! აგე, მთელი ნახირი დაესია!

- წუმწუმა ხომ არ გექნება, ქალბატონო?

- რომ წარმოვიდგენ, უნდა მოვკვდე - არადა, მოვკვდები ხო, აბა რა იქნება, დღეს არა - ხვალ, ხვალ არა - ზეგ, აპრილში არა მაისში, მაისში არა ივნისში, წლეულს არა - გაისად, გაისად არა გარდამეისად, ამ საუკუნეში არა - იმ საუკუნეში, იმ საუკუნეში დანამდვილებით, ერთი სიტყვით, ადრე იქნება თუ გვიან იქნება, სად გავექცევი და სად დავემალები, მაინც ხო მომაგნებს, მაინც ხო გადამიდგება გზაზე, მაინც ხო ჩამოკრავს ზარი, და ამას რომ წარმოვიდგენ, აღარც კი მჭირდება ზარის ჩამოკვრა, ისედაც ვკვდები და ვთავდები შიშით. სხვებიც ასე არიან ნეტა თუ მე ვარ მარტო დასჯილი და გამეტებული?...

- ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა!

- სიმართლე ძლიერმოქმედი წამალია, დიდი დოზით მიცემა არ შეიძლება!

- დე, მშია!

- რაღა ვქნა ახლა?!

- ზნეობაზე ლაპარაკი დღეს ღრმა ანაქრონიზმია და მხოლოდ ჩვენისთანა ანაქრონისტულ ქვეყანაშია შესაძლებელი, სადაც ჯერ კიდევ შუასაუკუნეების ფსიქიკა მძვინვარებს. ცივილიზებულ სამყაროში კი იგი დიდი ხანია ინტეგრირებულია ადამიანური ყოფის ერთიან ქსელში და მისი გამოყოფა და ცალკე განხილვა უკვე შეუძლებელია.

- ამისთანა რა ორგანიზაცია ჩამოაყალიბა, ქვეყანა რომ მაგაზე ლაპარაკობს?

- თავისუფალ დოგმატიკოსთა კონსერვატიული ლიბერალურ-რადიკალური კავშირი.

- ხედავ?.. უძახე შენ ცუხი და შარახვეტია!

- ადამიანს - ასეა ეს ფსიქოლოგიურად - ყოველთვისა აქვს არჩევანი და ყოველთვის იმას ირჩევს, რაც უმჯობესი ჰგონია. ეს ბუნების კანონია და მას გამონაკლისი არა აქვს. როდესაც თავს ვიკლავთ, იმიტომ ვიკლავთ, რომ მოცემულ ვითარებაში თავის მოკვლა ყველაზე ოპტიმალურ ქმედებად მიგვაჩნია.

- იფ! არ მიიჩნია თავის მოკვლა ყველაზე ოპტიმალურ მოქმედებად!

- მოცემულ ვითარებაში, ისე ხომ არა!

- კი, მოცემულ ვითარებაში, მარა მაინც.

- როდის უნდა გვეშველოს ჩვენ! როდის უნდა ამოვძვრეთ ბიუროკრატიზმის ჭაობიდან!.. მესამედ ჩამომიყვანეს თბილისში არაფრის გულისთვის.

- სულ მთლად არაფრის გულისთვის რავა ჩამოგიყვანდნენ!

- მაგათზე ვამბობ, თორემ ჩვენთვის არაფერი კი არა, ძალიანაც ღირსების საქმეა... ოთხკლასიანი სასწავლებელი გვაქვს ერთი. ქვევით, ირმის ნახტომის ქუჩაზე. ვიღას ჭირდება ახლა ოთხკლასიანი სასწავლებელი და გადავწყვიტეთ უნივერსიტეტის სტატუსი მიგვენიჭებინა. ყოველი შემთხვევისთვის ორ-სამჯერ პატარა ჩასათვლელი აქციაც გავმართეთ... გაგიგონია! აი დღეს განვიხილავთ, აი ხვალ განვიხილავთ... მესამედ ჩამომიყვანეს! თახსირი ბიუროკრატები!

- ჩვენთან არს ღმერთი!

- ისემც დაგიმშვენდათ ცხვირი!

- ყველაფერს გავადინე წვენი - ბენდუქიძე ვარ მე გუგული - რასაც ხელი მოვკიდე! კაცმა თუ მოინდომა?.. და კაცი თუ კაცია?.. ეს ქვეყანა გაცხადებული ფულია. რა მხარესაც გაიხედავ, ყველგან ფული ყრია. მთავარია დახრა შეიძლო და აკრეფა არ დაიზარო.

- ა ძმაო მოძღვარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა


- ძაძინებისას ბოლო სიტყვა უნდა იყოს „ფული“ და გაღვიძებისას პირველი სიტყვა უნდა იყოს „ფული“.

- მოდით აქ, მოდით, მოუსმინეთ!

- ხანდახან რომ სინდისი სისულელეს ჩაგიფუჩუნებს ყურში, იმწამსვე ხმა უნდა ჩააწყვეტინო. ვინ კითხავს სინდისს! სად საქმე და სად სინდისი! სინდისს რა ენაღვლება: ჭამა არ უნდა და სმა, ჩაცმა არ უნდა და დახურვა, ეზო არ უნდა და გარემო, გავლა არ უნდა და გამოვლა, პარიზი არ უნდა და სინგაპური, ქალი არ უნდა და რესტორანი, ძმაკაცი არ უნდა და ნათესავი!...

- ჰო-ჰო-ჰო, რა შეუბერა!

- ფულია არსებობის ანი და ჰაე. ფული და მხოლოდ ფული! ღმერთი არაფრის მომცემი არაა. ფულზე უნდა იფიქრო, ფულის ირგვლივ უნდა მოუყარო თავი შინაგან ძალებს, ფულზე უნდა გქონდეს დაუნჯებული გონიც და გონებაც და, თუ გულმა ლოცვა მოგთხოვა, ფულზე უნდა ილოცო. სინდისი იმას დაუტოვეთ, ვისაც ფული არა აქვს. ვისაც ფული აქვს, იმას ფულიც ყოფნის. ასე არის ეს და თუ ვინმე სხვანაირად ფიქრობს, ძაანაც ცდება.

- იიფ! ეს რომ კვირაში ერთხელ ტელევიზორში გამოიყვანო, ჩვენი ეკონომიკა ორსამ თვეში დაიძრება ნულოვანი წერტილიდან.

- ოთხმოცი! აბაა! ესაა ქვეყანა?! სამედიცინოზე კიდევ ჰო, მაგრამ აქაც ოთხმოცი, გენცვა?! სვინდისი აღარაა?! ნამუსი აღარაა?! აღარაფერი აღარაა?!

- აბა თქვენ იცით, მონებო, რაც შეიძლება ღრმად შეუძვერით იმპერიას!

- მონების ხმა გვესმის!

- პარაზიტებო!

- ცოლი გამიიდიდგუულდაა...

- ჩვენში დარჩეს და, გაუდიდგულდა კი არა, უარესი დამართა, მაგრამ ვინ ეტყვის!

- უცნაური? უცნაური კი არა, მე მგონია, გვარიანად წაიღებილებს. ამას წინეებზე დედამისს ეძახის: „დე! შვიდი უკვე გასუქდა?“ როგორია?.. თურმე იმას კითხულობს, შვიდი საათი თუ გახდაო!.. მოიცა, სად მიხვალ, კიდე გითხრა: ხელი ჰქონდა ერთხელ შეხვეული. მარცხენა. რა დაგემართა-მეთქი, ვეკითხები. გავიჭერიო. რითი გაიჭერი-მეთქი. მეც რას ჩავაცივდი!.. მამუკამ სიტყვა გატეხა და ნატეხი შემერჭოო. ელაპარაკე!

- აღსასრულის დღე რომ მოვიდა და ხელმწიფემ იგრძნო, ამაღამ ველარ გავატანო, დედოფალს უთხრა: „შემინდე, ჩემო სიცოცხლევ, რაც რამ აქამომდე შეგცოდე, და პირობას გაძლევ, ამიერიდან, ვიდრე პირში სული მიდგას, შენი ერთგული ვიქნები.“

- წამო, კაი, რამე გაჩვენო! წამო, წამო, გაერთობი. უყურე ახლა... უკაცრავად, ჩემო ბატონო, თუ შეიძლება თქვენი დაბადების თარიღი გვითხარით.

- ჩან-შინ-კან-ვინ, სურწყუნისის ჰე.

- როგორია?

- აუ, დაგლიჯა!.. რეები თქვაა!..

- გინდა კიდე მოგასმენინო?

- უბრალოდ, ჩვენი ეროვნული სიამაყე სპონტანური სიამაყეა და მასში ცნობიერება ნაკლებად მონაწილეობს, თორემ ისე არაფერი სასაცილო არაა.

- სამშობლო რავა უნდა გაყიდო, შე იუდა, და თუ ეშმაკმა არ მოგასვენა, ნუ გააპუსტიაკებ მაინც, ისეთი ფასი დაადე, ღირდეს!

- ეეეჰ!..

- ერთი შვილი რუსეთს გამექცა, მეორე შვილი რუსეთს გამექცა, მესამე შვილი რუსეთს გამექცა, მეოთხე შვილი მე არა მყავს. რა ვქნა?

- წაგახრჩობ გველის წიწილასავით, კი გავხარ მაინც გველის წიწილას!

- რითი ვგავარ, მაგალითად?

- არჩევნები და არა მარჩევნები! არჩევნებისთვის კანონები და კანდიდატები არ კმარა. კანონები და კანდიდატები შეინახე იქ და მაგრად, ამომრჩეველი თუ არა გყავს! იცი, რა არის ამომრჩეველი? ვინც აარჩევს. „ეს მინდა, ის არ მინდა“. გყავს? არა გყავს. საქართველო პატარა ბავშვივითაა; თუ ჰკითხე: მამა უფრო გიყვარს თუ დედა? გიპასუხებს: დედა. თუ ჰკითხე დედა უფრო გიყვარს თუ მამა? გიპასუხებს: მამა. მომინდომეს აქ არჩევნები!

- ამბობენ ამაღამდელი ღამე უკანასკნელი იქნებაო.

- როგორ თუ უკანასკნელი?

- აღარ გათენდებაო.

- ვაი!

- ვითომ?

- უკანასკნელი ალბათ მოცემულ ცივილიზაციაში და არა საერთოდ.

- არ გათენდება კაია!

- თუ არც სხვებისთვის გათენდება, კი ბატონო, მაგრამ თუ მარტო ჩვენთვის არ გათენდა. ასეთი აქტი შეფასებულ უნდა იქნას, როგორც დაუფარავი და ცინიკური დისკრიმინაცია.

- შენი დედა, გეუბნები მე შენ!

- დანა! დანა! დანა გამოართვით!

- დიანა!

- ქედს ვიხრი რა რუსთაველის მამაცი ნიჭის წინაშე, არ შემიძლია არ ვთქვა, რომ „ბოროტსა სძლია კეთილმან“ აბსურდია. კეთილმა რომ

ბოროტს სძლიოს, თვითონაც ბოროტი უნდა იყოს.

- იქნება მაინცდამაინც ნოკაუტს არ გულისხმობს!

- კოლიამ თქვა, საქართველო საყვარყვარეთიაო.

- ხოდა, მართალი უთქვამს.

- მე, ბატონო, ნელა ვცხოვრობ და წესით გვიან უნდა მოვკვდე.

- აგე, შონიას ხალხი!

- აბა?

- აგე, აგე, ქვემოთ.

- შონიას ხალხია ვითომ?

- ფეჰ!..

- დაიწყება მაშ.

- რა უნდათ?

- ბუს კვერცხები.

- კიდო! დააყენე ენა, რომ გელაპარაკები მე შენ!

- რომ შევიკრათ და დედა ვუტიროთ?

- ვინ უნდა შეიკრას, თუ გიყვარდე! შეხედე! შემკვრელები არიან ეგენი?

- იმე!

- ორმოში ჩავარდნილისა გვითხარი რა, ძია ელიზბარო!

- გეტყვით. აბა, გაისუსენით და ყური მომაპყარით: ერთხელ პატარა რეზიკო ტყეში მიცუნცულებდა და გზად ორმოში ჩავარდა. ცდილობდა ამოსულიყო, მაგრამ ვერ ამოდიოდა და საწყალობლად ფართხალებდა. სად იყო, სად არა, ბესიამ ჩამოიარა. ბესიას თურმე ასეთი ჩვევა ჰქონდა - ყოველ ღამე ჩამოივლიდა ხოლმე, ვაითუ ვინმე ორმოშია ჩავარდნილი, ამოსვლას ლამობს და ვერ ამოდისო. იმ ღამესაც ჩამოიარა. მოდის და იძახის: აბა, ორმოში ჩავარდნილებო, მოდის ბესია, ორმოებიდან ადამიანთა დიდი ამომლალავი! რეზიკომ რომ ბესიას ხმა გაიგონა, გახარებულმა ამოსძახა, არიქა, ძია ბესიავ, ორმოებიდან ადამიანთა დიდო ამომლალავო, მიშველე რამე, ამომიყვანე ამ ღრმა და ქიხიანი ორმოდანო. ახლავეო, დაჰპირდა ბესია და ორმოში თოკი ჩაუშვა. ამ თოკს ხომ ხედავო? ჩასძახა. ვხედავო, მიუგო ჩურჩუტმა რეზიკომ. ჰოდა, ეგ თოკი ყულფად კარგად გამოსკვენ, კისერზე ჩამოიცვი და მერე მე ვიციო. რეზიკო ისე მოიქცა, როგორც ბესიამ დაარიგა; ყულფი გამოსკვნა, კისერზე ჩამოიცვა და - მზად არისო! ამოსძახა. მაშინ ბესიამ თოკი ამოზიდა და სულელიანთ რეზიკო წიალწიალით ამოიყვანა. საბრალო იგეთი იყო, ენა ბოლომდე ჰქონდა გადმოგდებული - ნიკაპამდეინ, - თვალები ბოლომდე ჰქონდა გადმოკარკლული და ხელ-ფეხსაც უკვე აღარ აფართხალებდა, მააშ!

- კაცს თუ ლაგამი არ ამოსდე. ბოროტებას ჩაიდენს, ლაგამი თუ ამოსდე, ამით ბოროტება უკვე ჩადენილია. აი ეს არის ჩარჩო და არსებითად სწორედ ამას ვგულისხმობთ, როცა ვაცხადებთ, რომ სამყარო სასრულოვანია.

- ჭიქა მოიტა, ჭიქა! ქართველი ფხიზელი არ მოკვდება!

- რამდენიც მომკვდარა!..

- რამდენიც არა!..

- არა ხარ მართალი, ჭიქის ვენაცვალე. ყველა მთვრალი იყო. ზოგი ღვინით, ზოგი სიყვარულით, მაგრამ ყველა პაგალოვნათ მთვრალი იყო.

- თეორიულ სირთულეებზე ჩვენ ნამდვილი წარმოდგენა არა გვაქვს, არწივებო. ადამიანს დიაღაც შეიძლება მიეცეს იმის უნარი, რომ, თუ ჭეშმარიტი წადილით აივსება, თავისი ცხოვრების ნებისმიერ განვლილ ეპიზოდში დაბრუნდეს, მაგრამ ვისაც ამის უნარი მიეცემა, იმის უნარი წაერთმევა, რომ თავისი ცხოვრების ისეთი ეპიზოდი იპოვოს, იქ დაბრუნების ჭეშმარიტი წადილით აივსოს. ეს გახლავთ, ქორშევარდნებო, ზეგარდმო ბალანსი.

- აუ, იქ ერთი კლიენტია, გიჟიმყრელია გვარად, აზრზე ხარ?!.

- შენ მაინც გაჩერდი თუ კაცი ხარ! კამერიუნკერი აკლია ახლა აქოურობას, მეტი არაფელი!

- მოდი აქ, შე დამპალო!

- რა ამბავი, შვილო ვამეყ?

- პაკრიშკას ხსნიდა ეს ნაბიჭვარი!

- აა!.. მაგანაც რა ქნას, მაგ ბეჩავმა!.. გაჭირდა ცხოვრება, დეფიციტი გახდა ყველაფერი. ამ ძნელბედობის ჟამს მანქანის ნაწილებს სადღა იშოვნის?! და აჰა, იპარავს!.. მდაა... ცემა არ გინდა, შვილო. აგინე ამომწურავად და გაუშვი.

- კარგი.

- ისა... შვილო ვამეყ!

- რა!

- გინებისას კი თვალებში უყურე. ასე მეტ ეფექტს მოახდენ.

- კარგი.

- კუკუ, დედამთილო!

- დაიჩოქეთ! დაიჩოქეთ დიდი საქართველოს წინაშე!

- რა შობი ახლა?

- აქედან რომ ეს ტრეილერი შევარდნილა, იქიდან ის ტრეილერი შემოვარდნილა. შუა გვირაბში შესკდომიან ერთმანეთს.

- ორი ტრეილერი კი უდრის ერთ გველეშაპს.

- აპაჰ!

- ჩემდათავად დამჩოქებლის...

- ადამიანები იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ერთ ნაწილს ჰგონია, რაც მე ვიცი, სხვამ არავინ იცისო - ესენი ოპტიმისტები არიან, მეორე ნაწილს ჰგონია, რაც მე ვიცი, ყველამ იცისო. ესენი პესიმისტები არიან.

- თოთხმეტით ცამეტი!

- კონფორმისტული გატაცებანი.

- თოთხმეტით თოთხმეტი!

- მედროვეობაზე მეოცნებე.

- თხუთმეტით თოთხმეტი!

- რელიგიური ცთუნება.

- თხუთმეტით თხუთმეტი!

- თავისუფლების მაჯლაჯუნა.

- თექვსმეტით თხუთმეტი!

- მკვლელობის უნარით დაჯილდოებული.

- თექვსმეტით თექვსმეტი.

- მოკლე წერტილი.

- ჩვიდმეტით თექვსმეტი!

- გარდასული მარადისობა.

- ჩვიდმეტით ჩვიდმეტი!

- შავგვრემანი ზანგი.

- თვრამეტით ჩვიდმეტი!

- ქველმოქმედება მაღალი ანაზღაურებით.

- თვრამეტით თვრამეტი! შემდეგი წყვილი!

- ის ბიჭი სულ ყირაზე რატომ დგას?

- ვიღაც დაინტერესებული იდიოტი თითო მანეთს აძლევს თურმე თითო მეტრის გავლაში.

- გვირაბი კი არ ყოფილა, გამოქვაბული ყოფილა.

- რას ქვია გამოქვაბული ყოფილა.

- რა ვიცი... შეიძლება შიგ შეგვლალონ თურმე და კარი ამოგვიქოლონ.

- ნეტა სისულელეს არ როშავდე!

- არაფერს არ ვროშავ! როგორც ვიყიდე, ისე ვყიდი.

- ხანდახან... ის... იცით... ზოგჯერ...

- საქართველოს ისტორია, ჩემო კეთილებო...

- შენი კეთილები სახლში გეყოლება! დამიწყებს ახლა თავიდან ლათაიებს! ისტორია! ისტორია! ისტორია არა გეოგრაფია! სადა აქვს საქართველოს ისტორია?! საქართველო სომხეთი კი არაა!

- კარგი ერთი და!.. მითხარი მაშ, ან ბოროტი ცხოველი სად გინახავს, ან ბოროტი მცენარე?! ბოროტება ცნობიერების ზედნაშენია. შეიძლება ზედნაშენი აბსოლუტური იყოს?!

- დაიჩოქეთ! დაიჩოქეთ! დაიჩოქეთ, თქვენი!..

- გამოვარდება ჩემი ისარი და შენს კაპარჭში მოადენს ტყლაშანს!

- ა კიდო!

- ტაში-ტაში-ტაში!

- იდეალიზმისა და მატერიალიზმის შეურიგებლობა მე მაგონებს ჭირვეულ ძმებს, რომელთაც სახლის აშენება სურთ, მაგრამ ვერ აუშენებიათ, ვინაიდან ერთს მხოლოდ ჭკუით უნდა ააშენოს, მეორეს კი მხოლოდ ხელით. და აი შედეგი - კიდევ ერთი ზოგადსაკაცობრიო უგუნურობა!

- მწვანეები! მწვანეები!

- იქნება ისეც ქე ვართ გვირაბში.

- რავა?

- რავა და, ეს მზე და მთვარე-თქვა, მიფიქრია ხანდიხან, ეგებო ჩვენი მოგონილია და, მასალა რო მიგვაკტება, ქე ჩაქრეს იგიც და იგიც!

- ნუ იცი, ბეჩა შენ უნეირო ლაპარიკი! არ გადარია ეს ურცხო ხალხი!

- ინდივიდებად ჯერ არ ჩამოვყალიბებულვართ და ინდივიდუალისტები კი უკვე გავხდით. ეს ხომ აბსურდია! დიაღაც აბსურდია და ჩვენ აბსურდის ხალხი ვართ. ასეთი ხალხის თანხმობა და ერთიანობა შეუძლებელია.

- ვინმემ ნახა თავისი თვალით ეს შონია? იქნება არც ჩამოსულა.

- უნახავს ვიღაცეებს. ტყეში ყოფილა ვითომ ჩასაფრებული. მაშველს ელოდებაო.

მაშ მომიზომეთ ჩემი ჰექტარნახევარი!

- თუ მიგიქცევია, ბუსუსი, ყურადღება, რა ზუსტი ზნეობრივი პარალელები გვაქვს ძველ რომთან?

- ძველი რომი დიდი იყო.

- კაცოო!.. დიდიც იყო და ღონიერიც. მაგაზე არ არის ლაპარაკი.

ლაპარაკია ზნეობრივ პარალელებზე. მაგალითად...

- ქალი არასოდეს მეორეხარისხოვანი არ არის, ჭუკლი! ვისთვისაც ქალი მეორეხარისხოვანი გახდა, იმას - არ გაუგია ჯერ, თორემ ხელები უკვე გულზე აქვს დაკრეფილი.

- ამ გვირაბს მარტო ერთი თავი ჰქონია.

- როგორ?

- შესასვლელი აქვს თურმე და გასასვლელი არა.

- მასე თუა, კი თქვა აგერ კაცმა, გამოქვაბულიაო, და მართალი ყოფილა.

- რატო ყოფილა მართალი? გამოქვაბული რა შუაშია! მე გითხარი, შესასვლელი აქვს და გასასვლელი არა-მეთქი.

- რა ქვია აბა გვირაბს, რომელსაც შესასვლელი აქვს და გასასვლელი არა?

- რა ქვია? მაინცდამაინც გამოქვაბული?

- არა?

- დაიხსომე, შვილო, ცხოვრებაში გამოგად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გება: იუმორი სხვაა და იუმორის გრძნობა სხვა.

- სიაბდლის გრძნობა რაღაა?

- ძირს შერეული ქორწინებები!

- აბა ჰე!

- ქვეყანა რომ ჩემისთანა კაცს ვერ გამოიყენებს, მამანტი ჩემო, კია ის ქვეყანა დასაღუპი.

- ალყაში ვყოფილვართ. კაცი იყო აგერ, თავისი თვალით უნახავს.

- გაგვჩხრეკენ ვითომ?

- ამდენ ხალხს რა გაჩხრეკს!

- შეიძლება შერჩევით გაგვჩხრიკონ.

- რა ნიშნით უნდა შეგვარჩიონ?

- რა ვიცი...

- არადა, პირწმინდად რომ მიგვყვნენ, დავობებულვართ აქ და ისაა!

- ქართული ლიტერატურა, საყვარელო, თავისუფალი არასოდეს ყოფილა.

- რატომ, კაცო?

- იმიტომ, საყვარელო, რომ ყოველთვის ეროვნული იდეოლოგიის ყურმოჭრილი მონა იყო.

- მოგიკვდეთ მოშურნე! ვინ გედავებათ, ძმაო, თქვენი საქმე თქვენ იცით, გინდა მაიმუნისგან იყავით წარმოშობილი და გინდა კვერნისგან! მაგრამ ჩვენ შეგვეშვით! ჩვენი გენეალოგია ღვთაებრივია. ჩვენ იქიდან მოვდივართ, ე! პირადად ჰელიოსის ნაგრამი ვართ, თუ ძალიან გაინტერესებთ, და აიეტი გვივის წინაპრად. ბიჭოს!

- გამოდი, ვალოდია, ფრჩხილებიდან!

- არ გამოდის ხომ?

- არა.

- იცით, რა არის ჩვენი მთავარი ნაკლი?

- რა?

- სი...

- სი...

- ზა...

- ზა...

- რმა...

- ცეე!!

- არ ისროლოს, კაცო!

- ღმერთი არა ის! ღმერთი მაშინ გინდა კაცს, ეშმაკი რომ ხელს აგაღებს, მაგრამ თუ წესიერად მოიქცევი ეშმაკი რატომ აგაღებს ხელს?!

- სწორია, ახლა, ბაღათერ, მაგ?

- ყველა ვერ შევა, გენაცვალე, ისტორიაში, სადაა ამდენი ადგილი!

- ე ბიჭო, აბოიმა მაინც გამოაცალეთ!

- გულზე ხელი დაიდე მურზაყან, და მაგის ჩიტი ვარ მე?

- არა, კაცო, ჩიტს რა გიგავს!

- იერიში რომ მიგვეტანა?

- კლასიკური მანკიერი წრეა: გამარჯვებისთვის აუცილებელია გაერთიანება, გაერთიანებისათვის აუცილებელია გამარჯვება. ხედავთ?

- არ ყოფილა საშველი.

- აბა რა გითხრათ...

ბევრიც რომ მიბღვირო, რა ვქნა, მე რა შემიძლია?!

- ნეტა აბოიმას რა ქვია ქართულად?

- მჭიდე.

- მჭიდე? დეედააა!..

- მაგას ნუ მეტყვით. მითხარით „შარაგზის ყაჩაღები“, „მათხოვრები“, „მონები“, „ხეპრეები“, „გაუთლელები“, მითხარით „სიბნელე“, მითხარით „ინსტინქტები“. მე ქართველი, ბატონო - ჩემი გულუბრყვილობით ალბათ - სხვა რამ მგონია. და თუ ვცდები, თუ ქართველი მართლა ეს არის და არა ის, მაშინ ჩაიბარეთ ჩემგან ქართველის სახელი და იმ პატიოსანი კაცისა არ იყოს, ეგერ რომ დაყუნცულა, მომეცით ჩემი ჰექტარნახევარი. მე გავდივარ, ბატონებო, საქართველოს შემადგენლობიდან!

- შეგირცხვა ულვაში!

- სადა აქვს ულვაში მაგ კატავენახას!

- მართლა უნდა გაუშვა მაგისთანა უმადური!

- - კი არ უნდა გაუშვა. უნდა გააპანჩურო!

- ღორი! ღორი! ღორი!

- რას გვერჩიან ამ ქართველებს ნეტა გამაგებინა! ან იქნებ ვინმეს ჰგონია ასეთი რამ მარტო საქართველოში ხდება, აჰ?! ქურდებიც მარტო ჩვენში არიან, ბოზებიც, ჩათლახებიც, მკვლელებიც, ფარისევლებიც, უნამუსოებიც, დედლებიც, გამყიდველებიც, მკრეხელებიც, დამსმენებიც, ქვეშიდან გამომსვლელებიც, გონებადაბნელებულებიც, გაპირუტყვებულებიც, ხარბებიც, წამგლეჯებიც, მონებიც, ლაქუცებიც, პირმოთნეებიც, შემძრომებიც, გამომლოკავებიც, ვირეშმაკებიც, ბაქიებიც, ლაქიებიც, გოშიებიც, გუდაფშუტებიც, ორპირებიც, სამპირებიც, მრავალპირებიც, ორგულებიც, სამგულებიც, მრავალგულებიც, ჩასაფრებულებიც, მოღალატეებიც, დაუნდობლებიც, უკეთურებიც, ქვემძრომებიც, ქვეწარმავლებიც, ნაძირალებიც, გარეწრებიც. აჰ?!. სხვებს ფრთები ასხიათ და ყოველ საღამოს ანგელოზებში დაიარებიან ყავის სასმელად, აჰ?!.

- მოიცა ერთი წამით! ყური თუ არ დამიგდე, ისე რას გაიგებ! ადამიანები არიან ხომ ეს კომუნისტები?

- ადამიანები არა!..

- ე ბიჭო, მოიცა-მეთქი! გადატანითი მნიშ-

ნელობით არ ვამბობ. ბიოლოგიურად არ არი-ან ადამიანები?! ორ-ორი ფეხი აქვთ ხომ, ორ-ორი ხელი, ლაპარაკობენ ხომ - რას ლაპარაკობენ, მაგას დავანებოთ ახლა თავი - და საერთოდ, ფსიქოლოგიურადაც ხომ ადამიანები არიან! ბოლო პერიოდს დააკვირდი: რომ დაინახეს, ვიძირებითო, ბიოგრაფიების გადაკეთება დაიწყეს და დისიდენტებად და ნაციონალისტებად გადაიქცნენ, ამაზე მეტი ადამიანობა რა გინდა?.. დამიგდე ახლა ყური, რას გეუბნები: ადამიანს დროის შეჩერება არ შეუძლია. ადამიანს შეუძლია ადამიანის შეფერხება, მაგრამ დროს ვერ შეაჩერებს. გამიგე? წარმოიდგინე, რომ დრო არის მატარებელი და მიქრის. კომუნისტები ამ მატარებლის ერთ ვაგონში შეიყარნენ და იქ ფართიფურთობდნენ. რა იფართიფურთეს? რა და, ვინც ამ ვაგონში მგზავრები ვიყავით, მიგვაწვნენ და ვაგონის ბოლოში მიგვხვეტეს. მორჩა. მეტი მაგათ არაფერი შეეძლოთ. ესე იგი, რა გამოვიდა? ათი-თხუთმეტი მეტრი - პირობითად დაგვაკარგვინეს. დაგვახვეინეს უკან ათი თხუთმეტი მეტრი. მაგრამ მატარებელი ხომ ამასობაში მიქროდა და არ გაჩერებულა! რა მანძილი გაიარა? აი, ამაშია საქმე! მაშასადამე კომუნისტების წყალობით ჩვენი ჩამორჩენა შეფარდებითი და შედარებითია. გამიგე? ამიტომ, თუ აბსოლუტური ჩამორჩენა და ადგილზე გაყინვა მოხდა, ეს კომუნისტების ბრალი აღარაა, ბაბა. ჩვენ თუ მიხვეტას არ დავჯერდით და ჩვენი ნებით უკანა ვაგონში გადავედით, ამის პასუხს კომუნისტებს ნუ მოვთხოვთ, ჩვენ თავს მოვთხოვოთ. ჩვენ ვისარგებლეთ კომუნისტების სიგლახით და ჩვენი სიგლახე ავუშვით იმის იმედით, რომ ესეც კომუნისტებს დაბრალდებოდა. გამიგე?

- კაცობრიობის მანქანას დრო მართავს, მაგრამ რად გინდა: მთვრალი უზის მაგ გაფუჭებული საჭეს.

- რაც უნდა მტანჯონ, მაწვალოონ...

- მაწვალოონ...

- სანამ სამოცის გახდები, ქანცის გაწყვეტამდე უნდა იმუშაო, ხელისგულები გადაიტყავო, იწვალო, ოფლი ღვარო, ტვინი იჭყლიტო, თავი იმტვრიო, რომ მერე, სანამ ოთხმოცის გახდები და სული ამოგძვრება - თუ მანამ არ ამოგძვრა - ცოტა დაწყნარებულად იცხოვრო. ეს არის სულ ჩვენი არსებობა. მიზეზიც, მიზანიც, დანიშნულებაც, ალფაც და ომეგაც. მითხარით ახლა, ღმერთი რომ ამას დამანათლებს, ის ღმერთი როგორ ვიწამო?

- თავისუფლებისაკენ სწრაფვა, ქალბატონებო და ბატონებო, სქემატურად რომ წარმოვიდგინოთ, ორგვარია: ემოციური და რაციონალური. პირველი ცხოველის ბუნებაა, მეორე ადამიანის. ქართველების დღევანდელი დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისაკენ წმინდა ემოციური სწრაფვა გახლავთ.

- ჩამოაგდეთ ძირს, მაგის!..

- ყიამყრალი!

- წურბელა!

- მძორი!

- ნეხვი!

- რამდენი კაცი იქნება ახლა აქ. ამ ხალხში იმისთანა, ქურდი რომ არ იყოს?

- ბავშვებიანად?

- არა, ბავშვების გარდა. ბავშვები ჯერ არ ითვლება.

- ბავშვების გარდა... რა ვიცი... ცოტა ალბათ.

- რაიო, რაიო?

- რამდენი კაცი იქნება ამ ხალხში იმისთანა, ქურდი რომ არ იყოსო.

- მაგ არ ვიცი, მარა ის კი ვიცი, რომ სიჩქარე ჩართული გვაქვს და ზადნით შევდივართ შუასაუკუნეებში.

- მორჩა. ნამდვილად ალყაში ვართ.

- არაა...

- არა? მარჯვნივ შონიას ხალხი დგას. მარცხნივ შონიას ხალხი დგას, უკან შონიას ხალხი დგას და წინ ამოქოლილი გვირაბია. შენ თუ სხვა რამეს ეძახი ალყას, არ ვიცი...

- მაინც რა სიკვდილი უნდათ?!

- ჩეიგდე ენა მუცელში, კაცო! არ იქნა ამის გაჩერება!

- მე ვიცი, რაც უნდათ. - რა? გიჟები გამოპარვიათ თურმე ფსიქიატრიულიდან და იმათ ეძებენ.

- აქ გიჟი როგორ უნდა გამოიცნო!

- გიჟები არა!.. განზრახ გაავრცელეს ხმა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს ეძებენ.

- რამ გაყო...

- რაო?!

- რაო, რაო?!

- რაო, რაო, რაო?! რამ გაყო!

- აი, რამ გაყო!

- აი, თუ რამ გაყო!

- აი, თუ არ გაყო!

- რას შვრებით! ყველა ერთად ნუ დაესევით!

- არ მოკლან, კაცო!

- დააჭიროს ენას კბილი და არ მოკლავენ!

- სად არის სამართალი! არა, სად არის, გეკითხებით მე თქვენ, სამართალი?!

- ნუ მეხახუნებით თუ შეიძლება!

- რელიგიას და კანონს მანამ შეუძლია მართოს საზოგადოება, სანამ გზა სწორია და იოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სავალი. როგორც კი აღმართ-დაღმართი დაიწყება, ოღროჩოღროები და მკვეთრი მოსახვევები, უცებ აღმოჩნდება, რომ ჩვენი ღმერთიცა და ჩვენი მეუეც ინსტინქტი ყოფილა. საზოგადოება იმ პატიოსან კაცს ჰგავს, რომელიც პატიოსანია მხოლოდ პირველ მოშიებამდე.

- რაო, რაო, რა მომხდარა?
- მთავრობის ლოჟა ჩამონგრეულა.
- სად, კაცო?
- გვირაბში.
- რა უნდა გვირაბში მთავრობის ლოჟას!
- რა ვიცი, მეც მიკვირდა...
- არ ყოფილა შონია.
- აბა?
- კვაშალი ყოფილა.
- არ გადამრიო!
- რა განსხვავებაა?
- ბიჭო! შონია სიძეა, კვაშალი ცოლისძმა. არაა ეს განსხვავება?!.
- ნულიდან უნდა დავიწყოთ. სხვა გამოსავალი ჩვენ არა გვაქვს.
- ეტყობა დღესაც მაგნიტური დღეა.
- ადამიანი რომ მონა იყოს, აუცილებელი არ არის ბატონი ჰყავდეს.
- არა?
- არა. სრულიად საკმარისია მონის ფსიქიკა ჰქონდეს.
- შენ ვისიღ ტიკი-ტომარა ხარ, ძმისავ?
- გესმის?
- როგორ არ მესმის, მკვდარი კი არა ვარ!
- ავტომატია?
- ტყვიამფრქვევია. მაქსიმკა.
- მაქსიმკა? სად ამოთხარეს ნეტა?
- არ ვიცი. მგონი ილია მურომეცის სამარხში უპოვიათ.
- ღმერთო, გვიშველე!
- გათენებულააა, გამიშვიიი...
- გაიგე, რა ნანდომარა შონიას?
- კვაშალს.
- კვაშალი იყოს.
- რა?
- გიჟებს გამოკიდებია თურმე. რვა ცალი გამოქცევია გუშინ.
- მაგ შონია - გინდა კვაშალი - თვითონაა ყველაზე მეტი გიჟი.
- ეს დღეს წერას ყავს ატანილი!
- ნამდვილი გიჟები არ ყოფილანო. პოლიტიკურები არიან თურმე და ისე ყავდათ - ქე რო იციან - საგიჟეთში.
- სადაა აქ საგიჟეთი?
- საგიჟეთი სადაა?.. ციდან ხომ არ ჩამოფრენილხარ?!
- შორეულ ალბიონზე წელიწადში ორასი დღე წვიმიანია, სამასი ღრუბლიანი. ამოცანა გვეკითხება: სულ რამდენი დღეა წელიწადში შორეულ ალბიონზე?
- ქვეშმიწერით შეიძლება?
- რა შობი, კაცო?!
- არა, დედა, არა ჩემი ბიჭი!
- წამო, რა გაჩვენო!
- თუ გლეწე ღრანჭში!..
- დავასხი მაგისთანა კაცს ლაფი!
- მე ვარ და ჩემი ნაბადი! ბანი, ვალიკო!
- არ არის ეს რიკოთი.
- აჰ?
- რიკოთი არ არის ეს.
- რა არის აბა?
- რიკოთი უკან დაგვრჩა, ზევით.
- უკან თუ დაგვრჩა, ზევით არ გამოდის.
- რატომ?
- მიიხედე უკან. „ზევითაა“ ის, რაც ჩანს, თუ „ქვევით“?
- ზევითაა.
- ვაი!
- კი. კაი თორმეტი-ცამეტი კილომეტრით ვართ რიკოთს გამოცდენილი. ეს რიკოთი არ არის.
- აურია მგონი ამ უბედურმა.
- ძირს სატანური იმპერია!
- ვაშააა!
- მოეშვით. გაგიჟება აკლია მაგას?!
- ხელი რომ გთხოვოთ?..
- რავა, სპიჩკა იშოვე უკვე, კუჭუჭი?
- ალო! ალო! ყველა ძველი რელიგია ანტიკომპიუტერულია. მაშასადამე, ახალი კომპიუტერული უნდა იყოს. ალო!
- რა იქნა შონია?
- შეძვრა ბებიამისის იმაში.
- გვირაბში.
- ნუ წაიგდეთ ენა. არ გაგიგოთ.
- შონია არ ყოფილა და რას გაგვიგებს!
- ვინცაა, ის ხომ გაგიგებს!
- ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო, ჩემო კარის მეზობელოო...
- რას მიპარჭყავ მა ხელებს!!!!
- აუუ! ეს რა ხმა ამოუშვა, კაცო!
- ზოგჯერ... იცით...
- გამოვარდება ჩემი ისარი...
- ვინაა ბოლოს და ბოლოს ეს შონია?
- კვაშალი.
- გამოდი, ვალოდია, ფრჩხილებიდან, კაცი-შვილი არაა, ნუ გეშინია!
- არ გამოდის ხომ?
- არა.

ამიხსენით ვინმემ, მატერია მოძრაობს დროში თუ დრო მოძრაობს მატერიაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა



- ტაში-ტაში-ტაში!
- სად არის-მეთქი თქვენი სამართალი, სანამ უნდა ერქვას მეთორმეტეს მეათე?!
- აბა ჭეშმარიტება! აბა ქორფა ჭეშმარიტება! აბა ტკიცინა ჭეშმარიტება!
- შონიააა!!
- კვაშალიიი!!
- მგონი კოლექტიურად ავურიეთ.
- აგე! დააკაკუნეს ისევ!
- ხელებს უშნოთ ნუ აფათურებ,. ქალო!.. არ გამიიმასქნა საქმე!
- ახალი გვირაბი გავთხაროთ.
- მოიცა თუ ძმა ხარ, რა დროს მასხრობაა!
- არ ვმასხრობ, მართლა გავთხაროთ.
- ჩადის ეს მზე თუ რა ხდება?
- ჩადის მგონი.
- ცოტა ხომ არ იჩქარა?
- რა ვიცი...
- წავიღეს მაგის ეგოცა და ალტერ ეგოც!
- ეს არ არის რიკოთი.
- ჰექტარნახევარზე მეტს ხომ არ ვითხოვ! რა არის აქ უკანონო და შეურაცხმყოფელი!
- შონია, შონია, კაცობა არ გქონია!..
- ტაში!.. ტაში-ტაში-ტაში!
- ისა... ხანდახან..

მართლა შეუგინეს რეზიკოს სალოცავი?
- იიიო!..
- ოღონდ იცოდეთ: ორივე სიმბოლოა. ისარიც და კაპარჭიც.
- მეთორმეტეს მეათე ქვია და ესაა თურმე ამათი სამართალი!
- ველარ გავიგე, მიდიან ეს კომუნისტები თუ მოდიან?
- ხან მიდიან, ხან მოდიან.
- დედა, რატო არ მოვკვდები! დემეტრე!!!

*მამიდები. კაი ყმა და ამამათ ლომგული. წუმწუმა ხომ არ გექნებათ?..*

ამასობაში დაღამდა კიდეც. სანამ დაღამდებოდა, სამი ბიჭი მოვიდა, რომელთაც შავი ფერის უცხო რამ უნიფორმა ეცვათ. მოვიდნენ, თან გასაღები მოიტანეს და გვანცა-ირაკლის მანქანა გააღეს. მე ამ დროს ერთ ღიპიან მოქალაქეს ვესაუბრებოდი, კერძოდ, ვცდილობდი მაქსიმალურად გასაგები ენით ამეხსნა რელიგიურობის გრძნობის, როგორც ადამიანადქცევის ერთი უმთავრესი პრინციპის, არსი. ამიტომ, რომ არა სალომე, ყმაწვილების შემოსევა შეიძლება ვერც კი შემემჩნია. როდესაც მივბრუნდი, კარი უკვე გაღებული ჰქონდათ.

- რას შერებით, ბიჭებო? - უფრო დაინტერესებული. ვიდრე მკაცრი კილოთი ვიკითხე მე.

- რასაც ვშვრებით, - აგდებულად მიპასუხა ერთმა, ისე, რომ ჩემკენ არც მოუხედავს.

- რა გესაქმებათ სხვის მანქანასთან! - ახლა კი მეტი სიმკაცრე შევურიე ხმაში.

- ნუ პანიკიორობ რა! - გაბეზრებული კაცის კილოთი მიპასუხა ისევ იმან.

- ჩვენთვის არ არის სხვისი, - ჩაერია ამ დროს მეორე, - სხვისი შენთვისაა და ნუ ერევი სხვის საქმეში.

თუ ზრდილობიან თავმოყვარეობას და სხვა ამდაგვარ ცრუ კატეგორიებს არ გამოვეკიდებით, შენიშვნა სავსებით მართებული იყო, მით უფრო, რომ ყმაწვილები დაუფარავად და დაჯერებულად საქმიანობდნენ, რაც ან მაღალ პროფესიონალიზმს მიანიშნებდა - მაგრამ მაღალი პროფესიონალიზმისათვის ძალზე მცირეწლოვანები ჩანდნენ - ან იმას, რომ დასამალი მართლა არაფერი ჰქონდათ. მიუხედავად ამისა ეჭვი მაინც არ მშორდებოდა (ამის მიზეზს ეტყობა მათი უნიფორმა და, საერთოდ, გარეგნობა იძლეოდა, რომელიც კანონიერებას როგორღაც არ ესადაგებოდა).

- თვითონ სად არის? - ვიკითხე მცირე პაუზის შემდეგ. სახელი არ მითქვამს, რაც ჩემი მზაკვრული ტაქტიკა იყო.

- ვინ? - არ წამოეგენ ანკესზე მამაძაღლები და მეც სხვა არა დამრჩენოდა რა გარდა იმისა, რომ უკანასკნელ კოზირს ჩამოვსულიყავი.

- გურამი.

ამაზე ის პირველი, რომელიც საგანგებოდ და ერთგვარი კმაყოფილებით უსვამდა ხაზს თავის უტიფრობას, ჩემკენ მოტრიალდა, დოინჯი შემოიყარა, თვალი გამისწორა და მითხრა:

- ზემოთ არის, ჩვენთან. ოღონდ გურამი არ ქვია, ირაკლი ქვია. გვანცას კიდევ თინიკო არ ქვია, გვანცა ქვია.

რაღა მეთქმოდა! საბოლოოდ მადლობელიც კი დავრჩი, ვინაიდან მათი წყალობით ღიპიანი კაციც მოვიშორე (მე რომ უნიფორმიანი ბიჭებისკენ წამოვედი, ის სწრაფად გატრიალდა უკან და თავის მანქანაში ჩაიკეტა) და იმ ტანჯვას გადავრჩი, რასაც - სხვისი არ ვიცი და - მე ყოველთვის განვიცდი, როცა რთული აზრების მარტივად ჩამოყალიბებას ვცდილობ...მერე კი, როგორც მოგახსენეთ, დაღამდა. დაღამდა - სავსებით ვეთანხმები იმათ, ვინც ამას ჩემამდეც ამტკიცებდა - ცოტა ნაადრევად. კერძოდ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მზე რაღაცაზე გაგვინაწყენდა და თავის ჟამს აღარ დაელოდა.

ღამემ სიჩუმე მოიტანა, რომელიც, უსიამო მოლოდინის თხელ ქრუანტელში ამოვლებული, ფერდობს შიშისა და ხიფათის მსუბუქ საბურვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლად გადაეფარა. ხალხი ნელ-ნელა ჩურჩულზე გადავიდა. ჩურჩულს იდუმალების - უარყოფითი ნიშნით დამუხტული იდუმალების - ცივი სუნი ასდიოდა. თვითმოქმედი ფანტაზიის რომელიღაც დანაყოფზე რიკოთი დედამიწას მოსწყდა და სადღაც, შორეულ სამყაროში აღმოჩნდა, როგორც კუნძული, რომელსაც ირგვლივ სიცარიელის ვეება ოკეანე ერტყა.

უმზეოდ დარჩენილი ღრუბლები სწრაფად გაცივდნენ და წელიწადის ამ დროისათვის უჩვეულო სიცხე ერთბაშად ასევე უჩვეულო სიცივემ შეცვალა.

სალომემ ისევ ჩაიცვა პალტო, მაგრამ ახლა ეს საკმარისი აღარ აღმოჩნდა.

- მგონი თავიდან იწყება ზამთარი, - თქვა და ხელის ზურგების სრესას მოჰყვა.

- დაიმატეთ რამე. თუ არა გაქვთ, მე მოგცემთ.

- მაქვს.

მთვარე ბჟუტავდა.

სალომე მანქანაში შევიდა, რამდენიმე წუთი დაჰყო იქ და გამოვიდა. პალტოს ქვეშ ახლა თბილი, ყელიანი ჯემპერი მოუჩანდა და მე უცებ მომაგონდა, რომ კამბეჩასა და სანდრას შეხედულება თუ არ ცრუობდნენ - რაღაც კუთხით პროფილაქტორიუმის ბანჯგვლიანი ჯეელის - შეიძლება გახსოვთ - შეხედულებას ეხმიანებოდა.

სალომესთვის ეს დაკვირვება არ გამიზიარებია.

- გათბით? - ვკითხე ზემოხსენებული დაკვირვების ნაცვლად.

- დიახ, - მიპასუხა და დასძინა, - ნამცხვარი არ გინდათ?

- გმადლობთ, ჯერ არა.

- მამიდებისა არ მოგერიდოთ.

- არ მომერიდება. თუკი დავითს იელოვასი არ მოერიდა... თანაც დარწმუნებული ვარ, მამიდების კაცთმოყვარეობა უფრო გულწრფელი იქნება, ვიდრე იელოვას მეპურეთუხუცესისა, რომლის სახელი არ მახსოვს. მამიდები ალბათ, არც დაგვაყვედრიან და არც მძიმე-მძიმე პირობებს წამოგვიყენებენ.

აქ სალომემ მოულოდნელად თქვა:

- მამიდა ნატო ულამაზესი ქალი იყო.

- მართლა?

- სიბერემაც კი ვერაფერი დააკლო.

- რატომ არ გათხოვდა?

- ბანალური მიზეზით: საქმრომ უღალატა.

მიზეზი თითქმის ყოველთვის ბანალურია.

- თვითონ ღალატის მიზეზი არ ყოფილა მთლად ბანალური.

აბა როგორი იყო?

- მმმ... იდეოლოგიური.

- იდეოლოგიური?

- დიახ. საქმრომ იგი იდეოლოგიაში გაცვალა და არა სხვა ქალში. ახლა ეს შესაძლებელია სასაცილო ჩანს, მაგრამ, როგორც მამიდებისგან გამიგონია, იმ კაცს - საქმროს - მამიდა ნატო ძალიან ყვარებია და ძალიანაც გაძნელებია ამ ნაბიჯის გადადგმა. ბოლოს და ბოლოს, მისთვის ხომ ყოველივე ეს კიდევ უფრო მტკივნეული უნდა ყოფილიყო, რადგან ამის შემდეგ გამუდმებით სირცხვილსა და სინანულში უნდა ეცხოვრა.

- მოკვდა?

- არა მგონია. რომ მომკვდარიყო, გავიგებდი.

- არჩევანი რაში მდგომარეობდა?

- პაპაჩემი ოცდაჩვიდმეტში დახვრიტეს. იმ კაცს კი თურმე დამხვრეტთა იდეოლოგია სწამდა და იდეოლოგიის ღალატს მამიდა ნატოს ღალატი არჩია.

- და მამიდა ნატო ამის გამო აღარ გათხოვდა?

- არც ერთი აღარ გათხოვდა.

- არც ერთი... დანარჩენებიც იმავე მიზეზით?

- დიახ.

მე სახტად დავრჩი.

- ნუთუ სოლიდარობას ასეთ კატასტროფულ სიმაღლეს შეუძლია მიაღწიოს?

- მე უფრო იმედგაცრუების ბრალი მგონია. კარგი კაცი რომ ცუდ საქციელს ჩაიდენს, ადამიანი ამას ძნელად ეგუება. ის კაცი კი კარგი კაცი ყოფილა. მამიდა ნატოსგანაც და დანარჩენი მამიდებისგანაც ქება ხშირად მსმენია მისი, აუგი არასოდეს. მხოლოდ ებრალებოდათ. ებრალებოდათ, როგორც გზააბნეული მგზავრი, და მიაჩნდათ, რომ მისი ხვედრი უფრო მძიმე უნდა ყოფილიყო, ვიდრე მამიდა ნატოსი.

- და არ გათხოვდნენ...

- არ გათხოვდნენ. ვიცი, ძნელია ასეთი საქციელის გამართლება. მაგრამ მე არც გამტყუნება შემიძლია. თანაც იმ დროს, ვინ იცის, ხალხი საერთოდაც უფრო გრძნობიერი იყო, უფრო რომანტიკული და რა ვიცი, უფრო სხვანაირი... ნამცხვარი როცა მოგინდეთ, მითხარით.

- გეტყვით.

რიკოთზე ჩუმი და ნაცრისფერი ღამე იწვა. მთვარეს ჭვარტლი მოსდებოდა. და ისე ვერ ანათებდა, როგორც ეწადა. და ირგვლივ რამე მაინც ჩანდა, ჩანდა როგორც ჩრდილი, ჩრდილი გატრუნული და ხიფათის მომლოდინე.

სალომე დაიღალა და მანქანაში ჩაჯდა. და თუმც კარი ღია დატოვა, მარტო დარჩენილს წამით ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურგჩანთა მოვიხსენი და შემსუბუქებულმა მხნედ ვუყელე რაღაცას, რაც მოწინააღმდეგის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ეს, რაღა თქმა უნდა, სისულელე იყო, მაგრამ სისულელე ნორმის ფარგლებში, ეფემერული სისულელე, რომელიც ჩვეულებრივ კვალს არ ტოვებს. არე-მიდამოს ისევ ისე შიშის თხელი საბანი ეფარა და საბანქვეშ დაძაბული, გატრუნული და დაყურადებული სიჩუმე იწვა. მეც, თავისთავად ცხადია, საბანქვეშ ვიყავი, რის გამოც ახლა გაცილებით უფრო ნამდვილი და რეალური ჩანდა ფანტასტიკური ვარაუდი იმის შესახებ, რომ რომელიღაც რეპტილია, რომელიღაც ამფიბია, რომელიღაც მუხლუხო ფერდობზე ამოცოცებულიყო და ვიწრო გვირაბში გაძრომას ლამობდა, და მე ამ ორგანიზმის შემადგენელი ნაწილი ვიყავი, არა აუცილებელი. მაგრამ განუყოფელი, უჯრედი რამ, ან მოლეკულა. უფრო ალბათ ატომი, პაწაწკინტელა ატომი, რომელსაც ორბიტაზე ელექტრონი დააკლდა და, ნაკლული ელექტრონის ადგილას რომ გაქცევის იმპულსი არ აღმოცენებულიყო, ატომთმშენებელმა გამოთავისუფლებულ ორბიტაზე ვინმე სალომე ერისთავი გაამწესა, რითაც ამბოხის მოსალოდნელ ნაპერწკალს მოვალეობის იმპულსთა ნაკადი მიუშვა. კაცმა რომ თქვას, ეს ზედმეტი სიფრთხილე იყო: დედა ორგანიზმს მტკიცე გარსი ჰქონდა შემოკრული შონიას სახით, როგორც ტუსაღს ციხის კედლები, გნებავთ, როგორც ბრილიანტის თვალს ოქროს ბეჭედი; გარსიც რომ არ ჰქონოდა, მაინც ვერ გავექცეოდი, ვერც მე გავექცეოდი და ვერც სხვა, ვინც ჩემზე უფრო ფეხმარდია. მაგრამ დედა ორგანიზმს ყოველი შემთხვევისათვის გარსი ჰქონდა შემოკრული, რომელიც თავისუფლების ჭლექიან სხივებს საიმედოდ ისხლეტდა.

არა, გაქცევა იმთავითვე გამორიცხული იყო სიტყვა „იმთავითვეს" ისეთი მნიშვნელობით, რომლის სათავე რეალური დროის მიღმაა. შემადგენელი ნაწილი კავშირია და მხოლოდ კავშირთა ერთობლიობაა არსი. კავშირი კი ვერსად გაიქცევა. კავშირის გაქცევა შეუძლებელია.

მე მანქანის წინა ბამპერზე ვიჯექი და ფიქრებმა, რომლებიც ერთხანს უკონტროლოდ და უთავბოლოდ დახტოდნენ საგნიდან საგანზე, ბოლოს სალომეს მამიდების ირგვლივ მოიყარეს თავი.

როდესაც სალომეს მამიდებმა ჯანსაღ ცხოვრებაზე უარი თქვეს და ჰერმეტულ გამოქვაბულში ჩაიკეტნენ, ნეტა ეს მათს ნებას უნდა მიეწეროს, თუ იმ კაცის ნებას, რომელმაც სიყვარული და ანგარება - სალომეს განმარტებით იდეოლოგია - შესაშური გულმოდგინებით აწონა, ზუსტად დაიანგარიშა დებიტი და კრედიტი, ფხიზელი დასკვნა გამოიტანა და ახალგაზრდობაშივე გააკეთა ის არჩევანი, რასაც უმრავლესობა მთელი სიცოცხლე ეთამაშება? ერთი შეხედვით მამიდების საქციელი ნებაყოფლობითი ჩანდა. მართლაცდა, თუ მამიდა ნატო სიყვარულის ეპიცენტრში იმყოფებოდა და მისი გადაწყვეტილება შეიძლება წვის ტემპერატურით აიხსნას, ამას ვერ ვიტყვით შესახებ დანარჩენ მამიდათა, რომლებიც გარედან ადევნებდნენ თვალს კოცონის ტკაცა-ტკუცს და მხოლოდ მამიდა ნატოს პრიზმაში გარდატეხილი და არეკლილი სხივები წვდებოდათ, რაც იმის მეათედ ნათებასაც კი ვერ ქმნის, პირდაპირი სხივები რომ ქმნიან, წვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დიახ, თითქოს ერთი შეხედვით ასეა. მაგრამ რამდენად შეგვიძლია ვენდოთ ერთი შეხედვით მიღებულ ცოდნას? ერთი შეხედვით ხომ დამაჯერებლად მხოლოდ ის ჩანს, რაც ზედაპირზე დევს? ზედაპირზე კი ცოტა რამ დევს. ჩვენი მიწიერი ცხოვრება დაწყვეტილი კრიალოსანია, რომლის თვლები - ამქვეყნიურ იმპულსთა ჩუმი მოტივები - მიწის, წყლისა და სხვა ელემენტთა სიღრმეებშია მიმობნეული და მათ აღმოსაჩენად ერთი შეხედვა არ კმარა. ერთი შეხედვა ადვილი შესაძლებელია ილუზია გამოდგეს.

ისე არ გამიგოთ, თითქოს მამიდების გადაწყვეტილების ნებაყოფლობა ეჭქვეშ დამეყენებინოს სრულიადაც არა. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ იქ, სადაც სურათი ნათელი არ არის, ყველაზე ნაყოფიერი ძალა ეჭვია, რომელიც დროსა და სივრცის მეძებარი ძაღლივით უნდა ყნოსავდეს და დაუზარებლად ეძებდეს ჭეშმარიტების კვალს (და საერთოდ, ეჭვი ისეთი საჭირო თანამგზავრია, ისეთი ერთგული მეგობარი, ისეთი საიმედო გიდი, ისეთი მრავალპლანიანი საცეცები აქვს და ისე ყვითლად ანათებს ჩაბნელებულ ხვრელებს, რომ დარწმუნებული ვარ, მისი ქანდაკება - ვთქვათ, ათასთვალიანი ფიგურა ჩირაღდნის ფორმის თორმეტი რქით - ყოველი დემოკრატიული ქალაქის მთავარ მოედანს დაამშვენებდა). მამიდების გადაწყვეტილება კი ნებაუნებურობის თვალსაზრისით მით უფრო სათუო იყო, რომ მე არავითარი წარმოდგენა არ მქონდა იმ კაცზე, ვინც ეგზომ გაბედულად, შეუშვირა ქედი უმძიმეს პასუხისმგებლობას.

აქ მე, ცნობისწადილით შეპყრობილი, მთელი არსებით ჩავუღრმავდი ამ კაცის ხატს.

ასე და ამგვარად, როგორი უნდა იყოს კაცი, ვისაც ძალუძს საკუთარ თავზეც ამაღლდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა



თანამოძმეებზეც, გარემოებებზეც, მატერიაზეც და იდეის იმდაგვარ სიმაღლეს მიაღწიოს, საიდანაც მშვიდად შეიძლება ოთხ ქალს ერთდროულად გადაუჭრას სიცოცხლის ძარღვი? მშვიდად? შესაძლოა არც ისე მშვიდად, მაგრამ მთავარია, რომ შესაძლოა...

მაშ როგორი უნდა ყოფილიყო ეს კაცი?

თავიდან ამოცანა იოლი მეჩვენა, ვინაიდან მცონარა და ცრუპენტელა გონებამ გატკეპნილი გზით წამიყვანა, რომელზედაც, ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე, კლასიკურ ურჩხულს გადავეყარე, წმინდა, სწორხაზოვან, შიშველ ბოროტებას, რომელსაც პათოლოგიურ სხეულში პათოლოგიური სული ედგა და საკუთარი „მე“-ს გარდა არაფერი გააჩნდა ისეთი, რომ არსებობის საყრდენად გამოდგომოდა. საბედნიეროდ გაიძვერა გონებას მალე გავუგე მზაკვრობა და რა დავინახე, ჩემი ფანტაზიის მიერ შექმნილი არსება მითოლოგიურ სამყაროს განეკუთვნება და არა ადამიანურს, ძიება სხვა მხრით წარვმართე. ვიფიქრე, ბოლოს და ბოლოს ხომ შეიძლება სალომე მართალს ამბობს, საქმე შაბლონთან გვაქვს და შაბლონის უკან ტრაგედია დგას-მეთქი. ოღონდ ფანტაზია ამჯერად მთლად არ მიმიშვია ნებას. კერძოდ, სალომეს ვარაუდი, ვითომც ის კაცი ამ ტრაგედიის გამო მუდმივ სირცხვილსა და სინანულში იცხოვრებდა და სიკვდილი სანატრელი ექნებოდა, მამიდების რომანტიკულ გავლენას მივაწერე და არ დამიჯერებია. მართლაც, მცირე ფიქრის შემდეგ წელანდელი უსულგულო ურჩხულის ნაცვლად გონების თვალწინ წარმომიდგა საწყალობელი ვინმე თანამოძმე ჩემი, რომელმაც დიდი შინაგანი ომი გადაიტანა, ურიცხვი ღამე თეთრად გაათენა, ოთხჯერ თუ ხუთჯერ თავის მოკვლაზეც იფიქრა (ერთხელ საშუალო ძალის მცდელობაც კი ჰქონდა, რომელიც მშვიდობით დამთავრდა), მრავლის უმრავლესჯერ თავი ისე შეეზიზღა, რომ ამ ზიზღის შუქზე სახარების ცნობილი დებულება „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ - მწარე ირონიად იქცა, და ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, არჩევანი გააკეთა, თუმც ამის შემდეგაც სამი კვირა მაინც კიდევ ლოგინად იყო ჩავარდნილი. როგორც კი ამ ხატს მეტ-ნაკლებად რეალური (მხატვრულად რეალური. ცხადია) კონტურები შემოვავლე, ფიქრების სიღრმიდან ახლა სხვა ხატი წამოვიდა და ზედაპირზე ამოტივტივდა. ამჯერად ეს იყო კაცი, რომელიც იარაღით აიძულეს საყვარელი ადამიანი მიეტოვებინა. ამ ხატმა კიდევ სხვა ხატი წამოიყოლა, იმან კიდევ სხვა და მალე ფანტაზიის შრომისმოყვარე ფუტკარი, თითქოს დოლის ხმა შემოესმაო, ყოველი მხრიდან შემომესია და წამოვიდა და წამოვიდა ნაირ-ნაირი ხატები, პორტრეტები, სახეები, ვარიანტები, შესაძლებლობები, ხედვის კუთხეები, ნიუანსები... კიდევ ცოტა და საბოლოოდ დავიბენი, ვინაიდან ყველაფერი, რისი შექმნაც კი შევძელი, ერთმანეთში აირია და ჩაიხლართა. აირია, ჩაიხლართა, დაიფარა, წაიშალა, გაზავდა, აისხლიტა, გაბათილდა. და როცა საბოლოოდ დავიბენი, სალომეს გავძახე:

- სალომე!

- გინდათ ნამცხვარი? - გამომეპასუხა სალომე.

- ნამცხვარი?.. არა. ესე იგი, კი. უფრო სწორად კი, მაგრამ ჯერ არა. ერთი სიტყვით, ვიდრე ნამცხვარზე გადავიდოდე - გადასვლით კი სიამოვნებით გადავალ - ერთი რამ მინდა გავარკვიო.

- რა?

- იმ კაცის ვინაობა და ასავალ-დასავალი. სახელი, გვარი, მისამართი.

- რომელი კაცის?

- რომელმაც მამიდა ნატო უარყო და პროლეტარიატის დიქტატურას შეერთო.

ამას მცირე სიჩუმე მოჰყვა; მერე სალომე მანქანიდან გადმოვიდა.

- რად გინდათ?

- ბოლო ხანებში ადამიანოლოგიითა ვარ გატაცებული, ასეთი არაორდინალური კაცისაგან კი, იმედი მაქვს, თუ შევიტყე, ისეთებს შევიტყობ, ფსიქოანალიტიკოსები სახტად დარჩებიან.

- რომ არ ვიცი...

- არ იცით? რატომ?

- ისიც არ ვიცი, რატომ არ ვიცი: ან მე არ დავინტერესებულვარ, ან მამიდები განგებ მალავენ.

- განგებ თუ მალავენ, ძნელი იქნება გაგება.

- გააჩნია ვისთვის. მე თუ მოვიწადინე, ვერ დამიმალავენ.

- მერედა მოიწადინებთ?

- არ ვიცი. თუ ძალიან ეძნელებათ გამხელა, გულს ვერ ვატკენ. მაგრამ... ასე რით დაგაინტერესათ იმ კაცმა?

- გამორიცხული არ არის, რომ მან გილგამეშზე უფრო ღრმად ჩაიხედა სიბნელეში.. და, ვინ იცის, რა დაინახა! ყოველ შემთხვევაში, მე ჯერ არ შევხვედრივარ ადამიანს, რომელსაც ოთხი ქალი ერთდროულად დაეტოვებინოს გაუთხოვარი. მაშ, დამეხმარებით?

- შეპირებით ვერ შეგპირდებით, მაგრამ ვეცდები. და თუ გაგიგეთ, როგორ გაგაგებინოთ?

– დაგირეკავთ. ან შემოგივლით... ტელეფონის ნომერსაც დაგიწერთ. ერთი სიტყვით, თუ ძნელი არ იქნება...

– აი ამ დროს - თუმც ჯერ კიდევ შორიდან – მოისმა:

– ჯაკომო!

მე ყურები ვცქვიტე

– გაიგონეთ?

– კი.

– ეს აზამათ ლომგულის ყრონტისმიერი ტენორი იყო.

– ვისი?

– აზამათ ლომგულის. თუ გუმანი არ მატყუებს, პირისსანახავი უნდა მოჰქონდეს.

– რა პირისსანახავი?

– როგორ გითხრათ... კამბეჩამ და სანდრამ რომ დაგინახეს... გახსოვთ კამბეჩა და სანდრა? აი, ის ადამიანისმაგვარები, ერთი რომ მაჩვს მიამსგავსეთ და მეორე დათვს...

– მე არავინ არაფრისთვის მიმიმსგავსებია.

– შეიძლება, მაგრამ არც უარგიყვიათ, ერთი სიტყვით, კამბეჩამ და სანდრამ რომ დაგინახეს... იცით, ზოგს ტვინში უჯრედები უსწორმასწოროდა აქვს განლაგებული - ცრუ დასკვნა გამოიტანეს. ერთი ანდაზისა არ იყოს, მელას რაც ელანდებოდა...

– აზამათ ლომგული ვინაა?

– კაი ყმის ძმობილი. თუ იმის თქმას აპირებთ. რომ სიტყვა „ძმობილი" ანაქრონიზმია, გეთანხმებით, ანაქრონიზმია, მაგრამ მეორე მხრივ ფაქტია და ფაქტი კი ისეთი არგუმენტია, რომლის გაბათილება მხოლოდ სასწაულის მეშვეობით თუ შეიძლება. ხოლო ორივე მათგანი, აზამათ ლომგულიცა და კაი ყმაც, სანდრასა და კამბეჩას ძმობილები არიან.

ამ დროს ისევ – და უფრო ახლოდან – მოისმა:

– დიეგო!

– აი ბანიც! ბანს კაი ყმა გამოსცემს ხოლმე.

– დიეგოა თქვენი სახელი თუ ჯაკომო?

– ვის როგორ ურჩევნია... სანდრა, მაგალითად, სულ სხვას ამჯობინებს. ჭეშმარიტებას, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო კამბეჩა მიუახლოვდა.

– ჯაკომო!

– დიეგო!

ამჯერად დაბახილი ჩემს მანქანასთან გაისმა. ზედ საბარგულთან.

იმავ წამს ხელის ფარანიც აინთო, რომლის შუქი ჯერ სალომესკენ იქნა მიმართული – და არა მარტო მიმართული, არამედ ორჯერ თავით ფეხამდე ატარებულ-ჩატარებული – და მხოლოდ ამის შემდეგ ჩემკენ.

– მოხვედით? – შევეგებე მე.

– მოვედით, - თქვა აზამათ ლომგულმა და სალომეს მიესალმა,

– გამარჯობათ!

– გამარჯობათ! - მხარი აუბა კაი ყმამაც. მისი ბანი წვერ-ულვაშით დაფარული პირიდან ისე ამოვიდა, როგორც ვულკანის მომასწავებელი გუგუნი ეკალ-ბარდებით შენიღბული გამოქვაბულიდან.

– გამარჯობათ, - მიუგო სალომემ.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა. მე სიჩუმეს იმდენი დავაცალე, რომ თვალშისაცემი გამხდარიყო. მერე სალომეს მივუბრუნდი:

– აი მოვიდნენ, როგორც მოსალოდნელი იყო. ეს კაი ყმაა. მართლა კაი ყმაა, მაგრამ ახლა თმა-წვერშია შეფუთული და არა ჩანს. ესეც – აზამათ ლომგული: მას წარდგენა არ სჭირდება. ეს კი, ჩემო ცნობისმოყვარეებისმიერო ძმებო, სალომე ერისთავი გახლავთ. ვიცი, ინტერესის სული ამოსვლაზე გაქვთ, ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ: სალომე „ზაპოროჟეცში" იჯდა და გეზი სანაკლიოსკენ ეჭირა, სადაც მამიდების გარკვეული რაოდენობა ჰყავს. „ზაპოროჟეცი" პატარა იყო და ლურჯი. იგი გზაში გაფუჭდა. სალომემ მიზეზი ვერ გაუგო და ძალიან დაღონდა. ამ დროს ბედად მე წამოვეწიე და დახმარების ცივილიზებული ხელი გავუწოდე. გაფუჭებული „ზაპოროჟეცი" სალომემ უახლოეს პროფილაქტორიუმში გაყიდა. იგი იაფად იყიდა ვინმე ადგილობრივმა რომეომ, რომლის გვარი ცნობილი არ არის.

– მონტეგი - ამოიგუგუნა კაი ყმამ გამოქვაბულის ფსკერიდან და მისი მრგვალი ხმის კილო იყო საზეიმოც, მოწყალეც, თავმდაბლურიც, დაჯერებულიც, მაღალსერიოზულიც.

– უფრო ალბათ ასტვაცატუროვი, - ვუთხარი მე, - ყოველ შემთხვევაში, არა მონტეგი. ეს უბრალოდ დამთხვევაა. დიახ... ამგვარად სალომეს მანქანა ვინმე რომეო ტერ ასტვაცატუროვს დარჩა და ჩვენ ჩემი მანქანით წამოვედით. მას აქეთ ჩემი მანქანით მოვდივართ და ჩემი მანქანით ვაპირებთ სანაკლიოში ჩასვლას, თუ მაღლითაც საჭირო დასტური მოგვეცა.

– ახლა გასაგებია, - თქვა აზამათ ლომგულმა და ჯიბიდან ერთი ბოთლი კონიაკი ამოაძრო,

ეს კამბეჩამ და სანდრამ გამოგიგზავნეს.

– ოო! ცოდო-მადლი რომ სასწორზე დაიდება, კამბეჩასა და სანდრას ბედს ეს ბოთლი გადასწონის. თქვენიც, თავისთავად ცხადია, დიდი მადლობელი ვარ, რომ გზაში არ გატეხეთ, – მერე კაი ყმას მივუბრუნდი, – გავიგე, ბალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დათი აგირჩევია უკანასკნელ ნავთსაყუდელად.

- კი, დაიგუგუნა კაი ყმამ.

- რაოდენ ბედნიერი უნდა იყოს ქალაქი, რომელსაც სახელოვანი შვილი სიმცირით არ იწუნებს და ნიშნად მადლიერებისა და სიყვარულისა უკან უბრუნდება.

- მმმააჰ!.. - გაურკვეველი მუხტის ემოცია ამოუშვა კაი ყმამ.

- ალბათ პარაზიტები საზოგადოებას ჩამოაყალიბებ იქ, უფრო კონკრეტულ რელსებზე გადავიტანე მაშინ საუბარი.

ღვთისმაძიებელთა საზოგადოებას ჩამოვაყალიბებ.

- ნუ თვალთმაქცობ!

- ვთვალთმაქცობ?! ბაღდათში დედამიწის ღერძი გადის.

- რა იცი? აკაშას ქრონიკაში წერია ხომ?

- დიაღაც!

- ინტერპოლაციებითაა სავსე მაგ შენი აკაშას ქრონიკა.

- არ გესმის, რა მოგკითხო! ნათელს ვერ ხედავ, რა გელაპარაკო!

- მე! მე არ მესმის! მე ვერ ვხედავ ნათელს და ამას შენ მეუბნები!

- დიაღაც!

- ნამცხვარს არ მიირთმევთ? წყნარად იკითხა ამ დროს სალომემ.

ამის გაგონებაზე კაი ყმას სიტყვა პირზე შეაშრა.

- სიამოვნებით! - დაიგრუხუნა და ხელების ფშვნეტას მოჰყვა. ძლიერი ბინდი რომ არ ყოფილიყო, ალბათ ნახევარი რიკოთი მაინც შეამჩნევდა, თუ რა მსუნაგად აუციმციმდა თვალები, ერთადერთი ადგილი მხრებზემოთ, რომელიც თმით არ ჰქონდა დაფარული.

- ნუ შეწუხდებით! - თითქმის იმავდროულად გაისმა აზამათ ლომგულის ალტერნატიული შეძახილი, მაგრამ სალომემ ამას ყურადღება აღარ მიაქცია, ნამცხვარი გამოიტანა, კალკის ქაღალდზე დადო, რომელიც მანქანის კაპოტზე წინასწარ დააფინა, და პლასტმასის დანით დაჭრა.

- აუ, რა გემრიელია!! - კაი ყმამ გასინჯვამდე მოუხადა ხარკი ზრდილობას, რათა მერე წვრილმანებზე აღარ მოცდენილიყო, ეკალ-ბარდებით შენიღბული გამოქვაბული წამით გამოაჩინა და მას შემდეგ, რაც მთელი ნაჭერი - კარგა მოზრდილი - ერთიანად გააქრო შიგ, ისევ ეკალ-ბარდებში ჩამალა.

- მოგვეშივდა მობაღდათეს, - ნამუსი მოწმინდა აზამათ ლომგულმა.

დასტურად კაი ყმამ მეორე ნაჭერს გადაუძახა ქვესკნელში.

მაშინ მე კონიაკი გავხსენი. ჭიქაც მოვძებნე. ერთი ჭიქა სალომესაც აღმოაჩნდა. აზამათ ლომგულმა ხელები გაასავსავა, ეგ ბოთლი თქვენ გეკუთვნით, ჩვენ იქაც ბევრი გვაქვსო, მაგრამ კაი ყმამ რომ ჩიჩვირი ჩამოუშვა და ჩუმად გაიბერა, მის გაწირვას ისევ კონიაკის გაწირვა ამჯობინა და თითო ჭიქა დავლიეთ (სალომემ მეოთხედი ჭიქა დალია). სამაგიეროდ მეტი უკვე აღარ დათმო და მას შემდეგ, რაც მანქანის კაპოტთან ეტიკეტით გათვალისწინებული დრო დავყავით და შეფერხების მიზეზთა შესახებაც ცოტა წავისაუბრეთ (ეს იყო ჯანსაღი და ძირითადად რეალისტური საუბარი, რომელშიაც ჯოჯოხეთს მხოლოდ გაკვრით შევეხეთ, გველეშაპი და მფრინავი თეფში კი საერთოდ არ გვიხსენებია), ემხში შესულ კაი ყმას, რომელმაც ამასობაში მეოთხე ნაჭერი შთანთქა და მეხუთე ნაჭრისკენ გაიწია, ხელი მკლავში წაავლო, და ფეხი ფეხზე გამაფრთხილებლად დააბიჯა. კაცმა არ იცის, სადამდე გაგრძელდებოდა და რით დამთავრდებოდა მათი ჩუმი ძიძგილაობა, კონფლიქტში რომ სალომე არ ჩარეულიყო. სალომე მოულოდნელი კუთხით და მშვიდობიანი მისიით ჩაერია: მანქანიდან კიდევ ერთი მოზრდილი ნაჭერი - ასე, ოცი სანტიმეტრი ოც სანტიმეტრზე ნამცხვარი გამოიტანა, კალკის ქაღალდში ფრთხილად შეახვია და მობღლაძუნე ძმობილებს წასაღებად გაუმზადა. აზამათ ლომგული უარზე დადგა, მაგრამ კაი ყმამ მწყრალი ბანით დატუქსა, ამას კამბეჩასა და სანდრასთვის გვატანენ და შენ ვისი სახელით უარობო და ძვირფასი ძღვენი მოწიწებით ჩაიბარა. აზამათ ლომგულმა გაალმასებით ჩაილაპარაკა, ცოტა ხანსაც გაგიძლებ და, აღგილამდე თუ მშვიდობით ჩაგიყვანე, მერე კისერი გიტეხიათ ორივეს - შენცა და იმ შენს ბაღდათელ ღმერთსაცო, თან ცდილობდა ცოტა შემწყნარებლური, ცოტა ნაძალადევი და ცოტა მომბოდიშებელი ღიმილით ვითარება განემუხტა.

ბოლოს, როდესაც წასვლის დრო მოუვიდათ, აზამათ ლომგულმა შემპარავი კილოთი მკითხა:

- კამბეჩამ - ბაღდათში წამოსვლა შევთავაზეო. მართალია? მე ვუთხარი, მარტო რომ არ არის-მეთქი?..

- ენას ძვალი არა აქვს, - მივუგე მე, - კამბეჩას ენას არც ხრტილი აქვს.

- თუ წასვლა გინდათ, ჩემი არ მოგერიდოთ, - ჩაგვერია საუბარში სალომე, - მანქანას სანაკლიოში დაგახვედრებთ.

აზამათ ლომგული (კაი ყმაზე აღარაფერს ვამბობ) ვერ მიხვდა, ეს გულწრფელად იყო ნათქვამი თუ ყასიდად. საერთოდ, მანქანის თემის ეგზომ მოულოდნელი კუთხით წარმოჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამ ცოტა დააბნია. თუმც კი მისია ბოლომდე ამოწურა:

- ა, ჯაკომო?

- არა, აზამათო, - შორს დავიჭირე მე, - ხომ ხედავ, რა ამბები ხდება! სანაკლიო უფსკრულშია გადაჩეხილი, ქვეყანა თავზე გვენგრევა, გვირაბები და გამოქვაბულები თვალდათვალ იქოლება, დღე ისე ღამდება, კაცმა არ იცის, ისევ გათენდება თუ არა... აბა ამ დროს ბაღდათში როგორ წამოვალ ღვინის დასალევად, რომელიც არ ისმევა!

- ეეეჰ! - ისეთი ამოიოხრა კაი ყმამ, გეგონებოდათ ლავა ამოაყოლაო, არ იცნობ ბაღდათს, რა გელაპარაკო!.. არ იცნობ სამყაროს, განსაკუთრებით ეზოთერული კუთხით, რა მოგკითხო!.. არა ხოლო ღვინითა ერთითა ცხოვნდება კაცი. მით უმეტეს, ბაღდათში... აქ მოულოდნელად სალომეს მიუბრუნდა, - ბაღდათი სასწაულ არს, დაო, დედაო და ქალბატონო, განსაკუთრებით ცენტრს რომ გასცდებით... ერთი წუთით, აზამათ!.. ყვავილებს გავაშენებ, ბოსტნეულსაც ცოტ-ცოტას... წყაროს ამოვრეცხავ პერიოდულად... ბაღდათში... მოვდივარ, აზამათ, მოვდივარ... ღმერთთან შეიძლება ლაპარაკი...

- აბა, აბა! - გავუტრიზავე მე, - იქაური ატეესი ერთი წვერით თურმე ზესთასოფელშია ჩართული. ალო! უფალი შინ ბრძანდება? რა უნდა ღმერთს, გაგიწყრა მისი მადლი, ბაღდათში?!

- აბა სად არის? სანაკლიოში? - ნელიად ამოიგუგუნა კაი ყმამ მცენარეული საფარის ქვეშიდან, მაგრამ საკუთარი ირონია მეტისმეტად გესლიანი ეჩვენა და, ეს მომაკვდინებელი გესლი რომ ცოტათი მაინც გაენეიტრალებინა, ფრაზა შემრიგებლური და - როგორც ასეთ დროს გულჩვილ ადამიანებს ემართებათ ხოლმე - ცოტა სულელური სიცილით მოაპირკეთა.

- წასვლის წინ აზამათ ლომგულმა მკითხა:

- როდემდე დარჩები სანაკლიოში?

- სულ ცოტა, ერთი კვირა, ვუპასუხე მე, - ისე კი, შეიძლება ქვეყნიერების აღსასრულამდეც მომიხდეს იქ დარჩენა. შემოივლით?

- გააჩნია რა გუნებაზე ვიქნებით.

- თუ ცუდ გუნებაზე იყოთ, ნუ შემოივლით.

- კარგი.

დაგვრჩა ნამცხვარი? - ვკითხე სალომეს. როცა დავრწმუნდი, რომ სტუმრები აღარ მობრუნდებოდნენ.

- კი, - სალომემ ნამცხვარი გამოიტანა და წელანდელივით პლასტმასის დანით დაჭრა.

როგორც კი ერთი ნაჭერი შევჭამე, მყისვე მივხვდი, რომ, ვიდრე კაი ყმის სიხარბეს დაგმობ, კაცმა ჯერ საკუთარი თავი უნდა გამოსცადოლ.

- შეიძლება კიდევ ავიღო?

- რა თქმა უნდა. მიირთვით.

- გმადლობთ.

- კონიაკს ხომ არ დალევთ?

- არა.

- მე ერთ ჭიქასაც დავლევ თქვენის ნებართვით... თქვენ აცხობთ ასეთ ნამცხვარს?

- დიახ.

- ფანტასტიკურია. მე და კაი ყმას თუ ნამცხვრისა რამე გაგვეგება, ჭეშმარიტად ფანტასტიკურია. ნეტა კამბეჩასა და სანდრას თუ შეხვდება? გაგიკვირდებათ, კაი ყმამ რომ დანიშნულების ადგილამდე კალკის ქაღალდის მეტი ვერაფერი მიიტანოს? მე არ გამიკვირდება. არც გამიკვირდება და ვერც დავძრახავ.

- წუმწუმა ხომ არ გექნებათ, ქალბატონო? - მოისმა ანაზდად.

სხეულში თითქოს სუსხიანი ქარი შემომეჭრა და ძარღვებში დაიქსელა. რა მიზეზი იყო, ვერ მივხვდი.

რომ მივტრიალდი, ერთი რამ უწესრიგოდ აჩონჩხლილი ჯეელი დავინახე, მთვარის მკრთალი შუქი მეტის საშუალებას არ იძლეოდა და მხოლოდ გრძელი ხელები და გადახოტრილი თავი გავარჩიე. ხმა წვრილი და ბავშვური ჰქონდა. მოთმინებით იდგა პასუხის მოლოდინში და წყნარად, რიტმულად ირწეოდა. მე ერთხანს ვუყურე და ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გავიაზრე, თუ რატომ გაჩნდა ჩემს სხეულში ის ცივი ქარი: ზემოთ მოტანილი ფრაზა, რომელიც მე რამდენჯერმე მაქვს აღნიშნული აუდიორუქაზე, ამ ჯეელს არ ეკუთვნოდა. ყოველ შემთხვევაში, იმ ჯეელთან შედარებით ეს ჯეელი ტანად უფრო დიდი ჩანდა, ასაკით უფრო მცირე. ხმაც უფრო წვრილი ჰქონდა. და მხოლოდ სიტყვები იყო იგივე. ამით დაბნეული უსიტყვოდ მივჩერებოდი.

დუმილი რომ გაგრძელდა, პასუხის გაცემა სალომემ ითავა.

- წუმწუმა არა გვაქვს. ნამცხვარი ხომ არ გესიამოვნება?

ჯეელმა რწევა შეწყვიტა და გაშეშდა. ერთხანს ასე იდგა, გეგონებოდათ საკუთარ სხეულს უგდებდა ყურს და ცდილობდა რომელიღაც შემაშფოთებელ კითხვაზე ძნელი პასუხი ეპოვა. ბოლოს რაღაც იდუმალი, თითქოს დედამიწის ღრმა წიაღიდან ქურდულად ამომავალი ხმითა და ექოსავით უსაშველოდ გაგრძელებულად თქვა:

- კიიიი...

ეროვნული ბიბლიოთეკა



სალომემ მოზრდილი ნაჭერი მოჭრა. ჯეელი ერთხანს მაინც გაშეშებული იდგა. მერე ორივე ხელი გაიწოდა და მე მომეჩვენა - რა ვიცი, მომეჩვენა? - რომ ამ ხელებს სახსრები იმაზე მეტი ჰქონდა, ვიდრე ამას ანატომიის სახელმძღვანელო ითვალისწინებს. ნამცხვარი ასევე ორივე ხელით ჩამოართვა, მაგრამ მიიტანა არა პირთან - თუმც კი თავიდან, დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეთი განზრახვა ჰქონდა - არამედ მკერდთან. აქ ცოტა ხანს ისევ გაშეშდა. გაშეშდა ნამცხვარჩაბღუჯული და თავაწეული. მერე უეცრად შეტრიალდა, ერთბაშად მოწყდა ადგილს და ცხენივით გაჭენდა.

## აუდიორუქა
## ფრაგმენტი №3

- კოლექტივი გაძლიერდა, ნანინაა, ნანინაა, ვენაცვალე სტალინსაო, ნანინაა, ნანინაა...

- ასირიელების უკანასკნელმა მეფემ, მაგალითად, სარდანაპალმა, რა დაინახა, ალყაში ვარო, თავისი დიდებული სასახლე ცეცხლს მისცა და მთელი ჯალაბით შიგ გამოიწვა.

- რაი მერე?

- რეალობა, ჩემო ბატონო, კონიუნქტურის საალერსო სახელია. კი, ანგარიში როგორ არ უნდა გაუწიო, მაგრამ დროდადრო თუ მარადიულ ფასეულობებსაც არ შეავლე თვალი ჩაგიხვევს კონიუნქტურის სადღვები მანქანა და აგანთხლევს ერთიანად. აიღე, მაგალითად, კაცი რომელსაც შია და საჭმელი არა აქვს. ამისთანა კაცი რომ მარტო რეალობას მიაცივდეს და მარადიული ფასეულობანი ფეხებზე დაიკიდოს, ან მათხოვარი უნდა გახდეს, ან ქურდი, ან მონა (ქე ქნა, მისი არ იყოს, ჩვენ რო ვიცით, იმან)!

- ე! მოვიდა ისევ მშვიდობის მაძიებელი!

- აპა აწი არაფელი გვიჭირს!

- გაიგე ძმაო: შენ ადამიანი ხარ და ის ძროხაა. ძროხას შეიძლება გაუწყრე, მაგრამ არ შეიძლება ძროხაზე განაწყენდე! კაცი რომ ძროხაზე განაწყენდება, ის კაცი თვითონაა ძროხა.

- ხო სულ იმას ვიძახდი, ორშაბათს მგზავრობა არ ვარგა-მეთქი!

- ორშაბათია მერე დღეს?!

- კარგი ერთი, მაგას რა მნიშვნელობა აქვს!

- ამხანაგო ბატონებო! მე მაინც იქითკენ ვიხრები, რომ რეალობიდან ამოვიდეთ.

- ის გირჩევნია, ილუზიებიდან ამოხვიდე! რეალობიდან რა ხანია ამოსული ხარ!

- ყველაფერი მოგვეშლევა, ყველაფერი!

- დიდი დღე მიეც ღმერთო ხელმწიფეს!

- კომუნისტების მსოფლმხედველობაში „სახელმწიფო“ და „ხალხი“ დაპირისპირებული ცნებებია, რაც მმართველობაში შესაბამის ასახვას პოულობს იმით, რომ სახელმწიფოს ძლიერება ხალხის გაღატაკების ხარჯზე მიიღწევა.

- ო, მაგათი დედა!..

- ხოლო როცა ხელისუფლება საკუთარ ხალხს ესოდენი გააფთრებით ებრძვის, მაშინ დაშინებული და დათრგუნული ხალხიც ძალაუნებურად დამსჯელებად და დასასჯელებად იყოფა და ყოველი კაცი იმის შიშით, რომ დასასჯელთა კატეგორიაში არ მოხვდეს, ცდილობს დამსჯელთა კატეგორიაში მოხვდეს.

- უყურე შენ, რამხელა დაკვირვება გჭირდება კაცს!

- რა გვეჩქარება ისე! ვიყოთ აქ ერთხანს, იქნება ნელ-ნელა მართლა ქე ვიქცეთ ერად.

- ერად არა იმად! ვერ ხედავ, რეზიკო ჭაშია!

- ჭაში თუ ორმოში?

- ხან იქაა და ხან იქ. ხომ იცი, პლურალისტია, ორმოდან ამოიყვან, ჭაში ჩავარდება, ჭიდან ამოიყვან, ჯურღმულში ჩავარდება, ჯურღმულიდან ამოიყვან, ჭაობში ჩავარდება და არის ასე...

- თავისით ვერ ამოდის?

- თავისით რა სიკვდილი ამოიყვანს!

- კიდევ ერთი შეკითხვა, მისტერ დონდუა...

- დუნდუა.

- დიახ... თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ სწორედ სამოქალაქო დამოურჩილებლობით მოიპოვებთ ეროვნულ დამოუკიდებლობას?

- ჭანჭიკამ - სიმართლე კლასობრივიაო.

- რა იცის მაგ მართლა ჭანჭიკამ!

- ჯამბულამ? ჯამბულამ - ბევრი სიმართლე მაწყინარიაო, იმდენი უნდა თქვა, რამდენსაც მოინელებო.

- ჯამბულა მაჩალკაა.

- რომა? რომამ - სასარგებლო ტყუილი ბევრად სჯობს ზიანის მომტან სიმართლესო.

- გადააბი სამივე ერთმანეთს,

- ვალერა? ვალერამ - სიმართლე ჩუმად ვუთხრათ ერთმანეთს და ხმამაღლა ის ვილაპარაკოთ, რასაც უფროსობა გვირჩევსო.

- ვალერაც მიაყოლე ზედ.

- არც ერთმა არ იცის?

- არა-მეთქი!

- აბა ვინ იცის?

- მომეშვი, თუ კაცი ხარ! ვინ იცის და კანტმა იცის, მაგრამ კანტს აქ ვინ დაუჯერებს, მიიხედ მოიხედე!

- გეიხსენი, გო, ფოლაქი!

- კი აპა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მარტო ზეითა...

- ხელი ფაფას!

- ე გოგო!

- ეგ წმინდა წყლის პროვოკაციაა. ჩვენ კრიტიკის წინააღმდეგი არასოდეს ვყოფილვართ. მაგრამ სიყვარულით უნდა გავაკრიტიკოთ. ფსიქიატრიულში თუ ვათავსებთ ვინმეს, იმას ვათავსებთ, ვინც ღვარძლიანად გვაკრიტიკებს.

- „ვათავსებთ“ კი არა „ვათავსებდით“. და „გვაკრიტიკებს“ კი არა „გვაკრიტიკებდა“.

- რატომ?

- იმიტომ რომ მორჩა უკვე თქვენი პესნა.

- აბა ეგ რა თქმაა, ენქიდუ! უთხარ, წირვა გამოგივიდათ-თქო!

- ბიჭო! სხეული თუ მიწაში მარხია და სული არამატერიალური სუბსტანციაა, აბა ჯოჯოხეთის ცეცხლში რა იწვის?

- არ გესმის და რა გელაპარაკო!

- რომ არ მესმის, მიტო გეკითხები და, შენ თუ გესმის, მითხარი, რას მიმალავ!

- კაი ერთი, თუ ძმა ხარ! ოოჰ!..

- ძალად ატეხეს ეს ამოდენა ალიაქოთი. არავის არ იჭერენ.

- რა იცი?

- თვითონ გამოუშვიათ.

- თვითონ? თვითონ რატომ გამოუშვებდნენ?

- გარეთაც რომ გიჟები ჰყავდეთ ალბათ. მერე იტყვიან, მთელი ქვეყანა გაგიჟდაო.

- რაში ჭირდებათ?

- მე რა ვიცი რაში ჭირდებათ!

- ნუშობიმაგაზ!

- მოდი რა, მერცხლისა და შევარდენის ანეგდოტი გვითხარი!

- ეს სირი ხომ მერცხალია? მაგას ნოდარა ყვება კარგად, ნოდარ!

- ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას, თქვეს მემარცხენე მარქსისტებმა და ცნობიერების გაუმჯობესების კეთილშობილური მიზნით ყოფიერება მაქსიმალურად გაიუმჯობესეს.

- ღმერთო, გვიცოცხლე ხელმწიფე!

- ძია გრიშა, უხუჩაფათო კვირა რომელია?

- უხუჩაფათო კვირა, ბიძიკო, როდინობის კვირაა.

- შენ არ გეკითხები, ვა!

- აბა მე, ძმაო, ჩემი დღე და მოსწრება ერთი ცოლი მყავს და ერთი მანქანა მაქვს... არა ისე სხვის მანქანაზე კი ვმჯდარვარ, ეგრეც არაა საქმე!

- მაღვალაკი ბაღანაა, ფუჰ, გადაშენდეს იქით!

- რა ქენი, კოტიკო, ველარ ჩამოყალიბდი?

- თქვენზეა ზედგამოჭრილი ანდაზა - მელას თავისი მახრჩობელა უყვარსო.

- ერთი მაგ და მეორე - ამყოლს აჰყეო და დამყოლს დაჰყეო.

- ფშატი აჩვენე, დუდუნა, ძიას ფშატი!

- გაუმარჯოს შონიას! ვაშაა!

ვაშააა!

- ბუნტური, მოდი აქ!

- აგე! იძახეთ ახლა „დაცინვას კაცი არ მოუკლავს“!

- ძირს შონია! ვაშაა!

- ვაშააა!

- ქონებას თუ ვიხვეჭ, იმიტომ ვიხვეჭ, რომ მერე უანგაროდ გავცე და სახელი მოვიხვეჭო. სახელისთვის მინდა ყველაფერი და სახელი ხომ ჩემი მატერიალური დოვლათი არ არის! სჯობს ხომ სახელის მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა?! აბა რაღას მედავებით? განა სახელოვანი შვილი ქვეყნისთვის საამაყო არ იქნება?!

- ერთ კვადრატულზე?

- ჰო.

- მთელ მსოფლიოში ხომ?

- კი.

- მსოფლიოში... ერთ კვადრატულ მეტრზე... ზნედაცემულთა რიცხვით... მმმ... არ ვიცი. რომელ ადგილზე ვიქნებით?

- ღმერთმა დაგიფაროს, გულიკო, და ისევ რომ დაგიჭირონ, სასამართლოზე ქართულად ილაპარაკებ თუ რუსულად?

- ჩაკიდეთ რა ხელი, გთხოვთ! ერთმა ერთი მხრიდან. მეორემ მეორე მხრიდან. იქნება გამოვარიდოთ!.. გამოსულიყავი შენით, ვალოდია!

- არ იზამს, ხომ იცი მაგის ამბავი, და ტყუილად ეჯები.

-დღე და ღამე ავიღოთ. ჩვენ ვამბობთ: მიზეზი იმისა, რომ ნახევარსფეროებზე დღე-ღამე მკაცრი მორიგეობით ენაცვლება ერთმანეთს, არის დედამიწის ბრუნვა საკუთარი ღერძის ირგვლივ (სხვათა შორის, ეს ღერძი წარმოსახვითია). მაგრამ ხსენებული მიზეზი ფორმალურია, ზედაპირული, ემანაციური. და ვინც შეძლებს ამ ნივთიერ ემანაციას თავი დააღწიოს და არსის სიღრმეში შევიდეს, სადაც მითოლოგიური ძირებია, ის ჭეშმარიტ მიზეზსაც იპოვის, რაც იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებელია ვიღაც მუდამჟამ ფხიზლობდეს, თორემ, თუ ორივე ნახევარსფეროზე ერთდროულად დაღამდა და მთელი დედამიწა ერთდროულად მიეცა ძილს, გამორიცხული არ არის, რაიმე გაუთვალისწინებელი ინციდენტი მოხდეს და ისე გავიპაროთ ძილში ყველანი, ვერც კი გავიგოთ.

- არამზადებო! ყურუმსაღებო! სალახანებო!

- ნაბიჭვრებო!

- ეეჰ!.. სადაა კაკაურიძე! კაკაურიძემ შენი ჭირი წაიღო.

- მოკლეს?

- თავისით მოკვდა.

- თავისით?!. მალადეც, ძმაო! ჩვენს დროში ეს პატარა მიღწევა არ არის.

- რას მელაპარაკები შენ, დედოფალთან რა დამაწვენს!

- იაზროვნეთ! იაზროვნეთ, იაზროვნეთ, ნუ მისცემთ გონებას მოდუნების უფლებას!

- აუ! კაკული, კაკული!

- ჰოუ!

- მოდი აქ!

- რა იყო?

- მოდი, მოდი! ჩქარა!

- რა ამბავი?

- რაღა რა ამბავი! შენ რო შენი დღე და მოსწრება სიუჟეტებს ეძებ გაჭირებული ჯანით, ა, იმისთანა სიუჟეტი ჰქონია აგერ კაცს, თითებს ჩაიკვნეტ! მიდი რა, ბონდო, მოუყევი ამასაც.

- კი კაცო. თქვენ ოღონდ გამოიყენეთ და სიუჟეტს როგორ დაგიჭერთ!

- ისე, რომ იცოდეთ, უცხოეთში სიუჟეტი ფული ღირს.

- უცხოეთი არაა ეს! შემირცხვეს მაშინ ულვაში, სიუჟეტში ფული ავიღო. ვიწყებ აბა.

- ერთი წუთით, ერთი წუთით! ფანქარს მოვძებნი

- უნდა ჩაიწერო?

- კი.

- მაშინ ნელა მოვყვები... ნამდვილი ამბავია, მოგონილი არ გეგონოს. ჰოდა, ერთი ცოლ-ქმარი იყო. ქმარს ისე უყვარდა ცოლი, მეტი არ შეიძლება, მაგრამ ეჭვიანიც იყო და ერთხელ ერთ კაცზე ძლიერ იეჭვიანა. ეჭვიანობით კი ეჭვიანობდა, მაგრამ საბუთი არ ჰქონდა. მაშინ იფიქრა, დავუდარაჯდები და, თუ დამტკიცდა, მოვკლავო.

- რომელსო? ქალსო თუ კაცსო?

- ქალს, კაცო! კაცს რას ერჩოდა!.. კაცი კი არ უყვარდა!.. ერთი სიტყვით, უტრიალა კაი ხანს და, როგორც იქნა, შეუსწრო. არა, ისე კი არა. ლაპარაკზე შეუსწრო. მარტო იყვნენ ოთახში და ლაპარაკობდნენ. მიუგდო ყური და რა ესმის: ქალი ეძალება და კაცი უარზეა. ჰაი აქეთ, ჰაი იქით - უარზეა. ბოლოს, რო ვერ მოიშორა, პირდაპირ უთხრა, არ მომწონხარ, ქალო, და თავი დამანებეო. არ მომწონხარო!.. ეს რომ ქმარმა გაიგონა, გადაირია. ამ მათხოჯის და მაიმახის დასაწუნი რა სჭირს ჩემს ცოლსო! შეუვარდა იმ უბედურს და რაც სიგრძე ჰქონდა, ის სიგანე მისცა. აბაა! ასე უყვარს ზოგს ცოლი. გამოგადგება?

- კი.

- ჰოდა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს. დაწერე და, ჰონორარს რომ დაამღერებ, ჩემი სადღეგრძელოს დალევა არ დაგავიწყდეს.

- დიდი მადლობა!

- აღარ არის გვირაბი. მორჩა!

- რას ქვია, აღარ არის?! რა იქნა?

- რა ვიცი. შეიძლება არც აქამდე ყოფილა.

- ნუ ლაპარაკობ...

- გეუბნები. ბექობია მარტო. ბექობს იქით უფსკრულია, უფსკრულში ჯოჯოხეთია. ჯოჯოხეთში რა იქნება, თქვენ ჩემზე უკეთესად გეცოდინებათ.

- ნუშობითქვამაგაზ!

- რამდენი ადამიანია კაცობრიობის ისტორიაში ადამიანისავე ხელით მოკლული! აი, რას არ სჭირდება კომენტარი! აი, საიდან გამოდის ყველაზე შორსმიმავალი დასკვნა!

- ეეჰ, ქალები სულ ლამაზები უნდა გაგეჩინა, ღმერთო!

- მომკვდარა საწყალი სილოვანი.

- კაი ჭკუა უქნია.

- რას იზამ! წარსულს ხომ ვერ მოაბრუნებ?!

- მოეშვი, თუ ძმა ხარ, ამ ფრთიან შტამპებს! რა იცი, რო ვერ მოაბრუნებ?

- მაგ არ გამიგია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის №5 ლიდერს რომ ტყუპი გოგო ეყოლა, დანამდვილებით ვიცი, ერთს დეფაქტო დაარქვა, მეორეს - დეიურე.

- გინახავს, როგორ არა, ერთი დიდი, სქელი, მდორე ქალი.

- აპაჰ- იმისთანაა, შიში რა არის, არ იცის.

- დურაქი ჰოფილა.

- რატო, კაცო?

- იმიტო, რო შიში სიცხესავითაა: ოცდათექვსმეტს ქვემოთ და ოცდაჩვიდმეტამდე აუცილებელია.

- ვითომ ის არ ყოფნის საწყალ კაცს, რომ შეწირულია გვარად! ეს დეგენერატი კიდევ ურეკავს და ვითომ შეცდომით კითხულობს: „ალო, განწირულის ბინაა?“

- ვიღაცას სიუჟეტი ნანდომარა...

- კაკულის უნდა აგერ.

- ცოტა ფსიქოლოგიურია, ხვარაფელი უჭირს?

- არა. უკეთესიც კია.

- აგაშენა ღმერთმა! ვიწყებ აბა: ერთ ღიპიან კაცს - ღიპი დაიხსომე, ესაა მთავარი - მოურჩენელი სენი ჭირს, ისეთი, რომ ერთ წელიწადში მოუთავებს საქმეს. სენი შენ თვითონ აირჩიე - მე შენ გეტყვი, გვაკლია, ხა-ხა-ხა!.. ამ კაცმა რომ გაიგო, ერთი წელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწადი დამრჩაო, ნამეტანი შეწუხდა, გასვენებაში ქვეყნის ხალხი მოვა და რას იტყვიან, კუბოში რომ ასე ღიპიანს მნახავენო. ერთი სიტყვით, შერცხვა ძალიან და დიეტაზე დაჯდა. მთელი ის ბოლო წელიწადი იმას მოახმარა, რომ ღიპი დაეგდო, გამხდარიყო, ადამიანს დამგვანებოდა და კუბოში ღირსეული შესახედაობა ჰქონოდა.

- დიდი მადლობა!

- რა უფრო დიდია, ბატონო ივლიანე, - სიყვარული თუ სიმართლე? და როცა ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, რომლის მხარე დავიჭიროთ?

- ნიჭი მძიმე ტვირთია, ძამა, დროდადრო თუ არ დახარჯე, გაგსრისავს.

- ცუდი კაცი კი არაა, კაცო, მაგრამ... რაღაცნაირი ერთნახადია.

- მოიცა, თუ ძმა ხარ! სანამ რუსეთი რძეს იძლევა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კი არა, მამაზეციერი ვერ მოგვწიწკნის მისი ჯიქნიდან!

- აბა თუ მეტყვი, ყველაზე შტერი ვინაა?

- ქართლოსას მერე?

- კი მაგრამ, თუ ქალაჩუნა არ არის, აბა მე რატომ მაინცდამაინც ეს სიტყვა მომაგონდა?..

- ბედის უკუღმართობის გამო მას რიჩარდი ერქვა.

- ვიდრე ახალ ჭას არ ამოიღებთ, ძველში ნუ ჩააფსამთ.

- რა არის მართლა და მართლა! გსიამოვნებს ეს ბილწსიტყვაობა?! თქვი, შე დალოცვილო: „ვიდრე ახალ სახლს არ აიშენებ, ძველს ნუ დაანგრევ".

- ანდა: „ვიდრე ახალ კოსტუმს არ იყიდი, ძველს ნუ გააჩუქებ".

- ანდა: „ვიდრე ახალ თანამდებობაზე არ დაინიშნები, ძველს ნუ მიატოვებ".

- ანდა...

- მე კიდე გეუბნებით: „ვიდრე ახალ ჭას არ ამოიღებთ, ძველში ნუ ჩააფსამთ.

- „თვითონაც ხო იღლება!", თქვა ჯალათის დედამ.

- ერთი ბიჭი ქურდობაზე დაიჭირეს... ჩქარა ხომ არ ვლაპარაკობ?

- კრეტინები! დეგენერატები! ფუჰ!

- ტახტზე ვინც ზის, ის არის ქვეყნის სახე და ღირსება. ჩონჩორიკი რომ დაღო ტახტზე - ჩვენში ეს საკვირველი არცაა - ჩონჩორიკი იქნება ქვეყნის სახე და ღირსება.

- ლოგიკა, ბატონებო, ბასრი იარაღია. განსაკუთრებით ჭკვიანი კაცის ხელში. თუ ნაბიჯ-ნაბიჯ გაყვები, არ შეიძლება კეთილი ნაყოფი არ გამოიღოს. გავყვეთ მაშ ნაბიჯ-ნაბიჯ. დავსვათ კითხვა: ვინ არის შონია? ან უფრო მარტივად და გასაგებად: ვიცით თუ არა რამე შონიას შესახებ?

- ცოტა რამ ვიცით, როგორ არა!

- კერძოდ, რა?

- ის, რომ კვაშალის სიძეა.

- კვაშლის.

- კვაშლის არა ვაშლის! კვაშალი არ იკუმშება.

- არც ჯაყელი.

- არც ჯუღელი.

- კიდევ თუ ვიცით, რამე?

- მეტი არაფერი. ეს ვიცით მარტო.

- კეთილი. რაღაც ინფორმაცია მაინც მოპოვებულია. პირველი ნაბიჯი წარმატებით გადავდგით. მაშ ახლა მეორე ნაბიჯი გადავდგათ: კვაშალის შესახებ თუ ვიცით რამე?

- კი.

- ბრძანეთ!

- შონიას ცოლისძმაა.

- აჰა! ესეც მეორე ნაბიჯი. ძალიან კარგი. წავიდეთ მაშ წინ.

- გიჟია ეს ჩემანალა! სადღა უნდა წახვიდე. შეიკრა წრე!

- კოლექტივი გაძლიერდა, ნანინაა, ნანინაა...

- ნახე, ეს ჩვენი მოძახილა რავალი აცანცარდა და აცუნდრუკდა და ამჩატდა და ახუნტრუცდა და აცეტდა და ატროკდა?

- მარტო მოძახილა? რამდენი მაგისთანა!

- რა ჭირთ ასეთი?

- საზოგადომოღვაწეობა.

- გადამდებია?

- გადამდებიაო?!. ჭიქის ჭიქაზე მიჭახუნებით გადადის!

- შენ მაინც შეეწიე, ღმერთო, ამ გზააბნეულ ხალხს!

- ებიჭო, მეფსია!

- ხომ აქსიომაა ის დებულება, რომ რაოდენ დღეგრძელიც უნდა იყოს ადამიანი, რაკი პრინციპულად მოკვდავია, არ შეუძლია ყველაფრის წაკითხვა მოასწროს, რაც დაწერილა. ამ აქსიომას კი აუცილებლობით მივყავართ დასკვნამდე, რომლის თანახმადაც უეჭველად უნდა არსებობდეს ინფორმაციათა (მათ შორის, ესთეტიკურის) ათვისების სხვა მეთოდი. ხოლო რაკი არსებობს, ადრე თუ გვიან აღმოჩნდება კიდეც.

- აღდგომა და ხვალეო. ვნახოთ. აგერ ჩვენ და აგერ ის!

- ო, თქვენი ტან-ფეხი, ქალბატონო, თქვენი ტან-ფეხი!..

- რა კანონზომიერებაში მოთავსდება ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაგ?

- ნეტა შენ! ფაქტი მოხდეს და კანონზომიერებას იმხელა დიაპაზონი აქვს ყველაფერს მოეძებნება იქ ადგილი.

- გავალთ ვითომ გაღმა?

- რა ვიცი. თუ გევეით, ხო კაი და, თვერ გევეით, ხოკაიდო.

- ნწ-ნწ-ნწ!.. ქვების სროლის დროა ახლა?..

- გადათხლაშულხარ აქ იმასავით, აგიპლაკია ფეხები...

- აგიპლაკავს.

- აგპლაკავ მე შენ! გადი იქით!.. აგიპლაკია ფეხები, წაგიგდია ენა და რას ტლიკინობ არ იცი! ჭკუა არ გაქ თავში ამხელა ძროხას! არ უყურებ?! რაღაი დამშლელი არ გყავს, უნდა მოხსნა პირი და, რაც ენაზე მოგადგება, ფქვა და ფქვა ხო?! არ დამიდგინა აქ წესები და კანონები!

რას იჭყანები, რო იჭყანები, რას ხედავ აქ საჭყანაოს და სამასხაროს?! ან ოჯახში ვერაფერი გასწავლეს, ან სკოლაში, ან ინსტიტუტში, ან იმაში, რა ქვია!.. დააყენე ენა! რას გავს ბოლოს და ბოლოს ეს?! გადათხლაშულხარ აქ იმასავით, აგიპლაკია ფეხები, წაგიგდია ენა და რას ტლიკინობ...

- აუ! ნოდარა მერცხლისა და შევარდნის ანეგდოტს ყვება!.. გინდა დავუძახო?

ადამიანი ისე ცოტა ხანს ცოცხლობს, ყოყმანისთვის დრო არც კი უნდა რჩებოდეს.

- ჩვენი კვალი, ჩვენ რო უკვდავებას ვეძახით, ბავშვის გულუბრყვილო მინაწერია საწუთისოფლო თეატრის ჭუჭყიან კედელზე. „აქ თამაშობდა ცელქი უილიამი“.

- მილეთის ხალხი გახლავთ: თალესი, ანაქსიმანდროსი, ანაქსიმენე.

- რაშობი, რეზიკო, დედა, მაგის ჭამა რავა შეიძლება, განავალია მაგი!

- ნამეტანი ეკონომიურად ხომ არ გაცვიათ, ქალბატონო თინა?

- კაცი რომ ფანჯარაში ლამაზ ნივთს გამოსდებს, ამით თითქოს რაღაცას გწუქნის.

- იქნება გახარბებს?..

- და სულელი გვერჩივნოს, ბატონო ივლიანე, ბოროტს თუ ბოროტი გვერჩივნოს სულელს?

- მარკუს ავრელიუსი მესიზმრა. რამ დამასიზმრა!.. იმ თავის კაი ცხენზე იჯდა და აღმა მიდიოდა წყალდაწყალ. უკან ლენინი უჯდა. ლენინს ხელები წელზე ჰქონდა მარკუსისთვის შემოხვეული და შეშინებული იყო. ეტყობოდა პირველად იჯდა ცხენზე. რას არ ნახავ კაცი სიზმარში!

- პირში უტუტურებდა, კაცო ხელებს!

- კი, თვითონაც ამ აზრისაა, იმიტო რო სხვა გზა არა აქვს.

- ეს არის კაკული მწერალი?

- ეს არის, კი.

- სიუჟეტი არ მომიტანია, ჩემო კაკული, მაგრამ რჩევას მოგცემ ისეთს, ბარე ორს გამოდგომია და შენც გამოგადგება.

- თავისუფლება, ქალბატონებო და ბატონებო, ქარიშხალში იბადება და არა ჭაობში. ჭაობში ბაყაყები იბადებიან და ამის საუკეთესო დასტური დღევანდელი ქართული ინტელიგენციაა.

- დაგესო შენ ინტელიგენციის ძვალი, შე მუდუ!

- აბა რა სიკეთე დაეყრებოდა თუ გიყვარდე! მაგისთანა უგზო-უკვლოდ ფიცხი მე მეორე არ მინახავს. ავტობუსში რომ უკნიდან ვინმე ჰკითხავდა თუ ჩადიხარო, მაგაზეც გაწიწმატდებოდა: „რა მჭირს ჩასასვლელი!!“

„სიტყვის კაცი ხარ თუ საქმისაო?“, ჰკითხა დევმა. „საქმე რა ჩემი საქმეა, სიტყვა მათქმევინე, სხვა მეტი არა მინდა რაო“, მიუგო ქართლოსმა.

- ჯავშანნიფხავი ჩააცვი, ქალბატონო მაგას, თვარა ნამეტანი გლახათ აბრიალებს თვალებს.

- დეედა, აღარ იქნა ამის ამოპირვა!

- პეტრე!

- ბატონო!

- წამო!

- მოვდივარ!

- ნიფხვებოოო!

- პერანგის ამხანიკებოო!

- მერე: ქმარს თავი არ შეაბრალო, სიბრალული, იცოდე, სიყვარულს ჭამს და, იმას რო სპობს, თვითონაც იწამლება. მერე...

- ამ ლექსთსათხზველ ენაზე რომ პროზას ვწერ, ეს გმირობა არაა, ბრატ?!

- ქართველებს, ჩემო, იგი კი არ უნდათ, რომ კანონი ქონდესყენ, ქართველებს იგი უნდათ, რომ კანონი ყავდესყენ.

- ბოდიში, საიქიოს გზას ვერ მიმასწავლით?

- კვაშალი მონავალა.

- მართლა კაცო?

- აბა! ქალის მანდილით, მღვდლის ანაფორით და ჯარისკაცის ჩექმით.

- კაი ერთი! ნუ გააფორმებ ყველაფერს შენებურად!

- წასულა საწყალი მინაგოც მუდმივი დისლოკაციის ადგილას.

- ციხეს აშენებენ ერთ ქალაქში...

- ე, ე! მოიცა! მრჩეველის მერე მე ვიყავი!

- ის მრჩეველი საერთოდ ურიგოდ წავიდა.

- რატო გაუშვით?!

- რა ექნა, წავიდა და...

- ეკუთვნოდა, კაცო, ომის ვეტერანია.

- ვეტერანია, ინვალიდი ხომ არაა! კაი, კაი, მიდი.

- საქართველო ლეშია, რომელსაც საკუთარი შვილები ესევიან.

- თუ მწერალია, რატო დუბლიონკა არ აცვია?

- ამ სიცხეში, ქალო?!

- მწერალი არა ის! ნეტა მაგისთანებსაც თუ ვინმე კითხულობს?

- ყველას ყავს თავისი მკითხველი.

- კაი, თუ და ხარ! მაგას რო მკითხველი ჰყავს, მაგდენი მე საყვარელი გამოვიცვალე.

- ოხ, ეს კუდბუთქუნა მანდილოსნები! არა, აკაკი ბატონო?

- რას ქეია გაუპატიოსნებელი დაგრჩათ?!

- რა გვექნა! მოვიყვანეთ დასაფლავების ბიუროდან სპეციალისტი, მარა რო დახედა ვარი თქვა - ამისთანა უნამუსოს რა გააპატიოსნებსო!

- სა მიძრობი, რეზიკო, დედა, მაქანე შეძრომა რავა შეიძლება, ნაწყლია მაგი!

- ბოლო ვინ არის?

- იქით იკითხე ბოლო.

- მომიწევს ნეტა?

- გააჩნია.

- ურიგოდ არავინ წავიდეს!

- ფანტასტიკას იღებს?

- ფული თუ გაქვს, ყველაფერს იღებს.

- გაბახების პრობლემასაც?

- კი.

- კაი დაგემართოს, დავდგები მაშინ.

- შენც სიუჟეტს აბარებ, კვრინჩხი?

- ხო.

- მიდი აბა!

- ომზეა. ნახევარი ომზეა და ნახევარი ქვეყნის დაქცევაზე.

- იყოს. მიდი, ხომ ხედავ, გელოდება კაკული.

- ომია. მტრის ქალაქი ალყაშია. შეტევა დანიშნულია ოცდახუთი მაისისთვის. ამ დროს ცაზე კომეტა გამოჩნდა. მეცნიერებმა იანგარიშეს და დაადგინეს, რომ ოცდასამ მაისს კომეტა დედამიწას დაეჯახება და ააფეთქებს. მაშინ სასწრაფოდ შეიყარა სამხედრო საბჭო და შეტევა ოცი მაისისთვის გადმოიტანა. ვარგა?

- მის უარესს ჯობია.

- მიღებულია?

- მიღებულია, კი.

- არ გამოდის თავისით ეს შობელნაშობი და რა ვქნა აბა!

- ესაა საქმე?!

- წუმწუმა თუ არა გაქვთ, ქალბატონო, ხელი მიბოძეთ;

- არ არის ეს რიკოთი, გეუბნებით მე თქვენ!

- შორეულ ალბიონზე ორასი დღე წვიმიანია, სამასი ღრუბლიანი? ამოცანა გვეკითხება: სულ რამდენი დღეა წელიწადში შორეულ ალბიონზე?

- რა ხმაა ეს?

- გოშია წკავწკავებს.

- ნამდვილად?

- კი.

- ბატონო ივლიანე!

- ბატონო!

- გოშია წკავწკავებსო.

- აკი გეუბნებოდით! გოშია წკავწკავებდა. გოშია წკავწკავებს, გოშია იწკავწკავებს, გოშია ნაწკავწკავებს. აგრეთვე ფინია, მურია, ცუგრია და სხვა ამუნიები.

- აბა ჭეშმარიტება! აბა ქორფა ჭეშმარიტება!

- პატარა უძახე შენ! კი, პატარაა, აბა რა არის, მარა რა შენაძლება!.. დეედააა! უნახავიაო, ხო არ ითქმის ჩემზე და, დობას გეფიცები, აქობამდე ამისთანა არაფელი მინახავს!

- მომეცით ჩემი ჰექტარნახევარი და წავალ, თქვენი არაფერი მინდა.

- გამოვარდება ჩემი ისარი და შენს კაპარჭში მოადენს ტყლაშანს! ზოგჯერ... ისა... ხანდახან...

- ხომ ხართ ჭკვიანები! ამიხსენით რატომ ქვია მეთორმეტეს მეათე!

- აბა! წევე ქე იცოდეს რამე მა გლახის ჭირმა!

- ბინდისფერია სოფელიიი...

- აგერ! კიდევ წკავწკავებს. გესმით?

- კი. ცივი ზამთარი იქნება.

- დოუდარაჯდი, კარლუშა, დოუდარაჯდი!

- დავეტოლოთ ერთმანეთს?

- დავეტოლოთ.

- თუ ტოლები ვიქნეით, დავმეგობრდეთ.

- კარგი.

- ისე, გოგო კი მერჩივნა.

- მეც.

- თქვენი თუა, ქალბატონო, ეს ამძუნებული ბერიკაცი, მომაშოროთ იქნება!

- გამოდი აქეთ, მოუკვდი შენ შენს შვილებს, შენს შვილიშვილებს და შენს შვილიშვილიშვილებს! არ გამილოველასდა და გამიდონხუანდა ეს წელკავიანი ამ სიბერეში! თავი მაინც ქონდეს რამესი!.. შენც რას წამოტრაკულხარ ქუჩის დედოფალივით მანდ, შენ თუ კაი ქალი ხარ! ვერ შეიკრავ მაგ გულისპირს და ვერ ჩამოიწევ მაგ კაბას?! მაგის დანახვა უნდა კიდევ ამ მოხუცებულ კაცს, ისედაც გული ხელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჭირავს!

- სიტყვები არ გესიზმრება?
- კი. შენ?
- მეც.
- გავცვალოთ, თუ გინდა.
- გავცვალოთ.
- კარგი.
- რატომაა, რომ „კვარი" არ იკუმშება და „მტკვარი" კი?
- რა ვიცი მე, დამანებე თავი!
- მაინც?
- მომეშვი, კაცო, თუ კაცი ხარ!
- რატომ „ხალი" არა და „მხალი" „კი, „ხარი" არა და „მხარი" კი, „ვალი" არა და „ძვალი" კი...
- ე ბიჯო, ვინაა ეს! რას გადამეკიდე, ძმაო, რო გადამეკიდე, რომელი ფილიპე მახარაძე მე მნახე!
- „ბრჭყალი" არა და „წყალი" კი, „გვარი" არა და „ზვარი" კი, „ღარი" არა და „ცვარი" კი, „ცხვარიც" კი, „ცხვარიც" კი და „ჩვარიც" კი...
- დედა, ღმერთო!
- მაშინ მითხარი, „მთილი" რა არის?
- რაის „მთილი" კაცო?
- დედამთილი და მამამთილი.
- ვააიმეეე!..
- მაშინ „პარი" მაინც მითხარი რას ნიშნავს.
- მიშველეთ ვინცხამ, არ ამომიღო წელი! რაია ბიჭო, პარი?
- წინა-პარი.
- არა, შუშებს წმენდდა. გამოღებული ჰქონდა ფანჯარა და რაფაზე იდგა.
- ნწ-ნწ-ნწ...
- ბედი კიდევ, რო ინტერიერში გადმოვარდა.
- პირადად შენ რა გირჩევნია: დიდხანს ახსოვდე ცოცხლად დარჩენილებს და დიდხანს ლაპარაკობდნენ შენზე, თუ სიკვდილისთანავე ყველამ დაგივიწყოს და წუნარად იყო იმქვეყნად შენთვის?
- მმმ... რა ვიცი...
- „დეკემბერი" რას ნიშნავს თუ იცი?
- კი ვიცი. თვეა ერთგვარი.
- მერამდენეა?
- ბოლო.
- ბოლო მაგრამ მერამდენე?
- მერამდენე?
- მეთორმეტე.
- კი.
- და რას ნიშნავს?
- რა?
- „დეკემბერი"
- რას ნიშნავს?
- მეათეს.
- კი.
- მერე? შეიძლება მეთორმეტე იყო და მეათე გერქვას?
- არა.
- ხომ არის ეს ლოგიკის გაბითურება?
- კი.
- ჰოდა, ჩემი იდიოტი ექიმი მე მეძახის არანორმალურს.
- შენი ექიმიც იდიოტია?
- კი. შენიც?
- ჩემიც.
- ნათესავები იქნებიან.
- უყურეფ, კაკული?
- ღმერთმა ყველა ნატვრა აგისრულოს.
- ნუ იწყევლები, კაცო! რაც მე გულში ნატვრა მიდევს, ის რომ ყველა ამისრულდეს, მეც დავიღუპები და ქვეყანაც!
- ხომ არ არის სამყარო, ჩემო იადონო და ჩემო სამოთხის ჩიტო, ჩემი ემანაცია და ამდენად ყველა და ყველაფერი, რაც „ობიექტურად" არსებობს, ჩემი ორეული?
- ვერ გაგიგიათ, ქართველნო!... თუმცა სხვა რა გაგიგიათ!
- როდის ერთხელ ყოფილა მე ჩემი სიტყვა შემესრულებინოს! ვითომ პირველად გესმის!
- რას შვრებით, ხალხო, ამ ზონაში შონიას ფაქტორი არ მოქმედებს?!
- საიდან, საიდან? გაიმეორე!
- ჩრდილოეთიდან.
- იიფ! გენაცვალე ტკიცინა შუბლში!..
- ლაზღანდარებოო!
- გადამრევს ეს! რა უნდა რიკოთზე ბაგრატის ტაძარს! ბაგრატის ტაძარი ქუთაისშია. არა, ერმალო?
- ჩუთ!
- ატყოფ, კაკული?
- ჯერ სადა ხართ! სანატრელი გაგიხდებათ კომუნისტები!
- თფუი ეშმაკს!
ეშმაკიც სანატრელი გაგიხდებათ!
- მადმუაზელ!
- გვადმუაზელ!
- ხომალდი იძირება, ვირთხებო!
- აქედან რას გააგონებ!
- ექსკრემენტებოო!
- აგე, მფრინავი თეფშიცა!
- იუპიტერ პლანეტაზე სუპერგრიგალები ტრიალებენ და ყველაფერს ერთმანეთში ურევენ. აქაც ასე იყო, ვიდრე ამ ორომტრიალში სიცოცხლე არ შეიქმნა ერთი უჯრედის სახით. იცით, რამდენი ხანი გავიდა, სანამ ერთუჯრედიანი სიცოცხლიდან მრავალუჯრედიანი გან-

ვითარდა? ათასი წელი? ათი ათასი? მილიონი? არა. ოთხი მილიარდი. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლებოდა არც განვითარებულიყო. იქროლებდა და იქროლებდა ნეიტრალური გრიგალი: არც ბოროტი, არც კეთილი. ახლა იუპიტერის ჯერია და, თუ ზომები არავინ მიიღო, იქაც ამისთანა სიცოცხლე გაჩნდება.

- ჩახვთი?

- დედა, მოგვეჭრა თავი! დემეტრეე!..

## თავდაცვის კოცონები. კონსოლიდაციის ელექტრომაგნიტური ველი.

უფრო მნიშვნელოვანი ამბები ნაშუაღამევს მოხდა. მე შევეცდები ეს ამბები სქემატური ქრონიკის ჩარჩოში ჩავტიო და მხოლოდ ზოგადად მიმოვიხილო. გამოცდილებითა და დაკვირვებით ვიცი, რომ წვრილად აღწერა უმნიშვნელო ამბებს სჭირდება და არა მნიშვნელოვანს, ვინაიდან არსებითად ყველა ამბავი ერთნაირად მნიშვნელოვანია, ოღონდ ესაა, მნიშვნელოვანი ამბების მნიშვნელობა თვალსაჩინო ადგილასაა და ისედაც იოლი დასანახია, უმნიშვნელო ამბების მნიშვნელობა კი კულისებშია დამალული და ყურადღებით თუ არ მოიძიე, შეიძლება იფიქრო, რომ არც არსებობს, რაც არა მარტო მცდარი დასკვნაა, არამედ მომავალ დასკვნათა მცდარი წანამძღვარიც. მაშ ასე, ნაშუაღამევს რამდენიმე თვალშისაცემი ეპიზოდი მოხდა. პირველი ის იყო, რომ კლანი, რომელმაც სასადილოში მთელი სურსათ-სანოვაგე შეისყიდა, რათა მერე მონოპოლისტური მოგება ენახა, გაძარცულ იქნა. თავიდან, სროლა რომ ატყდა, - თუმც კი აქამომდელი კანტი-კუნტი სროლისაგან განსხვავებით ეს უფრო ინტენსიური და საქმიანი სროლა იყო - ამისთვის დიდი ყურადღება არავის მიუქცევია. ერთი მიხედვა კი მიიხედეს უკმაყოფილოდ, ერთი შეგინება კი შეიგინეს გაბეზრებული კილოთი, მაგრამ დაინტერესებით არ დაინტერესებულან. არ დაინტერესებულან მანამ, სანამ არ გაირკვა, რომ სწორედ ის ხალხი გაძარცვეს, ვინც ასე უდროო დროს მოინდომა სხვის ხარჯზე გამდიდრება. ეს რომ გაიგეს, გაიხარეს და ახმაურდნენ. იქამდე იხმაურეს, ვიდრე მომხდარი მაქსიმალურად ღრმად არ შეაფასეს და ეს შეფასება ლაკონურ ფორმულებად არ ჩამოქნეს, რომლებშიც კოდის სახით თავიანთი მსოფლმხედველობრივი, სოციალური და მორალური პორტრეტი ჩადეს. რამდენი ფორმულა შეიქმნა სულ, არ ვიცი. მე სამი დამახსომდა. ერთი იყო „ქურდის ქურდი ცხონებულია", მეორე „ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია სამართლიანი აქტია". რაც შეეხება მესამეს - „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალი არ არის" - ვფიქრობ, იგი ნაკლებად მიესადაგება ვითარებას და საერთოდ ეტყობა აქ რაღაც შეცდომა იქნა დაშვებული, რომლის ძებნას ახლა ნუ გამოვეკიდებით (თუ ვინმეს სურს, შეუძლია დამოუკიდებლად ეძიოს, ეს უფრო საინტერესოც იქნება). ერთი სიტყვით, დასკვნები გამოიტანეს. ნაძარცვი რა იქნაო, არავის უკითხავს. ნაძარცვი მაშინღა გაახსენდათ, როდესაც მეორედ ატყდა სროლა. ამჯერად ექსპროპრიატორთა ექსპროპრიატორები იქნენ ექსპროპრირებული. ხმა გავარდა, ერთი კაცი დაიღუპა, ოთხი დაიჭრაო, მაგრამ ამის შემოწმება შეუძლებელი იყო და დღემდე არ ვიცი, მართალია თუ ტყუილი! დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცი, რომ ამის შემდეგ ნაძარცვი საბოლოოდ გაქრა, რაც ძალზე უცნაურია და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მთელი ამ ამბის მღვრიე იდუმალებას. მართლაცდა, როგორც ცნობილია, ყოველდღიური და გამოყენებითი, ასე ვთქვათ, საერთო-სახალხო ბოროტება მიზეზშედეგობრიობის კანონს ემორჩილება, რაც ამ ჩვენს კონკრეტულ ეპიზოდში გარდუვალად გულისხმობდა ნაძარცვის შემდგომ რეალიზაციას, და თუ ასეთი ლოგიკური გარდუვალობა არ აღსრულდა, ბოროტებას ჯანსაღი გული ეცლება და გულგამოცლილი და ფორმალური, იგი იქცევა თვითმიზნად. თვითმიზნური ბოროტება კი დიაღაც მღვრიეა და იდუმალი.

სროლა რომ არ ამტყდარიყო, რიკოთი მალე ალბათ გლობალურად და მშვიდად დაიძინებდა უკეთესი ხვალეს მოლოდინში. მართლაც, თორმეტი საათისთვის თითქმის მთელი ხალხი მანქანებში იყო შეყუჟული და ირგვლივ სიწყნარე სუფევდა, რომელიც გარეშე თვალს შეიძლებოდა საამურიც კი მოჩვენებოდა. ვინ იცის, იყო კიდეც საამური. ყოველ შემთხვევაში, მკვიდრი ნამდვილად იყო და პირველმა სროლამ აკი ბევრი ვერაფერი დააკლო. მართალია ხმაური და გადაძახილ-გადმოძახილი კი შეიქნა, მაგრამ ეს მაინც ფორმალობა და ვალის მოხდა იყო, რომლის დროსაც ისე ნელა აღებდნენ მანქანების კარებს, ისე ტაატით გადმოდიოდნენ და საერთოდ ისე ზანტად ირჯებოდნენ, აშკარად ჩანდა სხეულში უკვე ჩაღედებულ ძილს უფრთხილდებოდნენ. შეწყდა თუ არა სროლა, წამსვე ისევ მანქანებს მიაშურეს. აი, მეორე სროლაზე კი მართლა

ეროვნული ბიბლიოთეკა



და საბოლოოდ გამოფხიზლდნენ. გამოფხიზლდნენ, მანქანებიდან გადმოლაგდნენ, გაბრაზდნენ, ალეგზნენ, ძილი გაუტყდათ და იმაშიც დარწმუნდნენ, რომ ამ გატეხილ ძილს იოლად ვეღარ გაამთელებდნენ. ხოლო რაკი გარეთ ბნელოდა და ციოდა (შესაძლოა სიბნელე და სიცივე მხოლოდ საბაბი იყო, სინამდვილეში კი რაიმე ზეგარდმო მითითება ჰქონდათ, რომლის შესახებ თავადაც არა უწყოდნენ რა), კოცონები დაანთეს. პირველი კოცონი ზემოთ გაჩნდა, ჩვენგან კარგა მოშორებით, და იქ ისეთი ხმაური და სიცილ-ხარხარი ატყდა, შეუძლებელი იყო დანარჩენებსაც არ მიებაძათ. და მართლაც სულ მალე მთელი ფერდობი კოცონებით მოიფინა.

მესამე პირის ფორმას რომ მივმართავ, ეს წმინდა გრამატიკული არჩევანია, თორემ მე და სალომეც ზუსტად ისევე ვიყავით ყოველივე ამის მოწმე და მონაწილე, როგორც სხვები. კერძოდ, თორმეტ საათზე ჩვენც მანქანაში ვისხედით. დაძინებით არ გვეძინებოდა, მაგრამ რაკი ციოდა, მანქანაში ყოფნა ვამჯობინეთ. სროლა რომ ატყდა, გადმოვედით. ოღონდ ეს არის, უმრავლესობისგან განსხვავებით, პირველი სროლის შემდეგ უკან არ შევბრუნებულვართ. მეორე სროლა რომ ჩათავდა, მაშინ კი ვაპირებდით შებრუნებას, მაგრამ აქ ჩვენი ყურადღება კოცონმა მიიპყრო. უფრო სწორად, კოცონმა სალომეს ყურადღება მიიპყრო - მე მაინცდამაინც არ ვგიჟდები კოცონებზე და საერთოდ ბავშობის შემდეგ ცეცხლთაყვანისმცემელი არასოდეს ვყოფილვარ. ეს - რაც შეეხება კოცონს ზოგადად როგორც ცეცხლს, როგორც სტიქიონსა და ელემენტს, კონკრეტულად აქ დანთებული კოცონები კი პირადად ჩემთვის მხოლოდ იმის ნიშანი იყო, რომ რიკოთმა შიშის საბანი გადაიხადა. ორგზის ატეხილი სროლის შემდეგ ასეთი განცხადება იქნებ უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, სწორედ სროლამ წარმოქმნა ჰაერის ის მძლავრი ტალღა, რომელმაც შიშის ღრუბელი დახია და გაფანტა. საქმე ის გახლავთ, რომ შიში სიბნელის საბანქვეშ იწვა და სიბნელეში ყოველი კაცი მარტო იყო შიშის წინაშე, ეს კი ძნელი გადასატანია. თანაც აქაურ შიშს, ბუნდოვანსა და იდუმალს, სახელი არ ერქვა და მიზეზი არ ჰქონდა. ასეთ შიშს მხოლოდ სავსე რწმენა თუ გაუმკლავდება, ხოლო საცა რწმენა არ არის, იქ ვერაფერი უმკლავდება გარდა კოლექტიურობისა. რიკოთმაც კოლექტიურობა დაუპირისპირა. კოლექტიურობის გრძნობა სროლამ გააღვიძა. და გადაიხადა რიკოთმა საბანი, წამოდგა, კოცონთა და ხმათა ქსელი გააბა და შიში ჩამოიბერტყა. და თუ ვინმე იტყვის კოლექტიურობა არის არა შიშის რეალური დაძლევა, არამედ ფსიქოთერაპია, რომლის მოქმედება დროებითიაო, მე ამ მოსაზრებას სავსებით გავიზიარებ, ოღონდ იმასაც გადაჭრით განვაცხადებ, რომ მასში საპყარი სოფიზმი მეტია, ვიდრე ჯანმრთელი ლოგიკა, ვინაიდან ქვეყნად ყველაფერი დროებითია. ჩვენი შეფერხებაც დროებითი იყო, ეს გაუვალი ღამეც დროებითი იყო, თავად რიკოთიც დროებითია და საერთოდ უდიდესი ნაწილი იმ შინაარსისა, რასაც სიტყვა „ნამდვილში“ ვგულისხმობთ, სიტყვა „დროებითშია“ თავმოყრილი, რის გამოც დროებითს - თუკი ჩვენს აზროვნებას პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს - ისე უნდა მოვეკიდოთ, როგორც მარადიულს.

კოცონის დანახვა სალომეს ძალიან გაეხარდა. შესაძლოა მისი ბავშობის უკეთეს მოგონებებში ჯერ კიდევ ენთო რომელიმე ძველი კოცონი და ახლა, იმ კოცონისა და ამ კოცონის მოულოდნელი შეხებით, დროთა კავშირი ამაღელვებლად საგრძნობი გახდა. ასე იყო თუ ისე, იმ ღამეს მე მრავალი კოცონის მოვლა მომიხდა, რაც, ვერ ვიტყვი, რომ მთლად დაუზარებლად, მაგრამ წუწუნის, ჩივილისა და ყვედრების გარეშე აღვასრულე.

გულახდილად რომ ვთქვა, არც მინანია. საქმე ისაა, რომ კოცონებთან მე ვიხილე ე. წ. „გარდასული დრო“ რომელიც თურმე - მე ეს აქამდე არ ვიცოდი - რეალურად არსებულა; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რეალურად არსებულა ჩვენი თანდაყოლილი - არ ვიცი, ეგებ დასაბამიერიც - რომანტიზმი. რომანტიზმი მოგონება ყოფილა და არა გამოგონება (რაც გარკვეულწილად ჩვენს მეორე თანდაყოლილ თვისებას, სანტიმენტალიზმს, ამართლებს). ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც აღგზნებულ გონებაზე ფაფუკი, ლბილი და საამო ღრუბელი მზრუნველ ბინდად შემოებურა, ამ ხალხისთვის ნათელი შეიქნა, რომ მთავარი იყო გვირაბი მხატვრულად გადალახულიყო, გადაილახებოდა თუ არა რეალურად, ამას მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა.

ფორმალური და ზედაპირული რეალობა, რაღა თქმა უნდა, არსად გაქცეულა და ყველაზე უფრო „ნამდვილი“, მკაფიო და თვალშისაცემი, რაც მე იქ ვნახე, იყო სმა, სიმღერა, ცეკვა-თამაში, ყაყანი. ღლაბუცი, ხუნტრუცი, სიცილი, ხორხოცი. თავდავიწყება, მაგრამ ამ ყოველდღიურობის შიგნით ამჯერად მკაფიოდ გამოჩნდა რაღაც უჩვეულო, აქამდე დამალული ნერვი, რომელიც ბოლოს და ბოლოს მიწვდა იდუმალ სიმებს და გარდასული დროის მიღმა

მარადიული დროის შეგრძნება გაალვიძა. და ისტორიის მდინარებაში კარგად გამობრძმედილი ეს ხალხი, ვინც სამყაროს იდუმალებათა შემმეცნებელი მთავარი სული ხანგრძლივი ძიების შემდეგ მუცელში ჰპოვა (რის გამოც ამა სოლიდურსა და ღრმა ორგანოს სხვა ორგანოებთან შედარებით დღეს გაცილებით უფრო დიდი ზომები აქვს, უფრო გაბერილია, უფრო დაჭიმული, უფრო მობუყბუყე და უფრო მგრძნობიარე), აქ ამ ზედროული კოცონების პირას ისეთივე თავდავიწყებით შეეხეტა საკუთარ ფანტაზიაში, როგორც მისი შორეული წინაპარი, რომელიც, როგორც წინაპრის წესია, მარტივად აზროვნებდა, გულუბრყვილოდ ენდობოდა ხატოვანსა და სურნელოვან შედარებებს და ასე ეგონა, სამყაროს იდუმალებანი მიწყივ ქმნადობაში იხსნებოდა და შემოქმედებაში მჟღავნდებოდა, ვითარცა ღმერთი გამჟღავნდა შესაქმეში. ასეთ დროს დონესა და ხარისხს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია - ქმნიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ შეეძლოთ (რა ვიცი, შეეძლოთ?) არ შეექმნათ. არ გეგონოთ, ოდას ვუძღვნიდე ვინმეს, მით უფრო მშობლიურ ტომს, რომელსაც მუდმივი ცრუ ორსულობა სჭირს. მე მხოლოდ გაკვირვება მინდა გამოვთქვა. პათეტიკის შესარბილებლად კი, ვფიქრობ, იმის თქმაც იკმარებს, რომ შემოქმედის ბუნებრივ ბრწყინვალებას აქ საკუთარი ვიზუალური მხარე - დაქვეითებული და შეუსაბამო - ერთიანად აქარწყლებდა და ანიორწყლებდა (არსებითად სწორედ ვიზუალური მხარეა ის, რით გამოც სკეპტიკოსებს რომანტიზმი გამოგონება ჰგონიათ და არა მოგონება. არც გაემტყუნებათ: განა იოლია ჭაობში მარგალიტის თვალი იპოვო!..

რადა ბევრი გავაგრძელო, მე და სალომემ კოცონების პირას წმინდა სახის შემოქმედება ვიხილეთ მაღალი ნაყოფიერების ჟამს, რამაც, სალომესი არ ვიცი და, ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ზოგიერთი დასკვნა (მათ შორის მსოფლმხედველობრივიც), რომელიც აქამდე მტკიცე და მყარი მეგონა, საფუძვლიანად მოარყია და გადასასინჯი გამიხადა. ნაყოფი ბევრი იყო და მრავალგვარი: დიდი და პატარა, მოსული და მოუსვლელი, სალი და ჭიანი, მოწყვეტილი და თავისით ჩამოვარდნილი, პრიალა და ხალებიანი... მე განზრახული მქონდა ყველა ისინი თქვენს სამსჯავროზე გამომეტანა, მაგრამ მერე - სულ ახლახანს - გადავიფიქრე. გადავიფიქრე არა იმის გამო, რომ, რამდენიც უნდა ვიყბედო, ბიძაჩემს მაინც ვერ გავუტოლდები (თუმც კი გასაჩუმებლად ესეც საკმარისი საბუთი უნდა იყოს), არამედ იმის გამო, რომ საჭიროა ბოლოს და ბოლოს გავაღწიოთ ამ გვირაბს, გავცდეთ ბნელ ვიწროებს, გავიდეთ ხვრელიდან, შემოვიხსნათ კოლექტიური სალტე - თუნდაც გარსი ვთქვათ (არა მგონია კი სწორი იყოს) - გავიდეთ სინათლეზე, ამოვისუნთქოთ, წელში გავიმართოთ, თვალს შვება მივცეთ, ქვეყნიერების ყურე-მარეს მაღალი ბექობიდან გადავხედოთ და ისეთ მინდორზე შევაბიჯოთ, რომელსაც ბოლო არ უჩანს, და თუნდაც „სინამდვილეში“ და „ობიექტურად“ კი ჰქონდეს ბოლო, რაკი არ უჩანს, ამ „სინამდვილესა“ და „ობიექტურობასაც“ იმოდენა ფასი აღარ ექნება... მაგრამ ვისაც გასვლა უნდა, ჯერ უნდა შევიდეს. აი, ლოგიკა და ძაღლის თავი, რომელიც ყარს! ვინც არ შევა, ვერ გავა. მხოლოდ მასა აქვს გასვლის შანსი, ვინც შევა. რომ გავიდეთ, უნდა შევიდეთ. შევიდეთ და გავიდეთ... ვითარცა ღვინო შლანგში და ღვინო შლანგიდან, კვამლი ბუხარში და კვამლი ბუხრიდან, გველი ხვრელში და გველი ხვრელიდან, ტყვია ლულაში და ტყვია ლულიდან, დენი მავთულში და დენი მავთულიდან, ტყვე დილეგში და ტყვე დილეგიდან, პეპელა პარკში და პეპელა პარკიდან, მთვარე ღრუბლებში და მთვარე ღრუბლებიდან, ამირანი გველეშაპის სტომაქში და ამირანი გველეშაპის სტომაქიდან, სიცოცხლე საშოში და სიცოცხლე საშოდან, სული სხეულში და სული სხეულიდან... შევიდეთ და გავიდეთ ვიდრე ობი არ მოგვკიდებია...

ამის მიზეზის, აგრეთვე ზოგი სხვა - ასეთივე ჯანსაღი და პრაქტიკული - მოსაზრების გამო აქ არ შევეხები ყველა კოცონს, რომელთა შუქზე ჩვენ ზეგარდმო კაკალს ამქვეყნიური ფანტაზიის ჭოკი დავცხეთ და ისე საქმიანად ჩავეფალით შემოქმედებით თავდავიწყებაში, უკვე ვეღარ ვარჩევდით, სად საგანი იყო და სად საგნის ჩრდილი, მხოლოდ ერთ მათგანზე - უფრო კრებსითზე, ვიდრე ცალკეულზე, უფრო წარმოსახვითზე, ვიდრე რეალურზე, უფრო ზოგადზე, ვიდრე კონკრეტულზე - შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ეს აუცილებელია და ამ აუცილებლობის დასამტკიცებლად სამი ისეთი საბუთი მაქვს, ცალ-ცალკეც კი სამივე საკმარისი იქნებოდა. ერთი - ყველა უცნობი, ვისთანაც აქ შემთხვევამ და ვითარებამ წამიერად შემახვედრა და მცირე ინტერესი მაინც დამიტოვა, ამ კოცონის პირას ვნახე თავმოყრილი. მეორე - ამ კოცონის პირას იყო გულისგული და ცენტრისცენტრი იმ უმთავრესი თემისა (შესაძლოა უმთავრესი ძარღვისაც), რომელმაც შუქის ძაფებით ქსელი გააბა, კოცონები ერთმანეთთან ფარული, მაგრამ მტკიცე კავშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირით დააკავშირა და ეს კავშირი ფერდობს საყრდენად შეუდგა, რითაც წამით ის უცხო ნატვრისთვალი გამოაჩინა, რომელსაც ეს ხალხი ყოველთვის ისე ეძებდა (და დღესაც ისე ეძებს), არც კი იცოდა (და დღესაც არ იცის), მართლა არსებობს თუ არა. და მესამე - ის მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი დამღა, რომელიც ცისა და მიწის იღბლიანი კონტაქტით დანთებულ ყველა კოცონში - მაშინდელშიც, მანამდელშიც, მერმინდელშიც - მეტ-ნაკლები სიცხადით მოჩანს, როგორც გული იდეა, როგორც დვრიტა, როგორც მარადისობის ნიშანი, განსაკუთრებით მკაფიოდ და ხელშესახებად სწორედ ამ კოცონის პირას გამოჩნდა.

ასე და ამგვარად -

## უფლისწული და გველეშაპი (კლასიკური დაპირისპირება)

ოდესღაც, უდროო დროში, უჟამო ჟამსა და უხანო - ხანაში, როცა არც წამები იყო, არც წუთები, არც საათები, არც დღეები, არც კვირეები, არც თვეები, არც წლები და არც საუკუნეები, იყო ერთი საუცხოო ქვეყანა, რომელსაც მორჭმული და დიდებული ხელმწიფე განაგებდა. ხელმწიფე თავისი სახლეულით, ნაზირვეზირებით, მსახურებით, მცველებითა და მთავარი სახელმწიფო მრჩევლებით თვალშეუდგამსა და ხელთუქმნელ სასახლეში ცხოვრობდა, რომელიც სპეტაკი ბროლით იყო ნაგები და ახალშობილი მზის მეწამული სხივებით შედუღაბებული. ბროლის სასახლეში ხელმწიფეს ერთი ელვის ტახტი ედგა; იმ ტახტზე რომ დაჯდებოდა და აქეთ-იქით დედოფალსა და უფლისწულს მოისვამდა, მის ნახვას არაფერი სჯობდა. სასახლეს ირგვლივ ფერუთვალავი ბაღი ერტყა. რას ინატრებდი, სულო და გულო, რომ იმ ბაღში აურაცხელ და ულევ სახედ არ ყოფილიყო! რიგი მცენარე ჯერ სულ ახალი ამოწვერილი იყო, რიგი უკვე აღმოცენებული, რიგი ნორჩი და რიგი ზრდადასრულებული, რიგი დაკვირტული და რიგი გაფოთლილი, რიგი აყვავებული და რიგი მსხმოიარე, რიგი მკვახე და რიგი შეთვალული, რიგი მწიფე და რიგი სიმწიფით ჩამოცვენილი, რიგი ახლადგაღივებული და რიგი უკვე ამოწვერილი... ალაგ გაზაფხული იდგა იმ დალოცვილ ქვეყანაში, ალაგ ზაფხული, ალაგ შემოდგომა, ალაგ ზამთარი, ალაგ იანვარი იყო, ალაგ თებერვალი, ალაგ მარტი, ალაგ აპრილი... ალაგ ორშაბათი, ალაგ სამშაბათი, ალაგ ოთხშაბათი... რაღა ბევრი გავაგრძელო, მზე იმ ქვეყანას არ აკლდა და ჩრდილი, სიმშრალე და სინოტივე, სითბო და სიგრილე. მტრობა არ იცოდა იქაურმა ხალხმა რა იყო, სიძულვილი და შური, შიმშილი იმათ არ აწუხებდათ და წყურვილი. ცხოვრობდნენ სიამტკბილობით, არც არა ენატრებოდათ, არც არა ედარდებოდათ...

ხელმწიფის პატარა ვაჟმა, სხვა მისი კბილა გოგო-ბიჭების დარად, ბავშვობა ლაღად და მხიარულად გაატარა, მერე კი მამამ გასაწვრთნელად საუკეთესო ოსტატები მოუწვია, ოსტატები ცოდნას და გამოცდილებას არ იშურებდნენ და უფლისწულიც ყველაფერს ბეჯითად და დაუზარელად სწავლობდა.

მაგრამ იმ ბედნიერ ქვეყანას უეცრად ერთი უნახავი და გაუგონარი სენი შეეყარა: ჯადოსნურმა ბაღმა, თითქოს წყალი დააკლდაო, ჭკნობა დაიწყო და ადამიანებმა, თითქოს ლოდი დააწვათო, ქედზე სიმძიმე იგრძნეს. ხელმწიფემ, რაც კი იმ მხარეში გამოჩენილი სწავლული, მეცნიერი, მისანი და ვარსკვლავთმრიცხელი იყო, ყველა სასახლეში დაიბარა და მიზეზი ჰკითხა. იმათაც, რა ყოველივე კარგად, გამოწვლილვით გაჩხრიკეს, ერთხმად მოახსენეს, შენი სახელმწიფოს გადაღმა სამყაროს ნაპრალი გასჩენია, საიდანაც შხამი ჟონავს, და ქვეყნის დასნეულების მიზეზიც ეს არისო. რა უშველსო? იკითხა ხელმწიფემ. გმირი ჭაბუკი უნდა წავიდეს და, როგორც იქნება და არ იქნება, ის ნაპრალი დაგმანოსო, მიუგეს. ოღონდო, დასძინეს, ასეთი საბედისწერო და პრობლემატური ნაპრალის დაგმანვას მხოლოდ ისეთი გმირი შეძლებს, ვინც ჭეშმარიტად ძალგულოვანია, ჭეშმარიტად ზნესრული და ჭეშმარიტად გამჭრიახიო. იმ ქვეყანაში სულ დარჩეული და შემკული ვაჟკაცები ცხოვრობდნენ, ძალგულოვანიც ბევრი იყო მათ შორის, ზნესრულიცა და გამჭრიახიც. ბევრმა მოიწადინა წასვლა და წავიდნენ კიდეც, მაგრამ საუბედუროდ, ვინც წავიდა, ყველა უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მათი მნახველიც კი აღარავინ გამოჩენილა. ეს იმიტომ მოხდა, რომ, თუმც კი ბევრი მათგანი ძალგულოვანი იყო, ბევრი ზნესრული და ბევრი გამჭრიახი, ისეთი არავინ ყოფილა, სამივე ეს თვისება ერთად ჰქონიყო. ხელმწიფე კი წუხდა და დარდზე დარდი ემატებოდა, აღარ იცოდა რა ექნა და რითი ეწამლა ქვეყნისთვის. ამასობაში უფლისწული წამოიზარდა და უბადლო ვაჟკაცი დადგა. მკლავიც ისე უჭრიდა, გულიცა და გონებაც, რომ მის ტოლსა და სწორს იმ არემარეზე ვერავის იპოვიდით. ხელმწიფემ, რა ნახა მისი ვაჟი ძალგულოვნებითაც ყველას სჯობნიდა, ზნესრულობითაც და გამჭრიახობითაც, გუნებაში თქვა, ჩანს ამის ხვედრი ყოფ-

ილა ეს დიდი გამოცდა, ამ ქვეყანას სხვა ვერავინ იხსნისო, და თუმც კი ძალზე უმძიმდა ერთადერთი შვილის ესოდენ სახიფათო საქმეზე გაშვება, წამით არ შეყოყმანებულა და, როდესაც უფლისწულმა გამოჩენილ ოსტატებთან წვრთნა გაასრულა, გამოსაცდელად და მოსამზადებლად თავისი ბრძენთაბრძენი აღმზრდელი მიუჩინა, ყველაზე მახვილი თვალის, ყველაზე მჭრელი ენის, ყველაზე ძალუმი გონებისა და ყველაზე ჩვილი გულის პატრონი, რომელსაც - უნდა ესეც ვთქვათ - წინასწარ საიდუმლოდ მოეთათბირა. მოძღვარი ძალზე მოხუცი იყო, სულ მთლად თეთრი თმა-წვერი ჰქონდა და უამრავი არაკი იცოდა, რომლებსაც საღამოობით უფლისწულს უამბობდა ხოლმე.

„ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, შენი სამემკვიდრეო საუფლოს გადაღმა, სადაც სინათლე შედედებულია და არსი დამურკლული, იწყება გაუმჭვირვალე მხარე, რომელშიაც ყველაფერი, რაც არის, განფენილია და ნაწილებისგან შედგება, და არა არის რა ისეთი, განფენილი არ იყოს და ნაწილებისგან არ შედგებოდეს. იმ დაუჯერებელ მხარეში მრავალი დაუჯერებელი ქვეყანაა და ყოველ მათგანში დაუჯერებელი ხალხი ცხოვრობს, რომლებსაც ერთმანეთი - კარგად მიატანე გულისხმა - უყვართ და სძულთ. დარწმუნებით იმის თქმა, მართლა არსებობს თუ არა ეს მხარე, ძნელია, ვინაიდან, იქაურობა ვეება მდინარითაა დაფარული, რომლის ულმობელი ტალღები დიდი სიჩქარით მიქრიან არარსებობის თავდაღმართში და, რაც კი არსებობს, ყოველივე თან მიაქვთ, რის გამოც ყველაფერი, რაც არსებობს, არსებობს კიდეც და იმავდროულად და არც არსებობს...“ - ასე იწყებდა თხრობას ბრძენი მოძღვარი და მერე სხვანაირად აგრძელებდა იმისდა მიხედვით, თუ რომელი არაკის მოყოლას აპირებდა. არაკები კი მუდამ სევდიანი იყო. მათ მოსმენაზე უფლისწულს თვალზე ცრემლი აღგებოდა ხოლმე და გული ყელში ებჯინებოდა. ერთი არაკი, რომელსაც სახელად „ოსტატი“ ჰქვია, მას შემდეგ, რაც შესავალი ისე ჩაათავა, როგორც ზემოთ ვთქვი, მოძღვარმა ასე განაგრძო:

„იმ დაუჯერებელ მხარეში, სხვათა შორის, ერთი ისეთი ქვეყანაცაა, სადაც კაცისკვლა რა არის, დიდხანს არ იცოდნენ. არავინ არავის კლავდა და ყველა მაშინღა კვდებოდა, როცა ჟამი მოუწევდა. ჟამი კი ზოგჯერ იგვიანებდა. ეს რომ იმ მხარის დიდმა ხელმწიფემ გაიგო, ძლიერ განრისხდა: მაშ რიღასთვის შემოვიღეთ ეს კაცისკვლის კანონი, თუკი არ შესრულდებაო?! საჩქაროდ მოიწვია ნაზირ-ვეზირები, მწიგნობრები, მისნები, მოგვები, მჩხიბავები, ვარსკვლავთმრიცხველები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და ბჭობა გამართა. ყველამ რაღაცა თქვა. ერთნი ურჩევდნენ, სხვა ქვეყნებში შევარჩიოთ გამოცდილი, ერთგული და პატიოსანი მკვლელები და მაგ ქვეყანაში ჩავასახლოთ, რათა მათი ხელით დამყარდეს სათანადო წესრიგიო. მეორენი ურჩევდნენ, პირიქით, ეგ უქმური და უსაქციელო ხალხი ავყაროთ და მცირე-მცირე გუნდებად, ისე რომ ვნება ვერავის მიაყენონ, დანარჩენ ქვეყნებში მიმოვფანტოთო. საზოგადოებრიობის წარმომადგენლები კიდევ უფრო შორს წავიდნენ: სულ გადავბუგოთ, მაგის რჯული კი დაიქცეს და მაგის ლდინი კი ამოვარდეს, ქვეყნიარებას ამით ბევრი არა დააკლდება რა, სამაგიეროდ, მომავალი ურჩები და მუზმუზელები აქედანვე მიეჩვევიან კანონისა და ჩვენი საყვარელი ხელმწიფის პატივისცემასო. ხელწიფემ ყურადღებით მოისმინა ქვემევრდომთა ყველა თათბირი, მაგრამ არც ერთი არ დაუჯდა ჭკუაში. თქვენთვის იოლია ლაპარაკიო, ბრძანა, თქვენ ოღონდ საქმე ფორმალურად მოაგვაროთ და მეც კუდი გამისწოროთ, სხვა არა გენაღვლებათ რა, მე კი ხელმწიფე ვარ და მეტი მომეთხოვება. მე ის მწადიან, რომ ჩემმა მოქალაქეებმა, რომლებიც შვილებად მიმაჩნია, არა მარტო აღასრულონ კანონები, არამედ იგუონ კიდეცო. მაშინ წინ წამოდგა. დიდი ვეზირი, კაცი ბრძენთაბრძენი და სწავლულთსწავლული, სათნოების დიდი მაგისტრი და მკვლელობის საქმეთა განთქმული ოსტატი და ხელმწიფეს მოწიწებით მოახსენა: დღესაც, ისე როგორც გუშინ, გუშინწინ, იმის წინ და მუდამდღე, შენთა დიდთა ბაგეთაგან ჭეშმარიტების თაფლი და ნექტარი გადმოედინება. ეს საქმე ისეთი საქმეა, აზრით და შეგნებით უნდა გავიმარჯვოთ, თორემ მორალურად მუდამ დამარცხებული დავრჩებით. თუ ჩემს თათბირს შეისმენ, ისა სჯობს, იმ წვრილი ხელმწიფის ვაჟი აქ მოიწვიო და გასაწვრთნელად მე მომაბარო. მართალია, სიბერის გამო ეს საქმე უკვე მიტოვებული მაქვს, მაგრამ რაკი ქვეყანას სჭირდება, ერთხელაც შევიცვლი გადაწყვეტილებას, ამით ბევრი არა დამავდება რა. შვიდი თვე მომეცი. შვიდ თვეში, სულ რომ კუნძი იყოს - აგერ შენ, აგერ მე და აგერ ჩემი ულვაში - ისეთ ჩინებულ მკვლელად ჩამოვქნი და ჩამოვაქანდაკებ, არავისგან არ დაიწუნებოდეს, მერე კი, გაწვრთნას რომ მორჩება, - უკანვე დავაბრუნოთ, რათა, რასაც აქ ისწავლის, იქ თავის თანამოძმეებს ასწავლოსო. ხელმწიფეს მოეწონა დიდი მაგისტრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათბირი. მართლაც, სულ მალე იმ პატარა, მაგრამ ურჩი ქვეყნის ყმაწვილი უფლისწული მთავარ სატახტო ქალაქში ჩამოიყვანეს და მკვლელობის საქმეთა განთქმულ ოსტატს გასაწვრთნელად მიაბარეს. გამოცდილმა ოსტატმა მცირედით დაიწყო, როგორც ამას იმდროინდელი პედაგოგიური აზრიც მოითხოვდა. ჯერ ჭიანჭველების სრესა აჩვენა, მერე ბუზების ხოცვა, მერე ხოჭოების, მერე ჩიტების, გოჭ-ინდაურის, მსხვილფეხა პირუტყვის, მონების, ტყვეების, ქალების... და აჰა, ბოლოს ადამიანსაც მიაღწია. მაგრამ შეგირდი ჯიუტი და ჩლუნგი გამოდგა. მის თავში არაფერი შედიოდა: რაღა არ აჩვენა გამოცდილმა ოსტატმა - ჩამოხრჩობაც აჩვენა, თავის მოკვეთაც, წყალში დახრჩობაც, ხელით გაგუდვაც, ცხენის ძუაზე გამობმაც, ცოცხლად მიწაში დამარხვაც, აკუწვაც, შანთით ნელ-ნელა, დაგემოვნებით დადაღვაც, კოცონზე სწრაფდაწვაც... მეომრის სიკვდილიც აჩვენა, მშვიდობიანი მოქალაქისაც, ბავშვის, მოხუცის, ახალგაზრდის, მდიდრის, ღარიბის, ბედნიერის, უბედურის, მეცნიერის, პოეტის, სახელმწიფო მოხელის, ნეფე-დედოფლის სიკვდილი აჩვენა ქორწილის ღამეს, ფეხმძიმე ქალის სიკვდილი აჩვენა, ჩვილის სიკვდილიც აჩვენა დედის თვალწინ... ყველაფერი აჩვენა, მაგრამ შეგირდზე არაფერმა იმოქმედა. მხოლოდ გული ერეოდა და ირგვლივ ყველაფერს თხვრიდა, გაწვრთნისა კი არა ეტყობოდა რა. პირველ ხანებში ოსტატი იხტიბარს არ იტეხდა. სწავლების მრავალი ხერხი იცოდა და იმედი ჰქონდა, რომელიმე მაინც გაჭრისო. მაგრამ დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს, შეგირდი კი ისევ ისეთი უბირი და უსწავლელი იყო. ამასობაში დათქმული ვადაც გავიდა და ხელმწიფემ ოსტატს პირობა შეახსენა. ოსტატმა უთხრა: ყველა ხერხი ვცადე - რიცხვით სულ ცხრაას სამოცდაექვსი - მაგრამ ჯერჯერობით ვერას გავხდი. ახლა ერთი ხერხი დამრჩა, რომელიც ფსიქოლოგიურია. შვიდი დღე კიდევ მომეცი, რომ ეს ბოლო ხერხიც ვცადო, და თუ მაინც არა გამოვიდა რა, ჩანს ოსტატად არ ვვარგებულვარ და რაც გინდა, ის მიყავიო. კარგიო, ბრძანა მოწყალე და დიდბუნებოვანმა ხელმწიფემ და შვიდი დღე კიდევ მისცა ოსტატს. წამოვიდა მაშინ ოსტატი, მოვიდა თავის სასახლეში და შეგირდს ეუბნება: ჩემო სულიერო შვილო, ამ შვიდი თვის განმავლობაში ყველა ხერხი ვცადე - რიცხვით სულ ცხრაას სამოცდაექვსი - მაგრამ ვერა შევასმინე რა. ღმერთია მოწამე, არ მინდოდა ცხრაას სამოცდამეშვიდე ხერხისთვის მიმემართა, რომელიც, გარდა იმისა, რომ ძალისმიერია, იმითაცაა განსაკუთრებული, რომ, თუ სხვა ცხრაასსამოცდაექვსი სათუოა, ეს უთუო და უტყუარია, მაგრამ რა ვქნა, რომ მეტი გზა არ დამიტოვეო. ეს უტყუარი ხერხი - თან მოემზადე, ვინაიდან დრო აღარ ითმენს - ასეთია: შვიდი დღის განმავლობაში მე და შენ მთავარი ჯურღმულის შუალა საკანში ვიქნებით ჩაკეტილი, სადაც ქვესკნელის იდუმალი ძალები პარპაშობენ, რომელთა არნახული ჯადოქრობით ჩემი მღვრიე და ძლიერი სული ნელ-ნელა ჩემი სხეულიდან შენს სხეულში გადმოვა, იქიდან შენს ნორჩსა და უმანკო სულს გამოდევნის და მის მაგიერ თვითონ ჩასახლდება. ეს დიდი გადატუმბვა სწორედ შვიდ დღეში დასრულდება და შვიდი დღის შემდეგ ჩემი სულის ნებით, რომელიც უკვე შენი სული იქნება. პირველ საზეიმო მკვლელობასაც ჩაიდენ. ახლა კი ვიჩქაროთ, თორემ ჩემი აღსასრულის დღე მოახლოებულია. მანამ რომ მოვკვდე, სანამ ჩემი სული შენს სხეულში საბოლოოდ გადმოსახლდება, ეს ბოლო ხერხიც უქმად ჩამივლის და საქვეყნოდ თავი მომეჭრებაო. ესა თქვა ოსტატმა და ფერდაკარგული შეგირდი სარდაფქვეშ ერთ ბნელსა და ღრმა ხაროში ჩაიყვანა, სადაც ნესტი და სიცივე იყო. ნესტისა და სიცივის მეტი - თუ მიწურ იატაკს არ ჩავთვლით, მიწურ კედლებსა და მიწურ ჭერს - იქ სხვა არა იყო რა. ოსტატმა კარი ჩაკეტა და კუთხეში დაჯდა, ფერხთით შიშველი ხმალი დაიდო, თვალი დახუჭა, თავი ჩაკიდა, დაიწყოო, თქვა და გაირინდა. შეგირდი დამფრთხალი უყურებდა. ცოტა ხნის შემდეგ მართლაც იგრძნო, თითქოს რაღაც უხილავი ძალა ტანზე შემოეკრა და უბეში ცივი ქარივით მიუძვრებოდა. ძალიან შეშინდა შეგირდი, აღარ იცოდა რა ექნა. არადა, ატყობდა, რომ, რაც დრო გადიოდა, იმ ცივი და უცხო ძალით თანდათან მთელი სხეული ევსებოდა. მეექვსე დღეს ყველა იმედი გადაეწურა და სასოწარკვეთილი მწარედ ატირდა. ნუთუ ხვალ მკვლელი გავხდები და ამ საშინელ ხელობას ჩემს საბრალო ხალხსაც ვასწავლიო? ფიქრობდა გულდათუთქული (აბა მან რა იცოდა, თუ პროგრესი რა არის!) და საკანში გაშმაგებით მიმოდიოდა. ბევრი იარა ასე წინ და უკან თუ ცოტა, ბოლოს, ის დღეც რომ მიიწურა, უეცრად ოსტატის ნათქვამი გაახსენდა - მანამ რომ მოვკვდე, სანამ ჩემი სული შენს სხეულში გადმოსახლდება, ეს ხერხიც უქმად ჩამივლისო. მაშინ ღრმად და გულოვნად გაიფიქრა: თუ ეს ოსტატის უკანასკნელი და უტყუარი ხერხია, მაშ მეც დამრჩენია ჩემი უკანასკნელი და უტყუარი ხერხიო! ეს გაიფიქრა, ერთი ფრთხი-

ლად მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მითვალთვალებსო, მერე ფეხაკრეფით მიუახლოვდა თვალდახუჭულ ოსტატს, მის ფერხთით დაგებული შიშველი ხმალი აიღო, ზე აღმართა, კიდევ ერთხელ გაიფიქრა ღრმად და გულოვნად, არა და არა, მე შენ მკვლელად ვერ მაქცევო, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაჰკრა. ოსტატის თავი ორად გაიპო. მაშინ ოსტატმა გაპობილი თავი ასწია, თბილად და სევდიანად შეჰღიმა შეგირდს და მისუსტებული ხმით უთხრა: აკი გეუბნებოდი, ჩემო სულიერო შვილო, ეს უკანასკნელი ხერხი უთუო და უტყუარია-მეთქი! საზოგადოდ - ეს ოდესმე საჯაროდაც გამოცხადდება რომელიმე გამოჩენილი მოძღვართმოძღვრის პირით - ადამიანი განა რასმე სწავლობს! ადამიანი მხოლოდ იხსენებს იმას, რაც იმთავითვე იცოდა და მერე დაავიწყდა... მაშ დამილოცნიხარ. ვინძლო შენი ცოდნა წარმატებით მოახმარო შენს ხალხს. მე კი სიკვდილის ღმერთს, როგორც კი პირადად ვნახავ, სასოებით შევთხოვ, რომ ამ უკანასკნელი ხერხის გამოყენება დიდხანს არ დაგაჭირვოსო. ესა თქვა ოსტატმა და მშვიდად განუტევა ვალმოხდილი სული“.

ასე დაასრულა ბრძენმა მოძღვარმა ეს არაკი და, რა დაინახა, უფლისწულს თვალზე ცრემლი მოადგა და გული ყელში მოებჯინა, მეორე არაკი, რომელსაც „დიდებული“ ჰქვია, შესავლის შემდეგ ასე განაგრძო:

„იმ დაუჯერებელ მხარეში, სხვათა შორის, ორი ისეთი ქვეყანაცაა, რომელთაგან ოდესღაც ერთი მშვიდობისმოყვარე იყო, მეორე კი ომისმოყვარე. ოღონდ აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ, რაკი ის მხარე ერთ ადგილას კი არა დგას, არამედ დროის ყოვლისწამლეკ მდინარეშია და მასთან ერთად მიედინება, მშვიდობისმოყვარე ქვეყნები იქ მხოლოდ შეფარდებითად არიან მშვიდობისმოყვარენი და ომისმოყვარე ქვეყნებიც მხოლოდ შეფარდებითად არიან ომისმოყვარენი. ასეა თუ ისე, ომისმოყვარე ქვეყანას მშვიდობისმოყვარე ქვეყანა დაპყრობილი ჰყავდა, დიდძალ ხარკს ართმევდა და სხვაფრივაც ძალზე ავიწროებდა. დიდხანს ითმინა ჩაგვრა და ძალმომრეობა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის ხალხმა, დიდხანს აძლია ხარკი დამპყრობელს და ბოლოს, მოთმინების ძაფი რომ გაუწყდა და მისაცემიც აღარა ჰქონდა რა, იმ ქვეყნის სახელოვანი და მამაცი შვილები საიდუმლოდ შეიყარნენ და ერთმანეთს შეჰფიცეს, ან ყველანი დავიხოცოთ, ან ქვეყანა მონობისგან ვიხსნათო. მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ადვილია, აღსრულება კი ძნელი. და რომ აღსრულება გაადვილებოდათ, ერთი ჩინებული ხერხი მოიფიქრეს: ქვეყნის უკეთეს ვაჟკაცთაგან აარჩიეს ერთი დიდებული - ყველაზე მამაცი, ყველაზე ერთგული და ყველაზე თავდადებული - და, ვითომ განდგომილი და საკუთარი ხალხის მოღალატე, დამპყრობთა ბანაკში მოხერხებულად შეაპარეს. დამპყრობლები შეთქმულებს ეშმაკობას ვერ მიუხვდნენ, დიდებული პატივით მიიღეს და ღალატის საფასურად მაღალი თანამდებობაც მისცეს. დიდებული ერთხანს მართლაც კეთილსინდისიერად ცდილობდა შეთქმულების ქსელი გაება მტრის ბანაკში, მაგრამ მერე და მერე, ხანი რომ გამოხდა და ცხოვრებას გემო გაუგო, თანდათან გაუტკბა ზემდგომთა უხვი წყალობა და ქვემდგომთა ქლესა მორჩილება, გაუტკბა ფუფუნება და განცხრომა, მოვალეობაც მიავიწყდა, ფიციც, ქვეყანაც, ხალხიც, ნათესავებიც, მეგობრებიც და ბოლოს, უკვე სულით ხორცამდე გადაგვარებულს, მარტო იმის შიშიღა ჰქონდა, ვაითუ გამიგონ, რომ თავდაპირველად ავი განზრახვით ვიყავ შემოპარულიო, და თავი გამაგდებინონო. ბევრი იფიქრა ამ საშიშროებაზე თუ ცოტა, ადგა და ქვეყნის ხელმწიფეს მოახსენა, ერთგულმა კაცებმა ჩუმად ამბავი მომიტანეს, თურმე შენს წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებაო, და შეთქმულთა ვინაობაც ჩაუკაკლა. ომისმოყვარე ხელმწიფესაც მეტი რა უნდოდა! მყისვე ყველა შეთქმული შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა. მერე იფიქრა, ამ კაცზე ერთგულს სხვას ვერავის ვიპოვი, თანაც საკუთარი ხალხის სისხლში აქვს ხელები გასვრილი და აბა საკუთარი ხალხის სისხლს როგორ ჩამოირეცხავსო, და მოღალატე დიდებული მშვიდობისმოყვარე ქვეყნის ხელმწიფედ დაადგინა. მართლაც, ახალი ხელმწიფე თითით საჩვენებელი გამოდგა: ხარკს მუდამ დროულად და კეთილსინდისიერად იხდიდა, დღენიადაგ დამპყრობთა ძლიერებას შესთხოვდა ღმერთს და ერთთავად მათი ხელმწიფის მზეს ფიცულობდა. მართალია, რაკი თავის ხალხს კარგად იცნობდა, სულ იმის შიში ჰქონდა, ემანდ აჯანყება არ მომიწყონო, მაგრამ ფხიზლად იყო და ჯაშუშებსა და ჯალათებს დიდ ჯამაგირს აძლევდა, ამიტომ არა შემთხვევაია რა, დიდხანს იცოცხლა და სიკვდილამდე სახელოვნად იმეფა“.

უფლისწულს რომ ამ არაკის გაგონებაზე ცრემლი მოერია და გული ყელში მოებჯინა, ბრძენმა მოძღვარმა შესავალი სწრაფად ჩაათავა და მესამე არაკი, რომლის სახელწოდებაა „ორეული“, ასე განაგრძო:

„იმ დაუჯერებელ მხარეში, სხვათა შორის,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთი ისეთი ქვეყანაცაა, სადაც ერთ დროს წესი იყო, ხელმწიფეს, გარდა პირად მცველთა დიდი გუნდისა, ორეულიც უნდა ჰყოლოდა და, როცა საჯაროდ სადმე გამოჩენა დასჭირდებოდა, წინ ეს ორეული გამოეშვა, რათა ვინიცობაა ვინმეს ბოროტება რამ გარეზრახა, ხელმწიფის მაგივრად ის შერჩენოდა ხელთ... იმ ხანად ტახტზე მოხუცი ხელმწიფე იჯდა, რომელსაც ერთადერთი ვაჟი ჰყავდა. ვაჟი რომ წამოიზარდა, მამამ გადაწყვიტა ხელმწიფობა მისთვის გადაელოცა. ასეც მოიქცა. ოღონდ, ვიდრე ტახტზე დასვამდა, წესისამებრ ჯერ ცოლი მოჰგვარა - მეზობელი ხელმწიფის მზეთუნახავი ქალი - და ორეული უშოვა, რომელიც თუმც კი წარმოშობით მდაბიო იყო, გარეგნულად მართლაც რომ გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა უფლისწულს. ამის შემდეგ ვაჟი აკურთხა და გვირგვინი თავისი ხელით დაადგა ჭაბუკი ხელმწიფე კეთილი იყო, სამართლიანი, ღვთისმოსავი და მიმნდობი. დედოფალი ავხორცი იყო, ავთვალი, ავგული და ავზნიანი. ორეული შურიანი იყო, ღრჯო, ვერაგი და დაუნდობელი. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მალე დედოფალმა და ხელმწიფის ორეულმა ერთმანეთი შეიყვარეს. ხელმწიფეს არა გაუგია რა. ერთხანს რომ ყვარობდნენ ერთიმეორეს, ესეც აღარ იკმარეს და ახლა ტახტიც მოინდომეს. ჩუმად მოითათბირეს, მზაკვრული გეგმა დააწყეს და საქმეს შეუდგნენ. მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ხელმწიფესთან ერთად სალაშქროდ გაემგზავრა, ორეულს მოხერხებული შემთხვევაც მიეცა და ბრძოლის არეულობაში ხელმწიფე მუხანათურად მოკლა. მერე, ვითომ თავად იყო ხელმწიფე, ლაშქარი შეჰყარა და გამოუცხადა: თანამებრძოლნო! აჰა, დაეცა ბრძოლის ველზე ჩემი ერთგული და თავდადებული ორეული. ჩემს განსაგმირად აღმართულ მახვილს მან თავისი დიდი და ძალუმი მკერდი შეუშვირა, რითაც მე სიცოცხლე გამიხანგრძლივა, თავად კი უკვდავება მოიპოვაო. ტლუ და უეშმაკო მოლაშქრეებს ეჭვი არ გასჩენიათ, რომ, რაც გაიგონეს, ყველაფერი მართალი იყო, მაგრამ აბა დედ-მამას რა გამოეპარებოდა! როგორც კი ხელმწიფის მოხუცმა მამამ ორეული დაინახა, გულმა მაშინვე იჭვნეული რეჩხი უყო. მაინც კი ჩუმად ყველაფერი შეამოწმა და, როდესაც ღალატი საბოლოოდ დაადგინა, ჯალათებს უბრძანა: ორთავენი, ეს კუროცა და ის კახპაც, ცხენის კუდზე გამოაბით და იქამდე ათრიეთ, ვინემ სული არ ამოხდებათ, რათა სამართალმა პური ჭამოს და კანონიერებამ იზეიმოსო. ეს რომ ორეულმა გაიგო, თავის მხრივ საჩქაროდ დარბაზი შეჰყარა და გამოუცხადა, მიმძიმს გამხელა, მაგრამ არც დამალვა ივარგებს: ჩემი საბრალო მშობლები სიბერით ჭკუაზე გადამცდარან, უბედურები საკუთარ შვილს ვეღარ სცნობენ, აღარ ვიცი, რა ვქნა და სირცხვილს სად დავემალოო... ბევრი ილაპარაკა ცბიერმა ორეულმა და, თუმცა არა ერთსა და ორ დარბაისელს სიმართლე უკვე გაგებული ჰქონდა, მისი შიშით - თან ბუნებითაც თურმე ცოტა ლაჩრები იყვნენ - ხმის ამოღება ვერ გაბედეს: ცრუ ხელმწიფესაც ეს უნდოდა! ჯალათებს, რომლებიც იმ დროს სწორედ თავლაში ფუსფუსებდნენ და მისთვის კუდგამძლე ცხენებს არჩევდნენ, ეს საქმე მიატოვებინა, ნამდვილი ხელმწიფის დედმამა გაათოკინა და ერთ ბნელ დილეგში ჩააყრევინა, სადაც ჩვეულებრივ სახელმწიფო შემცილებს ამწყვდევდნენ ხოლმე. საბრალო მოხუცები იქ ალბათ ისე დაიხოცებოდნენ, მზის ერთი სხივი რა არის, ერთი სხივის ნახვაც არ ეღირსებოდათ, თუ რომ ნატანჯთა და ნაგვემთ ბოლოს და ბოლოს ფიცით არ ეღიარებინათ, სწორედ ეს არის ჩვენი ღვიძლი შვილი, ხოლო ის, ვინც ბრძოლაში დაიღუპა, ამის ორეული იყოო. ამით დილეგს კი თავი დააღწიეს, მაგრამ დიდხანს აღარ უცოცხლიათ, მალევე დაიხოცნენ, იმ ქვეყნის ტახტი კი დღემდე მოღალატე ორეულის შთამომავალთ უჭირავთ“.

უფლისწულს რომ ამის გაგონებაზე თვალი ცრემლით აევსო და გული ყელში მოებჯინა, მოძღვარმა მომდევნო არაკი, რომელსაც სახელად „გმირი“ ჰქვია, რა რომ შესავალი ჩაათავა, ასე განაგრძო:

„იმ დაუჯერებელ მხარეში, სხვათა შორის, ერთი ისეთი ქვეყანაცაა, სადაც ერთ დროს დიდი გმირის მოსვლა იყო ნაწინასწარმეტყველევი. ეს ქვეყანა ოდესღაც ერთ ავ ხელმწიფეს დაეპყრო და სწორედ მაშინ ეწინასწარმეტყველათ თურმე მოხუც მისნებს: ამა და ამ დროს დიდი და უძლეველი გმირი გამოჩნდება და ქვეყანას გაათავისუფლებსო. ეს წინასწარმეტყველება თაობიდან თაობას გადაეცემოდა და საუკუნეების მანძილზე ქვეყანა მომავალი გმირის მოლოდინით ცოცხლობდა. წინასწარმეტყველების აღსრულების ჟამი რომ დადგა, სად იყო და სად არა, მართლა გამოჩნდა ვიღაც უცხო მხედარი. აბა აქაურებს საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ იგი ნაწინასწარმეტყველევი გმირი კი არ იყო, არამედ ერთი ვინმე ჯაბანი მეომარი, რომელიც შორეული ბრძოლის ველიდან გამოქცეულიყო და თავშესაფრის ძებნაში ამ კუთხეში გადმოხვეწილიყო! რაკი წინასწარმეტყველების აღსრულების ჟამი იდგა იფიქრეს. სწორედ ეს არის, ვისაც ამდენი ხანი სასოებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოდითო, და ვაშას ძახილით ირგვლივ შემოეხვივნენ. ბევრი იუარა იმ გადამთიელმა, არა ვარ გმირი და არა ვარ განმათავისუფლებელი, ერთი უბირი და საწყალი კაცი ვარ, გამიშვით, ჩემი გზით წავიდეო, მაგრამ ვინ გაუგონა! აბა რას ამბობო, უთხრეს, ამდენი ხანია ამ დღეს ველით და ახლა, ნატვრა რომ როგორც იქნა აგვიხდა, სად გაგიშვებთო! მოურბენინეს აბჯარი, შეუკაზმეს ბედაური, შეაბეს ხმალი და მოამზადეს საომრად. რა ვერ დაარწმუნა ბრძოლის ველიდან გამოქცეულმა იქაურები, რომ გმირი არ იყო, იფიქრა, ესენი ისე არიან ატროკებული, ურჩობა რომ განვაგრძო, სულ ერთია, ცოცხალს არ გამიშვებენ; ისა სჯობს, ნებას დავყვე და, ვინ იცის, იქნებ ბრძოლის ველიდან უფრო მოვახერხო გამოქცევა, ამ საქმეს მაინც მიჩვეული ვარო. მართლაც, იმ ქვეყნის ხალხს გამოუცხადა, სწორედ ისა ვარ, ვისაც ელოდით, და თუ აქამდე უარზე ვიდექ, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი რწმენისა და ერთგულების გამოცდა მინდოდაო, და თუმც კი ძალიან ემძიმებოდა და ესიკვდილებოდა, აბჯარი აისხა, ბედაურზე ამხედრდა და ხმალი იშიშვლა. იმ ქვეყნის მცხოვრებლებმაც, რაკი ერთი დაიჯერეს წინასწარმეტყველების ახდომა, გული მოიცეს და მტერს ისე მამაცურად შეუტიეს, სულ კუდით ქვა ასროლინეს. მერე ის ცრუ გმირი განთავისუფლებული ქვეყნის ტახტზე დასვეს და მანაც, რაკი, ნამდვილი გმირი არსად ჩანდა, სიკვდილამდე ისე იმეფა, ვითომ ნამდვილი გმირი ყოფილიყო. დღესაც იმ სახელმწიფოში მისი ნაშიერნი მეფობენ. ხოლო ნამდვილი გმირი, რომელიც წინასწარმეტყველების თანახმად იმ ხანებში მართლა გამოჩნდა, მალევე უსახელოდ დაიღუპა: ვიდრე იმას გაარკვევდა, სად მტერი იყო, და სად მოყვარე, ერთი შუბი მტერმა აძგერა, მეორე მოყვარემ და ისე მოკვდა, მისი გამოჩენა არავის გაუგია. ახალი დროის მისნები იმასაც კი ამბობენ, სწორედ ცრუ გმირის მოსვლა იყო ძველ მისანთა მიერ ნაწინასწარმეტყველევი და სწორედ ცრუ გმირი იყო ნამდვილი გმირიო".

კიდევ ბევრი სევდიანი არაკი მოყვა ბრძენმა მოძღვარმა და ყოველი არაკის მოსმენაზე ყმაწვილ უფლისწულს თვალზე ცრემლი ერეოდა და გული ყელში ებჯინებოდა. ბოლოს, მოთმინების ფიალა რომ აევსო, თქვა, აუცილებლივ უნდა წავიდე და ეგ დაუჯერებელი მხარე ვნახოო. კარგს იზამო, მიუგო მოძღვარმა და ხელი წვერზე ჩამოისვა, მაშ ეახელ ხელმწიფეს, შენი სურვილი მოახსენე და წასვლის ნებართვა გამოსთხოვეო. ეახლა უფლისწული მამას, ასე და ასეა საქმეო, უთხრა, შენი სახელმწიფოს გადაღმა ერთი უსწორმასწორო მხარე ყოფილა, მისი ცოდვით აღარა ვარ, მინდა წავიდე და ვნახო, რა სჭირს და რა უშველისო. ჩვენი უზენაესი ნებაც ეს იყოო, ბრძანა ხელმწიფემ და ხელები მოიფშვნიტა, თუ სიმართლე გინდა, ეგ ზეოსტატიც ამ ნების შესაბამისად შეგირჩიეთ, ვინაიდან, ვიდრე ტახტს ჩაიბარებ, ჯერ ის სახიჩარი ქვეყანა უნდა მოვლო, რათა დაამტკიცო რომ ტახტისა და სახელმწიფოს ღირსი ხარო. გამოცდა ძნელი იქნება და სახიფათო. აქამდეც ბევრმა სცადა, მაგრამ ვინც სცადა, ყველა დამარცხდა. ზოგმა ცდუნებას ვერ გაუძლო, ზოგმა ტანჯვა-წამებას, ზოგს სიბრძნე მიაკლდა, ზოგს სიყვარული, ზოგს ძალა არ ეყო, ზოგს გამბედაობა. ახლა ჯერი შენზეა და მზად ხარ თუ არა დიდი განსაცდელისთვისო? მზად გახლავარო, მიუგო უფლისწულმა. მზად არისო? ახლა მოძღვარს ჰკითხა ხელმწიფემ. მზად გახლავსო, მოძღვარმაც მიუგო. მაშინ წამოდგა ხელმწიფე, ელვარე ამბორით ეამბორა უფლისწულს და უთხრა: დამილოცნიხარ და, ვიდრე გულში სიყვარულის თუნდაც ერთი წვეთი მაინც შეგრჩენია, ეს ამბორი იქნება შენი შემწე და გზის მაჩვენებელი. წადი და ვინძლო გამარჯვებული დაბრუნდეო.

წავიდა უფლისწული. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ქვეყნის საზღვარს რომ მიატანა, ერთი მდინარე დაინახა. წევს მდინარე უძრავად. იმოდენაა, გაღმა ნაპირი ძლივსა ჩანს, და ისეა გატრუნული, თითქოს თვლემსო. მიადგა მდინარეს უფლისწული, გაღმა უნდა გავიდეს, მაგრამ არც ხიდია სადმე, არც, ნავი, არც ბორანი. ცურვით გადავალო, გაიფიქრა და ის იყო უნდა შეედგა კიდეც ფეხი წყალში, რომ უეცრად მდინარე აბუყბუყდა, აგუგუნდა, აბორგდა, აქაფდა, ერთბაშად შუა გაიპო და იქიდან გველეშაპი ამოიმართა. გაახილა თვალი გველეშაპმა და გაშეშდა იქაურობა. დააღო პირი გველეშაპმა და დაბნელდა იქაურობა. შეისუნთქა გველეშაპმა და ადგა ქარიშხალი. ისეთი ქარბორბალა დატრიალდა, ვეებერთელა ხეებს ძირფესვიანად თხრის, უზარმაზარ ლოდებს ფოთლებივით ათამაშებს და ყველაფერს რასაც კი წვდება ერთიანად იწოვს და ისრუტავს. სუნთქვის ქარიშხალი უფლისწულსაც გველეშაპის ხახისკენ ეწევა, მაგრამ გაუძალიანდა უფლისწული სუნთქვის ქარიშხალს, გაუმკლავდა; ძვრა ვერ უყო სუნთქვის ქარიშხალმა უფლისწულს. დამუწა მაშინ პირი გველეშაპმა და კვლავ მდინარეში გაუჩინარდა. შეფიქრიანდა უფლისწული. შეფიქრიანდა. მაგრამ შეშინებით არ შეშინებულა. ზემოთ აუყვა მდინარის პირს და იქაურობას რომ კარგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა-ნძილზე გასცდა, ახლა იქ დააპირა წყალში შესვლა. ის იყო უნდა შეედგა კიდეც ფეხი, რომ ისევ აბუყბუყდა მდინარე, ისევ აგუგუნდა, ისევ აბორგდა და აქაფდა. მერე ისევ გაიპო შუა და ისევ გამოჩნდა გველეშაპი. გაახილა თვალი გველეშაპმა და გაშეშდა იქაურობა. დაალო პირი გველეშაპმა და დაბნელდა იქაურობა, შეისუნთქა გველეშაპმა და ადგა ქარიშხალი. ამჯერადაც გაუმკლავდა უფლისწული ქარიშხალს. ბოლოს კი, როცა კიდევ რამდენიმე ადგილას სცადა ბედი და საცა სცადა, ყველგან გველეშაპი დახვდა, გადაწყვიტა სხვა რამ გზა მოეძებნა. დაჯდა მდინარის პირას, დახუჭა გარეგანი თვალი და ნატვრის თვალი გაახილა. იჯდა ასე ნატვრის თვალზე დაუნჯებული და მთელი არსებით ნატრობდა, ისე გადავიდე ამ მდინარეს, შიგ შესვლა არ დამჭირდესო. როდესაც მთელი თავისი არსება ამ ნატვრაში ჩადო, გაიხედა და ხედავს, თეთრი გედი მოფრინავს. მოფრინდა გედი, დაეშვა უფლისწულის წინ და უთხრა: შემაჯექ ზურგზე, უფლისწულო, მე გადაგიყვან ამ მდინარესო. შეაჯდა უფლისწული გედს. აფრინდა გედი და გაუდგა გზას. მიფრინავს გედი მთვლემარე მდინარის თავზე და ხედავს უფლისწული, შორს, გაღმა ნაპირთან, პაწაწინა წერტილი გამოჩნდა, რომელიც თანდათან ახლოვდება და რაც უფრო ახლოვდება, მით უფრო იზრდება. კარგად რომ მოახლოვდა, ხედავს უფლისწული, ის წერტილი თეთრი გედი ყოფილა და ზედ ოქროსქოჩრიანი ჭაბუკი ზის. კიდევ უფრო რომ მოახლოვდა, თითქოს მდინარეზე ერთი რამ დიდი სარკე დგას და იმ სარკეში იყურებაო, დაინახა, რომ ის გედი, რომელიც გაღმიდან მოფრინავს, ეს გედია, ხოლო ჭაბუკი, რომელიც ზედ ზის, თვითონაა. ჩანს მართლა უცნაური რამ სარკე დგასო, გაიფიქრა უფლისწულმა, მაგრამ ამ დროს გედები ერთმანეს მიადგნენ და ისე შევიდნენ ერთმანეთში და ისე გასცდნენ ერთმანეთს, ერთმანეთისა არა გაუგიათ რა. გაუკვირდა უფლისწულს. მიიხედა უკან და, ვითომც არაფერი, მიფრინავს გედზე გადამჯდარი უფლისწული იმ ნაპირისაკენ, საიდანაც თვითონ წამოვიდა. მისმა გედმა კი ამასობაში ნაპირს მიაღწია და მიწაზე დაეშვა. ჩამოხდა უფლისწული თეთრი გედიდან და, არც ისე ძნელი ყოფილა ამ მდინარის გადმოლახვა, როგორც მეგონაო, მხნედ გაიფიქრა. ეს კი გაიფიქრა, მაგრამ დაკვირვებით რომ მიიხედ მოიხედა, დაინახა, რომ ისევ იმ ადგილას მისულა, საიდანაც წამოვიდა. დგას თავისსავე სამემკვიდრეოში იმავე ნაპირზე, სადაც იდგა და ისევ მდინარის გადალახვა უნდა. ის იყო დააპირა კიდეც წყალში შესვლა, რომ ადრინდელივით აბუყბუყდა მდინარე, აგუგუნდა, აბორგდა და აქაფდა, მერე შუა გაიპო და წყლიდან გველეშაპი ამოიმართა. გაახილა თვალი გველეშაპმა და გაშეშდა იქაურობა. დაალო პირი გველეშაპმა და დაბნელდა იქაურობა. შეისუნთქა გველეშაპმა და ადგა ქარიშხალი... ახლა კი საგონებელს მიეცა უფლისწული. ჩანს, აქაურობა ჯადოთია შეკრულიო, გაიფიქრა. საგონებელს მიეცა, მაგრამ შეშინებით არ შეშინებულა. დაჯდა მდინარის პირას, დახუჭა გარეგანი თვალი და ცოდნის თვალი გაახილა. იჯდა ასე ცოდნის თვალზე დაუნჯებული, მთელი არსებით გაიხსნა და გაილესა ცოდნაში და აჰა, ჩამოვარდა სიბნელის ფარდა, რომელიც მდინარეს გადაჰფარებოდა, და დაინახა უფლისწულმა მდინარეში გველეშაპი, რომელიც ნაპირიდან ნაპირამდე გადაწოლილიყო, იწვა გველეშაპი მდინარეში და მდინარესთან ერთად თვლემდა. ორი თავი ჰქონდა გველეშაპს, ერთი მდინარის ერთ ნაპირთან, მეორე მდინარის მეორე ნაპირთან, და ეს თავები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ. კიდევ უფრო გაიმახვილა ცოდნის თვალი უფლისწულმა, სულ ერთიანად ცოდნად იქცა და აჰა, გაირღვა გველეშაპის გარსი და გამოჩნდა გველეშაპის წიაღი. და დაინახა უფლისწულმა, გველეშაპის წიაღში ის დაუჯერებელი მხარე, რომელსაც ეძებდა. მაშინ მიხვდა უფლისწული, რომ თუ ამ საპყარი მხარის მოხილვა უნდოდა, გველეშაპის ხახაში უნდა ჩაშვებულიყო. ამის წარმოდგენაზე შედრკა. წამსვე შედრკომის ღია კარში ეჭვები შემოცვივდნენ. ერთმა უთხრა: უფლისწულო, გახსოვდეს შესვლა იოლია, გამოსვლა კი ძნელიო. მეორემ განაგრძო: მით უფრო, რომ შესული ბევრი გვინახავს, გამოსული არავინო. მესამემ დაასრულა: არადა, უკან რომ ვერ დაბრუნდე, ან ხალხს რა პასუხს აძლევ, ან ქვეყანას ვის უტოვებო? შედრკომით კი შედრკა უფლისწული, მაგრამ შეშინებით არ შეშინებულა. მხნეობა მოიკრიბა და ეჭვებს მიუგო: ისა სჯობს, სულ ვერ დავბრუნდე, ვიდრე სირცხვილიანი დავბრუნდეო. ესა თქვა, მდინარის პირას დაჯდა, გარეგანი თვალი დახუჭა და ახლა გაბედულების თვალი გაახილა. გაბედულების დანახვაზე ეჭვები კუდამოძუებული გაიქცნენ. უფლისწული კი მალე გაბედულებით აივსო, წამოდგა, ნაპირს მიადგა და, როდესაც გველეშაპმა ხახა დაალო, იმ ბნელ ხახაში თამამად შეაბიჯა. მაშინ გველეშაპმა პირი დამუწა და უფლისწულიანად მდინარეში გაუჩინარდა.

გადავარდა უფლისწული გველეშაპის უძირო

წიაღში. მიქრის. თავქვე, მიექანება სამინელი სისწრაფით.ირგვლივ უკუნი ღამე, ლორწოვანი ნესტი და მყრალზე მყრალი სუნია. სული შეუგუბდა უფლისწულს, თავბრუ დაეხვა და ცნობა წაერთვა. დიდხანს იყო ცნობამიხდილი თუ ცოტა ხანს, გონს რომ მოეგო, ხედავს ლაფში გდია, ირგვლივ კვლავ წყვდიადი და ნესტი აკრავს და იქაურობაც ისევ ისე საზარლად ყარს. წამოჯდა ტალახში უფლისწული, დახუჭა გარეგანი თვალი, რომლითაც მაინც ვერას ხედავდა, და მახსოვრობის თვალი გაახილა, რათა მოეგონებინა, ვინ იყო, საიდან მოდიოდა, სად მიდიოდა და რა ეწადა. დიდხანს იყო დაუნჯებული მახსოვრობის თვალზე, მაგრამ რამდენიც არ ეცადა, ვერა გააწყო რა. მაშინ კი გულში შიშმა გაუარა, თვალზეც ცრემლი მოადგა და სინანულით გაიფიქრა, ნეტა არ წამოვსულიყავო. სინანულმა შეაკრთო. შეკრთომამ გამოაფხიზლა, გამოფხიზლებამ ძალა შემატა, ახლა ის ინანა, რად ვინანეო, და საბოლოოდ მაინც სძლია შიშს. შიშს სძლია, დაიძაბა, კიდევ უფრო გაიმახვილა მახსოვრობის თვალი და, თუმც გარდასული ცხოვრება ვეღარ მოიგონა, მამის ელვარე ამბორი კი იხილა ბუნდოვნად და ისიც გაიგონა ყრუდ, მამამ რომ უთხრა, ეს ამბორი იქნება. შენი შემწე და გზის მაჩვენებელიო. დაუბრუნდა მაშინ მხნეობა და ძველებურად აივსო რწმენით. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაახილა გარეგანი თვალი და შეეცადა სიბნელეს შეჩვეოდა. თავიდან ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ნელ-ნელა მართლაც შეეჩვია. შეეჩვია, შეეჩვია, შეეჩვია და ბოლოს ისიც გაარჩია, რომ დაბურულ ტყეში იყო ერთ პატარა დაჭაობებულ მდელოზე. მაშინ წამოდგა და ფერდობს დაუყვა. მალე ერთ ნაკადულს მიადგა. ტანთ გაიხადა, სამოსი გარეცხა, თავადაც განიბანა, მერე ისევ შეიმოსა, ხელთ არგანი დაიჭირა, რომელიც ერთი ნორჩი, სწორი თხილისგან გამოჭრა, და ალალბედზე გაუყვა გზას. იარა თავდაღმართში, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ ქალაქს მიადგა. ქალაქში რომ უნდა შესულიყო, უეცრად იდუმალი ხმა ჩაესმა: ნუ შეხვალ, უფლისწულო, მაგ ქალაქში, მანდ უკეთურობის ბუდეა და ავისმქნელთა ნაგრამი სახლობს. აბა შენ, მზისა და სინათლის ვაჟს, ასეთ ხალხთან რა გესაქმებაო! არ გაუგონა უფლისწულმა იდუმალ ხმას და ქალაქში შევიდა. ხედავს, ხალხი აჩრდილებივით მიმოდის და თვალებს დაფეთებული აცეცებს. მართალია, ზოგი ტირის, ზოგიც იცინის, ზოგი რომ კვნესის, ზოგიც იმღერის, ზოგი რომ დარდიანია, ზოგიც უდარდელია, ზოგი რომ დამარცხებულია, ზოგიც გამარჯვებულია, მაგრამ გულში ყველას შიში უდგას და ძარღვებში წყალი. უფლისწულის დანახვაზე ერთიანად იხუვლეს და თავზარდაცემულები სახლებში შეცვივდნენ. უფლისწულმა მიმართა მათ და უთხრა: გამოდით, ძმებო, ჩემი ნუ გეშინიათ. მე არას გერჩით და, რომც გერჩოდეთ, აბა ამდენ ხალხს რა უნდა დაგაკლოთო! გაბედეს მაშინ შეშინებულებმა და სამალავებიდან გამოვიდნენ. ხოლო უფლისწულმა ისევ მიმართა და უთხრა: ვხედავ, გულში შიში გიდგათ და ძარღვებში წყალი, კარგი არა გინახავთ რა და არც მომავალში კარგს რასმე მოელით. ატყობთ, უბედურები ხართ, მიზეზი კი ვერ შეგიტყვიათ. მაშ ყური მიგდეთ, მე გეტყვით მიზეზს. თავი და თავი მიზეზი თქვენი უბედურებისა ის არის, რომ ეს ცრუ და უბადრუკი ქვეყანა ნამდვილი გგონიათ, ნამდვილი ქვეყნისა კი არა იცით რა. ნამდვილ ქვეყანას მაშინ იხილავთ, როცა ამ დილეგს თავს დააღწევთ, სადაც წყვდიადი მეფობს და სიმყრალის სუნი დგასო... კიდევ ბევრი რამ უნდოდა ეთქვა უფლისწულს, მაგრამ ამასობაში იქაურმა ხალხმა დაინახა, რომ მომხდური საშიში არ იყო, ხოლო რაკი ეს დაინახეს, გული მოეცათ, გაყოყოჩდნენ და ერთმანეთს უთხრეს: ნეტა ვინ გდია, რომ ჩვენს საუცხოო ქვეყანას ეგრე უდიერად იხსენიებს! ან წყვდიადს სად ხედავს აქ, ან სიმყრალის სუნი საიდან მოდის, ან ამაზე უკეთესი ქვეყანა სად უნახავს, ეტყობა ჭკუაზეა გადამცდარი ვიღაცაა, ემანდ ბალღები არ გაგვისულელოსო! ამ სიტყვებით დიდ-დიდ ქვებს დაავლეს ხელი და უფლისწულს დაუშინეს, რომ იქვე ჩაექოლათ. შეხედა უფლისწულმა მათ აპილპილებულ სახეებს, გადმოკარკლულ თვალებს, დუჭმორეულ პირებს, შეხედა და გული სიბრალულით აევსო. განა თავისი თავი შეებრალა! ეს ხალხი შეებრალა, რომელიც გველეშაპის წიაღში ცხოვრობდა და გველეშაპის წიაღი ეგონა მთელი ქვეყნიერება. ისე შეებრალა, თვალზე ცრემლი მოადგა და გულიდან ერთი წვეთი სისხლი მოსწყდა, რომელიც იმ ქვეყნის მიწას დაეცა, მაგრამ რა ექნა! რაკი ვერა შეასმინა რა, იქაურობას გაეცალა და გზა განაგრძო. ქალაქს რომ გასცდა, ისევ შემოესმა იდუმალი ხმა: აკი გითხარი, უფლისწულო, მაგ ქალაქში ნუ შეხვალმეთქი! გაბრუნდი უკან. იმ ციცაბო აღმართის ავლას, საიდანაც აქ ჩამოვარდი, მე გიშველი. გველეშაპის ხახიდანაც მე გაგიყვან. წადი და შენთვის იყავ, აქაურობას კი თავი დაანებე, თორემ იცოდე, ადრე იქნება თუ გვიან, ამ კუნაპეტ ღამეში ცოცხლად დაიმარხებიო. ვინა ხარო? ჰკითხა უფლისწულმა. ჩემს ვინაობას

ეროვნული ბიბლიოთეკა



რას კითხულობო, მიუგო იდუმალმა ხმამ, ხომ ხედავ, სიკეთე მინდა შენთვის და შენზედ ვზრუნავ, რომ ამ წყვდიადიდან გაგიყვანო, გირჩევნია გამიგონო, თორემ აქაური უფსკრული განა მართლა უფსკრულია! თუ გაჯიქდები და შენსას არ დაიშლი, მალე ფსკერს მიაღწევ და მერე ვეღარაფერი გიშველისო. მაინც ვინა ხარო? კიდევ ჰკითხა უფლისწულმა. ეგ შენი საქმე არ არისო! გაჯავრდა მაშინ იდუმალი ხმა, ისა ჰქმენ, რასაც გეუბნები, თუ არ გინდა მწარედ ინანოო! ერთი ამას დამიხედეთ, რომ იმუქრება კიდეცო! გაუკვირდა უფლისწულს და უთხრა: თუ ვაჟკაცი ხარ, რას მემალები, მეჩვენეო. დრო მოვა და გეჩვენებიო, მიუგო ხმამ, გეჩვენები და, რა ვაჟკაციც ვარ, იმასაც გაგაგებინებო. ჰოდა, ეგ დრო რომ მოვიდეს, მაშინ დამიძახეო, უთხრა უფლისწულმა და გზა განაგრძო. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ახლა სხვა ქალაქს მიადგა. ხედავს, მთელი ქალაქი დიდიან-პატარიანად გარეთ გამოფენილა და ცეკვა-თამაში გაუჩაღებიათ. ქალაქის ვრცელ მოედანზე კი, ერთ მაღალ ფიცარნაგზე, სახრჩობელაა გამართული. ფიცარნაგის ირგვლივ ახლადგათხრილი პირღია საფლავებია. გაუკვირდა უფლისწულს, ნეტა საფლავების პირას ეს თავდავიწყებული მხიარულება რას უნდა ნიშნავდესო, და იქ შეკრებილ ხალხს მიზეზი ჰკითხა. ძველი ხელმწიფე გადავაგდეთ და ახლის ტახტზე ასვლას ვზეიმობთო, მიუგეს. ეს საფლავები რისთვისღა გაგითხრიათო? კიდევ იკითხა უფლისწულმა. როგორ თუ რისთვის გაგვითხრიაო! გაუკვირდა ხალხს, მთავარი ზეიმი სწორედ ის არის, რომ ცოტა ხანში მანდ ჩვენს მტრებსა და ორგულებს ჩავყრითო. იმ სახრჩობელაზეც მტერი და ორგული უნდა დაჰკიდოთო? სახრჩობელისა ჯერ არა ვიცით რა, სახრჩობელის ამბავს ხელმწიფე რომ მობრძანდება, ის გამოგვიცხადებსო. მალე ხელმწიფეც გამოჩნდა. წითელი სამოსი ემოსა და წითელ ეტლში იჯდა, რომელშიაც წითელი ცხენები იყო შებმული. ეტლი სახრჩობელასთან შეჩერდა. ხელმწიფე გადმოვიდა, ფიცარნაგზე ავიდა, სახრჩობელის ქვეშ დადგა და ხალხს უთხრა: ხედავთ, მორჩილნო, მორჩილების ფასად რა საუცხოო ზეიმი მოგიწყეთ?! ახლა იმასაც გაჩვენებთ, თუ როგორ დავმარხავთ ცოცხლად ყველას, ვინც ორგულია ან მომავალში უნდა გაორგულდეს. მაშ უცქირეთ და დატკბითო! ხალხმა ამაზე სიხარულის ყიჟინა დასცა. მერე შესძახეს: სახრჩობელისაც გვითხარიო! გეტყვითო, მიუგო ხელმწიფემ, სმენა იყოს და გაგონება! ვიდრე თქვენ ზეიმობთ, უხილავი მტერი განსაცდელს გიმზადებთ. ქალაქში ცრუ წინასწარმეტყველი შემოპარულა, რომელსაც თქვენი გონების მოწამვლა და თქვენი გულების დაძაბუნება სწადია. ეს სახრჩობელა იმ ცრუ წინასწარმეტყველისთვის დავდგით, უნდა შევიპყროთ და ზედ დავკიდოთო. ამის გაგონებაზე ხალხმა კიდევ ერთხელ დასცა სიხარულის ყიჟინა. მერე ხელმწიფის ბრძანებით ის ხალხი შემოიყვანეს, ვინც ცოცხლად უნდა დაემარხათ. მაშინ წინ წადგა უფლისწული და ხელმწიფეს უთხრა: ხელი აიღე მაგ საქმეზე, სულს ნუ წაიწყმედ და შენს შთამომავლობასაც სიცოცხლეს სატანჯველად ნუ უქცევ· ადამიანის ცოცხლად დამარხვა სად თქმულა! ეს დიდზე დიდი ცოდვაა და თუ შენ ამას ვერ მიმხვდარხარ, მხოლოდ იმიტომ, რომ გული გაქვავებული გაქვს და გონება გაყინული, ვინაიდან შენ და შენს უგუნურ ხალხს ეს ცრუ და ღუხჭირი ქვეყანა ნამდვილი გგონიათ, ნამდვილი ქვეყნისა კი არა იცით რა. ნამდვილ ქვეყანას მაშინ იხილავთ, როცა ამ ღილეგს თავს დააღწევთ, სადაც წყვდიადი მეფობს და სიმყრალის სუნი დგასო. გაიცინა ამის გაგონებაზე ხელმწიფემ და ხალხს უთხრა: აგერ, ცრუ წინასწარმეტყველიც მხილებული და გამოვლენილია. შეიპყარით და აქ მომგვარეთო! შეიპყრეს ხელმწიფის კაცებმა უფლისწული და წინ გაიგდეს. ხალხი თავიდან კი მიიწ-მოიწია და გზა მისცა, მაგრამ მერე ვეღარ მოითმინა, ჩვენც ხომ უნდა ვიყაროთ ჯავრი ემაგ ცრუპენტელა წინასწარმეტყველზე, რომელსაც, თურმე ნუ იტყვით და, ჩვენი გონების მოწამვლა და ჩვენი გულების დაძაბუნება სწადიაო, და უფლისწულს ფურთხება, ცემა და სამოსის შემოგლეჯა დაუწყო. შეებრალა უფლისწულს ეს ხალხი, რომელიც წყვდიადში ცხოვრობდა და წყვდიადი ეგონა ნამდვილი ქვეყანა, ისე შეებრალა, თვალზე ცრემლი მოადგა და გულიდან ერთი წვეთი სისხლი მოსწყდა, რომელიც იმ ქვეყნის მიწას დაეცა, მაგრამ რა ექნა! რაკი ვერა შეასმინა რა, იქაურობას გაეცალა. ქალაქს რომ გასცდა, ისევ ჩაესმა იდუმალი ხმა: ახლა ხომ მაინც დარწმუნდი, რომ აქაური ხალხი სიბნელის ნაშიერია და იმად არ ღირს, შენისთანა ვაჟმა თავი გაუყადროსო: არა სიბნელის ნაშიერიაო, მიუგო უფლისწულმა, არამედ ჯერ სინათლე არ უხილავსო. გაჯავრდა მაშინ იდუმალი ხმა: სინათლის უფლისწულო, გიჯობს შენი გზით წახვიდეო. აკი ჩემი გზით მივდივარო, მშვიდად მიუგო უფლისწულმა. ამაზე პასუხად კბილთა ღრჭენაღა მოესმა. იარა უფლისწულმა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, კიდევ სხვა ქალაქს მიადგა. ხედავს, ქალაქის შუაგულში ვეებერ-

თელა სუფრაა გაშლილი. ირგვლივ იმ ქვეყნის ხელმწიფე, მისი ჯალაბი, ნაზირ-ვეზირები და სხვა დიდებულები შემოსხდომიან და ქეიფსა სწევენ. ყველანი უკვე კარგა გვარიანად შეზარხოშებულნი არიან. მოქეიფეებს ურიცხვი მსახური დასტრიალებს თავს. იქვე ახლო მზარეულები ფუსფუსებენ: წამოჩიტულ გოგო-ბიჭებს თავებს სჭრიან და სისხლს დიდრონ კასრებში აგროვებენ. მესტუმრეებს ეს სისხლი მაღალი სურებით მიაქვთ სუფრაზე და ვერცხლის თასებში უსხამენ მოქეიფეებს, რომლებიც თასებს ერთმანეთს უჭახუნებენ და ისე სვამენ, მერე ხელიხელგადახვეულები, თითქოს მგლები ყმუიანო, ხმამაღლა და გაბმით ამღერდებიან. შეძრწუნდა უვლისწული ამ სისხლიანი ღრეობის დანახვაზე და ხელმწიფეს უთხრა: საშინელ ცოდვას იდებთ შენცა და შენი თანამეინახეებიც. სად გაგონილა ადამიანი მოძმის სისხლსა ხვრეპდეს! თუ ჭკუაზე დროით არ მოეგებით და მაგ თქვენს შემზარავ საქციელს არ შეიინანებთ, მერე გვიანი იქნება და აღარა გიშველით რაო. ნეტა ეს ამდენი უფასო ადვოკატი სად იჩეკებაო? გაუკვირდა ხელმწიფეს. მერე სასმისი დაცალა და ბრძანა: აბა ერთი სავსე თასი ამ ჭკუის კოლოფსაც მიმირთმიეთ, ჩვენებურ სასმელს რომ გასინჯავს, ეგებ ჩვენს ჭკუაზეც დადგეს და გუნება გამოუკეთდესო. მსახურებმა წამსვე აასრულეს ხელმწიფის ბრძანება: თასი სისხლით აავსეს და უვლისწულს წინ დაუდგეს, მაგრამ უვლისწულმა თასი გვერდზე გასწია და ხელმწიფეს უთხრა: არ იცი, რას სჩადიხარ. გული ნადაცრებული გაქვს და ტვინი დამყაყებული, ვინაიდან ეს ცრუ და შლეგი ქვეყანა ნამდვილი გგონია, ნამდვილი ქვეყნისა კი არა იცი რა. ნამდვილ ქვეყანას მაშინ იხილავ, როცა ამ დილეგს თავს დააღწევ, სადაც წყვდიადი მეფობს და სიმყრალის სუნი დგასო. გაჯავრდა ამაზე ხელმწიფე და ბრძანა: რაკი ისეთი უქმური და უხასიათო ყოფილა, რომ ჩვენი მათრობელა სასმელის გასინჯვა არ სურს, მაშ ჩვენ გავსინჯოთ მაგის წყალწყალა სასმელი, ვნახავთ მაინც, როგორ გვეამება და რა ჭკუაზე დაგვაყენებსო, და მზარეულებს უბრძანა, ეჰეი, მზარეულნო, ამ ჭინჭყლს თავი გააგდებინეთ და მაგის სისხლი პაპიჩემის საყვარელი ჭინჭილით მომართვითო. მზარეულებმა წამსვე გრძელ დანებს დაავლეს ხელი და ამღვრეული თვალებით, დორბლიანი პირითა და დაღმეჭილი სახით უვლისწულს გარს შემოერტყნენ. შეებრალა მაშინ უვლისწულს ეს ხალხი, ისე შეებრალა, თვალზე ცრემლი მოადგა და გულიდან ახლაც მოსწყდა ერთი წვეთი სისხლი, რომელიც იმ ქვეყნის მიწას დაეცა, მაგრამ რა ექნა! რაკი ვერა შეასმინა რა, გაეცალა იქაურობას. ქალაქს რომ გასცდა, კვლავ ჩაესმა იდუმალი ხმა: არც ახლა დაიჯერებ, რომ ეს ხალხი წყვდიადის ნაშიერია და სინათლისა გაგონებაც კი არ უნდაო? არაო, მიუგო უვლისწულმა, არც ახლა დავიჯერებო, და განაგრძო გზა. იარა, იარა, დიდხანს იარა, ძალიან დიდხანს იარა, მრავალი ქვეყანა შემოიარა და მრავალი საკვირველება ნახა. ერთ ქვეყანაში გამოჩენილ მოქალაქეებს თავები საკუთარ სიბინძურეში ჰქონდათ ჩარგული და კმაყოფილები ბუყბუყებდნენ; მეორეში იქაურ ხელმწიფეს ორ ფეხზე სიარული კანონით აეკრძალა - ძნელიაო - და ამით გახარებული მოსახლეობა ხალისიანი ყიჟინითა და ვაშას ძახილით ოთხზე დაკუნტრუშებდა; მესამეში დანაწევრებული ლაპარაკი მობეზრებოდათ და ერთმანეთს სათქმელს ღრუტუნით აგებინებდნენ; მეოთხეში ერთმანეთს პირზე კოცნიდნენ და თან ზურგში ხანჯალს ურჭობდნენ; მეხუთეში ნათესავები ნათესავებს დანა-ჩანგლით შეექცეოდნენ და პირს ჭრელი ხელსახოცით იწმენდდნენ; მეექვსეში სიკეთეს პირში აფურთხებდნენ და, ვინც უფრო მარჯვედ მიაფურთხებდა, ჯილდოს აძლევდნენ; მეშვიდეში სიყვარულს ქვებით ქოლავდნენ; მერვეში სიმართლეს სახრჩობელაზე ჰკიდებდნენ... კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ აქ გავჩერდეთ, ვინაიდან სულ ერთია, სადმე მაინც მოგვიწევს გაჩერება... ყველა ქვეყანაში, სადაც კი მივიდოდა, უვლისწულს იქაურების საცოდაობით გულიდან თითო წვეთი სისხლი სწყდებოდა და მიწას ეცემოდა. ჟამიდან ჟამზე იდუმალი ხმა წამოეწეოდა, ნიშნს უგებდა და უკან დაბრუნებას ურჩევდა, მაგრამ უვლისწული მის ყრანტალს აინუნში არ აგდებდა...

ბოლოს, მას შემდეგ, რაც მრავლის უმრავლესი ქვეყანა გაიარა, ურიცხვი და უთვალავი საკვირველება ნახა და გულის სისხლიც ბლომად გასდინდა, ის დაუსრულებელი თავდაღმართიც ჩაათავა. ჩაათავა თავდაღმართი და ერთ ტრიალ მინდორზე გავიდა, რომელიც იმოდენა იყო, ბოლო არ უჩანდა. მინდორს შუაში მღვრიე, ბინძური და განიერი მდინარე ჩაუდიოდა. გაიხედა უვლისწულმა და ხედავს; გამოჩნდებიან პირქუში ადამიანები, რომლებიც ლანდებს გვანან, მდუმარედ და ფეხაკრეფით მოაბიჯებენ, ნიავივით უჩუმრად და უხმაუროდ გადაივლიან ტრიალ მინდორს და უწმინდურების მდინარეში შედიან; იმავ წამს აბუყბუყდება მდინარე, აქაფდება, აზვირთდება, წამოიმართება უწმინდურების ერთი ვეებერთელა ტალღა, საშინელი ღმუილით დაასხრება ადამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანებს და ძირს დასცემს; წამოიმართება უწმინდურების მეორე ტალღა, საშინელი დააცხრება დაცემულებს და ხორცსა და ძვალს ერთმანეთისგან გაყრის; წამოიმართება უწმინდურების მესამე ტალღა, საშინელი ღმუილით დააცხრება ხორცსა და ძვალს და უწმინდურებაში გახსნის; დაშომშინდებიან მაშინ ზვირთები და მდინარეც დამშვიდებით განაგრძობს გზას, ვიდრე ხელახლა არ გამოჩნდებიან მდუმარე და პირქუში ლანდები. შეზარა ამ სანახაობამ უფლისწული, თვალი აარიდა უწმინდურების მდინარეს. იმავ წამს იდუმალი ხმა ჩაესმა: ახლა რაღას იტყვი, სინათლის მოციქულო? არც ახლა დაიშლი შენსას? იცოდე, ეს მდინარე წარწყმედის დიდი მდინარეა, რომელსაც ვერც ზემოდან გადაევლები, ვერც ქვემოდან გაუძვრები და ვერც წყალდაწყალ გახვალ ისე, რომ ამაოების ტალღებმა უწმინდურებაში არ გაგლესონ და არარსებობის მორევში არ ჩაგითრიონო. არა უპასუხა რა უფლისწულმა იდუმალ ხმას, დაჯდა მოშორებით, გარეგანი თვალი დახუჭა და განსჯის თვალი გაახილა. ხედავს, მართლაც უკეთურობითაა სავსე მთელი ეს მხარე, ყველგან სისხლისა და ბალღამის სუნი დგას და სინათლის ერთი სხივიც კი არსაით ჩანს. შეწუხდა უფლისწული, უფრო გაიმახვილა განსჯის თვალი. ხედავს, დაუნდობლობა გამეფებულა და შეწყალება არსადაა, სიცრუე გამეფებულა და სიმართლე არსადაა, გულგრილობა გამეფებულა და თანალმობა არსადაა. კიდევ უფრო შეწუხდა უფლისწული, კიდევ უფრო გაიმახვილა განსჯის თვალი. მაშინ გაახსენდა მოძღვრის ნათქვამი, ეს ისეთი მხარეა, სადაც ხალხს ერთმანეთი უყვართ და სძულთო. მაშ ამდენ სიძულვილში სიყვარულიც უნდა იყოს სადმეო, გაიფიქრა უფლისწულმა და უკიდურესად გაიმახვილა განსჯის თვალი. და აჰა, დაინახა, რომ ბოროტება ამ მხარეში უმეცრებისგანაა და არა სიავისგან, სიყვარულიც უმეცრების ხაროში გდია და სიძულვილის ლაფითაა დაფარული. უმეცრების მიზეზი კი სიბნელეა. ამის დანახვაზე უფლისწულს თვალზე ცრემლი მოადგა და გული ყელში მოებჯინა, მტკიცედ წამოდგა, გაიხსენა მამის ელვარე ამბორი და გაბედულად შედგა ფეხი წარწყმედის მღვრიე მდინარეში. აბუყბუყდა წამსვე მდინარე, აქაფდა, აზვირთდა, წამოიმართა უწმინდურების ვეება ტალღა, აიზიდა, აიქოჩრა და ღმუილით დაატყდა თავს. საშინელმა ტკივილმა თხემით ტერფამდე დაუარა. გაუძლო ტკივილს უფლისწულმა. ერთი კი შეტორტმანდა, მაგრამ არ დაეცა. მაშინ ტალღა კვნესით დაიმსხვრა მის თეთრ სხეულზე. წამოიმართა წამსვე მეორე ტალღა, აიზიდა, აიქოჩრა და ღმუილით დაატყდა თავს. ამჯერად წარბიც არ შეუხრია უფლისწულს, ხოლო ტალღა კვნესით დაიმსხვრა მის თეთრ სხეულზე. წამოვიდა მესამე ტალღა, აიზიდა, აიქოჩრა და ღმუილით დაატყდა თავს. უფლისწულს არც კი გაუგია, როგორ დაიმსხვრა ტალღა მის თეთრ სხეულზე. მიდის წყალდაწყალ და თეთრად ბრწყინავს მისი სხეული. მიდის უწმინდურებათა შორის და ვერ ეკარება უწმინდურება, ვინაიდან ლმობიერებითა აქვს გული სავსე. იარა წყალდაწყალ, იარა და აჰა, მიაღწია ნაპირს. დადგა თუ არა მიწაზე ფეხი, წამსვე მის წინ წყვდიადის ხელმწიფე გაჩნდა. ხელმწიფე დიდია და საშინელი. ერთი კი ათვალწუნებით ახედ-დახედა უფლისწულს და მერე ხელი ხელს შემოჰკრა. რას მიბრძანებო? მოისმა საიდანღაც ნაცნობი იდუმალი ხმა და წყვდიადის ხელმწიფის გვერდით უეცრად შავი მსახური გაჩნდა. მომახსენე, რაც გაიგეო, უბრძანა წყვდიადის ხელმწიფემ. ამ ჭაბუკს ჩვენი მოსპობა სწადიაო, მოახსენა მსახურმა. თუ ჩვენი მოსპობა სწადია, რად არ უთხარით, რომ ეს შეუძლებელია, აქამდეც ბევრმა სცადა, მაგრამ ყველა დამარცხდაო? ვუთხარით, მაგრამ არ დაიშალაო, მიუგო მსახურმა. თუ უთხარით, მაგრამ არ დაიშალა, რად არ აჩვენეთ საზარელნი სახილველნი ჩვენნი, რომ თავზარდაცემული უკან გაბრუნებულიყოო? ყველაფერი ვაჩვენეთ, მაგრამ ვერ შევაშინეთო. თუ ყველაფერი აჩვენეთ, მაგრამ ვერ შეაშინეთ, რად არ დასაჯეთო? მრავალგზის დავსაჯეთ, მაგრამ არაფერმა გაჭრაო, მიუგო მსახურმა, ჩავქოლეთ და ვერა დავაკელით რა, ჩამოვახრჩეთ და ვერა დავაკელით რა, თავი გავაგდებინეთ და ვერა დავაკელით რა, ჯვარს ვაცვით და ვერა დავაკელით რა, ცოცხლივ მიწაში ჩავდეთ და ვერა დავაკელით რა, კლდიდან გადავჩეხეთ და ვერა დავაკელით რა, წყალში დავახრჩეთ. და ვერა დავაკელით რა, ცეცხლში დავწვით და ვერა დავაკელით რა, ასო-ასო აქენით და ვერა დავაკელით რა, საწამლავი მივეცით და ვერა დავაკელით რა, ყველა სიკვდილით მოვკალით, რაც კი ჩვენს ხელთ სიკვდილია, და ვერა დავაკელით რა; რაც მეტი ვტანჯეთ, უფრო მოემატა სიყვარული. წარწყმედის უღიღესი და უბინძურესი მდინარეც ხომ, თავადაც ნახე, ისე გამოიარა, ფეხის თითი არ დასველებია. ახლა ისღაა ბოლო იმედი, ვისი სულიც შენა ხარ, და ქვეყნის ბედიც მასზე ჰკიდია, თუ გვიშველის, ის გვიშველის, თორემ დასრულდა შენი მეუფება და ესააო. ნუ გაიკრიფე ენად, გასწი, თავისუფალი ხარო, მკაცრად უბრძანა მაშინ მსახურს ხელმწიფემ და, მსახური რომ ისევ ისე უეცრად

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაქრა, როგორც წეღან უეცრად გაჩნდა, კიდევ ერთხელ ახედ-დახედა უფლისწულს და ჰკითხა: რა გინდა, რისთვის მოსულხარო? რაც შავმა მსახურმა მოგახსენა, იმის მეტი სხვა არა მინდა რაო, მიუგო უფლისწულმა. რა ცოტა რამ გღომებიაო! ავი გადაიქნია წყვდიადის ხელმწიფემ, მაინც რას მემართლები, ვისთვის რა დამიშავებიაო? მეტი დაშავებაღა იქნება, ხალხს სინათლეს უმალავ და ქვეყნად ბოროტებას თესავო! ამაზე წყვდიადის ხელმწიფემ გულიანად გაიცინა და თქვა: როგორ გეტყობა, რომ ჯერ კიდევ ბალღი ხარ და ცხოვრებისა ბევრი არა გაგეგება რა, თორემ ეგეთ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს მოერიდებოდიო. მე მხოლოდ იმას ვუმალავ ხალხს, რისი გამოჩენაც საზიანო და მაწყინარია, და მხოლოდ იმას ვთესავ, რისი მომკაც იოლი და სასარგებლოა; მზრუნველი ხელმწიფე სწორედ ასე უნდა იქცეოდესო. შენ რომ სიბნელე გგონია, განა მართლა სიბნელეა - სინათლეა, ოღონდ მოზომილი სინათლე, იმდენი, რამდენიც საჭიროა, რომ ის გამოჩნდეს, რისი გამოჩენაც აუცილებელია. ქამიდან ქამზე გველეშაპის ორი პირიდან ერთ-ერთი იღება და მცირეოდენი სინათლე შემოდის, რათა დასანახი დავინახოთ, მაგრამ არკი დავბრმავდეთ. განა არ იცი, რომ მეტისმეტი ნათელი თვალებსა წვავს. შენც სწორედ იმიტომ გგონია ეს ქვეყანა უკუნ სიბნელეში დანთქმული, რომ სინათლის ბრწყინვისაგან თვალის ჩინი დაშრეტილი გაქვს. თუმც, არც იმას დავმალავ, რომ სხვაფრივ კარგი ვაჟკაცი ჩანხარ და ძალიანაც მომეწონე. თუ ჩემთან დარჩები, ჩემს მემკვიდრედ დაგნიშნავ, ტახტს დაგიტოვებ და ჩემს შემდეგ ამ დიდებული ქვეყნის ხელმწიფე შეიქნებიო. არაო, უთხრა უფლისწულმა, მე აქ იმისთვის მოვედი, რომ სინათლეს გზა გავუკაფო, შენი ტახტი არ მჭირდებაო. კარგად დაფიქრდიო, უთხრა წყვდიადის ხელმწიფემ, აქაურობას რომ შეეჩვევი, დარწმუნდები, რომ ამაზე უკეთესი ქვეყანა სხვაგან არსადაა. დარჩი, არ ინანებ. ეგ კი არა, შესაძლოა ემაგ ბრტყელ-ბრტყელ ლაპარაკსაც კი გადაეჩვიოო. ტყუილად მათათბირებო, მიუგო უფლისწულმა, თუ ძალა გერჩის, ძალა მაჩვენე და მეც ძალას დაგახვედრებ, თუ არადა გზიდან ჩამომეცალე, ეგ შემპარავი ლაპარაკი სულ ამაოაო. წყვდიადის ხელმწიფემ ამაზე უთხრა: თუ გინდა, მე დამამარცხო და სინათლეს გზა გაუკაფო, გველეშაპის ერთი პირიდან რომ შემოხვალ, მეორე პირიდან უნდა გახვიდე. განა არ იცი, რომ ეს შეუძლებელია? ეს სიპი, ციცაბო და თვალშეუდგამი კლდე, საიდანაც გაღმა მხარეს ტრიალ-ტრიალით ჩამოვარდი, გამოღმა მხარეს უკანვე უნდა აიარო და აბა როგორ აივლი? რომც აიარო და წვერზე ახვიდე, იქ ხომ ისევ გველეშაპის ხახაში მოხვდები და გველეშაპის ხახას თავს როგორ დააღწევ? გიჯობს აქ დარჩე, მამაცო უფლისწულო, და ჩემი წყალობა შეიმშნოვო და შეირგოო. უფლისწულმა რომ კვლავ უარი თქვა, წყვდიადის ხელმწიფე ძალიან გაწყრა: მაშ კარგი, რაკი არ დაგიშლია, წადი, მაგრამ იცოდე, რაც დაგემართოს, ყველა შენს თავს დააბრალეო. ეს უთხრა და გზიდან ჩამოეცალა. წავიდა უფლისწული, შეუყვა ციცაბო კლდეს, მიდის და ძლივს მიდის დაკიდებულ აღმართში. ხელ-ფეხიდან სისხლი სდის და მაინც წინ მიიწევს, მკლავში ღონე ელევა და მაინც მიდის. მიდის და აღმართს ბოლო არ უჩანს. ქამიდან ქამზე მამის ელვარე ამბორს გაიხსენებს, მამის ელვარე ამბორი მხნეობას ჰმატებს და მიდის, მიდის... კლდე იმოდენაა, დაბლა ძირი არ უჩანს და მაღლა წვერი. მაინც მიდის... კლდე იმოდენაა, დაბლა ძირი არ უჩანს და მაღლა წვერი. მაინც მიდის. იარა, იარა, არავინ იცის, რა დრო გავიდა და რა მანძილი გაიარა, ბოლოს და ბოლოს დაქანცულმა და გასავათებულმა როგორც იქნა ის პიტალო კლდე აათავა და გველეშაპის ხახას მიაღწია. გაიხედა და ხედავს, გველეშაპის ლაშების მცირე ნაპრალიდან სინათლის ეული სხივი მოჩანს. გაეხარდა უფლისწულს და წავიდა იმ ნაპრალისკენ, მაგრამ ახლო რომ მივიდა, გველეშაპი უეცრად შეირხა, ამოძრავდა, მოირკალა, მოისალტა, დაიგორგლა, პირი პირში ჩაიდო, კბილი კბილს მოსჭიდა და უფლისწული, იმის ნაცვლად, რომ სინათლეზე გამოსულიყო, ერთი ხახიდან მეორეში მოხვდა. მაშინ გველეშაპმა პირი პირს მოაშორა და უფლისწული ხელახლა გადავარდა ვეება და უძირო წიაღში. მიქრის თავქვე, მიექანება საშინელი სისწრაფით. ირგვლივ უკუნი ღამე, ლორწოვანი ნესტი და მყრალზე მყრალი სუნია... ერთი სიტყვით, ყველაფერი თავიდან დაიწყო და აჰა, მიაბიჯებს უფლისწული თავდაღმართში, გადადის ქვეყნიდან ქვეყანაში, საცა კი მივა, ყველგან აბუჩად იგდებენ, დასცინიან, აფურთხებენ, ტალახის გუნდებს ესვრიან, ხან ძელზე აჰყავთ, ხან ჯვარზე, ხან სახრჩობელაზე, ხოლო უკან წყვდიადის ხელმწიფის შავი მსახური მისდევს და ნიშნისმოგებით მისძახის: აკი გაფრთხილებდი, სინათლის უფლისწულო, ამ კუნაპეტ ღამეში დაიმარხები-მეთქი! მიდის უფლისწული, განვლო ყველა ქვეყანა და ყველგან თითო წვეთი გულის სისხლი დატოვა, გაიარა უთვალავი განსაცდელი, ჩაათავა ბოლო თავდაღმართი, მიაღწია ტრიალ მინდორს, გავიდა წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყმედის მდინარეს, არ შეეპუა წყვდიადის ხელმწიფეს, კვლავ უარი უთხრა დარჩენაზე და განაგრძო ტანჯვა-წამების გზა, აათავა როგორც იქნა ის დაკიდებული აღმართი და ავიდა გველეშაპის ხახაში; მოირკალა მაშინ გველეშაპი, პირი პირში ჩაიდო, კბილი კბილს მოსჭიდა და კვლავ გადაისროლა უფლისწული ბნელსა და უძირო წიაღში. ერთხელ განმეორდა ასე, ორჯერ, სამჯერ, მრავალჯერ... ჩანს, უნდა გამართლდეს შავი მსახურის წინასწარმეტყველება, ჩანს, საბოლოოდ უნდა დაიმარხოს ამ კუნაპეტ ღამეში, მაგრამ იმასაც ატყობს უფლისწული, რომ, როცა კი წარწყმედის მდინარეს მშვიდობით გააღწევს და წყვდიადის ხელმწიფეს იქ დარჩენაზე უარს ეტყვის, მახსოვრობა თანდათან უბრუნდება, ხოლო რაც უფრო უბრუნდება მახსოვრობა, მკლავში ძალა ემატება, გონებაში ნათელი და გულში სიყვარული.

არავინ იცის, რამდენჯერ შემოიარა უფლისწულმა ის პირშეკრული წრე, რამდენჯერ ავიდა პიტალო კლდეზე და რამდენჯერ ჩამოვარდა. და აი, დადგა ჟამი, როცა იგრძნო, რომ უკვე შეეძლო იმ შიგანაქოთებულ გველეშაპს შებმოდა. მართლაც, ერთხელ, როდესაც ჩვეულებისამებრ აათავა აღმართი და გველეშაპიც ჩვეულებისამებრ მოირკალა, პირი პირში ჩაიდო და კბილი კბილს მოსჭიდა, უფლისწულმა ღმერთი ახსენა და იმ უხსენებელს დიდი ბრძოლა გაუმართა. თითო ფეხი თითო ხახაში ჩაუდგა, თითო ხელი თითო პირში გამოსდო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გასწია და გამოსწია. აიზიდა გველეშაპი, აბორგდა, შეტორტმანდა, ჯერ საზარელი ხავილი ამოუშვა ორთავ პირიდან, მერე ცეცხლის ენები ამოსტყორცნა. შეიძრა ირგვლივ ყოველი. გველეშაპის ბორგვა მალე მისსავ წიაღს გადაეცა და აირია და აითქვიფა გველეშაპის წიაღი. წაღმა-უკუღმა დატრიალდა ყოფის ბორბალი. აქ მიწა იძრა, იქ ვულკანი ამოიფრქვა, სხვაგან უფსკრულმა პირი გახსნა, მაღალი მთები გუგუნით ჩამოიქცა, კოკისპირული წვიმები წარღვნად მოვიდა, მიწის გულიდან ამოხეთქილმა ლავამ მიწის პირი დაფარა; მეხი ჭექდა, ელვა ელავდა, მაღლით ღელგმა მოდიოდა, დაბლა ხანძარი მძვინვარებდა, გრიგალი ღმუოდა, მიწა ტორტმანებდა, ყველაფერი ერთმანეთში იზილებოდა და ილუფხებოდა. ადამიანებს გონებაზე ლიბრი გადაეკრათ. ლიბრგადაკრულებმა უაზროდ დაავლეს იარაღს ხელი და ერთმანეთს დაერივნენ. სოფელი სოფელზე აღდგა, ქალაქი ქალაქზე, ქვეყანა ქვეყანაზე; უმოწყალოდ ხოცეს და ჟლიტეს ერთიმეორე, მათი გოდება და ვაი-ვიში ცასა სწვდებოდა; სისხლის მდინარეებმა დატბორა ბაღები და ვენახები, მრავალი სამეფო აღიგავა პირისაგან მიწისა, უამრავი ხალხი მოისრა. თუ ვინმე გადარჩა, თავის ჭკუაზე აღარ იყო, შიშისაგან დაზაფრულები პირქვე ეყარნენ და წამიწამ სიკვდილს მოელოდნენ. უფლისწული და გველეშაპი კი დიდხანს იბრძოდნენ, დიდხანს ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ. ბოლოს იმარჯვა უფლისწულმა, აჯობა გველეშაპს, კბილი კბილს მოჰგლიჯა, პირი პირს მოსწყვიტა და აჰა, გამოსცდა აშმორებულ ჯურღმულს, დიდ სინათლეზე გამოვიდა. გაწყდა წრე და გამთელდა თოკი...

მას აქეთ დგას უფლისწული წარმავლობის მთვლემარე მდინარეში და ზე აღმართულ ხელებში გველეშაპის თავები უჭირავს. გველეშაპი ახლაც ცოცხალია. იბრძვის, ტორტმანებს, იკლაკნება და ცეცხლებს ჰყრის, მაგრამ მისი დღეები დათვლილია. ორთავ ხახა დაღებული აქვს, შიგ სინათლე გადის და წყვდიადი ნელნელა ნათდება. მიუჩვეველ ადამიანებს ეშინიათ სინათლის და შორეულ კუნჭულებში იმალებიან, სადაც ჯერ კიდევ ბნელა. ვინც გაბედული იყო, სინათლეს თვალი გაუსწორა და ჯურღმულსაც თავი დააღწია. ახლა დანარჩენების ჯერია. ხოლო გველეშაპი, თუმც კი დამარცხებულია, მანამ იბრძოლებს და მანამ არ მოკვდება, სანამ თავის წიაღში ერთი მფრთხალი და მორჩილი კაცი მაინც ეგულება. როცა ყველას მოეფინება ნათელი, როცა იმ მხარის ყველა მცხოვრები, ვინც კი ცოცხალი გადარჩა, სინათლეზე გავა, გველეშაპის აღსასრულიც დადგება: ცეცხლი დაევსება, ძალა გამოელევა და ისე გაქრება, თითქოს არც არასოდეს ყოფილიყოს. მაშინ თვლემის მდინარე დაშრება, ნაპირი ნაპირს შეუერთდება, ნაპრალი ამოივსება, რაც დანაწევრებული იყო, ისევ გამთლიანდება და დიდი ბრძოლიდან დაბრუნებული ძლევამოსილი უფლისწული ბროლის სასახლეში ელვის ტახტზე დაბრძანდება.

თუ ღმერთმა ინება, ვინ იცის, იქნებ ეს დიდებული დღე ჩვენს მოსწრებაში დადგეს.

## ალიონი. ირაკლი, ვითარცა ირაკლის ლანდი. მეორეხარისხოვანი ეპიზოდები. დავიძარით!

მართლა ასე ითქვა ეს ზღაპარი? ითქვა კია, საერთოდ?

კითხვა კანონიერია, მაგრამ პრობლემის სისტემატურ კვლევას რომ გამოვეკიდოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვილი შესაძლებელია, ისეთ მორევში ჩავყვინთოთ, საიდანაც ამოსვლას აღარ მოვიწადინებთ და თუ მოვიწადინებთ, ვერ ამოვალთ. რომ ვიცოდე პასუხი, თავისთავად ცხადია, ვიტყოდი კიდეც; ერთადერთი, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით მტკიცედ შემიძლია განვაცხადო, ის გახლავთ, რომ მაქსიმალური კეთილსინდისიერებით გიამბობთ იმას, რაც ჩემი თვალით ვნახე და ჩემი ყურით გავიგონე, ხოლო თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდება იმისათვის, რომ ხსენებულ კითხვას პასუხი გაეცეს, რას ვიზამთ - სჯობს ეს ერთი კითხვა დავტოვოთ უპასუხოდ, ვიდრე მაგისტრალური გზიდან გადავუხვიოთ და ჩიხებში და მოსახვევებში დავიკარგოთ.

ღამის ორი საათისთვის კოცონები ჩაიბქუტა და მალე რიკოთს ძილქუში დააწვა. მანამ კი ასე თუ ისე ღირსშესანიშნავი მხოლოდ ის მოხდა, რომ სამმა თმაგაშლილმა ქალმა ჩამოიარა, თან ცელოფანის მოზრდილი პარკი მოჰქონდათ, რომელიც თითო ხელით სამთავეს ეჭირა, და ხაზგასმულად გაბმული, ნახევრად საზეიმო, ნახევრად სამგლოვიარო კილოთი მორიგეობით გვამცნობდნენ და გვაუწყებდნენ, გვირაბის გახსნას წინ არაფერი უდგას, მაგრამ ყურუმსალები გასამრჯელოს ითხოვენ და, ვისაც რამდენი შეგიძლიათ და გემეტებათ, საერთო საქმისთვის გაიღეთო. რაკი თაღლითობა თითქმის შეუნიღბავი იყო, ბევრი არაფერი გაგვიღია, თუმცა, რაც გავიღეთ, ქალები იმითაც კმაყოფილი დარჩნენ, დაგვლოცეს, ჯვარი გადაგვწერეს და ხითხითით გაეშურნენ შემდეგი კოცონისაკენ.

კოცონები რომ ჩაქრა და ყველა სანახაობა დამთავრდა, მე და სალომე მანქანასთან დავბრუნდით, რათა დაგვესვენა და ცოტა თვალიც მოგვეტყუებინა. ვიდრე სალომე უკანა სავარძელზე მოეწყობოდა, მე გარეთ დავრჩი. ვიდექი მანქანასთან და გატრუნულ ღამეს ვაყურადებდი. დიდხანს ვიდექი ასე თუ ცოტა ხანს, უეცრად ნაბიჯების ხმა შემომესმა. იმავ წამს ქვემოდან მომავალი კაციც დავინახე, მაღალ-მაღალი, ხმელი, სათვალიანი და თითქმის მთლიანად მელოტი, თუმც კი არც ისე ხნიერი - ასე ოცდათვრამეტი - ორმოცი წლისა იქნებოდა. ამ გარეგნობას, რომელიც თავისთავად იმდენად ჩვეულებრივი, შეიძლება ითქვას, უფერული იყო, რომ ხსენებადაც კი ალბათ არ ღირს, მოულოდნელად და ძალზე ეფექტურად ასრულებდა (მე ვიტყოდი, ამთლიანებდა და ერთიან სტილში აქცევდა) რბილი და დახვეწილი, ინტელექტუალური სახე, რომელიც მთვარის ესოდენ მკრთალ შუქზეც კი თვალშისაცემი იყო. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად ჩემი ყურადღება ამ კაცმა მიიპყრო არა იმდენად გარეგნობით, რამდენადაც იმით, რომ თავისთვის რაღაცას ლაპარაკობდა. სხვისი წერილების წაკითხვა, ვიცი, წესი არაა, მაგრამ სხვისი მონოლოგების მოსმენა მგონი დიდი ცოდვა არ უნდა იყოს, და თუ ვცდები და დიდი ცოდვაა, რა ვქნა, მე ეს ცოდვა ვერ ავირიდე. ხმა თავიდან ყრუდ და გაურკვევლად ისმოდა, მაგრამ გვერდით რომ ჩამიარა - უნდა ითქვას, ისე ახლო ჩამიარა, კინაღამ მხარი წამომდო - უკვე მკაფიოდ გავიგონე:

- ნწუ, არა... შეუძლებელია... თითქმის... რატომ?.. აბსოლუტურად... რამდენი ხანი უნდა ვიცოცხლო, სახლამდე რომ მივიდე? ათი წელი? ოცი? ასი? მილიონი? ვერავინ იტყვის. თუ ჰორები ოდესმე მართლა არსებობდნენ, დიდი ხანია აღარ არსებობენ, და თუ დროს ოდესმე მართლა ება კარი, დიდი ხანია აღარ აბია... დიდი ხანია?.. არა. „ხანი" არაკორექტული ცნებაა. დროს ხანი არა აქვს. დროს წლები და მონაკვეთები არა აქვს. დროს ვერაფერს მოაჭრი. „დროის მონაკვეთი" აბსურდია. მომდევნო წამი არასოდეს დადგება. დროს არც დანაყოფები აქვს და არც საზღვარი. ის კი, რასაც დანაყოფები და საზღვარი არა აქვს, დაუსრულებელია. ხოლო რაც დაუსრულებელია, იმას ვერც რამეს დააკლებ და ვერც სადმე გაექცევი. მაშასადამე...

ამის შემდეგ სიტყვები ერთმანეთში აირივნენ, ხმა დაუნაწევრებელი და გაურკვეველი გახდა და მალე მიწყდა კიდეც.

მე კაცს თვალი გავაყოლე. უკნიდანაც ინტელექტუალი ჩანდა. აღმართს აუყვა, ოცდაათიოდე მეტრი გაიარა და მანქანებში და ღამეში ჩაიკარგა. მაშინ მეც მანქანაში ჩავჯექი, ხელები საჭეზე დავაწყე და შუბლით ხელებს დავეყრდენი იმ იმედით, რომ თუ თვალს ვერ მოვატყუებდი, თავი მაინც მომეტყუებინა, ვითომ თვალს ვატყუებდი. ირგვლივ სიჩუმე იდგა. სიჩუმე დიდხანს ეძებდა ხვრელს ჩემს სხეულში და, რა იპოვა, შემოიპარა კიდეც ნელ-ნელა და ფეხაკრეფით როგორც დესანტი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ციხე შიგნიდან გაეღო და ძილის ლაშქარი უგრძნობლად შემოეყვანა. ასეც მოხდა. მე არ გამიგია, რა დრო დასჭირდა ამ ოპერაციას. მხოლოდ მაშინ, როცა გამომეღვიძა, მივხვდი, რომ ჩამძინებოდა. გამოღვიძებით კი გამომეღვიძა ერთბაშად. რაღაც უცხო და უცნაური, აბსოლუტური დუმილის შეგრძნებამ გამომაღვიძა. შუბლით კვლავ საჭეზე დაწყობილ ხელებს ვიყავი დაყრდნობილი და მკაფიოდ ვგრძნობდი, როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოდიოდა დაგუბებული ძილი სხეულის გახსნილი პორებიდან. როცა სხეული სულ დაიცალა, თავი ნელა, უნებური სიფრთხილით, ცოტა გაუბედავადაც კი, ავწიე და მაშინღა გავიცნობიერე ის შემაშფოთებელი, აუხსნელი, ლამის არაამქვეყნიური დუმილი, რომელიც მე და ჩემს მანქანას, რიკოთს, მთელს ამ ბნელ ღამეს და შესაძლოა მთელს ამ ბნელ ქვეყნიერებას ირგვლივ გვერტყა. კაცმა რომ თქვას, ეს დუმილი არც იყო. რაღაც სხვა იყო. რაღაც ღრმა, გაუვალი, მიმანდასახული და გასაიდუმლოებული; ალბათ უფრო უძრაობა, ვიდრე დუმილი გატრუნული, გარინდებული, გადარაჯებული; ჩასაფრებული, მიყურადებული, ჩახმახზე შეყენებული; დაძაბული, დამუხტული, გავარვარებული; უძრაობა, რომელიც გონებაში ისეთ შემზარავ გამოთქმებს ბადებდა, როგორიცაა, ვთქვათ, „სამარის კარი“. მე გაუნძრევლად ვიჯექი. იმის შიშით, რომ ჰაერის ტალღა არ აღმეძრა და გატენილი დუმილი ჩემდაუნებურად არ ამეფეთქებინა, თავის მიტრიალებასაც ვერ ვბედავდი. ერთხანს რომ ასე ვიყავი და არ ვიცოდი როდემდე მომიხდებოდა ასე ყოფნა, ბოლოს, როგორც იქნა, თითქოს სამყარომ კლინიკურ სიკვდილს თავი დააღწიაო, ყურს რაღაც შორეული, მსუბუქი ნიავივით ხმა მოსწვდა. გახარებულმა სმენა გავიმახვილე. მალე მივხვდი, რომ ეს სალომეს სუნთქვა იყო. ამან ერთბაშად დამამშვიდა, თუმცა განძრევას ჯერ კიდევ ვერ ვბედავდი და მანამ ვიჯექი ასე გაქვავებული და ღამის ბინდს მიშტერებული, სანამ სიბნელემ ფერი არ იცვალა. სიბნელე დიდხანს ჯიუტობდა, მაგრამ ბოლოს მაინც გატყდა და ჩამუქებულ ღამეს მღვრიე ნისლისფერი შემოეპარა, რომელიც აუჩქარებლად და მუყაითად მუშაობდა და თანდათან ფეხს იკიდებდა. ეს სურათი, საფიქრებელია - და სარწმუნოდ საფიქრებელია - რიჟრაჟის დადგომის მეტს არაფერს მოასწავებდა, მე კი მის დანახვაზე ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სადღაც სხვა სამყაროში, ყოველ შემთხვევაში, სხვა პლანეტაზე მაინც, მოვხვდი, ხოლო მეორე წამს მომაგონდა, რომ ამდაგვარი გრძნობა გუშინ დილითაც გამოვცადე, თუკი გუშინდელი დილა მართლა გუშინ დილით იყო. ამ პარალელმა ერთბაშად გამიტაცა, ისე გამიტაცა, რომ მალე ნაცნობსა და ნაჩვევ კალაპოტში აღმოვჩნდი და ყველა ამონაყოლ სისულელეს ალბათ უკვე შედარებით იოლად ჩამოვიბერტყავდი, მოულოდნელად რომ წინ, მაღლა, მოშორებით, ირაკლი არ დამენახა, რომელიც მღვრიე განთიადში თალხი აჩრდილივით მოაბიჯებდა.

თუ სალომეს მშვიდი, თანაბარი სუნთქვა იმის მაუწყებელი იყო, რომ ღამის სიჩუმეს ნელ-ნელა, ასე ვთქვათ, ევოლუციურად, აეხდებოდა ცრუ-იდუმალი პირბადე, ირაკლის გამოჩენამ პირბადე იგი ნერვიულად დახია და ნაკუწები ორთავ ხელით ზურგსუკან გადაყარა. ირაკლი თავჩაქინდრული მოაბიჯებდა და მომეჩვენა, თითქოს რაღაცით - რითი არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ვინც აქ რაიმე ქარაგმასა და ქვენა აზრს დაუწყებს ძებნას, მწარედ მოტყუვდება - ეროვნულ დემოკრატს ჰგავდა. გაფითრებული იყო (ეგებ ამაში ბრალი სნეულსა და ფერდაკარგულ მთვარეს მიუძღოდა), ნაბიჯი არეული ჰქონდა (ეგებ მომავალი მიწისძვრის ნიშნები ამ დროს უკვე გამოჩნდა) და სახეზე გაუცხოებული გამომეტყველება ედო (ეგებ არსებული წეს-წყობილების გამო), ცარიელი, განყენებული, არაფრისმთქმელი გამომეტყველება. მთელი ქვეყნის გულთამხილავები, ექსტრასენსები, მოგვები და პარაფსიქოლოგები რომ ერთ საერთო კონსილიუმზე შეკრებილიყვნენ, ამ სახეზე ისეთს ვერაფერს იპოვნიდნენ, სიცოცხლის ნიშნად გამომდგარიყო. მართალია, ირაკლი მოდიოდა და ერთი შეხედვით ეს უკვე კმაროდა სიცოცხლის საბუთად, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ზოგჯერ ქვაც მოდის, ზოგჯერ ღრუბელიც მოდის, ზოგჯერ ღვარცოფიც მოდის... რაც უფრო ახლოვდებოდა ირაკლი და რაც უფრო იკვეთებოდა მისი მოხდენილი ფიგურა მღვრიე რიბირაბოს ფონზე, მით უფრო იზრდებოდა ჩემი შეშფოთება.

ბოლოს-თავის მანქანამდე თითქმის აღარაფერი ჰქონდა დარჩენილი - ვეღარ მოვითმინე.

- სალომე, გძინავთ? - ვკითხე ხმადაბლა, იმ ანგარიშით, რომ თუ ეძინა, არ გაღვიძებოდა, მაგრამ თუ არ ეძინა, გაეგონა.

- არა, სავსებით ფხიზლად მიპასუხა სალომემ.

- ირაკლი მოდის, - ვუთხარი მაშინ.

- მარტო? - სალომეს ხმაში გაკვირვება და შეშფოთება შეერია. შეერია თუ არა ცნობისმოყვარეობა, ვერ მივხვდი.

- მარტო, - მივუგე მე.

- გვანცა?

ამ ფუჭ კითხვაზე პასუხი, ბუნებრივია, არ მქონდა და ერთხანს ორივენი ჩუმად ვიყავით. მე თვალმოუშორებლივ მივჩერებოდი ირაკლის. მერე ოდნავ მივატრიალე თავი, რომ უკანაც მიმეხედა. სალომე გამართული იჯდა.

- შევეხმიანო? - ვიკითხე საკმაო დუმილის შემდეგ.

ეს კითხვა არსებითად საკუთარ თავს დავუსვი, ვინაიდან წესად არა მაქვს ჩემი გადასაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვეტი პრობლემები სხვას, მით უფრო, შემთხვევით დამგზავრებულ ქალს, შევუთანხმო.

ჩემდა გასაკვირად სალომემ მაინც მიპასუხა და მიპასუხა მტკიცედ, გადაჭრით, მგონი კატეგორიულადაც კი:

- არა.

მეც „არას“ ვვარაუდობდი, სავსებით ვიზიარებდი რა ჯანსაღ დებულებას, რომლის თანახმადაც, თუ ვითარება საორჭოფოა და არ იცი, ჩარევა სჯობს თუ ჩაურევლობა, იცოდე, ჩაურევლობა სჯობს. ამიტომ გასაკვირი ის კი არ იყო, რომ ახლა ეს „ არა“ საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ურყევი გადაწყვეტილება, არამედ ის, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებაში - ეს იმდენად ცხადი იყო, გუნებაში მხრებიც კი ავიჩეჩე - სალომემ გვარიანი წვლილი შეიტანა...

ირაკლის მიტკლის ფერი ედო. ამის შემჩნევა ახლა ძნელი აღარ იყო, ვინაიდან განთიადს ძალაცა და სინათლეც უკვე საკმაოდ ჰქონდა მოკრებილი. ირაკლიმ მანქანის კარი გამოაღო, ჩაჯდა და ისევ მიხურა.

მაშინ მე ფრთხილად გადმოვედი მანქანიდან, თავი ისე დავიჭირე, თითქოს ალიონის ფერთა თამაშით ვიყავი მონუსხული და შენი ირაკლი სრულებით არ მაინტერესებდა და ნელი ნაბიჯით ავიარე და ჩამოვიარე. ირაკლის ზუსტად ისე, როგორც ცოტა ხნის წინ მე, ხელები საჭეზე ეწყო, ოღონდ ჩემგან განსხვავებით ამ ხელებს ნიკაპით ეყრდნობოდა და არა შუბლით, და თვალგაშტერებული წინ, ზემოთ იყურებოდა. სახე ახლაც უტყვი და უსიცოცხლო ჰქონდა და ამ უტყვსა და უსიცოცხლო სახეზე - ვისთვისაც მიტკლის შედარება გაუგებარი დარჩა, იმათ რომ ეს აზრი კიდევ უფრო გაუგებარი საშუალებით გავაგებინო - ფერი არ ედო.

ირაკლის ჩემი ჯაშუშური საქმიანობა არ შეუმჩნევია და მალე მე უკან დავბრუნდი.

სალომეს მოგზაურობის შედეგები არ უკითხავს. მეც არაფერი მითქვამს. სამაგიეროდ მცირე დუმილის შემდეგ სხვა რამ ვუთხარი:

- სალომე!

- დიახ.

- აქედან თუ ოდესმე გავაღწიეთ და ერთ მშვენიერ დღეს სანაკლიოში მოვხვდით, გამიგებთ იმ კაცის ვინაობას და ასავალ-დასავალს?

- არ ვიცი. მამიდების გამოტეხა, აკი გითხარით ძნელი არ არის. მაგრამ თუ შევატყე, რომ განსაკუთრებით მოსაფრთხილებელი საიდუმლო ჰგონიათ, ვერ დავამალებ, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ამაგი დამდეთ.

- რა გაეწყობა, იმედს დავჯერდები. მით უმეტეს, რომ უკვე ოთხი საათი ხდება და უნდა ვიჩქარო.

- მართლა აპირებთ წასვლას?

- ამბავს ჩავიტან სანაკლიოში. თან ამაგსაც გავამრავლებ.

- რად გინდათ?

- არაფრად, მაგრამ ამაგი, ხომ იცით მათრობელაა. ადამიანი კი ლოთია: რაც უფრო მეტს ჩაიდენს, მით უფრო თვრება, და რაც უფრო თვრება, მით უფრო მეტი უნდა ჩაიდინოს.

- იწვიმებს - თქვა სალომემ.

- მე გაკვირვებით მივხედე და, მივხედე თუ არა, გაისმა კიდეც ის საშინელი ხმა. ჯერ მანქანის ღმუილი გავიგონეთ - ისეთი, რომ იფიქრებდით, მთელი რიკოთი გაზის პედალს დააწვაო. ღმუილს ჭახანი მოჰყვა, რომელშიაც ყველაზე გამოუცდელი და უმეცარი ყურიც კი ამოიცნობდა დაჯახების ხმას. ამის შემდეგ კვლავ ღმუილი, კიდევ ერთი - არანაკლები ძალის დაჯახება, - ისევ ღმუილი- ცოტა უფრო ხანგრძლივი, მერე შედარებით გაუგებარი ხმაური, ყოველ შემთხვევაში, ერთბაშად რომ ვერ განსაზღვრავ, ისეთი, და ბოლოს ხალხის სასოწარკვეთილი კივილი.

მე ამ დროს უკვე მანქანებს შორის მივიკვლევდი გზას. პირველ ღმუილზე არა, მაგრამ პირველი ჯახანის შემდეგ კი სწრაფად მივაძახე სალომეს, რაღაც ამბავია-მეთქი, მანქანიდან გადმოვხტი და ახლა, როცა ყურისწამღები - და ეტყობა საფინალო - კივილი გაისმა, სულ ახლო ვიყავი შემთხვევის ადგილთან - სადაც უკვე ბლომად ხალხი ირეოდა და ორი შელანძღული მანქანა იდგა - ერთს თავი ჰქონდა შელანძღული, მეორეს ბოლო - ხოლო მათ შორის დარჩენილი იყო მესამე მანქანის ადგილი. ადგილი, მაგრამ არა თვითონ მანქანა. მანქანა უკვე ხევში ეგდო. დაზიანებულ მანქანებს შუა ბერიკაცი ვინმე მიმორბოდა, ხელებს უაზროდ და ენერგიულად იქნევდა. და უბილწესი სიტყვებით იგინებოდა. რამდენიმე კაცი უკვე დაშვებულიყო ციცაბო ფერდობზე. მეც დავეშვი. მარჯვედ მივქროდი და მალე დავეწიე კიდეც მოწინავეთ. ასე რომ ხევში ყველანი ერთდროულად ჩავცვივდით. აქედან რომ ჩვენ მივადექით დალეწილ მანქანას, იქიდან ავტომატებით შეიარაღებული რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭი მოადგა, რომელთაც შავი პერანგები ეცვათ, შავი სათვალეები ეკეთათ და შუბლები შავი ღოლბანდებით ჰქონდათ გაკრული. ბიჭებმა დაგვასწრეს, ხევი გადმოირბინეს, მანქანას წინ გადაუდგნენ და გზა გადაგვიღობეს, თუმცა ამის მიუხედავად ჩვენ ცხადად დავინახეთ დალეწილი, რომელიც მანქანიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრევე გადმოვარდნილიყო და ამიტომ ისე დასახიჩრებული არ იყო, როგორც მოველოდით. სათვალე აღარ ეკეთა - ეტყობა გზაში მოძრაობდა - მაგრამ მე სათვალის გარეშეც ვიცანი ხმელი ინტელექტუალი, რომელიც სიცოცხლეში, ყოველ შემთხვევაში, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, იმ აზრს ადგა, რომ დრო ერთია, განუყოფელი და აბსოლუტური და რომელმაც ვინ იცის, იქნებ იმიტომ მოისხიპა ეს თავისი განაწამები აზრები ესოდენ დაუნდობლად, რომ ამ ცოდვილ, ფარისეველ და ხარბ ქვეყანაზე ფიქრთა გამზიარებელი ვერავინ ჰპოვა.

- მიბრძანდით უკან, - გვითხრა ერთმა ავტომატიანმა, რომელიც სხვებზე წინ იდგა, - აქაურობას ჩვენ მივხედავთ.

მაგრამ ჩვენ ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი - რა ვუყოთ, რომ ცოტა დაგვიანებული - გვაწუხებდა და გვინდოდა მოგვეხედა.

- იქნებ ცოცხალია, - სცადა ერთმა ჩვენგანმა საზოგადოებრიობის ინტერესების დაცვა.

- მკვდარია, - თქვა იმავე ავტომატიანმა. შესაძლოა უფროსი იყო, - და თუ ცოცხალია, მაინც ჩვენ მივხედავთ. ექიმებიც გვყავს და ყველაფერი მიბრძანდით.

- თქვენ შონიას ხალხი ხართ? - ვკითხე მე უტაქტოდ.

მან მუქარით შემომხედა. პასუხი არ გაუცია.

- წახვალთ თუ არა?! - მკაცრად თქვა. მაშინ სხვამ და თვალები დაგვიბრიალა. შესაძლოა ეს კიდევ უფრო უფროსი იყო.

ჩვენ მაინც არ წავედით. ამიტომ იმან - მეორემ - ერთი უმისამართოდ და ამაოების გამომხატველი კილოთი შეიგინა, მერე ავტომატი შემართა და ჰაერში მოკლე ჯერი მიუშვა.

დღეს, როდესაც მთელი საწყობი ტყვიაწამალი უნდა დაგიცალონ ცხვირთან, რომ ნახევარი ნაბიჯი მაინც გადაგადგმევინონ უკან, შესაძლოა ჩვენი მოქმედება სამარცხვინო მოგეჩვენოთ, მეტიც, ზოგიერთმა, ვინც მოჭარბებულად სულსწრაფია და შედეგი მიზეზზე წინ მიურბის, იქნებ სიმხდალეც დაგვწამოს. სინამდვილეში, მერწმუნეთ, ადამიანის მთავარი მამოძრავებელი ძალა ჩვევაა. დღეს ალბათ ის ხალხი, როგორც ყველა სხვა ნორმალური ადამიანი, ავტომატის კაკანს ისეთსავე ყურადღებას აქცევს, როგორც კატის კნავილს, ბუზის ბზუილსა და ტანკის გრუხუნს, მაგრამ მაშინ ავტომატის ჯერი ახალი ხილი იყო და ჩვენი რეაქციაც მოულოდნელი შეკრთომით უნდა აიხსნას და არა სიმხდალით. ცხადია, მხდალს ყველგან შეხვდებით და ჩვენს შორისაც ერივნენ. ეს გამოჩნდა კიდეც. ოღონდ - და სწორედ ეს არის ნიშანდობლივი - გამოჩნდა არა რეაქციით, არამედ რეაქციის ინტენსივობით. მართლაც, ერთი-ორი კაცი ისეთი სისწრაფით გაიქცა ამ დაკიდებულ აღმართში, რომ სხვა, ჩვეულებრივ, ფსიქოლოგიურად ნორმალურ ვითარებაში ამის მეათედიც კი წარმოუდგენელი იქნებოდა.

მაგრამ მივუბრუნდეთ სათქმელს: ავტომატის ჯერმა მყისვე გვაიძულა მორჩილების ვაგლახად აწურული ღმერთი გვეწამა და უკან დავბრუნებულიყავით, რაც, თუ ზემოხსენებულ მცირერიცხოვან გამონაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში, გაცილებით უფრო მძიმე და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა, ვიდრე ხევში ჩასვლა.

ის იყო ავათავე ფერდობი და ჩემი მანქანისკენ დავეშვი, რომ უეცრად ვიღაცამ გზა გადამიღობა. მე უკმაყოფილოდ ავიხედე და ის ნახევრადნაცნობი ბრძენკაცი შემრჩა ხელთ, რომელიც შონიასა და გარსის იგივეობის დამტკიცებას კანის, ტყავისა და ქერქის მეშვეობით ცდილობდა.

ბრძენკაცს მაღალფარდოვანი გამომეტყველება ჰქონდა.

- არა! - მითხრა მტკიცედ, გადამიდგა თუ არა წინ.

- რატომ? - მიამიტად ვკითხე მე.

- შეცდომა იქნა დაშვებული. ორთავ მხრიდან. თქვენგნითაც და ჩემგნითაც. არა სალტე. და არა გარსი. რაღაც სხვა. რაღაც ისეთი, რისი დიაპაზონიც უფრო ვრცელია, ვიდრე ნებისმიერი სულიერისა და ნებისმიერი უსულოსი, რადგან ნებისმიერ სულიერზე მაღლაც ადის და ნებისმიერ უსულოზე დაბლაც ეშვება. ხოლო თავად არც უსულოა, არც სულიერი.

რა არის ისეთი - მეორეხარისხოვან ნიშნებს რომ მოვეშვათ - რაც არც სულიერია და არც უსულო?

- კერძოდ?

- ფალოსი!

- ფალოსი... თქვენ ამტკიცებთ, რომ ფალოსი ვართ?.. ასე ერთობლივ...

- ჩვენ არა გვაქვს მწყობრი ცნობიერება და თეორიული საყრდენი. ჩვენ გვაქვს ფეთქებადი ენერგია და სტიქიური მგრძნობელობა. ჩვენი მოქმედება იმპულსური და შემოქმედებითია. ამაზე მეტს რა საბუთს ითხოვთ?

- მოთხოვნით არაფერს... და აქ რაღას ვდგავართ იმასავით?..

- დაჰკრავს ჟამი და შევალთ, საცა ჯერ არს.

თქვენ ვარაუდობთ, რომ მითი წიფის მთის განაყოფიერებისა... მაგრამ წიაღში თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოჯოხეთია?..

- ტვინს ძალას ნუ დაატანთ. არ უხდება. აბსოლუტური გარანტია იმისა, რომ მალე მიწა იძვრის, მაინც არა გვაქვს, მაგრამ თუ იძრა, ნიშანი კიდევ უფრო ძნელი ამოსაცნობი იქნება. იფიქრეთ. ტვინს ნუ იჭყლეტთ, მაგრამ თავსაც მოდუნების ნებას ნუ მისცემთ. ადამიანი ზომიერი აზროვნებისთვისაა გაჩენილი, გინდ cogito თქვი cogitare. გარდა ამისა გახსოვდეთ: ჭეშმარიტება სუბიექტურია და არა ობიექტური, მრავალია და არა ერთი, და რაც მთავარია, ლოგიკით არ მიიღწევა. ლოგიკით ისევე არ მიიღწევა, როგორც... ამ დროს ხალხში ნაცნობი შენიშნა და გასძახა, - ერეკლე! - მერე, ერეკლემ რომ მოიხედა, კიდევ გასძახა, - დამიცადე! - და ისევ მე მომიბრუნდა, - კარგი შედარება უნდა მეთქვა, მაგრამ მეჩქარება. კიდევ რომ შეგხვდებით, მაშინ გეტყვით. იფიქრეთ ფალოსობაზე! - ამ სიტყვებით გატრიალდა, ერეკლეს მკლავი მკლავში გამოსდო და მალე ორივე თვალს მიეფარა.

სალომე მანქანიდან გადმოსულიყო და გარეთ მელოდა.

- რა მოხდა? - მკითხა, დამინახა თუ არა.
- კაცი გადაიჩეხა.
- რას ამბობთ! მანქანით?
- მანქანით.
- როგორ მოუვიდა?
- არ მოსვლია.- შეგნებულად ჩაიდინა.
- თავისი ნებით გადავარდა?
- თავისი ნებით.
- გადარჩა?
- დაიღუპა... იმ კაცმა ცოტა ხნის წინ აქ ჩამოიარა, ჩვენს მანქანასთან. თავის თავს ელაპარაკებოდა. მე გარეთ ვიდექი - თქვენ დასაძინებლად ეწყობოდით - და ყური მივუგდე. უიმედოდ იყო. დრომ შეაშინა. ჯერ შეაშინა, მერე შეშინებულს დააწვა და გასრისა. ვერსაიდან დროს გვერდი ვერ აუქცია. ვერსად დანაყოფი და ხვრელი ვერ უპოვა. ვერაფრით ვერ წარმოიდგინა, რომ შეიძლება დროის რამე ისეთი ნაწილიც არსებობდეს, კაცს ხელის ჩასაკიდად გამოადგეს.
- თვითონ თქვა?
- თვითონ... ისე, დროის მიზიდულობა რომ განუზომელია, უმისოდაც ცნობილია. განუზომელია და ისეთი საშინელი, როგორც ათასი შავი ხვრელი და ათი ათასი თეთრი ჯუჯა. შეიძლება არსებობა არც არაფერია დროის მეტი. ერთიანი დრო სიკვდილია, დანაწევრებული დრო - სიცოცხლე. ადამიანი უმწეოა მის წინაშე, მაგრამ იგი ვიღაცას უხილავი თოკით უჭირავს ჩვენს თავზე. საკმარისია, თოკი ცოტათი მოუშვან, რომ დრო და სამყარო შეერთდნენ და მათ შუა, სადაც ჩვენი სამყოფელია, ფარსისა და ვოდევილის შუალედი ფინალი გათამაშდეს... წეღან ვიღაცამ თქვა - და, ვინ იცის, მართალიცაა - თითქოს „სინამდვილე“ სხვა არაფერია, თუ არა მანძილი ჭეშმარიტებათა პოლუსებს შორის, და რაკი ცვალებადია, განსაზღვრა არ უხერხდება... ის კაცი ინტელექტუალი იყო. უკნიდანაც შეეტყო, რომ ინტელექტუალი იყო. რატომ დაკარგა დროის ნაწილებად შეგრძნების უნარი, არ ვიცი. ფაქტია, რომ დაკარგა და მთლიანი დროის მიზიდულობას თავი ვეღარ დააღწია. ერთი დაპირება კი დავაპირე, გამოველაპარაკები-მეთქი, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე. ადამიანი ხომ ბუნებით ფარისეველია! სიკეთეს გულში უეჭველად გაივლებს, როგორც დამცავ თეორიას, მაგრამ ჩადენით არ ჩაიდენს... აგერ, ირაკლი გაფითრებული ზის თავის მანქანაში, გვანცა კი, ღმერთმა იცის, რა იქნა...

- იქნებ ფარისევლობაში არ არის საქმე - მშვიდად თქვა სალომემ და წამით მომეჩვენა, თითქოს მისი სიმშვიდე უცხო სავარძელში იჯდა, - ამოიყვანეთ?

- ვერა. შონიას ხალხმა არ დაგვანება. ყველანი უცერემონიოდ გამოგვყარეს და ცხედარი თვითონ დაიტოვეს. რად უნდათ, არ ვიცი.- აქ სალომე გამომცდელად დამაცქერდა და მე დავძინე, - ჯანდაბას. რაც მიუწვდომელია, იმას დარდი არც შვენის და არც შველის. გავემზადები ბარემ და წავალ, უკვე გათენდა.

- საცაა თავსხმა დაიწყება. ხედავთ, ცა როგორ მოიქუფრა!

მე შესამოწმებლად ცას ავხედე და, შუბლზე, ცხვირზე და მარცხენა თვალის უპეში რომ წვეთები დამეცა, ვთქვი:

- დაიწყო კიდეც.

- სალომემ ხელი წინ გაიშვირა და დამიდასტურა:

- დაიწყო.

და მართლაც დაიწყო. ღრუბლები ვეება დირიჟაბლებივით დაეშვნენ ძირს და მიწა ცივმა ნისლმა დაფარა. ისე ჩამობნელდა, კაცი ჰორიზონტს ხელით მიწვდებოდი. მერე თქეში წამოვიდა. ცა გაიხსნა და, რაც კი რამ ეგროვებინა, ერთიანად გადმოუშვა. მე და სალომემ მანქანას შევაფარეთ თავი. ორივენი წინ დავსხედით. წვიმა უმატებდა და უმატებდა. სიზუსტეს თუ გამოვეკიდებით, იმას, რაც ახლა ციდან მოდიოდა, ჩქერი ან აღმატებითი ხარისხის გამომხატველი სხვა რამ სახელი უფრო შეეფერებოდა, ვიდრე წვიმა. ტრასაზე პატარ-პატარა ღვარები აქაფებულ მდინარედ შეერთდნენ. წყალმა ხმელეთი დაფარა და მე წამით ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობა გამიჩნდა, თითქოს რიკოთი ზღვის ფსკერად იქცა, ჩვენ კი, აქ დაბინავებული მგზავრები - წყლის ბინადრებად. ირგვლივ მონოტონური, მაგრამ გამაყრუებელი ხმაური იდგა. მე რომ ნოე ვყოფილიყავი და უფლისგან რაიმე შესაბამისი შეტყობინება მქონოდა, წამით არ დავეჭვდებოდი, რომ წარღვნა დაიწყო. მიუხედავად ამისა, სასოწარკვეთაში არ ჩავვარდნილვარ და ჯერ კიდევ მხნედ ვფიქრობდი, მანქანას ვერ აატივტივებს მეთქი.

წვიმა კი უშენდა და უშენდა. ვიღაც, ვისაც უფლებაცა აქვს ამისა და შესაძლებლობაც, გამოცდას გვიწყობდა, აინტერესებდა, რამდენ ხანს გავძლებდით, როდის წარგვეკვეთებოდა სასო, როდის გაგვიწყდებოდა მოთმინების ძაფი და როდის მოგვიღებდა ბოლოს შიში. დიდხანს გვაწვალა, როგორც ონავარი ბავშვი აწვალებს ჭიაყელას, რომელიც სოროში შეძრომას ლამობს და მხოლოდ მაშინ, როცა გამძლეობის ზღვარს მივაღწიეთ და შესაძლებლობის პიკზე ავედით, საიდანაც შეურაცხადობის უფსკრული გამოჩნდა, დაგვინდო და თავი დაგვანება. ჯოჯოხეთური ხმაური თანდათან მიწყდა. ჯერ კიდევ წვიმდა, მაგრამ ეს ახლა მხოლოდ წვიმა იყო და გლობალური კატასტროფის ავი მუქარა აღარ ახლდა.

კიდევ ცოტა ხანი და საბოლოოდ გადაიღო; მერე ნისლიც აიკრიფა, ნიაღვრებიც ჩაიწურა და რიკოთს სინათლე მოეფინა. მართალია სინათლე ცოტა უცნაური იყო - მეტისმეტად წითელი და მეტისმეტად მატერიალური - მაგრამ მე ეს დაღლილ ფსიქიკას მივაწერე, ამიტომ ყურადღება არ მიმიქცევია, მით უფრო, რომ ამაზე არც სალომეს უთქვამს რამე.

ამ დროს გუგუნი გაისმა.

- დაიქუხა? - იკითხა სალომემ.

- არა მგონია, - ვუპასუხე მე, - ყოველ შემთხვევაში, თუ დაიქუხა, მიწამ დაიქუხა და არა ცამ.

სალომემ ერთი გაკვირვებით შემომხედა. იმავ წამს ისევ გაისმა გუგუნი და სალომემ კვლავ შემომხედა გაკვირვებით, ოღონდ მისი გაკვირვება ახლა, ჩანდა, იმით იყო გამოწვეული, რომ ჩემი ვარაუდი სწორი გამოდგა.

- მიწა იძრა, - ვუთხარი მე.

სალომემ თავი დამიქნია და მესამედაც გაისმა გუგუნი. ამჯერად კიდევ უფრო ხანგრძლივი. ჩვენ გაუნძრევლად ვიჯექით ახალი ბიძგის მოლოდინში, მაგრამ მეტი აღარ გამეორებულა.

- მორჩა, - თქვა სალომემ.

- ტრასას ნაპრალი გაუჩნდა.

- სად?

- აგერ, - ვაჩვენე ხელით, - სიგრძივ გასდევს.

შესაძლოა ნაპრალი არც იყო, ბზარი იყო, მაგრამ იმოდენა კი იყო, ბზარი რომ გეთქვა, გულს მიგაკლდებოდა, რატომ ნაპრალი არ ვთქვიო.

მე ბზარსა და ნაპრალზე ფიქრს განვაგრძობდი, ხოლო რიკოთს წითელი შუქი წითელ მანტიასავით ესხა.... უცებ სალომემ თქვა:

- მგონი დავიძარით.

- მე ჯერ სალომეს შევხედე, მერე მანქანებს დავაკვირდი, მანქანები თავ-თავიანთ ადგილას იდგნენ, მაგრამ მალე სმენას ჩართული ძრავების შორეული თუხთუხი მოწვდა. მაშინ მანქანიდან გადავედი. მართლაც, ზემოდან, საცა მზერა ვერ აღწევდა, აშკარად ისმოდა ძრავების ხმა.

სალომეც გადმოვიდა.

- რა წითელი დილაა! - თქვა და ცას ახედა.

- წითელი, გაუგებარი და მრავლისმეტყველი... და მგონი მართლა გაიხსნა ცა.

- კარგია, ფეხით წასვლა აღარ დაგჭირდებათ...მართლა როგორ დაბზარულა ტრასა!.. ნეტა ის კაცი თუ წაიყვანეს?..

მე რაღაცამ გამაკვირვა, მაგრამ თავი ძრავების ხმაურით მქონდა სავსე და უცბად ვერ მივხვდი, რომ ჩემი უნებური გაკვირვების მიზეზი სალომეს მოულოდნელი სიტყვამრავლობა იყო.

- წაიყვანდნენ. შონიას ყორნები ნეშტს ვის დაანებებენ!.. შეხედეთ, შეხედეთ!

- რა მოხდა?

- ხედავთ, ზემოთ, ბოლოში რაღაც მოძრაობს?

- მანქანები არ უნდა იყოს.

- არა; ჩვენკენ მოიწევს.

ერთხანს ორივენი მდუმარედ შევცქეროდით. მერე სალომემ გაკვირვებით თქვა:

- თითქოს ცხენოსნებია...

- კი. რაც უნდა საოცარი იყოს, ცხენოსანთა რაზმია... ნუთუ ამის გამო ვიდექით ამდენ ხანს...

- თქვენ ფიქრობთ, რომ გვირაბით მოდიან? - გაუკვირდა სალომეს.

- სხვა გზა მანდ არ არის.

ცხენოსნები მანქანებს შორის ნელა მოიკვლევდნენ გზას. რომელ მანქანასაც გამოსცდებიან, ის მანქანა მყისვე იძოქებოდა და მოძრაობას იწყებდა. ოცდაათი-ოცდათხუთმეტი კაცი იქნებოდა. ახლო რომ მოვიდნენ და ყურადღებით დავაკვირდი, კიდევ მეტად დავიბენი. თან მწყემსებს გვანდნენ, თან მეომრებს, თან ტურისტებს, თან სამეცნიერო ექსპედიციას. და ყოველივე ამას თითქოს რაღაც ერთი და იმავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნით გვანდნენ.

- მგონი ჯაჭვის პერანგები აცვიათ... -ჩავილაპარაკე მე.

- მართლა ჰგავს, - დამემოწმა სალომე.

- ჰგავს კი არა, ჯაჭვის პერანგებია.

- იქნებ თეატრონია... რამე სახალხო სანახაობა...

- შეიძლება.

ამასობაში მხედრები სულ ახლო მოვიდნენ და მე და სალომემ მანქანას მივაშურეთ, რათა რიტმი არ დაგვერღვია და, როგორც კი ჩაგვივლიდნენ, დავძრულიყავით.

რაზმი ნელა, მაგრამ შეუჩერებლად მოიკვლევდა გზას მრავალრიგად ჩაწყობილ მანქანებს შორის, რის გამოც ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჩვენ დაბრკოლების კედელი ვიყავით, რომელშიაც მხედრები დაუბრკოლებლად გადიოდნენ. მე მანქანიდან ვაკვირდებოდი და ვცდილობდი დამედგინა, ჯაჭვის პერანგები და სხვა რეკვიზიტი ნამდვილი იყო თუ ბუტაფორული. რაზმი რომ გაგვისწორდა, კინაღამ მართლა დავადგინე: ერთი მაღალი, წაბლისფერი ულაყი ისე ახლო მოვიდა, ვიფიქრე, ჩემი დაინტერესება იგრძნო და დახმარება გადაწყვიტა-მეთქი. სამწუხაროდ, ეს ვარაუდი მცდარი გამოდგა. წაბლისფერი ულაყი, რომელსაც თურმე სულ სხვა განზრახვა ჰქონდა, ჩემი მანქანის ბოლოში წამით შედგა, ერთი ხმამაღლა და, თუ სმენა არ მღალატობს, გამაფრთხილებლად დაიფრუტუნა, მერე ფუშფუშა კუდი ასწია და საბარგულს ურცხვად და შავად დააფუნა.

ულაყის უზნეო საქციელი სალომეს არ შეუმჩნევია. მე კი, რახან არ ვიცოდი, ეს კარგი ნიშანი იყო თუ ცუდი, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და, როგორც შეურაცხყოფილი კაცის წესია, სხვა მანქანები მოვათვალიერე იმ იმედით, რომ ბედის მოზიარეებს ვიპოვიდი. მართლაც, ჩემდა სასიხარულოდ, რამდენიმე სხვა მანქანასაც ედო იგივე ნიშანი. უკანაც მინდოდა შემემოწმებინა, მაგრამ ველარ მოვასწარი: ამასობაში ყველა ცხენოსანი გაგვცდა და, მოძრაობა რომ არ შემეფერხებინა, მანქანა დავძარი.

წინ ნელა მიღოღავდა ირაკლის მანქანა და მე ირაკლის კეფას მივჩერებოდი. ერთხანს ვუყურე და მერე ჩემთვის ვიკითხე:

- ნეტა გვანცა რა უყო?

- მალე გვირაბიც გამოჩნდა.

ირაკლი, ეჭვი არაა, კვლავაც წინ მიგვიძღოდა, მაგრამ მე ახლა გვირაბს ვიყავი მიჩერებული და ირაკლის ველარ ვამჩნევდი.

რაც უფრო მივიწევდით ზემოთ, მით უფრო ცხადი და ცხადი ხდებოდა, რომ გველეშაპი, ქვესკნელი და მრავალი სხვა საკვირველი შედარება, რომლებიც უხვად აღმოცენდა ატმოსფეროს ამ დაძაბულ და გაფარვარებულ ფენაში, მხატვრულ განზომილებას განეკუთვნებოდა და არა რეალურს. გვირაბი ჩვეულებრივი იყო, ზუსტად ისეთი, როგორიც არაერთხელ მინახავს.

და როდესაც ბოლოს და ბოლოს ამ ჩვეულებრივ გვირაბს მივაღწიეთ და მაღალ შესასვლელში ღრმა სიბნელე გამოჩნდა, ჩვენ იმ სიბნელეში...

მაგრამ თქვენის ნებართვით აქ ოდნავ წინ გადავხტები, რათა შესავალი ბარემ მოვასრულო და უდროო დროს უკან მობრუნება აღარ მომიხდეს, და იმასაც გიამბობთ, რაც რომ სანაკლიოს შესახებ უახლოესი წარსულის ფორმით უნდა ითქვას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტარიელ ხარხელაური

* * *

მე მიმოვშალე სამყარო,
გამიხდა დასაკვეხნადა,
მარტო მე მწყალობს ცარგვალი,
თავს მე მექცევა მეხადა.
ჩემი მამულის მთა-ბარი
მიწამებია ღმერთადა,
ცის და ხმელეთის დგანდგარი
მე შევაგროვე ერთადა.
სად წვიმა მთხოვეს, ვაწვიმე,
მზე მთხოვეს, ჰქონდათ დარია,
საქვეყნოდ ამოვაბრუნე
მრავალის ნასახლარია,
ვინც სულეთისთვის გავწირე,
მათთვის მდის ცრემლის ღვარია,
მეც იქა ვსტირი ხმამაღლა,
სადაც ქარები ბღავიან.
ვინც ჩემზე უწინ ამაღლდა,
ეს მათი ნახანძრალია,
ნისლივით ვწევარ არაგვთან,
ყვითლად ჩამშლია თმანია.
აქ ჩემზე უწინ დალაგდა,
რაც კი რიყეზე ქვანია,
შენ თუ აქ დიდხანს იდგომე,
როგორღა მოვლენ სხვანია.
წახვალ,
ცოტა ხანს გიგლოვენ,
მუხლს მოგიყრიან მთანია,
სული ცად ავა საუფლოდ,
მიწას დარჩება ძვალია...
ამნაირადაც ვსაუბრობ,
თუ დრო დამრჩა და მცალია.

## სიზმარი

ვდგავარ. სამყაროს დავყურებ
წინ გადმოწეულ კლდიდანა,
შავი სხეული გველივით
გადმოდის აკლდამიდანა.
სისინებს ბალანაშლილი,
მუცელს იფატრავს თავისას,
თხლად აფენია ნათელი
მიწის ერთ ნაგლეჯს მთვარისა.
სხვაგან სუყველგან ბინდი წევს,
არსად ღიობი არა ჩანს,
ყველა აქა ვართ, ვინაც კი
ამ დიდ ნიაღვრებს გადარჩა.
თვალს ვავლებ, არსად არ არი
ქვეყანა დანაპირები,
მე რაღად გამომიყოლეთ,
აქ მოსვლას არ ვაპირებდი.
აქ ყველა სახე უცხოა,
ჩემთვის უცხო და ახალი,
რად მინდა ყოფნა ასეთი,
ან რა სამყოფი აქ არი.
წავალ,
ჰო,
წავალ, სჯობია,
ჩემს გზას დავადგე ავდრიანს,
მოსვლა ან დამიგვიანდა,
ანდა ძალიან ადრეა.
წავალ,
საუბარს შევყევით,
ველებს ავყვები ცვრიანებს,
ბევრი მოდგება ჩემფერი,
მოსვლას რომ დაიგვიანებს.
ავჩნდები, სადაც პაპათა
ყვითლად დახრული ძელებია,
ბღავილით მოვლი სამზეოს,
ვიდრე არ მომბეზრებია.



* * *

ხომ არ დაღამდა, მეგობარო,
აბა, ამ ლანდებს
რამ დაუკარგათ შემოდგომის მწუხარე ფერი,
რად არ ივსება ვარსკვლავებით ზეცის დარბაზი,
ასე ღარიბი რად ახურავს სამყაროს ჭერი.
ან ასე უცბად რად მიწყნარდა ხევებში წყალი,
ან მთვარე რატომ იგვიანებს, რად არ ამოდის,
ასე უცრემლოდ ქუთუთოს ქვეშ რად ბრუნავს თვალი,
შიგნით რად გინდათ ეგ სანთელი,
გარეთ გამოდგით,
იქნება სადღაც მაინც მოდის გვიანი მგზავრი,
მე კი შორს,
ო, შორს
უკვე ვხედავ, შუბლი დავლანდე...
რად მოიწყინე, მეგობარო,
ადგება ქარი,
დრო მცირე რჩება,
ძალზე მცირე,
ქარიშხალამდე.

* * *

ხომ ხედავ, მღვიმე რომ არის მარცხნივ,
ქართაგან საფრად რომ უდევს ქედად,
იქ ცხოვრობს ერთი თვალღია კაცი
და ჩვენზე უკეთ ის კაცი ჰხედავს.
ვარსკვლავთა იქით რა ხდება, იცის
და იმის იქით, იცის, რაც არი,
რომ მოკლე ხანში ამ წყეულ მიწის
დარჩება მტვერი ანდა ნაცარი...
ქრება,
თუ გინდა, ოდესმე ნახო
ანდა იმისი სიტყვა ისმინო,
ის კაცი არი უფალთან ახლო,
აქ კი,
ჩვენს ირგვლივ ბრუნავს ნისლივით.
თუ ყურს მიუგდებ, ზოგჯერ გოდება
ამოსდევს შემაძრწუნებელ კივილს
და გვამცნობს, წარღვნა გვიახლოვდება,
უფალი, თვითონ ამ კაცის პირით.
და იშვიათად თუ გვესმის ვინმეს,
ხელაპყრობილი ცას რომ შესჩივის
და მერე როგორ იხსნება მღვიმე
და როგორ გარბის ქარში შეშლილი...
ამ საუბარში კიდევაც გავცდით
და მწვანე ქედის მხოლოდ ჩანს ბოლო
და მღვიმე,
სადაც თვალღია კაცი
ჩემი და შენი ყოფნისთვის ცხოვრობს.

* * *

სთქვი ბარემ, რისი თქმა გინდა,
როდემდის ვიდგე, ანდა რად
მიგვიანდება. დაბინდდა,
ცაზე ღრუბლები იმღვრევა.
ან წვიმა, თოვლი, ან ქარი
მომისწრებს, ჩამჩეხს ეხშია,
შენ ჩაჰვარდები, საბრალოვ,
ისევ უარეს დღეშია.
წავიდე, ვიდრე ცარგვალი
სულმთლად არ ჩამოქცეულა,
ვიდრე არ იქცა სამყარო
ჭარგაცლილ გველის სხეულად,
ავიდე, ვიდრე ნისლები
მოაწყდებიან ნაპირებს,
ასე რომ ფიქრობს ბუნება,
რაღაც ავის ქმნას აპირებს.
ტყუილად ვდგავარ, ტყუილად,
კლდეო, ქცეულო ვერანად,
შენთანაც მოდგა სიკვდილი,
შენც მოგაკითხა წერამა.

* * *

გზას რომ ხეობა ამთავრებს,
კლდე რომ დგას წყლისგან ნაღვარი,
რად მისდევს ხარი საფლავებს,
შავს ლოდებს რას რა ჩაჰბღავის.
ვის უხმობს,
ვის რა მისტირის,
ვის რა ლანდს ეხმიანება,
ვისი რა სტკივა სიკვდილი,
რა თქვეს ჭკვიანმა თვალებმა...
ზოგჯერ ჩერდება. მუხლს იხრის,
ხავსს დაბლა ყნოსავს ნაკვალევს,
საიდან მოდის ან ეს ხმა,
სისხლის ამგვარი კანკალი,
ტყეებს გაჰზმუის და მიწას
ჰფლეთავს, ქედს იყრის რქებითა,
რამდენის რამე არ ვიცით
და რამდენს ვერა ვხვდებითა.
ვის უხმობს ხარი ბებერი,
გმინვას ქვითინით ამთავრებს,
რატომ აერეოლებთ ამ ხმაზე
ლანდებად ქცეულ საფლავებს.
მთვარე რაღაზე შეყოვნდა,
რატომ ვერ მეტყვის ვერავინ,
რად ჰრევენ გამწარებულნი
ცათა ნაპირებს ძერანი...
მხოლოდ შენ იცი,
შენ ჰხვდები,
გონებავ ჩემო, წყეულო,
რად შრიალებენ ვერხვები
აქ ასე გამორჩეულად.
რაც შენს კუთვნილად ჩათვალე,
აღარ გაანდე აღარ ვის,
შენ იცი, ხარი საფლავებს
რატომ სჩხვერს, რატომ ჩაჰბღავის...

* * *

სალაპარაკოც აღარა გვაქვს რა,
თავებს ვაკანტურებთ,
ვთვლემთ,
ცეცხლიც ჩაქრა.
მაგიდაზე ყრია ნარჩენი გამოსმულის,
ტრიალებს ნივრის სუნი,
მთვარე არ ამოსულა,
ნისლი ახვევია მთებს...
არ გინდა ახლა, ადგე და თქვა,
დავიძინოთო,
არადა, ამ დამძიმებულ თავებს
რა გინდა მოუხერხო,
აქეთ-იქით რომ ირწევიან...
ერთი წამოდგა,
უკან არ მოუხედავს,
ტახტზე გაუხდელი მიეგდო
ისე, რომ არ შეუწყვეტია ხვრინვა...
გარეთ ბნელა,
ისმის შორეული გრგვინვა,
ელვამ დატეხა ცის ნაპირი,
ერთს მაინც ისე გულიანად სძინავს,
ადგილის შეცვლას არც აპირებს.
როგორ საამოდ იყნოსება წვიმა,
განსაკუთრებით წვიმა აპრილის,
სახლში კი ბრუნავს ნივრისა და
გაოფლილი სხეულის სუნი.
ბუხრის კალთაზე სიგრძივ გაწოლილა კატა,
თავქვეშ ამოუდვია ნაჭერი დუმის.
და ფეხებზე ჰკიდია, -
გარეთ თუნდაც ქვეყანა დანგრეულა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკა მაჭარაშვილი

## მარადისი

ყველაზე მეტად მკვდრეთით აღდგომის ეშინოდა
მიცვალებული გონებიდან გადმოღვრილი დღეების გამო.
ქვეყნიერებას კი არაფრისფერი ბილაონი ემოსა
და მიწაც აღარ არსებობდა მისთვის.
საკუთარ თავთან რომ ჩაიმუხლა და წაიქცა.
გაჩერებულ სუნთქვაში გადაირინდა ნაკვთების პოჰემა
რითმაჩამოშლილი წუთების გამო.
თავქვეჩაკიდებული წუხილი რომ გამოეწვია თავისთვის.
კუთხეებზე აწყობილი ოთახი რომ დამრგვალებულიყო.
მაგრამ არა:
სიმშვიდეს ხომ არასოდეს ჰქონია ზღვარი.
ვერც მარადისობას გადაწონის უკვდავება.
და ტალახისფერი გაოცება (ქვიშა რომ აგორდა მასში)
შეახსენებდა, რომ მტვერი იყო.
მიწასაც თავისეული განსაზღვრება ჰქონდა მისთვის.
ეს იყო მანძილი ტერფიდან ტერფამდე,
ანუ თავქვე ჩაკიდებული ჩრდილი.
არაფერი ამძიმებს დასაწყისსაც და დასასრულსაც.
ღამე ტირიფისფერი იყო.
ტროტუარის გასწვრივ სიარული.
სადაცაა, გასკდება წვიმის ზღვარზე დამხობილი დედამიწა
და ფოთოლცვენა განსაზღვრავს შემოდგომის არსებობას
იმიტომ, რომ სულერთია ღამე დღეს მოიყვანს თუ პირიქით.

* * *

სულის საძაფეებში ქაოსია.
არც ერთი მთლიანი ნასკვი
გადმოიღვრება სარკმლიდან მკვდარი შუქი
და სხეული იგრძნობს საკუთარ სითბოს
დაშლილს. დანაწევრებულს.

უმოქმედობას ხომ სიმშვიდე მოაქვს.
და ცაც, რომელიც თანდათან მრგვალდება,
შორს გადაიცმევს მღვრიე ათინათს.

ჩვენ წილად გვხვდა ლოხი ნაბიჯებით
იატაკიდან ჭერამდე გვეგრძნო ამაოების ცვლა.
რადგან მზე იყო ბოლო დასასრული გაგრძელებისას.
და უმწეობის სიცარიელეზე გილიატროპები გადაჭკნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეიძლება შევთხზათ ჩვენივე კალენდარი.
გავუსწროთ დროს ან სრულიად ჩამოვრჩეთ,
რომ გადავურჩეთ ჩვენივე გარინდების
საღამოზე წასვლას.
და ერთხელ კიდევ სხეულმა იგრძნოს
თავისივე სითბო.
თუნდაც დაშლილი... დანაწევრებული.

* * *

ხმის განაპირას დარჩენილი სიტყვები
თვალების ფსკერზე დაღამდნენ.
და ყველაფერი დარჩა იგივე.
ჩვენი ცალსახოვანი განმარტება
სიცარიელით აღვსილი სისრულე.
შუშის მიღმა ორთქლად ქცეული გაქრობა,
როგორც პირველადი გულისცემა თბილ საშოში.

დარჩები მარტოხმა
სხეულიდან გადმოწვეთებული სინანული
ან სულაც დაღვრილი სუნთქვა ცის დასალიერზე.
როცა არყოფნას შეიგრძნობ იქ,
სადაც ყველაზე მეტად იგულისხმები.

## დღის საწვეთელი

დიდხანს გამყვება ამ ოთახის მეხსიერება,
რომ დედამიწის ობიან გარსში ფერგადაცლილი წვანან ფიქრები
ჩვილის კანივით მსუბუქია ახლა ეს განცდა.
რადგან ქუჩის სივიწროვე ვერ დაიტევს გაქცევის სურვილს.
და ეს საათიც ისეთივე არაფერია, როგორც სიხარული.

არაფერია ბოლომდე მარტო,
იმიტომ, რომ სიბნელეშიც არის ნათელი
თვალს თუ შეაჩვევ.
ორივე ერთად კი არსებობის განწყობილებაა.

პირველსახე ჩემი შეენივთა საგანთა დაუსრულებელ
მოძრაობას.
აღარ ბრუნავს დედამიწა
და ყველაფერი ერთ სუნთქვაში გადაეგო,
რომ მერე ისევ უკუიქცეს თავის თავში ის,
რაც აღარ მინდა მახსოვდეს.
დღის საწვეთელით დაცლილია ხელისგულებით
გამთბარი მიწა.
და, ალბათ, სანამ მივიქცეოდეთ,
ეს დაღლილობაც მიგვატოვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით გოგიბედაშვილი

# უფრო მაღლა, ვიდრე გენიალური

საუკუნენახევარი გასრულდა იმ შორეული 1849 წლის 7 ოქტომბრიდან... კვირა დღიდან - ცივი და ულიმღამო დილიდან, როცა ბალტიმორის ერთ-ერთი საავადმყოფოს ექიმმა უგონოდ მყოფი ედგარ პოს უკანასკნელი სიტყვები გაიგო: „ - ვიცი, ჩემნაირი უბედურისთვის იმედი მხოლოდ სიცოცხლის მიღმაა“. - როგორი სევდა და განწირულობაა ამ სიტყვებში, რომელიც სიკვდილისწინ აღმოხდა კაცს, ვინც ძალიან მწარე ხვედრით, შემოქმედებითი ბედისწერის მოწამეობრივ გზაზე - ამაყად იარა. მსოფლიო ლიტერატურაში უხვადაა მასზე შექმნილი ესეები, წერილები თუ ვრცელი შრომები, რომლებიც უნიკალურ ფენომენს იკვლევს, რამაც წარმოშვა შტორმი „ყორანი“ და „პოეზიის პრინციპი“ შექმნა, როგორც მთავარი ჩონჩხედი უთვალავი მისი შედევრისა - მარადისნათებით ვარსკვლავებად აჭედებული რომ იქნებიან ყოველთვის, გაშიშვლებული რეალობის უმოწყალოდ შავ ცაზე. პოზე წერდნენ კორიფეები: ბოდლერი, დოსტოევსკი, ჯეკ ლონდონი, ბორხესი „და ასე შემდეგ“, როგორც იტყოდა კურტ ვონეგუტი, პოს თარგმნიდა ვაჟა-ფშაველა და სამფრთა ადიდებდა მას გალაკტიონი. ედგარ პოს პოემები, ლექსები შეუდარებლად თარგმნა ბალმონტმა და საოცარი სითბოთი აღწერა ამ ადამიანის ბიოგრაფია ყოველი წვრილმანით, რომლის კითხვისას შეიძლება გაწითლდე კაცი და გასაკვირი არაა, რომ ყელში მოწოლილი სიმწრით ბუნდოვანი გუგუნი ჩაგესმას და ოდნავ დაბნეულადაც იგრძნო თავი - ასეთი განცდით დავყურებდი მეც ჩემს წინ დადებულ ცარიელ ქაღალდს. რაზეც დიდი სიფრთხილით მოხილვა ფიქრის აკუტაგავას სიტყვებით მინდა დავიწყო:

*„რომ შეექმნა სფინქსი, პომ*
*შეისწავლა ანატომია, საიდუმლო,*
*რამაც მომავალი თაობები შეაძრწუნა,*
*ამ ცოდნაშია დაფლული“.*

(ესეი, ედგარ პოს შესახებ.)

სიზმრების დასალიერზე, აქედან ძალიან შორს - იმ ადგილას, რასაც ოცნება ველარ წვდება, სევდით შემუქებული კლდეებია, თითქოს ოდესღაც ცას მომწყდარი - ცას, რომელიც მთელი ეს ჟამი მათ უკან დაბრუნებას ლამობს, ისეთი ძალით ქაჩავს ზემოთ. კლდეების შიგნით კი მუდამმშვიდი ტბა მძიმედაა ჩამდგარი და არავინ იცის, რატომ არ ისმის იქ ადამიანის ხმა. იქ მხოლოდ ხილვადი სიჩუმეა და მრავლისმთქმელი მისი დუმილი, რასაც ვერავინ ახსნის და ვერც ვერავინ უძლებს დიდხანს - მაგრამ ზოგჯერ, ძალზე იშვიათად, რაღაც განსაკუთრებულ ღამით, როცა იმედები ტანჯვის სანაცვლოდ შვებას აღწევენ და სიბნელე თავის მწუხრს გადააფარებს მოღუშულ კლდეებს, უცნაურად შემაშფოთებელი ექო გაისმის ამ სიბნელეში - ჯადოსნური, როგორც სიხარულის წინათგრძნობა... მაგრამ ის უჩინარდება მყისვე, ჩრდილივით გადაივლის, მთვარის მქრქალ შუქზე გადაცურდება და... მორჩა... ისევ სიჩუმე - შეყვარებულივით რაც არ ანებებს თავს იქაურობას.



...არსებობს შემოქმედება - მოულოდნელობაში განფენილი, შეუღწეველი და შეუცნობელი სიღრმით, მაგრამ იმდენად საშინელი თავისი მშვენიერებით, რომ აღტაცებაში მოჰყავს ყოველი, როცა ის შეჰყურებს მას, თითქოს უეცრად, არსაიდან... ან ყველაფრიდან, მიწისა და წყლის, ცეცხლისა თუ ჰაერის გზაჯვარედინებზე წარმომდგარ ზმანებას. დიდი სიღრმით და შეუვალობით ჟღერს ეს სახელი - ედგარ პო, როგორც ბოლომდე აუხსნელი შემოქმედების ის საიდუმლო, რაც ყოველთვის გაგაოგნებს და აგაფორიაქებს ისევე მტკივნეულად, როგორც უეცარი გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათება რაღაც ყველაზე ძვირფასის და იმავე უეცრებაში გაქრობა მისი, რათა ამ მოულოდნელობაში გაჩნდეს „ლიგეა“ და „ანაბელ ლი“, ხოლო არქიტექტურული დახვეწილობის ლოგიკით დაიწეროს კაცის გოდება, რომლის სულს ყორანი დაეპატრონა. კაცის სიღრმეების საგულდაგულოდ ჩარაზული კარი კი სწორედ ყველაზე ძვირფასის მფლობელმა, მაგრამ დაუნდობელი ბედისწერის ადამიანმა შეაღო, ვისაც საერთოდ არ იცნობდი, არადა, შენგან უნებურად და ოდნავ უცნაურადაც თითქოს რაღაც გეცნო - თუ კი შენშიც - გონების შეუცნობელის სადღაც იქ ამოუხსნელშიც - ამ საიდუმლოს თუნდაც ყველაზე პატარა ნაწილი იმალება, რაც უხილავ ძაფს წნავს შენს შინაგან აღქმასა და ედგარ პოს შორის... მაშინ, ალბათ, გაიგონებ მის მუსიკას და შენი სული ძალიან ახლოს იგრძნობს მის სუნთქვას, რომელიც შენს წინ გადაშლილი წიგნიდან მოდის, თანდათან ღრმავდება, ძლიერდება და ქარიშხლის სითამამით, განგაშითა და შფოთით ლეწავს ყოფიერებით სიყრუვეს.



ედგარ პომ შემმუსვრელი გონითა და გასაოცარი იუმორით ამოფხვრა დაუდევარი უვიცობის, მისი მოუწესრიგებლობის მთავარი მიზეზი, რაც ადამიანში მყარადაა სობილი - მეტოქეობით ისედაც სავსე ცხოვრებაში არარეალურის ძიება. მიზეზი, რაც ყინავს ადამიანის შესაძლებლობებს, რათა ის ვერასდროს მიუახლოვდეს თავს, რადგან ყველაფერი რეალურია, ყველაფერი ნამდვილია, შესაძლოა ჯერ კიდევ შეუცნობელი (რომლისადმი შიშიც ჩაგვჩიჩინებს, რომ არაფერია ქვეყნად ისეთი, რისი სრულქმნაც შეძლოს ადამიანმა), მაგრამ არსებული, რასაც კაცი, ადამიანური კონფლიქტების გამო ვერ ხედავს, ვერ აღმოაჩენს. ედგარ პომ დაინახა, აღმოაჩინა... პირველმა! რადგან მისმა სტრიქონებმა (გულთმისნურად სრულყოფილმა სტრიქონებმა) ერთადერთი სწორი კითხვა დასვეს - არა ის, რასაც აქამდე პასუხს ვერ უძებნიდა კაცი: „რატომ ვარ კონფლიქტში თავთან და ქვეყნიერებასთან“ - არამედ, რატომ უნდა არსებობდეს საერთოდ კონფლიქტი?! რის გამოც წინააღმდე-გობრიობის ციხე-კოშკში დატყვევებული ადამიანი ხსნას მხოლოდ საკუთარ მისწრაფებებში ხედავს. ეს რბოლა, დევნაა - სიმყუდროვის გაუთავებელი და დაუქანცველი დევნა, რომ ამოსუნთქვა შეგეძლება და ტანჯვის თავიდან აცილება, ამიტომ ედგარ პოს ბოლომდე გაცნობიერებით ღრმა მწუხარება გეუფლება, რადგან არაფერია იქ ისეთი, „ფანტასტიკური“, რასაც თავად არ შეხვდე პირისპირ. ეს მწუხარება - მღელვარებაა, რაც თავის თავში გაატარა პომ - მღელვარება, რომელიც ადამიანთა საყოველთაო წუხილით იშვა - წარმავალი სიყვარულის შემთხვევითი გაელვებით. „სფინქსი“, „მალსტრემში დანთქმა“, „შენ ხარ კაცი იგი“ და მრავალი, მრავალი სხვა, ცხოვრებისეული კანონზომიერებებითაა ნაშენი. ამაშია მისი ამოუწურაობა - ძალა, ბოლომდე რომ ჩაყავხარ კონფლიქტებით წარმოქმნილ დაპირისპირებებში, რომელთა შორის შეუცნობელისკენ მიმავალი გზა ედგარ პოს პროზაზე, მის პოეზიაზე გადის.

...ბინდი შეუმჩნევლად დაბლა ხრის ზეცას და მისი ნაღვლიანი მეწამული უსაზღვრო დარდით ათბობს კლდეებს. რაღაც უცნაური ნიშანია - სიმარტოვისთვის განწირულ ღუმილს ნაპრალი უჩნდება თითქოს!.. მაგრამ არა, არასდროს, ის არ გაიღებს ხმას! ის არავის გაანდობს თავს, იმ ჯადოსნური ექოს უბიწო განსასვენებელს, რომლის განსახებას ვეღარავინ შეეხება. უკვე ვეღარავინ! ნაპრალი ივსება. ღამდება. ტბაც უფრო მეტი იდუმალებით მშვიდდება, მაგრამ მისი ჩამთრევი ვნება სულ მუდამ ღვივის მის ფსკერზე, რომელიც ძვირფასი თვლებითაა მოფენილი და თითოეულ მათგანზე წერია - „მორელა“, „ბრბოს კაცი“, „წითელი სიკვდილის ნიღაბი“... ასე დაულევლად, სამუდამოდ - აღმოჩენების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარგანუჭვრეტელობით... და აქედან იწყება ბოდლერი, მალარმე, კონან დოილი, ჰერბერტ უელსი, სტივენსონი, ჟიულ ვერნი, ოსკარ უაილდი, დოსტოევსკი, თომას მანი, ფოლკნერი – მათი განცდითი და ცნობიერებითი ნაკადი, რაც თავის საარსებო წყალს და სათავეს ამ კლდეებიდან იღებს.

აქვე აბზაცი მონოლითურად მკაცრი „ბუდენბროკებიდან“ (მცირედი გადახვევა.). ჰანო ბუდენბროკი და მისი მეგობარი, გრაფი კაი მელნი, სკოლაში ღვთისმეტყველების მოსაწყენ გაკვეთილზე სხედან. კაის ედგარ პოს წიგნი აქვს გადამალილი, შემდეგ ის იმ სიტყვებს ეუბნება ჰანოს, რასაც თომას მანმა, დიდი ოსტატისთვის დამახასიათებელი სიფაქიზით გაუსვა ხაზი: „ – რა სასწაულია ეს როდერიკ აშერი – უნებურად წამოიძახა მან, – მთელი გაკვეთილი თვალი ვერ მოვწყვიტე, ნეტავ კი ასეთი რამ როდესმე მეც დამაწერინა“.

უბადლო თომას მანიც ვერ ფარავს აღტაცებას და თავის გმირს წლების შემდეგ აუსრულებს ამ ნატვრას, როცა შექმნის ადრიან ლევერკიუნს, ჩაგონებულს „აშერთა ოჯახის დაქცევით“ – დაჯავშნილს ნიცშეს ბიოგრაფიით, მაგრამ ეს არაა მთავარი და არც ის, რომ „უილიამ უილსონის“ გაორებული სილუეტით შემოიხატა ივანე კარამაზოვის სახე ან „არტურ გორდონ პიმის თავგადასავალი“, რამაც გაგრძელება ჟიულ ვერნის ორტომიან რომანში ჰპოვა „ყინულის სფინქსი“ და რომელი ერთი... რომელი ერთი! ამაზე საგანგებოდ იწერება სტრიქონები, გვერდები, თავები, წიგნები, მაგრამ როცა საქმე ედგარ პოს ეხება, სიტყვათმცოდნეობაც იქამდე მიდის, რაც ალქიმიისთვის ფილოსოფიური ქვაა, ფიზიკისთვის მეტაფიზიკურია, ფილოსოფიისთვის იდეაა, აქ კი მაინც რაღაც სხვაა, რაღაც უთქმელია. აქ, ალბათ, სწორედ ისაა, რისი პასუხიც მხოლოდ სიჩუმემ იცის, იმ საოცარმა მდუმარებამ, რომლის წიაღში სტიქია ვერ აღწევს... და გვრჩება სიმარტოვე, მთლიანად რაც გამოხრის ადამიანს. თუმცა სიმარტოვეში მოხვედრილს, მოგონებები არასდროს ტოვებენ, ისინი კაცს ეხმარებიან თავისი მარტოობა აიტანოს, გამხნევდეს. მათ ძალუძთ მთელი ცხოვრების ისე აღდგენა, რომ ეს შუალედი („ყოველდღიურობას“ რომ ვეძახით, რაც სიცოცხლისა და სიკვდილს შორის დარჩა, როცა ოდესღაც გაიყვნენ ისინი ერთმანეთისგან), რომელიც გადატკეპნილია ბრძოლითა და იმედების გაცრუებით, ღიმილითა და წყენით – ნანატრი სიხარულის მსუბუქი დაქროლვით გამოცოცხლდეს... მაგრამ დროებით, რადგან მოგონება, მაინც, გრძნობის ასლია, ხოლო ყოველ ახალ დღეს, ფარვითა თუ აშკარად, მუდამ სდევს გრძნობის ამწამინდელი რეალურობა – ძლიერი წინაღობა, რითაც გაიმარჯვა პომ – ძრწოლვა და თავგანწირვა, „მთხრებელი და ქანქარა“ „ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი“... და თუ „MELLONTA TAUTA“ ან „შაჰრაზადას ათასმეორე ზღაპარი“ არა, სადღა იქნებოდა მისი თანაგრძნობა (რაც იშვიათად თუ განუცდია სიცოცხლეში ვინმესგან), რაც გაფხიზლებს „შავი კატის“ და „მესმერიული ზემთაგონების“ წინაშე და გაკვირვებს „მარი როჟეს საიდუმლოების“ გახსნის დროს... ნერწყვგამშრალი უსმენ მის „ზარებს“.

ო, რამდენი ძნელად მოსახილველი სივრცე განათდა ამ დიდი ადამიანის სულით – ნებისმიერი გრძნობადი აღქმისთვის უხილავი სივრცე, რომელთა არსებობა მანამდე არავინ იცოდა. თითქოს უზენაესმა განსაკუთრებული ნდობით შემოსა ეს კაცი, რომლის სახელი ყოველთვის იბრწყინებს იმ თვალშეუდგამი სიმაღლიდან, რასაც მხოლოდ დიადი წამისას აღწევენ გენიალობის ზღურბლზე მდგარნი – როცა გადააბიჯებენ მას!

ღმერთო ჩემო, რამხელა პასუხისმგებლობაა. ...მალე ირიჟრაჟებს, რა უცებ გაქრა ეს ღამეც. ტბაზე უხმოდაა ნისლი გაწოლილი. დუმილი მშობლის ტკივილით გულში იხუტებს ამ საოცარ ადგილს და ცრემლნარევი თრთოლვით ეალერსება. შენ გული გწყდება. კი ეს ასეა – გული გწყდება, რადგან ყველაფერი გასრულდა, ყველაფერი სიჩუმემ შეიფარა და ახლა მას NEVERMORE უდგას მცველად – გასაღები საიდუმლოსი, რაც სამყაროების განუჭვრეტელობის დამნახველია, საუკუნეებს გადაწვდენილი სიტყვის წამკითხველია, ჯადოსნური ექოა... – გენიალურზე მაღლა წინასწარმეტყველურია! ედგარ ალან პო რასაც ეზიარა და ორმოცი წელი მიუსაფარად გაძლო ამ მიწაზე.

შორს, შორს იმ ადგილას რასაც ოცნება ვეღარ წვდება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნანა გვარიშვილი

*თუ სიჭაბუკეში, ოცნების ფრთებს მინდობილნი, უკანმოუხედავად მივილტვით მაღლა და მაღლა, ბრდადასრულებულნი, ცით გაწბილებულნი, მალიმალ მოვიკითხავთ ხოლმე საკუთარ ფესვებს. საკუთარი ფესვების ძიებაა ეს მცირე წერილიც. მეზობლებში თუ ნაცნობ-მეგობრებში მიმოფანტულ მამაჩემის ბიბლიოთეკას ერთი პატარა წიგნიც ამშვენებდა ავტორის ხელმოწერით. დღემდე მახსოვს: „ღიღინებს ერთი ღიღილო, ერთი პატარა ქალი, გულზე უნთია მღელვარე ყაყაჩოს ნაპერწკალი". და კიდევ: „ჰეი, დედებო, ნაპერწკლებს მაყრის თქვენი ჩადრების ჭიაკოკონა, ახლაც მედება ლოყაზე ალი, მართლა დამწვავდით, როგორ მეგონა?!." არიან პოეტები, რომელთა შემოქმედებაც უპირველესად სამშობლოს ბედისწერის ფონზე მოიაზრება და განიხილება. ისინი თითქოს თავად სამშობლომ ითხოვა თავის პოეტებად. პატივისცემის ღირსია ყველა, ვინც შემდეგ მოვიდა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მაინც ნანა გვარიშვილს ეკუთვნის. ივი პირველი ქალია აჭარიდან, ვინც სამასწლიანი იძულებითი დუმილის შემდეგ ხმამაღალი სიტყვა უთხრა მონატრებულ დედასაქართველოს. „ორი საქართველო სად არის, ორგული საიდან ვიქნები?!" ერთგულებისთვის ყოველთვის როდი აჯილდოებენ ჩვენში ერთნაირად. თუმცა ერთგულების ნიჭს (თუკი ღმერთმა გიწყალობა) რაღა ჯილდო და წყალობა სჭირდება კიდევ. და მაინც: „უჭირთ ცხელ ცრემლებს და ცივ წამწამებს, აგრე ნაწამებთ, დუმილთან შებმა. ხომ ხედავ, ხედავ, მე ვერ ვიცილებ, ჩამომიცილონ სიტყვებმა შენმა..."*
*მინდა შევახსენო ყველას, განსაკუთრებით კი ჩვენს კოლეგებს - „პატარა ქალი", გულზე ანთებული ყაყაჩოთი, დღეს 75 წლისაა...*
*მრავალჟამიერ, ქალბატონო ნანა, ღმერთმა ინებოს თქვენი სიცოცხლე!*

*ვახტანგ ღლონტი*

## ღიღინებს ერთი ღიღილო

ღიღინებს ერთი ღიღილო,
ერთი პატარა ქალი -
გულზე უნთია მღელვარე
ყაყაჩოს ნაპერწკალი.
მზის ამოხატულ ველებზე
ოცნების კოშკებს აგებს,
პალმის მარაო უჭირავს,
ზღვა უმღელვარებს ბაგეს.
ცას ევედრება: - მაჩუქე
ჩიტის ჰანგები ყველა,
თავს შემოვავლო ჩემს მხარეს
შვიდფერა ცისარტყელა.

## უსახელო ყვავილი

თოლიების ფრთები მხურავს
არკი გავითელო,
უსახელო ყვავილი ვარ,
ზღვასთან ვამკობ მღელოს.
საქართველოს ლურჯი ზეცა
გულზე მადევს ხატად,
პატარა ვარ, არკი ვღირვარ
სადმე დასახატად.

## წვიმა ბათუმში

ო, ჩვენმა ზეცამ თუ იცის მარტო
ასე ამდენი წყალის წყალობა,
იდუმალ ფიქრებს სულში გაწვიმებს
სახურავების ტკბილი გალობა.
ნეტავ ვინ გადო ღრუბლის კორდებზე
ასე ამდენი წვიმის ღარები!
პატარა პალმებს კისერში ესხმით
ცივი ჩხრიალა ნიაღვარები.
მუხლამდე წყალში ჩადგა ქალაქი,
მერე განაზდა, აივსო მზითა...
მოვიდა ერთი შვიდფერა გოგო
და ყველა წყალი ცაში ამიდა.

## ჩადრების ჭიაკოკონა

*1928 წელს ჩვენმა დედებმა*
*საჯაროდ დაწვეს ჩადრები.*

ჰეი, დედებო, ნაპერწკლებს მაყრის,
თქვენი ჩადრების ჭიაკოკონა,
ახლაც მედება ლოყაზე ალი,
მართლა დამწვავდით, როგორ მეგონა.
ქვეყნის მორჩილი, ისე სათუთი
ქალი შესძლებდი ბნელს გაერიყო,
როგორ მეგონა ის ცეცხლის შუქი
ჩემი მომავლის სინათლე იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რონა ბუბუტეიშვილი

## და წუხილი ამ უჟამო დროთა

რამინ აბლოთიას

იქნებ ისე ვერ გითხარით სათქმელი,
მაგრამ გულმა წრფელი გრძნობით ამოთქვა,
მოგდევთ ფიქრი, ვინ დაითვლის რამდენი,
და წუხილი ამ უჟამო დროთა...

განა ერთი, განა ორი? ათასი,
თქვენს იარად იქცა სხვათა იარაც,
მოგონება არ ასვენებს ძმათა სისხლს,
სადღაც კვნესის დამსხვრეული გიტარა...

სადღაც ხსოვნას აწრიალებს მავანი,
ზოგჯერ თქმაც და უთქმელობაც ცრემლია,
ზოგს ამქვეყნად სევდის უდგას კარავი,
ზოგნი ისე, უტკივილოდ მღერიან...

და დაწყვეტილ სიმთა უარაფრობა,
და გაბნეულ ხმათა მიმოფანტვანი
სულს გიშფოთებთ - სადღა არის წამლობა,
მუქ პეიზაჟს ხატავს უცხო მხატვარი...

და სიკეთის შეუმცდარი სინათლე
თქვენი ბედის თვითნაბოძი ხვედრია,
თქვენი ფიქრის მისამართი - სიმართლე
და ტკივილი საქართველოს ბედია.

მოგდევთ ფიქრი, ვინ დაითვლის რამდენი,
ნეტა სევდამ ყელი რად მოიღერა,
ისე მაინც ვერ გითხარით სათქმელი,
როგორც გულმა უთქმელობით გიმღერათ...

* * *

დუმხარ, დუმილი, შენი ხიბლია,
თურმე საერთო ბევრი გვქონია,
სხვასთან გაფრინდა ჩემი ნიბლია
და გული ჩემი გაიყოლია.

ფიქრობ, სიჩუმით უბე გევსება,
სხვასთან წასულა შენი თოლიაც,
რა გვამღერებს და რა გველექსება,
თმებში წლებს უხვად დაუთოვია.

მე უნიბლიოდ, შენ უთოლიოდ
მივალთ და დგება სულში ზამთარი,
ლამის სიბერემ აგვიყოლიოს,
ლამის გაცივდეს ვნების ლადარი...

ფიქრობ... დუმილი შენი ხიბლია,
თურმე ბევრი გვაქვს მაინც საერთო,
მოდი, იყავი ჩემი ნიბლია
და არ ვიფრინოთ უერთმანეთოდ...

## ტერენტისეულად

გობელენებზე დაიღვარა ლექსის სისველე
და კაეშანმა სივრცე მუქად მოავარაყა,
ქერუბიმების დაღლილ ფრთებზე მუზა
ისვენებს,
მუზა, რომელსაც შემოქმედი უკვე არა ჰყავს.

ქარებს შემოაქვთ ტკივილები სვენებ-სვენებით
და სული ტირის, სადღაც ტირის განმარტოებით,
იქვე პანაშვიდს აკივლებენ შავი ხელები
და პროცესიას მიუყვება დარდი პოეტის.

კაეშანს ფიქრად მორიკალავს რითმა ისევე,
როგორც წუხილმა სივრცე მუქად მოავარაყა,
ქერუბიმების დაღლილ ფრთებზე მუზა
ისვენებს,
მუზა, რომელიც იყიდება ჭიქა არაყად.

...

გობელენებზე დაიღვარა ლექსის სისველე...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ჯოჯოხეთია მოსაგონებლად“

*შექსპირი, „ოტელო“*

თავის ახალ პიესას თემურ აბულაშვილი ტრაგიკომედიას უწოდებს. ჩემი აზრით, ის უფრო ტრაგიფარსია, ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი „შავი იუმორით“, გადაჭარბებით, მოულოდნელობით და თეატრალური პირობითობით.

ეს პიესა ნაყოფია ჩვენი სინამდვილის აუხსნელი და ხშირად გამოუცნობი კოლიზიების შედეგად გამოწვეული სოციალური ძვრებისა, რომელნიც დრამატურგს უმწვავესად განუცდია. მეტიც, ჩვენი ავტორი შეძრწუნებულია არა მარტო რეალური სინამდვილით, არამედ ამ სინამდვილის საკუთარი წარმოსახვით, რაც გამოხატულებას ხშირად სიურრეალისტურ ხილვებში პოულობს. პიესის კითხვისას მე ვგრძნობდი ავტორის სტრესულ მდგომარეობას, მის შინაგან დაძაბულობას და ვიტყოდი, ტანჯვასაც კი (უადგილო არ იქნება, თუ ვიხმართ - „თანატანჯვას“, „თანალმობას“, რაც ჭეშმარიტი დრამატურგიული ნაწარმოებისათვის შინაგანი აუცილებლობაა.).

თუ ღრმად დავუკვირდებით ამ პიესის არა მარტო მთლიან სამყაროს, ამ სამყაროს პერსონაჟებსა და რეალიებს, არამედ მცირე, ზოგჯერ ეპიზოდურად გამკრთალ დეტალებს, ჩვენ შევძრავს ამ ცხოვრების გროტესკული გრიმასები, ის ქვეტექსტი, ზოგჯერ სიმბოლოებშიაც განხორციელებული, რომელიც ხშირად იმდენად სიტყვაში კი არაა საცნაური, რამდენადაც თვით ატმოსფეროში (ეს ყველაზე რთული შესაქმნელია დრამატურგიაში და სცენაზე), ე. წ. „მეორე პლანში“ გმირთა მოულოდნელ „გაცოცხლებაში“ და ასევე მოულოდნელ მოქმედებებში.

ბევრ რამეს ბოლომდე ვერ მივხვდებით, თუკი მოქმედების გარემოს, სასიცოცხლო სივრცეს „პირდაპირ“, რეალურად აღვიქვამთ.

პერსონაჟები თითქოს ამოგდებულნი არიან ჩვენი თვალსაწიერის არეალიდან. ისინი (თითქმის ყველანი ლტოლვილები არიან) დიდი ქალაქის განაპირას, უზარმაზარ სანაგვეზე (ან მის მეზობლად) ცხოვრობენ. მაგრამ ეს „სანაგვე“ კონკრეტულ ატმოსფეროს კი არ ქმნის მხოლოდ, არამედ უფრო ფართო აზრის შემცველია. ჩვენმა ტრადიციულმა, ნაცნობმა გარემომ ტექტონიკური ცვლა განიცადა, ცხოვრების რეალობა (მთელი თავისი „ატრიბუტიკით“) გადააადგილა, მოხდა დიდი კატასტროფა და ადამიანები არა მხოლოდ რეალურად არსებულ, არამედ ისტორიულ „სანაგვეზე“ აღმოჩნდნენ გადაყრილნი. მე მჯერა, რომ ეს ლტოლვილები (თავიანთი სახელდახელოდ მოწყობილი ბარაკებით, თავშესაფრებით, ქოხმახებით თუ „ვაგონებით“) სანაგვეზე ცხოვრობენ და, ამავ დროს, იმასაც ვგრძნობ, რომ ისინი აქ მარტონი არ არიან, მათთან ერთად ვართ ჩვენც, გარემოებათა გამო ცხოვრების აუტსაიდერებად ქცეულნი.

თავის ადრინდელ პიესებში თემურ აბულაშვილი სინამდვილის ილუზიას ქმნის. იგი მყარად დგას მიწაზე და მისი პერსონაჟებიც დროსა და გარემოს შვილები არიან. აქ კი იგი ანტიილუზიურ ხერხებსაც მიმართავს - ქმნის „თეატრს თეატრში“, მაგრამ საოცრება ისაა, რომ, რაც უფრო ანტიილუზიურია ეს „თამაში“ მოყვარულთა თეატრის სტილში, მით უფრო მძაფრდება ჩვენი შეგრძნება ამ სამყაროს ილუზიონური მსგავსებისა თუ იდენტურობისა რეალობასთან. საკუთარი ცხოვრების, საკუთარი „სურვილების“ თამაში ამ პერსონაჟებს თეატრალური თამაშის პირობითობას ავიწყებს და მიამიტური, ტრაგიკული მისტერიის მონაწილეებად ხდის, რომელთა „ქმედებას“ ცხოვრების კიდევ უფრო მკაცრი რეალობა პიროვნებათა დრამად აქცევს.

ყველა მისი პერსონაჟი ცოცხალია, რელიეფური, ნამდვილი და, ამავ დროს, „წარმოსახული“, თეატრალური. არც ერთი გმირი არ არის შემთხვევითი, უფუნქციო, ინდივიდუალობას მოკლებული.

ისიც უნდა ითქვას, რომ თემურ აბულაშვილი შესაშური, და ჩვენთვის შემაძრწუნებელი, პირდაპირობით ხატავს უსასტიკეს და დაუნდობელ სინამდვილეს. ეს პიესა უკიდურესი, ზოგჯერ ზღვარსგადაცილებული სიმართლის (თუ კი ასე შეიძლება ითქვას სიმართლეზე - ამ შემთხვევაში, სინამდვილეზე, რომელიც ის არის, რაც არის,) მოყვარულებზე უფროა გაანგარიშებული, ვიდრე აუმღვრეველ ცხოვრებას შეჩვეულ მჭვრეტელებზე.

რასაკვირველია, პიესის ფილოსოფია პირქუშია, მხატვრული ფერები შავისა და უფრო შავის კონტრასტებზეა აგებული, ინტონაცია შეუმცდარია და შემაშფოთებელი, ხოლო მთლიანი ატმოსფერო ყოვლის დამანგრეველი ძალის მოლოდინში ავად მზირალი. გმირთა ყოფიერება თითქოს კოშმარშია გადასული, სადაც შესაძლებელია ყველაფერი მოხდეს: მტკვარში ჩამხრჩვალი კაცი გაცოცხლდეს და „თეატრი“ გამართოს, ნარკოტიკებით გათრიაქებულებმა კი ისედაც ჯოჯოხეთური ყოფა უარეს ჯოჯოხეთად აქციონ. სარტრი ამბობდა: „Ад - это другие“. თემურ აბულაშვილის ჯოჯოხეთი კი ჩვენი ჯოჯოხეთია, საიდანაც გამოსავლის პოვნა ძალზე ძნელია, თუ შეუძლებელი არა.

*ნოდარ გურაბანიძე*

*16 თებერვალი, 1999 წ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თემურ აბულაშვილი

## კონსერვის კოლოფის ცეკვა

(ორმოქმედებიანი ტრაგიკომედია)



მოქმედი პირნი:

ჯოჯო - 30 წლისა
ქელმა - 26 წლისა
შანგო - 22 წლისა
აკილო - 55 წლისა
კვირისტინე - 61 წლისა
ოქროშა - 58 წლისა
კალისტრატე - 65 წლისა
აპექსი - 45 წლისა
ალფესი - 32 წლისა
ხორენა - 23 წლისა
პოლიციელი - 27 წლისა
მათხოვარი დედაბერი
ალფესის მცველები

*მოქმედება ხდება 1997 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში თბილისის კიდეუბანში.*

### პირველი მოქმედება

პირველი სურათი

*ფარდის წინ, ავანსცენაზე, რკინის თასებითა და ჩანთებით გამოდიან პერსონაჟები. ბაზრის ყიჟინა უცებ შემოვარდება დარბაზში:*

– ხაჭაპური, აბა, ფენოვანი ხაჭაპური!

– „პეჩენია“, ოთხი ცალი - ხუთი ცალი, ერთი ლარი!

– პარკები შევიძინოთ, პარკები! პარკები არ დაგვავიწყდეს!

– ცხელი, იმერული ხაჭაპური ოც თეთრად! მობრძანდით, იმერული ცოტაღა დარჩა!

– ცხელ-ცხელი ფენოვანები!.. აბა, ფენოვანი მიირთვით!.. იყიდე, შვილო, გემრიელი ხაჭაპურია, ყველი ბევრი აქვს.

– არ მინდა, ქალო, შენი მარილწყლიანი ხაჭაპური, დამანებე თავი!

– „პონჩიკი“, „პონჩიკი“! ცხელ-ცხელი „პონჩიკი“, ათ თეთრად!.. „პონჩიკი“, „პონჩიკიიიი!“

*(შემოდის ოქროშა. მსუქანი, პირმრგვალი დედაკაცია. ორ მძიმე ჩანთას მოათრევს. ხვნეშის, სახეზე ხვითქი გადასდის. ჩანთები დააწყო. ერთ-ერთი ჩანთიდან სამი პური ამოიღო.)*

ოქროშა. უჰ! გავწყდი წელში!.. ქარხნის პური, ცხელ-ცხელი ქარხნის პური! (*შემოდის რიგითი პოლიციელი*).

პოლიციელი. მოქალაქევ, ხომ გაგაფრთხილე! რამდენჯერ გითხარ, აქ ნუ ჰყიდი-მეთქი! არ გეყურება?!

ოქროშა. რატომ?! რა, ჩემს პურს საფუარი აკლია თუ მარილი აქვს ზედმეტი?! აბა, ცხელ-ცხელი პური, ცალი ორმოცდაათი თეთრი!

პოლიციელი. საფუარი კი არა, ახლა დროზე აახვიე, აქედან! ორი დღეა ვერაფერი გაგაგებინე, პატრონი არა გყავს სახლში?

ოქროშა. არა მყავს მე უბედურს, ქვრივი ვარ და რა ვქნა? (*მცირე პაუზა*) რა გაკვირვებული მიყურებ, ქვრივი არ გინახავს?!

პოლიციელი. ისეთი ენა გაქვს, შენ გაისტუმრებდი იმ ქვეყანას. არ გეტყობა, რაცა ხარ?!

ოქროშა. ნაწლავების გადახლართვით მოკვდა ის საცოდავი და ვერაფერი ვუშველე. ჩემი ბრალია, ჩემი! ყველაფერში მე ვარ დამნაშავე! რა ვქნა, გენაცვალე, კარგი სადილების კეთება ვიცი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცხონებულმა ჭამით მოიკლა თავი. ამოღებას არ მაცლიდა, შიგ ქვაბში ვარდებოდა... აბა, ცხელ-ცხელი პური, ახალი პური!

(*პოლიციელს ეღიმება. გამყიდველები ერთად აყაყანდნენ: „პონჩიკი“, „ხაჭაპური“, „ბანანი...“*)

პოლიციელი. კარგი!.. მალე გამოგივლი... აბა, შენ იცი... (*სხვებს მიუბრუნდება*) ცოტა უკან დაიხიეთ, მანქანებს გზა მიეცით!.. არ გადამრიოთ ახლა! ქალო, არ გადამრიოთ ახლა! უკან მიდექი-მეთქი! ვერ გაიგე?! (*უკან დაიხიეს. პოლიციელი გადის.*)

– „პეჩენია“, ოთხი ცალი – ხუთი ცალი, ერთი ლარი!.. (*ოქროშას*) მიეცი ფული, თორემ ტკიპასავით მოგეკვრება, თავს არ გაგანებებს.

ოქროშა. ოო, მაგას ისეთ დღეში ჩავაგდებ, ბაზრის გზა დაავიწყდეს. რაღა მე გადამეკიდა?!. ბატონო, მიირთვით ცხელი პური, ქარხნისაა, ახალი მოტანილია.

– პარკები შევიძინოთ, პარკები, ათთეთრიანი და ოცთეთრიანი პარკები!

– „პონჩიკი“, „პონჩიკი!“ ოქროსგულიანი „პონჩიკი“ ათ თეთრად! ცხელ-ცხელი პონჩიკი!“

– აბა, ბანანი იაფად! სამი ცალი ერთი ლარი! აქეთ, ბანანი გაიაფდა!

(*შემოდის მათხოვარი, წელში მოხრილი დედაბერი.*)

მათხოვარი. ათი თეთრით დამეხმარეთ.

– ოჰ, ისევ მოვიდა!

მათხოვარი. ღვთის გულისათვის... სამი დღის მშიერი ვარ, დამეხმარეთ, კეთილო ხალხო! ნაწლავები მეწვება.

– ესღა გვაკლდა! გადი, ფეხებში ნუ გვედები!.. აბა, ფენოვანები მიირთვით, ფენო-ვანები!

მათხოვარი. თქვენს გახარებას, ათი თეთრით დამეხმარეთ, ღმერთი სიკეთით გადაგიხდით.

– მეტროში ჩადი, ბებო, მეტროში!.. „პონჩიკი“, ცხელი „პონჩიკი!“

– წადი, იყიდე-გაყიდე, რამე, რაღა მათხოვრობის გზას დაადექი?!

მათხოვარი. ან მათხოვარი უნდა იყო, ან გულმოწყალე. რა ვქნა, ორი ობოლი შვილიშვილი მყავს გასაზრდელი. (*ოქროშას*) დამეხმარე, დედაშვილობას!

ოქროშა. ჯერ ერთი ცალიც არ გამიყიდია, ადამიანო!

მათხოვარი. ღვთის გულისათვის, შეიბრალეთ ორი ობოლი!

ოქროშა. (*ერთი პური მისცა*) აჰა, ალალია შენთვის.

მათხოვარი. მადლობთ! ღმერთმა დაგლოცოს! გაახაროს შენი ქმარ-შვილი! (*მცირე პაუზა*) ათი თეთრით დამეხმარე.

ოქროშა. ფული არა მაქვს. ხომ გითხარ, ახლა მოვედი!

მათხოვარი. (*შემობრუნდა*) ათი თეთრით დამეხმარეთ, კეთილო ადამიანებო, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

– ოჰ, წაიღო ტვინი!

– წადი, ახლა სხვებს გამოართვი!

– თავისუფლების მოედანზე დაჯექი, ბებო, ბევრ ფულს იშოვი!

მათხოვარი. (*ცრემლი მოერია*) იქ წამართვეს ადგილი. დამეხმარეთ... წამალზე... პურზე... (*გადის. შემოდის პოლიციელი.*)

– აი, ის კაცი მოდის!

ოქროშა, გაემზადე!

პოლიციელი. ჰა, რა ჰქენი?.. მოვედი.

ოქროშა. ვინ დაგიბარა?

პოლიციელი. მოქალაქევ, ხომ გითხარ, აქ ნუ დგახარ-მეთქი! არ შეიძლება, უფლება არა გაქვს! წადი, სხვაგან გაყიდე!

ოქროშა. ესენი რომ დგანან?!

პოლიციელი. (*გაიხედ-გამოიხედა*) მაგათ საწევრო გადახდილი აქვთ.

ოქროშა. საწევრო თუ ფულსა ჰქვია, დამაცადე, ჯერ არაფერი გამიყიდია. გავყიდი და მეც გადავიხდი.

(*პაუზა*)

პოლიციელი. (*ხმადადაბლებით*) შენ არაფრის გადამხდელი არა ხარ! (*მუქარით*) მოქალაქევ, წადი, სანამ ძალით წაგიყვანდე!

ოქროშა. არსადაც არ წავალ! აი, აქ უნდა ვიდგე და გავყიდო!

პოლიციელი. გაჰყიდო, რა, შენი გამომცხვარია?!

ოქროშა. ჩემია, მაშ! რა, ცომი გამექცევა? აი, ჩემი დამწვარი ხელები ნახე!

პოლიციელი. შენია, მაშ! დღეს ათჯერ მეტი პურის გამყიდველია, ვიდრე მცხობელი.

ოქროშა. მე, შვილო, ბავშვობიდანვე პურის ცხობა დამანათლეს. ისე მე ვიხარო!.. რაჭაში გოგო რომ დაიბადება, დედა აკვანს ურწევს და ასე უმღერის: „პატარა თავი, დიდი ტაკო! საკალელო და სანატლელო! პატარა თავი, დიდი ტაკო!“ ბალღს კი სძინავს ტკბილად და ძილში იზრდება, ღმერთმა ჯანმრთელი გაზარდოს და დღეგრძელი სიცოცხლე მისცეს... ჰოდა, დედა აკვანს ურწევს და უმღერის: „პატარა თავი, დიდი ტაკო! ტაკუნებში გენაცვალე! პატარა თავი, დიდი ტაკო!“ თუ იცი, რატომ?! გაიზრდება და პურის ცხობისას თონეში რომ ჩაეკიდება, შიგ არ ჩავარდეს. (*მცირე პაუზა*) რა გაკეთებული სახით მიყურებ?! თუ იცი, რამდენს იწონის ადამიანის თავი?! (*მცირე პაუზა*) უი, რა კარგი კბილები გქონია! რა გაცინებს, ტყუილს კი არ გეუბნები!.. არა გჯერა?! აი, შემომხედე! (*წელში მოიხარა, შეტრიალდა და ზურგიდან ეჩვენა. პოლიციელი ახარხარდა. ყველანი ხარხარებენ.*).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიციელი. პატარა თავიო!.. პატარა თავიო, კაცო! (*თავშეუკავებლად ხარხარებს*).

ოქროშა. (*წელში გასწორდა, შემობრუნდა.*) მაშ, რა გეგონა?!

პოლიციელი. (*ხარხარებს*) პატარა თავიო!.. თონეში არ ჩავარდესო! (*ხარხარებს, გამყიდველ ქალებს გარშემო ურბენს, უკანალზე უყურებს და კვდება სიცილით.*).

- რა ვქნა, ეს კაცი რამ გააგიჟა?!
- რა ეძგერა?! მთლად გადაირია?!
- ე-ეე!
- არაფერი უნახავს?!

პოლიციელი. თონეშიო... პატარა... პატარა... (*სიცილით დასუსტებულმა მოულოდნელად ჩაიკეცა და თვალები მილულა*).

ოქროშა. ვაიმე, მიშველეთ!

- რა ამბავია?
- რა მოხდა?
- პოლიციელი ცუდად არის! (*გარშემო შემოეხვევიან*).
- ჰაერი მიუშვით, ჰაერი!
- საკინძე შეუხსენით! (*უკან დაიხიეს*).
- წყალი! ვისა გაქვთ, წყალი?!

ოქროშა. მიშველეთ, ხალხო! (*პური ჩანთაში ჩაალაგა, ბოთლი ამოიღო, კბილებით საცობი მოხსნა და სახეზე წყალი მიაპკურა.*) მიშველეთ, თქვენი ჭირიმე! ეს რომ ჩემი მიზეზით მოკვდეს, ციხეში ამომაყოფინებენ თავს!.. შვილო!.. შვილო!.. ოღონდ ახლა არაფერი დაგემართოს, ოღონდაც თვალი გაახილე!.. აი, წყალი დალიე, წყალი!.. ჰო... ჰო... ნუ გეშინია, შვილო! (*პოლიციელმა ბოთლით წყალი დალია, თვალი გაახილა.*) ჰო, გაახილე თვალი!.. როგორა ხარ, შვილო?!. (*პოლიციელი წამოიწია*) ადექი, ადექი, შენი ჭირიმე!

პოლიციელი. (*ღონემიხდილი*) თონეშიო... (*ძლივს წამოდგა*) აგაშენა ღმერთმა! (*ღიმილით*) მსგავსი არაფერი მინახავს! რამდენი სისხლი და უბედურება შემხვედრია, ჯერ ეგრე არ წავმხდარვარ... რა გქვია, ქალო?

ოქროშა. ოქროშა.

პოლიციელი. შე მართლა ოქროშა! შენ თონეში არ ჩავარდები! საერთოდ, არსად არ ჩავარდები! მიდი, გაყიდე!

ოქროშა. გული კი გამიხეთქე და...

პოლიციელი. ვაი, გული!.. კარგად იყავი! (*გადის*)

- ყოჩაღ, ოქროშა!
- ქალი ვარო, შენ უნდა თქვა.

ოქროშა. მაშ რა ეგონა?! (*ჩანთიდან სამი პური ამოიღო*) აბა, ახალი პური!

(*ყველანი ერთად აყაყანდნენ*)

- ცხელი ფენოვანები, ცხელი!
- აბა, ზოლიანი ბანანები! მობრძანდით, დარბაისელნო, ბანანი გაიაფდა!
- „პეჩენია“, ოთხი ცალი, ოთხი ცალი - ხუთი ცალი, ერთი ლარი!
- „პონჩიკი“, „პონჩიკი!“ (*ოქროშას*) ჩამოვწყდი ფეხზე. რა დღე გათენდა, ერთი ცალიც ვერ გავყიდე! (*ხმამაღლა*) „პონჩიკი“, ცხელ-ცხელი, გემრიელი „პონჩიკი!“

ოქროშა. პური!.. ახალი!.. ცხელ-ცხელი!.. აბა, ქარხნის პური!.. პური!

(*ისმის მუსიკა და სიმღერა: „შენ კი, ძმაო, ძველებური, მადლიანი, თბილისური შაუბერე...“ სცენა ბნელდება და გამყიდველთა ხმებიც თანდათან მიწყდება.*)

## მეორე სურათი

*იხსნება ფარდა. სცენის სიღრმეში ძველი ფიცრებისა და ფანერებისგან შეკოწიწებული, დროჟამისგან ჩაშავებული ბარაკები დგას. ლტოლვილთა თავშესაფარს სხვადასხვა ზომის სამი კარი და ხუთი ფანჯარა აქვს. ერთ-ერთ ფანჯარაზე ფანერაა აკრული, მეორეზე - გაყვითლებული გაზეთი. მარჯვენა მხარეს, წინა პლანზე, ახლად შეფოთლილ ბებერ ვერხვსა და ბარაკებს შორის გაბმულ თოკზე შერეული სარეცხი - ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი, ერთი ზეწარი და ბალიშისპირი ჰკიდია. ბარაკების წინ, მარცხნივ, თვითნაკეთი მაგიდა, თვითნაკეთი გრძელი სკამი და ორი ტაბურეტი დგას; მაგიდის წინ - თუნუქის ღუმელი მაღლა აშვერილი ერთი მილით.*

*მთვარის შუქით მკრთალად განათებული გაზაფხულის საღამოა. პერსონაჟები სავახშმო სუფრას შემოსხდომიან. ფარდის ახდისას ისმის სიცილ-ხარხარი.*

ოქროშა. ელდა მეცა. ვიფიქრე, კვდება-მეთქი. (*იცინიან*) გადამიტრიალდა გული. ვაი, შენს ოქროშას!

კალისტრატე. მე მთელი ცხოვრება გიყურებ, რატომ არაფერი მემართება (*იცინიან*) ალბათ, ცუდად შეუტრიალდი. (*იცინიან*)

აპილო. შენ თვალი შეჩვეული გაქვს. (*უფრო ხმამაღლა იცინიან*).

კვირისტინე. კარგი, ქალო! აღარ შემიძლია! ნუ მაცინებ, თორემ მეც შენი მოსაბრუნებელი გავხდები.

ოქროშა. რომ მეთქვა, სიცილით მოკვდა-მეთქი, ვინ დამიჯერებდა! სიცილით მკვდარი გინახავთ? ან გაგიგიათ? (*იცინიან*) ნამდვილად ციხე არ ამცდებოდა!

კვირისტინე. ლილოს ბაზრობაზე სამ პირ ტყავს გვაძრობენ, ცალკე იმ სიშორეს სიარულმა დამლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა. ამის შემდეგ მეც შენ გამოგყვები ხოლმე.

აკილო. ესე იგი, შენ რა გაქვს, რით უნდა დაიცვა თავი, ესე იგი! (*ყველანი იცინიან. სიჩუმე ჩამოვარდა.*) აღარ დავიძინოთ?! დაღლილმა ხალხმა ორ-ორი სიზმარი ნახა.

კალისტრატე. ავდგეთ, ავდგეთ!

შანგო. ალისამ უკვე დაიძინა?

კვირისტინე. ალისას თავი დაანებე! ჰო! ჰო! მე მითქვამს!

კალისტრატე. ჭკუას მოუხმე, ბაბაია! პატარა ხელი გაანძრიე, მუქთახორა არ გვჭირდება ჩვენ! რას ჩააცივდი ამ ალისას?!

შანგო. მე ჩემ სარჩენს ყოველთვის ვიშოვი! თქვენი მათხოვარი კი არა ვარ!.. მორჩა! (*წამოდგა*) მორჩა სოხუმი და სოჩა! (*სწრაფად გადის ბარაკების უკან*)

აკილო. თუ არ იშრომე, როგორ იშოვი, როგორ?!

ოქროშა. კარგი, რა გინდათ მაგ ბიჭისაგან?

კალისტრატე. უშნოდაა ატეხილი, წელმოწყვეტილია და ის გვინდა! მაღლა ვერ ასულა, სახურავი ვერ გაუსწორებია! ბატიბუტივით აყრია მუსკულები. მე ცალი ფეხით ხომ ვერ ჩავალ ახალციხეში?! სამი ტონა კარტოფილია ჩამოსატანი, მანქანასა და საწვავს შოვნა უნდა!

ოქროშა. მამა უცხონდა იმ სომეხს! არშალუისა ძალიან მეძვირეა, ის ეშმაკის ფეხი! იმას მართლა უტვინოები ხომ არა ვგონივართ?!

აკილო. მართალია! ჩვენ თუ ჩამოვიტანეთ, რაღა მოგება დაგვრჩება?! აგერ, ბოლნისი აქვეა. ცალთვალა მამედა უფრო იაფად გვაძლევს. წაიღეთო, ერთი კვირაა გვეხვეწება.

კვირისტინე. არა, არა, აკილო! მამედას კარტოფილი დამპრალია და ჭიანი, არ გასაღდება! იმ დღეს თავზე დამაყარა მყიდველმა. არც სასწორი გივარგა, წონაში მატყუებო, ბაზრის მასხარა გამხადა.

აკილო. აპრილი და მაისი მშიერი თვეებია, ნამეტანი გაგვიჭირდება, ესე იგი. (*მცირე პაუზა*) ესე იგი, ჩვენ თუ არ ვიზრუნეთ საკუთარ თავზე, ვინაა ჩვენი პატრონი?! (*შედის ბარაკში*)

კალისტრატე. ოქროშა, ავდგეთ ჩვენც. (*წამოდგა და მარჯვენა იღლიით ყავარჯენს დაეყრდნო*)

ოქროშა. თეფშებს ავალაგებ და მოვდივარ! (*წამოდგა*).

ქელმა. (წამოდგა) ჭურჭელს მე ავალაგებ, თქვენ დაისვენეთ, დაღლილები ხართ!

ოქროშა. გაგახარა ღმერთმა! ისე გადავიქანცე, ფეხზე ველარ ვდგავარ, ყველაფერი მტკივა.

კვირისტინე. შენ ისეთი ომი გადაგიხდია.

(*ოქროშა, კვირისტინე და კალისტრატე შედიან ბარაკებში. ქელმა ჭურჭელს ალაგებს და თასში აწყობს.*)

ჯოგო. ძუძკები არიან ეგენი! ძუნწები! დაბერდა და მთლად გამოშტერდა, კატას დასდევს ამ ხნის ქალი!

ქელმა. კარგი, არ გაიგოს!

ჯოგო. გაიგოს! შანგოს ზურგით ჩამოუცლია სამი ტონა კარტოფილი. მაგათზე ნაკლებს შოულობს თუ ნაკლებს...

ქელმა (*შეაწყვეტინებს*) რაც ეგ რძეში ფულს ხარჯავს.

ჯოგო. ეგ არ არის შენი საქმე!

ქელმა. მართალია, მე ჩემი სადარდებელიც მეყოფა. (*მცირე პაუზა*) რა ვქნა, ჯოგო, რა მეშველება!

ჯოგო. რა იყო?.. რა მოგივიდა?

ქელმა. დღეს ექიმთან ვიყავი.

ჯოგო. მერე? ექიმმა რაო?

ქელმა. ორსულად ვარ.

ჯოგო. რა თქვი?.. ორსულად ხარ? (*ქელმა თავს უქნევს. ჯოგო გულში იხუტებს.*) ჩვენ შვილი გვეყოლება. (*კოცნის, ეფერება*) შვილი? (*ხელში აიტაცებს და მკლავებზე გადაიწვენს*) წამო, ჩვენი ჯადოსნური საათის დროა!

ქელმა. დამსვი! მაცალე!.. ჯოგო, გამიშვი ხელი!

ჯოგო. როგორც კი წამოიზრდება ჩემი ბიჭი, „ნაკოლკას" დავაწერ „დამზადებულია ჯოგოს მიერ".

ქელმა. ჯოგო, მომისმინე!.. გამიშვი, ხელი!

ჯოგო. (*ხელი გაუშვა*) გისმენ. (*პაუზა*) რა იყო, რატომ გაჩუმდი?!

ქელმა. დამშვიდდი... დამშვიდდი და ისე მომისმინე.

ჯოგო. გისმენ... აღარ იტყვი?

ქელმა. გადავწყვიტე, ექიმთან მივიდე.

ჯოგო. რისთვის, ექიმთან არ იყავი?

ქელმა. ასეა საჭირო. (*მცირე პაუზა*) უნდა მოვიშორო.

ჯოგო მოიშორო? მაგაზე ფიქრიც კი არ გაბედო!

ქელმა. ჯოგო, მე სხვანაირად...

ჯოგო. (*შეაწყვეტინებს*) არა!

ქელმა. მოიცა, ჯერ მათქმევინე. ახლა შვილის გაჩენა არ შემიძლია, უნდა მოვიშორო და რაც შეიძლება... მე ის მაწუხებს, ამდენი ფული სად ვიშოვო! ჯოგო, შენ უნდა გამიგო! ახლა ასეა საჭირო, გთხოვ, გემუდარები.

ჯოგო. (*სიგარეტს უკიდებს*) ნუ მთხოვ, ქელმა! მე მაგის უფლებას არ მოგცემ! და არც ფული მაქვს. აქამდე მეგონა, დავკარგე ყველაფერი, სახლი, სამშობლო, ძმისა და მშობლების საფლავები და შენ... (*ყვირის*) არა!

ქელმა. მე არა მაქვს სამშობლო და არ მინდა, ჩემი შვილი სანაგვეზე დაიბადოს! (*ჭურჭელს

*მიუბრუნდა).*

ჯოგო. ლტოლვილებისთვის ჯერ ბროლის სასახლეები არავის აუშენებია!.. როცა გელაპარაკები, დაანებე მაგ ჭურჭელს თავი! (*ქელმამ თეფშს ცივად გაუშვა ხელი. პაუზა.*) ქალს არც აქვს სამშობლო, სადაც წაიყვან, იქ წამოგყვება.

ქელმა. მე ჯერ არა ვარ შენი ცოლი!

ჯოგო. ცოლი?! ქელმა! მაშ, ვინ ხარ?! თუ ფიქრობ, რას ლაპარაკობ?! დღეიდან თუ ჩემს ცხოვრებას ამრი მიეცა, ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა! მე თუ არა, ჩემი შვილი დაბრუნდება ჩემს სახლში! შენ... შენთვის ხელმოწერილი ქაღალდი ყოფილა მთავარი!

(*კვირისტინემ ფანჯრიდან გამოიხედა და სწრაფად თვალს მოეფარა*).

ქელმა. ჯოგო, მომისმინე!

ჯოგო. წადი, ვისთანაც გინდა, ხელი მოაწერე! „ქორწინების ბარათი" ჩანთით ატარე, არსად დაგავიწყდეს!

ქელმა (*ბარაკებისკენ იყურება*) ჩუმად! რა გაყვირებს?! მე ახლა შვილს ვერ გავაჩენ, გაიგე! ჩემთან ერთად ვერც მას გავაუბედურებ! ამის გაფიქრებაც კი საშინელია! მომავალში...

ჯოგო. მე არ ვიცი, რა იქნება მომავალში! წადი, დამანებე თავი!

ქელმა. ჯოგო!

ჯოგო. შენი ხმის გაგონებაც კი არ მინდა!

ქელმა. რატომ?

ჯოგო. აქედან გამეცალე! მომშორდი, თორემ მოგკლავ!

ქელმა. მომკალი!.. მომკალი, ჯოგო! გინდა ადამიანი მოგიკლავს და გინდა მტკვარში გადაგიფურთხებია.

ჯოგო. ენა დაიმოკლე! მე იმათ ეხოცავდი, ვინც ტყვიას მესროდა და ჩემი მიწა-წყლიდან გამომაგდო. ორჯერ შევხედი სიკვდილს პირისპირ, ახლაც ვკვდები, ყოველდღე, ნელ-ნელა, თავს ვიკლავ თეთრი სიკვდილით. ეგა გაქვს გულში, ეგ გინდა თქვა, არა?! ქელმა, მოთმინებიდან არ გამომიყვანო, ჩქარა აქედან გამეცალე! (*მცირე პაუზა*) ღმერთმა იცის, რომელია ჩვენს შორის მკვლელი!

ქელმა. მე არაფრად მიღირს ასეთი გაძაღლებული ცხოვრება!.. რაღას ელოდები?! ვიცი, უბეში გიძევს.

(*გარედან ისმის შანგოს სიმღერა: „უელქამ თუ ზი ჰოთელ ქალიფორნია, საჩ ე ლავლი ფლეის". სიმღერითვე შემოდის: „ვაიმე, ვაიმე, ვაიმე, შემოგიხსენ კარები"*).*

შანგო. ჯოგო, შენ იმ სიმღერის სიტყვები თუ იცი: „ცოლად ებრაელს გავყვები".

------

* *კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სასტუმრო კალიფორნიაში, ამ მშვენიერ ადგილას /ინგლ./.*

ჯოგო. სიმღერა არა, ის არ გინდა?!

შანგო. რა მოგივიდა? ერთმა გოგომ მთხოვა, გადამიწერეო. ცრემლივით გოგოა.

ჯოგო. (*ღიმილით*) მლაშე?

შანგო. ტკბილი.

ჯოგო. რომელი სიმღერის?

შანგო. „ცოლად ებრაელს გავყვები".

ჯოგო. (*ღიმილით*) მე - არა! აი, ქელმამ იცის.

შანგო. მართლა? დამიწერე სიტყვები.

ქელმა. (*ჭურჭელს ალაგებს*) სიმღერადა მაკლია! რა ბედნიერი ხარ, შანგო! ხან უმიზეზოდ იცრემლები, ხან...

შანგო. (*შეაწყვეტინებს*) უმიზეზოდ სულელი მღერის და ტირის.

ქელმა. რომელი ჭკვიანი ინადგურებს ჯანმრთელობას?! ამღვრეულ თვალებზე გეტყობა, დღევანდელი დოზა უკვე მიგიღია. (*თასი აიღო და ბარაკებისკენ გაემართა*).

შანგო. ვის რას უშავებს ჩემი თვალები?! (*ქელმა შედის ბარაკში*) იჩხუბეთ? (*ჯოგო დუმს*) დღეში სამჯერ მაინც უნდა უთხრა, „მე შენ მიყვარხარ!" როგორც ამერიკულ ფილმებშია... ღამე ცოლს კარგად უნდა მოეფერო, დილით ფული მისცე. ენას დაიმოკლებს. ჯოგო, ერთ გამოცანას გეტყვი, თუ გამოიცნობ.

ჯოგო. მიდი.

შანგო. პირში სარეცხი მანქანა მიდგას, რა არის? (*პაუზა. ჯოგო მხრებს იჩეჩავს.*) ეე, ეგ არ იცი? ფრანგული კოცნა.

ჯოგო. ეი, ძმობილო! შენხელა რომ ვიყავი, ერთი კოცნის გულისთვის გოგოს ერთი კვირა დავდევდი... სხვის ჩხუბში არ ჩაერიო, თორემ ცხვირში მოგხვდება! (*ცხვირზე წკიპურტს მიარტყამს*) წადი, დაიძინე! ამბა!

შანგო. რა დამაძინებს, ქალაქში მივდივარ, სამუშაოზე. ხომ იცი, ჩემი სამუშაო შუაღამისას, ზუსტად თორმეტზე იწყება. ნეტავ, ვინ ან როდის გამოიგონა საათი? აბა, თუ მეტყვი, მარცხენა მაჯაზე უფრო ძვირფას საათებს ატარებენ თუ მარჯვენაზე?

ჯოგო. ე... მაჯას გააჩნია.

შანგო. (*იცინის*) ესე იგი, მაჯას გააჩნია, ესე იგი და მაჯის პატრონს, ესე იგი. მდიდრული რესტორნებიდან და კაზინოებიდან გამოსული ვინც მინახავს, უმეტესობას მარჯვენა ხელზე უკეთია.

ჯოგო. ფრთხილად, ჯიმა! ესე იგი, ერთი ადგილი არსად ჩაყო! ქოფაკებს უფრთხილდი, შარვალზე კბილი არ გამოგკრან, ესე იგი.

შანგო. ნუ გეშინია! წავედი! ამბა! (*ფეხსაცმელებზე დახედავს*) ე... შენს ფეხსაცმელს პირი დაუღია. მკვდარს გავხდი და მოგიტან. სადმე, ბაღში, სკამზე იქნება დასვენებული. (*მცირე პაუზა*) მოდი, გავცვალოთ. ვისაც გადავეყრები, შემხვდება ვინმე

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ბუხარია“, იმას გადავუცვლი. (*მცირე პაუზა*) გაიხადე, რაღას ელოდები?! (*ფეხსაცმელებს ცვლიან*) სოკო ხომ არა გაქვს? შენც ორმოცდასამი გინდა, არა? წავედი! (*გადის. ჯოგო ფეხსაცმელებს დაჰყურებს. შორიდან ისმის იან გარბარეკის მუსიკალური კომპოზიცია „გაჭეჭყილი კონსერვის კოლოფის ცეკვა“. ჯოგომ სივარეტს მოუკიდა და მუსიკას ყური მიუგდო. ბარაკიდან გამოდის ქელმა. იქვე, კარებთან გაჩერდება.*)

ქელმა. ჯოგო!

ჯოგო. (*მშვიდად*) რა გინდა?

ქელმა. არ გეძინება?

ჯოგო. არა!

ქელმა. გელოდები.

ჯოგო. ნუ მელოდები!

ქელმა. უშენოდ ვერ ვიძინებ!

ჯოგო. ფანჯარასთან ნუ დგახარ! თვალები დახუჭე და დაგეძინება.

ქელმა. შანგო სად წავიდა? (*მცირე პაუზა*) საყვარელი ხომ არ გაიჩინა?

ჯოგო. არ ვიცი. შენ ეგ რატომ გაინტერესებს?

ქელმა. ყოველ ღამე სადღაც მიდის და გათენებისას ბრუნდება. ეგ, ალბათ, გაფუჭებულ ხალხთან დადის, უფროს ქალებს ფულს სცინცლავს.

ჯოგო. არ ვიცი. არ მაინტერესებს.

ქელმა. კისერი არსად მოიტეხოს! როგორ არ გეცოდება ოცდაორი წლის ბიჭი! ალბათ, არ გიყვარს.

ჯოგო. მიყვარს. მე მის მსაჯულად არ გამოვდგები.

ქელმა. ფეხსაცმელები რატომ გაცვალეთ?

ჯოგო. შენ რა, გვითვალთვალებ?

ქელმა. მე მაშინ გამოვიხედე, როცა ფეხსაცმელებს ცვლიდით. რაში სჭირდებოდა შენი დახეული ფეხსაცმელი?

ჯოგო. ისე.

(*პაუზა*)

ქელმა. არ მოდიხარ? (*პაუზა. ჯოგო არ უპასუხებს.*) მანდ რას აკეთებ, მარტო?

ჯოგო. ვარსკვლავებს ვითვლი.

ქელმა. როცა ხუმრობ, ბავშვივით საყვარელი ხარ!

ჯოგო. არ ვხუმრობ, ქელმა! ვარსკვლავებს ვითვლი და მუსიკას ვუსმენ... მტკვარსგაღმა რესტორანში უკრავენ... არ გესმის?

ქელმა. (*პაუზის შემდეგ*) ახლა მესმის... კი არ უკრავენ, მაგნიტოფონია.

ჯოგო. მოგწონს?

ქელმა. ძალიან. მშვენიერი მუსიკაა.

ჯოგო. მაგ რესტორანში ყოველთვის კარგად ჩაცმული ხალხი დადის. რა გინდა, რას ინატრებ, სულო და გულო! დელიკატესებს ფორთოხლის მდოგვით მიირთმევენ. მღერიან, ცეკვავენ. რა ბედნიერი ხალხია! მათთვის ცხოვრება გრიალი და ნეტარებაა.

ქელმა. ნუთუ მართლა ასე გგონია?

ჯოგო. კი არ მგონია, ეგრეა! იმათთვის ეგრეა! ქეიფი, ჩვენი, ქართველების პროფესიაა.

ქელმა. რა კარგი პროფესია გვქონია! ცუდი ის არის, რომ მე და შენ მუდმივი უმუშევრობა გველის. (*მცირე პაუზა*) ნეტავ, რაზე მოთქვამს ეგ საქსოფონი?.. სიყვარულზე ხომ არა?

ჯოგო. სიყვარულზე, სექსზე და სიკვდილზე.

(*პაუზა*)

ქელმა. ჯოგო!

ჯოგო. რა იყო?

ქელმა. რატომ არაფერს მეუბნები?

ჯოგო. შინ შედი, ქელმა! (*მარჯვენა კულისისკენ გაემართა*).

ქელმა. მიდიხარ სადმე?

ჯოგო. გავივლი, მტკვარს გადავხედავ.

(*სცენა უცებ ბნელდება*).

ქელმა. ვაი!.. შუქი ჩააქრეს... მცივა, ჯოგო!

ჯოგო. შედი, დაიძინე!

(*მუსიკის ხმა უფრო ახლოდან ისმის, თანდათან ძლიერდება. საქსოფონმა ბოლომდე აიწყვიტა*).

## მესამე სურათი

*ადრიანი დილაა. ისმის ჩიტების ჭივილ-ხივილი. ბარაკების წინ ძირს დაწვენილ პატარა მაცივარს შანგო უკირკიტებს. ღუმელთან ახლოს გდია კონსერვის კოლოფი. შემოდის კვირისტინე.*

კვირისტინე. ალისა! ალისა! (*მცირე პაუზა*) სად არის ჩემი ალისა?! (*შანგოს შენიშნავს*) ჩემი ალისა არ გინახავს?

შანგო. ვნახე. მტკვარზე ჩავიდა პირის დასაბანად. კუდზე კონსერვის კოლოფი ჰქონდა გამობმული.

კვირისტინე. ოჰ, ღმერთო, დიდებულო!.. შენ, ბიჭო, მაიმუნი ხარ და მაიმუნობის მეტი არაფერი იცი!

შანგო. რის მაქნისია შენი ალისა?! შეგვჭამეს ვირთხებმა და თაგვებმა!

კვირისტინე. ჰმ! ეს მაცივარი საიდან მოათრიე?

შანგო. ჩემი რძე აღარ დაალევინო, თორემ მივასიკვდილებ!

კვირისტინე. აბა, ერთი გაბედე! (*მცირე პაუზა*) განა არ ვიცი, რძეში რასაც ხარშავ?! ღამღამობით რომ გაიძურწები ხოლმე, ისიც ვიცი, სად დაბორიალობ გათენებამდე.

შანგო. კუს ტბის ზემოთ, ბულბულების ჭალაში.

კვირისტინე. კი, აბა! ბულბულების ჭალა და აშფაშხანა უკან დაგრჩება! ბოლოს ვირის აბანოში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორთაჭალაში არ ამოჰყო თავი!

შანგო. ბრიჯიტ ბარდო, რა გინდა ჩემგან?! რამდენჯერ გითხარ, რძეს ნუ მპარავ-მეთქი! წადი, კოსტავას ცხრა ნომერში მაღაზიაა - „ყველაფერი კატებისათვის“. იქვე კატების მოყვარულთა კლუბია.

კვირისტინე. დამცინი, არა, დამცინი?! თვითონა ხარ მასხარა და მაიმუნი! მაღაზიაშიც წავალ და ჩემს ალისას არაფერს გავუჭირვებ. დიახაც!.. მოყვარულთა კლუბის წევრიც გავხდები.

შანგო. ეგრე იოლი კი არაა! ორივემ სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროთ. (*მაცივარი ფეხზე წამოაყენა*) აი, მაცივარი გავარემონტე. რძე უნდა ვიყიდოთ, ფული ჩამოდი! (*სიგარეტს უკიდებს*).

კვირისტინე. ფული, აბა, ფული! დღე და ღამე შენთვის ვარ ლილოს ბაზრობაზე დაყუდებული! იცოდე, სესხად რომ დაგჭირდება, აღარ გასესხებ და ნუ გეწყინება! (*გასვლა დააპირა*) უი, უი, შენ მაცივრის გაკეთება შეგიძლია?! (*მიდის*) ალისა!

შანგო. მუცელში ბავშვებს ვაკეთებ და მაცივარი...

კვირისტინე. დიდუ!

შანგო. მაცივარი რა ჩემი ფეხებია!

კვირისტინე. (*შემობრუნდა*) რასაა რომ ლაპარაკობ, თუ იცი?! გაგიჟდი, ბიჭო?!

შანგო. გეფიცები, არ გავგიჟებულვარ!

კვირისტინე. უზრდელი! თავხედი! უსირცხვილო! არც უფროსი იცი, არც... (*ხელი ჩაიქნია, გადის. ბარაკიდან გამოდის ქელმა*).

ქელმა. დილა მშვიდობისა, შანგო!

შანგო. გაგიმარჯოს!

ქელმა. რომელი საათია?

შანგო. (*უხეშად*) არ ვიცი.

ქელმა. რა მშვენიერი დილა გათენდა! რა ამინდია, მკვდარს გააცოცხლებს. (*თოკზე გადაფენილ სარეცხს ხელით სინჯავს*) ამ ზამთარს კინაღამ სიცივისაგან სული არ გამძვრა... ეს მაცივარი საიდან?

შანგო. სანაგვეზე ეგდო.

ქელმა. (*მაცივრის კარი გამოაღო*) რაკი გადააგდეს, ალბათ, გაფუჭებულია.

შანგო. რელე აქვს გამოსაცვლელი. იმუშავებს. (*გადის ბარაკების უკან*).

ქელმა. დაჟანგებულა, მაგრამ არა უშავს! მალე დაცხება და ბუზი დაგვესევა. (*მაცივრის კარი მიხურა და სარეცხს მიუბრუნდა. შანგოს შემოაქვს შეშა, ღუმელში შეაწყობს და ცეცხლს ანთებს. შედის ბარაკში, გამოაქვს ქვაბი და ბოთლით რძე.*) ჯოგო! (*მცირე პაუზა*) ჯოგო, არ გაიღვიძე?! გამოდი, ძილისგუდა, ისეთი დილაა, მტკვარში ბანაობა შეიძლება. (*სარეცხს ხსნის*).

(*შანგომ ქვაბში რძე ჩაასხა და ღუმელზე შემოდგა. ბარაკიდან გამოდის ოქროშა, ხელში ორი დიდი, ცარიელი ჩანთა უჭირავს*).

ოქროშა. გამარჯობა!

ქელმა. გაგიმარჯოს!

შანგო. მძიმე არტილერიას ჩემი სალამი!

ოქროშა. ოი, სიმძიმე დაგეცეს მაგ გამოფშვიტინებულ თავზე! დილიდანვე დამთარსა!.. რა ვქნა, შენ არაფერი გეშველება!

ქელმა. ოქროშა, შეხედე, რა კარგი ჰაერია! ისეთი დღე მოდის, სიცოცხლე მოგწყურდება... მტკვარზე თოლიები დაფრინავენ.

ოქროშა. ნეტავ, საიდან მოფრინდნენ ან საით გაფრინდებიან? (*შანგო ნაჯახით შეშას წვრილად ჩეხავს*).

ქელმა. გაზაფხული მოდის, მდიდრების და ღარიბების დღესასწაული.

ოქროშა. მთებზე თოვლი დნება... პირველი თოვლი ახალგაზრდებს უხარიათ, უკანასკნელს მოხუცები აცილებენ. წავა და სიზმარივით გაქრება, თითქოს არცა ყოფილა.

ქელმა. (*სარეცხს ხსნის და მხარზე იგროვებს*) ალბათ, ჩვენთანაც დადნა თოვლი. ნეტავ, სოხუმში როგორი ამინდია? ზღვამ თუ გაიღვიძა?!

ოქროშა. ზღვა უკვე აყეფდებოდა... აფხაზეთის მთებში აგვისტოშიც თოვლი ძევს, შვილო!.. ერთი შორიდან შემახედა. (*მცირე პაუზა*) უი, როგორ დამაგვიანდა! რა ძილქუში მეცა!

ქელმა. დღეს მაინც დაისვენე, კვირაა! მთელი ქვეყანა ისვენებს, დღეს ხომ სიყვარულის დღესასწაულია!

ოქროშა. საცა შიმშილია, იქ ზეიმები და დღესასწაულები არ გამოილევა! როცა კუჭი ცარიელია, ენაგადმოგდებული ძაღლივით ადვილად დაგაბამენ! მაძღარი მშიერს ვერ გაუგებს, თვალხილული - ბრმას... დღესასწული... კარგი სატყუარაა, მე და ჩემმა ღმერთმა! დასვენება მაშინაც მეყოფა, როცა საფლავში ჩავწვები. (*ხმადაბლებით, თითქმის ჩურჩულით*) ოპერაცია უნდა გავიკეთო, გოგო, ფულს ვაგროვებ.

შანგო. რის ოპერაციას იკეთებ? (*იცინის*)

ოქროშა. (*ქელმას*) შეხედე, ერთი, რას გავს! მაიმუნი ხითხითებს, მაიმუნი!

შანგო. ოპერაციას შეიპინგზე ვარჯიში არ გირჩევნია?

ოქროშა. ეგ არ არის შენი საქმე!

შანგო. სუპერვიტამინებსაც თავი უნდა დაანებო! აი, ბრიჯიტ ბარდო დიეტაზეა.

ოქროშა. ჭინჭარი ენაზე, ჭინჭარი! (*ქელმას... ხმადაბლებით*) ზედმეტ ხორცებს ისე ჩამოვითილი, არც კი დავფიქრდები. (*შანგო იცინის*) ისევ მე დამცინის, ეს კატების ჯალათი! (*ქელმას*) შენი ჭირიმე, ჩემ კაცს წურბელები მოჰკიდე, არ დაგვაიწყდეს! წავედი, დამაგვიანდა. (*შანგოს*) რომელი საათია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲐᲜᲒᲝ. (*შეუღრენს*) არ ვიცი. (*ოქროშა გადის*).

ᲥᲔᲚᲛᲐ. რატომ დასცინი, ველარ დადის საწყალი! (*თვითონაც ეღიმება. გამშრალი ტანსაცმელი შეაქვს ბარაკში. შემოდის კვირისტინე.*).

ᲨᲐᲜᲒᲝ. ახლა ვულკანი ამოხეთქავს, ღედებო, დაყარეთ შვილები! *(სივარეტს უკიდებს).*

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. სადლა არ ვეძებე, არსად არ არის ჩემი ალისა!

ᲨᲐᲜᲒᲝ. მოიტაცეს? თუ თავისი ნებით გაითხოვდა?

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. (*ქვაბში იყურება*) ხოხ! ვითომ რძეს ადუღებს!

ᲨᲐᲜᲒᲝ. რძე კი არა, უკვდავების ელექსირია!.. რძეა, მაშ, რა არის?!

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. რა არის და საწამლავი! გულ-მუცელში ურჩხული ჩაგჯდომია, შე უბედურო! ტვინს გამოგიშრობს ეგ მანაგუაა თუ რაღაც ოხრობა! კაცად აღარ ივარგებ!

ᲨᲐᲜᲒᲝ. აბა, აბა! ჩემი ტვინის ყვავილობას თქვენ ვერ მოესწრებით, ქალბატონო კვირისტინე! (*ცხვირს აცემინებს*).

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. გაზრდა!.. ვერც მოვესწრები! მიდი, მოიკალ თავი! *(შანგო ცხვირს აცემინებს)* რა ბზიკი შეგიჯდა, მაგ ცხვირში?

ᲨᲐᲜᲒᲝ. არ ვიცი. ორპირი ქარი უბერავს.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. სად არის ჩემი ალისა?

ᲨᲐᲜᲒᲝ. *(ცხვირს აცემინებს)* არ ვიცი.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. ოჰ, ღმერთო ჩემო! ოჰ, ღმერთო! მართლა თავს მომაკვლევინებს ეს ბიჭი!.. შენ გადამალე?! *(შანგო დუმს)* მითხარ, სად დაამწყვდიე?!. თუ ჩამოახრჩვე? (*შანგომ პირი დაალო, თავს აქნევს და ცხვირს აცემინებს*) რას ერჩოდი, რა დაგიშავა?!. რატომ მარჯვენა არ გაგიცივდება!

ᲨᲐᲜᲒᲝ. წყევლა მაწყევარს! წყევლა მაწყევარს!.. მარჯვენა ხელი გაგიცივდეს და მარცხენა...

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. *(შეაწყვეტინებს)* წყევლა მაწყევარს! წყევლა მაწყევარს!.. სანაგვის ვირთხა!

ᲨᲐᲜᲒᲝ. ხაფანგის ყველო!

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. ჭრელო მორიელო!

ᲨᲐᲜᲒᲝ. ბრიჯიტ ბარდო!

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. ეშმაკის ნაღველო!

ᲨᲐᲜᲒᲝ. მოწყენილო თოლია! *(პაუზა)* გვეყოფა! მოდი, შევრიგდეთ! *(დამორცხვებული)* კვირისტინე დეიდა! რად გინდა, ფულს რომ ინახავ! ფულს ძაღლიც არ ჭამს. ალისას გაფიცებ, სამი ლარი მასესხე.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. ულვაშები აღარ დააგლიჯო, იცოდე! (*შანგო თავს უქნევს*) აღარც ცეცხლმოდებული კონსერვის ქილა გამოაბა! (*შანგო თავს უქნევს*) გაიგე, შვილო, უბედურების სუდარა გაქვს შემოხვეული. მაგ ეშმაკის ვახშამს დაანებე თავი! გონს მოდი! (*მცირე პაუზა*) ჰმ! როცა ფული გჭირდება, ბავშვივით მიამიტი და ალერსიანი ხდები... კი, მაგრამ, სამი ლარი ხომ გმართებს ჩემი?!

ᲨᲐᲜᲒᲝ. სამი და სამი ექვსი იქნება, ანგარიში აგერია? (*პაუზა*) მასესხებ?

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. (*ღიმილით*) ვნახოთ. (*გაუღიმებს და შედის ბარაკში. შანგო ღუმელთან დაიჩოქებს და ცეცხლს სულს უბერავს*).

## მეოთხე სურათი

*(მარჯვენა კულისიდან ისმის ყვირილი).*

ხმა. კაცი იხრჩობა!

*(შანგო უცებ წამოვარდება).*

ხმა. მოგვეშველეთ, კაცი იხრჩობა!

ᲨᲐᲜᲒᲝ. ხორენას ხმაა. *(ეძახის)* ჯოგო! ჯოგო! კაცი იხრჩობა! (*ბარაკებიდან სწრაფად გამოდიან ჯოგო, ქელმა, კვირისტინე და კალისტრატე ყავარჯნით*).

ᲥᲔᲚᲛᲐ. რა მოხდა?

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. რა ამბავია, შანგო?

ᲨᲐᲜᲒᲝ. ქურთი ყვირის, ვიღაც იხრჩობა. ამბა! *(ქვაბი ძირს ჩამოდგა და თავი დაახურა)*

ᲙᲐᲚᲘᲡᲢᲠᲐᲢᲔ. აკილო სად არის, აკილო?!

ᲯᲝᲒᲝ. თუ დაიხრჩო, მეორედ აღარ შევა მტკვარში. ამბა!

ᲥᲔᲚᲛᲐ. რა დროს ხუმრობაა, მივეშველოთ!

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. რაღას უყურებთ?! ჩქარა გაიქეცით, ჩქარა! *(ჯოგო, შანგო და ქელმა მარჯვნივ გარბიან).*

ᲙᲐᲚᲘᲡᲢᲠᲐᲢᲔ. ამ დილაადრიან ვის გაუჭირდა ნეტავი? *(ღუმელთან ტაბურეტზე დაჯდა).*

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. რა ვიცი, ვინ უნდა იყოს. ოქროშა წავიდა ბაზარში?

ᲙᲐᲚᲘᲡᲢᲠᲐᲢᲔ. წავიდა.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. ერთ დღესაც არ ისვენებს. რა ქნას ჩემსავით გაჭირვებულმა! გუშინ ზეზეურად ჩამოვდნი, ფეხები დამისივდა. სამი ლარის მეტი არ დამრჩა. (*მცირე პაუზა*) ამდენი ხალხია და ჩაი ვერავინ შემოდგა. (*უპაუზოდ*) უყურე შენ! ისევ მოვიდნენ.

ᲙᲐᲚᲘᲡᲢᲠᲐᲢᲔ. ვინ მოვიდნენ?

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. პატარა მაწანწალები... ეი, ბიჭო, მოშორდით აქედან!.. ჩქარა, მანდ არ მომიყვანოთ!.. რატომ თავს არ გვანებებენ ეს წყეულები?! *(ისმის ბავშვების ყიჟინა, ინდიელების მსგავსი ველური ყმუილი და შეძახილი: „ბრიჯიტ ბარდო! ბრიჯიტ ბარდო!“)*, არ გესმით?! მაცალეთ, მოვიდე ერთი! (*კალისტრატეს ყავარჯენი წავლიჯა და მარცხნივ სწრაფად გავიდა.*) უჰ, შე ზოოპარკიდან გამოვარდნილო მაიმუნო, მეჭყანები კიდეც?! დაიკარგეთ აქედან, თქვე მაწანწალებო!.. შენს გამზრდელს გამოუყავი ენა, შე მამაძაღლო!.. აქ აღარ მოხვიდეთ, თორემ ამ ყავარჯნით გაგიჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩქვავთ თავებს! (*შემოდის*) მხეცები! *(კალისტრატეს ყავარჯენი დაუბრუნა)* ვინ არიან ეს ველურები, ვის კალთებში გაიზარდნენ?!

კალისტრატე. რას გაუვარდები ხოლმე მაგ ბავშვებს! რა გინდა, მაგათაც გაქქონ ნაგავი.

კეირისტინე. რომ იპოვონ რამე?!. კი არაფერს დაგაცლიან?! რით ვერ გაიგეს, რომ ეს ჩვენი სანაგვეა?! არ უნდა გაიგონ?! (*მცირე პაუზა... გახარებული*) უი, კალისტე, აგერ არ ყოფილა ჩემი ალისა?! ფანჯრიდან იყურება... (*შედის ბარაკში. შანგოსა და ხორენას მხრებსა და ფეხებში ხელები ჩაუვლიათ და შემოჰყავთ აპექსი. უკან მოჰყვებიან ჯოგო, ქელმა და აკილო - ხელში ძველი ვედრო და გრძელი ბამბუკის ჯოხი უჭირავს. ბარაკიდან გამოდის კეირისტინე - ხელში ქოთლი უჭირავს.*) ცოცხალია? *(აპექსი ძირს დააწვინეს).*

ქელმა. აკილომ და ჯოგომ გადაარჩინეს. *(შედის ბარაკში).*

ხორენა. აკილომ თევზის მაგიერ ეს კაცი დაიჭირა.

კეირისტინე. ღმერთო, შენ უშველე ყველა გაჭირვებულს! (*ქოთლი ღუმელზე შემოდგა*).

კალისტრატე. ვინ არის? ცურვა არ იცის?

აკილო. რა ვიცი, აბა! ესე იგი, დილით ადრე ჩაველი, ესე იგი, და ვიყავი კარგა ხანს მარტო, ჩემთვის, ესე იგი. (*ბარაკიდან გამოდის ქელმა. ხელში უჭირავს ორი პირსახოცი. ერთი აკილოს მიაწოდა, მეორე პირსახოცით აპექსის სახეს უმშრალებს.*) გუშინ მთაში იწვიმებდა, მდინარე ამღვრეულია და თევზი არ მოაქვს, იტაცებს, ესე იგი. უცებ ყვირილი შემომესმა, კაცი იხრჩობა, უშველეო, ესე იგი. ძველ საქვაბესთან ეს ქურთი გადმომდგარიყო და იჭაჭებოდა. (*პირსახოცი ჯოგოს გაუწოდა. ჯოგომ სახე გაიმშრალა და თოკზე გადაფინა. აპექსი კანკალებს. ქელმას პირსახოცი გამოართვა და თვითონ იმშრალებს).*

ჯოგო. შენ რატომ არ მიეშველე?

ხორენა. *(დამორცხვებული)* ცურვა არ ვიცი.

აკილო. დავიღალე, სადღაა ძველებური ჯანი, მარა!.. მალე ჯოგომაც მოგვისწრო. გამოვიყვანეთ ნაპირზე და, რას ხედავს ჩემი თვალები: ფეხები თოკით ჰქონდა გაკოჭილი.

კეირისტინე. დიდუ! ვინ გაკოჭა?

აკილო. ესე იგი, რა ვიცი, აბა... ესე იგი. *(აპექსი ახველებს).*

კალისტრატე. ფეხებით დაჰკიდეთ?

ჯოგო. კასრივით უცებ წამოვცალეთ.

შანგო. ბევრი წყალი უყლაპია, აეროსტატივით იყო გაბერილი.

ქელმა. ტუჩები გახეთქილი აქვს და ჩალურჯებული. სიმწრით თუ დაიჭამა. *(შედის ბარაკში... თხელი საბანი გამოიტანა და აპექსის მოახურა. პირსახოცი გამოართვა და თოკზე გადაფინა.).*

ჯოგო. რა მოხდა? თავს იკლავდი თუ გადაგაგდეს მტკვარში?

აპექსი. *(ახველებს)* რა გინდათ ჩემგან?!

შანგო. თავს იკლავდი? ფეხები რატომ გქონდა გაკოჭილი?

აპექსი. რა გინდათ ჩემგან?! რას მერჩით?! მე მხოლოდ სპექტაკლს ვამზადებდი... ეს იქნებოდა დიდი დღესასწაული... თეატრის ვალია, ხალხს უთხრას სიმართლე და დაუბრუნოს დღესასწაული!.. თეატრში გამყიდეს! პრემიერის წინ მიღალატეს!

ხორენა. ვინ გიღალატა? ცოლმა?

აპექსი. ვინა ხართ? რას მერჩით? სადა ვარ?

ხორენა. სადა ხარ და სანაგვეზე! მადლობა უთხარ, ბედზე მოგისწრეს.

შანგო. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, სასტუმრო „კალიფორნიაში!"

აპექსი. მთელი სიცოცხლე ვოცნებობდი, მოხეტიალე თეატრი შემექმნა, თეატრი ბორბლებზე... რას მერჩით? თუ ღმერთი გწამთ, გამანებეთ თავი!

კეირისტინე. შეშინებულია.

ქელმა. რა ფერი აძევს! ახლა ნუღარაფრის გეშინიათ, ბატონო!

აკილო. ესე იგი, აცალეთ, გონს მოვიდეს! ბოდავს, ესე იგი.

შანგო. (*ჯოგოს*) დებილი ხო არ გადავარჩინეთ?

აპექსი. არ მინდა სიცოცხლე! აღარ მინდა ეგეთი სიცოცხლე! რატომ გადამარჩინეთ, ვინ გთხოვათ?! არ მინდა სიცოცხლე!

ჯოგო. არ უნდა და ძალაა! მოჰკიდეთ ხელი და ისევ მტკვარში გადააგდეთ!

*(შანგომ და ხორენამ იღლიებსა და ფეხებში სწრაფად მოჰკიდეს ხელი და ასწიეს).*

კალისტრატე. რას შვრებით, კაცო, გაგიჟდით?!

კეირისტინე. დიდუ! გაუშვით ხელი!

*(აპექსის ხელი გაუშვეს. კაცები იცინიან).*

ქელმა. ეს რა ხუმრობაა, ჯოგო! შეხედეთ, როგორ კანკალებს. ღუმელთან მობრძანდით, ბატონო!

კეირისტინე. მობრძანდით, ცხელ ჩაის დაგალევინებთ. შეშა შეუკეთე, შანგო!

შანგო. რძეს მიირთმევთ, ბატონო, თუ ჩაი გირჩევნიათ კაკლის მურაბით?

აპექსი. კონხარი მურაბით. ფუჰ, რა საშინელებაა! *(ღუმელთან მივა და მიეფიცხება. შანგო, ჯოგო და ხორენა ერთმანეთს გადახედავენ. შანგო გადის ბარაკების უკან. შემოაქვს შეშა და ღუმელში უკეთებს. სულს უბერავს. ყველანი ღუმელთან მოგროვდებიან. აპექსის ტაბურეტი დაუდგეს - დაჯდა. კალისტრატეც დაჯდა).*

აკილო. მე ტანისამოსს გამოვიცვლი, ესე იგი...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ წყალწაღებულსაც ჩააცვით რამე, ესე იგი.

ქელმა. ახლავე! (*ჯოგოს*) შენ არ გამოიცვლი?

ჯოგო. არა. (*ქელმა შედის ბარაკში*).

აკილო. ესე იგი, სამ წელიწადში ჩვიდმეტი კაცი გადავარჩინე, ესე იგი. მადლობას კი არ ვჩივი, მარა, აქეთ მიყვირიან, სიცოცხლე არ მინდოდა, რატომ გადამარჩინეო! იმის შემდეგ მტკვარში შესული არც ერთი აღარ მინახავს, ესე იგი. (*ვედრო და ანკესი ბარაკში შეიტანა. ბარაკიდან გამოდის ქელმა. მხრებზე ძველი ქურთუკი მოუხურავს, ხელში ფინჯანი, კოვზი და საშაქრე უჭირავს - ჭურჭელს მაგიდაზე დადგამს. ქურთუკს აპექსის მოახურავს*).

აპექსი. გმადლობთ! (*ჯოგოს*) ეს რა დაღი გაქვთ სახეზე?

ქელმა. აფხაზეთში ორჯერ მძიმედ დაიჭრა, ბატონო! ერთმა ტყვიამ ლაწვი შეუნგრია.

აპექსი. ააა, აფხაზეთი! (*შანგოს*) რატომ გაქვთ შავი ტუჩები, მაყვალი ჭამეთ?! შავ-ყვითელი ფერი გაძევთ. ადამიანის სახეზე მთელი ცხოვრებაა აღბეჭდილი. (*ჯოგოს*) არც თქვენი ფერი მომწონს! (*ხორენას*) არც თქვენი. (*ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს*).

ხორენა. წავედი, ოქროსმაძიებლებო! პური არ მიმიტანია. სამი მშიერი ბალღი მელოდება. ცოლი საავადმყოფოში მიწევს.

შანგო. რა მოუვიდა?

ხორენა. მეოთხეზეა ორსულად.

(*ქელმამ აპექსის ჩაი დაუსხა, დაუშაქრა და ფინჯანი მიაწოდა*).

აპექსი. (*ფინჯანი გამოართვა*) გმადლობთ! (*სვამს*).

ჯოგო. ხორენ, ამ ბოლო დროს ცარიელი ბოთლები აღარ ჩანს, რაშია საქმე?

ხორენა. ბოთლებს ბუნკერებში აღარ ყრიან, ჯოგო! ქალაქში აგროვებენ. ბოთლების შეგროვება თუ გინდა, მოსკოვში უნდა წახვიდე, დღეში ხუთი მილიონი ბოთლი არაყი ისმება.

კალისტრატე. ხუთი მილიონი?

კვირისტინე. რაფერ ცეცხლავენ ამდენს?!

ხორენა. ოქროსმაძიებლებო, მაღარიჩი თქვენზეა! ქურთი რო გადაგერჩინათ, მე ვიკისრებდი.

შანგო. ვიკისრებთ და დაგპატიჟებთ. „ტრუხა“ აღარ შემოგვეპარო, თორემ ჩვენი გზები გაიყრება. ამბა!

ხორენა. (*უდანაშაულოს გაოცებით მხრებს იჩეჩავს*) ოქროსმაძიებლებო, წუხელ ვაკეში დიდი ქორწილი იყო. პატარძალი ცოტა შეშინებული და დაბნეული ჩანდა. კარგად მოჩხრიკეთ, ოქროს საყურეს ან დანა-ჩანგალს გამოაყოლებდა.

კალისტრატე. ქურთები ოქროს ვის დაანებებთ?

ხორენა. ცხოვრება წახდა, ბიძაჯან! ორი კბილი ვერ ჩავისვი, ესაა საქმე?! კარგად იყავით! ამბა! (*გადის*).

ჯოგო. შენ იყავი კარგად, ოღონდ მე ნურაფერი ამტკივდება. ამბა!

(*პაუზის შემდეგ ისმის სატვირთო მანქანის ხმა. მანქანა დაიძრა*).

აპექსი. ამბა! მეზღვაურების ჟარგონი. (*ჩაის სვამს*) რა კარგია ზღვა... რა კარგია სიცოცხლე. რა კარგია სითბო, უცებ ადამიანად გაქცევს.

კვირისტინე. იმე! უცებ რა სხვანაირად ალაპარაკდა!

აპექსი. რა კარგია გაზაფხული... მზე, აყვავებული ველ-მინდვრები. რა კარგია, როცა ადამიანებს უყვართ ერთმანეთი.

ჯოგო. ველ-მინდვრები კი არა, ვინა ხარ? რა მოხდა, არ გვეტყვი?!

აპექსი. აპექსი მქვია. თეატრში ვმუშაობ... უფრო სწორად, ვმუშაობდი... ჩვიდმეტი წელი საგრიმიოროში მეძინა.

შანგო. სად გეძინა?

აპექსი. თეატრში ვცხოვრობდი და იქვე, საგრიმიოროში მეძინა, სადაც მსახიობები იხდიან და იცვამენ.

კალისტრატე. უჰ, ეს ჩვენზე უბედური ყოფილა.

აპექსი. დიახ, ჩვიდმეტი წელი პატარა კაიუტაში...

კვირისტინე. (*შეაწყვეტინებს*) ბინა არა გაქვს, ბატონო?!

აპექსი. (*არ უპასუხებს*) თეატრი ზღაპრული სკივრია! სიყვარული - სამოთხის გასაღები! თეატრი გრძნობების ჩანჩქერია! თეატრი გრძნობების ბუჰღალტერიაა: ერთ პინაზე სიყვარული ძევს, მეორეზე - სიძულვილი, ერთზე სიკეთე, მეორეზე - ბოროტება. „წადით თეატრში! მოკვდით თეატრში!“ თეატრი ჯადოსნური ხომალდია, ათასი ჩირაღდნით განათებული ყინულმჭრელი... ვიწექი პატარა კაიუტაში, ოკეანეში მივცურავდი და ყინულს ვჭრიდი ადამიანების გულში. (*ქელმას ფინჯანი მიაწოდა*) გმადლობთ! „გიყვარდეს ხელოვნება შენში და არა შენი თავი ხელოვნებაში!“ (*ქელმამ ფინჯანი მაგიდაზე დადგა*).

კალისტრატე. ერიჰაა!

აპექსი. ჩემი სანუკვარი ოცნება იყო, შემექმნა მოხეტიალე დასი, ჩამომევლო მთელ დუნიაზე და ხალხისთვის მეთქვა სიმართლე. სიცრუე შხამი და ლენცოფაა! სიცრუიდან ქურდობამდე ერთი ნაბიჯია! სიცრუე - ეს უკვე ქურდობაა! ფესვი თუ გაიდგა, ველარ ამოძირკვავ! დიახ! „თეატრი სჯის ყოველგვარ ბიწიერებას, რომელთაც არ ებრძვის სასამართლო და ითმენს“. (*ქელმას ქურთუკი და თხელი საბანი დაუბრუნა*) მადლობელი ვარ! საიქიოდან მომაბრუნეთ. არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა. (*ღიმილით*) ახლა, ალბათ, აღარასოდეს მოვკვდები. ნახვამდის! ნახვამდის, კეთილო ხალხო!

კალისტრატე. კარგად იყავი! (*აპექსი გადის*)

თავს გაუფრთხილდი!.. ვერაფერიც ვერ გაიგე.

კვირისტინე. რა ვერ გაიგე?

კალისტრატე. თავის მოკვლა უნდოდა თუ?..

შანგო. ეტყობა, ვიღაცასთან ჩაიჭრა, გაკოჭეს და მტკვარში გადააგდეს! ისე, ცოტა დარეხვილი ჩანდა! თეატრის ხალხი ყველა დარეხვილია!

ჯოგო. დარეხვილი კი არა, დიდი შებერტყილის ერთია! ვერაფერს გამოაპარებ.

კვირისტინე. იჰ, ნეტავ თქვენს თავს მიხედოთ! ლამის წავიქცე, ჩაი არ დავლიოთ, ქელმა?!

ქელმა. დავლიოთ. (*კალისტრატეს*) წურბელ-ებიც ვასაუზმოთ. (*კვირისტინემ ქოთილი აიღო, ქელმამ თხელი საბანი და ქურთუკი.*) ჩაის არ დალევთ, ბიჭებო?!

ჯოგო. ჩაი არა, ლიმონათი!

*(ქელმა, კვირისტინე და კალისტრატე შე-დიან ბარაკში. შანგომ ქვაბი ღუმელზე შემოდგა).*

შანგო. რა ვჭამოთ, ძმობილო?

ჯოგო. რა ვჭამოთ და ვინ მივქინძოთ, საკითხავი აი, ეს არის!

შანგო. ჩაი დავლიოთ თუ რძე? (*ბოლთას სცემს*) ჩაის კინდღშიც არ ვსვამდი. ჩაის რა დამალევინებს!.. მოდი, ვიმღეროთ. რეპი გინდა?

ჯოგო. რეპი არა ტოროლა!

შანგო. დამიჯერე, მშიერ კუჭს რეპი უხდება! რამდენიც გინდა, იყბედე, ვინ გისმენს?!

ჯოგო. მიდი, შეუბერე!

შანგო. (*ჩაახველა. მღერის და ცეკვავს. რეპის მომღერლებს ბაძავს და მსუბუქად დასცინის*). მოდი, ერთად ვიმღეროთ, ქართული რეპი, გული რად დამიკოდე, სად წახვედი, პეპი?! (*მცირე პაუზა*) პე-პი! პე-პი! პე-პი! პე-პი! (*მცირე პაუზა*) წავიდა! პე-პი! პე-პი! პე-პი! პე-პი! გული რად დამიკოდე... მიდი!

ჯოგო. სად წახვედი, პეპი?! (*მცირე პაუზა*) პე-პი!

ორივე. (*მღერიან და ცეკვავენ*) პე-პი! პე-პი, პე-პი! მოდი, ერთად ვიმღეროთ ქართული რეპი!

შანგო. პე-პი! შენ რა, მარტო პირს აღებ?

ჯოგო. პე-პი!

შანგო. ბი ჰეპი!*

ჯოგო. ბი ჰეპი!

შანგო. ბი ჰეპი!

ჯოგო. ბი ჰეპი!

*(მცირე პაუზა).*

შანგო. მართლა, რა ვჭამოთ, ძმობილო?!

ჯოგო. რა ვჭამოთ და ეროტიკული კერძები. არჩევანი მე.

შანგო. არადანი – მე. (*სივარცეს უკიდებს*).

ჯოგო. მე ძალიან მიყვარს ერბოკვერცხი.

- - - - - -

* ბი ჰეპი – იყავით ბედნიერნი /ინგლ./.

(*კონსერვის კოლოფს ფეხი ამოჰკრა და შანგოს გადაუგდო*).

შანგო. მეც ძალიან მიყვარს ერბოკვერცხი. (*კო-ლოფს ფეხი ამოჰკრა და უკან დაუბრუნა. სანამ შანგო მანავუას მიაწვდიდეს, მანამდე კოლოფს აბურთავებენ და ერთმანეთს პასებს აწვდიან*).

ჯოგო. მე არაყანი.

შანგო. მე არაყანი და ხიზილალა განსაკუთ-რებით.

ჯოგო. მე ხიზილალა, სატაცური, ანანასი, ნიახური და ისპანახი.

შანგო. მე ისპანახი, სტაფილო, თხილი, ნიგოზი და წიწიბურა. (*მავიდიდან ფინჯანი აიღო, მანა-გუა დაუსხა და ჯოვოს მიაწოდა*) დეგუსტაცია!

ჯოგო. მე წიწიბურა, ხახვი, ნიორი და მწვავე წიწაკა. (*დალია და ფინჯანი დაუბრუნა*) ჯიგარი ხარ!

შანგო. მე მწვავე წიწაკა, დარიჩინი, მუსკატის კაკალი და თაფლზე დამზადებული ტკბილეული. (*მანავუა დალია, ფინჯანი მავიდაზე დადგა და სივარეტს მოუკიდა.*)

ჯოგო. მე... მე... გავიჭედე. ჰო, თაფლზე დამზა-დებული ტკბილეული, ახალი ზარდანჩო და ერ-ბოკვერცხი. (*იცინის*).

შანგო. მეც ძალიან მიყვარს ერბოკვერცხი. (*იცინის*).

ჯოგო. სასმელს რას მიირთმევთ?

შანგო. ერთი ჭიქა ლუდი, ორი კოვზი არაყნით.

ჯოგო. აუიეე! მაცივარი გვაქვს! მიდი, გამოიღე ათი კვერცხი. ამბა! (*იცინის*).

შანგო. აუიეე! ჯიგარი ხარ! თავი გაქვს თუ ყულაბა! (*მაცივრის კარი გამოაღო*) ვა, არ არის! ალისამ შეჭამა?! (*მაცივრის კარი მიხურა. ორივე-ნი გათრიაქებულები არიან, უადგილოდ და უმიზეზოდ იცინიან*).

ჯოგო. აუ, რა გამახსენდა!.. ორი კვერცხი მაქვს. ამბა!

შანგო. ორი კვერცხიც მე მაქვს. ამბა! (*იცინის. ამავე დროს აკილოს ლაპარაკს დასცინის*). ორი – ალისას. ესე იგი, გამოვიდა ექვსი, ესე იგი.

ჯოგო. ესე იგი, ნალეველში შევწვათ ექვსკვერც-ხიანი ერბოკვერცხი, ტაფამწვარი, ესე იგი. (*პაუზა*) ე, ალისა ხო დედალია?

შანგო. ალისა მამალია.

ჯოგო. ალისა ჰქვია, ესე იგი, დედალია! ესე იგი, დაგერჩა ოთხი კვერცხი.

შანგო. (*ჩაფიქრდება*) ესე იგი, დედალია?

ჯოგო. (*კანკალებს. მოულოდნელად ვაცოფ-დება. ყვირის.*)

ალისა დედალია! დედალია, შენი!.. მომწყდი თავიდან, შე ნაბიჭვარო! შემეშვი! ამბა!

შანგო. რა მოგივიდა, ჯოგო?! მაინც „ლომკებში" ხარ, ჯიმა?! (*ჯიბიდან ორი საათი ამოიღო*)

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუხელ ორი ზახჩა* შევხსენი. ერთი გამტყვრალი ბიძა „პალერმოდან“ გამოვიდა. მეორე კაზინოდან გამოვარდა ტირილით, თავის მოკვლა უნდოდა. აბა, რაში სჭირდებათ საათები?! დროს თუ გაზომავენ, მალე დაიხოცებიან. გათენდა და დაღამდა. მორჩა! მორჩა სოხუმი და სოჩა!.. გამომართვი!

ᲯᲝᲒᲝ. (*საათებს არ ართმევს. ძლივს სუნთქავს. მუხლებზე დაეშვა. მაჯა შეიხსნა, პერანგის სახელო იდაყვის ზემოთ აიწია და მკლავის სახრეს ნელ-ნელა იზელს. ცივ ოფლს ასხამს.*) აღარც მშია და აღარც მწყურია!.. ტეხავს! მამტვრევს! მამტვრევს! ტეხავს! არც კალიკი-მარგალიკი, არც კოკტეილი... ერთი კუბი თეთრი... (*ღრიალებს*) მამტვრევს!.. ყველაფერი ტრიალებს!.. წადი, შენ გაყიდე! ამბა! (*საცაა უნდა დაეცეს*).

ᲨᲐᲜᲒᲝ. ჯოგო! (*ხელი შეაშველა, წამოაყენა და ბარაკში შეიყვანა.*)

## მეხუთე სურათი

*იმავე დღის საღამო. მაცივარი ბარაკში შეუტანიათ. შემოდის აპექსი, ხელში ფუთა უჭირავს.*

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. მასპინძელო! (*პაუზა*) ბატონო, აკილო! (*პაუზა*) მასპინძელო! (*ბარაკიდან გამოდის ოქროშა*).

ᲝᲥᲠᲝᲨᲐ. ვინ გნებავთ, ბატონო?!

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. აკილო! აკილოს დაუძახეთ, თუ შეიძლება!

ᲝᲥᲠᲝᲨᲐ. სძინავს, ბატონო!

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. სძინავს?

ᲝᲥᲠᲝᲨᲐ. დიახ! უთენია ვდგებით და ადრე ვიძინებთ... ახალგაზრდებმა, ალბათ, გაისეირნეს. რა გნებავთ? ვინ ბრძანდებით, ბატონო?!

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. აკილოსთან საქმე მაქვს, ქალბატონო! მადლობა მინდა გადავუხადო. (*მცირე პაუზა*) დღეს აკილომ გადამარჩინა.

ᲝᲥᲠᲝᲨᲐ. ააა, ვიცი, ვიცი. მიამბეს. თავს იხრჩობდით, ბატონო?! ასე რამ გაგამწარათ? (*აპექსი არ უპასუხებს*) ახლავე გავაღვიძებ! ახლავე! (*შედის ბარაკში. აპექსიმ ჩიბუხი გააჩაღა. პაუზის შემდეგ გამოდის აკილო. თავი ხილაბანდით აქვს შეკრული. მხრებზე თხელი ჯუბა მოუხურავს.*)

ᲐᲙᲘᲚᲝ. მოდი, შე კაცო, რა შორიდან იძახი!

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. მაპატიეთ, აკილო ბატონო, გაგაღვიძეთ! მადლობის სათქმელად მოვედი. დღეს მეორედ დავიბადე. ახლა უფრო ტკბილია სიცოცხლე, როცა ერთი სიკვდილი მოვათავე. (*აკილო ფუთას მისჩერებია*) ეს ჩემი ხელბარგია. სულ ეს არის.

ᲐᲙᲘᲚᲝ. ესე იგი, მარტო მადლობის სათქმელად არ მოსულხარ, ესე იგი!

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. დიახ! მე არსად არა მაქვს წასასვლელი. (*პაუზა*) არც ცოლ-შვილი მყავს. არც ბინა მაქვს. მთელი დღე თქვენზე ვფიქრობდი და გულმა აქეთ გამომიშვა, თქვენთან.. თუ შემიკედლებთ! თუ მოიძებნება პატარა კუთხე, თუნდაც ისეთი, სადაც კატა კუდს ვერ მოიქნევს.

ᲐᲙᲘᲚᲝ. (*გახარებული*) ჩვენთან?! კუთხეც არის და კატაც გვყავს, ცისფერთვალება ალისა, კვირისტინეს შვილობილი, ესე იგი... დაჯექი! (*ძელსკამზე დასხდნენ*) ამ ხუხულებს რომ უყურებ, აშენებული დაგვხვდა. თითო-ოროლა ფიცარი ჩვენც მივუმატეთ. აგერ, იქიდან კაბელი გადმოვჭიმეთ, ბჟუტავს ხანდახან. წინათ აქ აყვავებული ბაღ-ვენახები ყოფილა, ახლა სანაგვეა, მთელი ქალაქის ნაგავს აქ ყრიან... ჰაი, დედასა! დაჟანგებული ნავთქურებივით გადმოგვყარეს აქეთ და სამი წელია ვართ, აგერ... შენი სახელი? აპექსი, არა?

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. დიახ, ბატონო!

ᲐᲙᲘᲚᲝ. ამ ბარაკებში და გარეთ ერთნაირად წვიმს, ჩემო აპექსი. შუაღამისას, თავსხმასა და მერეხში ეზოში გამოვრბივართ, ამ ვერხვს შევეფარებით ხოლმე, ესე იგი. ხოდა, მერე ორი დღე უნდა გაქლენთილი ლოგინების გაშრობას. ბევრჯერ გავასწორეთ სახურავი, მარა, საქმეში ხარ?! ქარი ხდის და მიაფრიალებს, ესე იგი. რაღა დაგიმალო და ვირთხებიც გვყავს და ბაღლინჯოებიც. ჰო, გვყავს. აპექსი, გული მიგრძნობდა, მოხვიდოდი. არ ვიცი, რატომ! ბავშვობიდან ძალიან მიყვარს თეატრი და თევზაობა, ალბათ, იმიტომ, ესე იგი.

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. გიყვარს თეატრი, აკილო?

ᲐᲙᲘᲚᲝ. ძალიან! ჩემს ოთახში საცოდავი ჭურჭულის საწოლი ცარიელია, ხის ტახტია მაგარი. ბოლოს მოჩვენებები დაეწყო, თავისი კერიის დარდით მოკვდა, საწყალი. მეტი მართლა რაღა დაგრჩენია ქვეყანაზე. შარშან დავმარხეთ, ჯერ წლისთავი არ გადაგვიხდია, ესე იგი... წამოდი! (*წამოდგნენ*) ლტოლვილებს თუ თავშესაფარს გვთხოვდი, მაგას კი არ ვიფიქრებდი. მე ღამე ცუდად მძინავს. ესე იგი, წამილებს ფიქრი და გათენებამდე ზღვის ხმაური ჩამესმის, მარა, შენ არ შეგაწუხებ, ესე იგი. ნუ გაგიკვირდება, ჩემო აპექსი! რა ვქნა, ჩვევა მაქვს ასეთი. ბავშვობიდან „ესე იგი“ მაკერია პირზე და ვერ მოვიშალე, ესე იგი.

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. ორ დღეში გადაგაჩვევ, პატარა ვარჯიში დაგვჭირდება. რამდენიმე გაკვეთილს ჩაგიტარებ მეტყველების ოსტატობაში.

- - - - - -

* ზახჩა – საათი /ჟარგ/

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკილო. შე დალოცვილო, ცურვაში ვივარჯიშოთ, არ ჯობია?!

აპექსი. ცურვა კარგი ვიცი. ნაძირალებმა ტომარაში ჩამსვეს, თავი მოუკრეს და მტკვარში გადამაგდეს. ჩემს ბედზე ტომარა რაღაცას წამოედო და გაიხა. ხელებიც შეკრული მქონდა.

აკილო. უყურე შენ! რას ლაპარაკობ, კაცო?!

აპექსი. თოკი კბილებით გადავღრღნე, არაქათი გამომელია. თქვენ რომ არ მოგესწროთ, ვიძირებოდი.

აკილო. ტომარა... გაკოჭილი ხელ-ფეხი. რაღაც ჩახლართული ამბავია, ღმერთმანი! ასეთი რა დააშავე, ვინ გაგწირა სასიკვდილოდ?!

აპექსი. სიმართლის გულისთვის დამსაჯეს. გრძელი ამბავია, მერე გეტყვი. მე ის მაფიქრებს, სხვები თუ დაგთანხმდებიან!

აკილო. აბა, რაა, მაგაზე ნუ გეფიქრება!

აპექსი. თქვენ არ დაგაწვებით კისერზე, ლუკმაპურს მე თვითონ ვიშოვი.

აკილო. აჰ, ეგ რა სათქმელია! აგერ არაა ბაზრობა?! მთელი ქვეყანა ბაზარია, იყიდე-გაყიდე რამე! კი არავინ დაგძრახავს! მასწავლებლები, მხატვრები, არტისტები, ექიმები ყიდვა-გაყიდვაში გაიწაფნენ. ერთი ორჯერ მოგატყუებენ და შენც გაიწაფები. (*პაუზა. აპექსი ჩაფიქრდა.*) რაზე ფიქრობ?

აპექსი. საქართველოზე.

აკილო. რას ფიქრობ?

აპექსი. გახსოვს საქართველოს რუკა?

აკილო. რუკა? როგორ არ მახსოვს.

აპექსი. მისი მოხაზულობა. დღეს დაჩოქილ ცხენს ჰგავს საქართველოს რუკა, ჩიხვინით ღონემიხდილ ცხენს. რუკის თავში აფხაზეთია, მკერდიდან სისხლი სდის. ძალიან მეცოდება ჩვენი ტანჯული ხალხი! განსაკუთრებით კაცები, როგორც ერთმანეთზე თავმიდებული ცხენები წვიმაში.

*(პაუზა. აკილო ცრემლს მალავს.)*

აკილო. შევიდეთ, შინ!.. მარა, ლოგინი!.. კი დაგაფარებ რამეს.

*(მოულოდნელად ბარაკიდან ყვირილით გამოვარდება შანგო. ხელში კატა უჭირავს).*

შანგო. მოგკლა?! როგორ მოგკლა?! მოდოქდავს! (*უცებ აკილო და აპექსი დაინახა და კატა უბეში ჩაისვა. კაცები გვერდით დგანან და შანგოს მოქმედება ვერ შენიშნეს, მხოლოდ ხმა გაიგონეს*).

აკილო. რა მოხდა, ვის ემუქრები?

შანგო. არავის.

აკილო. მაშ, რა გაყვირებს? სტუმართან როგორ იქცევი?

შანგო. სტუმარი ღვთისაა! მობრძანდით, ბატონო! ეს ის არ არის, დილას მტკვრიდან რომ გამოათრიე?

აკილო. ის არის. რა გაღრიალებდა წეღან?

შანგო. კვირისტინემ რძე ამიორთქლა მაციერიდან.

აკილო. ტვინს იშრობ, არა?! ვერა ხედავ, თავი ყოველდღე გიპატარავდება! რა ოხრად გინდა რძე, კატა ხომ არ გიზის მუცელში?!

შანგო. თავი გამანებე, აკილო! ისეთ გუნებაზე ვარ, გადავასხამ ნავთს და გადავბუგავ აქაურობას!

აკილო. ამაღამ ნუ გადაწვავ, შე გაჭირვებულო! ეს კაცი უსახლკაროა და ჩვენთან უნდა იცხოვროს.

შანგო. (*გაკვირვებული*) ჩვენთან?! ყურადღება არ მოაკლო, ჩვენებურად, კოლხური თავაზიანობით გაუმასპინძლდი! (*აპექსის*) შებრძანდით, ბატონო! მე მალე მოვალ. (*აკილო და აპექსი შედიან ბარაკში. შანგომ მარჯვნივ გასვლა დააპირა. შემოდიან ჯოგო და ქელმა – პირისპირ შეეყრებიან. ქელმას ველური ყვავილების თაიგული უჭირავს*).

ქელმა. სად მიხვალ, შანგო?!

შანგო. მალე მოვალ. (*იმანჭება*)

ქელმა. რა მოგივიდა?.. ეგ რა გიზის უბეში?

შანგო. არაფერი. (*მუცელზე ხელები შემოიწყო*) მოვიწამლე, მგონია. გული მერევა. (*მუცელზე ხელი შემოირტყა*) გაჩუმდი, შენი!..

ქელმა. (*იცინის*) კატა გიზის უბეში! (*თავშეუკავებლად იცინის*) კატა გიზის მუცელში!.. სად მიგყავს ალისა?!

შანგო. არსად! (*ჯოგო იცინის*) რა გაცინებს, რა?! რამდენჯერ გავაფრთხილე, მაინც მომპარა. ბოროა, ნამდვილი ბორო! მახინჯი! ქურდი!

ქელმა. შანგო, შენი ჭირიმე! ძალიან გთხოვ, გაუშვი! არ მოკლა, თორემ ალისას დარდს გადაჰყვება კვირისტინე.

ჯოგო. (*იცინის*) ცისფერთვალება ალისა. (*იცინის*) ნარკუშა ხელოვნურ სამოთხეში.

ქელმა. თუ ჩემი ხათრი გაქვს, გაუშვი! გემუდარები, შანგო! გაუშვი, გენაცვალე!

შანგო. (*ბარაკთან მივიდა, კარი გამოაღო და კატა შიგ შეაგდო. შემობრუნდა, სიგარეტს მოუკიდა.*) წავალ, სუფთა ჰაერზე გავივლი. (*ჯოგოს*) მტეხავს... მამტვრევს. ის ქურთი სადღა დაიკარგა? (*გადის*).

ქელმა. ღმერთო ჩემო! რა დღეშია ეს ავადმყოფი?!

ჯოგო. ქელმა!.. ვინ არის ავადმყოფი?! ენას ამოგაძრობ, იცოდე!

ქელმა. რა, ხომ არ უნდა დავმუნჯდე?

ჯოგო. გაჩუმდი! (*ბარაკთან ჩაჯდა, კედელს ზურგით ეყუდება.*) გეყოფა!

ქელმა. როგორ? ლაპარაკის უფლებაც არა მაქვს?

ჯოგო. არა!

ქელმა. რატომ?

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯოგო. (*მშვიდად, აუღელვებლად*) იმიტომ, რომ არ გეკითხება, რას აკეთებს შანგო! სვამს, ეწევა თუ იბხირავს, თვითონ იცის თავისი საქმისა! იმიტომ, რომ ჯოჯოხეთია ეს ცხოვრება, სანაგვეა და უნდა გაექცეს, სანამ მოკლავენ ან თავს მოიკლავს, ან შიმშილით სული არ ამოხდება.

ქელმა. ამიტომ ხელოვნურ სამოთხეს იქმნით, არა?! ტკბობა! განცხრომა! კაიფი! მიდი, მოიკალ თავი! ეგაც შენსავით უბედურების მონაა! როგორ არ გეცოდება ან ის, ან საკუთარი თავი?! ისე ცხოვრობ, თითქოს ყოველდღე სიზმარში იყო!

ჯოგო. (*ირონიით*) წუხელ სიზმარში „ტაჯმაჰალი“ ვნახე, ყველაზე დიდ კაზინოში მილიონი მოვიგე.

ქელმა. ჯოგო, უადგილოა ეგ შენი ირონია! იცოდე, ერთ მშვენიერ დღეს შანგოს ხელებზე ბორკილს დაადებენ. მერე ველარ შეაგროვებს საათების კოლექციას. ვინც „სამოთხის კარი“ შეაღო, ყველა განადგურდა, ერთეულებმა ძლივს დააღწიეს თავი! (*ხმას აიმაღლებს*) კაცისთვის ქალზე უკეთესი ნარკოტიკი რა არის?!

ჯოგო. (*შეფარული ირონიით*) კაცმა შექმნა ქალი უბედურებად თავისად! შეაღო სამოთხის კარი და თავი ველარ დააღწია!

ქელმა. როდის ხუმრობ და როდის არა, ვერ გაიგებს ადამიანი! (*თაიგული მაგიდაზე დადო*).

ჯოგო. ქელმა, არ შეიძლება გამეცალო?! მე მინდა, ცოტა ხნით განვმარტოვდე, დავისვენო.

ქელმა. ნეტავ ვიცოდე, რამ დაგღალა?

ჯოგო. არაფერმა.

ქელმა. ყველაზე მეტად არაფერი ღლის ადამიანს. (*შორიდან ისმის იან გარბარეკის მუსიკალური კომპოზიცია „გაჭეჭყილი კონსერვის კოლოფის ცეკვა“*). ისეთი კარგი საღამოა, სიცოცხლე უნდა მიხაროდეს. (*პაუზა*) აგერ, რესტორანში შენი საყვარელი მუსიკა ჩართეს.

ჯოგო. უბერავენ?

ქელმა. არ გესმის?

ჯოგო. (*მუსიკას ყური მიუგდო*) იცი, რა ჰქვია, მაგ მუსიკას?

ქელმა. ნეტავ საიდან უნდა ვიცოდე?

ჯოგო. მე გავიკითხე და მითხრეს: „კონსერვის კოლოფის ცეკვა“. იან გარბარეკი უკრავს.

ქელმა. რა ჰქვია?

ჯოგო. „კონსერვის კოლოფის ცეკვა.“

ქელმა. კონსერვის კოლოფიც თუ ცეკვავდა, როგორ წარმოვიდგენდი! (*მცირე პაუზა*) ჯოგო, გინდა, რესტორანში წავიდეთ?

ჯოგო. ოჰო! როგორ არ მინდა, ხუთი წელია არ ვყოფილვარ.

ქელმა. სერიოზულად გეუბნები.

ჯოგო. მე რა, არასერიოზულად გეუბნები?

ქელმა. მე შემიძლია ამ საღამოს მდიდრულ რესტორანში დაგპატიჟო. წამო, ერთხელ ჩვენც გავერიოთ ხალხში. დავივიწყოთ ყველაფერი, უზომოდ დავთვრეთ და ვიცეკვოთ. გახსოვს, რესტორანი „ამრა?“ „ქალიშვილო, თქვენთან ცეკვა შეიძლება?“ წამო, ავიწყვიტოთ, როგორც მაშინ. შენ ხომ ძალიან გიყვარდა შამპანურის წვიმა!

ჯოგო. ეგ რა კარგი რამე გაიხსენე! დღეს საიდან ხარ ეგეთი გულუხვი?

ქელმა. რას კითხულობ? შემიძლია, დაგპატიჟო.

ჯოგო. მაინც?! ვინ მოგცა რესტორნის ფული?!

ქელმა. ოქროს ბეჭედი მაქვს გადანახული. ბაჯაღლო! შარშან ზაფხულში ვიპოვე სანაგვეზე.

ჯოგო. შარშან? სანაგვეზე? (*წამოდგა*)

ქელმა. კი, აი ამ სანაგვეზე ვიპოვე.

ჯოგო. აქამდე რატომ არ მითხარი?

ქელმა. არავისთვის არ მითქვამს.

ჯოგო. მე რატომ დამიმალე?! რაღაცას მატყუებ, ქელმა!

ქელმა. გატყუებ?! რას ჰქვია, გატყუებ! შავი დღისთვის ვინახავდი. რა ვიცი, როდის დაგვჭირდებოდა!

ჯოგო. ერთი ვიცოდე, ვისასულელებ?! ახლა დაგჭირდა?! რესტორანში?! თუ შავი დღე გათენდა?! (*მცირე პაუზა*) უსინდისო ხარ, ქელმა! უსინდისო და... ეგ შენი გადამალული სიხარბე ყველაფერს ამჟღავნებს. (*თავისთვის*) არც მე დავფიქრებულვარ არასოდეს, რისთვის მიყვარს ეს ქალი!.. გასაგებია, რატომაც არ გინდა შვილის გაჩენა! ყველაფერი გასაგებია!.. როცა ცოლ-ქმარს არ უყვარს ერთმანეთი, ერთიმეორეს ბევრ რამეს უმალავენ.

ქელმა. მე შენ ძალიან მიყვარხარ! მიყვარხარ და მებრალები. დიდი ხანია ტკივილს ადვილად ვიტან. თუ გადავწყვიტე, რომ ვიყო ბრიყვი, უნდა მოვითმინო კიდეც, ბოლომდე გავუძლო იმიტომ, რომ მებრალები.

ჯოგო. გებრალები?! თუ გებრალები, კარგად შეინახე ეგ შენი ბაჯაღლო! ვინ იცის, როდის დაგჭირდეს, შავი დღისთვის!

ქელმა. ჯოგო, რა მოგივიდა?! დამშვიდდი!

ჯოგო. წადი, უკეთეს ადგილას გადამალე! (*სიგარეტს უკიდებს*) ან ახლა რატომ მითხარი! კუბოში რომ ჩაგეყოლებინა ჩემთვის, სამუდამო ერთგულებას დამიმტკიცებდი.

ქელმა. მაპატიე, ჯოგო! კარგი, დაწყნარდი, ნუ გამიბრაზდები. ძალიან გთხოვ, წავიდეთ რესტორანში! ვიცი, შენც ძალიან გინდა. ეს ერთი ღამე მაინც იყოს ჩვენთვის ლამაზი და დაუვიწყარი. წამო, გადავცუროთ მტკვარი და უცებ...

ჯოგო. (*შეაწყვეტინებს*) აუუ! მტკვარი არა, კელასური! იხვებივით გაზუნზლულები შევიდეთ იქა?! (*ჩაჯდა, კედელს ზურგით ეყუდება*).

ქელმა. საგარეო ტანსაცმელი თან წავიღოთ, იქ გამოვიცვალოთ, ბუჩქებში. ჯოგო, რა იქნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩუქე ერთი ბედნიერი ღამე!

ჯოგო. (*პაუზის შემდეგ*) თავი დამანებე, ქელმა! (*მოუსვენრად იმშუშნება. ცალი ხელით შუბლსა და სახეს ისრესს.*)

ქელმა. წამოდი, შინ შევიდეთ.

ჯოგო. შენ წადი. შემეშვი!

ქელმა. ადექი, ჯოგო, დღეს ძალიან მინდა მოგეფერო.

ჯოგო. არა... ახლა არა... წამალი თუ არ გავიკეთე, ხომ იცი... არ შემიძლია.

ქელმა. ადექი, მიწა გრილია და გაცივდები. (*ისმის ქარის ზუზუნი. ჯოგო ძლივს სუნთქავს*) ღმერთო ჩემო! რა გემართება?

ჯოგო. ისე დამყურებ, როგორც ცხედარს. თითქოს ზემოდან ყვავილებს მაყრიდე... რა ხმაურია, ქარიშხალი ამოვარდა?! (*ციე ოფლს ასხამს, იკრუნჩხება*).

ქელმა. შენი სხეული აგონიაშია. რა ვქნა, რა გიშველო? (*მცირე პაუზა*) სადა გაქვს „ქბუტი?"

ჯოგო. წამალი არა მაქვს... ტეხავს!.. მამტვრევს!.. ყველაფერი ტრიალებს!.. ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა?! (*მიწაზე გაიშხლართა. მარჯვენა ხელი და ფეხი უკანკალებს. ბორგავს*).

ქელმა. (*თავს წამოუწევს*) ჯოგო, გაახილე თვალი! (*ბარაკიდან გამოდის აპექსი*) თქვენ?! (*უპაუზოდ*) მიშველეთ, ცუდად არის.

აპექსი. ნარკოტიკული მოწამვლაა?

ქელმა. პირიქით. შიმშილი... ჯოგო! (*აპექსის*) მომეშველეთ!

აპექსი. ხელოვნური სუნთქვაა საჭირო!.. რაღას უცდი? ხელოვნური სუნთქვა! პირზე ტუჩებით დაეკონე და სული ჩაბერე! (*ქელმა პირზე ტუჩებით დაეკონება, სულს ჩაბერავს. აპექსიმ ცალ მუხლზე ჩაიჩოქა, ჯოგოს პულსს უსინჯავს.*) უფრო ძლიერ!.. ჰო, ასე!.. კიდევ!.. კიდევ!.. (*მკერდზე ყურს დაადებს და გულისცემას უსმენს*)

ქელმა. ცოცხალია?! (*მცირე პაუზა*) კვდება?!

აპექსი. ნეკრობიოზია.

ქელმა. ეგ რაღაა?

აპექსი. მკვდარი სიცოცხლე... ჩაბერე სული!

ქელმა. (*პირზე ტუჩებით დაეკონება და სულს ჩაბერავს. თავს ისევ წამოსწევს.*) მიშველეთ!

აპექსი. ნუ გეშინია! (*ჯოგოს გულის არაპირდაპირ მასაჟს უკეთებს. შემორბის შანბო.*) ნუ გეშინია!

შანბო. ჯიმა! ჯიმა! (ქარის ზუზუნი ძლიერდება).

ფარდა

# მეორე მოქმედება

## პირველი სურათი

*გავიდა ერთი თვე. საღამო ხანია, მზის ჩასვლის დრო. ვერხვსა და ბარაკებს შორის გაბმულ თოკზე ჰკიდია სარეცხი. სკამზე ზის თმაგაწეწილი კვირისტინე და კივის. ოქროშა და ქელმა ამშვიდებენ. ღუმელზე დგას დიდი სარეცხის ქვაბი.*

კვირისტინე. ალისა! ჩემი საყვარელი ალისა!.. რა უნდოდა?! რა დაუშავა?!

ქელმა. კარგი, კვირისტინე დეიდა, დაწყნარდი! დამშვიდდი, შენი ჭირიმე!

კვირისტინე. ვერაგია ეგ, ვერაგი! მკვლელი და მახინჯი!* ალისას გუშინ თათი დაეწვა, თაფლი დავადე და შევუხვიე... როგორ ვუვლიდი, როგორ... მე სოხუმიდან ჩამოვიყვანე და მაგ საზიზღარმა მტკვარში გადააგდო. (*ტირის*) რა მექნა, ვისთვის დამეტოვებინა, თვალწინ ამომიწყვიტეს ქმარშვილი. ერთადერთი ალისაღა შემრჩა, ჩემი ალისა! ღმერთო, ღმერთო, არ გაუთენო თეთრად დილა, ვინც მე ასე გამამწარა.

ოქროშა. კარგი, ქალო! გული ამოგიჯდა, გეყოფა ტირილი! რა პირით წყევლი!

ქელმა. აი, წყალი დალიე. დამშვიდდი! (*ჭიქით წყალი დაალევინა*).

კვირისტინე. დამაცადოს! თუ არ დავაჭერინო ეგ მარჯვენაგასაცივებელი! აი, ნახავთ თუ ციხეში არ ჩავასმევინო ეგ მახინჯი, ეგ ქურდი! რაც აქეთ გადმოვცვივდით, ერთი დღე არ უმუშავია მაგ მუქთახორას!.. ვაიმე, ვაიმე, ალისა! ჩემი საცოდავი ალისა! თქვენი ბრალია, თქვენი! დამცინოდით, ყველანი ჩემს ალისას ემტერებოდით! მეც მალე მოვკვდები, მოგშორდებით და დაისვენებთ... კუბოში ახალი ლაკის ტუფლები ჩამაცვით.

ოქროშა. ისინი ხომ ცოტათი გიჭერს, ადამიანო!

კვირისტინე. ქუსლები გადაუჭერით და ისე ჩამაცვით. გაიხაროს, გაიხაროს ერთი მაგ ჯალათმა! თვითონაა ქურდი და მე რძის ქურდობას მაბრალებდა. რას მერჩის, რატომ გადამემტერა, რატომ?! რამდენჯერ ფული ვასესხე მაგ მატრაბაზს, რამდენჯერ სიგარეტის ფული მივეცი... ვაიმე, ვაიმე...

ქელმა. კარგი, დაწყნარდი, კვირისტინე დეიდა!

კვირისტინე. ერთი კვირის წინ ვერაზე ვიყავი, მალაზიაში, კატების მოყვარულთა კლუბის წევრი გავხდი, ინსტრუქციაც მომცეს და აღარა მყავს ჩემი ალისა! რა ვქნა, გუშინ წნევამ ამიწია და აღარა ვარდება!.. ბოროტი! ბოროტი! მკვლელი! ჯერ იყო და ხაფანგის ყველი შემარქვა, მერე

- - - - -

* მახინჯი - ქურდი /მეგრ./

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრიჯიტ ბარდო, იმასაც ძალიან უყვარს ცხოველ-ებიო. რა მიგავს მე ბრიჯიტ ბარდოს! ვაი, ვაი, მო-ვკვდები, მოვკვდები!.. მეც მოვკვდები და გაიხაროს მაგ გიჟმა, შაილოქმა.

ოქროშა. კარგი, კვირისტინე! ჭუბერის უღელტე-ხილზე ისეთი გოგო ჩავაწვინე მიწაში და თავი ვერ მოვიკალი.

ქელმა. ოქროშა, ძალიან გთხოვ, არ იტირო!

ოქროშა. არა, არ ვიტირებ. ჯერ ჩვენი მტრებით უნდა გავანოყიერო მიწა და იმათ საფლავზე დავ-ღვარო ცრემლი. (*პაუზა*) ნეტავ კალისტრატეს არ-აფერი მოუვიდეს, ძალიან დაბერდა და მოტყდა. ღამე ყვირილით მაღვიძებს, ხშირად სოხუმის და-ბომბვა ესიზმრება. მერე აიკვიატებს, ქუსლი მექა-ვებაო. გაწამებულია საწყალი. ძალიან მეშინია.

ქელმა. მოკვეთილ ფეხზე გეუბნება?

ოქროშა. ჰო, ძალიან იტანჯება. ჰგონია, რომ ქუსლი ექავება. (*უპაუზოდ*) კვირისტინე, ამას წინებზე ხომ მითხარი, ლაკის ფეხსაცმელები გავყიდეო.

კვირისტინე. მე გითხარი?

ოქროშა. მაშ ვინ?! რა გავიგო, რომელია მართალი?

კვირისტინე. გითხარი და გავყიდე კიდეც! შენ თუ ტრაკის ოპერაციისთვის აგროვებ, მე ბინა უნდა ვიყიდო. როდემდე ვეყაროთ ამ ბარაკებში?!. ის ტუფლები მიჭერდა, რა თავში ვიხლიდი!

ოქროშა. რა ვიცი, კუბოში ჩამაცვითო, ქუსლები გადაუჭერითო.

კვირისტინე. ერთი უყურე ამას! შენ რა, ჩემი სიკვდილი გინდა?! ვერ მოესწრებით, ვერა! კი არ მომძულებია სიცოცხლე! ჯერ ჩემს კერაზე ცეცხლი უნდა დავანთო, ჩემი მკვლრების საფლავზე მივიდე და დაველაპარაკო!.. რა იყო, რა გამოშტერებული მიყურებ?!

ოქროშა. გამოშტერებული შენ უფრო ხარ, კვირისტინე!

კვირისტინე. მე უფროსი ვარ,მარა, შეიძლება, ჩემზე უწინ...

ოქროშა. (*შეაწყვეტინებს*) კარგი, ადამიანო! შანგოს ჯავრი ჩემზე არ იყარო! მე შენმა ლაპარ-აკმა გამაკვირვა.

კვირისტინე. რა არის საკვირველი?! ჩემ საქონ-ელს მინდა გავყიდი, მინდა - გავაჩუქებ. რაც შენ ფეხსაცმელების ქუსლები დაგმტვრევია, მე როდის დაგითვალე.

ოქროშა. ისევ შენებურად გააჭენე?! (*ქელმას*) რატომ დამცინის, განა ისეთი მსუქანი ვარ?! (*კვირი-სტინეს*) იცი, რას გეტყვი? შენ...

ქელმა. (*შეაწყვეტინებს*) კარგი, არ იჩხუბოთ! ძალიან გთხოვთ, არ იჩხუბოთ!.. ვაი! (*ხელზე დაიხედა*) ტოროს-მოტოროს ზაია.

ოქროშა. რა თქვი, გოგო?

ქელმა. (*ხელს დაჰყურებს*) ჭიამაიას რა ჰქვია ჩვენებურად? (*ოქროშა მხრებს იჩეჩავს*)

კვირისტინე. ტოროს-მოტოროს ზაია. გგონია, დამავიწყდა?

ქელმა. გაფრინდა. (*მცირე პაუზა*) უი, ფეხსაცმელებზე გამახსენდა. რომ იცოდეთ, სამი დღის წინ რა ენახე „აფრიკაში?"

ოქროშა. რა ნახე?

ქელმა. (*იცინის*) წარწერა.

ოქროშა. რა წარწერა?

ქელმა. (*იცინის, თავი ვერ შეუკავებია.*) კაცს მუყაოს ნაგლეჯი ედო გვერდით... (*იცინის*) ზედ მსხვილი ასოებით... (*იცინის*)

კვირისტინე. თქვი, რა ეწერა, გოგო?

ქელმა. „იყიდება..." (*იცინის*)

ოქროშა. ჰა, რა იყიდება?

ქელმა. „იყიდება ნახმარი ქალის ფეხსაცმელები". (*იცინის*).

კვირისტინე. დიდუ! (*იცინის*).

ოქროშა. (*გვიან მიხვდა. პირი დააღო*) უი! (*იცინის*).

ქელმა. ჰო, ასე ეწერა. (*იცინის*).

ოქროშა. რას არ გაიგონებს ადამიანის ყური. (*იცინის*).

კვირისტინე. გაუქრეს თავი! ქართული არ ცოდნია მაგის დამწერს. (*იცინის*).

ოქროშა. ლტოლვილი ხომ არ იყო ის კაცი?

ქელმა. არა მგონია.

კვირისტინე. რას არ ნახავს ადამიანის თვალი ბაზარში? ზოგი სიცილით კვდება, ზოგი - შიმშილით. (*მცირე პაუზა*) ამ ცუდ გუნებაზე რამდენი მაცინე... კიდევ ხომ არაფერი მეწყინება, იესო მაცხოვარო! შენ დაგვიფარე, მამაზეციერო! შენ გაგვითენე მშვიდობის დილა! რეგვენს გონება გაუნათე, გაჭირვებულს შეება მოჰგვარე. ბოროტი და ავგუ-ლი ამოძირკვე, ვისაც ჩვენი ფესვის გახმობა სწადია. (*წასვლა დააპირა. ქელმა ცუდად გრძნობს თავს, ჰაერი არ ჰყოფნის. კვირისტინე შემობრუნდა.*)

ოქროშა. რა მოგივიდა? ცუდად ხომ არა ხარ?

ქელმა. არა. (*თავს ძალა დაატანა, ძალ-ღონე მოიკრიბა.*) ცუდად - არა.

ოქროშა. მერამდენე თვეში ხარ?

ქელმა. სამი შემისრულდა.

კვირისტინე. რას აპირებ? (*მცირე პაუზა*) მაგ ნარკომანისგან შვილი უნდა იყოლიო?! მე შენს ადგილზე არ გავაჩენდი!

ოქროშა. როგორ სისინებს! რაღა დროს შენი შვილის გაჩენაა! ზოგჯერ ისეთ რამეს იტყვი ხოლმე, ძარღვებში სისხლი გაეყინება ადამიანს.

კვირისტინე. რა გაღრიალებს?! მე ვიცი, რომ ქელმა ღამღამობით ტირის. როცა ის გათირაქე-ბული გდია, ეს თვალებს ითხრის ტირილით.

ოქროშა. კვირისტინე, როგორც ყველაფრის

პირში ჩაშვება არ შეიძლება, ისე ამოშვება!

კვირისტინე. შენ ჭკუას ნუ მასწავლი!.. ჰო, ჰო, მითქვამს მე!

ქელმა. (*ხმამაღალი ჩურჩულით*) კარგი, გაჩუმდით! კაცები მოდიან.

*(მარჯვნიდან შემოდიან აკილო, აპექსი და კალისტრატე. აკილოს ვედრო და გრძელი ბამბუკის ჯოხი უჭირავს. აპექსი ჩიბუხს ეწევა. კალისტრატე ყავარჯენზეა დაყრდნობილი).*

კალისტრატე. რა ქენი, ყვავილების გვირგვინი ჩაუშვი მტკვარში?

ოქროშა. დაანებე თავი! ძლივს დავამშვიდეთ. შენ რომ დამხრჩვალიყავი, ყვავილებს მაშინ გადმოვყრიდით წყალში.

კალისტრატე. ვისაა რომ ეუბნები მაგას, მაგალითად!

ოქროშა. ვის და შენ!

კალისტრატე. შენ თუ არ გამასწარი!

ოქროშა. ენახოთ, ვინ გაასწრებს! ღმერთის დიდი თვალები აქვს, მაღლიდან ყველაფერს ხედავს და ესმის.

კალისტრატე. თუ ესმის, ჩემი სურვილიც ხომ უნდა გაითვალისწინოს. ის მირჩევნია, მე დაგიქვრივდე, ვიდრე შენ ჩემზე შავი ჩაიცვა.

აკილო. კარგი, გეყოფათ!.. ბოლოს და ბოლოს, რა გაარკვიეთ?!. მაშასადამე, ამ კაცს რა პასუხს აძლევთ, მაშასადამე?!

ქელმა. რა თქმა უნდა, ყველა თანახმაა.

კვირისტინე. ყველას მაგიერ შენ ლაპარაკობ, გოგო?! ხომ არ გადაირიეთ?! ცირკი და თეატრიღა აკლია ჩვენს გაუბედურებულ ცხოვრებას! სცენაზე ბავშვობაშიც არ მითქვამს ლექსი.

კალისტრატე. შენ ოდესმე ბავშვი იყავი, კვირისტე?

კვირისტინე. ღმერთი გიშველის, ენა დაადუმე, კალისტე! თორემ მეც ვიცი მკვახე-მკვახეები! ქვრივი რომ ვარ, თავს კი არავის დავაჩაგვრინებ?! ერთი კატა მყავდა და ისიც არ შემარჩინეთ! თქვენი გათავხედებულია ის ბიჭი!.. ორივე! ორივე უფსკრულის პირას დგას, თქვენ არხეინად უყურებთ და ხელს აფარებთ!.. აბა, რა გელაპარაკოთ?! ტუტუცები ხართ და ეს კაცი უარესად გატუტუცებთ!.. მიდი, ითამაშეთ, ოქროშა! მაინც არტისტები ხართ ყველანი! (*შედის ბარაკში. ქელმა თოკზე გადაფენილ სარეცხს მიუტრიალდება, სწრაფად ჩამოხსნის და შინ შეაქვს. პაუზის შემდეგ ისევ გამოჩნდება, გადის ბარაკების უკან.*)

კალისტრატე. (*აკილოს*) ეს ახლა მგლოვიარეა, ხვალ ელაპარაკე.

აკილო. კარგი, კაცო! ხუმრობას მოუკვდა პატრონი!.. რა გადაწყვიტე, ოქროშა?!

ოქროშა. აბა, რა ვიცი... ბატონო აპექსი... ოპერაცია თუ არ გავიკეთე...

კალისტრატე. იყოს, რას გიშლის?! სადა გვაქვს საოპერაციო ფული?!

ოქროშა. (*ყოყმანობს*) არა, არა!.. ყველას სასაცილო გავხდები. მერვე კლასიდან დამცინიან, ბატონო აპექსი, განა რა ისეთი მსუქანი ვარ!

აკილო. ამ სიბერეში მოგინდა ხორცის დაყრა?! კალისტე! აკი მითხარი... კაცი სასიკვდილოდ გაიმეტეს და, მაშასადამე, თქვენ...

კალისტრატე. შე მამაცხონებულო, იმოდენა ხალხში თუ არ მოგერიდა, ახლა რა ღმერთი გიწყრება?! ოპერაციას დიდი დრო და ფული სჭირდება.

აპექსი. (*აქამდე ყველას აკვირდებოდა, ფიქრობდა, სწავლობდა მათ და უსიტყვოდაც მონაწილეობდა დიალოგში.*) ქალბატონი ოქროშა! მაგ ნაკლის დაფარვა თეატრს ადვილად შეუძლია.

ოქროშა. (*გახარებული*) მართლა? (*მცირე პაუზა*) არა, არა... არ ვიცი, ბატონო აპექსი!.. არტისტობას, შვიდი დამე ზედიზედ გავათიო ბაზარში, ის მირჩევნია.

კალისტრატე. ოქროშა! (*აპექსს*) თანახმაა, თანახმა!.. (*ოქროშას*) მე შენ გაჩვენებ ოპერაციას! წავიდეთ ახლა, წურბელები მომკიდე!.. ითამაშებს, აპექსი ბატონო, ითამაშებს. (*შედიან ბარაკში. ქელმას შემოაქვს შეშა და უკეთებს ღუმელში*).

აკილო. (*აპექსს*) ყველას დავითანხმებ, ნუ გეფიქრება! არა, ქელმა?

ქელმა. დიახ, რა თქმა უნდა!

აპექსი. ამ ბოლო დროს ძალიან მოწყენილი ხარ. მოწყენილი კი არა, სასოწარკვეთილი მეჩვენები!.. მხნედ! ყოჩაღად! საკუთარ თავს ვერსად დაემალები, ქელმა! ცხოვრება თეატრია! თეატრი – ბრძოლაა! (*აკილო და აპექსი შედიან ბარაკში. ქელმამ ღუმელთან დაიჩოქა, ცეცხლს სულს უბერავს. წამოდგა და თვალი მოისრისა. თვალებში ცრემლი უბრწყინავს. პაუზის შემდეგ სარეცხის ქვაბში ჯოხი ამოუჩია და თეთრეული ამოატრიალა. ისევ დაიჩოქა... განათება იცვლება. სცენა თანდათან იძირება საღამოს ბინდბუნდში. მთვარე ამოვიდა და მიდამოს მკრთალი შუქი მოჰფინა.*)

## მეორე სურათი

*მარცხნიდან შემოდის ჯოჯო. ეტყობა, გათრიაქებულია. ხშირად უმიზეზოდ და უადგილოდ იცინის.*

ჯოჯო. ქელმა! (*ქელმა შეკრთა. წამოდგა.*)

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამ შეგაშინა?

ქელმა. სად არის შანგო?

ჯოგო. არ ვიცი.

ქელმა. რა უსინდისო ბიჭია! როგორ ვთხოვდი, ვემუდარებოდი. კვირისტინეს კატა მტკვარში გადაუგდია.

ჯოგო. მართლა? (*იცინის*) ნარკუშა ალისამ ჩაყვინთა? (*იცინის*) აუჰ, ეს რა მომხდარა!.. რძე... შედედებული მაწონი... (*მცირე პაუზა*) ექიმთან იყავი?

ქელმა. ჯერ არა!

ჯოგო. რაღას უცდი?! ვის უცდი?.. წადი, დღეს... ხვალვე წადი და მოიშორე! (*იცინის*) საით იყურები, მე შემომხედე! (*ქელმა შეხედავს*) გინდა, ფული მოგცე? რა ღირს თბილისში აბორტი? ან ბავშვის გაშვილება? თირკმელი რა ღირს? (*პაუზა*) არ იცი... მე დღეს... არაფერი არ იცი... გული? ადამიანის გული რა ღირს, ქელმა?.. მოდი, თირკმელს გავყიდი.

ქელმა. წამოდი, დაისვენე! ფეხზე ძლივს დგახარ. წამო, შენ შემოგევლე, ხვალ ვილაპარაკოთ.

ჯოგო. ხვალ... ამბა! იგივე... შენ ახლა... ხვალ იგივეს გეტყვი. ქელმა, ჩემი სისხლი და ხორცი, შენ რომ მკერდქვეშ დაატარებ... ქელმა, ქელმა, მომისმინე!.. იმ დღეს მართალი მითხარი. ამ სანაგვეზე ახალი სიცოცხლე... (*იცინის*) ო, კლოაკა! ჩემი შვილი შენს მკერდქვეშ... აზრზე ხარ, ქელმა!

ქელმა. წამოდი, ჯოგო, დაწექი! დამიჯერე, გენაცვალე, წამო, დაიძინე!

ჯოგო. ჰმ! დავიძინო?.. ვიძინებ. აი, უკვე მძინავს... ქელმა, ცხოვრებაში ორი გზა... აირჩიე, ქელმა! ცხოვრება თვითონ აგარჩევინებს. ან უნდა იყიდო, ან მიეყიდო ვინმეს. ყიდვა, გაყიდვა, რამე... ოო, რომ იცოდე, რა ტკბილია ადამიანებით გართობა... (*იცინის*) ერთობიან, ჰა-ჰა-ჰა!.. ბავშვობა, ინსტიტუტი, ომი... ბარაკები. სასტუმრო „კალიფორნია“, მობრძანდით, შანგოა მეპატრონე, ახლავე, ახლავე, სუფთა თეთრეული, ახლავე, მობრძანდით, მიბრძანდით, ფეხსაცმელები, საათები...

ქელმა. ჯოგო, გენაცვალე, ნუთუ არ დაიღალე?! წამოდი!

ჯოგო. მორჩა! მე ცხოვრებიდან ამოგდებული ვარ! ყოველი დღე... ერთი... ქელმა, ქელმა, მომისმინე! მე ჩემი გული მიჭირავს ხელში. ყოველი დღე, ყოველი საათი ჩემთვის ღმერთის საჩუქარია. ვიცი, ვიცი... ჩვენი გზები იყრება. მე წავალ... შორს... შენ დარჩი... (*იცინის*) ქელმა, საჭიროა ბევრი ფული... გესმის, ფული... თუ გინდა... თუ არ გინდა, მკბენარი და ტილი... წამალი... რამე...

ქელმა. ჯოგო, მომისმინე! მე შენ...

ჯოგო. (*შეაწყვეტინებს*) ვიცი, ვიცი... ძალიან... (*იცინის*) ჰმ!.. რომელ სიყვარულზე ლაპარაკობ! ოქროს ბეჭედიც იმიტომ გაყიდე... (*ამოიოხრებს*) ოჰ!.. ოცდაათი წელი ვიცხოვრე და მხოლოდ სიბრალული... მხოლოდ სიბრალული დავიმსახურე... ჰმ! სიყვარულის ქვეყანა... მე შენ არ მიყვარხარ, ქელმა! აქამდეც თურმე თავს ვიტყუებდი. (*მკლავში ხელი მოჰკიდა*) წადი, მაყუთი იშოვე... გესმის,



*ესკიზი დეკორაციისათვის. მხატვარი კარლო ფაჩულია*

ეროვნული ბიბლიოთეკა


ფული!

ქელმა. მე ვიშოვო?

ჯოგო. შენ... შენ...

ქელმა. გამიშვი, მკლავი მეტკინა! (*ხელი გააშვებინა*) მე სად ვიშოვო? როგორ? რა გზით?

ჯოგო. რა გზითაც გინდა! (*იცინის*)

ქელმა. თუ გესმის, რას ლაპარაკობ! დილიდან საღამომდე ბაზარში ვდგავარ ლუკმაპურისთვის, ეს არ არის საკმარისი?!

ჯოგო. (*იცინის*) ეგ რა ფულია! კაპიკები... თეთრები, შავები. სანამ ახალგაზრდა ხარ, ლამაზი... ქელმა, არც ერთი კაცი შენ... ბაზარში რატომ დგახარ?! ხო აზრზე ხარ! მუშტარი ბევრი გეყოლება. (*მაგიდაზე გადაწვა*).

ქელმა. ღმერთო, ჩემო! ჯოგო!.. ხომ არ შეიშალე?! მუდამ აფორიაქებული ხარ, მშვიდი ცხოვრება არ შეგიძლია! შენ თუ თავგადასავლები გწყურია, მე რა დავაშავე?!

ჯოგო. არაფერი... გასაყიდი აღარაფერი დარჩა... წადი, გაყიდე შენი თავი... ფული მოიტანე!.. ქელმა!..

ქელმა. (*ტირის*) ძალიან ვიტანჯები, ჯოგო! აფხაზეთის ომი ჩემთვის ჯერ არ დამთავრებულა. ომი ვერ გამოვიდა შენი სხეულიდან. დაიღუპები, ჯოგო! შენ გინდა, მკვლელად მაქციო. ღმერთო, მაკმარე ეს ტანჯვა, მეტ უბედურებას ნუღარ გადამყრი, ღმერთო! (*ტირის*) რა დაგიშავე, ჯოგო! ადექი!.. ადექი, აქ გაცივდები... ნუთუ ეს იყო ჩემი ბედი! კატის ბედი როგორ უნდა შემშურდეს! (*ქვაბს მიუბრუნდა და ისევ ამოატრიალა სარეცხი. შედის ბარაკში. გამოაქვს ძველი პალტო და ჯოგოს დააფარებს. მარცხენა კულისიდან ისმის სატვირთო მანქანის ხმა. მანქანა გაჩერდა. ქელმამ ცრემლები მოიწმინდა. შემოდის ხორენა*).

ხორენა. გამარჯობა, ქელმა!

ქელმა. გაგიმარჯოს!

ხორენა. შენისთანა ლამაზ ქალს სიცილი უფრო უხდება. რა გაგჭირვებია?

ქელმა. არა, არაფერია! დილას ნაგავი ცხვირწინ დაგვიყარე, ცოტა მოშორებით ვერ ჩამოცალე?! (*ხორენა დუმს*) ამ საღამოს რამ მოგიყვანა?

ხორენა. შანგოს დაუძახე, ძალიან მჭირდება.

ქელმა. შანგო შინ არ არის.

ხორენა. განჯაში ხომ არ წავიდა? არაფერი დაუბარებია?

ქელმა. არაფერი! ძაღლივით მთელ ქალაქს უვლის, იმის გზას რას გაიგებ!

ხორენა. (*ღიმილით*) ეს მაგრად „ზის?"

ქელმა. სძინავს.

ხორენა. მ-მ-მ, სძინავს კი არა, „მოგზაურობს!" (*მიუახლოვდება, სახეზე დახედავს*). ვაა, ეტყობა, მაგარ კაიფშია. ღრუბლებში დაფრინავს.

ქელმა. კარგია ღრუბლებში ფრენა?

ხორენა. ძალიან.

ქელმა. არ შეიძლება მეც ვიფრინო?

ხორენა. ამინდი ხელს გიწყობს. კარგი საღამოა გაფრენისათვის... რა გატირებდა?

ქელმა. (*მხრებზე ხელებს შემოაწყობს*) ხორენ, სად შეიძლება ლამაზმა ქალმა ფული გააკეთოს?

ხორენა. (*შეცბუნებული სწრაფად იშორებს მის ხელებს*) ლამაზმა ქალმა?

ქელმა. (*უღიმის, ატყუებს.*) ჰო. (*კვლავ შემოაწყობს ხელებს*)

ხორენა. ვინ? შენ?

ქელმა. მე. სად შეიძლება ზურგზე წოლით ქალმა ფული გააკეთოს?

ხორენა. (*ჯოგოზე ანიშნებს*) მოგკლავს! თევზივით გამოგშიგნავს! (*თავიდან იშორებს*)

ქელმა. ეგ ვერ გაიგებს. ნუ გეშინია! (*მაცთურად უღიმის*)

ხორენა. ყველგან შეიძლება მაყუთის გაკეთება. „ღამის პეპლები" ვაგზალზე, რესტორნებში, დისკოტეკებზე დაფრინავენ, „კობრები" ცირკთან და „ქალაქურთან" იკრიბებიან. ძაღლებს უნდა შეეკრა, თორემ ბასტა! ჩავარდები!

ქელმა. მერე! რამდენს უხდიან?

ხორენა. ვაა, ქალს გააჩნია.

ქელმა. მაინც?

ხორენა. (*პაუზის შემდეგ*) შენ რამდენი გინდა?

ქელმა. მანქანით ხარ, არა? (*სარეცხის ქვაბს თავი დაახურა*).

ხორენა. ეგ თუ მანქანაა! დღეში სამჯერ მიფუჭდება. ახალ მანქანაში როგორი ბიჭი ვიქნები?

ქელმა. გადასარევი!.. რა ლამაზი თმა გაქვს, ხუჭუჭა. ყოველთვის სუფთად გაპარსული კისერი. აბა, შეტრიალდი! (*ხორენა ზურგით შებრუნდება*) ვიწრო წელი... მკვრივი, მამაკაცური თეძოები. (*შემობრუნა*) მოკლედ, ძალიან სექსუალური ხარ! ნაგვის მანქანაში არასოდეს ვმჯდარვარ, მაგრამ... ასი ბაქსი. ასი დოლარი მომეცი და წამოვალ.

ხორენა. ასი ბაქსი? ვაა! (*პაუზა*) ორმოცდაათი.

ქელმა. ასი!

ხორენა. არა, ძვირია! (*პაუზა*) ჯოგოს ვერ ვუღალატებ, ძმაკაცია!.. ასი დოლარი შენ არ მოგცე, შვილებს საჭმელი მივუტანო?! ჩემი ცოლი შენზე ნაკლები კი არ არის: ნახშირივით თვალები, გადაბმული წარბები, ლოყაზე ხალი აქვს და შენზე ეშხიანია.

ქელმა. კარგად დაფიქრდი, ხორენ!

(*პაუზა*)

ხორენა. ვაა!.. თუ გინდა, ორმოცდაათი. ამბა!

ქელმა. ხორენ, ერთ რამეს გკითხავ და მართალი მითხარი: წამალი თუ არ გაიკეთე, ცოლთან დაწოლა არ შეგიძლია?

ხორენა. ეე, აზრზე მოდი, რას ლაპარაკობ, ქალო! ოცდასამი წლისა ვარ, ერთ დაზგაზე ოთხი

ეროვნული ბიბლიოთეკა



შვილი გამიკეთებია. მე არ ვიჩხირავ... ვქეშავ! გიჟი ვარ, მორფი გავიკეთო! წამო, ორმოცდაათ დოლარს დაგიადებ.

ქელმა. (*მცირე პაუზის შემდეგ*) კარგი, წადი!

ხორენა. წავიდე?

ქელმა. წადი!

ხორენა. ახლა შენ დაფიქრდი კარგა, ქელმა!

ქელმა. მომშორდი!

ხორენა. ფონიჭალაში კარგი ბაითია. მთელი დღე ბაზარში რამდენს აკეთებ?!

ქელმა. ოო, უბადრუკო, კაცუნა! გაეთრიე აქედან, შე ნაძირალა! ერთ კუბოში ჩაგდეთ ყველანი! (*აგირებული ბარაკში შერბის*)

ხორენა. ვაა, რამ გააცოფა? თვითონ მჩანგლავდა... გიჟია?! (*გაიძურწება. მარცხენა კულისიდან ისმის სატვირთო მანქანის ხმა. პაუზის შემდეგ ეს ხმა უცხოური, მსუბუქი მანქანის სიგნალით იცვლება, რითაც მომდევნო ეპიზოდი - „ჯოგოს სიზმარი“ - იწყება.*

*სცენაზე თხელი, გამჭვირვალე, ნაცრისფერი ბურუსი ჩამოწვა. შემოდის ალფესი. იგი ოცდათორმეტი წლისაა, მთლად ჭაღარა. რესპექტაბელური გარეგნობა და მანერული ჟესტიკულაცია აქვს. აცვია ძალიან ძვირფასი და გემოვნებიანი ტანსაცმელი. ალფესის შემოსვლისთანავე ჯოგო ადგება*).

ჯოგო. ოჰ, მაიმუნ, შენა?! როგორ გაჭალარავებულხარ?

ალფესი. მე ალფესი ვარ!

ჯოგო. შენ მაიმუნი ხარ, თეთრი მაიმუნი. ველარც კი გიცნობს კაცი, როგორ გამოცვლილხარ?! ის თეთრი მერსედესი შენია? (*ალფესი თავმომწონედ იღიმება*). სიზმარია თუ ცხადი?

ალფესი. ცხადია, ჯოგო, ცხადი! რასაც ხედავ, ყველაფერი ცხადია.

ჯოგო. რას მოესწარ! აშენებულხარ, ძმაო! ის დრო წავიდა, ჩვენთან ერთად ნაგავს რომ ქექავდი.

ალფესი. (*შეურაცხყოფილი*) მე?

ჯოგო. აღარ გახსოვს?

ალფესი. რა უნდა მახსოვდეს?! შენ სიცხე ხომ არა გაქვს?!

ჯოგო. ჩემს გვერდით ოთახში იწექი, აკილოსა და ჭურჭულისთან ერთად. ბიძაშენი მოკვდა, საწყალი. მადლი მოუვიდა. ვეღარ გაუძლო მოლოდინს და ჭკუაზე შეირყა. სიკვდილის წინ სულ შენ გკითხულობდა.

ალფესი. (*პაუზის შემდეგ*) სხვები სად არიან? ქელმა როგორ არის?

ჯოგო. არ ვიცი. ყველანი წავიდნენ, მე მარტო დავრჩი.

ალფესი. სად წავიდნენ?

ჯოგო. დაიხოცნენ. სამშობლოს სევდა ჩაიტანეს საფლავში. მაიმუნ, რას ვიფიქრებდი თუ ოდესმე შეგხვდებოდი! ორი წელია არ მინახიხარ, შე ძველო! მაიმუნ!

ალფესი. ხმა! წვირიანო! მე ალფესი ვარ!

ჯოგო. შენ ჩემთვის ისევ ის თეთრი მაიმუნი ხარ!

ალფესი. ენა ჩაიგდე, შე მათხოვარო! რას დამსგავსებიხარ?! ძვალი და ტყავი, კაცი ხარ თუ მოჩვენება?!

ჯოგო. ცხოვრება გაძვირდა. გიჟს ვგავარ, ალფეს! სიცოცხლე მომბეზრდა! შენ აქ ხელცარიელი არ მოხვიდოდი. გამიკეთე, ალფეს!

ალფესი. მორჩა! ყველაფერს შევეშვი, სხვა ცხოვრება დავიწყე.

ჯოგო. ჩემს ცოდვაში ნუ ჩადგები, ერთი თეთრი გამიკეთე!

ალფესი. გამტვრევს? (*ჯოგო დუმს*) გახსოვს, პირველი ნემსი რომ გაგიკეთე, რა მითხარი?

ჯოგო. არა, არ მახსოვს. (*ბარაკის კედელთან ჩაჯდა*).

ალფესი. „ისეთი ტკბილია სიცოცხლე, თითქოს სიკვდილში მიდიხარ“. ტამიშთან მძიმედ იყავი დაჭრილი, სისხლად იცლებოდი და მე გადაგარჩინე.

ჯოგო. შენ ყოველთვის იღბალი გქონდა. მაიმუნივით გონიერი და მოხერხებული ხეებზე დახტოდი, ტყვია არ გეკარებოდა. ამიტომაც შეგარქვეს მაიმუნი.

ალფესი. არა, ჯოგო! ყველა დამწყებ ნარკომანს მაიმუნი* ჰქვია! ის დრო წავიდა. ჩემი დრო ახლა დადგა.

(*შორიდან ისმის ნაცნობი, ნაღვლიანი მელოდია. საქსოფონის სოლო თანდათან მაღალ რეგისტრში ადის.*)

ჯოგო. შენ ყოველთვის მაღლა-მაღლა გიყვარდა ასვლა. მე დაბლა დავრჩი. (*მუხლებზე წამოიწია, დაჩოქილი ეხვეწება.*) ახლაც გადამარჩინე, სიკვდილის ოფლს მასხამს. სისხლი ძალღივით იკბინება, მტეხავს, მამტვრევს. (*ყვირის*) გამიკეთე, ალფეს! ერთი თეთრი გამიკეთე! (*პაუზა. მუსიკას ყური მიუგდო. ქანცმილეული დუნედ აგრძელებს მონოლოგს.*) სიცოცხლე მომბეზრდა. კოშმარი არ მაძინებს. ხშირად მესიზმრება სოხუმის დაბომბვა... ზღვას ცეცხლი ეკიდა. თხუთმეტი მარტის ღამეს რუსების „შავმა ყორნებმა“ დაბომბეს ქალაქი. ზღვიდან, გუმისთის მხრიდან და შრომა-კამანიდან ერთდროულად შემოგვიტიეს. მთაზე რუსი პოლკოვნიკი იდგა. სოხუმი წითელი ვარდივით გადაიშალაო, იცინოდა. მუდამ თვალწინ მიდგას მისი სიცილი... გაგრის სტადიონზე ვნახე: ქართველი ჭაბუკის მოკვეთილი თავით ფეხბურთს თამაშობდნენ, აქეთ-იქით აგორავებდნენ კონსერვის კოლოფივით და ქუხდა მთელი სტადიონი: არძინბა! არძინბა!..

\- - - - - -

* მაიმუნი - დამწყები ნარკომანი /არაბული ენიდან შემოსული ჟარგონი/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც კოლოფი ვარ, ალფეს, ცარიელი, ფეხით ნათრევი, გათელილი. აფხაზეთიც ცარიელი კოლოფია! ვეშაპებმა მუსრი გაავლეს, გამოხრეს, შეჭამეს, გადააგდეს და ახლა აქეთ-იქიდან ფეხებს ურტყამენ. (*მცირე პაუზა. მკლავს გაიშიშვლებს.*) ალფეს, მომკლა ამ კუსტარულმა ნახარშებმა. გამიკეთე, ალფეს! (*ღრიალებს*) ერთი კუბი გამიკეთე, ალფეს!

(*შემოდის ქელმა. თეთრი კაბა აცვია. თმაში ველური ყვავილები ჩაუწნავს. ფერიასავით ნარნარით მოდის, ხალისიანი და მოღიმარი, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებს. ჯოგოს შედაც არ შეხედავს, ალფესს უღიმის. მუხიკა წყდება.*)

ალფესი. ქელმა! (*საათი შეიხსნა და ჯოგოს მისცა*) „როლექსია." შიმშილით სული აღარ გაგძვრება. (*ქელმას მკლავში ხელი მოჰკიდა და წაიყვანა. ჯოგო საათს დაჰყურებს. ისმის მსუბუქი მანქანის ხმა. მანქანა დაიძრა.*)

ჯოგო. ალფეს!.. ქელმა!.. (*სცენა ბნელდება*).

## მესამე სურათი

*განათება იცვლება. მზე ერთბაშად გამოაჭყიტებს. დილის მზის შუქი ჯოგოს მოღიმარ სახეზე გადაეფინება. ბარაკიდან გამოდის აკილო. ჯოგოს დაინახავს, გააღვიძებს.*

აკილო. ჯოგო! ჯოგო! (*ჯოგო დამფრთხალი იღვიძებს. უცებ წამოვარდება*) აქ გეძინა, კაცო?!

ჯოგო. ჰო, სუფთა ჰაერზე. (*სიგარეტს უკიდებს*).

აკილო. როგორ გეძინა?

ჯოგო. ფეხებს ვიქნევდი.

აკილო. ჰმ! რამდენი წელია სუფთა ჰაერზე არა მძინებია. (*მცირე პაუზა*) ღმერთის მადლობა უთხარ, ქელმა რომ შეგახვედრა. ძალიან აიწყვიტე და არტახებს მოუჭირე ცოტა! ორსულს როგორ ექცევი? სიმართლე გითხრა, აღარც კი მეგონა, სანაშენე თუ გივარგოდა!

ჯოგო. აკილო, ახლა გეყოფა ეგ ბაზარი!.. ბაზარში არ მიდიხარ?

აკილო. შენ არ გესმის, რასაც გეუბნები! დღეს თუ ხვალ შვილი გეყოლება, ეგრე უნდა შეხვდე შვილს?! თუ არ გინდა სიცოცხლე, მიდი, მოიკალ თავი!.. იმ დამთხვეულმა კატა გადააგდო მტკვარში. კვირისტინე ისედაც გიჟია, მეტი გაგიჟებაღა უნდა?! (*მცირე პაუზა*) მე ადრეც ბევრი გელაპარაკე, მეტს აღარ გეტყვი. (*მიდის. შეჩერდა, შემობრუნდა.*) დღეს რა დღეა?

ჯოგო. არ ვიცი. რა მნიშვნელობა აქვს, რა დღეა?

აკილო. შაბათია, შაბათი! აპექსი შენს სიტყვას ელოდება. ყველა თანახმაა და თუ კაცი ხარ, უარს ნუ ეტყვი, არ გააქციო, ცოდოა. ეს დღესასწაული თუ არ მოვაწყე, ჩემი ცხოვრება მკვდარი სიცოცხლეაო. გესმის, კაცო, რა დღეშია?!

ჯოგო. კარგი, ნუ წაიღე ტვინი! (*მცირე პაუზა*) დავიწყოთ, რაღას ველოდებით?

აკილო. შენ გაგახარა ღმერთმა! (*ეძახის*) აპექსი! მაესტრო! გამოდით! ყველანი გამოდით, დავიწყოთ „არჩევანი!"

(*ბარაკებიდან გამოდიან აპექსი, ოქროშა, კვირისტინე და კალისტრატე ყავარჯნით. აპექსის ხელში უჭირავს რკინის გალია, რომელშიც ზის წითელი თუთიყუში. გალიას ხეზე დაკიდებს. საერთო მხიარულება და ჟრიამულია; გარედან ისმის შანგოს სიმღერა: „სიყვარულის ნარკომანო, ჩემი გული რად დაფლითე". სიმღერითვე შემოდის, ხელში ველოსიპედის თვალი უჭირავს.*)

შანგო. „სატრფოს პოვნა რა ძნელია, დაკარგვა კი იოლია... დაკარგვა კი იოლია... დაკარგვა კი იოლია..." (*ველოსიპედის თვალი კედელთან მიაგდო*).

აკილო. აი, კოლექციონერიც მოვიდა.

კალისტრატე. მდინარესავით რაც გზაში შეხვდება, ყველაფერი მოაქვს.

კვირისტინე. (*შანგოსკენ ყვირილით გაექანება*) მოვკლავ, ამ საზიზღარს! (*დაიჭერენ*) გამიშვით!

აპექსი. ქალბატონო კვირისტინე! ხელს ნუ გვიშლით!.. ყურადღება, ვიწყებთ!.. ქელმა? სად არის ქელმა?

ყველანი. (*ეძახიან*) ქელმა!

ოქროშა. ქელმა შინ არ არის, უთენია ადგა და სადღაც გაქრა.

ჯოგო. სად წავიდა?

ოქროშა. არ ვიცი.

აპექსი. ქელმასგან ღალატს არ ველოდი. ხომ არაფერი უჭირს? (*ყველა დუმს*) კარგი! ქალბატონო ოქროშა, გახსოვთ მისი სიტყვები? (*შანგო და ჯოგო ჩურჩულებენ*).

ოქროშა. (*იპრანჭება*) დიახ! მთელი სპექტაკლი ზეპირად ვიცი.

აპექსი. ყურადღება! ყურადღება! მოემზადეთ!.. შანგო, ჯოგო, მორჩით ჩურჩულს!

კვირისტინე. ვაიმე, როგორ ველელავ, როგორ ველელავ!

ოქროშა. მაესტრო, ეს კაბა მიხდება? (*ღიმილით, ნელ-ნელა შემოტრიალდება. სწორი, განიერი კაბა აცვია, რომელიც თითქმის მთლიანად ფარავს მის ნაკლს. სახეზე ალმური გადასდის, ეტყობა, ძალიან გახარებულია და იპრანჭება.*)

აპექსი. მშვენიერია. (*კაბის საყელოს უსწორებს*).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲐᲚᲘᲡᲢᲠᲐᲢᲔ. ხომ გეუბნებოდი.

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. ყურადღება!.. (*ოქროშას*) მშვენიერი კაბაა. საყურეები ძალიან გიხდება. საერთოდ, ძალიან კარგად გამოიყურები... ახლა კი, ყურადღება! აკილო, მოვაწყოთ სცენა!

ᲐᲙᲘᲚᲝ. ახლავე! (*სწრაფად შედის ბარაკში. გამოაქვს ორი რკინისსადგამიანი ბოძი და სცენის შუაგულში ერთიმეორისაგან ხუთიოდე მეტრის დაშორებით დგამს. პაუზა.*)

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. ფარდა! ფარდა! აკილო, ნუ დაიბენი, შენ ასისტენტი ხარ!

ᲐᲙᲘᲚᲝ. (*გახარებული სწრაფად შერბის ბარაკში, გამოაქვს თოკი და სამი გაქათქათებული მეწარი. თოკს გაჭიმავენ, ზედ მეწრებს გადაჰკიდებენ*).

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. აბა, ყველანი ფარდის უკან გადით! (*ჩიბუხს გააჩაღებს, ეწევა. ყველანი ფარდის უკან გავლენ.*) ყურადღება! სრული სიჩუმე! (*პაუზა*) ვინ კიკინებს?! ვინ ლაპარაკობს მანდ?! ყური დამიგდეთ!

ᲐᲙᲘᲚᲝᲡ ხმა. ჩქარა, მაესტრო! მზე ღრუბლებში შეძვრა, მაშასადამე წვიმას აპირებს. მალე დასცხებს, მაშასადამე.

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. აკილო, ლ გაქვს რბილი, ლ! აბა, თქვი: მზე ღრუბლებში... მალე დასცხებს...

ᲐᲙᲘᲚᲝᲡ ხმა. მზე ღრუბლებში... მალე დასცხებს...

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. კარგია! ლ-ს მიხედე, აღარ შეარბილო!

ᲙᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔᲡ ხმა. მაესტრო, ღილი ამწყდა. ფეხსაცმელიც მიჭერს.

ᲝᲥᲠᲝᲨᲐᲡ ხმა. აკი გავყიდეო?! მატყუარა!

ᲙᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔᲡ ხმა. დაეტიე, შენთვის!

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. სიჩუმე! სიჩუმე! მოემზადეთ!

ᲝᲥᲠᲝᲨᲐᲡ ხმა. წინწკალი დამეცა.

ᲙᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔᲡ ხმა. ვაიმე, ძლიან ვღელავ, მაესტრო, ძალიან! თუ დამავიწყდა, შეიძლება, როლში ჩავიხედო?!

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. ჩაიხედე! ახლა კი ვიწყებთ!.. ყურადღება!.. ფარდა! ახადეთ ფარდა! (*უცებ თავსხმა წვიმა წამოუშენს. ფარდის უკან აწრიალდნენ. აპექსი ყვირის*). ღმერთმა დასწყევლოს! ეშმაკმა დალახვროს! არ დაგვაცადა, ისევ ჩამეშალა სპექტაკლი! (*გამძვინვარებული*) ისევ!.. ისევ!.. წადით, მომშორდით, თვალით არ დამენახოთ, არც ერთი! თქვენ მსახიობები კი არა, მარიონეტები ხართ!.. ცხვრები ხართ! გაპარსული ცხვრები! (*მცირე პაუზა*) რას სისინებთ ბატებივით?!. თავისუფლები ხართ!

ᲐᲙᲘᲚᲝᲡ ხმა. არ დაიშალოთ! არ დაიშალოთ! ჩვენი ვერხვი!.. მაშასადამე, ვერხვს შევეფაროთ! (*ყველანი ვერხვის ქვეშ გადაინაცვლებენ. სახეზე ნიღბები უკეთიათ: აკილოს - მგლის, ჯოვოს - ვეფხვის, შანვოს - მელიის, კალისტრატეს - ტურის, კვირისტინეს - კატის, ხოლო ოქროშას დათვის ნიღაბი.*) აქეთ, მაესტრო, ჩვენთან მობრძანდით!

აპექსი. (*ხეს შეეფარება*) რა თავსხმაა, ეს ოხერი! (*პაუზა... აკილოს*) ხომ არ გადავდოთ?

ᲐᲙᲘᲚᲝ. არა, არა! აქ არ ჩამოდის, მაშასადამე.

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. კარგი!.. მზადა ხართ? (*უსიტყვოდ ეთანხმებიან*) აკილო, „მაშასადამე“ აღარ გამაგონო, თორემ მტკვარში გადავვარდები, ესე იგი. ახლა კი, ყურადღება! უნდა დაივიწყოთ, რომ ლტოლვილები ხართ და სხვა ადამიანებად გარდაისახოთ. თქვენ იხსნით ადამიანის ნიღაბს და იკეთებთ მხეცისას, ყოველი თქვენგანი მგლის ხახას ჩაიდგამს. თუთიყუშს ადამიანის ენაზე რომ აალაპარაკებ, ის კარგავს თავის მშობლიურ, ჩიტების ენას. ეს ტრაგედიაა! (*თუთიყუში გალიიდან ამოიყვანა და ხეზე შესვა. ყველანი ახმაურდნენ.*) სიჩუმე! წარმოიდგინეთ, რომ მეფის სასახლეში ხართ, თქვენს ცხოვრებაში მოულოდნელად იღება დახშული კარი და იწყებთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. გამარჯვებული კლანი უცებ, ერთ დღეში გამდიდრდება და ფუფუნების ზღვაში შეცურავს. ფუფუნება იცავს თქვენს ძალაუფლებას და ძალაუფლება კი ფუფუნებას. თქვენი ბედნიერება სხვისი ცხოვრების უღელია. „არჩევანი“ იქნება დიდი დღესასწაული, რომელიც ჩვენი სპექტაკლის გამჭოლ ხაზს წარმოადგენს. ნურავინ იფიქრებს, თითქოს ეს ყველაფერი უფასპატიოდ ეძლევა. ყოველმა თქვენგანმა მზის ქვეშ ადგილი უნდა იყიდოს. არ დაგავიწყდეთ: ერთგულება, ერთგულება და კიდევ ერთხელ ერთგულება თქვენი მფარველისა და საკუთარი თავისადმი, ეს არის თქვენი მოღვაწეობის ოქროს ძარღვი! თქვენ გახდებით პატივმოყვარენი, პატივსა და დიდებას მოიხვეჭთ. პატივმოყვარეობა წარმოშობს განდიდებას, განდიდება კი თავის მხრივ - ანგარებას. (*ალაპარაკდნენ, ახმაურდნენ.*) რა ხმაურია, ნუ ლაპარაკობთ!

ᲐᲙᲘᲚᲝ. ჩქარა, მაესტრო! დელგმა წამოვიდა, აღარ ვიწყებთ?

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. სიჩუმე! კარგად დამიგდეთ ყური! ეკლესიასტე გვაფრთხილებს: „სიბრძნეც დაიფარავს კაცს და ფულიც დაიფარავს. მაგრამ სიბრძნე უპირატესია, მის მფლობელს აცოცხლებს“. აირჩიეთ: ფული თუ სიბრძნე!

ᲗᲣᲗᲘᲧᲣᲨᲘ. აირჩიეთ: ფული თუ სიბრძნე!

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. ყოველგვარი ქინმორეული წყურვილი, რომელიც თავს გაკარგვინებს ისე, როგორც ნარკომანია, სულიერი პრობლემაა! თეატრიც ნარკოტიკია თავისი ცნობილი სცენის ბაცილით. თეატრში ერთდროულად სამოთხეცაა და ჯოჯოხეთიც! წიგნიც ნარკოტიკია! პოეზია, მუსიკა, საერთოდ, ხელოვნება, აზარტული თამაშები, რელიგია, პოლიტიკური ვნებაც ნარკოტიკია! ნარკომანიის მრავალი სახეობა არსებობს, ერთი თუ სპობს და ანადგურებს, მეორე აცოცხლებს ადამიანს! ამ მრავალთაგან განსაკუთრებით საშიშია სულიერი ფაშიზმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქიმიური მხამი, კაცობრიობას განადგურებით რომ ემუქრება! (*ალაპარაკდნენ, ახმაურდნენ.*) სიჩუმე! სიჩუმე! რწმენადაკარგული ადამიანი კარგავს საკუთარ პიროვნებას, ის ჩამქრალი ცეცხლია, ჩამქრალი ცეცხლი კი ნაცარია და შეგიძლიათ ფეხით გადახვეტოთ. აირჩიეთ: პირუტყვი თუ ადამიანი!

თუთიყუში. აირჩიეთ: პირუტყვი თუ ადამიანი! (*ყველანი ახმაურდნენ, ალაპარაკდნენ.*)

აპექსი. რა ხმაურია?! (*გაჩუმდნენ*) თუ გინდათ, ამინდზე ვისაუბროთ! ეშმაკმა დალახვროს! განათება აღარა გვაქვს, ცა ჩამოიქცა და გადაღებას არ აპირებს.

ჯოგო. თუ ვიწყებთ, დავიწყოთ! თუ არა და დაგვანებე თავი! ისე ლაპარაკობ, თითქოს გუინპლენი სიტყვას წარმოთქვამდეს ლორდთა პალატაში.

აპექსი. ყოჩაღ, ჯოგო! მე პატივს ვცემ შენს განათლებას და საზრიანობას. ახლავე დავიწყებთ. სპექტაკლის შემდეგ ის სიმდიდრე თქვენი აღარ იქნება, ქარის მოტანილს ქარი წაიღებს. მაგრამ გული არ დაგწყდეთ, თქვენ ეზიარებით უდიდეს სიბრნეს. ბრძენი ის არის, ვინც ამქვეყნიური ცხოვრების ყოველგვარი სისაძაგლე გამოსცადა. ერთხელაც გეტყვით: ღარიბ მსახიობზე მდიდარი არავინაა. ის ერთ დღეს ოიდიპოსია, მეორე დღეს ლირი, მესამე დღეს დონ კარლოსი!..

შანგო. მეოთხე დღეს – ლტოლვილი.

აპექსი. ყოჩაღ, შანგო! ლტოლვილის როლი ყველაზე რთული როლია. ლტოლვილის სევდა გულს უფრო ღრმად სერავს. თუმცა ამ სპექტაკლის შემდეგ გასაკვირი აღარაფერი უნდა იყოს. ერთადერთი, რის უფლებაც მსახიობს არა აქვს, გაკვირვების უფლებაა... მოდი, დავიწყოთ. ალბათ, ქელმაც გამოჩნდება. ფინალის ზოგიერთი ეპიზოდი პირობითია. თანდათან სხვებიც შემოგვიერთდებიან, რაც თქვენთვის მოულოდნელი იქნება, ჩემთვის კი არა... ხომ ვისწავლეთ პირობითობა? (*მცირე პაუზა*) თქვენ გეკითხებით, ხმა ამოიღეთ!

ყველანი. დიახ!

შანგო. მაესტრო, ერთი შეკითხვა შეიძლება?

აპექსი. (*უცებ გაცხარდება*) რა დროს შეკითხვებია, როცა „არჩევანი" იწყება! (*პაუზა*) კარგი, მკითხე.

შანგო. ჩიბუხს რატომ ეწევი, სტალინი ხარ?

აპექსი. მეფობა ერთხელ ყველას უნდა! ყველა ქართველში პატარა სტალინია. ბევრს ამის გაფიქრებაც კი შეძრავს... კიდევ არის შეკითხვები? (*პაუზა*) კარგი, კმარა! სიჩუმე! მოემზადეთ!.. ბოლოს და ბოლოს, დავიწყოთ „არჩევანი!" ამბა! (*ლომის ნიღაბს იკეთებს*).

თუთიყუში. დავიწყოთ „არჩევანი!" ამბა!

## მეოთხე სურათი

*დროის მხრივ არაფერი იცვლება. ყველანი ერთად აყაყანდებიან.*

აკილო. აბა, აბა! ხმა, კრინტი! (*ყველანი გაჩუმდნენ*) ბენზინი ჩემია!

კალისტრატე. ერთი პირობით! რუსთაველი თავის ბენზინიან-რესტორნებიან-იმიანა-ამიანა-ყველაფრიანა ჩემია!

ჯოგო. სიგარეტი ჩემია!

შანგო. ხორბალი და ფქვილი ჩემია!

კვირისტინე. (*ხელში ფურცლები უჭირავს, ხანდახან ჩახედავს ხოლმე და რეპლიკის წარმოთქმამდე გულში იმეორებს.*) მე ბავშვობიდანვე ბუნების დიდი მეგობარი ვარ, ხე-ტყე ჩემია!

ჯოგო. საბაჟოებს ვერავინ შემეცილება! (*ხეზე შეხტება, ტოტიდან ტოტზე ყიჟინით გადადის, ყვირის და უცნაურ ხმებს გამოსცემს.*) ბყ!.. ბყ!.. ავ! ავ! ავ-ავ! (*ყვირის, ღრიალებს, ტოტებს აქანავებს*).

აპექსი. კეთილი, კეთილი!

აკილო. ბუტკნარი ჩემია!

შანგო. რა ბუტკნარი?

აკილო. კომერციული ბუტკები... აჰ, უკაცრავად! კომერციული ჯიხურები ჩემია!

აპექსი. კეთილი, კეთილი! ბანკები ჩემია!

(*წვიმის ხმა ნელ-ნელა შეწყდება.*)

ჯოგო. ვერ მოგართვეს! შენ რა იცი, რა არის ფული და ფულადი სისტემები! შენ ჰალსტუხის განასკვაც კი არ იცი! ბანკები თავისი გადასახურდავებელი პუნქტებით ჩემია! (*გახარებული ყვირის, ხეზე მალაყებს გადადის.*) შშშშ... ბრრრრ..

კალისტრატე. (*აპექსის*) წვიმამ გადაიღო.

აპექსი. (*ყვირის*) გააგრძელეთ!

კალისტრატე. მაშინ ტრანსპორტი! ტრანსპორტი ჩემია!

შანგო. აბა, აბა! ტრანსპორტი კი არა, ის არ გინდა?! ავტომაგისტრალები და ტრანსპორტი ჩემია! წესითა და კანონით მე მეკუთვნის!.. გიჟია, ეს ჩემის გადანგრეული!

თუთიყუში. გიჟია ეს ჩემის გადანგრეული!

(*შანგო ხეზე შეხტება და ფეხით ტოტს აქანავებს. უცნაურ ბგერებს გამოსცემს.*) ფხხხხხ... ფხხხხხ...

კვირისტინე. კაზინოებსა და ღამის კლუბებს არავის დაგითმობთ! ამბა!

ოქროშა. სტრიპტიზ-ბარები და რესტორნები ჩემია! ო-ლა-ლა!.. ლა-ლა!

აპექსი. კეთილი, კეთილი! კონიაკი, ღვინო და შამპანური ჩემია!

კალისტრატე. სასაფლაოები ჩემია! დღეიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქში ერთი გაუპატიოსნებელი მკვდარიც კი არ დაიმარხება!

აკილო. ელექტროენერგიასა და ბუნებრივ რესურსებს ხელს ვერავინ წაავლებს, დაიწვებით! მაშასადამე, ჩემია!

შანზო. გაიჯეჯილეთ, აი! (*ხიდან ჩამოხტება*) ნარკობიზნესი ჩემია!

ჯოზო. ეე, შენი უტვინო სიფათიღა მაკლდა, ტო! მანდ არ ჩამომიყვანო, იცოდე!

შანზო. წადი, შენი!.. მარიანა* ჩემია, ჩემი!

ჯოზო. (*ხიდან ჩამოხტება*) ნარკობიზნესთან შენ რა გესაქმება?! თუ იცი, ვის ეცილები! მოგკლავ, შე ახვარო! (*გაიწია, დაიჭირეს*).

აპექსი. შეჩერდით!.. მოიცათ, მოიცათ!

თუთიყუში. შეჩერდით!.. მოიცათ, მოიცათ!

აპექსი. ისე, მადას ხომ არ უჩივით?! (*მცირე პაუზა*) თამაშის წესებს ნუ არღვევთ, უგუნურნო!

თუთიყუში. უგუნურნო! უგუნურნო!

აპექსი. (*ხმამაღალი ჩურჩულით*) ჩუმად! რა გაღრიალებთ, რა მოგივიდათ?! ჩუმად! არავინ გაიგოს, თქვე ბრიყვებო! ყველაფერი წესითა და კანონით უნდა განაწილდეს. ამიტომ საჭიროა, ყველა დეტალის გათვალისწინებით ფუნდამენტურად განვიხილოთ საკითხი. მე ვფიქრობ, მდგომარეობა მოგვარებადია. ჩვენ დემოკრატიულ, ცივილიზებულ სახელმწიფოს ვაშენებთ, აქ კი რა ხდება?!

ჯოზო. რა ვიცი, რა ხდება!.. რაღაც ნამდვილად ხდება! ხშირად ისეთი რამე ხდება, ვერ გაიგებ, საერთოდ, რა ხდება!.. საკვირველია, ზოგჯერ, როცა რაიმე ხდება, თურმე არაფერი არ ხდება!.. ჭროღამ რა იცის, რა არის პლანი და კოკაინი! სიზმარშიც არ უნახავს!

(*შემოდის მათხოვარი. გაშტერებული დგას, ვერ გაუგია, რა ხდება. კარგა ხანს ვერ შენიშნავენ.*)

შანზო. ვის არ უნახავს?! (*აპექსს*) ვისზე ამბობს მაგას? დაგბრიდავ, შენი! (*გაიწია. დაიჭირეს*). მოგსპობ! გაგანადგურებ! ფაკ იუ! ფაკ იუ! (*აფურთხებს*).

ჯოზო. მე შენ პოლიტიკურ საფლავს გაგითხრი!

შანზო. მძორო, არჩევნებში ვისთან ერთად იყრი კენჭს?! ვის შეეკარი?!

თუთიყუში. მძორო! მძორო! ვის შეეკარი?!

აპექსი. მოიცათ, მოიცათ! (*ყველას*) ეი, არარაობიდან მოსულო ჭიაღუებო! ვინ ხართ თქვენ?! ვის დაჰკარგვიხართ?! შეხედეთ თქვენს თავს, რას დაემსგავსეთ?! ჭკუას როდის ისწავლით?! გირჩევთ, გონიერებას მოუხმოთ! (*შანზოს*) ჭროღა, მისმინე! ტილიანი შენზე ადრე იჩხირავდა, უფრო აქტიური მომხმარებელია, დაუთმე ნარკობიზნესი და ბაზრები შენი იყოს.

- - - - - -

* მარიანა - ნარკოტიკების საერთო სახელწოდება /ჟარგ./

შანზო. (*უკმაყოფილოა. თავი ჩაღუნა.*) კარგი.

აკილო. ბაზრობები კი ჩემი! (*ხეზე შეხტება*) ელსავაკო ლილოს ბაზრობა ჩემი აშენებულია და ცხვირს არავის ჩაგაყოფინებთ! (*დასჭექავს*) გაიგეთ?! ღღრრრრ... ფხიაოოოო...

(*ყველა გაისუსა. სრული სიჩუმე ჩამოვარდა*).

მათხოვარი. დამეხმარეთ, ღვთის გულისათვის! ათი თეთრით დამეხმარეთ.

შანზო. უჰ, შენღა გვაკლდი! ჩქარა აახვიე, აქედან!

მათხოვარი. ლუკმაპურზე... წამალზე... დამეხმარეთ, გწყალობდეთ ღმერთი.

კვირისტინე. თავი დაგვანებე, ქალო! ვის სცალია შენთვის!

მათხოვარი. (*უცებ წელში გაიმართება. კაბის კალთის ქვეშ შენახულ გაზეთებს ამოაძვრენს.*) აბა, „მასხარა!“ იყიდეთ, „მასხარა!“ ახალი ამბები! დედა-შვილმა შეჭამა თექვსმეტი ადამიანი! კროსვორდი, ცხელ-ცხელი ამბები, ანეკდოტები! „მასხარა“ ათ თეთრად!

თუთიყუში. „მასხარა!“ „მასხარა!“ ათ თეთრად! (*ოქროშა ყველასგან ფარულად ერთ გაზეთს იყიდის და დამალავს*).

კვირისტინე. მაგისთანები გვინახავს?! მოგვშორდი აქედან ჩქარა!

მათხოვარი. „მასხარა“ ათ თეთრად! (*გადის. მარცხენა კულისიდან ისმის პატარა მაწანწალების ყიჟინა. ინდიელების მსგავსი ველური ყმუილი*).

აკილო. წავიდეთ, სადღესასწაულო სუფრა გავშალოთ! (*ხიდან ჩამოხტება*)

ოქროშა. სად უნდა წახვიდეთ, სად?! მე, მე რაღა? (*წამდაუწუმ კაბას ისწორებს, იპრანჭება.*) ყველაფერი შენ დაისაკუთრე?! ბავშვობაში, ალბათ, არც ველოსიპედი გქონდა, არც ბურთი, არც თოფი და არც ფერადი ფანქრები. (*აპექსს*) ყველაფერი მაგას? იცოდეთ, ბატონო, პრივილეგია ყველაზე დიდი უსამართლობაა! მე, მე რაღა?!

აკილო. შენ კლოზეტები, აბანოები და საპარიკმახეროები. (*ყველას*). წავედით!

აპექსი. კეთილი, კეთილი!

კვირისტინე. ერიჰაა! ერთი ამათ დამიხედეთ! სვავებო, გავლენის სფეროები გაინაწილეთ და უკვე მიდიხართ?! მე? მე ცარიელზე დამსვით?! ჩაგიწყდეთ მუცელი!

შანზო. შენ თხის კუდი თავის კომპლექტით! შეაყოლე აქედან!

(*ოქროშა იცინის*)

კვირისტინე. რას ქირქილებ? არა!.. (*როლში ჩაიხედავს*) რას ფრუტუნებ?!

ოქროშა. (*იპრანჭება და მორცხვად ილიმება*) რა ვქნა, გენაცვალე, სიტუაცია აშკარად გაცინებადია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირისტინე. შენ რა ჩვენი პარლამენტის ენით მელაპარაკები!.. ინტელექტუალური ბეჰემოტი!.. (*უვლის*) ესე იგი, სეგრეგაციას მიკეთებთ. მე რა, ზანგი ვარ?! ვნახოთ, ვნახოთ! ვნახოთ ერთი, რას მოიგებთ! თქვენი შიშით ქუჩაში მელოტ კაცს ვერ გაუვლია, ეშინია, ზედ „კოკა-კოლა“ არ დააწეროთ! თუ „კოკა-კოლას“ არ დამითმობთ, აღარ მინდა, მე გავდივარ თამაშიდან. (*ჩაჯდება, ფეხებს გაფარჩხავს და ჭირვეული ბავშვივით ტირის. ისმის სატვირთო მანქანის ხმა. მანქანა გაჩერდა.*)

კალისტრატე. მოითმინეთ, მოითმინეთ! ღრმად პატივცემულნო, თქვენ ქვეყანას ანგრევთ თუ აშენებთ?! მე მარტო წურბელებს მიტოვებთ?! ხალხის ჯანმრთელობასა და მომავალ თაობებზე სულ არ ზრუნავთ?! წამალი და აფთიაქები ჩემია! ახლა შეგვიძლია წავიდეთ!

ხორენა. (*აღელვებული შემოვარდება. სახეზე მაიმუნის ნიღაბი უკეთია.*) ეეე, ეგრე ძალიან შორს წახვალთ, ცოტა თბილად ჩაიცვით!.. მე ხახამშრალს მტოვებთ?!

აკილო. ეს ვიღა ოხერია?!

ხორენა. სამი წელია თქვენ გემსახურებით, ვერ მიცანი? (*აპექსს*) ვერც შენ მიცანი?! მე რომ არ მეყვირა, მტკვარი მინგეჩაურში ჩაგიტანდა.

აპექსი. აბანოები საპარიკმახეროები, კინოთეატრები და ვიდეოსალონები შენი იყოს.

ხორენა. (*შანგოზე უთითებს*) ეგენი ჭროლასთვის დამითმია. მე ბორდელების პატრონი ვიქნები!

აპექსი. ბორდელები?.. ბორდელები სიაში არ არის! სადაა ბორდელები?!

თუთიყუში. ბორდელები სიაში არ არის! სადაა ბორდელები?!

ხორენა. გავხსნი და ჩემი იქნება! ცალსახად ვაცხადებ: ვინც წინ გადამიდგება, ავტომატით მუცელზე გადავჭრი, იცოდეთ!

შანგო. ვერ მოგართვეს დანივრული! მეც მინდა გვარის გამოცვლა, მეც მინდა წილოსანი ვიყო. თუ წილში არ გამიყვანთ, დედას გიტირებთ, ყველას დაგხოცავთ!

ხორენა. წილში ხარ, ერთი „მერსედესი“ შენზეა!

შანგო. ჯიგარი ხარ!

აპექსი. კეთილი, კეთილი!

ოქროშა. ხოხ! ეს რა მეფური წყალობაა! ამ ჩვენს დაწყევლილ დროში ყველას ქრთამზე უჭირავს თვალი. (*აპექსს*) თქვენი ცრუ დაპირებებით გომბეშოსავით გავიბერე, ბატონო! (*ხორენას*) იქნებ დამდოთ ხათრი და მეც შემახვედროთ რამე!

ხორენა. შენ ოღრაში იქნები. (*ხის ტოტზე ცალი ხელით ჩამოეკიდა და ქანაობს. მერე ხეზე ავა. ტოტიდან ტოტზე გადადის და იფურთხება.*)

კვირისტინე. მე?

შანგო. შენ ბოქვენის ღალაქი.

ოქროშა. ვაიმე, ეს რა გაკადრა! ჩიტის გულიც ვერ მოითმენს, ქალბატონო! მაგ ყაჩაღებს ქვეყნის ფული აქვთ დაბანდებული. რაღას უყურებ?! მიდი, დასცხე, „კიშკები“ დააყრევინე!

კვირისტინე. (*ყვირილით გაიწევს*) გამიშვით, უნდა მოვკლა! (*ისმის წივილ-კივილი. ხორენა ხიდან წრიპინით ჩამოხტება. კვირისტინეს დაიჭერენ.*)

შანგო. რა, ტერაქტს მიწყობ?!. ვინაა კაცო, ეს?!

კვირისტინე. თვითონ ვინა ხარ?! პოლიტიკური გვამი! ამ საქაღალდეში შენი მაკომპრომეტირებელი საბუთები მაქვს. ამბა!

შანგო. ამ საქაღალდეში კი შენი დანაშაულებრივი საქმიანობის მამხილებელი საბუთები მიწყვია. ამბა!

ჯოგო. ერთი-ერთმა გახსენით, იქნება სეკაა! (*შანგო და კვირისტინე ერთმანეთისკენ გაიწევენ. ისმის წივილ-კივილი. გააშველებენ.*)

აპექსი. შეჩერდით!.. მოითმინეთ!.. მომისმინეთ!..

თუთიყუში. შეჩერდით!.. მოითმინეთ!.. მომისმინეთ!..

აპექსი. შენ მანდ გაჩუმდი! ხელს ნუ გვიშლი!

თუთიყუში. შენ მანდ გაჩუმდი! ხელს ნუ გვიშლი!

აპექსი. კიკო, კარგი, რა, თუ ძმა ხარ!.. მიდი, დაიძინე (*თუთიყუში იძინებს*)

აპექსი. მომისმინეთ! (*შანგოს*) შენც მართალი! (*კვირისტინეს*) შენც მართალი! კვირას მოვა სამართალი!

შანგო. მაშ, მტყუანი ვიღაა?

აპექსი. მტყუანი მე ვარ. (*მცირე პაუზა*) მომისმინეთ, უგუნურნო! ნუ აშალეთ კრაზანის ბუდე! „ქამი ჩემია და ამ ქამისა მე ვარ მფლობელი!“ ჯუნგლებში ხომ არ გგონიათ თავი?! თქვენ აქ მზაკვრობისა და ცბიერების ჯადოსა ხლართავთ და ხალხს უზნეობისაკენ უბიძგებთ. მაგ თქვენი თავაწყვეტილი სიხარბით სანაგვეზე გადაყარეთ ისეთი ფასეულობები, როგორიცაა სიყვარული, სიკეთე, კეთილშობილება, ძმობა, მეგობრობა, ნათესაობა და, რაც მთავარია... სამშობლოს სიყვარული! რამ გაგახეტათ?!. როგორ იქცევით?! მშობელ ხალხს ნუ გასწირავთ! ხალხს გაუფრთხილდით! თუ ასე გააგრძელებთ, მალე თქვენს ტყავებსაც ვნახავ თოკზე გასაშრობად გადაკიდებულს! (*მცირე პაუზა*) გირჩევთ, მოლაპარაკების მაგიდასთან დავსხდეთ, ველური გადანაწილების ნაცვლად კონსტრუქციული დიალოგი გავმართოთ და თითოეულის ინტერესების გათვალისწინებით გამოვიტანოთ საერთო დასკვნები. მოდი, ვიმსჯელოთ, მოვილაპარაკოთ, ავწონ-დავწონოთ, შევთანხმდეთ და ხელშეკრულებები გავაფორმოთ! (*მცირე პაუზა*) ასე არ ჯობია?!

აკილო. ო, ღმერთო დიდებულო! კვლავ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკება, კვლავ ხელშეკრულება! ვერა ხედავთ, ქრისტეს აბუეტები გამოვდივართ!

ააეჟსი. მე ყველას ვაფრთხილებ! მაშასადამე, ვაფრთხილებ! ესე იგი, ვაფრთხილებ! მოიქეცით ისე, როგორც ცივილიზებულ, თავისუფალ, დემოკრატიულ სახელმწიფოს შეშვენის... დიახ!.. თორემ კვლავ სამოქალაქო ომი ატყდება. (*ხმა ჩაუვარდება*) თუ ვერ შევთანხმდებით, კიდევ ერთი კომისია უნდა შევქმნათ პარიტეტულ საწყისებზე.

ჯოგო. რის კომისია?

ააეჟსი. კომისიამ დაითვალოს ომში რამდენი კაცი მოკვდება. (*ქირქილებენ*) ნუ ქირქილებთ მაინც! (*გაჩუმდნენ*) ერთი თვის განმავლობაში დეკლარაციები შეავსეთ და წარმოადგინეთ. გასაგებია?!

ყველანი. დიახ!

ააეჟსი. ისე შეგირცხვათ ცხვირი, რაც თქვენთვის არაფერი გასაგები არ არის! (*ძლივს პაუზა*) აბა, ფერხული! იწყება დიდი დღესასწაული! წრეგადასული ლხინი იმ ადამიანებმა იციან, ვისაც დიდი სატანჯველი გამოუვლია.

(*კალისტრატეს შუაში ჩააყენებენ, ერთმანეთს ხელებს გადახვევენ და ფერხულს უვლიან. კალისტრატე შეძლებისდაგვარად როკავს. ისმის ალტაცების შეძახილები, ყმუილი და რაღაც გაუგებარი, მაგიური სიტყვები. ხორენას ფეხი ერევა, წრეს გამოეთიშება და ქართულს ცეკვავს. სცენა თანდათან ბნელდება. ყველანი მაშხალებს აანთებენ და ცეკვას აგრძელებენ. დიდი მხიარულება და ჟრიამულია. ისმის მხუბუქი მანქანის სიგნალი. მანქანა გაჩერდა. შემოდიან ალფესის მცველები. ხელში ავტომატები უჭირავთ.*)

I მცველი. შეჩერდით!.. შეჩერდით! (*შეჩერდნენ*) ხელები მაღლა! (*მაშხალები ჩააქრეს, მიწაზე დაყარეს და ხელები მორჩილად ასწიეს. სცენა განათდება.*) არ გაინძრეთ, თორემ გესვრით!

II მცველი. თქვენი დანაშაული დასჯადია! არც ერთი ნაბიჯი წინ, რამეთუ სიტუაცია უმართავი გახდება. განძრევის შემთხვევაში თითოეული თქვენგანი ადგილზე იქნება ლიკვიდირებული!

აკილო. კი, მაგრამ, თქვენ ვინ ბრძანდებით, ღრმად პატივცემულნო?! (*თუთიყუში გაიღვიძებს*)

I მცველი. ჩვენ ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი „ფირმის" თანამშრომლები გახლავართ. ყველანი დაპატიმრებული ხართ!

თუთიყუში. ყველანი დაპატიმრებული ხართ! ყველანი დაპატიმრებული ხართ!

ხორენა. მე არა, მე არა! დამნაშავე ელემენტები ეგენი არიან! მე არაფერი შემახვედრეს და გაველი თამაშიდან. (*მირბის*)

II მცველი. (*ავტომატი შემართა*) სდექ! (*ხორენა შეჩერდა*) ფეხი არ მოიცვალო, თორემ აქვე გაგათავებ!

ხორენა. (*ხელები ასწია*) რა გინდათ, რა?! ეს სანაგვე ჩემია! (*ნაბიჯი გადადგა*).

I მცველი. ხმა! ფეხი!

(*შემოდის ალფესი*).

ალფესი. ოქროსმაძიებლებო, დაუშვით ხელები! (*ხელები დაუშვეს, ალფესს შემოეხვივნენ.*)

ჯოგო. ოჰ, მაიმუნ, შენა ხარ? აქ საიდან გაჩნდი?

ალფესი. რა ამბავია? ეს რა დღესასწაული გაგიმართავთ?!

შანგო. ცირკია, ცირკი! იწილო-ბიწილო!

ჯოგო. დღესასწაული თეთრი მაიმუნის სამეფოში! (*ნიღაბი მოიხსნა და ხეზე ჩამოკიდა. ყველანი ნიღბებს იხსნიან და ხეზე კიდებენ.*)

ოქროშა. გამარჯობა, როგორა ხარ, ალფეს?!

კვირიკიონე. ალფესი ხარ შენ?! როგორ შეცვლილა! ასე რამ გაგაჭაღარავა?

ოქროშა. გავიგეთ, დიდი კაცი გახდაო. მართალი უთქვამთ. თეთრი „მერსედესით" მობრძანდა ჩვენი ალფესი!.. ასე უნდა? აღარც კი გახსოვს, ვარსებობთ თუ არა!

შანგო. მაიმუნ! დაგავიწყდა, ნაგავს ერთად რომ ვქექავდით?

ალფესი. (*ცხვირსახოცით შუბლზე ოფლს იწმენდს*) რას ბრძანებთ, ქალბატონო ოქროშა! ძალიან მომენატრეთ ყველა. რას შვრებით, როგორ ხართ? კალისტრატე ბატონო, ფეხი კიდევ გტკივა?

კალისტრატე. ჩვენ რა გვიჭირს!.. არაფერი გაგიგია?

ალფესი. რა? მოხდა რამე? ბიძაჩემი სად არის?

კალისტრატე. ჭურჭულიმ წაიღო შენი ჭირი. ჯერ ჭკუაზე გადავიდა, მერე ტვინში სისხლი ჩაექცა.

ალფესი. როდის? რატომ არ გამაგებინეთ? (*ცხვირსახოცით სახეს და შუბლს იწმენდს*).

აკილო. ორი წელი ბიძისკენ რომ არ გამოიხედავს კაცი!.. აბა, რა გითხრა!.. ისე, საფლავი მაინც იცოდე, მამიდაშენის გვერდით დავმარხეთ წყალტუბოში. ანდერძი დაგვიტოვა. (*პაუზა*) ესენი ვინ არიან?

ალფესი. ესენი... ჩემი... ჩემი მეგობრებია. (*მცველებს*) შემოიტანეთ! (*მცველები გადიან*).

აკილო. ავტომატები რა ოხრად უნდათ, ომში მიდიან?

შანგო. რა გინდა, აკილო, თითო ავტომატი მე და ჯოგოს უნდა დაგვიადოს. არა, ალფეს?! (*ალფესი ნაძალადევად იღიმება*).

ხორენა. მე?

ჯოგო. შენ ახალი იაპონური ნაგვის მანქანა. (*მანვოს*) რა ჰქვია?

შანგო. „კატო."

ხორენა. ვაა, „კატო" გლიჯავს! ერთ ასანთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღერსაც აღარ დავტოვებ ქუჩაში.

(*შემოდიან ალფესის მცველები. ხელში ორ-ორი მუყაოს ყუთი უჭირავთ. შეაქვთ ბარაკ-ებში. ეპიზოდის დამთავრებამდე კიდევ ექვს ყუთს შემოიტანენ და მერე ალფესს ამოუდგ-ებიან გვერდში*).

კალისტრატე. ალფეს, ერთი აქეთაც მოიხედე!.. თვეში რამდენს უხდი მეგობრებს?

ალფესი. (*ღუმს, ოფლს იწმენდს*.) ეს კაცი ვინაა?

კალისტრატე. ეგ მტკვარში იხრჩობოდა, აკი-ლომ და ჯოგომ გამოიყვანეს.

შანგო. გაჭირვებული ყრუ-მუნჯია. არაფერი არ ესმის.

ჯოგო. ჩვენ შევიფარეთ უსახლკარო. მუნჯი კია, მაგრამ ერთი არტისტული ჩვევა აქვს - ჩიბუხს აბოლებს.

აკილო. მხოლოდ საუკეთესო თუთუნს ეწევა და... შენ თუ დაეხმარები...

ალფესი. ეგ რა პრობლემაა! თამბაქოს მე გამო-გიგზავნით ხოლმე... ყველაფერს გამოგიგზავნით... დღეს ცოტა ფქვილი, მაკარონი და კონსერვები მოგიტანეთ.

შანგო. ხომ ვთქვი, ფქვილი, ხორბალი და მაკარონი ჩემია!

ოქროშა. გმადლობთ, რატომ შეწუხდი! ჩვენი გულისთვის დაიხარჯე.

ალფესი. (*ცხვირსახოცით ყელ-კისერს იწმ-ენდს*) რას ბრძანებთ, რა შეწუხებაა, ქალბატონო ოქროშა!.. ეჰ, ძალიან მეწყინა ბიძის სიკვდილი. რა ვქნა, ისე ვარ დაკავებული, დღე-ღამეში თექვსმეტ საათს ვმუშაობ. (*საათს დახედავს*) ახლაც ძალიან მეჩქარება. ათასი საქმე...

ჯოგო. ალფეს, ეგ საათი „როლექსი" ხომ არ არის?

ალფესი. კი. (*მცველები ამოუდგნენ გვერდში*) „როლექსია". სიდედრმა მაჩუქა, დაბადების დღეზე.

ხორენა. ვაა, აბა, შენა გყოლია სიდედრი! მე ერთი ძველი აკვანი მაჩუქა.

შანგო. ლობიოსაც თუ გიგზავნის, ზამთარი ფეხებს ველარ მოგჭამს! „როლექსი", ძმაო, მაგარი საჩუქარია. ოცდაათი ათასი დოლარი ღირს. ეგ ქრონომეტრი, ძმაო, ყველაფერს აჩვენებს: საათს, დღეს, რიცხვს, თვეს, წელს, მთვარის ფაზებს და რაღას არა... არა, ალფეს?!

ალფესი. (*სიმწრის ოფლში იწურება*) კი... აჩვე-ნებს... აჩვენებს... ახლა კი წავედი. ხვალ შტატებში მივფრინავ, ერთ კვირაში დავბრუნდები და ჩავალ წყალტუბოში. აბა, კარგად იყავით! მალე გნახავთ! ნახვამდის! (*მცველებთან ერთად გადის*).

კვირისტინე. გმადლობთ, ალფეს!

ოქროშა. ნუღარ დაგვივიწყებ!

აკილო. კარგად იყავი, კარგად! მაგარი ბიჭი ხარ და არაფერმა გაგტეხოს!

აპექსი. რა ოფლი ღვარა, კაცო?! აი, ახლა იყავით ნამდვილი არტისტები!

შანგო. ჯერ სადა ხარ მაესტრო! (*გამოჩნდება რიგითი პოლიციელი. ვიდრე შემოვიდოდეს, შა-ნგო დაინახავს და წაიმღერებს.*) ა-ახლა შენი დროა! ა-ახლა შენი დროა! დიდხანს გელოდი...

პოლიციელი. გამარჯობა, ხალხო!

(*პოლიციელს ესალმებიან. აპექსი მიუახლო-ვდა*).

აპექსი. გაგიმარჯოს! რას გვიბრძანებს კანონის დამცველი!

პოლიციელი. რას შერებით, როგორ ცხოვრ-ობთ, ლტოლვილებო?! გიჭირთ?

აკილო. ისეთი დღესასწაული მოვაწყეთ, ჩიტის რძეც კი არ გვაკლია. მიმიქარავს შვეიცარიის ბანკი. (*აპექსის გარდა ყველანი კვირისტინეს მისჩ-ერებიან*).

პოლიციელი. (*ჯიბიდან საბუთი ამოიღო*) შან-გო ჯგუნჯგია რომელია თქვენში?

კვირისტინე. (*სწრაფად მიახლის*) არა, აქ ეგეთი არავინ ცხოვრობს, ბატონო!

ოქროშა. ო-ჰო! ეს ვინ მოსულა? გამარჯობა, შვილო! ვერ მიცანი?

პოლიციელი. ვერა, ვერ გიცანით. (*პაუზა*) ხმა საიდანღაც მეცნობა... (*მხრებს იჩეჩავს*).

ოქროშა. ასე მალე დაგავიწყდი? არ გახსოვს ორი თვის წინათ... იქ...

პოლიციელი. სად? რა უნდა მახსოვდეს, მოქა-ლაქევ?!

(*შანგო შეუმჩნევლად გაიპარება*).

ოქროშა. რა გულმავიწყი ყოფილხარ ახალგა-ზრდა კაცი! აბა, კარგად დამაკვირდი! (*მეტრიალ-დება, მაგრამ ადრინდელ ეფექტს ველარ ახდენს. პოლიციელი გაკვირვებული უყურებს. ოქროშა იცინის.*) რაჭაში გოგო რომ დაიბადება, დედა აკვანს ურწევს და...

პოლიციელი. (*შეაწყვეტინებს*) ა-ა-ა, გამახს-ენდა. (*იცინის*) შენ იყავი? (*ყველანი იცინიან*).

კალისტრატე. ეს იყო, ეს.

ოქროშა. მე ვიყავი. ჯერ მოგკალი და მერე გადაგარჩინე.

პოლიციელი. მახსოვს, მახსოვს. გაიზრდება გოგო და თონეში რომ ჩაეკიდება, შიგ არ ჩავარდეს. (*ყველანი იცინიან*).

ოქროშა. რაღა გინდა, გხსომებია. როგორ ხარ, შვილო?!

პოლიციელი. კარგად, დედილო! იმის შემდეგ სიცილის მეშინია. რატომ ვერა გხვდები, აღარა ვაჭრობ? (*ათვალიერებს*) შეცვლილხარ განა! დიეტას იცავ? (*თითქოს თავში რაღაც დაჰკრესო, სწრაფად შემობრუნდება*) აქ რომ ბიჭი იდგა, რა იქნა?

აკილო. აქ ვინ იდგა, კაცო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ᲙᲐᲚᲘᲡᲢᲠᲐᲢᲔ. არავინ.

ᲮᲝᲠᲔᲜᲐ. სად იდგა?.. აქ? (*ორიოდე ნაბიჯი გადადგა*) თუ აქ?

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘ. ცოტა გვერდით.

ᲮᲝᲠᲔᲜᲐ. (*კვლავ გადადგა ნაბიჯი*) აქ?

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘ. (*სამიოდე ნაბიჯს გადადგამს და მივა იმ ადგილზე, სადაც მანქანა იდგა.*) აი, აქ!

ᲮᲝᲠᲔᲜᲐ. (*გვერდით ამოუდგება*) აქ ხომ მე ვიდექი. ახლაც აქ ვდგავარ. ხორენ რაზგოევი. აი, „პრავა“. მართვის მოწმობა, რაღა... ეგრე კი ნუ მიყურებ, ქართული სკოლა დავამთავრე.

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘ. (*ამრეზილი უყურებს*) მე ვეძებ მანგო ჯგუნჯგიას. ეს მისი ლტოლვილის ბარათია. ჯგუნჯგია ეჭვმიტანილია დანაშაულში და მასზე ძებნაა გამოცხადებული.

ᲯᲝᲒᲝ. სერჟანტობას ხომ არ უმიზნებ?

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. რატომ ეძებ, შვილო! რა დააშავა?.. არა, აქ ეგეთი არავინ ცხოვრობს.

ᲙᲐᲚᲘᲡᲢᲠᲐᲢᲔ. არ ცხოვრობს, არა!

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘ. გა-სა-გე-ბია! (*პაუზა*) მაინც თუ შეხვდეთ სადმე, გადაეცით, სასწრაფოდ დატოვოს ქალაქი. (*ხორენას მხარზე ხელი გადახვია და ოთხიოდე ნაბიჯი გაატარა*) რა გვარი ხარ შენა?

ᲮᲝᲠᲔᲜᲐ. რაზგოევი.

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘ ხორენა.

ᲮᲝᲠᲔᲜᲐ. რა კარგი მეხსიერება გაქვს, უფროსო!

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘ. წეღან იქ კი არა, აი, აქ იდექი... ის მანქანა შენია, არა?

ᲮᲝᲠᲔᲜᲐ. ჩემია. ნაგავი დამაქვს უფროსო!

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘ. ჰა, თორემ დაგადე ენაზე ბორკილი! აეროპორტში გამიყვანე, მეჩქარება... აბა, კარგად იყავით! თავი არავის დააჩაგვრინოთ, ცოტაც გაუძელით და გეშველებათ!

ᲝᲥᲠᲝᲨᲐ. კარგად იყავი, შვილო! ღმერთმა დაგლოცოს!.. (*პოლიციელი ხორენასთან ერთად გადის. კვირისტინეს ცრემლი მოერია*) რა გატირებს კვირისტინე? წავიდა.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ. მე რას მიყურებთ?! რა თვალი დამადგით? რა გინდათ ჩემგან?! სად ამოუვარდა იმ უბედურს საბუთი?! ყველანი ჩემზე ეჭვიანობთ! დამანებეთ თავი (*შედის ბარაკში. პაუზა*).

ᲝᲥᲠᲝᲨᲐ. ვაი, ჩვენს თავს! დღესასწაული დამთავრდა და ისევ ლტოლვილებად დავრჩით.

ᲐᲙᲘᲚᲝ. არ დამთავრდა, ოქროშა, არა! სუფრა არ გავშალოთ, მაშასადამე?

ᲝᲥᲠᲝᲨᲐ. გავშალოთ. (*ბარაკებისკენ გასწიეს. შემოდის ქელმა*).

ᲥᲔᲚᲛᲐ. ბოდიშს ვიხდი, მაესტრო! სირცხვილით როგორ შემოგხედოთ. დღე და რიცხვი ამერია, მეგონა, ხვალ გვქონდა წარმოდგენა. მაპატიეთ!

ᲐᲞᲔᲥᲡᲘ. მიპატიებია! ჯოგო, გელოდებით სადღესასწაულო სუფრაზე! (*ხიდან გალიას ჩამოხსნის, შიგ თუთიყუშს ჩასვამს და ბარაკისკენ გასწევს. ყველანი ბარაკებში შედიან. ქელმა ჯოგოს მისჩერებია. ჯოგო ადგილიდან ფეხს არ იცვლის*).

ᲯᲝᲒᲝ. (*მოჩვენებითი სიმშვიდით*) სად იყავი?

ᲥᲔᲚᲛᲐ. მერე გეტყვი. წავიდეთ, გელოდებიან.

ᲯᲝᲒᲝ. მე გეკითხები, სად იყავი?

ᲥᲔᲚᲛᲐ. ყველაფერს გიამბობ, რატომ ჩქარობ?

ᲯᲝᲒᲝ. (*ნაძალადევი თავშეკავებით*) არა, არ ვჩქარობ, ქელმა!

ᲥᲔᲚᲛᲐ. გახსოვს, ერთხელ მითხარი: როცა ცოლქმარს არ უყვარს ერთმანეთი, ბევრ რამეს უმალავენ ერთიმეორეს. მათ თავ-თავიანთი, საკუთარი ბაღები აქვთ გაშენებული, არც „უცხოს“ შეუშვებენ და არც თვითონ გადავლენ სხვის ბაღში.

ᲯᲝᲒᲝ. რომელ ბაღზე და მებაღეზე მელაპარაკები! მიპასუხე, რასაც გეკითხები. (*მკლავში ხელს ჩაავლებს*).

ᲥᲔᲚᲛᲐ. ნელა! (*ხელი გააშვებინა*) ნუ მომტეხე!.. მე და შენ დაფარული არაფერი გვაქვს. ხომ ასეა? გაცნობის დღიდან ხელისგულზე გვიძევს ჩვენი ცხოვრება.

ᲯᲝᲒᲝ. მაგ სიტყვებით ვერ დამაბამ! მითხარი, ექიმს ფული ხომ არ ეცოტავა?

ᲥᲔᲚᲛᲐ. ექიმთან არ ვყოფილვარ.

ᲯᲝᲒᲝ. მაშ, სად? ნასვამი ხარ?

ᲥᲔᲚᲛᲐ. ჰო. კონიაკი დავლიე. დავლიე და გავისეირნე კიდეც. ოჰ, როგორ მტკივა თავი.

ᲯᲝᲒᲝ. სად? ვისთან ერთად დალიე?

ᲥᲔᲚᲛᲐ. გეტყვი, ყველაფერს გეტყვი, თუ ბოლომდე მომისმენ. მარტო დავლიე რესტორან „ქალაქურში“. ნელ-ნელა ვწრუპავდი, არც საჭმელი, არც არაფერი! სიგარეტს ვაყოლებდი. რა კარგი ყოფილა თრობა, რამდენი წელია არ დამილევია. თითქმის ჩავანახევრე ბოთლი, დანარჩენი იქვე დავტოვე. გარეთ გამოვედი და უცებ ქუჩის მეძავებთან აღმოვჩნდი. არა, შემთხვევით კი არა, ჩემი სურვილით. დილით ადრე წავედი, ვიხეტიალე და ფეხებმა თავისთავად მიმიყვანა იქ.

ᲯᲝᲒᲝ. შენც არ იცი, რა სისულელეს იგონებ! მითხარ, სად იყავი, ვისთან ერთად გამოთვერი?!

ᲥᲔᲚᲛᲐ. სულაც არა ვარ მთვრალი, უკვე გამოვფხიზლდი და სიმართლეს გეუბნები. რომ იცოდე, როგორ მიყურებდნენ, კინაღამ თვალებით შემჭამეს. დღე რომ არ ყოფილიყო, ალბათ, თვალებს ამომკორტნიდნენ, ჩამქოლავდნენ კიდეც. მე განზე დავდექი. ისინი, ხუთნი თუ ექვსნი, ერთად მუშაობდნენ. იქ ნამდვილი სექსუალური ომია გაჩაღებული, ვინ ვის დაითრევს, გახურებული ვაჭრობაა! თხუთმეტ წუთში ათმა მანქანამ მაინც გამიჩერა. ვდგავარ და სიამაყით ვივსები. თურმე რა ფასი მქონია და არ ვიცოდი.

ᲯᲝᲒᲝ. (*წონასწორობადაკარგული*) ქელმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქელმა! სტყუი! მითხარ, რომ ეგ ყველაფერი შურისძიებისთვის მოიგონე. რაღაც სისულელეებს ჩხიბავ! რატომ არ გინდა, სიმართლე მითხრა!

ქელმა. სრული სიმართლეა. მე არ შემიძლია ვიცრუო სახით, თვალებით, ხმით, არ შემიძლია სიმართლის დამალვა! ყველა მანქანა გავუშვი, არც ერთში არ ჩავჯექი. რა ვქნა, ვერ გავყიდე ჩემი სხეული, ვერ მოგიტანე ფული, წამალი! ვერა! ვერა! ახლა ხომ გჯერა! ვერ მოგიტანე, მაგრამ გადავდგი პირველი ნაბიჯი. რესტორნიდან გამოვედი და დამშეულივით კედელთან ავიტუზე. ვიცი, ხვალიდან ისევ ძველებურად გაგრძელდება ჩემი ცხოვრება. ვიცი! ვიცი!

ჯოგო. გასაგებია, ქელმა! (*მცირე პაუზა*) აქედან მომშორდი!

ქელმა. ჯერ არ დამიმთავრებია! აქეთ ტრამვაით რომ მოვდიოდი, საშინელმა აზრმა გამიელვა. ნეტავ ავარია მოხდეს და მე და ჩემი შვილი... თითქოს გავარვარებული შანთი გამიყარეს გულში. ხალხით სავსე ტრამვაიში მიმოვიხედე და ძალიან შემეშინდა...

ჯოგო. (*წონასწორობას კარგავს*) კმარა! (*ერთ ზეწარს ჩამოავლებს*) კმარა!.. ათმა მანქანამ გაუჩერა. ათი ნეხვი! (*მეორე ზეწარს ჩამოავლებს*) რა სიამაყით იწონებს თავს! არც ერთში არ ჩაჯდა, პატიოსანი და ერთგული ცოლია! (*მესამე ზეწარს ჩამოავლებს*) დღეს არ ჩაჯექი, ხვალ ჩაჯდები! ხვალ ჩაჯდები, ალიურა!

ქელმა. მე არაფერი დამიმალავს. რაც იყო, ის გითხარი. ახლა, რაც მოსახდენია, მოხდეს! (*მცირე პაუზა*) დამასვენე, ჯოგო!

ჯოგო. (*ხმადადაბლებით, თითქმის ჩურჩულით*) მოგკლავ, ქელმა! არ გაცოცხლებ! (*მცირე პაუზა*) ახლა წადი, თვალით არ დამენახო! (*ქელმა შედის ბარაკში. ისმის მუსიკა. უკრავს საქსოფონი. ფანჯარაში მოჩანს: ბარაკში სადღესასწაულო სუფრის სამზადისია.*) ნეტავ რაზე მოთქვამს ის საქსოფონი? (*მცირე პაუზა*) მტკვარზე თოლიები დაფრინავენ... ვინ იცის, საიდან მოფრინდნენ ან საით გაფრინდებიან. (*პირით ბარაკებისკენ შებრუნებული*) მაესტრო! მახსოვს შენი სიტყვები: მეორედ დაბადებული ადამიანი რწმენას აღარ კარგავს!.. საკმარისი არაა, გინდოდეს, უნდა შეგეძლოს! (*მცირე პაუზა*) ჩემმა შვილმა უნდა იცოცხლოს! (*უბიდან რევოლვერი ამოიღო, საფეთქელზე მიიჭედა და თავი მოიკლა. ბარაკებიდან წივილ-კივილით გამოცვივდნენ. ქელმა კარებთანვე გახევდა. მარცხნიდან შემორბის შანგო.*)

შანგო. ჯიმა! ჯიმა!

(*სცენა თანდათანობით ბნელდება. ჯოგოს ზეწარი გადააფარეს და ბარაკში შეასვენეს. ფანჯარაში მოჩანს აპარპალებული სანთლები. საქსოფონის ხოლო მაღალ რეგისტრში ადის. მუსიკა სულ უფრო ძლიერდება*).

## მეხუთე სურათი.

*გავიდა ერთი კვირა. ნათელი, მზიანი დღეა. ბარაკიდან გამოდის აპექსი, ხელში ფუთა უჭირავს. ჩიბუხს ეწევა. უკან აკილო მოჰყვება.*

აკილო. აპექსი, აღარ იშლი, მიდიხარ, კაცო?!

აპექსი. მივდივარ, აკილო! ჩემი წასვლის დროც მოვიდა.

აკილო. რატომ მიდიხარ, გაწყენინეთ რამე?

აპექსი. პირიქით, ჩემო აკილო! არასოდეს დამავიწყდება თქვენი სითბო და სიკეთე. მე თქვენ არ დაგკარგავთ! ქელმას გვერდიდან არ მოშორდეთ, ჯერ შოკიდან ვერ გამოსულა.

აკილო. ეჰ, ბრალი იმას! მაგან უკვე გადაიტანა სიმძიმილი. ბავშვს ელოდება და იმან გადაატანინა. (*მცირე პაუზა*) ის დაბრუნდება მამის სახლში, გავზრდით, ზღვის შვილი იქნება. იქ ჩვენი შვილებისა და წინაპრების საფლავებია. (მცირე პაუზა) ეჰ, ჯოგო!

აპექსი. თავისი ბედისწერის წიგნი ხელში ეჭირა და ბრმად ფურცლავდა.

აკილო. მუდამ ჩქარობდა. ძალიან ფიცხი იყო, საწყალი! ორჯერ სასწაულმა იხსნა სიკვდილისაგან. უცებ დაბერდა ახალგაზრდა კაცი. აქ რომ ჩამოვედით, სულ წახდა. ვერ გადავარჩინეთ.

აპექსი. ჯოგოს მხოლოდ თვითონ შეეძლო საკუთარი თავის გადარჩენა, სხვა ვერავინ შეძლებდა. ბობოქარი ბუნება ჰქონდა, მშვილდივით დაჭიმული ნერვები. გამუდმებით დუღდა და, ერთხელაც იქნა, გამოხეთქა, როგორც მდუღარე ქვაბიდან ორთქლმა... სიხარულით მოდიან... ტანჯვით ცხოვრობენ და ტრაგიკულად ამთავრებენ სიცოცხლეს... წავედი, აკილო! მადლობა ყველას!

(*ბარაკებიდან გამოდიან ოქროშა, კვირისტინე და ყავარჯენზე დაყრდნობილი კალისტრატე*).

კვირისტინე. აპექსი, რას ხედავს ჩემი თვალები: მიდიხარ, მაესტრო?!

აპექსი. ნახვამდის, კეთილო ხალხო! დიდი მადლობა ყველას! მე თქვენ არასოდეს დაგივიწყებთ!

კალისტრატე. სად მიხვალ, კაცო?! მაგას ველოდით შენგან?!

ოქროშა. გმადლობთ, აპექსი! მაგ ფუთას რომ ვუყურებ, მგონია, შენც საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი დევნილი და ტანჯული ხარ! ისე შეგვაყვარე თავი, თითქოს მთელი სიცოცხლე ერთად გაგვიტარებია.

(*ისმის სატვირთო მანქანის ხმა. მანქანამ დაამუხრუჭა.*)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპექსი. მადლობელი მე ვარ, ქალბატონო ოქროშა! თქვენთან გატარებულ ერთ თვეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის. იმედი არ გადაიწუროთ! ცხოვრება წინაა, ყველაფერი დაკარგული არ არის. დიდხანს ვფიქრობდი, გავცლოდი ამ მომაჯადოებელ ქალაქს...

(*შემოდიან შანგო და ხორენა. შანგო ზურგს უკან პატარა კალათას მალავს. აპექსის სიტყვას შეაწყვეტინებს*).

შანგო. მიდიხარ, მაესტრო? სწორედ რომ წასვლის დროა.

აკილო. შანგო!

კვირისტინე. ენა წინ უსწრებს, ვერ გაუჩერებია.

შანგო. ჩვენც უნდა ავახვიოთ! ოტელ „კალიფორნია" ბასტა! დაიწვა! ვალს გიბრუნებ, კვირისტინე, ცინდალი მოგიყვანე. (*ხელში კალათა მიაჩეჩა. კვირისტინე სევდანარევი სიხარულით დაჰყურებს*). ბარგი შეკარით, აქედან უნდა გადავსახლდეთ!

ოქროშა. რატომ უნდა გადავსახლდეთ?

კვირისტინე. სად უნდა გადავსახლდეთ?

აკილო. რას მიედ-მოედები, წესიერად გაგვაგებინე!

ხორენა. ოქროსმაძიებლებო, მორჩა, მალე უნდა აიბარგოთ! ამერიკელებმა აქ ნაგვის გადასამუშავებელი ქარხანა უნდა ააშენონ.

კალისტრატე. ქარხანა?

შანგო. ჰო. შედის ნაგავი და გამოდის დსპ, პლასტმასი...

ხორენა. რა მაგალო ხალხია ამერიკელები! თუ უნდათ, ქურთისტანს დაბომბავენ, თუ უნდათ, ნაგავს ოქროდ აქცევენ. (*იცინის*).

კვირისტინე. ნეტავ, რას იკრიჭები?! სულ ოქროს კბილები გელანდება! (*შანგოს*) ამ ბარაკებსაც დაანგრევენ?

შანგო. აბა, რას იზამენ! ასე შემოუთვლიათ, აქ ნაგვის გადასამუშავებელი ქარხანა უნდა ავაშენოთ, მტკვარი კი რძის მდინარედ ვაქციოთო.

კვირისტინე. (*კალათას მოუქნევს*) უჰ, შე ჩემი სისხლის გამშრობო!

აკილო. რა დროს ხუმრობაა, შანგო! გვითხარ, რა ხდება? მართალს ამბობ?

შანგო. რა მოგივიდა, აკილო?! ფიცილს თუ რამე დაეჯერება, ჯოგოს სულს გეფიცები!.. დღეს გაზეთებშიც დაიბეჭდა.

(*პაუზა*)

აკილო. რა ვქნათ ახლა, კაცო, ა?!

კვირისტინე. ისევ თავიდან უნდა ავიყაროთ. **აღარაა უფალი ღმერთი?!** (*ცრემლი მოერია*) სად წავიდეთ, სად?!

ოქროშა. (*ცრემლი მოერია*) ისე შევეჩვიე აქაურობას, თითქოს ზღვაზე კი არა, სანაგვეზე ვიყო დაბადებული და გაზრდილი.

აკილო. აპექსი, შენ მაინც გაგვაგებინე, რა ხდება?! მართლა მიგვატოვა ღმერთმა?! (*მცირე პაუზა*) წარმოგიდგენიათ, კაცო, ისევ ბედის ანაბარა ვრჩებით, ღია ცის ქვეშ.

კალისტრატე. ვითომ წარმოუდგენელი რა არის?! აქამდე სად იყავი?

აკილო. სად ვიყავი? (*ვერხვთან მიდის*) სად ვიყავი! (*შუბლს მოიჩრდილავს და კენწეროს შეჰყურებს. ვერხვს ზედ მიადგება, ზროს ხელებს შემოხვევს და გულში იხუტებს.*) აქამდე ფესვები მაცოცხლებდა. წყალი ფესვიდან ადის კენწეროში... მშვიდობით, ჩემო დარო და ავდარო! მშვიდობით, ჩემო ჩრდილო და სულის მოთქმავ! (*შემობრუნდა*) აპექსი, მე შენთან მოვდივარ! (*სცენაზე შემოდის ბორბლებზე შემდგარი ფიცარნაგი, აკილო ზედ ადა*).

ოქროშა. ჩვენ რა ვქნათ, კალისტე?

კალისტრატე. აქ რაღა დაგვრჩენია!

კვირისტინე. აპექსი, ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული. ერთად წავიდეთ! (*ოქროშა, კალისტრატე და კვირისტინე ადიან ფიცარნაგზე*).

შანგო. მაესტრო, მე ნუ დამტოვებთ! (*ადის ფიცარნაგზე*) ქელმა?!

ყველანი. (*ეძახიან*) ქელმა!.. ქელმა! (*პაუზა. ბარაკიდან გამოდის ძაძით მოსილი ქელმა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება. ქელმა შორს იყურება, გაფანტული მზერით გასცქერის სივრცეს, თვალში ცრემლი უბრწყინავს. პაუზის შემდეგ, თითქოს შეჩერებულმა დრომ მოძრაობა დაიწყო, ქელმა რეალობას უბრუნდება და ადის ფიცარნაგზე*).

შანგო. ჰა, ხორენ, რას შერები?!

ხორენა. (*გულდაწყვეტილი*) მე დავრჩები, ოქროსმაძიებლებო! ამ დილით პური არ მიმიტანია, ოთხი მშიერი ბალღი მელოდება.

აპექსი. ჩემი სანუკვარი ოცნება იყო, სოფელ-ქალაქს ჩამომევლო, მეთქვა სიმართლე და გამეთბო გაყინული გულები! (*ადის ფიცარნაგზე. ბორბლებზე შემდგარი „მოხეტიალე თეატრი" სცენიდან გადის. ისმის მუსიკა. ყველანი ხორენას ემშვიდობებიან.*)

ხორენა. არ დამივიწყოთ, შანგო! მე თქვენ ყველანი მიყვარხართ!.. ამბა!

ფარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნიკოლოზ რერიხი

## ატლანტიდის მითი

*ვინც ბოროტებას იწყალებს, სიკეთეს ვნებს*



ურუსვატიმ* მრავალს განუმარტა თუ რატომ გვეძახიან ჩვენ მსოფლიო მთავრობას. მართლაც, ყოველი ადამიანი სხვადასხვა ხარისხით გრძნობს, რომ სადღაც უნდა არსებობდეს ცოდნის კერა; სადაც ცოდნაა, იქვეა ძალაც. ზოგიერთი სამართლიანად ოცნებობს ჩვენზე, მაგრამ სხვებს ვძულვართ და მზად არიან გაანადგურონ ჩვენი სავანე.

მსოფლიო მოვლენების დროს მეთვალყურეებს შეუძლიათ შეამჩნიონ რაღაც, რაც ადამიანური ლოგიკის ზე მდებარეობს. მრავალჯერ ყოფილა, რომ ერთგულთაგანაც მიგვიღია საყვედური დაყოვნებისა და ინდიფერენტულობისთვის, მაგრამ ასეთი აჩქარებული ბრალმდებლები თვითონ მოვლენათა მხოლოდ ერთ მხარეს ხედავდნენ, რადგან არ შეეძლოთ მიზეზ-შედეგობრიობის ცოდნა. მათ არ შესწევთ უნარი შემავალ გარემოებათა შეფასებისა, არ შეეძლოთ განეჭვრიტათ თუ ზუსტად როდის უნდა გამოვლინდეს გადამწყვეტი დარტყმა. ვის ძალუძს იცოდეს გეგმა და მისკენ მიმავალი ეტაპები?

თავიანთი ნაწილობრივი გაგებით ადამიანები დაბეჯითებით მოითხოვდნენ თავის ღონისძიებებს, მაგრამ ჩვენი მოწაფეები ნაძალადევად არასოდეს არ შეუშლიან ხელს მასწავლებლის გადაწყვეტილებას. მათ იციან თუ როგორ მოიყვანონ ჰარმონიაში თავიანთი თავისუფალი ნება. ჩვენ მეტად ვზრუნავთ საკითხის ამგვარ მიღებაზე, მოვლენილ საუკეთესო ბელადთა თვისება იყო ამგვარი შინაგანი გადაწყვეტილება და ამით ადვილდებოდა მათდამი ჩვენი გადაწყვეტილების მიწოდება.

„გამწვანებული დაფნა“ იყო ის, ვისაც შეეძლო შეეხამებინა წინამძღვრობა საძმოს რჩევებისადმი კეთილგანწყობასთან, მან სრული ნდობით მიიღო სენ-ჟერმენის დარიგება და ამაში იდო მისი ყისმათი. სენ-ჟერმენი იქნებ ზუსტად იმისთვის ჩამოვიდა, რომ მომავალი ბელადი მოემზადებინა.

მთელ მსოფლიოში მიმობნეული ჩვენეული მართვის ნიშანსვეტები. ზოგმა ამაღლებულმა პიროვნებამ მიიღო იგი, მონარქების საბრალო აჩრდილებმა კი უარყვეს ჩვენი რჩევები და ამიტომ მათ ქვეყნებს უბედურება დაატყდა თავს, მაგრამ ასეთი მდგომარეობების სიკეთისკენ შექცევასაც ვახერხებთ...

შეიძლება გახსენება იმისა თუ როგორ ემცნო ერთ მონარქს დიდი ომის წინ ჩვენი გაფრთხილება. მაგრამ მან ტახტის დაკარგვა ამჯობინა ჩვენი მითითებების მიღებას. ასევე სხვა სახელმწიფოს მეთაურმა არ მოუსმინა ჩვენს ელჩს და ქვეყანა არეულობაში აღმოჩნდა.

არ შეიძლება ითქვას, თითქოსდა ძველად უფრო ხშირად ვიძლეოდით დარიგებებს, ახლაც მრავლად ვიძლევით, მაგრამ კვლავინდებურად დახშულია ადამიანთა სმენა.

ჩვენ სამყაროს სადარაჯოზე ვდგავართ.

მზის სარკე ატლანტიდაა. მასზე უკეთესი ქვეყანა არ არსებობდა. მის სიმდიდრეს შენატროდა ბაბილონი და ეგვიპტე. მზესავით ანათებდნენ დარბაზები და ტაძრები და ატლანტიდის ქალაქები, რომლებიც გამაგრებული იყო მწვანე ნეფრიტითა და შავი ბაზალტით.

მეუფენი, ქურუმნი და რაინდები - ოქროქარგული ტანის სამოსელით უხვად მოკაზმული ძვირფასი ქვებით, ნათელი ტანსაცმლით, სამაჯურებით, ბეჭდებითა და ყელსაბამებით, საყურეებით მოკაზმული მანდილოსნები, მაგრამ ძვირფას ქვებზე უკეთესი იყო მათი ნათელი და ღია სხივები.

უცხო ქვეყნებიდან მოდიოდნენ ატლანტებთან. მათ სიბრძნეს განადიდებდა სიამოვნებით ყველა, ქვეყნის მეუფის წინაშე იდრეკდნენ მუხლს.

მაგრამ განაცხადა მისანმა წინასწარმეტყველება, წმინდა ხომალდმა ატლანტებს მოუტანა დიდად გრძნეული სიტყვა:

- მთებივით აღიმართებიან ზვირთები, ატლან-

- - - - -

* ურუსვატი - დილის ვარსკვლავი, ცისკარი - რერიხის ფსევდონიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტების ქვეყანას ზღვა დაფარავს, ზღვა იძიებს შურს დაგმობილი სიყვარულის გამო.

იმ დღიდან აღარ იკიცხებოდა სიყვარული ატლანტიდაში. დიდი სიყვარულითა და სისათუთით ხვდებოდნენ სტუმართ. სიხარულით უღიმოდნენ ატლანტები ერთმანეთს და მეუფის ღიმილი, როგორც სარკეში, ირეკლებოდა სასახლის ძვირფას, პრიალაკედლებიან დარბაზებში. ხელი თვითონ მიიწევდა გულითადი გამარჯობისათვის და ხალხში ცრემლი წყნარი ღიმილით შეიცვალა. და დაივიწყა ხალხმა მთავრობის სიძულვილი და მთავრობამაც დაივიწყა ნაჭედი ხმალი, ჯავშნის პერანგი.

მაგრამ მეუფის ვაჟი განსაკუთრებით აკვირდებოდა ყველას. თავად მზის, ზღვის, ყველა ღმერთის წარმოგზავნილსა ჰგავდა, რათა გადაერჩინა დიდი ქვეყანა.

აი, ვინ იყო კეთილი! გულისხმიერიც! ყველას მოამაგე! დიდი და პატარა ყველა ძმა იყო მისთვის. ყველასთვის მზად ჰქონდა მას კეთილი სიტყვა. მხოლოდ კეთილი ახსოვდა ყველა ადამიანში. არც ერთი შეცდომა მას არ ახსოვდა დანამდვილებით, უხეშობასა და ბოღმას ის ნამდვილად არ უყურებდა. მის თვალწინ იმალებოდა ყოველი სიბოროტე და გუშინდელ ჯალათს სურდა სამუდამოდ მასავით კეთილი გამხდარიყო.

მას მიჰყვებოდა ხალხი ხროვებად. მისი მზერა მხოლოდ მისი კეთილი და ბრძნული სიტყვის, მისი ღიმილის მხიარულად მომლოდინე სახეებს ხედავდა, აი, რა კარგი ბიჭი იყო!

და როს განუტევა სული მეუფე-მამამ, ყმაწვილი ჩუმი სევდის ნაბადში გახვეული გავიდა ხალხთან, და ყველა თითქოს შეიშალა – დაივიწყეს სიკვდილი და სანატრელ მეუფეს მრავალჟამიერი შესძახეს. უფრო ძლიერ აყვავდა ატლანტიდა. ეგვიპტელებმა კი მას სახელად სიყვარულის ქვეყანა დაარქვეს.

მრავალი მშვიდი წელიწადი იმეფა წმინდა მეუფემ. მისი ბედნიერების სხივები უხვად ეფინებოდა მის ხალხს. არა ტაძრისკენ, – მეუფისკენ მიისწრაფოდა ხალხი. მღეროდა: „ჩვენ მას ვუყვარვართ, უმისოდ ჩვენ არარაობა ვართ. ჩვენი სხივია, ჩვენი მზეა, ჩვენი სითბო, თვალები, ღიმილია ჩვენი. დიდება შენდა, ჩვენო უსაყვარლესო!"

ხალხის აღტაცებული თრთოლვით მიაღწია მეუფემ თავისი აღსასრულის დღეს და დაიწყო დღე უკანასკნელი. უძლური იწვა მეფე თვალმილულული.

როგორც ერთი, ისე აღსდგა მთელი ატლანტიდა და ადამიანებმა აღავსეს ტაძრის დარბაზები, დატბორეს კიბეები, ზღვასავით აღავსეს დერეფნები, მიჰგვარეს ექიმები და გალიები. სიკვდილის სარეცელს მიაწყდნენ ტირილით: „შემოგვხედე, მეუფეო! გვარგუნე თუნდაც შენი ერთი მზერა, მოვედით, რათა შეგინარჩუნოთ. დაე, ჩვენმა სურვილმა, ატლანტებისა, გაგამხნევოს შენ. შეხედე – მთელი ატლანტიდა მოაწყდა შენს სასახლეს. ურყევი კედლივით ვდგავართ ტაძრიდან ზღვამდე და ტაძრიდან კლდეებამდე. ჩვენო ნატვრავ, მოვედით, რათა არ გაგიშვათ. ჩვენ არ გავატანთ შენს თავს არავის, რათა არ დავობლდეთ ჩვენ ყველა, მთელი ქვეყანა, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, მეუფეო, შემოგვხედე!"

იხმო ქურუმი მეუფემ ხელით, რადგან ეწადა, ბოლო სურვილი გაენდო და ითხოვა, ცოტა ხნით მაინც გასულიყვნენ, ვინაიდან განმარტოება მოიწადინა. მაგრამ დარჩნენ ატლანტები, შეიკრიბნენ, საწოლის კიდეებს მიეჯაჭვნენ. დაყრუვდა, დამუნჯდა, გაშეშდა ყველა, არც განძრეულან.

მაშინ წამოიწია საწოლზე მეუფე და მიაპყრო მზერა ხალხს და სთხოვა მათ მარტოდ დაეტოვებინათ, რათა უკანასკნელი სურვილის გამოთქმის ნება მიეცათ მისთვის, ქურუმისთვის რომ გაენდო მისი საბოლოო ნება. თხოვდა მეუფე. კიდევ ერთხელ ამაოდ ითხოვა მეუფემ. და კიდევ მაინც ყრუმუნჯებად ქცეულნი არ იძვროდნენ. არ წავიდნენ ისინი და აი, მაშინ მოხდა. წამოდგა მეუფე და ხელით მოინდომა მოეცილებინა ისინი ყველა. მაგრამ დუმდა ბრბო და საყვარელი მეუფის საყვარელ მზერას იჭერდა.

მაშინ მეუფემ თქვა:

– თქვენ არ წახვედით? თქვენ არ გინდათ წასვლა? თქვენ კიდევ აქა ხართ? აი ახლა კი გავიგე.

კარგი, მაშინ გეტყვით, ერთ სიტყვას ვიტყვი, ჩემსას. მე თქვენ მძულხართ, უარვყოფ თქვენს სიყვარულს, თქვენ მე ყველაფერი წამართვით. თქვენ ბავშვობის სიცილი წაიღეთ. თქვენ აღტაცებული იყავით, როდესაც მე მარტოდმარტო დავრჩი თქვენი გულისთვის, მომწიფებული ასაკის. ბრძნული სიჩუმე თქვენ დაარღვიეთ ყვირილითა და ხმაურით. თქვენ უარყავით თვით სიკვდილის სარეცელი...

თქვენი ტკივილი და ბედნიერება მხოლოდ მე ვიცოდი, მხოლოდ თქვენი საუბარი მოჰქონდა ჩემთან ნიავს. მე თქვენ ჩემი მზე წამართვით! მზე არ მინახავს: მხოლოდ თქვენს ჩრდილებს ვხედავდი, ცისფერი ზეცა! თქვენ არ გამიშვით ცისფერ ზეცაში...

მე ვეღარასოდეს დავუბრუნდები ტყის წმინდა და ხალას სიმწვანეს... სურნელ ბალახზე ვეღარ გავივლი... მთის ქიმზე ვეღარასოდეს ვეღარ შევინავარდებ... აქოჩრილ მდინარეს და აყვავებულ ველებს ვეღარ ვიხილავ... ტალღებზე ვეღარ ვინავარდებ... ვეღარ შევასწრებ თვალს ელვასავით სწრაფ მიმინოს... ვერც ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას ვეღარ ვიხილავ... თქვენ გაიმარჯვეთ... ვეღარ ვისმენდი ღამეში ჩურჩულს... ღვთის ნება ჩემთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა... არადა, ხომ შემეძლო ღვთის ნების გაგება და მისი სამსახური... შემეძლო სინათლის, მზის და მისი ნების შეგრძნება... თქვენ გაიმარჯვეთ... თქვენ ფარდასავით გადაეფარეთ ჩემთვის ყოველ ძვირფასს... მე თქვენ მძულხართ... უარვყოფ მე თქვენს სიყვარულს...

დაეცა მეუფე სარეცელზე. კლდეებზე მაღლა აღიმართა ზღვის ზვირთები და გადაფარა ქვეყანა ატლანტიდა.

*თარგმნა თამაზ თავაძემ*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზაურ კალანდია

## ჩვენი თანამედროვენი?!.

ის, რაც მოხდა, თითოეული ქართველისათვის გაუგონარი, შემაშფოთებელი და დამაფიქრებელიც უნდა იყოს!

გაუგონარს შეგნებულად ვამბობ, თორემ ჩვენი ბედკრული ისტორიის პატრონს არაფერი უნდა გვიკვირდეს!

სკოლაში გვისწავლია, რომ ოდესღაც, საუკუნეების მიღმა, ქართველ ბავშვებს ყურსალი მეზობლები იტაცებდნენ და ჰყიდდნენ უცხო ქვეყნების ბაზრებში...

პოეტის ტყვეობაც გვახსოვს...

დრო იყო, როცა ქართველ გლეხს ცალ ხელში თოფი ეჭირა, და ისე მიუყვებოდა გუთნის კვალს. მერე ქართველობაშიც გაჩნდა ეს სამარცხვინო სენი!

მიჭირს თქმა, რამდენად ვუწყობთ დღეს ფეხს კარსმომდგარ 21-ე საუკუნეს ქართველები, მაგრამ ჩვენი ზოგიერთი მეზობელი ისევ იქ არის, ვთქვათ, მე-18 საუკუნეში, თავისი განუყრელი კრაველის ქუდივით, ეს აშკარაა!

გიორგი ზაალიშვილი ჩეჩნეთშია ტყვედ!..

ახალგაზრდა ქართველი მხატვარი-გრაფიკოსი!

მის მშვენიერ, თვითმყოფად შემოქმედებას კარგა ხანია იცნობენ ხელოვნების თაყვანისმცემლები. არაერთი გამოფენის მონაწილე ყოფილა ჩვენში და საზღვარგარეთ!

მის უდავო ნიჭიერებაში „ცისკრის" გემოვნებიანი მკითხველიც დარწმუნდება!

ახლახან გალერეა TMS-ში მისი პერსონალური გამოფენა მოეწყო. ამ დიდებულ გამოფენას რა სევდა ახლდა თან, უკომენტაროდაც მიმიხვდებით!

ყველანი ვიყავით... ავტორის გარდა!

მაინც რა მოხდა?

შარშან, აგვისტოს თვეში, ახმეტის რაიონის სოფელ დუისიდან შეიარაღებულმა ჩეჩენმა ვაჰაბისტებმა გაიტაცეს იგი!

რა ჰქვია ამას?

საქართველოში, ქისტის ოჯახში სტუმრად მყოფს, ქისტი „მეგობრის" ხელშეწყობით, ქართველ კაცს იტაცებენ?!

რა სტუმარ-მასპინძლობაა?!

იქნებ რაიმე პოლიტიკური მიზნით იყოს?!

მეეჭვება!

რომელ პოლიტიკაზეა ლაპარაკი, როცა გამოსასყიდს (უკვე მერამდენედ და ჯიუტად) თხოულობენ, თუ არა და... დავხვრეტთო, იმუქრებიან!

მადაც კარგი აქვთ: 150 000 დოლარი!

ისე, ათ თეთრსაც რომ თხოულობდნენ წამლად, სულ ერთია! ამას მხოლოდ უზნეობა, არაკაცობა, კაციჭამიაობა ჰქვია ადამიანურ ენაზე!

არადა, ჩეჩენი მამაკაცი ვაჟკაცობაზე დებს თავს!

იქნებ ეს მიაჩნიათ ვაჟკაცობად?!

ამის დასტურია, ალბათ, ის, რომ დღეს ჩეჩენთა უმრავლესობა თავის საცხოვრისში პატარა, შინაურ საკან-საპყრობილე-დილეგს იწყობს, როგორც, ვთქვათ, ქართველი კაცი მარანს!

ვისთვის?

ყოველი არაჩეჩენისთვის, ალბათ!

რისთვის?

მხოლოდ და მხოლოდ... გამოსასყიდისთვის!

სამწუხაროდ, ისინი ჩვენი ძველი და ისტორიული მეზობლები არიან!

ჩვენგან გზას ითხოვენ ზღვაზე გასასვლელს...

თანადგომასა და ძმობას გვიხსენებენ, ოღონდ რატომღაც ცალმხრივად... მათი

„ძმობა“ მთელი სიგრძე-სიგანით აფხაზეთის ომში გამოჩნდა!

ღმერთო მაპატიე, თუ რამე უკმეხი ან შეურაცხმყოფელი წამომცდა მომაკვდავი დათვის ტორებთან მდგომი ერის ცხოვრების წესსა და ზნეობაზე, მზადა ვარ, თუნდაც ერთს, სხვანაირად მოფიქრალ ჩეჩენს ბოდიში მოვუხადო, მაგრამ... დღეს?..

გიორგი ზაალიშვილი - მხატვარი კაცი ტყვედა ჰყავთ!

გამოსასყიდს ითხოვენ...

...

რუბრიკას, სადაც ეს პატარა წერილი დაიბეჭდება, „ჩვენი თანამედროვე“ ჰქვია. გიორგი ზაალიშვილი - ახალგაზრდა, ნიჭიერი მხატვარი-გრაფიკოსი, ჩვენი თანამედროვეა, ხოლო ვისზე მივანიშნებთ ამ პატარა წერილის სათაურში მცირეოდენი (?) ცვლილებით განმეორებული იმავე სიტყვებით, ამის გამოცნობა, ვფიქრობთ, „ცისკრის“ მკითხველს არ გაუჭირდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მიხეილ თუმანიშვილი

## ვცხოვრობ და ვსწავლობ ლეგენდებს

*როდესაც მამას ნაწერებს ვკითხულობ, მუდამ ერთი რამ მაოცებს: ყველგან, იქნება ეს წმინდა პროფესიული, სადღიურო, პირადი ჩანაწერი თუ შავი, „მუშა" ტექსტი", უკლებლივ ყველგან ჩაღებულია თუ წვეთებად ჩაღვენთილი რაღაც ძალიან-ძალიან პირადი, მისი განცდა, მისი შეგრძნება, მისი ტკივილი... და ეს მისეული განცდა-შეგრძნება არა მხოლოდ სულიერს, უსულოსაც ეხება და ასულიერებს: ხეს, ღრუბელს, წვიმის წვეთს, მზის სხივს, ძველ მიტოვებულ სახლს, სადღაც ძველ თბილისში მიკარგულ ოღროჩოღრო ვიწრო ქუჩას, ულამაზესი ჩუქურთმით გაწყობილ ძველებურ ხის აივანს, სანთლის ალს, რომლის შუაგულში მისი წარმოსახვა ნაირ-ნაირ კაცუნებს ძერწავს... ფანჯრის წინ წითლად აფეთქებულ ბროწეულის ხეს თუ იქვე ამოსულ უნაზეს იას..*

*იგი ყოველივე ამას ათბობს, ეალერსება, შეჰხარის, სიყვარულს უხსნის... და თანაც, ყველაფერს რაღაც ჩუმი ტკივილი, ძალიან-ძალიან ჩუმი სევდა დაჰყვება თითქოს... სულიერსაც და უსულოსაც...*

*ეგებ ეს არის მისი პიროვნების ამოუცნობი საიდუმლო, მისი ხელოვნების საიდუმლოც ეგებ ეს არის...*

*ელენე თუმანიშვილი*

### ფიქრები

„მხოლოდ შენ ერთს..."

ბავშვობაში მიყვარდა, დედა რომ რომანსებს მღეროდა. ეს დიდი ხნის წინ იყო. ჩემი ცხოვრების დასაწყისში. იგი კი გავიდა, როგორღაც უცებ გამისხლტა. და ისე გამოვიდა, რომ ბარონის მონოლოგი - თითქმის რომ ჩემს შესახებაა. რაღაც გაუგებარი, გაურკვეველი მოხდა. სიბერე მოვიდა. მოვიდა, კარზე მოგვიკაკუნა, გაღებას არ დაელოდა, თვითონ შემობრძანდა ბინაში, ყველა სკამზე ერთდროულად ჩამოჯდა, ყველაფერი დაიკავა. ვსხედვართ, ველოდებით. მივაყურადე - მაჯისცემა მაქვს ამოვარდნილი. ერთხელ, ორჯერ - არითმია ჰქვია, უფრო შელამაზებულად თუ ვიტყვით - მოციმციმე! ლეილა მეუბნება - ნუ აქცევ ყურადღებას! მეც მიციმციმებს, მაგრამ ამის შესახებ ხომ არ გატყობინებ ყოველ ჯერზე!

ძალიანაც კი მინდა არ მივაქციო ყურადღება, მაგრამ არ გამომდის. ეს წყეული დედაკაცი ყველგან დამჯდარა, ყველა ოთახში, ყველა ქუჩაში, მთელ ქალაქში, მთავრობის სასახლის წინ, მოუთმენლად რაღაცას ელის.

გრიგალი, მალე მოვა გრიგალი! ისევ! ხვალ რა იქნება, არავინ იცის. და ასე მთელი ცხოვრება? იწურება ივლისი, რომელიც სულ არ ჰგავს წინანდელებს. ეკლიანია, დავიწყებისა და დასვენებისათვის არ განგაწყობს. ახლა გვეუბნებიან, თქვენი ცხოვრება არასწორად გაიარეთო. ალბათ, ესეც არის. გუშინდელ



გაზეთში წავიკითხე, რომ ლენინი თავიდანვე მომხრე ყოფილა ტერორის, თავისი მტრების დახოცვის და ა. შ. ამაზრზენია ეს ყველაფერი. მაგრამ ზოგჯერ კარგიც ხომ ხდებოდა. იყო თეატრები, კარგი სპექტაკლები, საინტერესო რეჟისორები და მსახიობები. ახლა? მაღაზიები ისევ ცარიელია, ქუჩებში - მიტინგები და პიკეტები. ისვრიან. მოსკოვის ქუჩებში დადიან ლოზუნგით: მოვსპოთ ყველა კომუნისტი არამზადა!

ჩვენი სახლის ფანჯრებთან პატარა ბაღი გვქონდა. ბროწეული, ლეღვი, ყურძენი, წითელი გლიცინია, ვარდები, იები. ახლა აღარაფერია. ვიღაცას ჩვენს ზემოთ კიდევ ორი სართულის დაშენება მოუნდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანები ვერა და ვერ დატეულან დედამიწაზე, ადგილი ეცოტავებათ, ყოველ ეზოში აშენებენ. ურჩხული მოათრიეს, რაღაც დინოზავრი თუ იქთიოზავრი - ზუსტად არ ვიცი, და ამ ურჩხულმა ბაღის და იების ნაცვლად ქვაბული დაგვიტოვა, ქვაბული - ნაცვლად სიჩუმისა და თეატრებისა.

ეზოში ქარი ხის ტოტებს ხრის. საით მიემართება ეს ყველაფერი? კარგად ვიქნებით? ინსტრუქტორი მოსკოვიდან აღარ მიკარნახებს, სტუდენტები როგორ უნდა აღვზარდო ანდა სპექტაკლები როგორ დავდგა? იქნებ ეს უკეთესიც იყოს, მაგრამ მე ამას უკვე ვეღარ მოვესწრები. მხოლოდ ჭლექია ხოლმე სწრაფმდინარე, ეს კი რევოლუციაა, სამოქალაქო ომი. ომის დროს კი ადამიანებს და საზოგადოებას არ ეთეატრება.

არსებობს ორი ტიპის რეჟისორი: ისინი ვისაც რეპეტიცია უყვარს და ისინი, ვისაც თავისი ნაწარმოების გასაღება უყვარს. ალბათ, ერთიც და მეორეც უნდა შეგეძლოს. მეორენი დიდი ტამ-ფანდურით ახერხებენ ხოლმე თავისი უვარგისი საქონლის გასაღებას.

ჩვენ ყველანი გარდუვალობის შიშით ვცხოვრობთ. ვინ წავა ჩვენგან პირველი, ვინ - მეორე, ვინ ვის დაიტირებს? არ ვისურვებდი, ცხოვრებაში მეორედ ამ როლში აღმოვჩენილიყავი. ან იქნებ ყველაფერზე ხელი ჩავიქნიო და ისევ შევეცადო, ვიფრინო ღრუბლებში, იქ, სადღაც, წარმოსახვის ზღვარზე ვიფრინო, რომ აღარ შემეხოს, აღარ ამაღელვოს იმან, რაც გარშემო ხდება. ხომ არსებობს რაღაც მარადიული. გარშემო კი ყველაფერი ირღვევა „Вся от края и до края широка страна моя родная". ჩვენ მაინც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ ანდა ანგელოზები მოკვეთილი ფრთებით. ექვსიდან წყვილიღა დამრჩა. არადა, უნდა ვიფრინო.

სანთელი ავანთე. ცეცხლის ყურება მიყვარს. იქ, მართალია, არცთუ გარკვევით, მაგრამ მაინც შეიძლება ნაირ-ნაირი მოძრავი კაცუნები გაარჩიო. მე ვხედავ. ზოგჯერ საკუთარ თავსაც კი შევიცნობ. აი, ახლა კი ლიკა დავინახე, კარგი და საყვარელი. ალის შიგ გულში შეუღწევია, სულ ერთი ბეწოა, ნახევარსანტიმეტრიანი. აი, ახლა კი ლეილამ შემოაღო კარი (ასევე პატარა) და მეუბნება: ტუ-ტუ-ტუ, ტუ-ტუ-ტუ, ტუ-ტუ-ტუ... ესე იგი - სამსახურში მივდივარო.

მერე კი ტელეფონმა დარეკა:

- Кто говорит? слон?

- არა, ქეთი ვარ, დოლიძე. პიტერ ბრუკი ჩამოდის და ისინი „ალუბლის ბაღს" ითამაშებენ. ბილეთები უნდა ვიშოვნო.

მაშინვე ჩემი სანთლის პატარა სამყაროდან ვისკუპე, სამინლად გავიზარდე, ნამდვილ სავარძელში ჩავჯექი, სანთელი ჩავაქრე და დაიწყო დღე, სრულიად ჩვეულებრივი, ისეთივე, გუშინ რომ იყო, დღესაც და, ალბათ, ხვალაც რომ იქნება.

დილის შვიდი საათია. ეზოში აღარ არის წითელი ბროწეულები, აღარც ხასხასა ნარინჯისფერი ხურმაა. შიშველი ტოტებიღაა. სიჩუმე იქნებოდა, რომ არა შავი, მოსუქებული შაშვები, ჭახჭახით რომ სივრცეს ანაპრალებენ. თავის ქალბატონებს ეარშიყებიან. ან იქნებ მხოლოდ მათთვის გასაგებ მნიშვნელოვან შაშვურ საქმეებზე მსჯელობენ. სარეპეტიციოდ ვემზადები. ეს ერთადერთია, რაც ჯერ კიდევ სიხარულს მანიჭებს ზოგჯერ.

სასაფლაოზე წავედი. იქ ყოფნა მიყვარს. ნინელისგან არცთუ შორს ჩემი უახლოესი მეგობრის ახლად გათხრილი საფლავია. ისიც ახლახან წავიდა ჩვენგან. დაწყევლილი წელიწადია, ყოველდღე ვიღაცის პანაშვიდია, ვიღაცის დაკრძალვა. დაკრძალეს სოლიკო ვირსალაძე - უდიდესი მხატვარი. სად მიდიან ისინი ყველანი? ლეილა ფილოსოფიურად ამბობს: - მერე რა, ჩვენი თაობის დროც მოვიდა.

ჩვენს თეატრალურ სამყაროში უცებ ყველაზე მოხუცი აღმოვჩნდი. სასაცილო აღმოჩენაა. სულ უფრო ხშირად ვგრძნობ დაღლილობას, ტახტზე წამოწოლა მინდება. 70 წელი - ეს უკვე საქმეა: ნეტავ, რამდენი დამრჩა კიდევ?!

დღე, თვე, წელიწადი, ორი-სამი წელი?

პიტერ ბრუკის „ალუბლის ბაღზე" მივდივარ და სამინლად ვღელავ. რა მაღელვებს? იქაც, კულისებშიც ღელავენ. ეს მღელვარება ბადებს თეატრს. მე მათგან რაღაც არაჩვეულებრივს მოველი, ისინი კი თავიანთ ტანჯვაზე - ჩემს ემოციურ რეაქციას. ისინი ფიცარნაგზე საჩვენებლად, გასაშიშვლებლად გამოვლენ. მათ ხალხი ნახავს (და მეც მათ შორის). ისინი კი გვიჩვენებენ თავის საიდუმლოებებს - ნაგანჯ-ნაგრძნობს, რასაც ცხოვრებაში ჩვეულებრივ, მალავენ. სწორედ ასეთ ორმხრივ ღელვა-წამებაში იბადება ის განუმეორებელი სასწაული, რისი გულისთვისაც ადამიანები თეატრში დადიან, ურთიერთგამანაყოფიერებელი მღელვარება. რა კარგია, როდესაც დღესასწაულის წინათგრძნობა, მოლოდინი მართლდება და სულში კვალს ტოვებს.

დრო მიქრის, მიექანება სადღაც, დილა - საღამო, დილა - საღამო, ღამე და ისევ დილა. წინ კი მთელი დღეა. რაღაცას ვსაქმიანობ, რეპეტიციის ჩატარებაში ვეხმარები სხვებს, ინსტიტუტში მეცადინეობებზე დავდივარ და სულ ვფიქრობ იმაზე, რომ ყველაფერი ეს უკვე იყო, ყველაფერი მიკეთებია. რატომღა ვიტყუებ თავს, მე ხომ ეს არ მაინტერესებს. ჩემი მსახიობები ავსტრალიაში არიან, მათ შესახებ არაფერი ვიცი, ესე იგი, მათ უკვე შეუძლიათ უჩემოდ ყოფნა.

კარში კი გაზაფხულია, სითბოა, გულს უხარია. მხოლოდ სული დამიმძიმდა და დამიცარიელდა, „И некому руку подать...". მოხუცი კლოუნი არენას ტოვებს. „ქალაქის" მერე, რამდენი წელია არაფერი დამიდგამს, არაფერი შემიქმნია. ორგანიზაციული საკითხებით ვარ დაკავებული, მშენებლობის პრობლემებით, რემონტით და თავს ვიტყუებ, რომ ძალიან მნიშვნელოვან საქმეებს ვაკეთებ. კარგი იქნება, გამოვფხიზლდე, ამ გაურკვევლობიდან გამოვაღწიო და იქ, საკუთარ თავში წესრიგი დავამყარო. მონასტერს წავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სულიყავ და მარადიულისთვის მიმეხედა. რაღაც სულიერი, ძალზე მნიშვნელოვანი გვისხლტება ხელიდან.

ფანჯარა გამოვაღე. იქ კი მერამდენედ უკვე დაუოკებელი ამონაზარდით იშლება, ფეთქავს გაზაფხული, ფეთქავს აკვირტებული. ბროწეულის ხის ქვეშ მთელ ქვეყანას ყივილით აყრუებს მამალი და ქათამი კრიახობს - კაცობრიობას მემკვიდრე უულისწულის დაბადებას აუწყებენ, რომელსაც მერე წაართმევენ და ერბოკვერცხად აქცევენ. რაღაც უნდა იღონო, გამოფხიზლდე, ტოტს შეახტე, მთელ ქვეყანას შესძახო, პროტესტი გამოუცხადო. მერე კი საქმეს მიხედო, მუშაობა დაიწყო. მთელი საქმეც ისაა, რომ საკუთარ თავში აუცილებლად დაჯაბნო ეს უაზრო არსებობა. აპრილი თავდება. გაიღვიძე, გაიღვიძე! მოიმარჯვე გუთნის სახელური და გაირეკე წინ ხარები (ცხოვრება და წარმოსახვა). როგორ ხარ, ვინ ხარ, საით მიდიხარ, საით მიდიხართ?

უფრო ხშირად მივაშურებ წარსულს და ვცდილობ, იქ დავიმალო. ძალიან მინდა დავხატო უზარმაზარი ფრესკა, ხელი მთიდან, საიდანაც მთელი ჩემი ცხოვრება გამოჩნდება. ძალზე საინტერესო ამბავია და უკომიკურესიც.

მადლობა ღმერთს, ცოტათი გრილმა ნიავმა წამოუქროლა. ამოძრავდნენ, ათრთოლდნენ ხეებზე ფოთლები. მოძრაობა - სიცოცხლეა, თეატრი - მოძრაობა. გაჩერება არ შეიძლება, ნიღბის მოძრაობა, რომლის მიღმაც შეიძლება უმსგავსობას დავემალო. უნდა ვიმუშაო და ვიმუშაო, უსიამოვნო წვრილმანებს რომ არ გამოვექციდო, ვიდრე ძალა მეყოფა (ის კი გამოლევაზეა).

ჩვენს ეზოში შავი კატები მოშენდ-მომრავლდნენ და უკვე ველარ გამიგია, ისინი როდის გადამირბენენ ხოლმე, მე გზას, როდის კიდევ მე მათ. ამიტომაც ჩემს ცხოვრებაში წარმატება-წარუმატებლობა ერთმანეთში აირია და ერთ მოსაწყენ ნაკადად იქცა.

ბუნებას რაღაც ემართება. გამუდმებით რაღაც უცნაური თავსხმა წვიმებია, ხანძრები, მეწყრები, მიწისძვრები, კატასტროფები გზებზე, ატომურ სადგურებზე, ქარბორბალები, ქარიშხლები. დახმარების ნაირ-ნაირი ფონდი ჩამოყალიბდა, ნომრებსაც კი ვერ დაიმახსოვრებ. ადამიანები ცდილობენ, თავისივე დანგრეული კულტურის ძეგლები გადაარჩინონ, თეატრი პრესტიჟული გახდა. მსახიობები, რომლებსაც წინათ წესიერ საზოგადოებას არც აკარებდნენ და ეკლესიის გალავანში არ ასაფლავებდნენ, ახლა სახელმწიფო მოღვაწეებად იქცნენ, გაბლენძილი, პრესტიჟული დეპუტატები გახდნენ. პრესამ და ტელევიზიამ იმდენი ადრე აკრძალული სიმართლის ლაპარაკი დაიწყო, რომ უცებ გაირკვა ჩვენ თურმე ერთ უზარმაზარ, სიბინძურით სავსე სანაგვეში გვიცხოვრია. გაქრა სულის სარგო თეატრები, განმანათლებლობა უკანა პლანზე გადავიდა. საზოგადოების ცხოვრება შეიცვალა, წინანდელი ინტელიგენციის ნაჩენნი საიქიოს წავიდნენ და საზოგადოებაც სულიერების, იდეალების, ოცნებების გარეშე დარჩა. სოფელმა თავისი პირველქმნადობა, გულუბრყვილო სიბრძნე და სისუფთავე დაკარგა. იგი ქალაქსა თუ დედაქალაქში გადმოსახლებული, ხეპრეობად და სირეგვენედ გადაიქცა. უწინ არსებობდნენ ბაცაცები და ქურდები, მაგრამ ისინი ცოტანი იყვნენ. მათ თავისი ფილოსოფია ჰქონდათ. ახლა კი ყველა „ქურდია" და ბაცაცა-თაღლითი, ოღონდ ოფიციალური, თანამდებობიანი. „მაღალმა საზოგადოებამ" ყველაფერი შთანთქა. ჩვენ გავმეშჩანდით და თავისუფლება მხოლოდ საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად გვჭირდება. „მაღალი საზოგადოება" - ნომენკლატურული მუშაკებია, რომლებიც რატომღაც, ყველაფერ იმას ღებულობენ, რასაც ნორმალური ადამიანები ვერ მიიღებენ. ღმერთო, მოგვიტევე ჩვენ ცოდვილთ. აი, ასეთები ვართ, საზიზღრები, ცარიელები, პრეტენზიულები, ნახევრად ტიტველნი, თუმცა გაჭირვების კი არა, მოდის გამო, ფეხზე - ნახევრად უცხოური, ნახევრად ეროვნული აღიდასები გვაცვია, მაგნიტოფონებს ვაგრიალებთ, პორნოვიდეოფილმების ყურებისას გული გველევა, ერთმანეთს არაფრის გულისთვის ვკლავთ, ხოლო ჩვენი საყვარელი ქალაქის ქუჩებში ფანჯრებიდან და აივნებიდან საჭმლის ნარჩენებს ვყრით. ტყეები დავაბინძურეთ, ჭალა წავბილწეთ, დასაჯდომი ადგილი არ დავტოვეთ, ზედ ბუჩქებთან თუ არ შევაყენეთ ჩვენი მანქანები, არ იქნება, ფეხით სიარულს გადავეჩვიეთ, ხეპრეობა გააზნაურდა და ყველაფერი მიდის პროგრამით - „Кто был ничем - тот стал всем!".

არა, იქ, ომში, მომავლის სულ სხვა სამეფოზე ვოცნებობდი. რა გულუბრყვილო ვიყავი. დედამ გამზარდა ასე არაამქვეყნიური. ჩვენ ყველანი კი ერთად ვლამობთ „პროგრესს გავუსწროთ!"

წავიდა ცხოვრება. როგორც დღეს ამბობენ, თურმე არასწორად გვიცხოვრია და კარგი არაფერი გაგვიკეთებია. ჩვენ ყველაფერი წარსულში მოვიტოვეთ. წავიდა ცხოვრება. რა საინტერესოა! რა არ მომხდარა ამ ცხოვრებაში, თითქოს საგანგებოდ მოგონილი კინოფილმი დატრიალდაო. ბავშვობა, საერთო ჯამში, ძალიან მძიმე - საქართველოს გასაბჭოება, ირგვლივ აპატიმრებდნენ და ხვრეტდნენ, ტროცკისტებს იჭერდნენ. უშბაზე ჩემი ნათესავი პიმენ ღვალი დაიღუპა. ამტკიცებდა, იქ ავი სულები არ არისო. თუმცა ამბობდნენ: სულ ერთია, მას, როგორც ტროცკისტს (მისი საწერი მაგიდის თავზე ტროცკის პორტრეტი ეკიდა), მაინც დახვრეტდნენო. სკოლა - ჩვენთვის ბედნიერი ხანა, მთელი პლანეტა. პედაგოგები კარგი გვყავდა, ძალიან განათლებულები, ჯერ კიდევ ლევანდოვსკის გიმნაზიის დროისა. შემდეგ - წითელ არმიაში სამსახური. ომი. მთელი ამბავია: საზღვარზე, უკან დახევა, დაჭრა, ტყვეობა, გაქცევა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხეტი-ალი, რამდენჯერმე დასახვრეტად წამიყვანეს, გადა-ვრჩი, პარტიზანობა, ისევ ჯარში, ამჯერად ყუბანელ კაზაკთა კავალერიის კორპუსში, იერიში, პერეკოპი, ჰოსპიტლები. სახლში - ომისშემდგომი მძიმე წლები, ცალი შავი პური - 100 მანეთად. ღამეები არ გვეძინა იმის მოლოდინში, რომ მოვლენ და, როგორც ტყვეობაში ნამყოფს, დამაპატიმრებენ. იმ დროს ყველა ასეთს შუა აზიაში ან ციმბირში ასახლებდნენ. მთელი ოჯახებით ასახლებდნენ. ინსტიტუტში ჩავაბარე. ბედნიერი დრო, მიუხედავად მძიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებისა. ნინელიკა! დავქორწინდით.

რუსთაველის თეატრი - განსაკუთრებული სამყარო. მე და ჩემი „შეიდკაცას“ მეგობრები ვცდილობდით, ხელოვნებაში რაღაც ახლისთვის მიგვეღწია. მერე სტალინის სიკვდილი. გვეგონა, ქვეყნის დასასრული დადგაო. მერე ხრუშჩოვმა გამოაცხადა, რომ სტალინი დამნაშავეა და უვიცი. მერე ახალგაზრდების ჯანყი სტალინის დასაცავად. ტანკებით და ტყვიამფრქვევებით დაცხრილეს. ყველაფერ ამის მიღმა - მღელვარებით აღსავსე ცხოვრება. ლიკას დაბადება. ნინელის სიკვდილი. მარტოობა. დავრჩით მე და ლიკა. საშინელი მდგომარეობა რუსთაველის თეატრში. წასვლა. ახალი თეატრის ორგანიზება. და, აი, ახლა, საქვეყნოდ აცხადებენ, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება შეცდომა ყოფილა, 70 წლის სიგრძის შეცდომა. ცხოვრება კი მხოლოდ ერთხელ გვეძლევა.

თოვლი, მზე, ხან ქარი ხეებს ფესვებიანად გლეჯს, ხან კი სიმშვიდეა და ისინი არც კი შეტოკდებიან ჩემს ფანჯარასთან. ვერ გაიგებ, რა უნდა ჩაიცვა... როგორც მაშინ... ის გვეუბნებოდა: „ჯერ არს ძესა კაცისასა მიცემად ხელთა კაცთა ცოდვილთასა, და ჯუარცმად, და მესამესა დღესა აღდგომად...“ და კაცთ წინანდებურად ორგულობენ, ჯვარს აცვამენ, მაგრამ ისინი თითქმის არასოდეს აღსდგებიან. მამა მეუბნებოდა: ეს ლეგენდაა, მაგრამ ყოველ ლეგენდაში სიმართლის მარცვალია - იფიქრე ამაზე.

მზეა, მაგრამ ციდან თოვლის ფანტელები ცვივა. რამდენი ხანია, ვცხოვრობ და ვსწავლობ ლეგენდებს. ვერა და ვერ გამიგია, რა ხდება ქვეყანაზე, ცოდვილნი და ფარისეველნი რატომ ტანჯავენ მართალთ. სულ ვფიქრობ და ვფიქრობ ამაზე. ჩვენს საზოგადოებაში ფარისევლები თავზე საყრელადაა.

რაღაც ხდება. მე ამას ვგრძნობ. კულტურის, სულიერების, ინტელიგენტობის დაცემა ცხოვრებაში, თეატრში, ლიტერატურაში, უნივერსიტეტში. რაღაც ხდება. მალე ყველაფერი აფეთქდება. მაიმუნი ამოთხრის ადამიანის თავის ქალას და მის შესწავლას შეუდგება. ყველაფერი დავდაყირაა.

გუშინ ობობის ყბებიდან და აბლაბუდიდან ჭიანჭველა გამოვათავისუფლე. მერე დიდხანს ვფიქრობდი ამაზე. საკუთარ თავზე კი არა, მათზე. მათთან ისევეა, როგორც ჩვენთან. ძლიერი სუსტს ჭამს. ობობას ეწყინა (რას ერევი ჩემსა და ჭიანჭველას ურთიერთობაში, რა შენი საქმეა?!). ჭიანჭველამ, მწებვარე აბლაბუდიდან გათავისუფლებისას, ცოტა ხანს იფართხალა, მერე წავიდა, კიდევაც გაიქცა თავის საქმეებზე ისე, რომ მადლობაც არ უთქვამს. გაუკეთე ამის შემდეგ მაგათ სიკეთე.

ჩემი ფანჯრის მიღმა ტოტებზე კვლავ ბროწეულებია, უზარმაზარი, იდუმალი. მეკითხებიან: აბა, როგორ ხარ, არა გიშავს?

შემოდგომა მოდის. ბუნებაშიც და ცხოვრებაშიც. წინანდელზე უფრო ხშირად ვიხსენებ ბავშვობას, ომს, რუსთაველის თეატრს (ეს არცთუ სასიამოვნოა). მიყვარს ფეხით სიარული და ცხოვრებაზე ფიქრი ისევე, როგორც ყველას ჩემს ასაკში.

სიბერე საათის გაჩერებას ჰგავს. გაჩერდა და მორჩა. რამდენიც უნდა აჩვენო ხელოსან-მესაათეებს, იმუშავებს ცოტ-ცოტას, მერე ისევ გაჩერდება. თავისი წილი იარა,ირბინა, იწიკწიკა და გაჩერდა. მაგრამ ჩვენ ეს ჯერ კიდევ წინა გვაქვს.

ჩემი შექება სახიფათო არ არის. სხვებზე მეტად ვიცი საკუთარი თავის ფასი. ახლა უკვე შეუძლებელია, შექებამ გამაფუჭოს. ყველაფერი უკვე აღსრულდა ან თითქმის ყველაფერი. ხოლო ნეტავ ვინმემ იცოდეს, რაოდენ, რა ზომაზე მძნელება ხელოვნება. მუშაობის დროს სულ ვგრძნობ, რომ ჩემი საქმის გაკეთებას ისე ვერ ვახერხებ, როგორც მომინდებოდა. ხშირად არ გამომდის ის, რასაც ვეძებ, მუდამ წარუმატებლობა დამტრიალებს. ხოლო როდესაც წარუმატებლობა მეტისმეტად აშკარაა, მოჩვენებად დამიდგება პრობლემა: იქ არ მოვხვდი, იმ კარში არ შევედი, ჩემი მონაცემების პატრონმა რა ვაკეთო მელპომენას და თალიას ამ შესანიშნავ ტაძარში? მაგრამ ახლა თავი სადღა შევრგო?

ახლახან მეოთხედ ვნახე ფელინის „ორკესტრის რეპეტიცია“. ვუყურებდი და გულდაწყვეტილი ლამისაა ვტიროდი, რომ ვერ შევძელი ასეთი რამ შემექმნა. რა ზუსტად აქვს ყველაფერი გაკეთებული. მილიონი რამ ერთ მთლიან ნამუშევარშია ჩანასკვული და, ამავე დროს, განბორკილი, კიდეებწარეცხილი.

უამრავს ვმუშაობ, ძალიან ვიღლები, ერთი სამუშაო მეორეს ასკდება და ორთავე კი მესამეს ეხეთქება. ზოგჯერ მინდა დავიყვირო: „ეი, მანდ, ვინმე, სადა ხართ?!“ მაგრამ ირგვლის მხოლოდ საკუთარი საქმეებით გართული ხალხია და შენთვის არავის სცალია.

გული მწყდება, რომ ჩვენს ძველ ბინაში უცხო ხალხი ცხოვრობს. გული მწყდება, რომ ის სადღაც მიდის, არარაში ინთქმება. ძველს ანგრევენ, ჩეხავენ, ანადგურებენ და ძველი თბილისისგან უკვე თითქმის აღარაფერი რჩება. რგავენ, აშენებენ ახალს, მაგრამ, რასაც ძველის კვალი ატყვია, ქრება. ძველ სახლებს, ქუჩაბანდებს, ბინებს იდუმალ წამთა, შეგრძნებათა, გრძნობათა, სიჩუმეთა ხსოვნა ავსებს. მათ ახლებით და, ალბათ, უფრო კეთილმოწყობილით ვერ შეცვლი. ჩვენ სულ სადღაც გადავდივართ, ვიუმჯობესებთ ყოფას, ვეძებთ საბოლოო თავშესაფარს. ზოგჯერ სულელური აზრები მომდის თავში: რომელი ოთახიდან გამასვენებენ?

ბევრი რამ, ძალზე მნიშვნელოვანი, რაც არავის მიერ არასდროს ცხოვრებაში არ ფიქსირდება, მიდის, არ ნარჩუნდება, ირეცხება, ცვივა, ვითარცა ძველი ფრესკა. ხშირად ამ მოგონებებს უმოწყალოდ ვექცევით. ისინი ჩვენთან ერთად სადღაც მიდიან,. იქ, სადაც არ არის ბინები, საერთოდ არაფერია. იქ მხოლოდ სულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამას წინათ, სამხედრო კომისარიატში გამომიძახეს და მითხრეს: წარმოადგინეთ ცნობა, რომ თქვენ ომში დაჭრილი იყავით, მაშინ პირველი ხარისხის ორდენი გერგებათ. ავღელდი: რის ცნობა, გერმანელები ცნობებს არ გასცემდნენ, ისინი ან გკლავდნენ, ან ტყვედ მიჰყავდი. რატომ უნდა ვამტკიცო, რომ დაჭრილი ვიყავი? აი, ჩემი ნაიარევი, ჩემი ჭრილობა და მომშორდით თავიდან, დამანებეთ თავი თქვენი ორდენებიანად. პირადად ჩემთვის ვიყავი დაჭრილი, რად მინდა თქვენი ორდენი! ემმაკსაც წაუღიხართ ყველანი!

აბიტურიენტებთან ჩემმა შეხვედრებმა ძალიან უსიამოვნო შეგრძნება დამიტოვა. შეუძლებელია, თეატრის პრობლემებზე, ჩვენი ხელოვნების პრობლემებზე უამრავი ხალხის წინაშე ისა-უბრო. არადა, ისინი 40 კაცზე მეტნი იყვნენ. აქ კი კონტაქტი ერთეულებთან უნდა დაამყარო, უკიდურეს შემთხვევაში, ათ კაცთან. თორემ ვდგავარ, თითქოს სახანძრო კოშკიდან რაღაცას ვქადაგებ, ისინი კი ქვემოდან მათვალიერებენ და საკითხის არსზე კი არ ფიქრობენ, არამედ იმაზე, თუ ამ საზიზღრობას როგორ ვაკეთებ. არ ღირს ხელოვნების შესახებ ბევრი ლაპარაკი, ის უნდა აკეთო, უნდა მოსინჯო. მონაწილეობა ორივე მხარემ, მსახიობებმაც და რეჟისორებმაც, უნდა მიიღოს. რასაც თავად გრძნობ, ძნელია, სხვის საკუთრებად აქციო. მთავარია, მათში მოძებნო ეს და დაანახო, სად უძევთ იგი. დაანახო, როგორ გამოიყენონ და განავითარონ ეს სიმდიდრე. ქმედებათა სცენარი - აი, რა არის საჭირო და მხოლოდ ამის შემდეგ - სიტყვები. ძნელია. ძნელია, იმიტომ, რომ საჭიროა სვლა, ხერხი მოძებნო, მას კი ისე იშვიათად აგნებ!

როდესაც მსახიობს არ გამოსდის (თუკი რასაკვირველია, ის ნიჭიერია), ეს ნიშნავს, რომ არ გამოსდის რეჟისორს. არსებობს ასეთი სარეპეტიციო სიცარიელეები, როდესაც ყველაფერი, რასაც აკეთებ, ბრტყელ-ბრტყელია, ოდესღაც უკვე გამოყენებული და არც სიცოცხლის სცხია რამე, არ თამაშდება, არ იშლება პასიანსი. მაშინ ეცემი ხოლმე მსახიობს, სხვა არაფერი დაგრჩენია, თუ არა ვინმე სხვას გადააბრალო საკუთარი დანაშაული.

გამუდმებით უამრავი უსიამოვნებაა. ან იქნებ ეს ჩვეულებრივი ცხოვრებაა, მე კი უბრალოდ, მეჩვენება, რომ უსიამოვნებებია. ჭიანჭველებსაც მოსდით უსიამოვნება, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ. მეც უნდა მივეჩვიო, ყურადღება არაფერს მივაქციო! მუშაობისგან სიამოვნება მივიღო, ჩავიძირო მუშაობაში, თავი მივცე მუშაობას, კიდევ მეტი ვიმუშაო, უსასრულოდ ბევრი! ალბათ, შეიძლება დროის დაწნეხვა. უბედურება ისაა, რომ ჩვენ ძალზე მგრძნობიარენი ვართ, იოლია ჩვენი ტკენა, ყველაფერი მოქმედებს ჩვენზე, ყველაფერი გვანერვიულებს. ვერაფრით შევეგუებივართ იმას, რომ ქვეყნიერებას ჩვენს გემოზე ვერ გადავაკეთებთ. ან იქნებ არც ღირს მისი გადაკეთება, დე, გასწიოს იქ, სადაც, ქვესკნელისაკენ?! ასეა ჩაფიქრებული.

# წერილი მსახიობს

ჩემო ძვირფასო! ძალიან მინდოდა, მომეწერა შენთვის და ჩემი შიში თუ განცდები გამეზიარებინა. პასუხს არ ველი. ეს სისულელე იქნებოდა. ჩვენ ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს და ამგვარი უსტარის გარეშეც შეგვიძლია, ვისაუბროთ. მაგრამ ძალიან მინდა მოგწერო იმის შესახებ, რაც ასე მაღელვებს, წარმოუდგენლად მაღელვებს. ჩვენ, რეჟისორები, იმდენს ვლაპარაკობთ, რომ მსახიობებს ხშირად ეძნელებათ მთავარის გამოყოფა კერძოსგან. ჰოდა, დღეს მთავარი მინდა გამოვყო.

მოვუხმირე ფიქრს საკუთარ თავზე, შენზე, თეატრზე, თანამედროვე თეატრზე. საერთოდ, მაფიქრებს ის, რომ ჭეშმარიტი თეატრალური სკოლა ქრება, ნელ-ნელა ქვიშაში იპარება, როგორც ტალღები ზღვის პირას.

ძალიან მაღელვებს ის, რომ ჩვენს შემოქმედებაში სულ უფრო და უფრო ქრება განცდის უტყუარობა, სცენაზე სულ უფრო ხშირად მიახლოებითი ცხოვრება თამაშდება და არა თავად ცხოვრება. ჩვენ დავმშვიდდით, ტელე და რადიოსტუდიებში მიმოვიფანტეთ, უგერგილო, არაპროფესიულ გადაცემათა ხშირი სტუმრები გავხდით, ჩვენ სცენაზე ვამპირებივით ასეულობით ნაცნობი შტამპი ამობობდა. შტამპი - საშინელი სენია, მსახიობური სკლეროზი. ეს ნაადრევი სიბერეა, საშინელება. შტამპი - შემოქმედების სიკვდილია. შტამპს ძებნა, დაძახება არ სჭირდება, ის თავისით იბადება. საკმარისია, საროლო რვეულის პირველივე გვერდი გადავფურცლოთ, რომ უმალ შტამპიც ჩვენთან გაჩნდება. და ჩვენც ვიწყებთ თამაშს, დაშტამპვას, ერთსა და იმავე მოძრაობებს, ინტონაციებს, პატარ-პატარა ტრიუკებს ვიმეორებთ. სპექტაკლიდან სპექტაკლში გადაგვაქვს ისინი და გვავიწყდება, რისთვის ვართ აქ შეკრებილნი. შეიძლება ვიღაც ნაცნობებმა სპექტაკლის შემდეგ შეგვაქონ, ისე, უბრალოდ, იმისთვის, რომ გვასიამოვნონ. ისინი ხომ ამით არაფერს კარგავენ. ეს კი საშინელებაა!

თეატრის მსახურების ორი ტიპი არსებობს: ერთია - ხელოვნების არაჩვეულებრივ სამყაროში ფანატიკური ჩაძირვა, მეორეა - როცა თეატრი სამუშაო ადგილად, სამსახურად იქცევა, ადგილად, სადაც ჯამაგირს გიხდიან.

ეს, თითქოსდა, ჩვენ არ გვეხება. მე მგონია, რომ ჩემი მსახიობები - ის ადამიანები არიან, რომელთაც თავისი ღვთით ბოძებული ერთი სიცოცხლე თეატრის მსახურებისვის, მისი ქალღმერთის მსახურებისთვის გაიღეს. და მით უფრო ძლიერ სახიფათოა და დამღუპველი „სკლეროზი", რომელზეც ვსაუბრობთ. ეს საშინელი დაავადება შეუმჩნევლად მოგეპარება, რომ ხელი სტაცოს და გაანადგუროს ცოცხალი, მეთქავი, მკრთომარე. ეგების ჩვენ ჩვენი სამუშაოთი სხვებზე მეტად ვართ გატაცებულნი (თუმცა, ალბათ, სხვებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამავე აზრის არიან საკუთარ თავზე), მაგრამ მოსმენას გადავეჩვიეთ, ᲧᲣᲠᲗᲐᲡᲛᲔᲜᲐ ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔᲗ, უმთავრესის მიმართ სმენა დაგვეხშო. დავივიწყეთ ეტიუდურობა, მუშაობის იმპროვიზაციული პრინციპი (ჯერ კიდევ არისტოტელე მიუთითებდა „პოეტიკაში“ (თავი 4), რომ თეატრი ᲘᲛᲞᲠᲝᲕᲘᲖᲐᲪᲘᲘᲓᲐᲜ აღმოცენდა!). დავივიწყეთ ანდა ვგულისხმობთ, რომ ეს ყველაფერი ჩვენთვის ნაცნობია და უკვე ათვისებული. შიში გვეუფლება, როდესაც მსახიობს როლის პირველივე სიტყვების წარმოთქმისას, პირველი მოძრაობისთანავე მისდა უნებურად შემოქმედებითი საცავებიდან ყველასთვის ნაცნობი და მობეზრებული შტამპები, გამღებები ამოაქვს. სიტყვები ჩვეულებისამებრ წარმოითქმება, ისინი კი, ენის წვერზე მოხვედრისთანავე, თვითონ ისწრაფიან ნაცნობი ინტონაციებისკენ (ცხოვრებაში ასე არავინ ლაპარაკობს, ასე მხოლოდ თეატრში ლაპარაკობენ. ეს განსაკუთრებული, ცრუთეატრალური ენაა, ის არ არის ცხოვრებისეული, არც მართალი, ის ამ ქვეყნისა არ არის!) და სცენა საშინელი სიყალბით ივსება. მსახიობების ყურს აღარ ესმის (მოსმენა – რეაგირებას ნიშნავს), თვალები ვეღარ ხედავენ, უყურებენ და ვერ ხედავენ (დანახვა – რეაგირებას ნიშნავს), წარმოსახვის ქალღმერთს სძინავს.

ამისთვის შევიკრიბეთ განა? ჩვენ, გვასწავლიდნენ, რომ როლზე მუდამ უნდა ვიმუშაოთ ისე, როგორც პირველად, დაწვრილებით, გამოწვლილვით, ელემენტების მიხედვით. გამოვიცნოთ ჩვენი გმირის ქცევის საიდუმლო – ქმედითი ეპიზოდების განსაზღვრით, იმ ვითარებათა განსაზღვრით, რომლებშიც გვიხდება მოქმედება; ამოცანების და სურვილების, კონფლიქტების და მათი განვითარების დადგენით. პარტნიორთან ურთიერთობის მიღწევას უნდა ვეცადოთ, სპექტაკლის მოდელის აგებისას როლების ფუნქციები განვსაზღვროთ და შევთხზათ. ხოლო გამოძერწო ხასიათი – ნიშნავს, სრულიად ახალი ადამიანი შეთხზა და შექმნა, შეისისხლხორცო როლი, საკუთარი თავიდან მხატვრული სახისკენ იარო. და რაც უფრო თავისუფლად და ბუნებრივად იგრძნობს თავს ეს „უცხო“ ჩემს სხეულსა და სულში, ჩემს გულში, ჩემს თვალებში, ჩემს ხელ-ფეხში, ჩემს ხერხემალში, დაბოლოს, ჩემს ცნობიერებასა და ფსიქიკაში, მით უფრო მაღალი იქნება ხელოვნება, რომლისკენაც ვისწრაფით. ყოველივე ეს ხშირად გვავიწყდება. თქვენ ახალგაზრდები იყავით, ხოლო ახალგაზრდობის ხიბლი, სინორჩე, სიყმაწვილე – მხატვრულ სახეზე „მუშაობდა“, ახალგაზრდებს ბევრს მიუტევებენ იმ იმედით, რომ მომავალში ყველაფერი გაიფურჩქნება და კეთილსურნელებას მოაფრქვევს.

მაგრამ, აი, ახალგაზრდობაც გავიდა (ამ ზღვარს, მიჯნას ვერაფრით შენიშნავ!) და მსახიობი თითქოს, თავისი თავის ნახევარს კარგავს. ეს ნახვერი ოსტატობით უნდა შეივსოს. ახლა ოსტატობა და მაღალი პროფესიონალიზმია საჭირო; ჩვენ ათი წლით დავვაქკაცდით. ნუ ღელვათ, ეს ყველა მსახიობის ხვედრია, ეს – კანონზომიერია. დიდმა სესილიამ, სხვაგვარად ვერ ვუწოდებ მას, თავისი შესანიშნავი სახეების შექმნა სწორედ ამ პერიოდში დაიწყო. ზოგნი ამ ზღვარს ისე გადალახავენ, რომ კვლავ უამრავს მუშაობენ, სხვანი კი, როდესაც რეპეტიციებზე იმავე შენიშვნებს ღებულობენ, რასაც ახალგაზრდები, განაწყენებულნი თავის თავში იკეტებიან, არათეატრალურ საქმეებს ჰკიდებენ ხელს, ე. ი. კოლექტივში უკმაყოფილებას თესავენ, თავისთვის განსაკუთრებულ მდგომარეობას, განსაკუთრებულ ადგილს მოითხოვენ. თუმცა კი ასეთ ადგილს ამნაირად ვერასგზით მოიპოვებ, ვინაიდან მსაჯული ჩვენ ყველას ერთი გვყავს – მაყურებელი, თეატრის ბილეთში ის ფულს იხდის! წესები და კანონები, რომლებიც კმარი იყო ახალგაზრდებისთვის, თურმე ხელოვნების ანბანი და არითმეტიკა ყოფილა მხოლოდ. როდესაც ბავშვები დედაენიდან კითხულობენ ლექსებს, ეს არაჩვეულებრივად მომხიბვლელია. მაგრამ როდესაც იმავეს მოზრდილი მსახიობები აკეთებენ, მათ უკვე სხვა მოთხოვნებს წამოუყენებენ ხოლმე. მათგან ხელოვნებას ითხოვენ. ეს კი სულაც არ არის უბრალო რამ. შეუძლებელია, ხელოვნებაში გასული წლების მომაჯადოებელმა ღიმილმა გაცხოვროს, ეს უჯერო საქციელია. ეს იგივეა, როდესაც ხანდაზმულ მსახიობ ქალს საკუთარი ასაკი ავიწყდება და ჩვეულებისამებრ ახალგაზრდასავით იწყებს კეკლუცს. მის მაგივრად გეუხერხულება ხოლმე. ასევეა პროფესიაშიც: მოწიფულ მსახიობს მხოლოდ ანბანი და არითმეტიკა ვეღარ უშველის, ჩვენ უკვე უმაღლესი მათემატიკის და ფარდობითობის თეორიის ათვისება გვმართებს. აუცილებელია, თავდაუზოგავად იშრომო, რომ მეორე სუნთქვა გაგეხსნას და ოდნავ მაინც მიუახლოვდე იმ ნიმუშებს, სესილია რომ ქმნიდა.

ყველაფერი თავიდანაა დასაწყები. ყოველ ჯერზე, ყოველდღე! რეპეტიციებზე ხშირად ვიმეორებთ, რომ ისე უნდა გავაკეთოთ, როგორც ცხოვრებაში. და მაინც, როგორაა „როგორც ცხოვრებაში“? ცხოვრებაში ყველაფერი ისე მარტივად როდი ხდება, როგორც გვეჩვენება. ჩვენ ვეძებთ ცხოვრებისეულ სიმართლეს „ზოგადად“ და ეს „ზოგადადაა“ სწორედ შტამპი! ყოველ ჯერზე, ყოველ როლში ყველაფერი თავიდანაა აღმოსაჩენი. უბრალო ეტიუდები, რომლებსაც ოდესღაც მრავალგზის ისეთი გატაცებით და თავგამეტებით ვაკეთებდით, თურმე არ დაგვისრულებია. ისინი ყოველდღე, ყოველ რეპეტიციაზე, ყოველ სპექტაკლზე უნდა გავიმეოროთ. ჩვენს ოსტატობას აუცილებლად ყურადღების არაჩვეულებრივი მოკრება სჭირდება, მიახლოებითობა კი არა, ნაწარმოებისათვის ყურადღების არაჩვეულებრივი მიპყრობა (როგორს რიხტერთან).

ახლა რაც შეეხება როლის ფუნქციას. რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ მსახიობს „მეფე ლირში“ გლოსტერის როლის შესახებ ვესაუბრებოდი, ვცდილობდი, ამ როლის არსი მომეძებნა, მეფე ლირის შესახებ ამბავში ამ ფიგურის ფუნქცია მეპოვა. სულ ვეკითხები საკუთარ თავს: ნუთუ არ შეიძლება ამ როლის ამოღება პიესის სიუჟეტიდან, ნუთუ მას ვერ მოვიკლებთ? და თუკი ვერა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ როლს მოხუცი მეფის შესახებ თხრობის მთლიანობაში ძალზე მნიშვნელოვანი, განსაზღვრული ფუნქცია ჰქონია. მსახიობმა მკითხა: მთავარი რა უნდა ვითამაშო გლოსტერში? ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ, ბოლოს კი დავასკვენით – გლოსტერში მთავარია ის, რომ თვალხილული გლოსტერი სინამდვილეში ბრმა იყო, ხოლო როდესაც ის დააბრმავეს, თვალი აეხილა და ყველაფერს მიხვდა. ეს მხატვრული სახის მთელი ფილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფიური სისტემაა. ადამიანი იყურებოდა და ვერ ხედავდა, ეგონა, ეხედავო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მან მხოლოდ მას შემდეგ დაინახა, რაც თვალები დათხარეს! საზოგადოებას, რომელშიც ის ცხოვრობდა, მის თვალში სულ სხვა შუქი მოეფინა. მან იდეოლოგიური კატასტროფა დაინახა. იყო სტალინი - ღმერთი და უცებ გვეითხრეს, რომ ის თურმე გაუნათლებელი კაცი, ბანდიტი ყოფილა. საშინელი ფსიქოლოგიური აღმოჩენაა. ეს რწმენის ტრაგედიაა, ტრაგედია მთელი თაობისა. ეს ხომ უნდა გაიგო, ყველაფერ ამაში გაერკვე, ცალკეულ ეპიზოდებად დაყო (ყველაფერი ნაწილებად იყოფა); ყოველივე ამის გათამაშება სცადო, ქმედით ეპიზოდებად აქციო, მათ იმპროვიზირებას შეეცადო, ქმედებით მოყვე გლოსტერის ამ ტრაგედიის შესახებ. ეს არაჩვეულებრივად საინტერესოა.

რაც ვიცი, ყველაფერი ხელახლა შევისწავლო, თითქოს არც კი მცოდნია. კიდევ ერთხელ შევიმეცნო და, ალბათ, უკვე სხვაგვარადაც. ჩვენ დავიწყეთ როლების, მოვლენათა რიგის შედგენა ძალიან ფორმალურად. გვავიწყდება, რომ ეს ნიშანია, კომპასი, ხერხემალი, რომელიც აუცილებელია, რათა სპექტაკლის ფინალისკენ მიმავალთ გზა არ დაგვებნეს და მერე - კომპასი - უბრალოდ „სამხრეთი-ჩრდილოეთი“ არ არის, ათასნაირი წვრილმანით, სურვილით, მისწრაფებით, იდუმალი ზრახვებით აღსავსე ცხოვრებაა. დიახ, დიახ, ყოველ ადამიანს, როლს თავისი ოცნება აქვს, რომლის მიღწევასაც ის, რაც ძალი და ღონე აქვს, ესწრაფვის. სცენაზე მსახიობს თავისი ყველაზე პიროვნული, მარტოობაში, საკუთარ თავთან პირისპირ განცდილი გამოცდილება მოაქვს.

წერით დავიღალე, სათქმელი კი ჯერაც მრავლად მაქვს. გთხოვთ: მოდით, სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ჩვენს ხელობას.

ყოველდღე ჩავუვლი და ქუჩიდან ვუყურებ ხოლმე ამ ფანჯარას. მჭიდროდ დახურული ფარდის მიღმა არაფერი ჩანს. მაგრამ დროთა განმავლობაში ფანჯარა თანდათან იცვლებოდა. რაფაზე რაღაც საგნები გაჩნდა. თავიდან იყო გაზეთების დასტა. მერე ყვავილებიანი ლარნაკი. შემდეგ სათამაშოები, საწოვრები, მერე - ორთქლმავლები და კონსტრუქტორები. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ხდებოდა თვალისთვის უხილავ ოთახში. მთავარი დამალულია, როგორც პლატონთან. ჩვენ კი მხოლოდ ანარეკლს ვხედავთ.

ოთახში სტუდენტი ცხოვრობდა.

შეუყვარდა, დაიწყო არშიყობა.

დაქორწინდა (როგორ აისახა ეს რაფაზე?)

დაიბადა ბავშვი. მეორე. ბევრი სათამაშო გაჩნდა.

ფული არ ყოფნით. დაიწყო სმა, ფლოსტებით სიარული.

ცოლს გაშორდა. სამსახურიდან წავიდა. რაფაზე დახვავებული ცარიელი ბოთლები. გაზეთებს კითხულობდა ისე, რომ არაფერი ესმოდა. ფანჯარაზე კვლავ უამრავი გაზეთი, რომლებმაც სათამაშოების ადგილი დაიკავა. როგორ შეიცვალა ფანჯარა!

და უცებ, ერთ მშვენიერ დღეს, ჩავუარე ამ ფანჯარას და რას ვხედავ - ფანჯრიდან ყველაფერი გაქრა. ფარდა ჩამოგლეჯილია, რაფაზე სამღებრო იარაღებია ოთახი კი ცარიელი. რა დაემართა პატრონს? იქნებ სხვებს მიყიდა ბინა? ცვალებადია ფანჯარა - რეალური ცხოვრების ანარეკლი. რა ქარმა, რა ქარიშხალმა აღგავა ეს ნივთები?

გუშინ იმ ბედშავ ფანჯარასთან ჩავიარე: ფანჯრის თავზე აბრა კიდია:

„Camel - 27 მანეთი

Marlboro - 22 მანეთი“

და მინებზე სიგარეტის კოლოფებია მიწყობილი.

სახლში კომერცია შევიდა. დროა ასეთი.

მთავარია მიზეზი, მთავარია საითკენ გადახრის ის ტოტებს. მთავარია - ცხოვრება ფარდის უკან და არა ის, რაც თვალწინაა, სიტყვებს მიღმა და არა სიტყვებში. ქვეყნიერებისათვის უხილავი ცრემლები!

## ყოველ დილას ჩამოვკრავ ზარს...

დღეს 70 წლის შევსრულდი. ცხოვრება გავლილია. მინდა შედეგები შევაჯამო. ჩემი ოთახის კედლები ესკიზებითა და ფოტოსურათებითაა სავსე, თაროები წიგნებითა და სხვადასხვა „რელიკვიებით“, ჩემს მეტს რომ არავის სჭირდება. ცხოვრება მთავრდება და უკვე შემიძლია თავი მოვუყარო იმას, რაც წლების მანძილზე დავაგროვე. ლიკა, ნინო, მიშიკო, ლეილა... თუმცა მოიცა, მოიცა... ვინ ჩავწერო ამ ჩემს სამემოსავლო წიგნში პირველ რიგში, ლეილა თუ ლიკა? ვერ გადამიწყვეტია ვერაფრით. ორივე პირველ ადგილზე უნდა იყოს, მაგრამ ჩემს გულში ადგილი ხომ ერთია - ერთ ადგილზე ორნი ვერ იქნებიან. ეს შეუძლებელია, მაგრამ... და მაინც, ვინ ჩავწერო პირველ რიგში? ოჰ, ღმერთო ჩემო! რა რთული ამოცანაა, მით უმეტეს, ჩემთვის, რომელიც მათემატიკასთან და, საერთოდ, ზუსტ მეცნიერებასთან კარგ ურთიერთობაში არასოდეს ვყოფილვარ. ჩემი შვილიშვილი მიშიკო კი ამ სფეროში ბაბუამისზე (ე. ი. ჩემზე) ბევრად კარგად აზროვნებს. ეს ნიჭი ჩემი სიძისგან, ზურიკოსგან გადაელოცა ბავშვს. აი, კიდევ ურთულესი ამოცანა, ვინ ჩავწერო პირველ ადგილზე: მიშო (ის ჩემი პირველი შვილიშვილია, ჩემი სიყვარული, ჩემი არაჩვეულებრივი ბიჭი) თუ ნინიკო? რაც უნდა იყოს, ის მაინც ქალია (ჩემი ვარსკვლავი, ჩემი ძალიანძალიან ლამაზი გოგო, ჩემი პატარა კაპარჩხანა). რა საწყენია, სიის ბოლოში ზურიკო რომ უნდა აღმოჩნდეს. რატომ უნდა იყოს ზურიკო ამ ოჯახური ერთობის ბოლოს? ისიც ხომ ჩემი სიმდიდრეა, ჩემი სიძე, კეთილი და კარგი, ჩემსავით არაპრაქტიკული. ნამდვილად ბედი მქონია! არა, არა, ხუმრობის გარეშე, მართლა ბედი მქონია.

კედლებს და წიგნის თაროებს თვალი შევავლე. აქ ჩემი უსაყვარლესი წიგნები დევს, ისინი მთელი ცხოვრება თან დამყვებიან: „გარგანტუა“, „ალისა“, „პატარა უფლისწული“ „კოლა ბრუნიონი“, ლორკა და სხვა. აქვეა ჩემი პატარა საწერი მაგიდაც. ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდესღაც საგრიმიორო თეატრალური მაგიდა ყოფილა. დიდი ხნის წინათ ეს მაგიდა საბურთალოს ბაზრობაზე ჩემმა სიმამრმა სპირიდონ ჩიქოვანმა იყიდა.

რას არ ნახავ კაცი ამ ოთახში! აი, ჩემი საუკეთესო სპექტაკლების ფოტოსურათები (ყოველ შემთხვევაში, მე მგონია, რომ ისინი საუკეთესოა). საინტერესოა, რომლები ამოვარჩიე, ალბათ, ისინი, რომლებისთვისაც, არც კი მახსოვს, რამდენი წლის მანძილზე ამდენი ვიწვალე. მოდი ჩამოვთვალოთ: „რეპორტაჟი მარყუჟით ყელზე“, ეს ჩემი პირველი წარმატებაა. აი, აქ კი „ესპანელი მღვდელია“, არსებითად, ამ სპექტაკლის შემდეგ დარწმუნდნენ ჩემი ახლობლები და მეგობრები, რომ ჩემგან შეიძლება რეჟისორი დამდგარიყო. აი, ამ კუთხეში „როცა ასეთი სიყვარულია“. მაშინ ამბობდნენ: ახალი თეატრი დაიბადაო. ეს რა არის ასეთ ძვირფას ჩარჩოში? „ჭინჭრაქა“ - გ. ნახუცრიშვილის ზღაპარი. თავის დროზე, ამ სპექტაკლის გარშემო ერთი ამბავი ატყდა. ამ ფოტოსურათზე კი „ანტიგონეა“, სერგოს და ზინას სცენა. ა. ეფროსმა მაშინ თქვა, რომ სპექტაკლი რიხტერის დაკვრას ჰგავსო. აქვეა „ბაკულაც“. სპექტაკლი ძალიან მოეწონა დ. კლდიაშვილის შვილს - სერგოს. ამავე კედელზე მოლიერის „დონ ჟუანის“ პარიზული აფიშა კიდია. ედინბურგის ფესტივალზე ამ სპექტაკლის საუკეთესო რეჟისურისათვის საგანგებო დიპლომი მომანიჭეს. ეს დიპლომიც აქვეა, ამშვენებს ფერად ფოტოს, რომელზეც მე პიტერ ბრუკთან ერთად ვარ გადაღებული. დიდი პატივია ჩემთვის. ეს კი „ჩვენი პატარა ქალაქია“, იყო ასეთი სევდიანი სპექტაკლი. აი, მგონი სულ ეს არის მთელი ჩემი თეატრალური მიღწევები და წარმატებები, ჩემი ამდენი წლის მუშაობის შედეგი. თუმცა (ჯიბეების ამოტრიალებას, ხურდა ფულის ამოღებას ვიწყებ), ინსტიტუტშიც მქონდა რამდენიმე კარგი სპექტაკლი. „ერთი თვე სოფლად“, „მშვიდობის კუნძული“, „მეექვსე სართული“. მგონი „დარისპანის გასაჭირის“ ტელედადგმაც არ იყო ურიგო, რაღაც ახლებური, სევდიანი სპექტაკლი გამოვიდა. კარგად თამაშობდნენ სერგო ზაქარიაძე. მედეა ჯაფარიძე, თინა ჩარკვიანი,. სხვებიც. მორჩა, აი, სულ ეს არის და ეს. არადა, ამ წლების მანძილზე რამდენი სპექტაკლი დამიდგამს - ჩემიც და სხვისიც. იმისთვის, რომ ნამდვილი სპექტაკლი შექმნა, ძალიან უნდა შეიყვარო ის, შიგნიდან კარგად უნდა ააგო, აავსო შენით, ფორმა მოუძებნო, გაითამაშო და თუკი თეატრის ქალღმერთი შენდამი მოწყალებას გამოიღებს (ასეთი ბედნიერი შემთხვევებიც არსებობს, ბედის საჩუქარი!), სპექტაკლი შეიძლება დაიბადოს. აურაცხელი სიმრავლიდან შენი შემოქმედებითი გზის კილომეტრის აღმნიშვნელ ბოძებად ერთეულები თუ გამოიყოფა მხოლოდ. აი, ასე! კიდევ რა? ჰო, კინაღამ დამავიწყდა: კინომსახიობთა თეატრი შევქმენი, რამდენიმე ძალიან კარგი რეჟისორიც აღვზარდე. განა, ეს სიმდიდრე არ არის?

მოპირდაპირე კედელზე, დიდ ძველებურ ჩარჩოში ბიძია მიშას (დედაჩემის ძმის) ფოტოსურათი კიდია. მის საპატივცემულოდ დამარქვეს მიხეილი. ეს სახელი ძველ ებრაულ ენაზე ნიშნავს - ვითარცა ღმერთი! მაგრამ, რასაკვირველია ეს მე არ მეხება. ბიძია მიშა კოჯორთან ბრძოლებში სისხლისგან დაიცალა, მაშის სულ ცამეტიოდე დღის ვყოფილვარ. ბავშვობიდან მიყვარდა ეს პორტრეტი, ყოველთვის მფარველ ანგელოზად მევლინებოდა. თუმცა კი ბიძაჩემი არასოდეს მინახავს. აი, აქ ჩარლი ჩაპლინის პორტრეტია. პირველმა მან მაზიარა თეატრის მთავარ საიდუმლოს: შეუქმნა გმირებს გამოუვალი სიტუაცია და ეცადო, იქიდან გამოსავალი უპოვო. ბავშვობიდან აღფრთოვანებული ვიყავი ჩაპლინით და მის საყურებლად „სოლეიში“ დავრბოდი. ახლაც, ამ სიბერის ჟამს, აღფრთოვანებული ვარ მისით და მიმაჩნია, რომ ჩაპლინი მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი ფიგურაა. ჩაპლინი ეინშტეინი და... თუმცა არა, არა, ოღონდ ისინი არა... ისინი ხომ თავისი გრანდიოზული სასაკლაოებითა და საზოგადოებრივი გარდაქმნებით სიცოცხლეს უმწარებდნენ ყველას, გეგონება, დედამიწა კაციჭამიათა ექსპერიმენტებისათვის გამიზნული სახელოსნო იყოს.

კედლიდან თაბაშირის ვოლტერი განმგმირავი თვალებით მიყურებს. რამდენჯერ მიხატია ეს თავი სხვადასხვა მხრიდან, როდესაც სკოლაში ვსწავლობდი და სამხატვრო აკადემიის მოსამზადებელ კურსებზე დავდიოდი. მაშინ ბევრს ვხატავდი. ერთხელ შიშველი, საკმაოდ ჩასუქებული ნატურა (მახსოვს, ზოია ერქვა) უნდა დამეხატა. უხერხულობისგან ვიწვოდი. არქიტექტორობა მინდოდა - ისეთი შენობის პროექტი გამოვიგონე, სადაც ცირკი, ოპერა, დრამა, კინო - ყველაფერი ერთად იქნებოდა თავმოყრილი.

აი, ასე! რა მაქვს კიდევ? აა, აი, ცნობილი დედოფლის, ნეფერტიტის და ეხნატონის ქალიშვილის მერიხამონის კოხტა, პატარა თავი. მის უკან თაროზე ჩემი წიგნები აწყვია. ესეც ცხოვრების კვალია: „სანამ რეპეტიცია დაიწყება“, „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“ და ერთი პატარა ბროშურა მოსწავლეთათვის სამსახიობო ოსტატობის შესახებ. გვერდით კოტე მარჯანიშვილის პორტრეტია. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ყოველთვის მიმაჩნდა, რომ სწორედ მარჯანიშვილია რეჟისურაში ჩემი იდეალი. ბავშვობიდან ს. ახმეტელის სპექტაკლებზე დავდიოდი, „ინ ტირანოსით“, „ანზორით“, „რღვევით“ აღფრთოვანებული ვიყავი, ჩემს იდეალად კი ყოველთვის კ. მარჯანიშვილი მიმაჩნდა. რატომ - არ ვიცი.

საწერი მაგიდის თავთან კიდევ ერთი ფოტოსურათი მიკიდია. მასზე საინსტიტუტო სპექტაკლის - „მდაბიონის“ - მონაწილენი არიან აღბეჭდილნი, ეროსი, გოგი, გიგა, ნათელა, თენგიზ აბულაძე, კაკო... ამ სპექტაკლში, ჯერ კიდევ პირველკურსელი, რეჟისორის თანაშემწის ფუნქციას ვასრულებდი. აქ ნინელიცაა, მაგრამ მასზე მოგვიანებით. ის ჩემი ტკივილია.

მაღალი თაროდან უშველებელი ზარი ეშვება. ზარზე წარწერაა: „შემოგწირე მთავარანგელოზს მიქელ-გაბრიელს სო-სია სამსავემ. მამაო - დამიცავი - დამიფარე სული წმინდა შემიწყალე“. ზარი თელავის თეატრის მსახიობმა ვანო იანტბელიძემ მაჩუქა, ოდესღაც ჩემთან სწავლობდა. ყოველ დილას ჩამოვკრავ ზარს. ნეტავ, ვის უხმობს ეს ჩემი ზარი?!

1991 წლის 6 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოლღა პეტრიაშვილი

# ლიტერატურული გროტესკის პრობლემები

## 1. ლიტერატურული გროტესკი როგორც სატირული ფანტასმაგორია

ლიტერატურული გროტესკი ახლახან გახდა აქტუალური მხატვრული ლიტერატურისათვის და, მაშასადამე, ქართული ლიტერატურისმცოდნეობისთვისაც. ეს ტრადიცია პირველად ჩაისახა ძველ საბერძნეთსა და რომში სატურნალიებისა და კომედიების სახით. შემდეგ, აღორძინების ხანაში, იგი განვითარდა დასავლეთ ევროპაში; სადაც შეიქმნა ლიტერატურული გროტესკის ისეთი გენიალური შედევრები, როგორიცაა ფრანსუა რაბლეს „გარგანტიუა და პანტაგრიუელი", სერვანტესის „დონ კიხოტი", ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობანი". ეს ტრადიცია მე-20 საუკუნეშიც გრძელდება ევროპულ ლიტერატურაში. თანამედროვე ეპოქაში უდიდეს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებთან ერთად მსოფლიო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, ეროვნებათშორის ურთიერთობებსა და, საერთოდ, კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში თავი იჩინა მრავალმა სოციალურმა წინააღმდეგობამ, კრიზისულმა მოვლენამ, რამაც გამოააშკარავა ეკოლოგიური და დემოგრაფიული კატასტროფის საფრთხე, გამწვავდა ეთნიკური კონფლიქტები, საერთაშორისო ტერორიზმი, სიმდიდრისა და სიღატაკის პოლუსები. ეს მოვლენები უფრო მეტად, ვიდრე ოკეანეები კონტინენტებს, თიშავენ ადამიანებს ერთმანეთისაგან. თანამედროვე სამყაროს კრიზისულ მდგომარეობას თავისებურად აღიქვამენ და განიცდიან პოლიტიკოსები, ფილოსოფოსები, მეცნიერები, პოეტები, მაგრამ ამ კრიზისული სიტუაციის ასახვა ადამიანებისათვის გასაგებ ენაზე შეუძლიათ მხოლოდ მწერლებს, რომლებსაც ძალუძთ თავიანთი გრძნობებისა და განცდების განსაკუთრებულ მხატვრულ-ესთეტიკურ ფორმებში გამოსახვა.

აღიარებულია, რომ მე-20 საუკუნის მოდერნისტული ხელოვნება ამას აღწევს პარადოქსულ-გროტესკული მანერითა და სტილით, რომელიც უფრო ადეკვატური აღმოჩნდა ადამიანის ამქვეყნად ყოფნის უკუღმართობის ჟამს. საკმარისია გავიხსენოთ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში რეჟისორ რობერტ სტურუას მიერ დადგმული სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე" ბერტოლდ ბრეხტის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით.

ეს გარემოება აქტუალურს ხდის ლიტერატურული გროტესკის თეორიული პრობლემების დამუშავებას. სამწუხაროდ, ლიტერატურული გროტესკი ლიტმცოდნეობაში არაა შესწავლილი, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვეობა. ლიტერატურული გროტესკის საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებზე დაყრდნობით შესაძლებელია ნაჩვენები იყოს, თუ რაში მდგომარეობს ლიტერატურული გროტესკის ძალა და სისუსტე, მისი წარმოშობისა და განვითარების გზები, პოტენციური შესაძლებლობანი და მიმზიდველობა მწერლებისა და მკითხველთათვის. ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას საჭიროა სწორად და ამომწურავად განვმარტოთ, თუ რა არის და რას გულისხმობს ლიტერატურული გროტესკი?

გროტესკი ეს არის მხატვრული პირობითობის ისეთი უჩვეულო, განსხვავებული საშუალება, რომელსაც ახასიათებს მითოლოგიზირება, მისტიფიცირება, გადაჭარბება, ჰიპერბოლიზაცია, გათამაშება, ყოველივე ამის გარეშე გროტესკი წარმოუდგენელია. მაგალითად, პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი" საყოველთაოდ აღიარებულია როგორც მწარე სატირული ჟანრის ნაწარმოები, მაგრამ მასში არავითარ გადაჭარბებას, ჰიპერბოლიზაციას არ ვხედავთ, ვინაიდან განთქმული კომედიოგრაფის მიერ შექმნილი ყვარყვარეს კლასიკური ტიპი ადამიანისა, რომელიც თანახმაა ემსახუროს ნებისმიერ ხელისუფლებას და ნებისმიერ რეჟიმს საკუთარი ანგარებითი მიზნების მისაღწევად, აბსოლუტურად რეალისტურია და, ამდენად, ნაწარმოებში არავითარ გადაჭარბებას არა აქვს ადგილი. მაშასადამე, ეს არის ჩვეულებრივი სატირა და არა გროტესკი.

მეორეს მხრივ, თუ გადაჭარბება, ჰიპერბოლიზაცია, მისტიფიცირება თუ მითოლოგიზირება აღიქმება (მწერლისა და მკითხველის მიერ) არა როგორც პირობითი ლიტერატურული ხერხი, არამედ როგორც რეალობა, მაშინ გვექნება არა გროტესკი, არამედ ეს იქნება მითი ან მითის რომელიმე ელემენტი, რომლის სჯერათ ისე, როგორც ძველ ბერძნებს სჯეროდათ თავიანთი ოლიმპიური ღმერთებისა. გავიხსენოთ დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია" (მე-13 საუკუნე), სადაც ჯოჯოხეთის ცხრა წრის აღწერაში მოცემულია გროტესკის თითქმის ყველა ნიშან-თვისება (სატირა, გადაჭარბება), მაგრამ ამ პოემის თავისებურება სწორედ ისაა, რომ გენიალურ პოეტსა და მაშინდელ მის მკითხველებს სჯეროდათ, რომ ჯოჯოხეთი და ჯოჯოხეთის ცხრა წრე სინამდვილეში არსებობს, ამიტომ აქ არავითარი პირობითობა, მისტიფიკაცია, მაშასადამე, გროტესკი არ იგულისხმებოდა. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ, მუსულმანურ და ბუდისტურ სამყაროში საერთოდ არ არსებობს გროტესკი, როგორც ლიტერატურული საშუალება. ნებისმიერ გამოგონილ გროტესკულ სიუჟეტს მკითხველი ამ ქვეყნებში აღიქვამს არა როგორც

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პირობით ლიტერატურულ ხერხს, ინტელექტუალურ თამაშს, არამედ როგორც რეალურ სინამდვილეს, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს ლიტერატურულ გროტესკს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ჯერ სულ თითოოროლა გროტესკული ნაწარმოებია შექმნილი, ფანტასტიკური რომანი კი, რომელსაც ქართულ ლიტერატურაში ვხვდებით, მაინც მეცნიერულ-ფანტასტიკური ნაწარმოებია და მას გროტესკთან ირიბი კავშირი თუ აქვს.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა განვასხვაოთ ორი სხვადასხვა ცნება: „ფანტასტიკა“ და „ფანტასმაგორია“. მათი საერთო წარმოშობის მიუხედავად (ორივე ადამიანის ფანტაზიის პროდუქტია), დიდია მათ შორის განსხვავებაც: ფანტასტიკა ძირითადად ორიენტირებულია რეალობაზე, დასაშვებ მოვლენებზე, მიზეზისა და შედეგის ბუნებრივ კავშირზე, რომელიც არ სცილდება აბსტრაქტულ თუ თეორიულ შესაძლებლობებს, ფანტასმაგორია კი უშვებს სრულიად დაუშვებელს, შეუძლებელს, იმას, რაც ბუნებისა და ადამიანის საზოგადოების კანონებს ეწინააღმდეგება. ფანტასტიკა, განსაკუთრებით, თუ იგი მეცნიერულია, წარმოადგენს ბუნების, საზოგადოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ექსტრაპოლაციას, მომავლის გარკვეულ პროგნოზს, თავისუფალ ინტელექტუალურ შემოქმედებით თამაშს, რომლის პროცესში არც ერთი ფუნდამენტური ობიექტური კანონი არ ირღვევა. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში არ არსებობს არც ერთი ნორმალური მეცნიერულ-ფანტასტიკური რომანი ან მოთხრობა, სადაც დარღვეულ იყოს, ვთქვათ, მატერიისა და ენერგიის შენახვის უნივერსალური კანონი, სადაც სერიოზულად განიხილებოდეს ენერგიის მიღება არაფრისაგან (ე. წ. „მუდმივი ძრავა“) და ა. შ. ყოველივე ეს შესაძლებელია ფანტასმაგორიაში, რომლის ცნება სპეციალურად იმისათვის არის შემოღებული, რომ ფანტასტიკისაგან განსხვავებით მოგვითხრობს იმაზე, რაც დაუშვებელია ნებისმიერ პირობებსა და ვითარებაში, მაგრამ საჭირო და აუცილებელია სატირული გროტესკისათვის.

ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ ადამიანის ფანტაზიას არ ძალუძს შექმნას ისეთი რამ, რასაც არ გააჩნია ანალოგი ანუ საფუძველი ობიექტურ სინამდვილეში. ადამიანის ფანტაზიას შეუძლია მოახდინოს მხოლოდ კომბინირება რეალური სამყაროს ელემენტებისა და დახატოს ადამიანებისათვის საკმაოდ ცნობილი, თუმცა არარეალური სურათები და სახეები. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყოველ ასეთ სურათს თუ სახეს საფუძვლად უდევს ცხოვრებისეული ნიშან-თვისებები. ასე, მაგალითად, სფინქსი არის არსება ადამიანის თავით, ლომის ტანითა და არწივის ფრთებით; მითიური კენტავრი - ეს არის ცხენი ადამიანის თავითა და ტანით; ეშმაკიც ადამიანის მსგავსია, მხოლოდ მას აქვს კუდი და ეშმაკის სხვა ატრიბუტები; უცხოპლანეტელებსაც მწერლები თავისი ნებით ხატავენ იმ „დეტალებიდან“, რასაც თავის გარშემო ხედავენ (დაახლოებით ისე, როგორც ბავშვები სათამაშო კონსტრუქტორის დეტალებიდან ქმნიან სხვადასხვა ფიგურას). ამ მხრივ როგორც ფანტასტიკა, ისე ფანტასმაგორია რეალური სამყაროს ჩარჩოებში რჩება. მხოლოდ ფანტასმაგორიისათვის უმნიშვნელოა შექმნილი კონსტრუქციების ლოგიკური თანმიმდევრობა, დასაბუთება, ფანტასტიკა კი ამას სერიოზულ ყურადღებას აქცევს. სწორედ ამით განსხვავდება ფანტასტიკა და ფანტასმაგორია. და თუ ფანტასტიკა საფუძვლად უდევს მეცნიერულ-ფანტასტიკურ ნაწარმოებს, ფანტასმაგორია საფუძვლად უდევს გროტესკს, მათ შორის ლიტერატურულ გროტესკსაც, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სატირული ფანტასმაგორია. ამასთან ერთად, როგორც ითქვა, ლიტერატურული გროტესკი, ანუ სატირული ფანტასმაგორია, არ არის მოკლებული რეალობას, ამდენად იგი რეალისტურია ამ სიტყვის ფართო გაგებით.

ის გარემოება, რომ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში შექმნილია გროტესკული ნაწარმოებები, ნიშნავს, რომ ქართულმა ლიტერატურისმცოდნეობამ ყურადღების მიღმა არ უნდა დატოვოს ეს პრობლემატიკა და დაამუშაოს იგი. უფრო მეტიც, ჩვენ მიგვაჩნია, რომ, რაკი მოგვეპოვება ლიტერატურული გროტესკის თითქმის ყველა კლასიკური ნაწარმოების ქართული თარგმანი, დაწყებული ანტიკური ხანიდან დამთავრებული თანამედროვე დასავლური ავანგარდით, - ეს ფენომენი ქართულმა ლიტერატურისმცოდნეობამ გულდაგულ უნდა შეისწავლოს და გაითავისოს.

მაგალითისათვის შევადაროთ ჟიულ ვერნის მეცნიერულ-ფანტასტიკური რომანი „ზარბაზნიდან მთვარეზე“ და კომიკური ფანტასმაგორია „ბარონ მიუნხჰაუზენის თავგადასავალი“. ორივეში ვხვდებით მსგავს სიტუაციას - მთვარეზე მოგზაურობას, მაგრამ ჟიულ ვერნთან მთვარეზე მოგზაურობა ხდება გასული საუკუნის მეცნიერულ-ტექნიკური შესაძლებლობათა დონის გათვალისწინებით - უზარმაზარი ზარბაზნიდან ჭურვის გასროლით, სადაც მეცნიერ-მკვლევარებია განთავსებული. ნაწარმოებში აღწერილია მათი პერიპეტიები ამ მოგზაურობის დროს, მაგრამ ძირითადად დაცულია ის რეალური პირობები, რაც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დახვდა კაცობრიობას კოსმოსური სივრცის ათვისებისას. ბარონი მიუნხჰაუზენი კი მთვარეზე შემდეგნაირად აღწევს: თურქეთში ყოფნის დროს იგი თესავს იქაურ მცენარეს, რომელსაც თურმე შეუძლია თავისი სიმაღლით მთვარეს მიაღწიოს, ბარონი კი ადის ამ მცენარეზე და აღმოჩნდება მთვარეზე. მკითხველი, რა თქმა უნდა, იცინის, მან კარგად იცის, რომ მსგავსი რამე შეუძლებელია, მაგრამ სიამოვნებით კითხულობს მატყუარა ბარონ მიუნხჰაუზენის მიერ მოგონილ ისტორიას, მის კომიკურ თავგადასავალს.

## 2. კლასიკური ლიტერატურული გროტესკი და მისი ვარიაციები.

ჩვენი განმარტების თანახმად, ლიტერატურული გროტესკი არის სატირული ფანტასმაგორია. ამასთან, ირკვევა, რომ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ამგვარი ნაწარმოებები, პირდაპირი გაგებით, იშვიათად ხვდება, იმდენად მცირე რაოდენობითაა, რომ ჩვენ მათ მივიჩნევთ კლასიკური ლიტერატურული გროტესკის ნიმუშებად. ესენია საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოებები: ლუციუსი აპულეის „მეტამორფოზები, ანუ ოქროს ვირი“, ფრანსუა რაბლეს „გარგანტიუა და პანტაგრუელი“, ჯონათან სვიფტის „გულივე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რის მოგზაურობანი“, მიგელ დე სერვანტესის „დონ კიხოტი“, ერაზმ როტერდამელის „სიბრიყვის ქება“, რუდოლფ რასპეს „ბარონ მიუნხჰაუზენის თავგადასავალი“, ამადეუს ჰოფმანის „პაწია ცახესი“, ნიკოლაი გოგოლის „ცხვირი“, მიხეილ სალტიკოვ-შჩედრინის „ერთი ქალაქის ისტორია“, ვლადიმერ მაიაკოვსკის „მისტერია-ბუფი“, ეჟენ იონესკოს „მარტორქა“, მარსელ პრუსტის „დაკარგული დროის ძებნაში“, ფრანც კაფკას „ცვალებადობა“, მიხეილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“, ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“, ჯონ აბდაიკის „კენტავრი“ და ზოგიერთი სხვა. ჩამოთვლილი ნაწარმოებები მიეკუთვნება ლიტერატურული გროტესკის კლასიკურ ნიმუშებს იმიტომ, რომ მათში თანაბრადაა წარმოდგენილი როგორც ფანტასმაგორია, ისე სატირა.

ფანტასმაგორიისა და სატირის ასეთი შერწყმა სრულებით არ ნიშნავს, რომ მათ არ შეუძლიათ ცალცალკე არსებობა; პირიქით, ცალ-ცალკე ისინი უფრო ხშირად გვხვდება ხოლმე ლიტერატურის ისტორიაში, მაგრამ ეს უკვე სხვა რაღაცაა და არა ლიტერატურული გროტესკი. უფრო მეტიც, კომიკურის კატეგორიების ფარგლებში ლიტერატურული გროტესკი შეიძლება უკავშირდებოდეს არა სატირას, არამედ იუმორს, ხუმრობას, ირონიას, პაროდიასა თუ სარკაზმს ან სულ არ იყოს კომიკური, რაც თანამედროვე მოდერნისტულ გროტესკს ახასიათებს. აქედან შეიძლება გაკეთდეს სწორი დასკვნა იმის შესახებ, რომ ყოველ ასეთნაირ კომბინაციაში დომინირებს ფანტასმაგორია, როგორც ლიტერატურული გროტესკის აუცილებელი პირობა და ძირითადი კომპონენტი, ბირთვი, ხოლო იმას, რასთანაც იგი ერთიანდება, მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იქმნება ლიტერატურული გროტესკის სხვადასხვა ვარიაციები - სახუმარო, იუმორისტული, ირონიული, პაროდიული ან კიდევ სარკასტული.

ასეთ დასკვნას საფუძვლად უდევს თვით გროტესკული ნაწარმოებების შექმნის ლიტერატურულმხატვრული პრაქტიკა. ლიტერატურის თეორიას არ ძალუძს (უფრო სწორად რომ ვთქვათ - არა აქვს უფლება) ჩაერიოს მწერლის შემოქმედებით პროცესში და უკარნახოს მწერალს, როგორი უნდა იყოს ლიტერატურული გროტესკი: კლასიკური, არაკლასიკური თუ კიდევ რომელიმე სხვა. პირიქით, თუ წარმოიშვა ესა თუ ის კონკრეტული ლიტერატურული ფაქტი, მაგალითად, დაიწერა გროტესკული ნაწარმოები სატირის გარეშე ან სატირა გროტესკის გარეშე, ლიტმცოდნეობა ვალდებულია შეისწავლოს ეს ფენომენი და მიუჩინოს მას კუთვნილი ადგილი ლიტერატურის თეორიაში.

ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ლიტერატურული გროტესკის სტრუქტურაში ფანტასმაგორია არის ძირითადი, სუბსტანციური არსი, რომლის გარეშე ლიტერატურული გროტესკი საერთოდ არ არსებობს, და ყოველი მისი კავშირი სხვა ლიტერატურულ მოვლენასთან მეორადია და გვაძლევს საბაბს, ვილაპარაკოთ ლიტერატურული გროტესკის გარკვეულ ვარიაციებზე. ამ ვარიაციებს გააჩნია შინაარსობრივი და ფორმალური მხარეები. შინაარსის მხრივ ლიტერატურული გროტესკი გაიყოფა შემდეგ სახეობებად: რომანტიკული გროტესკი, ნატურალისტური გროტესკი, რეალისტური გროტესკი, მოდერნისტული გროტესკი და ა. შ., ხოლო ლიტერატურული გროტესკის ფორმალურ მხარეებს წარმოადგენს მისი ზოგადი, არსებითი დამახასიათებელი ნიშნები, რომლითაც ლიტერატურული გროტესკი განსხვავდება ლიტერატურის სხვა ჟანრებისა და ნაირსახეობებისაგან. როგორი მნიშვნელოვანი, აუცილებელიც უნდა იყოს პირველადი ლიტერატურული გროტესკის შინაარსობრივი მხარე, ჩვენ ყოველთვის ანგარიში უნდა გავუწიოთ მის ფორმალურ მხარეებსაც, რომლითაც განისაზღვრება გროტესკი ლიტერატურის თეორიაში, გამოიყოფა კლასიკური გროტესკი და მისი ვარიაციები.

ლიტერატურული გროტესკის კლასიკურ ფორმასა და არაკლასიკურ ვარიაციებში იგულისხმება, პირველ რიგში, ფანტასმაგორიისა და სატირის სხვადასხვა პროპორცია, რის გამო და რისი მეშვეობითაც ლიტერატურული გროტესკი ან ძლიერდება (კლასიკური ლიტერატურული კროტესკი), ან სუსტდება (ლიტერატურული გროტესკის ვარიაციები).

აქედან გამომდინარე ვამტკიცებთ, რომ კლასიკურ ლიტერატურულ გროტესკთან ერთად და მის გვერდით არსებობს მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც ან ფანტასმაგორიაა ნაკლებად წარმოდგენილი (მაგალითად, სალტიკოვ-შჩედრინის „მღაპრებში“), ან სატირაა დაქვეითებული (მაგალითად, მაიაკოვსკის გროტესკულ ლექსში „არაჩვეულებრივი ამბავი“). ლიტერატურული გროტესკის ასეთ შესუსტებულ ფორმებს მიეკუთვნება, აგრეთვე, ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც საერთოდ არაგროტესკულია, მაგრამ მათი მხატვრული სტილისტიკა მოიცავს გროტესკის ზოგიერთ ელემენტს, მაგალითად, დიკენსისა და დოსტოევსკის ბევრი ნაწარმოები.

ლიტერატურული გროტესკის ამგვარი დეტალური გრადაცია სატირისა და ფანტასმაგორიის მიხედვით, რა თქმა უნდა, უფრო ნაყოფიერია და კარგ შედეგს იძლევა და თანაც ძალაში ტოვებს ლიტერატურული გროტესკის ძირითად განმარტებას, როგორც სატირიკული ფანტასმაგორიისა.

## 3. ლიტერატურული გროტესკის დამახასიათებელი ნიშნები

გროტესკი მხატვრული პირობითობის ისეთი განსაკუთრებული ნაირსახეობაა, რომლის ძირითადი არსი განიმარტება, როგორც სატირული ფანტასმაგორია. ამით გროტესკი განსხვავდება ჩვეულებრივი ფანტასტიკისაგან, რომელიც შეიძლება იყოს მეცნიერულიც და ამიტომ არ განიხილება როგორც ლიტერატურული გროტესკი. ვინაიდან გროტესკს მიმართავენ ხელოვნების თითქმის ყველა სახეობაში (ხუროთმოძღვრება, ქანდაკება, ფერწერა, მუსიკა, ბალეტი, ცირკი და სხვ.), ცალკე უნდა გამოიყოს ლიტერატურული გროტესკი მისი სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშნებით. ლიტერატურული გროტესკის დამახასიათებელი ნიშნების საფუძველზე ხდება ლიტერატურული ნაწარმოების იდენტიფიცირება და შეფასება, როგორც გროტესკულისა ან არაგროტესკულისა. სწორედ ამ მეტად სპეციფიკურ ლიტერატურისმცოდნეობით პრობლემას ეძღვნება ეს სტატია.

თუ არსებული ფაქტობრივი ლიტერატურული მასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლის თეორიული ანალიზის შედეგად შევაჯამებთ ლიტერატურული გროტესკის ზოგად, არსებით და განსხვავებულ ნიშნებს, მივალთ შემდეგ ძირითად დასკვნამდე:

1. გროტესკი არის მხატვრული პირობითობის განსაკუთრებული საშუალება (ანუ ხერხი), მას გააჩნია უძველესი მითოლოგიური ფესვები და წარმოშობის წყაროები, რომლებიც განაპირობებენ ლიტერატურული გროტესკის თავისებურებასა და ძირითად ნიშნებს.

2. ლიტერატურულ გროტესკს საფუძვლად უდევს ხალხური, ცხოვრებისეული საწყისი: სიცილი, მხიარული გათამაშება, მასხრობა, მაგრამ განსხვავდება მათგან იმით, რომ ყველაფერი ეს ხდება არა რეალურ ცხოვრებაში, სინამდვილეში, არამედ ლიტერატურაში, თანახმად მიღებული ესთეტიკური კონცეფციისა.

3. ლიტერატურული გროტესკი ენათესავება უსასტიკეს სატირას, რომლის განშტოებას იგი წარმოადგენს, მაგრამ მასზე არ დაიყვანება.

4. ლიტერატურულ გროტესკს თანაბრად ვხვდებით ლიტერატურის ყველა ჟანრსა და სახეობაში, სადაც არის რაიმე კომიკური: ლირიკაში, ეპოსსა და დრამაში.

5. ლიტერატურული გროტესკი ხშირად მოიცავს დაუფარავ, აშკარად დემონსტრირებულ ალოგიზმს, ლოგიკურ პარადოქსს.

6. ლიტერატურული გროტესკის აუცილებელ კომპონენტად უნდა ჩაითვალოს კონტრასტულობა, რომელიც გამოიხატება რეალურისა და ფანტასტიკურის, მშვენიერებისა და სიმახინჯის, ტრაგიკულისა და კომიკურის, რაინდულისა და ვულგარულის შეგნებულ გადახლართულობაში.

7. ლიტერატურული გროტესკის ერთ-ერთ თვისებას წარმოადგენს ზედმეტობა, გადაჭარბება, ჰიპერბოლიზაცია, რომელიც ზოგ შემთხვევაში ღებულობს კოსმიურ მასშტაბებს და პირიქით.

8. ლიტერატურული გროტესკის მნიშვნელოვანი თავისებურებაა რეალური პროპორციების დარღვევა (ნივთებისა, ადამიანისა, მისი სხეულის ნაწილების ზომებისა და ა. შ.), ზოგჯერ პროპორციების დარღვევა კარიკატურამდე მიდის.

9. ლიტერატურულ გროტესკს აუცილებლად გააჩნია სატირიკული დაცინვის კონკრეტული, ფიქსირებული ობიექტი, მკითხველმა უნდა იცნოს იგი, - ამის გარეშე გროტესკი, როგორც სატირული ფანტასმაგორია, გადაიქცევა ჩვეულებრივ ნაწარმოებად, მაგალითად, ასეთნაირად შეგვიძლია წავიკითხოთ ბავშვებისათვის განკუთვნილი ფრანსუა რაბლეს „გარგანტიუა და პანტაგრუელის“ ან ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობანის“ ადაპტირებული ტექსტები, სადაც ამოღებულია კომენტარები კონკრეტული პროტოტიპების, პოლიტიკური პარტიებისა და სხვა სოციალური მომენტების შესახებ.

10. ლიტერატურული გროტესკი შეიცავს ირონიას, მწარე დაცინვას, დაწყებული მისი უხეში ფორმებიდან, დამთავრებული რაფინირებული, ინტელექტუალური ფორმებით.

11. ლიტერატურულ გროტესკში აუცილებლად წარმოდგენილია მისტიფიკაცია, მაგია, სატანური და სხვა „ჯადოსნური“ ძალები.

12. ლიტერატურული გროტესკისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, პაროდია, თუმცა იგი ძირითადად არსებობს გროტესკისაგან დამოუკიდებლად, როგორც თავისებური ლიტერატურული ფენომენი.

13. ლიტერატურული გროტესკი მოიცავს ზღაპრულობას, იგავარაკობას, პამფლეტურობას, ალეგორიულობას, მაგრამ არ დაიყვანება ზღაპარზე, იგავარაკზე, პამფლეტსა თუ ალეგორიაზე, - ეს სულ სხვადასხვა ლიტერატურული მოვლენებია.

14. ლიტერატურულ გროტესკში ირღვევა ბუნებრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და შესაბამისობა მიზეზსა და შედეგს შორის: უმნიშვნელო მიზეზს შეუძლია გამოიწვიოს გიგანტური, კატასტროფული შედეგები მაშინ, როცა ნამდვილად სერიოზულ, ღრმა მიზეზს, როგორც წესი, მოყვება მსუბუქი, ზედაპირული შედეგები.

15. ლიტერატურული გროტესკის ყველაზე გავრცელებულ ხერხებად მიჩნეულია: შორეული ისტორიული წარსულის ან ასეთივე შორეული მომავლის ჩვენება, უცნობი ქვეყნებისა და სამყაროების გამოყენება, სიზმრები, სიმთვრალე, სიგიჟე, ფანტასმაგორიული პირობითობის დაშვება ან ზოომორფული მეტამორფოზა.

16. გროტესკული კომპოზიცია უმთავრესად თავისუფალია, იგი ემორჩილება არა ზუსტ ლოგიკას, არამედ ავტორის ან მისი პერსონაჟების ფანტაზიასა და თვითნებობას, ისე, როგორც ამას მოითხოვს გროტესკის ფანტასმაგორია.

17. ლიტერატურულ გროტესკს ახასიათებს თავისებური ენა, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურ, სიტყვიერ თამაშს - სახელებთან, ტოპონიმებთან, დაწესებულებების სახელწოდებებთან, სიტყვების იუმორისტულ გადმობრუნებასთან.

18. ლიტერატურულ გროტესკში არსებით როლს თამაშობს ქვეტექსტი, როცა რემინისცენციების, ალუზიების, იმპლიციტური გულისხმობის მეშვეობით იგი აღწევს საჭირო კომიკურ ეფექტს.

19. ლიტერატურული გროტესკის ისტორიულ განვითარებაში აშკარად ჩანს შინაგანი ლოგიკა - ანტიკური „დიონისეული სიცილისაგან“ - შუასაუკუნოვან მხიარულ „საკარნავალო სიცილამდე“ და რენესანსულ „რაბლეზიანურ სიცილამდე“ და შემდეგ - ირონიულ და სკეპტიკურ „ვოლტერიანულ სიცილამდე“, რომელიც გადაიზარდა უმოწყალო „შჩედრინის სიცილში“, ხოლო მეოცე საუკუნეში დასრულდა შავი „კაფკიანური არასიცილით“.

20. ლიტერატურული გროტესკი არის ხალხის ეროვნული კულტურის შემადგენელი ნაწილი, იგი ეროვნული ფერებითაა მოსილი, მაგრამ თავისი საუკეთესო ნიმუშებით მიეკუთვნება ზოგადსაკაცობრიო კულტურას.

ლიტერატურული გროტესკის არც ერთი ჩამოთვლილი ნიშან-თვისება, ცალკე აღებული, თავისთავად არ ქმნის გროტესკულ ნაწარმოებს, - მხოლოდ ერთად, მრავალფეროვან მთლიანობაში აღებულთ, მათ შეუძლიათ ჰქონდეთ პრეტენზია გროტესკზე. ეს იმას ნიშნავს, რომ გროტესკულ ნაწარმოებში იქმნება განსაკუთრებული, ანომალური, არაბუნებრივი მხატვრული სამყარო - სწორედ ჩამოთვლილი ნიშნების საფუძველზე, გამრავლებული მწერლის ტალანტსა და ფანტაზიაზე, მაშინაც კი, როცა ავტორს არა აქვს გათვითცნობიერებული ლიტერატურული გროტესკის

ეროვნული ბიბლიოთეკა



თეორიული კანონები.

რაც უფრო გადის დრო და თანამედროვე ლიტერატურული გროტესკი სცილდება ანტიკურ მითს, შუასაუკუნოვან ან რენესანსულ კარნავალსა და რაბლეზიანურ სიცილს, მით უფრო ნაკლებად ხვდება გროტესკი ლიტერატურაში, მით უფრო იცვლება თვით გროტესკის კანონები. ამიტომ საკარნავალო სიცილისა და ევროპული გროტესკული ტრადიციებისაგან ნებისმიერი გადახრა არ უნდა მივიჩნიოთ ლიტერატურული გროტესკის ბუნების დარღვევად.

## 4. ლიტერატურული გროტესკის მომავლის პრობლემა

ლიტერატურული გროტესკის კვლევა სოციალურ, ისტორიულ და ლიტერატურის თეორიის ასპექტში სვამს კანონზომიერ კითხვას: აქვს თუ არა მომავალი ლიტერატურულ გროტესკს, როგორც სატირულ ფანტასმაგორიას? ლაპარაკია სწორედ ლიტერატურულ გროტესკზე, ვინაიდან ხელოვნების სხვა სახეობებში (ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა, მუსიკა, თეატრი, ცირკი და სხვა) გროტესკი ძველადაც იყო, ახლაც არის და დიდხანს იქნება გამოყენებული ექსპრესიისა და მხატვრული ეფექტურობის მისაღწევად. როგორც მე-20 საუკუნის პრაქტიკა გვარწმუნებს, გროტესკულ ნაწარმოებთა რაოდენობა ხელოვნების ჩამოთვლილ სახეობებში კი არ კლებულობს, არამედ მატულობს. განსაკუთრებით ეს ეხება ცირკს (ბუფონადა, ილუზიონი), ანიმაციურ ფილმებს („მულტიპლიკაციას“,) თანამედროვე სახვით ხელოვნებას (აბსტრაქციონიზმი, ავანგარდიზმი). უფრო მეტიც, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა ქმნის ისეთ „ვირტუალურ“ ფანტასმაგორიებს, რომელსაც ვერ შეედრება მხატვრისა თუ მწერლის ფანტაზია.

ამიტომ ხელოვნების ამ სახეების მიმართ კითხვა: აქვს თუ არა მომავალი გროტესკს? - რიტორიკული კითხვაა, დადებითი პასუხი წინასწარ ცნობილია. მაშასადამე, პრობლემა იმაშია, აქვს თუ არა მომავალი ლიტერატურულ გროტესკს, განმეორდება თუ არა ფრანსუა რაბლეს სიცილ-ხარხარი, ჯონათან სვიფტის მწარე სარკაზმი, ერაზმ როტერდამელის ირონია, ვოლტერის ბრძნული ჩაღიმება, ანატოლ ფრანსის სკეპტიკური ირონია, გოგოლისა და შჩედრინის სატირა, ჩეხოვის სევდიანი იუმორი, ბულგაკოვის ფანტასმაგორიები?

იმისათვის, რომ გავცეთ პასუხი კითხვაზე: აქვს თუ არა მომავალი ლიტერატურულ გროტესკს? - ყურადღება უნდა მივაქციოთ ორ საპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავ ტენდენციას მე-20 საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში. ერთი მათგანი ხელს უწყობს ლიტერატურული გროტესკის შენარჩუნებასა და განვითარებას, ხოლო მეორე, პირიქით, ხელს უშლის.

დავიწყოთ ხელშემშლელი ტენდენციიდან. ეს ტენდენცია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციითაა გამოწვეული და განპირობებული. მე-20 საუკუნის ადამიანს, რომელიც რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით ღებულობს უზარმაზარ ინფორმაციას მსოფლიოსა და კოსმოსურ სივრცეში მომხდარ ამბებზე, გროტესკული ფანტასმაგორია ოდნავ თუ გააკვირვებს: ის, რაც შეუძლებელ ფანტაზიად მიაჩნდათ წარსულ თაობებს, ყოველდღიურ მოვლენად მიაჩნია დღევანდელ ადამიანს. მაშასადამე, ხომ არ გამოიწვევს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ლიტერატურული გროტესკის თანდათანობით სიკვდილს ისე, როგორც დღეს შეუძლებელი გახდა ძველი ანტიკურის მსგავსი მითების შექმნა.

მაგრამ აქ წინა პლანზე გამოდის მეორე, ხელშემწყობი ტენდენცია ლიტერატურული გროტესკის განვითარებისათვის. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ამაში, გავერკვეთ, რატომ და რისთვის მიმართავენ მწერლები გროტესკს, ფანტასმაგორიას, რაში გამოიხატება გროტესკის დანიშნულება მხატვრულ ლიტერატურაში? თუ მწერლებს იზიდავთ არაჩვეულებრივი ფანტაზია, ამ მოთხოვნილებას მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს მეცნიერული ფანტასტიკა, რომელიც ერთდროულად ასრულებს კიდევ ერთ სოციალურ დანიშნულებას - ცდილობს მომავლის პროგნოზირებას, აფრთხილებს საზოგადოებას შესაძლო საფრთხის შესახებ, ავითარებს ადამიანის გონებას, ფანტაზიასა და ცოდნაგანათლებას. მაგრამ ჩვეულებრივი ფანტასტიკა (მით უმეტეს - მეცნიეული ფანტასტიკა) არ არის ფანტასმაგორია, გროტესკი, იგი განსხვავდება თავისი არსით, ფორმითა და შინაარსით. დავუშვათ, გროტესკული ფანტასმაგორია აკმაყოფილებს მწერალთა და მკითხველთა მოთხოვნილებას სიცილში, მხიარულებასა და საკარნავალო მასხრობაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანი ის ცოცხალი არსებაა, რომელსაც გააჩნია სიცილის უნარი. მაგრამ მხიარული სიცილის მოთხოვნილება შეიძლება დაკმაყოფილდეს ნებისმიერ სხვა, არაგროტესკული კომიკური ნაწარმოებებით, ამიტომ ასეთი ახსნა არასაკმარისია. თანაც ნამდვილად სასაცილო და კომიკური იყო მხოლოდ პირველი, რენესანსული გროტესკული ნაწარმოებები: „გარგანტუა და პანტაგრიუელი“ (მე-16 ს.), „გულივერის მოგზაურობანი“ (მე-17 ს.), „ბარონ მიუნხჰაუზენის თავგადასავალი“ (მე-18 ს.), ხოლო ამ კლასიკური ტრიადის შემდეგ, დაწყებული ჰოფმანიდან დღემდე, სიცილი, როგორც ასეთი, პრაქტიკულად გაქრა ლიტერატურული გროტესკიდან და იგი გახდა უფრო ირონიული და სერიოზული. მაშინ რა გვიზიდავს გროტესკში?

ჩვენი აზრით, ამ კითხვაზე პასუხობს ხუთი მთავარი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ლიტერატურული გროტესკის შენარჩუნებასა და პოზიტიურ ევოლუციას შორეულ პერსპექტივაში. აი, ის ხუთი ძირითადი ფაქტორი:

1. საზოგადოებაში ობიექტურად არსებულ უსამართლობათა სატირიკული, გროტესკული გაკიცხვის აუცილებლობა (სოციალურ ნაკლოვანებათა ნუსხა იმდენად დიდია, რომ მათი ჩამოთვლა შეუძლებელია: ეს არის, პირველ რიგში, მილიონობით ხალხის სიღატაკე, შიმშილი, კლასობრივი და ეთნიკური კონფლიქტები, კაცობრიობის ის გლობალური პრობლემები, რომლებიც ემუქრებიან ადამიანს ეკოლოგიური და დემოგრაფიული კატასტროფებით, საერთაშორისო ტერორიზმით და ა. შ.).

2. მხიარული (გროტესკული) „გამოთხოვება წარსულთან“, დრომოჭმულ სოციალურ მოვლენებთან, რაც ყველაზე ხშირი და პოპულარული შემთხვევაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული გროტესკის გამოყენებისას.

3. გროტესკული ანტიუტოპია - საპირისპიროდ განუხორციელებელი ილუზიებისა, სოციალური პროექტებისა და უტოპიებისა, რომლებიც ზედმეტად ოპტიმისტურად, იდილიურად გვიხატავენ კაცობრიობის მომავალს.

4. უსაზღვრო ფანტაზიის, ინტელექტუალური თუ სიტყვიერი თავისუფალი თამაშის სურვილი.

5. ლიტერატურული გროტესკი, როგორც მხატვრული ექსპრესიის უძლიერესი საშუალება, რომელსაც ძალუძს მკითხველთა და მაყურებელთა ყურადღებისა და ინტერესის აბსოლუტური მიპყრობა; ამით მწერლები მაქსიმალურად სარგებლობენ თავიანთი შემოქმედებითი მიზნების მისაღწევად.

ვინაიდან ეს ხუთი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი არსებობდა საზოგადოებაში უძველესი დროიდან, არსებობს დღესაც და ყველაფერი მოწმობს იმაზე, რომ იარსებებს მომავალშიც, შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ ლიტერატურულ გროტესკს რეალური, მდიდარი მომავალი აქვს. ამიტომ არის, რომ ლიტერატურული გროტესკი, მიუხედავად ისტორიული ბედის უკუღმართობისა, უარყოფითი გარემოებებისა სხვადასხვა ეპოქაში, ცოცხლობს და ვითარდება. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მომავალში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ნებისმიერ დონეზე, მხატვრულ ლიტერატურაში კვლავ გაჩნდება გროტესკული ნაწარმოებები.

ასეთი წინასწარჭვრეტა იმითაც დასტურდება, რომ უკანასკნელ წლებში გროტესკულ სტილში დაიწერა მრავალი ლიტერატურული ნიმუში, მათ შორის ამერიკელი მწერლის ჯორჯ ორუელის (ერიკ ბლერის) ცნობილი რომანი - ანტიუტოპია „1984“, სადაც სატირულად, გროტესკულად აღწერილია საბჭოთა კავშირის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილება, ნაჩვენებია ნგრევის ნიშნები, დასახელებულია ზუსტი თარიღი (1984 წელი), როდესაც მოხდება საბჭოთა კავშირის დაშლა (გავიხსენოთ, რომ ე. წ. „გარდაქმნა“ დაიწყო სწორედ 1985 წელს).

ის აზრი, რომ ლიტერატურულ გროტესკს გააჩნია მომავალი, შეიძლება იმითაც დასაბუთდეს, რომ ქართულ ლიტერატურაში ბოლო ხანს შექმნილია რამდენიმე ნაწარმოები, სადაც გროტესკული ელემენტები ჩანს, რაც უწინ ქართულ მწერლობაში ნაკლებად ხვდებოდა. მხედველობაში გვაქვს ისეთი ნაწარმოები, როგორიცაა: ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, ნოდარ წულეისკირის „თუთარჩელა“. ამ და სხვა ნაწარმოებებში ქართულმა ლიტერატურამ აითვისა მისთვის ახალი მხატვრული პირობითობის საშუალება - ლიტერატურული გროტესკი.

მოკლედ შევჩერდეთ ოთარ ჭილაძის რომანზე „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. ეს რომანი, რა თქმა უნდა, მიეკუთვნება „ძნელ ლიტერატურას“ და ამ კუთხით შეიძლება განხილულ იქნას როგორც არაორდინალური ნაბიჯი ლიტერატურული გროტესკის მიმართულებით. რომანს საფუძვლად უდევს ანტიკური მითი არგონავტებზე, თუმცა მარტო მითოლოგია არ ქმნის გროტესკს: იგი ნაწარმოებს ანიჭებს ერთ-ერთ გროტესკულ ნიშან-თვისებას, მაგრამ, მთლიანობაში აღებული, იგი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც სატირული ფანტასმაგორია. ოთარ ჭილაძემ ძიძრფესვიანად გადაამუშავა ძველი მითი არგონავტებზე, მან შექმნა ამ მითის ქართული მხატვრული ვერსია, ქართული თვალთახედვით მოგვცა ისეთი ინტერპრეტაცია, სადაც იაზონი და მისი თანმხლები პირები გამდიდრების ეგოისტური განზრახვით მოდიან ძველ კოლხეთში, რათა მოიტაცონ ოქროს საწმისი, კოლხების მატერიალური და სულიერი ფასეულობანი. ოთარ ჭილაძის რომანი ალეგორიულია, აქ ვხვდებით პოლისემანტიკურ სიმბოლოებს, ისტორია და მითოლოგია შერწყმულია, პერსონიფიცირებულია ისეთი აბსტრაქტული ცნებები, როგორიცაა „შიში“, „უბედურება“, „გულგრილობა“, „მეხსიერება“, „ძალადობა“, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რომანის იდეური და ესთეტიკური შინაარსის გახსნაში.

ოთარ ჭილაძის რომანმა „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ გამოქვეყნებისთანავე გამოიწვია მკითხველთა ინტერესი, თუმცა მკითხველისაგან გარკვეულ ინტელექტუალურ მომზადებას, ძველი მითების ცოდნას, სათანადო სულიერ განწყობას მოითხოვს. როცა ვლაპარაკობთ ლიტერატურული გროტესკის პოზიტიურ პერსპექტივებსა და მომავალზე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, მოგვეყვანა ეს არგუმენტიც, რომელიც დაკავშირებულია ახალ მოვლენებთან თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გვანცა აბდალაძე



# ლაშა-გიორგი – ხევსურთა „შვილობილი“

ქართველ მეფეთაგან გამორჩეულად გვესახება გიორგი IV ლაშა თავისი რთული და ამოუცნობი პიროვნული თვისებების გამო, რომელთა შესახებ მსჯელობას კიდევ უფრო ართულებს მისი თანამედროვე ნარატიული წყაროების სიმწირე. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გვიანდელი ავტორების თხზულებებში დაცული რელიქტები და ფოლკლორული მასალა.

ამჯერად ჩვენ შევეცდებით გავაშუქოთ ლაშა-გიორგის მოღვაწეობის დღემდე უცნობი შტრიხი – მისი ურთიერთობა აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობასთან.

ლაშა-გიორგის ფშავ-ხევსურეთში მოღვაწეობას მხოლოდ იოანე ბატონიშვილი აგვიწერს თავის თხზულებაში „ისტორია ქართლისა“: „ჟამთა ამათ შინა ადგილ-ადგილ იყო ფშაველთა შინა ქრისტიანობა, გარნა ვერა ეპყრათ რიგიან, ქურდობდნენ და ესხათ ორ-ოლი და სამ-სამი ცოლი და იქცეოდნენ არაწმინდებით. მაშინ მეფე გიორგი წარვიდა ფშავს და წარიღო მოჭედილი ჯვარი და ნაწილი წმიდისა გიორგისა; მოეგებნენ ფშაველნი, მეფემან შეიწყნარნა კარგად და უჩვენა გზა ჭეშმარიტებისა და დაუდგინა მღვდელნიცა და ქადაგნიცა. ქმნა მცირე ეკლესია და დაასვენა მუნ ჯუარი იგი; და დაასვენა ნაწილიცა იგი და მიუბოძა ბაირაყი, და იგინიცა მხიარულ იქმნეს და ნათელ იღეს. ხოლო ფშაველნი უწოდებენ ჯუარსა მას „ლაშარის ჯუარად“, ხოლო ხევსურნი „გუდანის ჯუარად“... (ავტორს ლაშარის და გუდანის ჯვრები შეცდომით გაუიგივებია. ჩვენთვის საინტერესოა ის ტენდენცია, რომ იოანე ბატონიშვილი ლაშას არა მარტო ფშაველებთან, არამედ ხევსურებთან ურთიერთობასაც მიაწერს).

„ლაშარის“ ჯვარი და „გუდანის“ ჯვარი საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის ორი ძირითადი სალოცავია. ამათგან, ლაშარის ჯვარს მართლაც ლაშა-გიორგის სახელს უკავშირებს ქართული ტრადიცია. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა: „აქა ფშავსა შინა არს ეკლესია ლაშასაგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯვარნი, ოქრო-ვერცხლისანი, ჭურჭელნი და წიგნნი, და უწოდებენ ლაშას ჯვარს“.

ლაშარის ჯვარი და ლაშარობა დიდ ინტერესს იწვევს თანამედროვე ფოლკლორისტებსა და ეთნოგრაფებში.

ლაშარის ჯვარი სხვადასხვა ნაგებობათაგან შედგენილი რთული კომპლექსია, მათი უმეტესობა თავისი დანიშნულებით აშკარად წარმართულ რელიგიას უკავშირდება და მხოლოდ ერთი მცირე ეკლესიის ნანგრევები მოჩანს ქრისტიანულად. აქედან გამომდინარე, ამ კომპლექსის შექმნა ვერ იქნება ლაშა-გიორგის სახელთან დაკავშირებული. უფრო სავარაუდოა, რომ არსებულ ჯვარს და დაწესებულ დღესასწაულს ლაშა-გიორგიმ ახლებური დანიშნულება და ელფერი შესძინა. ამ მოვლენას კარგად ასახავს ერთი ლეგენდა: „ერთხელ ლაშარის გორზე ფშაველთა დღეობის დროს, სადაც მთელი ფშავი შეკრებილიყო, მოვიდა ლაშა-გიორგი თავისი მხლებლებით, ფშავლები იმას კარგად გაუმასპინძლდნენ და როცა გიორგი წავიდა, ოქროს ჯვარი გამოუგზავნა. ის ჯვარი შიგნით იყო და გარედან ვერცხლი ჰქონდა გადაკრული, ძალიან დიდი იყო და ინახებოდა ლაშარის ჯვარში. მას შემდეგ დაერქვა ამ სალოცავს ლაშარის ჯვარი“ (ვერა ბარდაველიძე).

სავარაუდოა, რომ სწორედ ლაშას ამ სალოცავთან ურთიერთობის შედეგად განდიდებულა ეს ადგილი აგრერიგად, მანამდე კი ერთ-ერთი და არა ძირითადი სალოცავი იქნებოდა.

საინტერესოა, რომ არსებობს „ლაშარის ჯვრის ნიშიც“. იგი მდებარეობს პირიქით ხევსურეთში, მიღმახევში, სოფ. ხახაბოში. იგი წარმოადგენს სიპებისაგან მშრალად ნაგებ პატარა ზომის კოშკს, დატანებული აქვს შუკუნი, რომლის თავზე დიდი ზომის მობრტყო ბროლის ქვაა“. (ვერა ბარდაველიძე).

მიუხედავად ასეთი რეალური ფაქტისა – ნიში ხომ ხევსურეთში მდებარეობს – თუშები მას თავიანთ საკუთრებად თვლიან. თუში მთქმელი მოგვითხრობს: „ყოფილა ქვათალიმთა. აქ მოდენილან ჩაჩნებიცა და თუშებიც. იქ მოსვლიათ ჩხუბი. უხოციათ ერთურთი და თუშებს წამოუღიათ იქიდან ლაშარი – თეთრი ხინჭრიქვა“ (თსუ ფოლკლორის კათედრის არქივი).

იოანე ბატონიშვილის ვერსიით, არა მარტო მეფეს, არამედ რუსუდან დედოფალსაც (ასე უწოდებს იოანე ბატონიშვილი დავით ლაშას ძის დედას, რომელსაც მეფის კანონიერ მეუღლედ მიიჩნევს – გ. ა.) აქტიური ურთიერთობა ჰქონია მთის ხალხთან და მთასთან: „კვალად შეიქნა არეულობა მთასა მას შინა. მაშინ მოუწერა მეფემან დედოფალსა სუსანას, რათა გარდავიდეს და დაამშვიდოს იგინი. ხოლო დედოფალი უკვე წარვიდა, მოეგებნენ სრულად ფშაველ-ხევსურნი და დიდისა პატივითა და სიხარულით მიიღეს, და ყოველნივე დამორჩილდნენ ბრძანებასა მისსა, მაშინ მცნობმან მეფემან დამშვიდებისათვის მთიურთა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხალხთა ჯილდოდ უბოძა დედოფალს პირიქით ფშავისა სოფელი ერთი, რომელნიცა ინახავდნენ დედოფლისა საჯოგე ულაყსა ცხენსა, ესე განუჩინა ხარკად დედოფალმან. ხოლო დედოფალმან დაჰყო მუნ ვიდრე სამი თვე და მრავლისა ქვევითად სიარულითა, ვინაჲთგან ვიწრო და კლდიანი ადგილები არს და ძნელად სასიარულო ცხენითა, გაცივდა ლამე დედოფალი ნაოფლი და შეიქმნა ძლიერად ავად, რომელ წარმოიღეს ხელისა სკამითა, და ვერარა არგო რა მკურნალმანც, და მთის ამოსავალს საშუალ ადგილს გარდიცვალა დედოფალი იგი, რომელიც გარდმოვალს გზაჲ ესე ბაჩალზედ თიანეთის მხარეს. სადაც დედოფალი ესე მიიცვალა, მუნ არს ცხრა ანუ ათერთმეტი ხე არყისა მდგომარე, და ყოველწლივ ფშაველნი მივლენან მუნ, მიიყვანენ საკლავთა და ჰკლავენ და ისადილებენ მუნ, და გარდაიხდიან ალაპსა, შესმენ ღვინოსა და ლუდსა და შეავედრებენ ღმერთს სულსა დედოფლისასა, რომელიცა აწ არს ესრეთცა, ხოლო აცნობეს ესე მეფესა. მეფე იქმნა დიდად მწუხარე და მივიდა თიანეთს და ბრძანა დამარხვა მისი ხარჭოჲს ეკლესიასა შინა 1207, აგვისტოს 20, ხოლო ყრმა იგი დავით წარმოიყვანა და მიაბარა დასა თვისსა რუსუდანს“ (იოანე ბატონიშვილი).

დასახელებული ფაქტების და გადმოცემათა გათვალისწინებითაც კი შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობასთან ურთიერთობას (როგორც ვნახეთ, ზემომოტანილ მასალაში იხსენიება არა მარტო ფშავი, არამედ ხევსურეთი, თუშეთი, თიანეთი, ე. ი. მთელი რეგიონი) არცთუ უმნიშვნელო ადგილი უნდა სჭეროდა ლაშას საშინაო პოლიტიკაში. ეს არც ისე მოულოდნელი ფაქტია, რადგანაც ყველასათვის ცნობილია თამარის მიერ ჩატარებული ღონისძიებანი ფშავ-ხევსურეთში და, ცხადია, რომ პრობლემა ვერ გადაიჭრებოდა ერთი ხელის დაკვრით, ამ საკითხზე ზრუნვა თამარის მემკვიდრესაც დააწვებოდა მხრებზე.

აქ უნებურად იბადება მეორე კითხვა: იყო თუ არა ლაშა-გიორგი ამ საკითხში დედის პოლიტიკის უშუალო გამგრძელებელი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საინტერესოდ მიგვაჩნია ფოლკლორული მასალის წარმოდგენა.

ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებაში გამოქვეყნებული ლეგენდები მარტოოდენ ლაშას დაბადების შესახებ მოგვითხრობს.

ლეგენდის ყველა ვარიანტი იწყება იმით, რომ თამარს არ სურდა გათხოვება და შვილის გაჩენა. ლეგენდათა ნაწილი მოგვითხრობს, რომ თამარი სასწაულებრივად დაორსულდა („მზის სხივი ეცა და დაორსულდა“ - ვარიანტი ა: „ერის სულით ჩაესახა“ - ვარიანტი ბ: „უცნაური ძალით დაორსულდა“ - ვარიანტი გ: „ღვთის ბრძანებით დაორსულდა“ ვარიანტი დ. ეს მისაღები ნიუანსია და, როგორც ქსენია სიხარულიძე აღნიშნავს, დადასტურებულია სხვა ერთა ფოლკლორშიც. ჩვენი აზრით, ამის თაობაზე საუკეთესო განმარტებას თავად ერთ-ერთი ლეგენდა იძლევა: „მთელ საქართველოს ხალხს თამარ დედოფალი წმინდანათა ჰყავს დასახული და ამიტომაც არა სჯერათ, რომ მას ქმარი ჰყვანდა“ (ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება).

ლეგენდათა მეორე ნაწილი სხვაგვარად მოგვითხრობს: „არჩიეს ამ დიდებულებმა და შემდეგ ამ გადაწყვეტილებას დაადგნენ: უნდა ღამე, ჩუმად შეეგზავნათ თამარის ოთახში კაცი... შეგზავნეს ერთი შავი კაცი“ (ვარიანტი ა); „მოიგონეს შემდეგი: დაათრონ ბანგით და ძილში მიუგზავნონ რომელიმე ჭაბუკი“ (ვარიანტი ზ); „თამარ დედოფალმა თავისი კარის კაცისაგან ერთი ბაღანა გააკეთა“ (ვარიანტი თ); „კენჭი ყარეს... ერთ კაცს ერგა. იმ დროს თამარ მეფე დაბანგეს. იმან არაფერი აღარ გაიგა, ჭაჭანი“ (ვარიანტი ი); „მძინარეს მიჰპარებია ერთი მდაბალთა წრიდან“ (ვარიანტი კ); „მაილაპარაკეს ვაზირებმა, მერმე შააპარეჲ ბანგი, დააძინეს და ერთ ვაზირს უთხრეს, წადი და იმას დაუწექიო“ (ვარიანტი ლ). (იქვე).

გააჩინა რა თამარმა ვაჟი (რომლის სახელს ბევრი ვარიანტი სწორად გვისახელებს), მოიძულა და ტყეში გადააგდო. გაზარდა ირემმა (ამის შემდეგ ბაგრატიონები ირმის ხორცს აღარ ჭამდნენო). მხოლოდ მოგვიანებით ისურვა დედამ შვილის დაბრუნება. ამ საკითხთან დაკავშირებით ქსენია სიხარულიძე აღნიშნავს, რომ ეს პოპულარული და მსოფლიოში მოარული მოტივია მიტოვებული ბავშვისა. ჩვენი მხრით დავძენდით: ის, რომ ქართულმა ხალხურმა აზროვნებამ ტყეში გაზრდილი ბავშვის შესახებ (სხვათა შორის, ქართულ ხალხურ ზღაპრებში ამ ბავშვს ყოველთვის ირემი ზრდის) გავრცელებული ზღაპრის პერსონაჟად ლაშა-გიორგი წარმოიდგინა, არ უნდა იყოს უბრალო დამთხვევა. ლეგენდებში ხაზს უსვამენ ლაშას არამეფურ წარმოშობას და არამეფურ აღზრდას, ე. ი. დაბალი სოციალური წრის ადამიანებს ლაშა რატომღაც უფრო თავისიანად და თავისნაირად მიაჩნიათ.

ამ ლეგენდათა ერთი გამოუქვეყნებელი ვარიანტის მიხედვით, რომელიც ფშავშია ჩაწერილი, ლაშა ხევსურებს აღუზრდიათ. ამ ლეგენდებში ყურადღებას იპყრობს სხვა დეტალებიც: „...ერთხელ ტყეში ორი მონადირე წასულა, ფშაველი და ხევსური. უნახავ ირემი. ფრთხილად ვიაროთ, აქ ირემიავ და გაიქცევისავ - გაუფრთხილებავ ერთიმეორე. ფრთხილად მიეპარნეს აქეთ-იქედან. ერცხვისად (ერთიმეორისთვის) უძახებავ ჩუმად: დაიცა, დაიცა არ დაჰკრავ თოფივ, ორივეს უნახავ ირმის ძუძუზე ჩამოკიდებული ბალღი, რომელიც სწოვდა ცურს...

გააქციეს მონადირეებმა ირემი და ბალღი თან წამაიყვანეს. წილი ყარეს, თუ ვის უნდა რგებიყვ ბალღი. მიერგა ხევსურს. წაიყვან ხევსურმ დიდხუთშაბათს გუდანის ჯვარში ჴელოსანთან“.

ეს მცდელობა ლაშა-გიორგის გუდანის ჯვართან დაკავშირებისა ეხმაურება იოანე ბატონიშვილის ზემოხსენებულ სიტყვებს. „რაიავ, ვინ მაიყვანეთავ ესივ“ - უკითხავს ჴელსანს. „ტყეში მახხელეთავ“ - უპასუხებავ ხევსურს. დაუწყავ ბალღის ზრდა თემს. აჭმევდეს ჯვარშიით მატანილ ქადას. ბალღს სახელად დაჰქვივნეს გიორგი.

სანესლელეს (ადგილი პირაქეთ ხევსურთეში) შვიდი წლის გიორგი გამაუქცევავ ცხენი და იმის შემდეგ ას (არის) წესად დადებული იქ ცხენთ რბოლება.

დავარდ ჴმა, რომ მონადირეთ ტყეში ბალღ მაჴელესავ და ხევსურეთში იზრდებისავ, ბალღი თამარ მეფის შვილიავ. ეს გაიგ თამარ მეფემ და შაყარ ჯარი. თამარმ თქვა: ან მამგვარან შვილივ, არადა მთლიანად გავანადგურებავ ხევსურეთსავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა


შიკრიკების პირით ხევსურებმ თამარ მეფეს შამაუთვალეს: ჯერ ბჭენ (საბჭო) არ დამსხდარანავ გუდანის ჯვარის კარავ. როსაც დასხდებიანავ და გადასწყვეტენავ შენი შვილის დაბრუნება-არდაბრუნების საკითხსავე მაშინ მაგცემთავ პასუხსაც. თემმ აირჩივ ხევსურეთის ოთხი კუთხის ხალხი. დასხდეს ბჭობად გუდანის ჯვარში. „რას იტყვითავ, კაც მაგვიგზავნავ თამარ მეფემავ, გავატანათაევ თუ არავ გიორგიივ“. ყველას უთქვამს: თუ თამარ მეფეს შვილ უნდოდავ, ტყეში არ გადააგდებდავ ნადირთ გასაზდელადავ. გიორგის არავის არ მივსცემთავ. ჩვენ გავთავდებითავ, მაგრამ არ დავუთმობთავ.

საბჭოს დადგენილება შეატყობინეს თამარ მეფეს. თამარი გაბრაზდა ამ პასუხის მოსმენაზედ და გაშფოთებული გამოუძღვა თავის ჯარს არაგვზე.

ხევსურეთში მივიდა ამბის მიმტანი, რომ თამარ მეფე მადისავ ჩვენ ასაოხრებლად ჯარითავ, გაიგეს ხევსურებმ და დადგ ცხენთა ნალების ლაწა-მტვრევა.

ხევსურების ლაშქარმა თამარის ჯარს მაუსწავრა ქინვალის ხიდზე. მააწყდესავ ხევსურნივ თამარის ჯარსავ და დადგავ ჩაჩქნების ბრიალივ და ხმლების პრიალივ. გამაქცეულა თამარ მეფე, ველარ გასძალიანებია ხევსურთ ჯარს. წინ თამარ მეფეივ და უკენ ხევსურნივ მარბოდესავ... თამარი მაინც არ მიეშვა, უნდოდა რომ როგორმე დაებრუნებინა უკან შვილი გიორგი...“ (თსუ. ფოლკლორის კათედრის არქივი).

როგორც ვხედავთ, თამარის ურთიერთობა მთიელ ხალხთან საინტერესოდ აისახა ამ ლეგენდაში. დავაკვირდეთ, როგორი უარყოფითი დამოკიდებულებაა გამოხატული თამარის მიმართ, მეფე-ქალი მოძალადე პიროვნებადაა გამოყვანილი. ამგვარი ტენდენცია თამართან დაკავშირებით გამონაკლისს წარმოადგენს და არც ერთი სხვა კუთხის ფოლკლორში არ ჰპოვებს გამოძახილს. მსგავსი განწყობილება შეიგრძნობა კიდევ ერთ ლეგენდაში, სადაც თამარის და ფშაველი კაცის ურთიერთობაა ასახული: „მისრიათ პაპა ჯალაბაური განთქმული მჭედელი ყოფილა; თურმე მისრეთში ყოფილა მჭედლად. მერე ის თამარნეფეს გზაში შეხვედრია. თამარ-ნეფეს უკითხავს: ვინა ხარ და სად მიდიხარო. იმან უთხრა: მე მჭედელი ვარო. ამოიღო მჭედელმა ჯიბიდან თავის გაკეთებული ხმალი, დაგვირგვლული ყოფილიყო და ჯიბეში სდებიყო, გახსნა და გაიშალა, გასწორდა; დაგირგვლა და ისევ ჯიბეში ჩაიდო. თამარ-ნეფემ ჯერ უთხრა - ჩემთან წამოდი და იქ იმუშავეო. რომ არ დათანხმდა, დაიჭირა და წამოიყვანა. მისულმა ცოტა ხანს კი იმუშავა და გაიპარა. წავიდა თამარ-ნეფე და მივიდა იმასთან. - ერთი დიდი ჯაჭვი გამიკეთეო, უთხრა: გაუკეთა იმანაც ჯაჭვი. თამარ ნეფემ ეს ჯაჭვი კისერზე დაადო, წამოიყვანა და ლაშარის ჯვარში დააბა. მანამდე ყავდა დაბმული, სანამ ფიცი არ მისცა - აღარ წავალო: შეფიცვის შემდეგ წამოიყვანა და თავის ადგილში დაასახლა. რადგან ის მისრეთით მოყვანილი იყო, ამიტომ მათი გვარი მისრიაშვილია და სოფელი მისრიაანთკარი...“

ამ ლეგენდასთან დაკავშირებით ვ. ბარდაველიძე აღნიშნავდა: „მისრიანები ანუ მისრიაშვილები თამარ მეფის ხატის გვერდზე, ამ ხატის მიწაზე, ზემოხსენებულ მისრიაანთკარში ცხოვრობდნენ სულ უკანასკნელ დრომდე ისე, რომ მათი ნასახლარები და სოფლის საზოგადო ნაგებობათა ნანგრევები დღესაც შემონახულია“, ხოლო რაც შეეხება ჯალაბაურის ჯაჭვს, „ლაშარობას ფშაველი კაცი თუ ქალი, რომელსაც ავადმყოფობის დროს, მისგან თავის ან შვილის გადარჩენის მიზნით „მონობაზე“ აღთქმა ჰქონია მიცემული, ჯალაბაურის ჯაჭვს კისერზე იდებდა და დაოთხილი გარს უვლიდა სასანთლე კოშკს“.

აღსანიშნავია, რომ თამარის სახლთან დაკავშირებული თამარ-ღელის ხატი ლაშარის ჯვრის მახლობლად მდებარეობს. ხალხური ტრადიციის მიხედვით, თამარის გამოგზავნილი ხატი მოთავსებულია ამ სალოცავში და თამარის სახელი იმიტომ დარქმევია (ე. ი. შექმნილა ისევე, როგორც ლაშარის ჯვარი), თითქოს თამარის საფლავიც აქ უნდა იყოსო... (ვერა ბარდაველიძე). მაგრამ, საყურადღებოა, რომ თავისი მნიშვნელობით და მასშტაბურობით თამარ-ღელის ხატი ოდნავაც ვერ მიედრება ლაშარის ჯვარს.

ზემო მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ლაშა-გიორგის პოლიტიკა აღნიშნული რეგიონის მიმართ განსხვავდებოდა თამარის ქმედებათაგან. როგორც ჩანს, ლაშას მეტი ეფექტურობითა და მეტი ჰუმანურობით უმოქმედია, რითაც მთიელი კაცის თუმც კი ურჩ, მაგრამ ალალ გულში სათაყვანო ადგილი დაუჭერია. ცხადია, მეფეს რაღაც პირადი ინტერესები უნდა ჰქონოდა. ჩვენი აზრით, გართულებული შიდა-პოლიტიკური მდგომარეობის პირობებში (ლაშას გამეფებისთანავე განუდგნენ ყმადნაფიცი ქვეყნები, მეფეს უთანხმოება ჰქონდა ქართველ დიდებულებთან, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მესაჭეებთან და ჩვენი ვარაუდით, აგრეთვე სომხურ ეკლესიასთან) მეფემ ამ ძნელად დასამორჩილებელი რეგიონის დიდი პოტენციის მისდა სასიკეთოდ შეტრიალება და დასაყრდენად გამოყენება სცადა, შეეცადა აქ ძლიერი ცენტრის შექმნას, რაც უთუოდ გარკვეულწილად მაინც განხორციელდა (როგორც ეთნოგრაფები თვლიან ლაშარის ჯვარი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრი იყო არა მარტო ფშაველებისა და საერთოდ მთიელებისათვის, მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ბარის საქართველოსთან, როგორც რელიგიური, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით).

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს იოანე ბატონიშვილის კიდევ ერთი ცნობა: იოანეს თხზულების მიხედვით მეფის მოძღვარი გიორგი, ხარჭაშნელი ყოფილა. იგი მეფის ერთგული პირი და მეფის მომხრეთა დასის თვალსაჩინო წარმომადგენელი უნდა იყოს (მან მაღალ სამღვდელო პირთა სურვილის წინააღმდეგ თავად დასწერა ჯვარი მეფეს, ალბათ, მისივე ინიციატივით მოხდებოდა დედოფლისათვის სამუდამო განსასვენებლად ხარჭაშოს ეკლესიის არჩევაც).

კ. კეკელიძე შეეცადა მეტი ნათელი მოეფინა ამ პიროვნებისათვის, თუმცა ამაოდ, იგი წერს: „ხარჭაშოს გუმბათიანსა და კეთილშენ ეკლესიას თიანეთში უჩვენებს ვახუშტიც თავის გეოგრაფიაში. აქ შემდეგში ისხდნენ ხარჭაშნელები, მაგრამ გიორგი ხარჭაშნელის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება“.

იოანე ბატონიშვილის ცნობებში ბევრი რამ დასაზუსტებელია და შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ის ტენდენცია, რომელიც ლაშა-გიორგის მხარდამჭერთა დასის უეჭველად თვალსაჩინო წარმომადგენლად - მეფის პირად მოძღვრად მიიჩნევს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონის საეკლესიო მოღვაწეს, ხოლო მეფის მეუღლეს მთაში მიუჩენს საფლავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილია გაგულაშვილი

## მთვარის კულტის შესახებ ქართულ კულტურაში

მიუხედავად საკმაოდ სერიოზული და ანგარიშგასაწევი მუშაობისა, მთვარის კულტის შესახებ რამდენადმე სრული მონოგრაფიული გამოკვლევა (ალბათ, უმჯობესია ვთქვათ - მონოგრაფიული გამოკვლევები) დღემდე არ გაგვაჩნია. არადა, ასეთი ნაშრომი ფუნდამენტური საფუძველი იქნებოდა ქართული რწმენა-წარმოდგენებისა და ფოლკლორის შემდგომი წარმატებითი კვლევისათვის. შეუძლებელია მსგავსი პრეტენზია ჰქონდეს წინამდებარე მცირეტანიან ნაშრომს, მაგრამ იმას კი ვეცდები, თუნდაც პრობლემათა შეზღუდული წარმოდგენის პირობებში, მივანიშნო იმ დიდ მნიშვნელობაზე, რაც ამ თემის გაშუქებას აქვს ფოლკლორის (და არამარტო ფოლკლორის) შემდგომი შესწავლის საქმეში. ჩემი გამოკვლევა ეყრდნობა უკვე ცნობილ და გამოქვეყნებულ მასალებს, სიახლე კი მათ ახლებურ გააზრებასა და შეფასებაში მდგომარეობს. მთვარის მითიური სახის გამოვლინებას იძლევა ლექსი „მზისა და მთვარის გაბაასება“.

> ყველამ კარგად მაიხსენეთ: შაიბრძოლენ მზე და მთვარე,
> შამოუთვალა მთვარემა: *„ოცდა ცხრა დღე ვიმუშავე და მეათეს გარდვიცვალე“*. ახლა მზემ შამოუთვალა:
> *„როგორ პირი წაიჭამე! რაც რომ სიკეთე მომხდარა*
> *სულ შენ თავზედ დაიბრალე. სამი დღე და სამი ღამე*
> *რომ არ იყავ - დაიმალე, მეოთხე დღესა გამოსჩნდი,*
> *თან ღრუბელი დაიყოლე; ასტეხე ჭექა-ქუხილი,*
> *მზად მოსული მოსავალი უმადურად ჩაატარე“*

აშკარაა, ეს ლექსი არ უკავშირდება მთვარის ზეობის ეპოქას, მაგრამ მასში არაერთი საყურადღებო მხარეა, რაც გვეხმარება მთვარის მითიური სახის წარმოჩენაში. ოცდამეათე დღეს ხდება მთვარის „გარდაცვალება“, სიკვდილი. იგი სამი დღე-ღამის განმავლობაში „დამალულია“ და, როცა ხელახლად დაბადებული და აღორძინებული ცის თაღზე კვლავ გამოჩნდება, თან ღრუბელსაც ამოიყოლებს, ჭექა-ქუხილს ტეხს და ადამიანის მიერ მოყვანილ ჭირნახულს აფუჭებს. წვიმის მოყვანა რომ სწორედ მთვარის ფუნქციებში შედიოდა, სხვა მასალაც ადასტურებს. აი ერთი მათგანი: - „შე დალოცვილო ყანაო, ეგეთ რამ მოგიყვანაო? ჯარმა მჯნა, კაცმა დამთესა, მეუფემ პირი მბანაო“.

ერთი ვერსიით, მთვარე ორშაბათ დილით მოუვლენდა წვიმას ადამიანებს: „ღმერთი მოგვცემს წვიმასა, ორშაბათსა დილასა“.

თუკი ლაზარობის ქვემოთ მოტანილ ვერსიებში მთვარე შეფარვით ამჟღავნებს თავს, მესხეთში მ. გიორგაძის მიერ ჩაწერილ წვიმის გამოხმობის ერთ პოეტურ ფორმულაში იგი გაშიშვლებულად არის წარმოჩენილი ტაროსის გამგებელ და ნაყოფიერების მომცემ ასტრალურ ღვთაებად: „ღელა მთვარეს ვენაცვალე, ჩვენი სარჩო მოგვეც მალე, წვიმა მოგვე კეთილი. ჩვენთვის გვინდა წვიმა კარგი, დაგვიღამდეს კეთილი“.

მართალია, მ. გიორგაძემ ყურადღება გაამახვილა ტაროსის შეცვლის მთვარესთან კავშირზე (4,14-15) მაგრამ მთავარი საკითხი კვლავ ღიად დარჩა. პასუხს მოითხოვს ლაზარესა და მთვარის ურთიერთმიმართებისა და, აქედან გამომდინარე, თავად მთელი რიტუალის მითიური არსის შეფასების საკითხი.

სეტყვის ასაცილებლად ასეთ სიმღერას მღეროდნენ ზოგან: „კვარკვალო ბედნიერო! ღელე-ღელე იარეო, კოხის წინა მძღოლო, გვიშველე...“ ქართულ დასავლურ კულტურაში „ბედნიერს“ მთვარეს უწოდებენ.

ვფიქრობ, სრულიად გამჭვირვალედ და ნათლად არის ნაჩვენები: წვიმის მოყვანა, ჭექა-ქუხილის ატეხვა მთვარის ფუნქციებში შედიოდა. ქვემოთ წარმოდგენილი მასალები ადასტურებენ, რომ, რომელი ღვთაების ფუნქციებშიც წვიმის მოყვანა შედიოდა. იმავე, ღვთაების უფლებებს მიეკუთვნებოდა კარგი დარის დაყენება. ამდენად, ტაროსის ფუნქციები ძველად მთვარეს მიეკუთვნებოდა. ყურადღებას მივაქცევ მზის საყვედურს მთვარისადმი: „რაც რომ სიკეთე მომხდარა, სულ შენ თავზედ დაიბრალე“. ლექსი, ჩანს, ნაკლოვანია. ამას სხვა გარემოებათა შორის ისიც ადასტურებს, რომ მასში არავითარი ჩამოთვლა არ არის მთვარის მიერ ჩადენილი სიკეთეებისა, მაგრამ ადრე ასეთ ჩამოთვლას რომ ადგილი ჰქონია, ამჟღავნებს მზის საყვედური მთვარისადმი. გამორიცხული არ არის მთვარის ნათქვამი („ოცდა ცხრა დღე ვიმუშავე“) დაწერული

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სახით გადმოსცემდეს აზრს: რაც ქვეყნად სიკეთე-ებია, ყველაფერი ეს მთვარის მუშაობის შედეგია. მთვარე ასეთ შემთხვევაში შესაქმის პირველთაგან მითიურ ძალას წარმოადგენს. ეს ირიბად ერთსაც გვამცნობს: იყო დრო, როცა, რაც ქვეყნად სიკეთეა, მთვარის, ანუ უზენაესი ღვთაების შექმნილად ითვლებოდა. განსახილველი ლექსის ფორმირების ეპოქაში მთვარე აღარ არის უმრწემესი ღვთაება და ამიტომ მისი ნათქვამი ფასდება როგორც „თავზე დაბრალება". გარდაცვალებისა და დამალვის შემდეგ ცის თაღზე ამოსულ მთვარეზეა ნათქვამი: „მეორე დღეს ამოვიდა, ამოცურდა ცაზე მთვარე, შევხედე და შემომხედა - სულით-გულით გავიხარე!" ამ ლექსში გამოხატულია უზენაესი ღვთაების, ნაყოფიერებისა და სიცოცხლის ძალის მომცემი მთვარის ამოსვლით, მთვარის კვლავდაბადებით გამოწვეული სიხარული. არსებობს სხვა ვერსია, სადაც განსხვავებული განწყობილებაა გამოხატული და მთვარეც აუგად არის მოხსენიებული: „მეორე დღეს ამოქუშდა ის უქმური ყეყე მთვარე, შევხედე და შემომჭყიტა, სევდით გული დავიღარე". ზემოთ მოტანილი შემთხვევიდან განსხვავებით აქ უკანასკნელ ფაზაში შესულ ქუშ მთვარეზეა საუბარი. ლექსის ჩამწერის, გ. სვანაძის განმარტებით, „ამოქუშდა"-ს პირქუშზე იტყვიან. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რწმენა-წარმოდგენების განხილვისას აღვნიშნე, რომ პირქუში, იახსარი, კოპალა, ლაშარი და სხვა მისთ. ლუნარული ღვთაებებია.

მთვარე, განსაკუთრებით ახალი მთვარე, ბარაქისა და კეთილდღეობის მომტანი იყო. იგივე ღვთაებაზე იყო დამოკიდებული ადამიანის ბედი. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ახალი მთვარის შეხვედრისას წარმოსათქმელი მაგიური ფორმულის აჭარულ ვერსიაში:

> მთვარე ენახე ნებაზე, ჩვენსა გახარებაზე.
> - მთვარევ, რა მოგვიტანე? - თავი მთელი, გული მთელი,
> ხელნაქმარი ხვავრიელი, ჩემი ნამზად-ნარიგები,
> მიწის უხვავრიელესი, თაფლის უგემრიელესი.

მზის დაბნელების მითოსის გამოძახილი ჩანს ლექსი „მზეს რომ მთვარე გამოშორდა":

> *მზეს რომ მთვარე გამოშორდა*, მზე დარჩა განათებული;
> ანგელოზები უნობდენ - *ღმერთი არს* გარისხებული.
> მაშინ *მეუფემ* მოახსენა: ნუ იცით ახირებული.
> მე ჩემი სოფელ-ქვეყანა კარგად მყავს შერიგებული.
> ვინც რომ *ავი კაცი* არის, *სიზმრით მყავს შეშინებული;*
> იმან თუ არ მოაქცია, *ჯოჯოხეთი მაქვს დამზადებული.*

მიუხედავად იმისა, რომ ლექსში ქრისტიანული ტერმინებია გამოყენებული, იგი ასახავს წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს. მეუფედ მთვარე იწოდება მითოსში. მასზევეა ნათქვამი „ღმერთი არს განრისხებული"-ო. ამდენად, მეუფე-მთვარე, ლექსის თანახმად, უზენაეს ღვთაებად არის აღიარებული, რომელიც სოფელ-ქვეყნის გამრიგეა (შდრ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა უზენაეს ღვთაებას, მორიგე-ს). მეუფე ავ ადამიანს სიზმარში აშინებს (შდრ. იხ. შეშინებულის შელოცვა), ე. ი. სიზმარში ეცხადება. მთვარე, აგრეთვე, გამგებელიც, საიქიოსი, რომელიც ლექსში ჯოჯოხეთად არის მოხსენიებული. შესაძლოა მზის დაბნელების მითოსის ამსახველი იყოს შემდეგი ლექსი: „ცაზე მზე დაბნელებულა, მთვარე აყრიდა შაქარსა, მთვარე ნუ აყრი შაქარსა, არავინ მოგცემს მაგ ქალსა". თუ ჩემი ვარაუდი სწორია, მაშინ მზის დაბნელება მთვარისა და მზის სამიჯნურო ურთიერთობად არის გააზრებული. ამ ლექსიდან ნათლად ჩანს, როგორც ი. ჯავახიშვილი წერდა, მზე ქალია, მთვარე კი ვაჟი. ჩანს, არსებულა წარმოდგენები, რომელთა მიხედვითაც მთვარე და მზე მეუფე-დედოფლის საკრალურ წყვილს ქმნიდა, მაგრამ უფრო გავრცელებული ტრადიციით მზე და მთვარე დაძმანი არიან. ყველა შემთხვევაში მზე ქალია, მთვარე - ვაჟი. მთვარისა და მზის საკრალური წყვილის ოდენ არსებული წარმოდგენის გამოვლინებად მიმაჩნია ცნობილი მეგრული ხალხური ლექსი, სადაც ისინი ცოლ-ქმრად არიან წარმოდგენილნი: „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი, მოციმციმე ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი". ამ ლექსის ვერსიები ქართულ ხალხურ ჯადოსნურ ზღაპრებშიც მოწმდება. მას წარმოთქვამს მზეთუნახავი - ციკრის ვარსკვლავთან ასოცირებული პერსონაჟი. ვფიქრობ, რომ ლექსმა ან ზღაპრიდან თუ თქმულება-გადმოცემებიდან, ან საგაზაფხულო საწესო რომელიღაც რიტუალიდან გაიკვალა გზა და დამოუკიდებელი ნაწარმოების სახე მოგვიანებით მიიღო.

მთვარე უზენაესი ღვთაების სტატუსშია წარმოდგენილი ლექსში „ზეცას ვიყავ":

> ზეცას ვიყავ, ზეცა ენახე, ვარსკვლავებსა დავენახე,
> მთვარემ კაცი მომიგზავნა: - თუ აქ იყავ, რათ არ მნახე!
> *შენი შიშით, მორიდებით*, ვეღარ მოველ, ვეღარ გნახე.
> თავი ისე შევინახე, კაცსაც აღარ დავენახე!

ლექსის ლირიკული გმირის (რომელიც, ბუნებრივია, ასევე ღვთაებაა) მთვარისადმი ეს შიში და რიდი ადამიანთა ასეთივე საყოველთაო განწყობილებას გამოხატავდა. მთვარის შესახებ გარკვეულ ცნობებს შეიცავს ლექსი „მზე და მთვარე":

*ნათელმა მთვარემა ბრძანა*: ბევრით მე ვჯობივარ მზესა;
დაჯდა, დაწერა წიგნები, - *ზენა ქარი, მიართევსა.*
მზეს რომ *კაცი* მიუვიდა, მზე ძალიან გაჯავრდესა:
*მე და ვარ და ის ძმა არის*, რად ვძულდებით ერთმანეთსა...

და ქვემოთ: „ღამის მეხრე დაიბარეს... ᲛᲔᲣᲤᲔ ყურს დაუგდებსა" მთვარე აქაც ᲛᲔᲣᲤᲔᲓ იწოდება. ამ გარემოებას იმიტომაც ვაქცევ ყურადღებას, რომ ᲛᲔᲤᲔ მომდინარეობს „მეუფე"-დან. ერთი მხრივ, ქორწინების საკრალურ ადათში სასიძოსა და, მეორე მხრივ, ტომის-ხალხის ბელადის, რომელიც ამავე დროს ქვეყნის მფლობელადაც გამოდის, ᲛᲔᲤᲔ-დ სახელდება იმას მიუთითებს, რომ ორივე შემთხვევაში ᲛᲔᲤᲔ-დ წოდებული პირი უზენაესი ღვთაების მიწიერ ხატს ქმნიდა. ლექსში ხაზგასმულია, რომ „მთვარე ბევრით სჯობნის მზეს" დაეს მჯობინარობა, უძველესი ხალხური რწმენით, ყველაფერში და, უპირველესად, იერარქიული პოზიციებით გამოიხატებოდა. მთვარე იყო უმრწმესი ღვთაება და, შესაბამისად, ადამიანის კეთილდღეობის, სიცოცხლის, ბედის განმსაზღვრელი. თვით ᲙᲐᲛᲐᲗᲘ მზესა და მთვარეს შორის უკვე მთვარის პოზიციების შეზღუდვის მაუწყებელია. ლექსიც აღარ აღიარებს მას უპირველეს ღვთაებად, თუმცა ასეთის არსებობის შესახებ ირიბ ცნობას მაინც გვაწვდის. ქართული მითოლოგიის სრული სურათის შესაქმნელად, ცხადია, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ლექსის მიხედვით ᲖᲔᲜᲐ ᲥᲐᲠᲘ წარმოჩინებულია ᲙᲐᲪᲐᲓ, რომელსაც მთვარის დანაბარევი მზესთან მიაქვს. გამოდის, რომ ზენა ქარის თუ, საზოგადოდ, ქარის, ერთ-ერთი ფუნქცია ღვთაებათა (სავარაუდოა, არამარტო ღვთაებათა) შორის ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ, მაცნეობა ყოფილა. ჩემი ამჟამინდელი მიზანი არ არის ქარის მითიური სახის შესწავლა. იმედია, მომავალში ეს საინტერესო სახეც იქნება გამოკვლეული.

მთვარისა და მზის ურთიერთობაში დაძმობის მოტივის შემოტანა მზეს მზეთუნახავის სახესთან აახლოებს. ცნობილია, რომ მამაკაცთა სახლში მცხოვრები განდობის საკრალურ წესში მონაწილე ვაჟები ერთმანეთის მიმართ ძმებად ითვლებოდნენ, ხოლო ამავე სახლის მდგმური ქალი, რომელიც მათ საერთო ცოლობასაც წევდა, ამ ძმების დად იწოდებოდა. აქედან მოდის დაძმობის სამიჯნურო მოტივი. ასეთ დაძმობას სისხლით ნათესაობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. აქედან მოდის მაზლისა და რძლის, და-ძმის (ცხადია, არა ყველა და-ძმის) სახეები ფოლკლორში. მზისა და მთვარის დაძმობასაც იგივე საფუძველი აქვს.

ლიტერატურა:

1. ქართული ხალხური პოეზია, 1. თბ., 1972.
2. Ი. ᲒᲐᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რწმენა - წარმოდგენების ისტორიიდან. - „მაცნე" (იბეჭდება).
3. Ი. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, 1. თბ., 1950.
4. მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ, ამინდის მაგიური მართვის რიტუალი და ფოლკლორი. - სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, თბ., 1990.
5. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის კათედრის არქივი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით სართანია

## აფხაზური პინგ-პონგი



*„მწარიაი და ცოცაი ბრძოლას განაგებდნენ და ჯოხებით საბრძოლო ფრთებს სცელიდნენ. ჩადგამდნენ თავის ჭიანჭველებში ჯოხის ერთ ბოლოს და ჩასძახოდნენ:*

*- ჭიანჭველავ, ხეზე ამოდი, ცოცაის ჯარი მოდის!*

*- ჭიანჭველავ, ხეზე ამოდი, მწარიას ჯარი მოდის!*

*ისინი არბოდნენ ჯოხზე, მერე ამ ჭიანჭველებს ბრძოლის იმ ადგილზე ჩასხამდნენ, სადაც საქმე ჭირდა“.*

*(ბოდერძი ჩოხელი, მეომარი ჭიანჭველები)*

სანამ აფხაზეთი ცეცხლის ალში გაეხვეოდა, „რუსული კულტურის საზოგადოებამ“ - „სლავურმა სახლმა“ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ეთნიკური ანთროპოლოგიის ინსტიტუტს მიმართა თხოვნით, აფხაზეთში მიევლინებინა გამოცდილი სპეციალისტი „ეთნოკულტურის პრობლემატიკაში კონსულტაციების გასაწევად“. ასეთად შეარჩიეს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი სვეტლანა ჩერვონაია. ქალბატონმა სვეტლანამ მივლინების ორგანიზატორებს იმედები ვერ გაუმართლა: მან არ უღალატა პროფესიულ ეთიკასა და მოქალაქეობრივ ღირებულებებს და დაწერა მრავალმხრივ საინტერესო წიგნი: „აფხაზეთი - 1992: პოსტკომუნისტური საქართველოს ვანდეა“. წიგნი ეხება იმ ტრაგედიის საფუძვლებსა და მიზეზებს, რაც აფხაზეთში დატრიალდა. მასში საუბარია ამ ტრაგედიის დაგეგმვასა და მის იდეოლოგიურ მომზადებაზე. ავტორის აზრით, კონფლიქტი სპონტანურად არ წარმოშობილა, არამედ ემყარებოდა რუსეთის მიერ გატარებულ მრავალათეულწლიან პოლიტიკას. მთავარი, რითაც ილესებოდა საქართველოსაკენ მიმართული მახვილი, იყო აფხაზეთის ტერიტორიის კუთვნილების საკითხი - თუ რომელ ეთნოსს ეკუთვნის იგი. ეს საკითხი XIX ს-მდე არ დასმულა, რადგან საკამათოდ არავის ეჩვენებოდა, მხოლოდ ცარისტული რუსეთის კავკასიაში გამოჩენის შემდეგ დაიბადა ასეთი კითხვა და განსაკუთრებით ფართო გაქანება პოვა ბოლშევიზმის ხანაში. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით შენიშნავს სვეტლანა ჩერვონაია: „ათწლეულების მანძილზე იმ საკითხს, თუ ვის ეკუთვნის აფხაზეთი, ვინ საიდან ან როდის დასახლდა ამ მიწაზე, ვისა აქვს მასზე ისტორიული უფლება, ვინ არის აქ სტუმრად მოსული თუ დამხვდური - კანონიერი მასპინძელი, - პინგ-პონგის ბურთივით ათამაშებდნენ აქეთ-იქით ისტორიული და ეთნოგრაფიული შრომების ავტორები, როგორც პროქართული... ისე პროაფხაზური და პრორუსული ორიენტაციისა“.

ამგვარად, პინგ-პონგის მაგიდა დიდი ხანია დგას აფხაზეთში, უფრო სწორად, მთელი აფხაზეთი ამ მაგიდადაა გადაქცეული და ამ თამაშში ჩვენ ზედიზედ ვმარცხდებით. მაგრამ უკანასკნელმა მარცხმა ყველა წინანდელი გადაწონა. ჩვენი დამარცხება კანონზომიერი იყო, რადგან ჩვენ აფხაზეთის მოსახლეობის 17 %-ის ნახევარი კი არ გვებრძოდა, არამედ უფრო დიდი ძალა, რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი. გულსატკენი სუბიექტური ფაქტორია - ჩვენი მოქმედება რომ არ იყო ადეკვატური განვითარებული მოვლენებისა. ფართოდ გაშლილ ეროვნულ მოძრაობაში რადიკალიზმი გაბატონდა, რომელმაც სასურველი და შესაძლებელი ერთმანეთში აურია, შინ მშვიდობით დასაბრუნებელი შორით მოსაველელი გზის გავლა ერთი დაკვრით მოინდომა, 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედია გამარჯვებად მიითვალა, სიფრთხილისაკენ მოწოდება ერის ღალატად გამოაცხადა. არადა, არც პოლიტიკური გამჭრიახობა და არც ცხოვრებისეული გამოცდილება დაეწუნებოდა ბატონ მიხეილ ქავთარაძეს, პარიზში მცხოვრებ მამულიშვილს, რომელმაც, 1989 წ. 9 აპრილის ტრაგედიით გულდაკოდილმა 83 წლის მოხუცმა, ერის გასაგონად დაწერა:

„ყოველივეს მტერს ნუ ვაბრალებთ... არ მოველოდით? ოცდაათი წელიწადი ხომ საუკუნეები არ არის, რომ მაშინდელი ქლეტა დაგვვიწყებოდა? (მხედველობაშია 1956 წელი, დ. ს.) განა იმავე ხალხის ტყვეობაში არ ვიმყოფებით?

ვისი და რისი იმედით ვეჭიდებით ურჩხულს, რომელსაც ვერ მოვერევით!

რა მოჰყვა საერთაშორისო მასშტაბით 9 აპრილის ქლეტას, რომელმაც თემურლენგის ხსოვნა გააცოცხლა: ჟურნალისტებმა სენსაციური „საკენკი“ იპოვეს და ორიოდე დღე მას ჰკენკავდნენ...

დღეს კი ჯერჯერობით ის უნდა ვაკეთოთ, რის გაკეთებაც შეიძლება და შეგვიძლია... არც უძრაობა, არც ციხის კედელზე მიხლა თავისა!.. ჯერ კიდევ მოთმინება უნდა მოვიკრიბოთ და თანაც მიმოვიხედოთ. ჩვენი თავი სხვისაზე უფრო ჭკვიანი ნუ გვგონია

ეროვნული ბიბლიოთეკა



- მითუმეტს პოლიტიკაში. ბალტიისპირეთის ქვეყნების საქციელსაც დავუკვირდეთ, რა დიდი განსხვავებაა... ჩვენ კი თითქოს *სამოქალაქო ომისთვის ვემზადებით* და არა შინაური შერიგებისა და გაერთიანებისათვის...

საქართველოს ორ სამტრო ბანაკად გაყოფამ გადაუტეხა ხერხემალი თერგდალეულთა მოღვაწეობით მიღწეულ ეროვნულ აღორძინებას - როცა მესამე დასმა (სწორედ ასის წლის წინედ) ქართველ თავადაზნაურობასთან ბრძოლა დაისახა თავის უპირველეს მიზნად, რითაც პრაქტიკულად მაშინდელ ქართულ *ინტელიგენციას ხალხი* მოაშორა. ნუთუ მაშინდელი საბედისწერო შეცდომა უნდა გავიმეოროთ.

ყველა შესაძლებელი ვარაუდის მიხედვით, ჩვენი საკითხის გადაწყვეტის დღე *სახვალიო* არ არის. და ამ დროის განმავლობაში შეიძლება ბევრი რამ გაკეთდეს თუ რეალისტები ვიქნებით და არა მეოცნებენი. ჩვენ კი აქამომდე მხოლოდ ისეთი ხალხის შთაბეჭდილებას ვტოვებთ (უცხოელებზეც), რომელიც თავის სურვილებსა და მოქმედებაში ხშირად ღალატობს *რეალიზმს და ლოგიკასაც.*

ჩვენ მხოლოდ ორი შესაძლებლობა გვაქვს. პირველი: გავყვეთ გარდაქმნის პროცესს. თავი ისე დავიჭიროთ თითქო მისი მთლიანად გვჯეროდეს და რუსებს შიში გავუქროთ, რომ ასე თუ ისე ჩვენ რუსეთთან ყოფნა არა გვწადს.

მეორე შესაძლებლობა იქნება - განვაგრძოთ წინააღმდეგობა და ობსტრუქცია, რაც ნამდვილი სიგიჟე იქნება.

ქართველები ჩვენი მოუთმენლობისა გამო, იმდენად ვიხიბლებით ადვილი და მოკლე გზის არჩევით, რომ თავსაც არ ვიწუხებთ ანალიზი გავუკეთოთ ჩვენს მოქმედებას, რასაც ჩვენს ისტორიაში მრავალი მარცხი და ტკივილი მოუტანია ქვეყნისათვის.

დღესაც იგივე გრძელდება. მდგომარეობა კი საბოლოო კატასტროფას გვიქადის თუ გონზე არ მოვედით. საქართველო ისე უძლური, დამცირებული და თავდაცვის უნარს მოკლებული არ ყოფილა თავის ისტორიაში...

დამღალა და ნაღვლიანი სასოწარკვეთის გამომწვევია, რომ ილიას „აღდგომა“ მხოლოდ გულში და არა გონებაში ხდება იმ ახალგაზრდობისა, რომელსაც პატრიოტიზმის ნაკლებობას ვერ ვუსაყვედურებთ. გარნა თეატრალური და სპექტაკლური იერიდა რჩება ილიას თაყვანებისა - როცა არავითარ ცდას ადგილი არა აქვს ილიას სწავლის შეგნებისა და მისი მეთოდის მიბაძვისა თანამედროვე ახალგაზრდობის უმრავლესობაში“.

სამწუხაროდ, ბატონ მიხეილ ქავთარაძის მწარე სიმართლე შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა. მაგრამ მომსმენი ვინღა იყო, ილიას სახელი მხოლოდ დროშაზე ეწერა, საქმით კი ყველა თავისას მიერეკებოდა. და აი შედეგიც: პინგ-პონგის სათამაშო ჩოგანიც ძალით ხელში შეგვაჩეჩეს...

პინგ-პონგის თამაშს ისე, როგორც ყველა სპორტულ პაექრობას, თვალყურს ადევნებს და წარმართავს მსაჯი. აფხაზური პინგ-პონგის თამაში მაშინ დაიწყო, როცა რუსეთი მოგვევლინა მსაჯულად და მფარველად.

აი, ამ მსაჯის კონკრეტული სახე სვეტლანა ჩერვონაიას მიხედვით: „1988-1989 წლებში საბჭოთა კავშირის კომპარტიამ იგრძნო, რომ რეალური საფრთხე ემუქრებოდა მის ყოვლისშემძლეობას, უგულებელყო პოლიტბიუროს წევრთა ერთი ნაწილის ლიბერალურრეფორმისტული მისწრაფებები და რიგითი კომუნისტების ნება, დაეყრდნო პარტიული და საბჭოთა აპარატის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ძალისმიერ სამინისტროებს, უწინარეს ყოვლისა, „კაგებეს“ და შეუდგა „ინტერფრონტების“ ორგანიზაციას რესპუბლიკებში, სადაც მასობრივმა ეროვნულმა მოძრაობებმა ფაქტობრივ უკვე დღის წესრიგში დააყენა საკითხი ამ რესპუბლიკების სსრკ-დან გასვლის შესახებ. მზარდი საფრთხის ზონებად კომუნისტურ რეჟიმს, ბუნებრივია, ექცნენ ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა და საქართველო“.

სვეტლანა ჩერვონაია ეყრდნობა სარწმუნო წყაროს. ესაა სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უკანასკნელი თავმჯდომარის ვ. ბაკატინის წიგნი.

„უშიშროების კომიტეტი, - წერს ვ. ბაკატინი, - იდგა „ინტერნაციონალური ფრონტების“ შექმნის სათავესთან იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებიც ცენტრს ეურჩებოდნენ. მანკიერმა ლოგიკამ „დაყავი და იბატონე“ ბიძგი მისცა ამ რესპუბლიკებში საზოგადოების ორ შეურიგებელ ბანაკად გახლეჩას, სიტუაციური დაძაბულობის გამწვავებას. მოქმედებდა სქემა: „თუ არ დაგვემორჩილებით, მიიღებთ ინტერფრონტს, რომელიც მოუწოდებს გაფიცვისაკენ, დასვამს რესპუბლიკის საზღვრებისა და იქ არჩეული ხელისუფლების ორგანოების კანონიერების საკითხს, შემდეგ კი აღნიშნული ინტერფრონტების საქმიანობას უშიშროების კომიტეტი „მთელი ხალხის ნების“ გამოვლენად წარმოადგენდა“.

ასეთი ინსპირირებული ორგანიზაციები „ინტერფრონტების“ სახელით ყველა რესპუბლიკაში არ შექმნილა. რუსი მოსახლეობის კონტინგენტით ასეთი ფრონტების შექმნა პოლიტიკურად წამგებიანი იყო, ადგილობრივი ეროვნული კადრებით მათი დაკომპლექტება ძნელი, ამიტომ აქცენტი გადაიტანეს ეროვნულ უმცირესობებზე, რომლებსაც თავიანთი ეროვნული ქღერადობის სახელწოდებებით შეაქმნევინეს „ერთობები“, „ფორუმები“, „ფრონტები“.

დაიწყო ასპარეზობისწინა მოთელვა. მოვუსმინოთ სვეტლანა ჩერვონაიას:

„აფხაზეთში 1989 წლის გაზაფხულიდან 1991 წლის აგვისტომდე ჩუმ-ჩუმად იკრიბებოდნენ და თანდათან დამრტყმელ პოლიტიკურ ძალად ერთიანდებოდნენ ე. წ. „ემისრები“, უპირატესად „ახალი“ ადამიანები, რომელთაც სპეცდავალება ჰქონდათ მიღებული იმჟამად ჯერ კიდევ ყოვლისშემძლე საკავშირო უშიშროების კომიტეტისაგან კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ა. ლუკიანოვის უმაღლესი საბჭოს სათანადო ლოცვა-კურთხევით. ეს დავალებები განაწილებული იყო სხვადასხვა „ხაზით“ („კაგებეში“ მიღებული ტერმინია მუშაობის ძირითადი მიმართულებებისა და უბნების აღსანიშნავად): ერთნი პასუხს აგებდნენ მხოლოდ მომავალი პუტჩის იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესაბამისი ანგაჟირებისათვის; მეორენი მოწოდებულნი იყვნენ, ეწარმოებინათ საორგანიზაციო მუშაობა საარჩევნო კომპანიისა და 1991 წლის მარტის რეფერენდუმის ჩასატარებლად... სხვებს ეკონომიკის, მომარაგების, ტრანსპორტის მართვის ღილაკზე ედოთ თითი და შეეძლოთ საჭირო მომენტში შეეწყვიტათ „ქანგბადის მიწოდება“ ამა თუ იმ არხით; მეოთხენი პასუხს აგებდნენ არმიასთან კავშირზე: ყიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულობდნენ იარაღს, ავსებდნენ საიდუმლო არსენალებს, ამზადებდნენ მებრძოლთა სპეცრაზმებს (ე. წ. „ბოევიკებს“), იცავდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილას გაფანტულ სამხედრო ტექნიკის არალეგალურ საწყობებსა და ბაზებს. განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებდნენ სპეციალური „მეკავშირენი“, რომელთა ამოცანას შეადგენდა კონტაქტებისა და კავშირის დამყარება არაფორმალურ ორგანიზაციებთან, რომელთაგან დახმარების იმედი შეიძლებოდა ჰქონოდათ ამ ანტიქართულ ომში. ეს კურიერები ერთთავად მიმოდიოდნენ სოხუმსა და მოსკოვს შორის (სადაც მათ ჰქონდათ კონტაქტები „პამიატთან“, ფაშისტური ყაიდის რუს პატრიოტებთან, რომლებიც მოქმედებდნენ, კერძოდ, (აკადემიის) სლავური დამწერლობისა და კულტურის ფონდს ამოფარებულნი, გაზ. „День“-ის რედაქციასთან და სხვა, ერთმანეთთან აკავშირებდნენ სოხუმსა და კრასნოდარს, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში კაზაკობის ფორმირების სხვა ცენტრებს, ნალჩიკს, გროზნოს, „მებრძოლ სამხრეთ ოსეთს“, „მებრძოლ დნესტრისპირეთსა“ და სხვა სამხედრო შტაბებს. მუშაობის განსაკუთრებული „ხაზი“ იყო საერთაშორისო აზრის მომზადება, უცხოეთთან კონტაქტების გააქტიურება (მათ შორის სხვადასხვა „მეგობრობის საზოგადოებათა“ მეშვეობით)... ჩამოჰკრავდა თუ არა „იქს-საათი“ და დაიწყებოდა სისხლისღვრა, „აფხაზური მხარის“ „გამოსასარჩლებლად“ მყისვე ჩაერთვებოდნენ ამ როლისათვის უკვე შემზადებული „დამცველები“ საერთაშორისო მიმომხილველთა, ტელეკომენტატორთა, სამეცნიერო ინსტიტუტების „სპეციალისტთა“, „მშვიდობის დაცვის კომიტეტთა“ და მისთ. დონეზე...

პუტჩის მომზადების პროგრამის განსახორციელებლად აფხაზური „ეროვნული კადრები“ აშკარად არ იყო საკმარისი, თუმცა ყველა, ვისი ჩართვაც კი შეიძლებოდა ამ საქმიანობაში, მოიზიდეს... ძირითადი დატვირთვა „აფხაზეთის მოვლენათა“ მოსამზადებლად დაეკისრათ რუს აგენტებს (ყოფილი უშიშროების კომიტეტის შტატიან თუ შტატგარეშე თანამშრომლებს), რომლებიც მოქმედებდნენ როგორც იდეოლოგები, სამხედრო ინსტრუქტორები, კომერსანტები, მმართველები და მისთ. თითქმის ყველა მათგანი დაინიშნა აფხაზეთის „ნეიტრალურ“ დაწესებულებებში, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო მათ ჭეშმარიტ საქმიანობასთან“.

მსაჯმა საასპარეზო მოედანი შეამოწმა, კმაყოფილი დარჩა, ამინდის ცვალებადობას დააკვირდა, სასურველი დრო შეარჩია და სასტვენსაც ჩაჰბერა.

ისევ სვეტლანა ჩერვონაიას მოვუსმინოთ:

„...16 აგვისტოს, შუადღეს, პაპანაქება სიცხეში, რუსეთის „ბომბორას“ სამხედრო აეროდრომზე...

მიწაზე ფრთხილად დაუშვეს დაჭრილები. მაიორმა, ევაკუაციას რომ ხელმძღვანელობდა, განკარგულება გასცა, მოსკოვისაკენ გასაფრენად გამზადებულ სამხედრო თვითმფრინავში ბრეზენტგადაფარებული გვამები ჩაეტვირთათ, მგზავრებს, რომელთაც უკვე დაეკავებინათ ადგილები ამ თვითმფრინავის სალონში, მოუხდათ გადმოსვლა და მომდევნო რეისის დალოდება...

ჩემს გვერდით მწარედ ქვითინებდა ხნიერი რუსი ქალი: იგი ვერ გაუფრთხილდა თავის ერთადერთ ქალიშვილს, რომელიც სოხუმის პლაჟზე თვალწინ დაუხვრიტეს სამხედრო სანატორიუმის მეზობელი მრავალსართულიანი სახლიდან სნაიპერის ნასროლი ტყვიით. ეს მოხდა სოხუმში 1992 წლის 15 აგვისტოს, როცა ჯერ კიდევ არც ერთი ქართული ფორმირება, არც ერთი ქართველი ჯარისკაცი არ იყო შესული სოხუმში. ამ დროისათვის ბორის ელცინმა უკვე აგრძნობინა არძინბას, რომ რუსეთი არ ჩაერეოდა კონფლიქტში საქართველოს ტერიტორიაზე, მით უფრო, რომ რუს მოქალაქეებს იქ ჯერჯერობით თითქმის არაფერი ემუქრებოდათ.

- აჰ, არაფერი ემუქრებათ, არა? მაშ, რაკი ასე გგონიათ, ინებეთ თქვენი პირველი გვამები!

ო, არა! ჩემთან ეს სიტყვები არავის დასცდენია. არც ის ვიცი, თუ რა სიტყვებით ან რა ენაზე უბრძანეს სნაიპერებს დაეხვრიტათ სოხუმის სამხედრო სანატორიუმის დამსვენებლები. ჩემი თვალით მე მხოლოდ სოხუმიდან ჩამოსვენებული გვამებით დატვირთული საკაცეები ვნახე, თვითმფრინავში რომ ტვირთავდნენ 16 აგვისტოს - ე. ი. ორი დღით ადრე, სანამ აქ, ამ მიწაზე, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ჯარები გამოჩნდებოდნენ. ჩემი ყურით მე მხოლოდ იმ ხნიერი ქალის ქვითინი გავიგონე, რომელსაც ქალიშვილი მოუკლეს.“

- აკი მსაჯიო? მსაჯი და მოთამაშე ვინ გაიგონა?

- დიახ, რუსს ყველაფერი შეუძლია. მსაჯიც ისაა და მოთამაშეც. ცალ ხელში სასტვენი უჭირავს, მეორეში ჩოგანი და პინგ-პონგს გვეთამაშება. როცა დაიღლება, ვისმე სხვას დააყენებს, - თვითონ სავარძელში ჩაეშვება და მაშინვე ჩაბერავს სასტვენს, გააჩერებს თამაშს, თუ კი უპირატესობა ჩვენს მხარეს აღმოჩნდება.

- ვინ არის ის, ვისაც ზოგჯერ ინაცვლებს?

- ხან ვინ და ხან ვინ. იმისდა მიხედვით თუ სად უდგას პინგ-პონგის მაგიდა, ვინ სად სჭირდება. ასეთების პოვნა არ უჭირს, რადგან დიდი ხანია საგანგებოდ მოღვაწეობს. 200 წელია, კავკასიაში იმყოფება. მის აქ გამოჩენას თან სდევდა კოლონიური პოლიტიკის თანდათანობითი გატარება, ვითომ ზრუნვა ადგილობრივ მოსახლეობაზე, ტუზემცებად მონათლულებზე, მათ მშვიდ ცხოვრებაზე, განათლებაზე, კულტურაზე.

კავკასიის ხალხებს, რომლებიც თავიანთ ენაზე წერა-კითხვას არ მისდევდნენ, ანბანი შეუქმნეს. ბარაქალა მათ, მაგრამ, დახეთ, ამით ერთი მოდგმის ხალხების გამთლიანების ნაცვლად კიდევ უფრო დაშლა-დაცალკევებას შეუწყვეს ხელი. ასე მოხდა ადიღეში, დაღესტანში... რუსები „ზრუნავდნენ“ სამეგრელოში და სვანეთში მეგრულად და სვანურად სწავლა-განათლების შექმნაზე. რომ არა ქართული საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი არსებობის ტრადიცია და ძირძველი კულტურა, რუსების მცდელობით ვიქნებოდით არა ერთიანი ქართველი ერი, არამედ იმერლები, აჭარლები, მეგრელები, სვანები, კახელები, თუშები და ა. შ. ასეთი რამ ხომ მართლაც განახორციელა რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიაში, მათ შორის ადიღეური მოდგმის ხალხებში, რომელიც 5 შტოდ იყოფა: აფხაზები, ანუ აფსუები, როგორც ისინი საკუთარ თავს უწოდებენ და უპრიანია ჩვენც ასე მოვიხსენიოთ, აბაზინები, ადიღეველები, ყაბარდოელები და უბიხები. ეს უკანასკნელი დღეს არ არსებობს, ისინი რუსებმა მთლიანად გადაასახლეს თურქეთში და განადგურდნენ. ხოლო დანარჩენთ თავ-თავიანთი სალიტერატურო ენა გააჩნიათ, მაშინ, როცა ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთმანეთთან იმდაგვარ დამოკიდებულებაში არიან, როგორც საქართველოს ცალკეული კუთხეები, რუსებმა მოახერხეს მათი გათიშვა (ასეა დაღესტანშიც), ჩვენი კი ვერა. ადიღეველთა ერთი შტოს - აფსუების ნაწილი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს, ნაწილი კი რუსეთმა XIX საუკუნეში თურქეთში გაასახლა. დღეს კი ამ ხალხის ერთმა ნაწილმა აფხაზური პინგ-პონგის სისასტიკე თავის თავზე იწვნია, მეორე კი გამარჯვების ეიფორიას მისცემია. ესაა ხალხი, რომელსაც აქვს მშვენიერი ტრადიციები და თავიანთ თავს აფსუებს ეძახის, ჩვენი მეშვეობით კი მთელი მსოფლიო მათ აფხაზებად მოიხსენიებს. და სწორედ ეს იქცა უბედურების წყაროდ. უფრო სწორად, უბედურების წყაროს მიზეზად.

რაც უფრო დაცალკევებულია და გათიშულია ერთი მოდგმის შვილები, მით უფრო ადვილად იმორჩილებს მათ ძლიერი დამპყრობელი. თითოეულმა ხალხმა ეს თავად უნდა გააცნობიეროს და ისე მოიქცეს, როგორც მისთვის ემჯობინება. ამას დღეს კი უნდა გრძნობდნენ კავკასიის მცხოვრებნი, მაგრამ მათ დაღვინება ჯერაც არ ეტყობათ. ისინი ურა-პატრიოტულ ლოზუნგებს ისვრიან, რომელთა რეალური შინაარსი იმ ტოტის მოჭრაა, რომელზეც სხედან. ამ საფრთხეს ცოტანი გრძნობენ, იმდენად ცოტანი, რომ ვერ ახერხებენ, წინ აღუდგნენ ამ ვერაგული გეგმის შემმუშავებლებს. გეგმა კი მსაჯს ეკუთვნის, რომლის ხელთაა თამაშის პროცესზე ზემოქმედება და დუღს საასპარეზო მოედანი, მით უმეტეს, მონაწილენი და გულშემატკივრები ერთობ ტემპერამენტიანები არიან.

- „პინგ“ - „აფხაზეთი - ეს საქართველო არ არის“. მეხივით გაისმა მსაჯის შეძახილი. ეს ლ. ვორონოვია, ადგილი: მოსკოვი, დრო: 1907 წელი.

დიდხანს ემზადებოდა იმპერია ამისათვის, ბევრი ილვაწა და, აჰა, დასრულებული ფორმა მისცა საპაექრო საგანს. ჯერ ელჩები გზავნა საქართველოში, მერე ერეკლე II-სთან ტრაქტატი დადო, რომელიც უტიფრად დაარღვია და ქართლ-კახეთის სამეფო თავის გუბერნიად აქცია. საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებსაც იგივე ბედი ეწია. რუსეთმა თანდათან მყარად მოიკიდა ფეხი კავკასიაში და ახლა მეტის გაკეთებაც შეძლო: ადგილობრივი მოსახლეობის აყრა და თავისუფალ, დაცლილ ადგილებში ათასგვარი ჯურის კოლონისტების ჩამოსახლება. ასე გაასახლეს მაჰმადიანი ქართველებიც სამხრეთ საქართველოდან, აფსუათა ნაწილი აფხაზეთიდან, უბიხები მთლიანად და სხვა ჩრდილო კავკასიელები... იწყება „ზრუნვა“ მეგრელთა და სვანთა განათლებაზე, უქმდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ოფიციალურ ცერემონიებზე ქართველებს ეროვნული სამოსით გამოჩენას უკრძალავდნენ, იმპერიის საწინააღმდეგო მრავალგზის გამოსვლებს სისხლში ახშობენ და, აი, მორიგი ნაბიჯიც - „აფხაზეთი საქართველო არ არის“.

- „პონგ“ - აფხაზეთი საქართველოს ძირძველი პროვინციაა!

უნდა ვამტკიცოთ ის, რაც სამტკიცებელი არაა, უმწეოთ სხვა რა ძალგვიძს, უნდა ვამტკიცოთ.

- „პინგ“ - აფხაზეთი საქართველო არ არის!

- „პონგ“ - აფხაზეთი საქართველოა! - ხმაჩახლეჩილი ყვირის ქართველი და იგი კომპრომისისთვის მზადაა, ფიქრობს, რომ უტიფრობას საზღვარი აქვს: აფხაზეთი ქართველთა და აფხაზთა საერთო სამშობლოა!

არა აქვს აზრი იმის დადგენას თუ როდის და ვის მიერ ითქვა ეს პირველად, ცხადია, რომ შეცდა.

აფხაზეთი სამშობლოა ყველასი, ვინც იქ ცხოვრობს და ბევრი იმათიც, ვინც იქ არ ცხოვრობს. სამშობლო მარტო დაბადების ადგილი არ არის. განა კახეთში დაბადებული ილია ჭავჭავაძისათვის იმერეთი არ იყო მისი სამშობლო?

სამშობლო ეწოდება მთელ იმ ტერიტორიას, სადაც ერი აღმოცენებულა, ანუ მას თავისი კულტურა, ყოფა, სახელმწიფო ჩამოუყალიბებია, თავისი ცხოვრებით უცხოვრია, უშენებია და უბრძოლია. ამ მხრივ აფხაზეთში ქართული სახელმწიფოებრიობის გარდა სხვა რამ არასოდეს არსებულა XX საუკუნემდე.

- აკი „აფხაზთა სამეფო“ არსებობდაო?

- დიახ, არსებობდა, მაგრამ იგი იმ ერთობისა კი არ იყო, ვინც თავის თავს აფსუას უწოდებს, არამედ ქართველებისა.

- არსებობდა „აფხაზთა სამეფო“ და აფხაზებს არ ეკუთვნოდათ? - ქირქილებს მსაჯი და გამარჯვებულის პოზით ამაყად წევს თავს მაღლა. გამარჯვებული კი მართლაცაა, უმრავლესობა მის მხარესაა, მოყვარეთაც ეპარებათ ეჭვი: - იქნებ...

- „პინგ“ - „დროა გავიგოთ, რომ აფხაზეთი რუსეთია“ - ეს შამბაა. ეს დღევანდელი დღეა. ეს მსაჯის ახალი მითითებაა, რომელიც ახალ ეტაპს გამოხატავს.

- „პონგ“ - აფხაზეთი საქართველოა - გავყვირით ჩვენ და ამის მამტკიცებელი საქართველო ორად იყოფა: ერთნი ჯიქურ, მკვახედ გამოთქვამენ თავიანთ პოზიციას, რომელშიც ბევრი სიმართლეა, მეორენი კვლავ ფრთხილობენ, ვაითუ, ასეთი შემტევი პოზიცია ცუდად შემოგვიტრიალდესო. და ძნელია, არ დაეთანხმო ამ მეორე თვალსაზრისს: სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, ნათქვამია.

პინგ-პონგი კი გრძელდება და იგი მანამ არ დასრულდება, სანამ საერთაშორისო მდგომარეობა ისე არ შეიცვლება, რომ მსაჯი თავის ტყავში დაეტიოს. მაგრამ ამის ლოდინი ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის, ჩვენც შესაფერისად უნდა გავისარჯოთ. პირველ რიგში უნდა ითქვას ის, რაც სათქმელია და შეძლებისდაგვარად ჩავრთოთ პოლიტიკურ პროცესში. ისტორიის ფალსიფიცირებით შეიქმნა ჩვენთვის სავალალო იდეოლოგიური ფონი. ჩვენი ვალია, არა მარტო დავძლიოთ იგი, არამედ სამომავლოდაც მოვამზადოთ სასურველი ნიადაგი, ისე რომ, ერთი ბეწოთიც არ დავცილდეთ დემოკრატიულ ღირებულებებს.

კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ იქ გადასახლდნენ ევროპელი კოლონისტები, შეავიწროვეს ადგილობრივი მოსახლეობა, ნაწილი გაჟლიტეს, ნაწილი რეზერვაციებში შერეკეს, ნაწილს შეერწყნენ კიდეც და ჩამოყალიბდა ახალი ერები და სახელმწიფოები: აშშ, კანადა, მექსიკა, ბრაზილია, ჩილი, არგენტინა, ურუგვაი, ბოლივია, პარაგვაი და ა. შ. დღეს არავის, არც ერთ ჭკუათმყოფელს არ მოუვა აზრად უკან გაასახლოს საუკუნეების წინ ევროპიდან ჩამოსულთა შთამომავალნი. არადა, ადგილობრივთა, აბორიგენთა გადარჩენილი ნაშიერნი დღესაც არიან თავიანთ მიწაზე და ევროპიდან კოლონისტთა მოსვლა ამერიკაში სულაც არაა ჰიპოთეზა, ეს ფაქტია. მით უმეტეს, ასე არ დასმულა და არც დაისმის საკითხი აფხაზეთის მოსახლეობის მიმართ, ვინც უნდა იყოს იგი. ჩვენ დღეს ვგმობთ ცარიზმის და შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოლშევიზმის ბატონობის წლებს, როცა არა მარტო ცალკეულმა პიროვნებებმა განიცადეს რეპრესიები, არამედ ხალხებმაც. ამიტომაც განა სერიოზულია დღეს ვინმემ მოითხოვოს რომელიმე ხალხის ან მისი ნაწილის აყრა და სხვაგან გადასახლება? საქართველო, რომელიც ამაყობს ევროპული სტანდარტებისადმი სწრაფვით და ამის გამო საერთაშორისო მხარდაჭერით, განა უმალ არ დაკარგავს ყოველივეს თუ კი ამ პრინციპებს უღალატებს? ეს, ასე ვთქვათ, პრაგმატული თვალსაზრისით, ხოლო წმინდა ადამიანური ფაქტორებით მოყვასისადმი თანაგრძნობის პრინციპებით არ ხელმძღვანელობდა, როცა ქართველი მოღვაწეები წინ აღუდგნენ რუსეთის მიერ კავკასიელი მაჰმადიანი მოსახლეობის გადასახლების პროცესს და, მათ შორის პირველ რიგში, აფსუებისას? ვინ იყო მაშინ მათი ქომაგი, თუ არა ქართველთა უკეთესი შვილნი?

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ისტორიოგრაფია ის მეცნიერებაა, რომელსაც ხშირად იყენებდნენ და იყენებენ საკუთარი ამბიციებისა და პოლიტიკური მიზნების იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის. ასეთი მოღვაწეობა ყოველთვის წარმატებით ხორციელდებოდა და მისი ნეიტრალიზება ძნელი იყო ან ნაკლებეფექტური, რადგან მასა ტყუილს უკეთ იჯერებს, ვიდრე რთულ ჭეშმარიტებებს. არადა, ერთია მეცნიერების მიერ უძველესი შრეების კვლევა და მეორე – თანამედროვე სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ზემოთ მოყვანილი ამერიკის მაგალითიც კმარა ამის დასამტკიცებლად. აქედან გამომდინარე, აფსუებს ყველანაირი უფლება აქვთ, ცხოვრობდნენ აფხაზეთში და მიაჩნდეთ იგი სამშობლოდ იმის მიუხედავად, მეცნიერებაში გამოთქმული ერთი თვალსაზრისი გაიმარჯვებს თუ მეორე, მაგრამ როცა ჰიპოთეზას სინამდვილედ ასაღებენ, მონაჭორს სამეცნიერო დებულებად და ყოველივე ამას პოლიტიკაში იარაღად იყენებენ, მაშინ იძულებული ვხდებით, ჩავერიოთ ამ პინგ-პონგში – ვამტკიცოთ სიმართლე და ვეძებოთ გამოსავალი. ჩვენ დაუცხრომლად უნდა ვესწრაფვოდეთ უფრო ფართო აუდიტორიის მოპოვებას. რაც მთავარია, ფხიზლად უნდა ვიყოთ – მოყვარეთა ნათქვამიც უნდა ავწონ-დავწონოთ. ასე მაგალითად, ზემოთ ნახსენები პატივცემული ქალბატონი სვეტლანა ჩერვონაია ერთგან წერს: „არა მარტო ისტორიულ-კულტურული ასოციაციების, არამედ ეთნოდემოგრაფიული თვალსაზრისითაც ეს მიწა შეიძლებოდა საქართველოს ნაწილად მიგვეჩნია. ყოველ შემთხვევაში, ამას არანაკლები საფუძველი ჰქონდა, ვიდრე იმის უფლებას, რომ ჩრდილოეთი კავკასია ანდა ვოლგისპირეთი, მთელი მათი უძველესი ხალხებითა და ეთნიკური უმცირესობებით, რუსეთის ნაწილად მიგვეჩნია“.

დიდი მადლობა. კაი შეღავათია. ერთიც ვნახოთ და ჩრდილოეთი კავკასიისა და ვოლგისპირეთის ამ უძველესმა ხალხებმა დამოუკიდებლობა აღიდგინეს, მაშინ საქართველოს აფხაზეთზე თავისი უფლება არ ექნება? თუ ფხიზლად არ ვიქნებით ამდაგვარი „უწყინარი ანალოგიები“ ჩვენ ბევრ თავსატეხს გაგვიჩენს. ხომ ვხედავთ, რა პრობლემები მიმდინარეობს ევროპაში (ყოფილი ჩეხოსლოვაკია, ყოფილი იუგოსლავია, ბელგია...) და საკუთრივ რუსეთში. თუ დაბეჯითებით არ შეგვიძლია ვთქვათ, ერთ-ერთ ვარაუდად ხომ უნდა მივიღოთ, რომ რუსეთი ერთ დღეს დაიშლება. დამოუკიდებელნი გახდებიან ჩეჩნეთი, დაღესტანი, ინგუშეთი, ალანია, ბაშკირეთი, ადიღე, თათარსტანი და ა. შ. ჩვენთან და ჩვენს მიღმაც საქართველოს ავტონომიების საკითხს ისე განიხილავენ, როგორც რუსეთისას... ჰოდა, ერთ დღეს მოსკოვმა რომ გამოაცხადოს, ვცნობ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობასო, ჩვენ აფხაზეთის მიმართ რა დღეში ჩავცვივდებით? მართალია, ჩვენ არა ვართ ვალდებულნი, ყველაფერში რუსეთის ანალოგიური ნაბიჯები გადავდგათ, მაგრამ ზოგჯერ პრეცედენტს საერთაშორისო არენაზე განზოგადებულად განიხილავენ. ობივატელის ლოგიკაც ხომ ასეთია: თუ აფხაზეთი ისეთივე ავტონომიური წარმონაქმნია, როგორც ჩეჩნეთი მაშინ მათი ბედიც ერთნაირი უნდა იყოსო. პოლიტიკური წრეები და მასმედია საზოგადოებრივ აზრს სწორედ ამ ობივატელთა მილიონებით ქმნიან. საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი კი დიდი ძალაა. ვითომ გვაწყენს მოვლენათა ამდაგვარი განვითარებისათვის მზად ვიყოთ?

სეპარატიზმი, როგორც მოვლენა, ყოველთვის კი არაა უარყოფითი შინაარსის მატარებელი. ამის დასტურია ის, რომ ცნებას „სეპარატიზმი“ წინ მსაზღვრელი გაუჩნდა „აგრესიული“, ე. ი. იგმობა არა ყოველგვარი სეპარატიზმი, არამედ აგრესიული სეპარატიზმი. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში საქართველო, ლიტვა, მოლდავეთი და სხვა რესპუბლიკები სეპარატისტები იყვნენ, მაგრამ მათი მოქმედება კანონიერი იყო: მას სურდათ ძალით შეწყვეტილი სახელმწიფოებრიობის აღდგენა მშვიდობიანი გზით. რუსეთი დამპყრობელია ჩეჩნეთშიც და დაღესტანშიც... საქართველოს კი აფხაზეთი არასოდეს დაუპყრია, იგი მისი განუყოფელი ნაწილი იყო ყოველთვის.

ანთროპოლოგების მიერ დადგენილია, რომ აფსუების ფიზიკური ტიპი თითქმის იდენტურია დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობის ფიზიკურ ტიპთან და კარდინალურად განსხვავდება ადიღეური მოდგმის წარმომადგენლებისაგან (მ. აბდუშელიშვილი, ი. ლადარია). ეს ხომ კიდევ ერთხელ ამტკიცებს ბატონი გერონტი გასვიანის მიერ წარმოჩენილ ისტორიულ ფაქტებს, რომ აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა დაკარგა ეროვნული ცნობიერება და ყოველდღიურ სამეტყველო ენად მიიღო აფსუათა ენა. თავის დროზე ეს იყო ჩვეულებრივი ყოფითი მოვლენა, რომელიც შემდეგში თანდათანობით ეროვნული ცნობიერების ტრანსფორმაციაში გადაიზარდა. გამოდის, რომ თანამედროვე აფსუათა სეპარატიზმი ტრაიბალისტთა სეპარატიზმი ყოფილა. ტრაიბალისტი ნიშნავს საკუთარ, განდგომილ თვისტომს; რადგან ჯერგენიებს, დამენიებს, ჯინჯოლიებს, ინაშვილებს და ა. შ. აფსუობა ურჩევნიათ, დაე, იყვნენ აფსუები. ეს მათი საქმეა, მაგრამ საქართველოში არიან სხვა დამენიები, ჯინჯოლიები, ინაშვილები, რომლებიც ღამურასავით არ გადაგვარებულან. საქართველო და აფხაზეთი მათ ეკუთვნით. ღამურებმა კი, თუ მათ გვერდით ყოფნა არ შეუძლიათ ან არ მოსწონთ, მოიკითხონ თუ სად არის არძინბების, შანბების, არგუნების, კიუტების, ოზგანების სამშობლო და იქ ეძიონ ბედნიერება. ვამბობ თუ ნაღდი ქართველების გვერდით არ შეუძლიათ ან არ სურთ იმ შემთხვევაში, თორემ არავისთვის ჩვენ ხელი არ გვიკრავს. ეს ქართველების პოლიტიკური კრედოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ საკითხში არც მწვადისა და არც შამფურის დაწვის პოლიტიკა კარგს არ გვიქადის. არადა, ამგვარი მიდგომა, ვითომ სიფრთხილისა და ობიექტურობის მომიზეზებით ხშირად გვხვდება ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებში. ეს პოზიცია ძალზე ჭარბად წარმოაჩინა ჩვენმა დიდმა მოყვარემ სვეტლანა ჩერვონაიამ. მოვიტანოთ რამდენიმე ციტატა:

- „978 წელს უშვილო თეოდოსის სიკვდილის შემდეგ შეწყდა აფხაზთა მეფეების დინასტია და აფხაზეთის სამეფოს არსებობა, მაგრამ *აფხაზური კულტურისა და სახელმწიფოებრიობის განვითარება*, ბუნებრივია, *გრძელდებოდა*".

„მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ღრმავდება *აფხაზეთისა* და *საქართველოს ინტეგრაციის* პროცესი, ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული თვალსაზრისით. ტრადიციული ხდება *აფხაზთა* და *ქართველთა ერთობლივი* სამხედრო გამოსვლები".

„კომუნისტური ხელისუფლება უნარიანად აქეზებდა აფხაზებს *მეზობელი* ხალხების, პირველ რიგში კი - *ქართველების* წინააღმდეგ".

გამოდის, რომ ისტორიაში ცნობილი „აფხაზთა სამეფო" აფხაზების, ანუ აფსუების სახელმწიფო ყოფილა. დავუშვათ, რომ ეს ასეა, მაგრამ, მან თუ არსებობა შეწყვიტა, მაშინ „აფხაზური კულტურისა და სახელმწიფოებრიობის განვითარება „როგორღა გრძელდებოდა"? ს. ჩერვონაია „მთელ შუასაუკუნეების განმავლობაში" ცენტრალიზებული საქართველოს სახელმწიფოს არსებობის პერიოდს თუ გულისხმობს, მაშინ ცალკე სუბიექტის სახით როგორღა არსებობდა აფხაზეთი? თუ კი შემდგომი პერიოდია მხედველობაში, მაშინ პოლიტიკურ სცენაზე ცალკეული სამეფო-სამთავროებია და არა აფხაზეთი და საქართველო. ან ეს ინტეგრაციის პროცესი ასეთ ვითარებაში როგორღა უნდა წარმოვიდგინოთ? ეს ერთობლივი სამხედრო გამოსვლები სადღაა ფიქსირებული? დავითისა და თამარის ჯარში მოლაშქრე საქართველოს ყველა კუთხიდან ჰყავდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს არსად არ წერია, რომ დიდგორის ან ბასიანის ომებში აფსუები დამოუკიდებელი სამხედრო შენაერთის სახით არსებულიყოს. ან როგორ აღმოჩნდა ქართველობა საკუთარ ქვეყანაში მეზობლის რანგში? ამ გვერდზე ეს სიტყვა ამ კონტექსტში სამჯერაა ნახმარი. საქართველოში კომპაქტურად ცხოვრობენ ბერძნები. მაშ, ქართველობა მათი მეზობელი ხალხია? სახლის პატრონი საკუთარი მდგმურის მეზობელია?

სამეცნიერო ლიტერატურაში არის კამათი ძველ ბერძნულ წყაროებში დაცული ცნებების „აფსილისა" და „აბაზგის" ინტერპრეტაციის თაობაზე. ძველი ბერძნული წყაროებიდან ცნობილია, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ შემდეგი ტომები: კოლხები, სანიგები, აბაზგები, აფშილები, მისიმიანელები... შ. ინალიფასთვის კოლხების გარდა ყველა ისინი დღევანდელი აფსუების წინაპრებია. ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობა კი აფსუების წინაპრებად მხოლოდ აფსილებსა და აბაზგებს მიიჩნევს, ხოლო დანარჩენთ - ქართველებისად. ამ ბოლო დროს მეცნიერთა მცირე ნაწილი იზიარებს პ. ინგოროყვას თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც დღევანდელ აფხაზებს (აფსუებს) არავითარი კავშირი არა აქვს ისტორიულ აფხაზებთან, ისინი ქართველები იყვნენ, ხოლო აფსუები აქ გვიან - XVII-XVIII სს-ში ჩამოსახლდნენ ჩრდილო კავკასიიდან. ცნობილი ენათმეცნიერი თამაზ გამყრელიძე კი მიიჩნევს, რომ ეთნონიმი აფსუა უკავშირდება ძველბერძნულ „აფსილს", ხოლო ძველბერძნული „აბაზგი" და ქართული „აფხაზი" ერთი და იგივეა და ამათ არავითარი საერთო არა აქვთ ადიღეური მოდგმის ჯგუფებთან. როგორც ადრე, ისე დღესაც აკრიტიკებენ პ. ინგოროყვას თვალსაზრისს, რომელიც ამტკიცებდა ეთნონიმი „აფხაზი" ეთნონიმ „მესხს" უკავშირდებაო. ეს კრიტიკა, ალბათ, სამართლიანია, მაგრამ ამით იმის გამორიცხვა ხომ არ შეიძლება, რომ ქართული წყაროებით ცნობილი „აფხაზი" ქართველი ეთნოსის კუთვნილება ყოფილიყო.

ერთია მოცემულ რომელიმე ტერიტორიაზე სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფთა განსახლება და მეორე ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული სახელმწიფო: ეთნიკური ერთეულები შეიძლება მრავლად იყოს, სახელმწიფო კი ერთი და ამ სახელმწიფოს შექმნის ინიციატორად და ჩამომყალიბებლად ერთი ერთობა გამოდის ხოლმე. ამიტომ შექმნილი სახელმწიფო ამ ერთობის კუთვნილებაა მიუხედავად ამ სახელმწიფოში შემავალი სხვა ეთნიკური ერთეულების სიმრავლისა. სწორედ ამიტომ „აფხაზის" ეთნიკური შინაარსის დასადგენად აქ არსებული სახელმწიფოს ხასიათიც გვეხმარება. როგორც ცნობილი ისტორიკოსი ნოდარ ლომოური აღნიშნავს, აფსუებმა „ვერ შექმნეს საკუთარი სახელმწიფო ენა (რადგან არასდროს გააჩნდათ სახელმწიფო), ვერ შექმნეს საკუთარი დამწერლობა". თუმცა ბატონი ნოდარი წინააღმდეგია ცნებების „აფსუა" და „აფხაზი"-ს არაიდენტურობის მტკიცებისა: „ეთნონიმი „აფსუა" ქართულ ენაზე საერთოდ არაა დადასტურებული. აფხაზების - ძველის და ახლის აღსანიშნავად ქართულად - ისტორიულადაც და ამჟამადაც - არსებობს მხოლოდ ერთი ეთნონიმი - „აფხაზი" და, რასაც უნდა უწოდებდნენ აფხაზნი თავის თავს, როგორიც უნდა იყოს ცალკეულ საგვარეულოთა გენეტიკური წარმომავლობა, მას, ვინც დღეს თავს აფხაზად თვლის, ჩვენ ვალდებულნი ვართ ვუწოდოთ მხოლოდ აფხაზი". ნუთუ თანამედროვე აფხაზების, ანუ აფსუების წინაპრების აღსანიშნავად ძველ ქართულ წყაროებში სხვა სახელი არაა დაცული? მაშ, რას ნიშნავს თამარის ისტორიკოსის ცნობა? ამის შესახებ ხომ უფრო ადრეულ ნაშრომში ხაზგასმით მიუთითებს თავად ბატონი ნოდარი: „ადრე ფეოდალურ და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ეთნონიმი „აფხაზი" სულაც არ ნიშნავს იმას, რასაც დღეს. მას კრებითი მნიშვნელობა ჰქონდა და აერთიანებდა როგორც ჩერქეზულ-ადიღეურ ტომებს - აფსილებსა და აბაზგებს, ისე ქართველებსაც - ეგრებს, სვანებს და შემდგომ ქართებსაც. მაგრამ აი, მემატიანეს დასჭირდა ეხმარა ეთნიკური ტერმინი, რომელიც საკუთრივ „აფხაზურ" (ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით), ე. ი. ჩერქეზულ-ადიღეურ ტომს აღნიშნავს: მას დასჭირდა აეხსნა, რას ნიშნავს თამარის ვაჟის გიორგის ზედსახელი „ლაშა". „ისტორიანი და აზმანის შარავანდედთანის" ავტორი წერს, რომ ეს სახელი „...განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა აფსართა ენითა"...მან არ დაწერა „აფხაზთა ენითა", რადგან მაშინდელი ქართველი მკითხველისათვის ეთნონიმი „აფხაზი" არსებითად მაინც უფრო ქართველს ნიშნავდა და გაუგებარი იქნებოდა, რა ენაზე ნიშნავს სიტყვა „ლაშა" „განმანათლებელს სოფლისა". თუმცა მაგალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თი ერთი გვაქვს, მაგრამ ვფიქრობ, არ შევცდებით, თუ მას განვაზოგადებთ: როცა შუასაუკუნოვან ქართველს სჭირდებოდა საკუთრივ აფხაზეთის ჩერქეზულ-ადიღეური მოსახლეობის წარმომადგენლის ხსენება, ის არ ხმარობდა ეთნონიმ „აფხაზს“, არამედ იყენებს სახელს „აფსარნი“.

დავუშვათ, რომ აფსუათა წინაპრები უხსოვარი დროიდანვე ცხოვრობდნენ აფხაზეთში, რაც მაინც არ იძლევა ამ ტერიტორიის მონოეთნიკურ ტერიტორიად გამოცხადების საფუძველს. ქართველური ტომების ბინადრობა აქ ხომ უფრო აშკარაა იგივე წყაროებით, სადაც აფშილები და აბაზგებია მოხსენიებული. უფრო მეტიც, საკითხავია: რა წვლილი უნდა შეეტანათ აფსუებს „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბებაში? თითქმის არავითარი. აფხაზეთის სახელმწიფო ისე, როგორც სხვა ნებისმიერი სახელმწიფო, შექმნა პოლიტიკურმა ელიტამ და არა რომელიმე ეთნოგრაფიული ყოფით დაკავებულმა კოლექტივმა. თუმცა ამ ეთნოგრაფიულ ყოფას (მესაქონლეობა, მიწათმოქმედება, ხელოსნობა, ნადირობა...) სახელმწიფოში თავისი ადგილი აქვს. ბოლშევიკური ლოზუნგი, ისტორიის შემოქმედი არის ხალხი, სწორია მხოლოდ იმ გაგებით, რომ ერის ყველა ფენა და წარმომადგენელი თავისი წვლილის შეტანით ერთობლივად ქმნის თავისი ერის ისტორიას და არამხოლოდ ე. წ. მშრომელი მასა. აუცილებლად უნდა იყოს გამიჯნული სწორედ წვლილი, თუ ვის რა დოზით შეაქვს იგი ისტორიაში. სადღაც ანაკოფიასთან თუ ლიხნთან თხის მწყემსს თუ მონადირეს არავითარი წილი არ ედო პოლიტიკაში და, ამდენადაც, ის ვერ იქნებოდა აფხაზეთის სამეფოს შემქმნელი. სხვა საკითხია ის, რომ ამ ფენის მიერ შექმნილი დოვლათით საზრდოობდა ქვეყანა და ზედაფენა. ერთია თითოეული ფენის *წვლილი* და მეორე ამ წვლილის *წილი*. აფსუებს რომ ჰყოლოდათ ეროვნული ცნობიერების მქონე არისტოკრატია, მაშინ ისინი მართლაც შექმნიდნენ სახელმწიფო ენასაც, ოფიციალურ, პროფესიულ კულტურასაც, თავიანთ დამწერლობასაც, რელიგიური აღმსარებლობის ეროვნულ მოდელს და ა. შ. მსგავსი რამ არსად დასტურდება. ხოლო ქვეყნისათვის აფხაზეთის სამეფოს დარქმევა ეთნიკური კუთვნილების გამომხატველი კი არ იყო, არამედ პოლიტიკურის: ჯერ ერთი, ქვეყანას ყოველთვის მისი გამაერთიანებლისა და ჰეგემონის სახელი ერქმევა. ამიტომ ეწოდებოდა აფხაზთა სამეფოს ჯერ კოლხეთი კოლხთა, შემდეგ ლაზიკა ლაზთა მეწინავეობის გამო. მეორეც, იგი უნდა განვიხილოთ „როგორც შეორსმჭვრეტელური ნაბიჯი, რაც საქართველოს საშინაო მდგომარეობასა და მის გარშემო ძალთა განლაგებას ითვალისწინებდა. ეს ის პერიოდი იყო, როცა რეგიონში ერთმანეთს ეტოქებოდა სამი ძლიერი ცენტრი: დასავლეთში - ბიზანტია, ჩრდილოეთში - ხაზართა კაგანატი, სამხრეთში - არაბეთის ხალიფატი. საქართველო იმყოფებოდა ამ ძალთა ინტერესების გადაკვეთაში. და არც ერთი მათგანი არ შეეგუებოდა მის ძლიერ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღორძინებას.

ლეონ მეორე, აფხაზეთის მმართველი, თუმცაღა ნომინალური, მაგრამ მაინც ბიზანტიის ვასალი იყო. ქვეყნის გაერთიანება დაიწყო, მაგრამ არ ჩქარობდა ამ ურთიერთობათა გაწყვეტას და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ

- კონსტანტინოპოლში დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ, რომ საუბარია მხოლოდ მათი ვასალის სამფლობელოთა გაფართოებაზე;

- კაგანატში, რომელიც ბიზანტიის მოკავშირე იყო არაბთა წინააღმდეგ, ეფიქრათ, რომ ბიზანტია აძლიერებს თავის ვასალს, რათა სამხრეთში ჰქონდეს ფორპოსტი ხალიფატის წინააღმდეგ;

- არაბებსაც და სხვებსაც ნათლად წარმოედგინათ, რომ იმას, ვინც ხელს აღმართავდა აფხაზეთის სამეფოზე, საქმე ექნებოდა ბიზანტიასთან.

კიდევ ერთი, გარეგნულად ფორმალური, მაგრამ არსებითად არცთუ ისე უმნიშვნელო გარემოება, რამაც ლეონ მეორეს უკარნახა აფხაზთა მეფედ წოდებულიყო. მისთვის აუცილებელი იყო მჭიდრო კავშირი მონათესავე აბაზგებთან, ჩრდილო კავკასიის ტომებთან, რათა უპირველეს ყოვლისა, საიმედო ზურგი ჰქონოდა, მერე კი მხარდაჭერა ადგილობრივი ფეოდალებისაგან დამოუკიდებელი შეიარაღებული ძალების შევსების საქმეში“ (გიორგი ფიფია).

თუ ყოველივე ეს სწორია, მაშინ ისმის კითხვა: რატომ მოხდა რომ XVIII საუკუნიდან ძველი აფხაზების და თანამედროვე აფხაზების, ანუ აფსუების გაიგივება? „საქართველო ტრადიციული თავშესაფარი იყო ჩრდილო კავკასიელთათვის და ამდენად ნაწილი ადიღეური ტომების საქართველოში და კერძოდ აფხაზეთში დასახლება არავითარ არც წინააღმდეგობას და არც უხერხულობას ქმნიდა. ფეოდალური წყობა საშუალებას იძლეოდა უმტკივნეულოდ მომხდარიყო ამგვარი გადმოსახლება და ბუნებრივი იყო ისიც, რომ ადიღეური მოსახლეობა იღებდა იმ სახელს, რომელ ქვეყანაშიც სახლდებოდა - აფხაზი“ (ჯანრი კაშია). იქნებ ეს მართლაც აიხსნება იმ პროცესებით, XVII-XVIII საუკუნეებში რომ მიმდინარეობდა: ქართული ცენტრალიზებული სახელმწიფოს დაშლისა და ბარის მაორგანიზებელი როლის შესუსტების შედეგად იწყება მთის მოსახლეობის ჩამოწოლა (ნ. ბერძენიშვილი), რაც არაერთ ავთენტურ წერილობით წყაროშია დადასტურებული, და იქნებ აფსუები სწორედ ამ პერიოდში გაჩნდნენ აფხაზეთში და ისინი ქართველობამ იმავე სახელით აღნიშნა, რითაც სხვა დანარჩენი აფხაზეთში მცხოვრები, ოღონდ მოგვიანებით აფსუურ ენაზე მოლაპარაკეთ დაუმკვიდრდათ საკუთრად ეს სახელი - „აფხაზი“? ეს სამომავლო საკვლევი საკითხია. აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი რამ ისტორიაში არაერთია ცნობილი. ხშირად ხდება ხოლმე, ერთი ხალხის სახელწოდება გადააქვთ მეორეზე და ასე მოიხსენიებენ მეზობლები და ზოგჯერ თვითონაც გაითავისებენ ხოლმე უცხო სახელს. მაგ.: სოფ. სარფში და მის სამხრეთით დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს ჩვენივე ნათესავი ერთობა, რომელიც თავის თავს ლაზს ეძახის, ხოლო ყველა ძველ საისტორიო წყაროში კი მოიხსენიებიან, როგორც ჭანები.

ბატონმა ნოდარ ლომოურმა გამოიკვლია და ცხადყო, რომ ეთნონიმი „ჭანი“ სხვა ერთობას აღნიშნავდა და „ლაზი“ კიდევ სხვას. ტრაპიზონის მხარეში მცხოვრებ ჭანებს „ბიზანტიურ საეკლესიო დოკუმენტებში და, საფიქრებელია - თანდათანობით ადმინისტრაციაშიც“, IX საუკუნიდან უწოდებენ ლაზებს, რომელიც თანდათანობმით თვითსახელწოდებადაც მიიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ - ჭანებმა. ასეთი მაგალითები მსოფლიოს ხალხთა ეთნიკურ ისტორიაში უამრავია და რატომაა გამორიცხული ანალო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიური სიტუაცია „აფხაზთან“ დაკავშირებით?

დღეს აფხაზეთი ჩვენ არ გვეკუთვნის, მას სინზე დადებულს არ მოგვართმევენ. ამაზე მეტი რა უნდა მოხდეს და სიმართლის თქმას არც უნდა გავურბოდეთ. ვგულისხმობ მეცნიერებას, თორემ პოლიტიკაში სიმართლის თქმასაც თავისი დრო აქვს. ეს საქმე თავად პოლიტიკოსებს მივანდოთ, ჩვენ კი, რაც ადრე ვერ გვითქვამს, ვთქვათ, გამოვამზეუროთ ახალი ფაქტები, გამოვიკვლიოთ უფრო გამოწვლილვით ყოველივე და თანაც ავხსნათ, ქართველი საზოგადოებრიობა რატომ იყო ასე დაბნეული. თუ არა დაბნეულობა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმას, რომ საქართველოს დაცემამდელი ხანის წყაროებში ცნება „აფხაზის“ ქვეშ უცხო ეთნოსი არ ივარაუდება, გვიანდელი ხანისაში კი ასეა. ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, რომ აფხაზებს თავიანთი ენა აქვთ. მანამდე ასეთი რამ არ არსებობს და ახლა გვიან შუასაუკუნეებში საიდან გაჩნდნენ თავიანთი ენის მქონე აფხაზები? უფრო გვიან, XIX საუკუნეში დიდ ქართველ მამულიშვილს იაკობ გოგებაშვილს აფხაზეთი საქართველოს მეზობელი ქვეყანა ჰგონია. ბოლშევიკების ბატონობის წლებში კი სიმართლის თქმას ტაბუ დაედო, რის დამადასტურებელია სასტამბოდ გამზადებული წიგნების ამოღება ან შეკვეცილ-შეცვლილი სახით გამოცემა (პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, ნ. ლომოური...). ასეთ პირობებში მუშაობა მართლაც გმირობა იყო დღეს კი, აკაკისა არ იყოს, „ახლა არ გვგლეჯენ ენასა, - თქვით რამე, თქვენი ჭირიმე“. არადა, დღეისათვის ბევრი რამაა დაკარგული. მხედველობაში მაქვს ეთნოსის წარმომავლობის, ნათესაობის, კულტურული დონის, ხასიათისა და სხვა საკითხების საკვლევად აუცილებელი პირველწყაროები. გარკვეულ პირთა და დაწესებულებათა დაუდევრობის გამო სათანადო დონეზე არც საკითხი დასმულა და, შესაბამისად, არც განხორციელებულა აფხაზეთში განთავსებული მუზეუმებში და არქივებში დაცული მასალების ევაკუირება. არა მგონია, მათგან რაიმე გადარჩებოდა. არადა, ისინი პირველ რიგში ქართველთათვის დაიკარგა. ასევე, დღეს და, ალბათ, კარგა ხანს შეუძლებელი იქნება ექსპედიციის მოწყობა და საენოლოგიო თუ საენათმეცნიერო მასალათა მოპოვება. სამწუხაროდ, ეთნოლოგები, გამოქვეყნებული შრომების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩამორჩებიან ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ანთროპოლოგებს, ენათმეცნიერებს, ხელოვნებათმცოდნეებს. მხედველობაშია არა ნაშრომთა რაოდენობა, არამედ ეთნოსპეციფიკის წარმოჩენა. ასევე, სამწუხაროა, რომ ქართველი და არაქართველი მეცნიერების მიერ აფხაზეთში ფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალის განზოგადებისას არ ხდება დიფერენციაცია თუ ვის ეკუთვნის მოპოვებული ინფორმაცია: ყველა ერთად აფხაზურადაა (აფსუურად) გამოცხადებული. არადა, ხომ ყველა ეთანხმება იმ აზრს, რომ ოდითგანვე აფხაზეთში წარმოდგენილია ქართული მოსახლეობა. სადაა მათი ყოფის ამსახველი მასალა? რატომ არაა სათანადოდ გაშუქებული ეთნონიმიკური გადმოცემები, რომლებიც აფსუათა ენაზეა ჩაწერილი?

სასაუბრო თემიდან გადახვევა არ იქნება თუ გავიხსენებთ ერთ ფაქტს: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობაში დაცულია დევ-კერპთა განდევნის შესახებ არსებული თქმულებები. ისინი გიორგი ჩიტაიამ და თინათინ ოჩიაურმა გამოიკვლიეს და, ურა-პატრიოტული პოზიცია კი არ დაუჭერიათ, არამედ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დევების ქვეშ იგულისხმებიან არა ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟები, არამედ გარკვეული ეთნიკური ფენა, მოცემულ შემთხვევაში ბაცბურ-ქისტური და დაღესტნური ჯგუფები, რომლებიც დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს მთის გარკვეულ ნაწილში ცხოვრობდნენ. დევთა ნამოსახლარი მათი ნამოსახლარია, რომელიც შემდეგში ქართველ მთიელებს ძალით დაუკავებიათ. ანალოგიური ვითარების ამსახველია აფსუათა ენაზე შემონახული აცანების შესახებ არსებული თქმულებები. შ. ინალიფას მიხედვით „აცანი“ აღნიშნავს, „ჯუჯას, პიგმეის და ზოგჯერ აფხაზეთის ძველ აბორიგენს“. მაგრამ ამ უკანასკნელ ვერსიას იგი სათვალავში არ აგდებს. გარდა ამისა, აფხაზეთში მრავლად მოიპოვება ქვის ნაგებობები, რომლებიც ისევ აცანებს უკავშირდება. ეს ხომ რეალურად არსებული მატერიალური ძეგლებია და, საკითხავია, რატომ არ მიიჩნევენ აფსუები მათ თავიანთ კუთვნილებად და მიაწერენ ვიღაც ჯუჯა აცანებს? ნიკო მარის მიხედვით სიტყვა „აცანი“ ეთნონიმია და მასში ჭანIIსან-ი იგულისხმება და, საერთოდ, ეს თქმულებები აფხაზეთში ეთნიკური ცვლილების ამსახველია. შ. ინალიფა გააფთრებული ებრძვის ამ აზრს და აცხადებს, რომ აცანების შესახებ არსებული თქმულებები არის „პირველყოფილ-სინკრეტული მითი, ადრეული პოეტური და არა რელიგიური შემოქმედების ნაყოფი“, რომელიც ძველი ეგვიპტის ჰეროდოტეს დროინდელი პიგმეებს შეესაბამება და ენათესავება. იგი ასახავსო გვაროვნული წყობის რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების ჩასახვის პროცესს. არადა, აქაც იგივე მარტივი სქემა გვაქვს, რაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გადმოცემებში.

შ. ინალიფას მიერ გამოცემულ აფხაზურ ზეპირგადმოცემებში თვალის ერთი გადავლებითაც შეინიშნება სხვადასხვა ფენა. ეტყობა აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობამ, რომელმაც თანდათანობით დაკარგა თავისი მშობლიური ენა და აფსუებისა მიიღო, დაკარგა ეროვნული ცნობიერებაც, თუმცა თავისი წეს-ჩვეულება შემოინახა და თავისი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ახლა უკვე აფსუათა ენაზე გადასცა თავის შვილებსა და შვილიშვილებს. ჩრდილოეთიდან ჩამოსულებმა კი თავიანთი ჩამოიტანეს (მაგ. ნართების ეპოსი) და ისინი თანამედროვე ფოლკლორისტებმა და ეთნოლოგებმა, რადგანაც აფხაზეთში აფსუათა ენაზე ჩაიწერეს, უყოყმანოდ აფსუათა კუთვნილებად გამოაცხადეს. ადგილობრივი მოსახლეობა (ქართული) რომ გააფსუვდა, ნათლად აჩვენა ისტორიკოსმა გერონტი გასვიანმა გასული წლის ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე, ხოლო უფრო ადრე 1903 წელს სოფელ ლიხნში იმყოფებოდა თედო სახოკია, რომელიც აღნიშნავს: აფხაზეთის „მთავრები უმეტესად თანამემცხედრედ დადიანთა ქალებს ირთავდნენ. ამათ თან მოჰყვებოდათ ნამზითვნი ყმანი, რომელთაც სასახლის გარშემო ასახლებდნენ. დღეს ამ მოსახლეთა შორის მხოლოდ მეგრული გვარებია დარჩენილი, ენას კი აფხაზურის გარდა სხვას ვერ გაიგონებთ“. თუ მიგრირებული ქართველები ივიწყებენ ენას, იქ ოდითგანვე მცხოვრებლებზე რა უნდა ითქვას? მათი „გააფხაზება“ ხომ დღევანდელ შინაარსს არ ატარებდა? სვანეთში ცხოვრობენ გუგავები

და ჭკადუები, რომლებიც თავს სვანებად თვლიან, ასევე გვყავს მეგრული გვარის მქონე გურულები და იმერლები (ჭანტურია, მალაზონია, ლეჟავა...), სამეგრელოში კი ცხოვრობენ და „მეგრელობენ“ ნანეიშვილები, ნადარეიშვილები, ნაროუშვილები, კალანდარიშვილები, მიმინოშვილები, სანიკიძეები, აბსანძეები, კაკაშვილები და ა. შ. ზუსტად ამ კონტექსტში ჯდებოდა (ხაზს ვუსვამ „ჯდებოდა“) მავანთა - ადგილობრივთა და მიგრირებულთა „გააფხაზება“. ეს იყო მხოლოდ ეთნოგრაფიული ცნობიერების დონე, გარშემო არსებული საცხოვრებელი გარემოს - ყოფითი ვითარების მიღება და მასთან გაერთიანება. ეს არის ყველა ქვეყნისა და ხალხის დაბალი სოციალური ფენისათვის დამახასიათებელი თავისებურება. რაც შეეხება აფხაზეთის ზედა ფენას, საკითხავია, როდის არ თვლიდა იგი თავს ქართველად? რომელი ერთი გავიხსენოთ? იქნებ ალექსანდრე შერვაშიძის პროტესტი რუსთა მიმართ იყოს საკმარისი: „Я не абха-зский, а грузинский князь“ - სწორედ რომ ასეა, აფხაზობა ქართველისათვის ისეთივე კუთხურობაა, როგორც კახელობა, გურულობა, თუშობა, მეგრელობა, იმერლობა და ა. შ. გამოჩენილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ჯანაშია თავს რომ აფხაზად თვლიდა (ნ. ლომოური) განა ქართველობას უარყოფდა ან ვერ ერკვეოდა ეთნიკურ თავისებურებებში? მისი აფხაზობა მისი დაბადების ადგილისადმი კუთვნილებაა და მეტი არაფერი. ასე უნდა იყოს დღესაც, დღევანდელი ქართული მოსახლეობა, ვინც აფხაზეთშია დაბადებული და გაზრდილი, თავს აფხაზს უნდა უწოდებდეს.

დღეს ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ისტორიულ სინამდვილეს და ადიღეური მოდგმის წარმომადგენლების აღსანიშნავად კვლავ უნდა ვიხმაროთ „აფსუა“, ხოლო საქართველოს ერთი პროვინციის და მისი მოსახლეობის აღმნიშვნელად „აფხაზეთი“ და „აფხაზი“. თუ მავან ჯერგენიასა და ჯინჯოლიას არ სურს ქართველობა, მათი ნებაა, მიაკუთვნონ თავი იმ ერს, რომელიც მოსწონთ. მათ არჩევანი გააკეთეს და ჩვენც იმ სახელით მოვიხსენიოთ, რაც ინებეს - „აფსუა“. რაც შეეხება არძინბებს, შამბებს, კუიტებსა და მისთანებს, აქ საკითხი ნათელია - ისინი ნამდვილი აფსუები არიან. ბატონი ნოდარ ლომოური ამგვარ პოზიციას აფსუათა შეურაცხმყოფელად მიიჩნევს. საკითხის ასე დაყენება აფსუათათვის მართლაც გამაღიზიანებელია და არასასურველი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შეურაცხმყოფელია. ცნება „აფსუა“ ეთნონიმია და ისინი ასეც ეძახიან საკუთარ თავსაც. ერთ დღეს თურქმა „გურჯის“ ნაცვლად „ქართველი“ რომ გვიწოდოს, ჩვენ რა, უნდა გვეწყინოს? აფსუებს ამ ცნების ხმარება იმიტომ აცოფებთ, რომ იგი ხაზს უსვამს მათ არააფხაზობას. ამით ჩვენ ჩვენი პოზიცია უნდა განვამტკიცოთ. თუ არსებობს აფხაზეთი, აფხაზები კი აფსუები არიან, მაშინ, მართლაცდა, რა ხელი აქვს მასთან საქართველოს? საქმეც სწორედ ისაა, რომ აფსუები არ არიან აფხაზები და აფხაზეთი საქართველოს ღვიძლი ნაწილია. ამ თვალსაზრისით ჩვენი ეროვნული მოძრაობა თავის დროზე სწორ პოზიციაზე იდგა. ბატონი ნოდარ ლომოური ამის მიმართაც უარყოფითადაა განწყობილი. პოლიტიკური კონიუქტურის გამო ნაბან წყალს ბავშვიც არ უნდა გადავაყოლოთ. ჩვენ დიდად მოვიგებდით თუ კი გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებში დამკვიდრდებოდა აფსუა და არა აფხაზი. მთელმა მსოფლიომ ხომ ამ კონფლიქტის მეშვეობით გაიცნო ისინი. კონფლიქტის დასაწყის სტადიაში იყო საუბარი აფხაზეთში ურთიერთდაპირისპირებულ ორ მხარეზე და კარგი იქნებოდა თუ ისინი აფსუურ-აფხაზურ (ქართულ) მხარეებად იქნებოდნენ სახელდებული და არა ისე როგორც დღესაა - ქართულ-აფხაზური. ამით ეს საკითხიც იმ სიბრტყეზე დადგებოდა როგორზეც დგას ოსთა საკითხი, მხოლოდ ერთი განსხვავებით: თუ აფსუები, მართალია აღიარებულია ადიღეველთა ნათესავად, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ ერად მიიჩნევენ თავს, ჩვენც ასე მივიღოთ. თუმცა ეს რაიმე პრივილეგიას არ გულისხმობს, არამედ ქართველს აძლევს საფუძველს, კიდევ ერთხელ გამოიჩინოს კეთილი ნება, როგორც აქამომდე.

მწარედ, მაგრამ სწორად გამოგვიჭირეს - აფხაზეთში დაღუპულ ქართველ მეომრებს საქართველოს მთლიანობისათვის მებრძოლებს უწოდებდნენ და არა სამშობლოსათვის თავდადებულებსო (ი. ეფიმოვი). არადა, როდის არ იყო აფხაზეთისთვის ბრძოლა სამშობლოსათვის ბრძოლა? თუმცა იგი ხმლის გაშიშვლებით არ ამოიწურება. მართალია, აფხაზეთში ჩვენი დამარცხება სამარცხვინოა (თუმცა რომელი დამარცხება არაა სამარცხვინო?), მაგრამ ამის გამო მთელი ერის ყოფნა-არყოფნის სასწორზე დაყენება არასწორია. ჯობია დავიხოცოთ! - გაისმის ზოგჯერ მოწოდება. ასეთი რადიკალური გადაწყვეტილებებით რომ ეხელმძღვანელათ ჩვენს წინაპრებს, მაშინ დღეს ჩვენ არ ვიარსებებდით. სხვა ქვეყნებსაც ხშირად უნახავთ მარცხი, მაგრამ მომავალზე უარი არავის უთქვამს. აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტაში მთავარი დროა და, თუ თავგამეტებას ვიჩემებთ, დრო უფრო მეტად მსახვრალია, ვიდრე ხმალი. მაშ, სიმედგრე დროის ფაქტორის მოქმედებისას გამოვიჩინოთ და მოვძებნოთ სასურველი გაგრძელება. იგი შესანიშნავად გამოხატა ჩვენმა წინაპარმა კოლხმა ჴარტაიძემ: ვაჟკაცურად გადავიტანოთ უბედურება და არ ჩავიდინოთ არაფერი უღირსი და მამაპაპური წესების შემბღალველი“. ათეული წლებით კი არა, ათეული საუკუნეებით იყო ებრაელი ერი თავისი სამშობლოდან გამოძევებული, მთელ მსოფლიოში მიმოფანტულებს რა არ გადახდენიათ თავს, მაგრამ არ დაუთმიათ წინაპართა წესები და ჩვევები და რწმენა, რომ ისინი ებრაელები არიან და აუცილებლად დაბრუნდებიან სამშობლოში. ჩვენი იარაღიც, ვამბობ - ერის იარაღი და არა პოლიტიკოსის იარაღი, სწორედ ეს რწმენა უნდა იყოს: გაისად აფხაზეთში გვეზეიმოს! თუმცა ხშირად ისმის გამოთქმა: იარაღით დაკარგულს იარაღითვე იბრუნებენ! თუ ბოლო საუკუნის დეკოლონიზაციის პროცესს გადავხედავთ, ეს ფრთიანი გამონათქვამი უადგილო აღმოჩნდება. დროა საჭირო რუსეთში კარდინალური ცვლილებებისათვის. დღეს ხომ მხოლოდ ისაა კოლონიების მფლობელი და „დერჟავისტულად“ განწყობილი ქვეყანა. დრო უნდა, რომ ისიც ბრიტანეთივით, ესპანეთივით, საფრანგეთივით, პორტუგალიასავით... თავის კანში ჩაეტიოს. მანამდე კი ქართველებს ჭკუის მოკრება გვმართებს, რადგან, რაც დაგვემართა, ჩვენმა გულფიცხობამ და სწორხაზოვანმა ახლომხედველობამ განსაზღვრა ბევრგან.

ისტორიაში დრო ყოველთვის გასათვალისწინებელია. დღევანდელ საქართველოს დამოუკიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბლობა იმისთვის სჭირდება, რომ მისმა მოქალაქეებმა იცხოვრონ თავისუფალი ადამიანის განცდით, თანამედროვე ღირებულებებით, საკუთარი ტრადიციებით. წინააღმდეგ შემთხვევაში დამოუკიდებლობა აზრს კარგავს. ქვის ხანაში, როცა საკაჟიას გამოქვაბულში ცხოვრობდა ჩვენი წინაპრის წინაპარი, ყველასგან და ყველაფრისგან დამოუკიდებელი იყო. არა მგონია, ვინმე ჭკუათმყოფელმა იქ დაბრუნება ისურვოს. ან არადა ჭკუაგამოცლილ ძალგულოვნებას რატომ ვეძახით ვაჟკაცობას? „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა ვაჟკაცისგანო“ – ნათქვამია. ვინც ეს თქვა, იმათზე მეტი ვაჟკაცები ვართ დღევანდელი ქართველები? ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ხომ შენიშნულია ნაცარქექიას ეროვნული ხასიათის შესახებ (ა. ბაქრაძე). იგი ხომ ერთი ბეწო და ყველასგან მასხრად აგდებული ზედიზედ ამარცხებს გოლიათ დევებს. რად ვართ დღეს დევების კომპლექსით შეპყრობილნი? თუ კი გაიმარჯვებს ნაცარქექია მოგვიტანს? ჩვენმა კეთილმა მოყვარემ, იტალიელმა ტონინო გუერამ აღნიშნა ჩვენი ხასიათის მეტად ნიშანდობლივი თავისებურება, რომელიც სტუმარ-მასპინძლის რიტუალში შეიძლება ლამაზი იყოს, მაგრამ ყოველდღიურ ყოფაში საეჭვო: ქართველები „საოცრად ხვდებიან სტუმრებს, თუმცაღა ხშირად თვითონ უფრო მოსწონთ თავიანთი საქციელი, თითქოს შორიით უცქერენ თავისავე თავს და ტკბებიანო სანახაობით“. დამოუკიდებლობადაკარგულები, საშოვარზე გადაგებულნი ჩვენ ჩვენი ეთნოგრაფიზმით ეგზოტიკური ხილივით გამოვიყურებოდით კომპლიმენტებს დახარბებულნი. დამოუკიდებელი არსებობა თუ გვინდა, უნდა განვთავისუფლდეთ ფსევდოვაჟკაცობისაგან, ფსევდოკულტურისაგან, ფსევდოგანათლებისაგან და ა. შ.

არცთუ ისე შორეულ წარსულში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიძახოდნენ ლიტვის გზა დამღუპველიაო. ბოლოს და ბოლოს, რა იგულისხმებოდა ამ გზაში? უფრო სწორად, რას გმობდნენ? საქართველოში ჭკვიანი მტრების ხელშეწყობითა თუ თავად ქართველის შეცდომით რადიკალიზმი ბატონობდა, შეურიგებლობა და უკომპრომისობა, ყველაფრის შავ-თეთრ სიმბოლოებში დანახვა... დღეს, როცა საქართველოს სამაგალითოდ ჩეჩნეთს უსახავენ, ხმას არავინ იღებს აზერბაიჯანზე. ეს არ ნიშნავს თითქოს ჩვენ ყოველთვის სხვისი შაბლონებით უნდა ვიმოქმედოთ. არა, მაგრამ გამოცდილებათა გათვალისწინება განა საზიანოა? აზერბაიჯანში, მართალია, რუსეთის ბაზები არ არის, მაგრამ მას აქვს საკუთარი ნავთობი, რითაც მსოფლიოს დიდი ქვეყნებია დაინტერესებული და ტომით და რჯულით მოკეთე ქვეყნების მხარდაჭერაც არ აკლია, აზერბაიჯანს კი საქართველოზე მეტი ტერიტორია აქვს დაკარგული, რომელსაც რეალურად და არა შეფარვით იხემებს მეზობელი სომხეთი; აზერბაიჯანს დევნილებიც ჩვენზე მეტი ჰყავს, რუსეთი საქართველოზე ნაკლებად არ აკრავს ჯვარზე, მაგრამ აზერბაიჯანმა შეძლო სამოქალაქო ომის თავიდან აცილება და აირჩია შორი გზა - ქვეყნის კონტროლირებად ტერიტორიაზე ეკონომიკის აღორძინებისა და საერთაშორისო არენაზე პოზიციების განმტკიცებისა, რაც უთუოდ გამოიღებს შედეგს. საქართველოც, განუკითხაობის ქაოსიდან გამოსული, ახლა ამ რეალობების გათვალისწინებით მიდის. დღევანდელ საქართველოს არა აქვს უფლება, ისევ დილეტანტიზმის ჭაობში ჩაიძიროს, რომ სასურველი და შესაძლებელი ერთმანეთში აურიოს. მაქსიმალურად უნდა ავიცილოთ კონფლიქტები ჩვენს მეზობლებთან და, პირველ რიგში, ქვეყნის შიგნით... ოდესმე მსაჯი გატყდება და ჩვენ თანაარსებობისათვის მზად უნდა ვიყოთ. ამ მხრივ პასუხისმგებლობა ჩვენ გვეკისრება არა მარტო ჩვენს თავზე, არამედ იმ განდევნილებზეც და უძლებ შეილებზეც, რომლებიც ადრე თუ გვიან შინ დაბრუნდებიან.

ჟენევა, მოსკოვი, ნიუ-იორკი, ვაშინგტონი, ლისაბონი, სტრასბურგი, აი იმ ქალაქთა არასრული სია, სადაც აფხაზურ პრობლემებზე მსჯელობენ. დღეს მსჯელობა პინგ-პონგის სახეს ვერ გასცილდება თუ ჩვენ ერთად - აფსუები და ქართველები, პოლიტიკოსები და არაპოლიტიკოსები ვერ მივხვდებით, რომ გოდერძი ჩოხელის იმ მოთხრობის ჭიანჭველებს ვგავართ, რომლის ნაწყვეტიც ამ ნარკვევს ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული. სამწუხარო ისაა, რომ ეს დღეს ბევრს აძლევს ხელს და, ალბათ, ამნაირი ჭიანჭველობა მომავალშიც სარფიანი იქნება.

და რადგანაც აგრეა, ჩვენ კვლავაც მედგრად დგომა გვმართებს. „სატოპკე“ არ უნდა ავუწიოთ მოწინააღმდეგეს, დარტყმული მოვიგერიოთ და თავადვე ვცადოთ ბედი. ჭკუით, სიფხიზლით, მოხერხებით, მოთმინებით ნელ-ნელა გამოცხვება ჩვენი ობლობის კვერი (ხომ ითქვა ქართველები ობოლი ერი ვართო). ჩვენივე ბედი ჩვენვე უნდა გამოვკვეროთ. ამისათვის კი რას ვიზამთ, უნდა ვიაროთ ჟენევას, მოსკოვს, ნიუ-იორკს... ჩვენს წინაპრებს რომ არ ევლოთ ისპაჰანს, თავრიზს, სტამბულს, სამარყანდს, დღეს ჩვენ არ ვიარსებებდით. და თუ გვინდა მომავალშიც არსებობდეს ქართველი ერი, მომავალშიც ვითარდებოდეს მისი კულტურა, უნდა ვიაროთ, რადგან სამშობლო ერის სამოღვაწეო ნიადაგია და იგი ყოველდღიური, მუდმივი საზრუნავია. ყოველ გაზაფხულზე ხომ ისევ თავიდან იწყება ხვნა-თესვა! ერთხელ მოწეული მოსავლით კაცი ვერ იარსებებს, ყოველ წელს ისევ თავიდან უნდა მოიწიოს. ყოველთვის თავიდან ანუ მუდმივ. მოუსავლიანი წლებიც გამოერევა, აქ ტირილი არ შველის, არც ლანძღვა-გინება. ისევ უნდა მოვკიდოთ ხელი ერქვანს.

პინგ... პონგ...

პინგ... პონგ...

თითქოს დრო - დიდი სეკუნდანტი - მოგვიწოდებდეს:

- ბარიერთან!

ბარიერთან ცოცხლები დგებიან!

ბარიერთან სიცოცხლისთვის დგებიან!

პინგ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა





# რიჩარდ-ალექსი გოგოხია

## ამერიკული ლეგენდა

ყოველი თაობა სწავლობს თავის წარსულს. ეძებს, ვინ არის, საიდან მოსულა.

მეც ვეძებ.

დავიბადე ამ საუკუნის ორმოცდაათიან წლებში. დავიბადე და გავიზარდე ამერიკაში. აქაური ვარ, აქ ვმოღვაწეობ, მაგრამ ჩემი სამკვიდრო საქართველოა.

პაპაჩემი, ალექსი გოგოხია, რომელიც ამერიკაში ჯორჯიანად იყო ცნობილი, საქართველოდან ჩამოსულა. მღვდლის შვილი ყოფილა. პაპაც მღვდელი ჰყოლია. თვითონაც თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა თურმე.

1893 წლის მიწურულს სემინარიელები აჯანყებულან. აჯანყებულთ მაშინდელი ეგზარქოსისათვის კანონიერი მოთხოვნები წაუყენებიათ. ალედგინათ თავის უფლებებში უგულვებელყოფილი მშობლიური, ქართული ენა და სემინარიელებისადმი ადამიანური დამოკიდებულება გამოეჩინათ სემინარიის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს.

რუს ეგზარქოსს მათი მოთხოვნები არად ჩაუგდია. სემინარიაში დროებით სწავლა შეუწყვეტიათ. შემდგომ კი აჯანყებული სემინარიელების მოთავენი სემინარიიდან გაურიცხავთ. ჟანდარმერიას ისინი თბილისიდან გაუსახლებია. მათ შორის ყოფილა პაპაჩემი ალექსი.

სწავლა-განათლების უფლებაწართმეული და დედაქალაქიდან გაძევებული პაპაჩემი მშობლიურ სამურზაყანოში დაბრუნებულა. სოფელ ფახულანში დედ-მამასთან დაუდევს ბინა, მაგრამ დასავლეთ საქართველოში თავისუფლად მიმოდიოდა და იმ ადამიანებს დამეგობრებია, ვინც რუს დამპყრობლებს ებრძოდა და ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ზრუნავდა.

პაპაჩემის მთავარი საზრუნავი ყოფილა, ქართველ ყმაწვილთ მშობლიურ ენაზე ესწავლათ და, რაც შეიძლება მეტი განათლებული ხალხი ჰყოლოდა ყოველ კუთხეს, რომ რიგიანად დაემუშავებინათ და გამოეყენებინათ მეტისმეტად ნაყოფიერი სახნავ-სათესი ადგილ-მამული. ამაზე მეტყველებს იმდროინდელ გაზეთებში „ივერიასა“ და „კვალში“ გამოქვეყნებული მისი წერილები.

1896 წელს კეთილისმყოფელთა ხელშეწყობით პაპაჩემი სასწავლებლად ამერიკაში გამოუგზავნიათ. იმავე წელს ნიუ-იორკიდან საქართველოში გაგზავნილ ერთ წერილში იგი წერს: „ფული შემომელია, იძულებული გავხდი, ფიზიკური შრომისათვის მომეკიდა ხელი. ვმუშაობ ერთ ქარხანაში. როგორც შეუჩვეველი მუშა ცოტა ფულს ვღებულობ... ძალიან ვიღლები. დღეში ათ საათს ვმუშაობ... მუშა ხალხისათვის საღამოობით სკოლებია გამართული. ერთ იმათგანში მეც დავდივარ და განსაკუთრებით ინგლისურ ენას ვსწავლობ.“

ინგლისურ ენას პაპაჩემი კარგად დაუფლებია. უნივერსიტეტშიც უსწავლია, გაზეთის გამომცემელ-რედაქტორიც გამხდარა, მაგრამ უსახსრობისა გამო ხან სად უმუშავია და ხან სად.

რამდენიმე წელიწადს თავის თანამემამულეებთან ერთად ამერიკაში ლეგენდად ქცეული უაილდ ვესტის მხედარიც ყოფილა.

ჩემს ყმაწვილობაში უაილდ ვესტის მხედრებზე ლეგენდები დადიოდა. რას არ ყვებოდნენ მათზე. სამ ცხენზე ერთად ჯირითობდნენო, უნაგირზე თავით დგებოდნენ და ისე მიაჭენებდნენ ცხენებსო, ფრთოსნებივით დაქროდნენო...

ადრე დიდად არ დავინტერესებულვარ. არც ვიცოდი, პაპაჩემი მხედარი თუ იყო. პაპას მე არ მოვსწრებივარ. იგი 1940 წელს გარდაიცვალა. ორი ათეული წლის შემდეგ ძლივს შეუსრულა მამაჩემმა დანაბარები. მისი ფერფლი საქართველოში ჩაიტანა. იქ მიაბარეს მშობლიურ მიწას.

ოთხი წელიწადია, ვსწავლობ ამერიკაში ჩამოსულ ქართველ ცხენოსანთა ასავალ-დასავალს და ბევრი მასალა მოვიძიე. სწორედ მათზე მინდა გიამბოთ.

ამერიკაში რატომღაც ქართველი ცხენოსნები კაზაკებად მოუნათლავთ. იმდროინდელ პრესაში ხან რუს კაზაკებად, ხან რუს ივანებად, ხან კავკასიელ ებრაელებად იხსენიებიან. თუმცა ევროპაში, კერძოდ ლონდონში რომ გაუმართავთ ქართველ ცხენოსნებს საცხენოსნო სპორტული სანახაობა, მაშინვე აღუნიშნავთ: „ესენი სულაც არ არიან რუსი კაზაკები. ესენი არიან კავკასიელები ქუთაისის მაზრიდან. მათი ზუსტი მისამართი ასეთია - კავკასია, გრუზია, ჯორჯია. ისინი ყველანაირად განსხვავდებიან კაზაკებისაგან, რასობრივად, ენით, ჩვეულებით, ჩაცმულობით. ფაქტიურად მათ ერთადერთი აქვთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო. ორივენი რუსეთის ცარის ქვეშევრდომები არიან.“

(გაზ. „სეთადი რევიუ“, 1892 წ. 2 ივლისი)

მართალია, თავიდანვე ასე დაიწერა ევროპაში, მაგრამ ქართველ ცხენოსნებს ამერიკაში მაინც კაზაკების სახელი არ მოსცილებია. ცხენოსანთა ერთ ჯგუფს აწერია „მგზნებარე კაზაკები უაილდ ვესტიდან“. იგი 1903 წელსაა გამოქვეყნებული ამერიკულ გაზეთ „მინეაპოლის სანდი თაიმსში“. მათი ნამდვილი გვარ-სახელი ასეთია - ბესარიონ ცინცაძე, ლუკა ჩხარტიშვილი, მოსე გიგინეიშვილი, კლიმენტ ჯორბენაძე, ვასო ჭყონია, ირაკლი ჭყონია, დათა ჭყონია, ივანე მახარაძე, მელიტონ ცინცაძე, დიმიტრი მგალობლიშვილი. რომელი რომელია არ ვიცი. არც ის ვიცი, ვინაა წამოწოლილთაგან, ორნი, რომელთაც ქართული ჩოხა-ახალუხი არ აცვიათ.

ქართველი ცხენოსნები ერთ სარეკლამო ფურცელში ზაპოროჟიელ მეომრებადაც არიან მოხსენიებულნი.

ვფიქრობ, რუსულმა დროშამ განაპირობა ეს გაუგებრობა. ქართველებს რუსული დროშა ეჭირათ. თანაც ამბობდნენ ყაზახები ვართო. ამით თავიანთ სოციალურ წარმოშობაზე მიუთითებდნენ. ყაზახს, როგორც გავარკვიე, გლეხს ეძახდნენ დასავლეთ საქართველოში.

მე არ ვიცი, ქართველ ცხენოსანთაგან ვინ გლეხი იყო წოდებით, ვინ თავადი, ვინ აზნაური, მაგრამ ზოგიერთ მათგანს, საზოგადოების წინაშე რომ წარადგენდნენ, გვარ-სახელს წინ ურთავდნენ წოდებას, რატომღაც პრინცს. სარეკლამო ფურცლებში შემონახულია პრინც ივანე მახარაძე, პრინც ლუკა ჩხარტიშვილი, პრინც ალექსი ჯორჯიანი...

ივანე მახარაძე და ლუკა ჩხარტიშვილი შეიძლება იყვნენ დიდგვაროვნები, მაგრამ პაპაჩემი ალექსი ნამდვილად გლეხი იყო, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სასულიერო წოდების წარმომადგენელი (სხვათაშორის ჩემი ერთი ძმა მღვდელია). პაპა ცხენოსნობას, ცხენის მოვლა-პატრონობას ბავშვობაში შეჩვევია. როგორც მამაჩემი იგონებს, იგი უყვებოდა ამბებს შავრა, თეთრონ, წაბლა ცხენებზე, რომლებსაც ყმაწვილობაში უბელოდ დააჭენებდა სამურზაყანოს მინდორ-ველებზე.

პაპა თავიდან უილიამ ბუფერის შოუში მონაწილეობდა თურმე, შემდეგ ქემბელებთან გადასულა. უილიამ ბუფერი ბუფალო ბილის სახელითაა ცნობილი. იგი ქართველ ცხენოსნებს დიდ პატივს სცემდა, რადგან მათი წყალობით მისი შემოსავალი დღითიდღე იზრდებოდა. უამრავი ხალხი ესწრებოდა თურმე ჯირითს, მარულას, ისინდს... საცხენოსნო სპორტს მეტ მომხიბლაობას სძენდა თურმე ქართველთა ცეკვა-თამაშიც.

ბუფალო ბილი პატივს კი სცემდა ქართველ ცხენოსანთ, მაგრამ ეტყობა, გასამრჯელოს მომჭირნედ იმეტებდა. 1905 წელს, 10 მაისს „ნიუ-იორკ თაიმსი“ იტყობინება: „კაზაკები, რომლებიც გამოდიოდნენ ბუფალო უაილდ ვესტ შოუზე გაიფიცნენ, ითხოვენ ხელფასის მომატებას. ხელმძღვანელობამ ისინი ქუჩაში გაყარა. ზოგს ისე უჭირს, მათხოვრობს კიდეც“.

მართალი რომ თქვას კაცმა, ამერიკელებს არც ის აინტერესებდათ დიდად, კაზაკები იყვნენ თუ ქართველები და არც ის, რა ბედი ეწეოდათ. მათთვის მთავარი იყო შოუ, სანახაობა და ერთიც. ქართველი მხედრებისაგან ამერიკელმა ცხენოსნებმა ბევრი რამ ისწავლეს და გაითავისეს. ქართველები ისეთ ილეთებს აკეთებდნენ, იქაურთ, ნახვით ხომ მანამდე არ ენახათ, არც სმენოდათ: ჩორთი იქნებოდა ეს თუ ცხენის კისერზე შემოვლება, უნაგირზე ჩახვევა თუ ცხენის მუცელზე ჩამოკიდებულად ჯირითი...

ამერიკელები არ მალავენ, რომ ბევრი რამ გაითავისეს და ცხენის მოვლა-პატრონობაც ისწავლეს ქართველებისაგან. ქართველებისაგან-მეთქი, მე ვამბობ, თორემ იმდროინდელი პრესა იუწყება კაზაკებისაგანო.

ამერიკელ ფრედერიკ რემინგტონს ქართველი მხედრები ლონდონში უნახავს. მოხიბლულა საუცხოო სანახაობით და თავისი შთაბეჭდილება ასე გამოუხატავს: „ისინი ნამდვილად გაჯადოებენ. გრძნეულებს ჰგვანან. თითქოს დაფრინავენ ცხენებთან ერთად. თავიდან გეგონება, ცხენდაცხენ ყანასა მკიანო. თვალს ვერ შეასწრებ, რა უჭირავთ ხელში. მერე ხვდები, რომ ეს ხმალია, რომელსაც სწრაფად და მარჯვედ იქნევენ“. (გაზ „პარპერზ მაიკლი“, 1892 წ. 3. სექტემბერი).

დასავლელი ისტორიკოსის დი ბრაუნის თქმით: „სანახაობითი წარმოდგენები როდეოზე შემოიტანეს თავზეხელაღებულმა კაზაკებმა. „ამერიკელი კოვბოები დაინტერესდნენ კაზაკთა მომჯადოებელი ილეთებით მოჯირითე ცხენებზე და სულ მალე მათაც შემოიტანეს სხვადასხვა ვარიაციები ამერიკულ როდეოზე“.

ამერიკელ ჟურნალისტს ფრედერიკ რემინგტონსაც და დასავლელ ისტორიკოსს დი ბრაუნსაც კაზაკები ჰგონიათ ქართველი მხედრები.

მე საგანგებოდ მოვიძიე, ვინ როდის და რომელი გემით ჩამოვიდა ამერიკაში. ასორმოცდაათზე მეტი ქართველი ცხენოსანია ჩამოსული სხვადასხვა დროს.

ახლა წიგნს ვწერ ქართველ ცხენოსნებზე.

ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქნება, თუ ვინმეს სურვილი გაუჩნდება და გამომეხმაურება ამერიკაში მოჯირითე ქართველ ცხენოსანთა შთამომავლებიდან.

სამწუხაროდ, ინგლისურად ავიდგი ენა. ინგლისურად მივიღე სწავლა-განათლება. ინგლისურად ვწერ და ვკითხულობ. ახლა ვსწავლობ ქართულს. მასწავლებელთან დავდივარ. საქართველოში რომ ჩამოვალ, იმედი მაქვს, მშობლიური მიწა-წყალი შემეწევა და ერთბაშად ავლაპარაკდები.

Omega
ომეგა

დედის დაზღვევა
INSURANCE OF MOTHER
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანია
GEORGIAN STATE INSURANCE COMPANY



## ახალი წიგნები


















ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 2 ლარი



ნომერში გამოყენებულია გიგა ზაალიშვილის ნამუშევართა რეპროდუქციები

